რეზო ჭეიშვილი

გადანახული ჩანაწერები

ტომი III

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი • 2020

„გადანახული ჩანაწერების“ მესამე ტომში გრძელდება დღიურების ძირითადი ტექსტის ბეჭდვა (მეთორმეტე-მეთვრამეტე რვეულები, 1989 წლის 8 დეკემბრიდან 1994 წლის 17 მაისამდე), აგრეთვე, დამატებებში _ „გასვლითი თამაშებისა“ (1985 წლის იანვრიდან, შესაბამისად, 1994 წლის მაისამდე) და „ტელევიზორეთისა“ (1987 წლის სექტემბრიდან 1994 წლის მაისამდე).

როგორც მეორე ტომის ანოტაციაშიც მივუთითეთ, „ტელევიზორეთი“ და „გასვლითი თამაშები“, ქრონოლოგიურად, ტექნიკური მიზეზით, რამდენადმე ჩამორჩა „გადანახული ჩანაწერების“ ძირითად ტექსტს. ახლა ეს ხარვეზი სწორდება.

რედაქტორები თემურ ამყოლაძე

ელგუჯა თავბერიძე

მხატვარი გეგა პაქსაშვილი

წინათქმა გია ხოფერიასი

ISBN 978-9941-9610-2-1 (ტომეულის)

ISBN 978-9941-9610-3-8

წინათქმა მესამე ტომისათვის

„გადანახული ჩანაწერებიც“ დიდი მწერლობაა

მწერლის, ზოგადად, ხელოვანის (რასაკვირველია, ნაღდის) ნახელავი ყოველთვის ტოვებს კვალს, სხვადასხვა სიგრძე-სიგანისას, მაგრამ მაინც ტოვებს. თუნდაც მოგონებები იყოს, თუნდაც პირადი მიმოწერები, თუნდაც ყოველდღიური ჩანაწერები.

ჩანაწერებზე ვთქვათ, რეზო ჭეიშვილის „გადანახულ ჩანაწერებზე“:

ვიცით, მეხსიერებას რომ არ უჩიოდა, ამაყობდა კიდეც თავისი მეხსიერებით, ენდობოდა, მრავალჯერ მიშველებია და გამოუხსნია იგი გონებაში თითქო ჩაძველებულ სიუჟეტებს, გაჩერებული, ერთ ადგილზე გაქვავებული, ისევ აუმოძრავებია, ახალ გზაზე გაუყვანია, ამართლებდა თუ უმართლებდა ნდობა, საბოლოოდ არ გაწირავდა, მაგრამ მაინც არ დაუცადა მოგონებებისა თუ მემუარებისათვის განკუთვნილ ასაკს, ერთბაშად რომ უნდა დაეწყო წარსულზე ფიქრი, ნაკვერცხლებთან ერთად, დამწვარი ნახშირიც რომ გაუხდებოდა გამოსაქექი, ანდა გაყვებოდა კი ბოლოისკენ ის დალოცვილი სიცინცხალე აზრისა, აზროვნებისა, სურათისა, გათენება-დაღამებისა, ყოველდღიური სიცხადისა, თუნდაც გულაჩქარებისა, გულდამძიმებისა, ხელისგაწვდენაზე რომ დაშორებოდა წარამარა. რატომ უნდა ემტვრია თავი მერე, როცა პირველწყაროს გამოგონებაც კი დასჭირდებოდა. წინასწარვე იგუმანა, რასაკვირველია, სავსებით სწორი მიხვედრილობით, რომ აღდგენა გაციებულის გაცხელება იქნებოდა, სულ სხვა საკმაზით, სულ სხვა გემოთი. თორემ რა, გაუჭირდებოდა ჩაჯდომა და ვერ დაწერდა? დაწერდა კი არა, ნარეკლიანად ამოძირკვავდა მთელ თავის კალენდარს, პეშვა-პეშვად ამოიტანდა, გაცრიდა წლების მიწას, ფინჩხაც არ დარჩებოდა ობლად მიმალული. საწვალებელი გაუხდებოდა მაინც. თავიდანვე მოუხდებოდა დახატულის დახატვა, დაწერილის დაწერა, გააზრებულის გააზრება, წაკითხულის წაკითხვა, თავიდანვე, და რატომ გაეორებინა საქმე, რატომ გაეხადა საორხელოდ. შეიძლება, მე

ვცდები, ასე რომ ვფიქრობ „გადანახული ჩანაწერების“ წაკითხვის შემდეგ. თუმცა ჩემი ფიქრი თუ ფიქრები არაა ვინმესთვის ანგარიშის ჩაბარება ან წინასწარ მომზადება რომელიმე ტიპის კრებისთვის, სცენაზე გასვლის წინ ოდნავ რომ წამოგიწითლდება ლოყები, გონებრივ სიჭრელეს რაიმე ისეთი არ უთხრა, მათრახი დაიმსახურო.

„გადანახული ჩანაწერები“ გულწრფელობის საუკეთესო ნიმუშია, ესაა მოკლემეტრაჟიანების ფილმოთეკა. სცენარისტი, ოპერატორი, მსახიობი (სხვადასხვა როლში, ზოგჯერ — მარტო, უმეტესად — სხვებთან ერთად) თავად ჩანაწერების ავტორი გახლავთ. არცთუ იშვიათად, შუაღამისას თუ უფრო გარდასულ დროს იღებს ამ მოკლემეტრაჟიანებს, მაგრამ განათება არცერთს არ აკლია, ყოველი კადრი მკაფიო სიცხადისაა, მკაფიოდაა შენახული... გულწრფელობა გავხაზე და უნდა მივყვე ამ შემგროვებელი ძალის სიტყვას. ვამატებ — სიზუსტეც, ფერთაშემხამებლობაც, რეზო ჭეიშვილის არცერთ ნოველასა თუ რომანს რომ არ აკლია, აქაც იგივეა, მაგრამ იქ ქვეტექსტია, გაორებაა, გასამებაა, სხვადასხვა ხილვადობის ფერები ჩამოიშლებიან, სხვადასხვა კარუსელი ტრიალებს, მკითხველის გონებას დაჭაობებული ერთჯერადობისაგან რომ გამოიხსნის, ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობა, სურვილია, ამისთვისაა გამართული ბრძოლა, სიტყვების ომი. აქ კი, ჩანაწერებზე ვუთითებ, მხოლოდ ქვეტექსტია ამოვარდნილი, მხატვრული თუ არამხატვრული სიმართლის პირველწყაროები მოედინებიან, როგორც კიბულა.

გულწრფელობა ორივეგანაა საჭირო. სხვა საქმეა, სანამდე გაგიშვებს გონების ფაბრიკა, სანამდე იმუშავებენ ჩარხები გაუცვეთავად. არც ისაა მოულოდნელი, რომ გულწრფელობა თავისუფლებას უტოლდება, ჩანაწერებში უფრო, თუმცა პასუხიმგებლობაც საკისრებელია ნათქვამზე, შესაზღუდია რომანტიკული წამოღელვებანი.

ვინ გვიშლის კითხვის დასმას, გვჯერა თუ არა ჩანაწერების? ნურავინ მოინდომებს ბეწვის ხიდზე გასვლას. გინდ დაიჯერე, გინდ — არა. შეგიძლია, ხმამაღლა თქვა, რომ „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ გულზე არ გეხატება, არც „მუსიკა ქარში“, ყრუ რომ ხარ, მიტომ, იქნებ უკეთესის უკეთესად დაწერის სურვილი გაგიჩნდეს, შეიძლება, რა თქმა უნდა, მაგრამ რეზო ჭეიშვილი რასაც ფიქრობს მაია ჩიბურდანიძეზე, ირაკლი აბაშიძეზე ან თავის განუყრელ მეგობრებზე, რად გესაჭიროება ასაწონ-დასაწონად. ის ფიქრი თუ აზრი მისი საკუთრებაა,

მისი გონების უშუალო დასკვნაა, მისი შეხედულებაა, მისი თვალით და-ნახული შევარდნაძეა თუ სინოია ბრეჟნევია, მწერალთა კავშირია, მი-სი ადიდებული რიონია ან წყალწითელა, მისია და თუ არ შეუზიარდე-ბი, გადახაზვა-გადაშლას როგორ მოახერხებ, ნამდვილად სასეიროდ საყურებელი იქნება.

არ მინდა ამ ფურცელგარეთ გასვლა, მაგრამ ამ წამს, შევატყვე, მოცლილობად არ ჩამეთვლება, ერთმა კორკიმელმა (კორკიმელი არაა გლახა სიტყვა. გლახა სიტყვა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ გლა-ხად ნათქვამი) ამას წინათ მითხრა — რეზო ჭეიშვილს ნოდარ დუმბაძე ჰყავს გალანძღული „ჩანაწერებში" და არაა კაი კაციო. ჯერ ერთიც, გალანძღული ნამდვილად არ ჰყავს, ტყუილი რომ თქვი, კორკიმელო, მაშინვე მოგახსენე. მეორეც, თუ უწერია „მე, ბებია, ილიკო და ილარი-ონის" შემდეგ ერთფეროვნებამ დაისადგურა (რაც სახაფათოა) დუმ-ბაძის რომანებში, შენიშვნად აქვს აღნიშნული და არა გალანძღვად. შენიშვნა გალანძღვა არაა, ბოლო-ბოლო, არც კრიტიკაა გალანძღვა, წესიერად თუ მოიქცევი... რეზო ჭეიშვილს იმ შენიშვნის თქმის უფლე-ბა ჰქონდა, როგორც მწერალსა და მკითხველს. ნოდარ დუმბაძისადმი ძმობა და სიყვარული არაერთ ადგილზე აქვს მოხსენიებული, როგორ განიცადა მისი ადრეულ ასაკში გარდაცვალება, ისიც. ეს რატომ არ დაგამახსოვრდა?

კიდევ კარგი, ჰემინგუეი რეპორტიორად რომ მოიხსენია, არ გაუ-გია ევროპა-ამერიკას, თორემ მაშინ გენახათ ცეცხლის დანთება და წამოდულება. როგორ შეიძლება, მსოფლიოში ცნობილი ჰემინგუეი რეპორტიორამდე დაიყვანო. რეზოს აზრით, შეიძლება, თუ გჯერა ამ კაცის, დაიჯერე, თუ გინდა, ნუ დაიჯერებ, მაგრამ ნუ აჩქარდები, ჯიჯისაც შეეკითხე, ალფანიძეს, ან ომამდე ვინც იყო ტანკისტი, იმას.

რახან მწერლებზე მიდგა საქმე, რეზო ჭეიშვილის „ჩანაწერებში" მოსაზრებებისა და შენიშვნების მეტი რაა მათზე. ეს მოსაზრებები ხელშეუხებელია (ან ვინ უნდა შეეხოს?!), დასაბუთებულიცაა, მერე რა, საყოველთაო ავტორიტეტებსაც თუ აყენებს კედელთან (აქებს კიდეც, სადაც შესაქებია, მისი აზრით, რა თქმა უნდა), თუნდაც დოსტოევსკის-„დანაშაულსა და სასჯელში" ზოგიერთი თავი ამოსაგდებად მიაჩნია. იქნებ მართალიცაა. ასეთი მაგალითები საძებარი არაა იქ. მარკესსაც გაკრა კბილი, ზოგიერთი ჩვენებურიც მიაყოლა ზედ, სინოიასდროინ-დელები, მანამდელები და ნასიონალეებიც. რას იწუნებდა? რას და,

უნიჭობას, ჭარბსიტყვაობას, უაზრო და უმიზნო ტარტარს, სიუჟეტე-ბის დინამიკაში პროპორციების რღვევას, ნაძალადევი ფილოსოფიუ-რობით დაღრღნილ სცენებს, ფრაზებს, წინადადებებს, მკითხველის მწვალებლად რომ გადაქცეულა მწერალი, იმას. კარგი იქნებოდა, ასე-თი ავადმყოფობები რომ მონონებოდა? თავისი სიმართლე თქვა, პრო-ფესიონალის სიმართლე, ახლაც არ იქნება გვიან, ჩვენმა ვარსკვლა-ვადქცეულებმაც რომ იღონ ყურად ეს სიმართლე. ავტორიტეტულობა დეპუტატის იმუნიტეტივით არ უნდა მივიჩნიოთ. ავტორიტეტები, რა თქმა უნდა, დაფასების ღირსნიც არიან, მაგრამ მათი არ უნდა გვეში-ნოდეს.

მესმის, რომ, საერთოდ, „ჩანაწერები", არა მხოლოდ რეზო ჭეიშვი-ლის „კონსპირაციულ" ფაქტს წარმოადგენენ, მოგვიანებით გამოდიან ისინი სარდაფებიდან, მაგრამ ყოველთვის არ ერგებათ გასაცოდავე-ბული ბოლო ვაგონის სტატუსი, შიგნით წესიერად თუ შევიხედავთ, დისკომფორტთან ერთად კომფორტიც აუცილებლად შეგენიშნებათ.

მასწავლებლური დაჟინებით არავის მოვუწოდებ, თუმცა ახალშეღე-რებულ მწერლებს არ აწყენდათ ამ „ჩანაწერების" წაკითხვა. გვერდე-ბის მითითებაც შორს წამიყვანს, ამონაწერებზე რომ არაფერი ვთქვა. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სავარჯიშოდ, საკუთარი ხელწერის გასაუმჯობესებლად არ ჩაუნიშნავს მწერალს ის „მოძღვრებანი". ახალგაზრდებს მივუთითებ, თორემ მოძველებულებსა და გაბრძენე-ბულებს აწი რა ნაყოფი უნდა გამოუვიდეთ მომწვარი კვირტებიდან. ისინი, საცაა, გავლენ უკვე ორბიტაზე, ვინაა მათი დამწვევი. აქ რომ ვერ გაგვაოცეს, უცხოეთში დურთეს თავი და რამდენადაც ჩემამდე აღწევს ხმები, მთლად ამერიკა თუ არა, ევროპის ლიტერატურული მუსკულატურა ისე გაუმხეცებიათ, საცაა, ძარღვებიდანაც გამოსკდე-ბა სისხლი. იმ საწყალ ევროპიელებს, თავიანთი ასევე საწყალი კლა-სიკისთვის (მეცხრამეტე საუკუნეობრივად რომ ვთქვათ) სარდაფებში მიუჩენიათ ადგილი და ჩვენების შემოქმედებით აფეთქებებს გაფუნ-თულებული მკერდებით ასკდებიან.

ევროპის ხსენებისას, რასაკვირველია, ჩვენ ადრეცა და ახლაც კე-თილშობილური მიზნები გვინათდებოდა და გვინათდება. ერთ-ერთ ასეთ მიზნად თუ მორიდებით ნათქვამად და არც ვინმეს გადასარე-ვად, შევთავაზებდი წესიერად მთარგმნელს, ეს „ჩანაწერები" (თუნ-დაც მცირეოდენი კორექტივებით) გადაეცილებინა ჩვენი საბაჟოსათ-

ვის. მოვსინჯოთ მაინც, იქნებ იმუშაოს ბოლო ვაგონმა, კერიას ნახში-
რი და, ვინ იცის, ყოჩადაც კი წაემძღოლოს დიდი სახელების მქონეთ:
„მუსიკა ქარში", „ ქარების დაბრუნება", „ცისფერი მთები", „რასემო-
ნი"...დაწერილებიც რომ არ არიან თითქოს, დაქვიტკირებულებს რომ
გვანან. იანგარიშონ მერე სპორტულად, რამდენი აქვთ ამათი დასატო-
ლებელი და ვის რომელი ადგილი ეკუთვნის.

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ უნდა შევეშვა ამ საშარო მოთხოვ-
ნებს და ისევ „ჩანაწერებში" ჩავიხედო.

რამდენადაც ვიცი, რეზო ჭეიშვილი წერით უფრო მეტს წერდა, ვიდ-
რე ლაპარაკობდა. გარეგნულადაც კი ჩამოგავდა მწერალს, მაგრამ
ნამდვილი ნაწერებში უფრო იყო, იშვიათად ნამდვილი, ორიგინალურს
რომ ეძახიან უცხოურად. როგორც ჩანს, დიდად არ ერიდებოდა თა-
ვის გულს, არ ზოგავდა, ღდინს აცლიდა. ასეთი შთაბეჭდილება თუ
ვარაუდი „ჩანაწერების" კითხვისას უფრო ძლიერდება. აქ პირდაპირ
ჩანს მოფრთხილებული პასუხისმგებლობაც და ხელგაშლილობაც. აქ
ყოველდღიურობის გამძაფრებული რეჟიმი, პატიმართა კოლონიაში
რომაა, იმაზე მეტი, სასჯელივითაა ამოქმედებული. თითქოს განსა-
კუთრებული არაფერი ხდება, ცხოვრება ცხოვრებაა, ვინ გამოწინკნი-
ლა მისი კბილანებიდან დაუკეპავი, უოფლოდ და სისხლგაუდენელად,
მაგრამ აქ წვრილმანობაც კი დრამატული ვიშვიშითაა გასცენიურებუ-
ლი და სახელდაურქმეველ სევდას იწვევს, ყველაფერი გულის მთავარ
მაგისტრალზე გადის, წვრილმანსა და მომსხო საზრუნავს თითქოს
განსხვავება არ ეძებნება. ყველაფერი საჩქაროა, ყველაფერი ტკივი-
ლია, გულაუჩქროლებლად რომ არ შოშმინდება, არ უცხრება ღელვა,
გინდ შენი იყოს, გინდ მოყვრის, გინდ მტრის.

საქმეგამოლეული რეზო ჭეიშვილი გამოგონილი თუ იქნებოდა,
ცხრაფად უნდა გაჭრილიყო, ცხრაფად უნდა გაძრობოდა ტყავი, რომ
აქაც ყოფილიყო, იქაც მიესწრო, იქაც არ დაემუნათებინა მომლოდი-
ნე, აქაც და იქაც, უნდა დაღლილიყო, უნდა გაცვეთოდა ნალი, ცალი
თვალი — ოჯახისკენ, ცალი — სამსახურისკენ, ცალი — თეატრისკენ,
ცალი — კინოსკენ (ერთი დიდი თვალი მხოლოდ ელდარ შენგელაიას-
კენ იყო მიპყრობილი), ცალი — მეგობრებისკენ, ცალი — ქუთაისისკენ,
ცალ-ცალი კიდევ სხვაგანაც, ამდენი თვალი ორი რომ არაა, ჩვენ ვი-
ცით და იმან არ იცოდა! საიდან უნდა მოეტანა დანარჩენი. ჰო, კიდევ,
მევალისკენ (შესანიშნავი სიტყვაა მევალე, პირადად ჩემთვის, დაუვი-

წყარი, დასაფასებელიც). ვინ მიცემდა, ვინ ათხოვებდა ან ასესხებდა ამდენ თვალს.ისევ თავად უნდა გაჭრილიყო ასად. აქვეა სანუგეშოდ გასახსენებელი ტრადიციულობაც — ასი თვალი, ასი ყური...

ასი თვალი სჭირდებოდა. ასივეთი დანახული ასთვალიან გონების ქვაბში უნდა ჩაეყარა და მოპარულ დროში, უფრო ღამეებისას გადმოეწერა ის ქვაბი, „ჩანაწერებიც" ზედ მიეყოლებინა. სწორედ რომ ასთვალიანი კაცის დაწერილია ეს „ჩანაწერები". ორთვალიანი იყო ამის დამწერი!

ჯიუტი რომ ყოფილა, დაქადნებულის შემსრულებელი, არ დაუმალავს, ჩანიშნული აქვს ხშირად. თითქოს სიზარმაცეს ებრძოდა. არადა, სად იყო ეს სიზარმაცე! უცნობია, ვერსად დავლანდე. შეიძლება, აქა-იქ თავჩენილ ავადმყოფობას მიიჩნევდა უსაქმობად, რამდენჯერმე საავადმყოფოში აუკრძალეს კიდეც წიგნი და კალამი. იმათ მოსცილდებოდა! არ მოსცილებია, სკამზე დაიდებდა ქაღალდს და წერდა. ქეიფობა თუ იყო სიზარმაცე, თვითონ არ თვლიდა ასე და მე ვინ მკითხავს. მწერალი პურისმჭამელი თუ არაა, ღლუნჩი და აუტანელია, უმეტესად „მშრალების" ნაწერი ხმელი პურივითაა, ძაღლიც რომ არ აკარებს პირს, ისეთი.

საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული ჰქონდა მოვლილი. გარეგარეთაც არაერთხელ გაუწევია, მაგრამ საქართველოში გამეტებით დადიოდა, სად რომელი ქვა იდო, იცოდა. მოგზაურობა წამალია მწერლისთვის, აუცილებელი წამალი. მოგზაურობისას გრძნობს მწერალი, როგორ ივსება მისი სიცარიელე, როგორ იმუხტება ახალი ნახტომისთვის. მშობლიურ მიწაზე ღმერთმა ნურავის მოუშალოს სიარული, მაგრამ მწერლისა სულ სხვაა. იგი იოლად ახერხებს გამოლაპარაკებას წარსულთან, ახლოსთან, ძველთან, ისიც, წარსულიც, არღვევს სიმუნჯეს და არაქათის გაცლამდე საუბრობენ მწერალი და წარსული, წარსული და მწერალი... რამდენ საკუთარ სისუსტეს აღმოიჩენ კაცი, რეზო ჭეიშვილის მოგზაურობებს რომ გაედევნები.

როდის წერდა, როდის აკაკუნებდა საბეჭდ მანქანას (ზოგჯერ ორიც რომ ჰქონდა, ერთი — ნათხოვარი, ორივე უვარგისი ხანდახან და იქიდან მესამეს გამოყვანაზე რომ წვალობდა), როდის აკორექტურებდა, ერხელ, ორხელ, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, მესამედაც, როდის? სულ გზადაა, სულ გაქცევაზეა. „ჩანაწერების" სამივე ტომში ათ წელზე მეტია ჩატეული. ეს დრო-ჟამი დათმობილი აქვს „ცისკარს", „სა-

უნჯეს“, „განთიადს“, კინოსტუდიას, თეატრს, გამომცემლობებს, ისევ და ისევ ქეიფებს, პანაშვიდებს, გასვენება-ქელეხებს, ქორწილებს, ნათლობებს, ტელევიზორეთს, ჭადრაკს, ფეხბურთს, მოგზაურობებს, ბაზარს, კომისარიატს (სამხედროს), დედას, მამას, ნათესავებს, ახლობლებს, შორებლებს, ვის არა... სადაა მეორე ათი წელი? არსად სხვაგან. მეორე ათი წელი იმავე პირველშია მოთავსებული, პირველშია გაპარებული. ასე ყოფილა. ყოფილა და იყოს!

წერა თუ დაწერა, კი, ბატონო, მაგრამ კითხვა, სხვისი დაწერილის კითხვა!

„ჩანაწერებში“ დასახელებული წიგნები მთელი ბიბლიოთეკაა, ფილიალზე მეტი. წიგნი არ გაუგდია ხელიდან. ყველაფრისკენ მიუწევდა გული, თავისთავად — მწერლობისკენ, შემოიარა მთელი მწერლობა, თავისენოვანი, სხვისენოვანი, ძველი, ახალი, უახლესი, ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ფილოლოგიის არცერთი მიმართულება არ გამოუტოვებია, ფიზიკასა და ქიმიაშიც გადასულა, სად არა, პოლიტბიუროში რა ხდებოდა, ისიც იცოდა. არ გაუშვია გაზეთი, ჟურნალი, სალიტერატურო, სახელოვნებო, საყველაფრო... თუ მოვისურვებ, ეს შრომა-ჯაფიანობა არ გამიკვირდება, უნდოდა და შრომობდა. დიახაც, დიდი შრომა სჭირდება ამ საქმეს, ისევე, როგორც „ომისა და მშვიდობის“ გადმოწერას, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: სურვილი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების, სხვისი ცოდნის მიღება - არ მიღების უნარი. თითქმის ყველა წიგნსა და სტატიაზე კომენტარი აქვს დაწერილი, საბუთიანი კრიტიკა, მისხალ-მისხალ აქვს შეფასებული წაკითხული, ფასი ედება შემფასებლის ნიჭმომადლებას, ნაკლებად გვაეჭვებს, გვიზიდავს, მართებულად გვეჩვენება განაჩენი... 80 -იან წლებში არქივებსაც ჩაუჯდა, მხოლოდ, არა — ცნობისმოყვარეობითად, კარგად გამოსწურა.

ცხადადაა ნათქვამი მწერლის განათლებულობაზე, განსწავლულობაზე. მართალია, წიგნების კითხვით წერას ჭერ ისწავლი (ეს საქმე მოგვარებული ჰქონდა), მაგრამ ვინ როგორ წერდა, გაიგებ, შენ სად ხარ და ხარ საერთოდ თუ არა, მიაყოლებ ზედ. დახნულს ხნავ თავიდან თუ ყამირს ატრიალებ, ამასაც მიხვდები. ამიტომაცაა საჭირო მწერლურ მუზეუმებში სიარული. რეზო ჭეიშვილი დადიოდა ამ მუზეუმებში, ასე ჩანს, ასე ვგრძნობთ. აქაც ბარეორს და ბარესამსაც ეყუროს — თაფლი რომ შემოგვთავაზა, მისი ჭკუით, წყალგარეულზე მეტი მანკის რო-

მაა ის თაფლი თუ ნამხდარ-გაოხრებული, ტყუილად ნუ გვაჩეჩებს, მუ-ზეუმის თანამშრომლები ასეთ ნაღვალაკებს კარებშივე მიუბრუნებენ.

ლიტერატურულ ოკეანეში შესულმა რეზო ჭეიშვილმა შესანიშნავად იცოდა, თავად ნავი იყო, გემი თუ ავიამზიდი.

„ჩანაწერების“ მკითხველს რეზო ჭეიშვილის პიროვნების, ბიოგრაფიული ქრონიკების შესწავლისას, რასაკვირველია, ბევრი საიმდროო მოვლენის გათვალისწინებაც მოუწევს. მან რთული ცხოვრებით იცხოვრა. როგორც თვითონ ამბობს, სიხარულიც ჰქონდა, მაგრამ საწუხარიც არ გამოლევია, უყურადღებობასაც დაუჩაგრავს, ზურგიც შეუქცევიათ, მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ ლუკმა-პურისთვის კარზე არავის მისდგომია.

ცხოვრება რთული ყოველთვისაა, მწერლისთვის, რაც უფრო ვრცელი თვალსაწიერისაა იგი, მით უმეტეს. მის სულში დაკანონებული წესივითაა ძირგადგმული შეუგუებლობა და ამბოხი. იგი არავის ჰკითხავს, არ უთანხმებს ვინმეს ახალ მოდელირებებს, მიუღწეველი თუ რჩება რომელიმე მწვერვალი, მისთვის კია სამწუხარო, მაგრამ ისტორიისთვის — არა. ამ თვალთახედვით, არც რეზო ჭეიშვილი წარმოადგენს გამონაკლისს.

დაგვიანებული კია, მაგრამ...

მაგრამ ნაკლებად განიცდებოდა ეს „ჩანაწერები“, მხოლოდ სტატიკურად, მესაწყობის თუნდაც გულმოდგინე აღწერილობით რომ დაბადებულიყვნენ. სხეული, თავი და ბოლო, ცხადია, შეგვეჩხირებოდა თვალში, წყარო კი იქნებოდა, ნაკადული კი იქნებოდა, მდინარეც და ზღვაც, მაგრამ წყალი არ იქნებოდა შიგ და, მით უმეტეს, ვერც მოატანდა ჩვენამდე, ვერ ამოძრავდებოდნენ, ვერ იცოცხლებდნენ, სანტიმეტრითაც ვერ აიწეოდნენ მიწიდან, რომ არა ფრთები, რომ არა ამომგდები ძალა (რეზო ჭეიშვილისა და არა — ნიუტონის), თითოეულ მათგანს რომ გადანაწილებია მწერლისგან. ამიტომაც ისინი არ გახლავთ საშინაო დავალებები ან ბეჯითი მოსწავლის ხელით შევსებული ყოველდღიური განაწესის ამსახველი ფურცლები, უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს რომ გვანან, აქა-იქ რომ ესინჯებათ მაჯა, აქა-იქ რომ მიგიპყრობს პულსით.

ეს „ჩანაწერები“ ერთი ადამიანის ენციკლოპედიაა ანუ ენციკლოპედიურადაა წარმოდგენილი ერთი ადამიანი, ერთი პერსონაჟი ცხოვრებისა, დიუნებსა და ბარხანებს აყოლილ-ჩაყოლილი, ერთ გაბმულ

მოძრაობად და ფიქრად ქცეული, ერთ ბადეში მოქცეული, სხვადასხვა ზომის საცეცებით რომაა ამოკემსილი და მოჩანს და მოჩანს განუწყვეტელი ირიბდარიბობა წამებ-წამებად დაყოფილი დროის მეტეოცვალებადობისა, ბარეორჯერ აჯაგრული რომაა და ყველაფერს წალეკვით ემუქრება, ბარეორჯერ კი ტყუილად მიედინება არაფრისმთქმელ უდაბნოში.

და მაინც, რა შეიძლება, მთავარ არტერიად მოვუძებნოთ ამ ენციკლოპედიას. სხვამ თავისი თქვას, ისიც მართალი იყოს, შეიძლება, მე კი მგონია (არადა, აშკარად ჩანს) ეს ფურცელკორიანტელი დაუმცხრალი კონფლიქტის ფაბრიკასავითაა წამოშენებული, სახურავი რომ აქვს ახდილი და ჭიშკარ-კარებიც არ მოეძებნება. თურმე ამოდენაზე დასაშვებია ადამიანის გაზრდა, ამაღლება, გახლართვაც კი, ადამიანისა, რომელსაც განსაკუთრებული ნიჭსხვადასხვაობა დაანათლა უფალმა ყველაფრის, უმცირესის, შეუმჩნეველის წაკითხვისაც კი. რახან ისევ წაკითხვა ვახსენე, აქვე ვიტყვი, ჩვენ ძალზედ წაგებული აღმოვჩნდებით, „ჩანაწერების“ ტექსტებს მხოლოდ ტექსტებად თუ აღვიქვამთ, მხოლოდ ამბებს თუ გამოვედევნებით, თუმცა ეს ამბებიც არაა იაფფასიანი. აქ სხვა მონახაზი უფრო დემოსტრირდება — თავისთავის შემცნობელი მწერლის ამბიციურობა, რასაც თვითდაჯერების ინსტიქტი მყარად აქვს გამჯდარი სისხლსა და ხორცში, ამ ინსტიქტითაა შეპყრობილი, სწორედ რომ მან აქცია სტილად, სწორედ რომ მან მიანიჭა არაჩვეულებრივი ძალა და ამგვარად შეიარაღებული, ამგვარად თავისთავწაკითხული, მისგან სხვას, მისგან გარეგანს, მისგან დაცილებულსა თუ ახლო ჩავლილს იმ არაჩვეულებრივი ძალის მოთხოვნით კითხულობს და განაჩენიც თავისივე კანონმდებლობით გამოაქვს. ამიტომაა მთელი თავგადასავლების შეხვედრისას უმეტესად კონფლიქტურობა, გაღიზიანება, შეშფოთება პირდაპირ სახეში გვეფეთება, მოდის და მოდის სურათები ისედაც წარღვნილი საზოგადოების უფრო გაუარესებული წარღვნისა, იმატებს და იმატებს მავთულებში ძაბვა. ამ „ჩანაწერების“ შექმნისას მხოლოდ მწერალზე მოქმედებდა ეს ძაბვა, პირველდარტყმა მან მიიღო, ახლა კი ჩვენზე გადმოდის. კაცმა რომ თქვას, ერთი შეხედვით, გასაოცარი თითქოსდა არაფერი უნდა ხდებოდეს, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვინახავს ან წაგვიკითხავს, ჩვენც განგვიცდია, ზოგჯერ სისხლიც კი ამოსულა კისერში და პასუხგაუცემელ კითხვებსაც დავუმარხივართ. რეზო ჭეიშვილმა

კი გამოცანებსა და რებუსებს თავი არ დაამარხვინა, თვითონ მოექცა ზემოდან. ვახსენე და აქაც ვამბობ, მისი გადასაწყვეტი იყო, ვის ან რას როგორ გახედავდა მწერალი, ვის ან რას როგორ იარლიყს ჩამოჰკიდებდა, ვის წაეჩხუბებოდა, ვის მოეფერებოდა, რა მოსწონდა, რა ეთანაღრებოდა, ვის ადრე ეძმაკაცებოდა, ეიმედებოდა, მერე ეზოშიც არ უშვებდა, იქნებ თვითონაც შეცდა, თვითონაც არ გაუმართლა საზომმა, ესეც ხდება, მაგრამ ჩვენს გულშიც რომ აქვს ბევრჯერ ჩახედული ჩვენდა დაუკითხავად, თუ გვეყოფა, ვიკმაროთ სანუგეშოდ. არა მგონია, გვარგებდეს, თითქმის ფეხაურეველ ავტორიტეტებად რომ მიგვაჩნდა ვინმე და ახლაც ასე ვფიქრობთ მათზე, რეზო ჭეიშვილის სიბასრით ოდნავ თუ წამოგვექცნენ, რეზო ჭეიშვილი გავლანძღოთ. თქვენ თქვენზე დადექით მაინც, უკან ნუ დაიხევთ, ჭეიშვილის ნათქვამ-დაწერილი მეორედ არ მიიტანოთ გულთან. ყველას თავისი მომსმენი და დამჯერე ჰყავს. შეგიძლიათ, უთხრათ თქვენს ტვინის ჯიბეს — აქედან მაინც ვერ ამოშლი!

კონფლიქტის სიმკაცრე საკუთარი პატივმოყვარეობის დაუკმაყოფილებლობითაც წარმოიშობა ხოლმე. ერთხელ იჩენს თავს, მეორედ, მესამედ, იგორგლება ეკლიანი ხვეულივით და ნელ-ნელა ამ გორგლის შიგნით მოქცეულს თვითონვე გიჭერს და გიჭერს. ვინ იცის, სამართლიანია თუ არა ასეთი ბედისწერა, ზოგჯერ თავდაუზოგავადაც რომ გიმეტებს. ვის როგორ და რამდენად შეუძლია ამის განცდა და ატანა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მწერლისა და საერთოდ, ხელოვანის, თანაც არაჩვეულებრივის შეჭირვება ან შეტაკება ყოველდღიურ დარ-ავდრიანობასთან განსაკუთრებულად დრამატული რომაა, არაერთისაგან გაგვიგონია, არაერთი, მიწიდან თუნდაც ერთი სანტიმეტრით აწეულისაგან გვსმენია, იმათაც ფურცელ-ფურცელ დაუმალავთ თუ შემოუნახავთ თავიანთი გულმოსულობა თუ გულწასულობა. აქაც ასეა, ამ „ჩანაწერებში". სხვაგვარად, ბევრი რამ მოგონილი იქნებოდა. ამის დამწერი ერთი სანტიმეტრით აწეული კი არა, უფრო მეტი სიმაღლის მფლობელია, უფრო მეტია მისი სულის მოცულობა, უფრო ჭარბი სისხლი დაუდის ძარღვებში. ამიტომაც ოდნავი მოკლე ჩართვაც კი, ელექტრიკოსის ენაზე რომ ვთქვათ, დამცველებს ამოუყრის. ველარ იტანს დაუნახაობა-შეუმჩნევლობას, დაუფასებლობას, ერთგან უწერია, ბენზინის რიგში რომ ვიდექი, რაღაცეები მაკადრესო, რა აკადრეს, არ ამბობს, გასაგებია, რომ ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ ამას-

თან მოკლე ჩართვა მაინც მოხდა. ვისაც შეეძლო, უთქვამს მისთვის ანუ გაუბედია — გაგინებენო (ქუთაისში მოღვაწეობისას არაერთხელ ყოფილა მსგავსი რამ), ელექტრიკოსს თავი დავანებოთ და ქუჩის ბიჭის ლექსიკიდან წამოვიღოთ ამჟამად ბევრისთვის საყვარელი სიტყვა, დაკიდება რომ ჰქვია, დაიკიდებდა ისიც, ოღონდ თითქოს, თავისთვის მყოფი, მარტო რომ ჩაფიქრდებოდა, ალბათ მაინც ეძალებოდა მოკლე ჩართვა. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება სხვათა ცხოვრებიდანაც, თქვენც რომ გაგახსენდებათ, ისეთებისაც, ამიტომ თქვენი მეხსიერების იმედად დავრჩები. საზოგადოება, ხალხი ვერასდროს ისწავლის და არცაა საჭირო, მწერალი ბავშვივით მოსაფერებელი რომაა, მით უმეტეს, ისეთი ბავშვი, რომელსაც ვერ ამჩნევენ, რაც არ უნდა დიდი იყოს იგი. არადა, ამას მხოლოდ დანახვა და ყალბად აღიარება კი არ უნდა, არამედ ძირისძირამდე შემცნობელებით სავსე ქვეყანაში სიარული. ჩვენზე უკეთესად იცის, როგორც გაგიხარდება, ისე არ გორდება კამათელი, სულ დუ შაში არ დაჯდება, მაგრამ მაინც წუხს, მაინც არ ეშვება კამათელს, მოუმატა ხალხში გამოჩენას, ხელისუფლებასაც ხშირად ენახვება, დეპუტატობაც მოუნდა, ძალიან განიცდის ამ სადეპუტატო პროცესიას, მაინც არ გამოდის საქმე ისე, როგორც თვითონ აქვს დაგეგმილ-ჩაფიქრებული, არ გორდება დუ შაში, არადა, ამ დროს დუ შაშიც გაგორებული აქვს და მეტიც, ქართული სიტყვიერი ხელოვნების, აზროვნების, წარმოსახულობის, თეატრალურობის, ბარეორ ქვეყანას რომ ეყოფა, იმდენისა და მეტისაც, საუნჯეების მფლობელია. ვინ ართმევს, ვის შეუძლია მათი მითვისება! არავის, რა თქმა უნდა, მაგრამ არ იგრძნობა, არ ჩანს იმ საუნჯეების ტოლი სიდიადე, თითქმის მოათავა, ამოწურა დევური ძალები, პიკზე ავიდა, მაგრამ ვარსკვლავებად და მნათობებად სხვებია აღიარებული (ცოტა რომ მოეცადა, უფრო დარწმუნდებოდა, მიწაზე უფრო მეტი ვარსკვლავი რომ დაციმციმებდა, ვიდრე ზეცაში!), ამიტომაც გაგულისებულია და არ ზოგავს არავის, მისთვის ბარიერთან შეჩერება სიზმარშიც არ არსებობს, თუმცა მაინც ესწრება კოლეგების ბენეფისებს, გადამღლელ საღამო-შუაღამეებს, ხათრიანი თუ ნამდვილი ამღიარებლებით გამოჭედილ დარბაზებში ზის მიმყუდროებულად და რასაც შეულამაზებლად ფიქრობს, სახლში მოსული ჩვენთვის ინახავს, თანაც აქა-იქ მიამატებს, ჩემთან შეხვედრისას პატარა დარბაზიც არ გავსებულაო (მაგალითად, კასპში). მისი გაჩერება მაინც არაა, თუნდაც ამ მესამე ტომს,

პირველი-მეორე გამოვტოვოთ, ზერელედაც რომ გადავავლოთ თვალი, შეუმჩნეველი როგორ უნდა დაგვრჩეს, გინდ — თბილისში, გინდ — ქუთაისში, გინდ — ჩოხატაურში, ყველგანაა, ყველგან იგრძნობა მის მოძრაობა-საქმიანობაში რაღაც ნიშანდობლივი ილიასეული, აკაკისეული, ექვთიმე თაყაიშვილისეული, პავლე ინგოროყვასეული (უკვე ვხედავ, ვიღაცებმა ანიეს ცხვირი. დიდხანს ნუ დარჩებით მასე, თორემ სილამაზეს დაკარგავთ!), გადმოქექა არქივები, ახალს ხომ უტევდა და უტევდა, ახლა ძველსაც შეუტია, პირველი კომუნისტი მამულიშვილები ამოატრიალა, გაგინებენო, ეუბნებიან მეგობრები, ეს კი გემრიელადაც იკიდებს, მეტიც, „განთიადი“ ხომ გახადა (არის ახლაც) წესიერ ჟურნალად, სალაპარაკოდ, „მწვანეყვავილაც“ (ესეც არის, ესეც წესიერად იქცევა) მიაყოლა ზედ და ცოტა დაწყნარდა. კონფლიქტიო, რომ წამომცდა ზემოთ, ექნებოდა, აბა, არ ექნებოდა! დინების საწინააღმდეგოდ წასვლამ იცის ასე. სათქმელის მეტი რა შეაგროვა ამ „ჩანაწერებმა“, იმ კუთხითაც, ამ კუთხითაც, მაგრამ ალალად რომ გავამჟღავნოთ, ხომ შეიძლებოდა, ჩვენს სახელოვან კრიტიკას, ლიტერატურულს ვგულისხმობ, რეზო ჭეიშვილის შემოქმედების ზედაპირზე რბენის ნაცვლად, ქვა დაეკიდებინა კისერზე და ცოტა სიღრმისკენაც ჩაძირულიყო, ერთი წერილი მაინც დაწერილიყო ისეთი, რომელშიც ნიჭიერისა და იმედისმომცემის რახარუხის მაგიერ, საფუძვლიანად, დადასტურებულად თქმულიყო ამ მწერლის არა მხოლოდ გარეგნულად შესამჩნევი გამორჩეულობა, არამედ დიდი ხელოვნების აღიარება, დიდი მასშტაბები რომაა და მდინარეებსა და ტბებს კარგა ხნის გაცილებულია (მთლად კი ვერ მივენდობი ჩემს მეხსიერებას და გამოცდილებას, შეიძლება, ვცოდავ, იქნებ არსებობს ასეთი მონოგრაფიები და წერილები, ნუ დამძრახავთ, ერთი კაცის ნათქვამი არავის დააზარალებს, თუმცა რაც დავწერე ახლახანს, დარჩეს ამგვარადვე). კიდევ კონფლიქტიო! იქნებოდა, უნდა ყოფილიყო, ასე იყო ალბათ საჭირო!

ვიცი, საიდანაც მოვისურვებთ, იქედან გავუკეთებთ დოქს სახელურს. საადვოკატო-საველილო მიდგომ-მოდგომა არასდროს მაწუხებდა და არც ახლა მაწუხებს. მე მხოლოდ ერთ სახელურს ვარ ჩაჭიდებული. ამ სახელურს ავყავარ იმ კიბეზე, რომლის ზედა, ბოლო ხარიხიდან იქნებ ოდნავ მაინც მოხერხდეს გადმოხედვა იმ მწერლების თვალებით, ცოცხალ ეკრანებად რომ დარჩნენ სამუდამოდ და ერთ ფინჩხა აზრადაც არ მომსვლია, ვახარისხო და შპალებივით განვალა-

გო გულწრფელობით ამოთქმული ფიქრებისა და განწყობილებების სერიები, ესოდენ გამალებით რომ ხატავენ დროის ნამცეცებსაც და წამოზრდილ ქვაღორღიანობასაც, სინათლესაც და სიბნელესაც, ყურის სიმახვილესაც და ყრუობასაც.

„ჩანაწერები“ არაა შეთავსებით მწერლობა, მეორადი პროფესია, დამატებით საათებში მიხლაფორთებული სამუშაო, მთავარ შტატზე მიბმული იძულებითი მკლავებწამოკაპიწება, შრომადღე უფრო ხვავრიელად რომ შეგიფასონ.

მწერალი აქაც მწერალია, აქაც ღულუნებს სამჭედლოს საბერველი. აქაც იჭრება სხვადასხვა შეფერილობის ძვირფასი მონეტები, მათი კურსის მომატება უკვე დაწყებულია (არა დოლართან, არა ევროსთან მიმართებაში), თუ მოიმატებს ეს კურსი, რაც მოსალოდნელია, მოკლებით — ნამდვილად არა.

რეზო ჭეიშვილი აქაც რეზო ჭეიშვილია. წერს — ხატავს, ხატავს — წერს, ანაწილებს დრო-თანმიმდევრულობას, აცალკევებს ოქროსა და ტალახს, ცასაც ახედავს, მიწასაც არ სცილდება, ამათ შუაშიცაა, ყოველწამიერ, ყოველსაათობრივ ფერთხავს და ფერთხავს გონებას, იცლება, არაფერს ინახავს ხვალისთვის, ამასვე გაიმეორებს ზეგაც, სულ მერე-მერე, დაყარაულებულია, მთვრალია თუ ფხიზელი, ან პირიქით, მაინც დაყარაულებულია, კურკანტელას ვერ გაიტანს მისგან დაუკითხავად ჩიტიც, ყველაფერი უნდა ჩახვავდეს და ჩაიბეჭდოს ამ ნაგლეჯ-ნაგლეჯ ჩანახატებში, ნოველებში, ყოფითობის ჩანახატები და ნოველები რომ არიან ამავე დროს ფრაგმენტ-ფრაგმენტულად, ფთილა-ფთილა, ნაკუწ-ნაკუწ.

ეს ნაკუწნაკუწობა ერთი მთლიანობაა, მიწებებულია ერთი — მეორეზე, მეორე — მესამეზე და ასე გრძელდება ნერვებმიერთებულობა, თვალმიერთებულობა, გულმიერთებულობა, გონებამიერთებულობა, სისხლმიერთებულობა. მიყვები და მიყვები, ნელ-ნელა გეცლებიან ფურცლები, ტექსტები, წინადადებები, სიტყვები, მიყვები და ხედავ: წუხილისა და სიხარულის ფერადოვნებას, სიბნელისა და სინათლის ქიშპობას, ამომზეურება-ჩამზეურებას, ყველაფერს ხედავ, არ უმადურდები, არ იღლები, არ გეჯუჯურაკება ხმაურიც კი, ხმაური თუ გახმოვანება, ეგუები დიდი და პატარა ქვაბების თუხთუხს, მასპინძელმა თვალწინ რომ დაგიდგა და გზომავს მზერით, ძნელად ამოსაც-

ნობი ღიმილით, შემთხვევითი მგზავრი ხარ (ანუ კორკიმელი. ეს სიტყვაც მიყვარს, კორკიმელიც) თუ საგანგებო სტუმარი.

დავაგვიანე-მეთქი, წამომცდა წეღან. არ დამგვიანებია. სად წავიდოდა, კოკასა შიგან რაც იდგა. კოკაც ადგილზეა და რაც შიგ იდო. არავის მოუპარავს. ვინ მოიპარავდა?

მინდოდა, დროებით დავსესხებოდი „ჩანაწერებს". მოვერიდე, უფრო გამოჩნდებოდა ჩემი წერილობითი ნაჩორკნი. თუ ეს მინუსია, იყოს მინუსი, ესეც ჩემი იქნება...

„ჩანაწერების" მომცროების გამთავრებისას დიდებიც „გადავჩავიკითხე", „გაორცხოვრებიანულ" რეზოს ვეძებდი, ესე იგი, პირველ და მეორე რეზოს. შეიძლება, სხვები მესამეს და მეოთხესაც ეძებენ. ძალიანაც კარგი, ეძებონ. თავად, ცუდი მაძებარობის გამო, მეორესაც ვერ მივაგენი.

ჯერჯერობით ასე მგონია: არ არსებობს დიდი და პატარა რეზო ჭეიშვილი, ან პირველი, მეორე, მესამე... რეზო.

რეზო ჭეიშვილი რეზო ჭეიშვილია, ერთი, მთლიანი, განუყოფელი, ცნობილ-ცნობილად ნათქვამი რომ გავიხსენოთ.

თუ გული არ გიშლით, ეძებეთ სხვა რეზო!

P.S. გაბნევ-გაბნევით წაკითხვა და აზრმოკრება თუ შეკრება მკითხველის საყოფაცხოვრებო პირობების არც გაუკეთესებას იწვევს, არც — გაუარესებას. სამ ნაყოფიერ ტომად გამოცემული „ჩანაწერები" საქმის გაუმჯობესებად ნამდვილად მიმაჩნია. ამბობენ, მალე-მალე თუ არა, თანდათანობითი დაყოვნებით, ტომთა ციფრიანობა გამრავლდება. ამ სამი წიგნისთვისაც და რასაც ამბობენ, იმისთვისაც, მადლობა ეთქმის და ვეუბნები კიდეც გამომცემელსაც, მის ხელშემწყობთაც და წესიერ რედაქტორებსაც.

გია ხოფერია

რეზო ჭეიშვილი

გადანახული ჩანაწერები

* * *

ქუთაისში თოვს მშრალად, ხვავრიელად. ჩავრჩები აქ, ვატყობ. წავალ, როცა იქნება, შემდეგ იქ ჩავრჩები და გავა ეს ზამთარიც... ახლა უფრო დავები ქუთაისში, ვიდრე ოდესმე და როგორ წავა ჩემი ცხოვრება, მაინც არ ვიცი. გუშინწინ, ოთხშაბათს, ჩავატარე საკრებულო გაყინულ დარბაზში... ხალხი მოვიდა, ოპოზიციონერებიც გამოცხადდნენ, საღამომაც საინტერესოდ ჩაიარა. საქმე გაიზარდა და შეიძლება მაინც მუშაობა ყოველნაირი... თბილისზეც ვფიქრობ, მუხათწყაროც მაწუხებს. იქ თუ მოთოვა, რაღაც რომ გადავხურე ეზოში, იმას დამინგრევს. ვერ ვრეკავ, მამუკას ამბავი მაინტერესებს, მისი პირველი დამოუკიდებელი ვოიაჟია და როგორ გაართმევს თავს, ვნახავ: მისი ცხოვრებისთვის ამას მნიშვნელობა ექნება.

გუშინ ცა იყო მოწმენდილი, ზამთრის მზე ადნობდა კიდეც თხელ ყინულს... მთავარია, ამას არ დაათოვოსო, თქვეს და დაათოვა კიდეც. ეტყობა, დილით დაიწყო თოვლმა ცვენა. ათის ნახევარზე გაველ გარეთ და ბენიას ფეხის ნაკვალევი არ აჩნდა ეზოს. იქნებ ოთახშია-მეთქი. შევამოწმე, წასულა. საათნახევარის გადასული იქნებოდა ჭიშკარგადაღმა და კვალი არ ჩანდა. ტრანსპორტი არც ხმაურობს ქუჩაში და მომაკითხავს თუ არა მანქანა, არც ვიცი. ჩასასვლელი ვართ ღვინის ქარხანაში, სპონსორობასავით კისრულობს დირექტორი კემულარია (პირადად არ ვიცნობ) და იქნებ კიდევ რაღაც გადაგვირიცხოს დამატებით. ამასწინეებზე კი სახლიც იყიდა ჩვენი და თავისი სახელით ბოლნისში. სვანის დიდი ოჯახი შესახლებულა თათრის დიდ ბინაში.

როგორ გავიცანი ჭაბუა-მეთქი, ამ დილით ვიხსენებდი. რო-

გორ გავიცანი? რასაც გაცნობა ქვია, ის მახსოვს მხოლოდ. მანამდე, ალბათ, სტუდიაში შევხვდი. თავი (განსაკუთრებით მე) ერთმანეთს ვერ დავამახსოვრეთ. ანზორი ახსენებდა მოწიწებით, სხვისგანაც ის სახელ-გვარი მესმოდა. ანზორმა თქვა, სალუქვაძემ (მგონი, ჩაწერილი მაქვს), ერთი ოთახი მჭირდება ბუხრით და სკამლოგინითო. დავდებ ერთ თარს, ერთ ჩონგურს, ერთ დაირასა და სხვაო. ამ დაირის და თარის მოთხოვნილება საიდან გაუჩნდა-მეთქი, გამიკვირდა, მაგრამ არაფერი მითქვამს. ერთ დღეს ჭაბუასთან დამპატიჟა. წავედით მე, მანანა ბარათაშვილი და ანზორი... რეზო თარხანმოურავიც? ეგ სხვა დროს იყო ალბათ...

მოკლედ მე, ანზორი, მანანა. რაღაც დასალევიც მივიტანეთ. 1961 წელი უნდა იყოს. ახალი დაწყებული მაქვს კინოსტუდიაში მუშაობა და ამ წრეებში ფეხი არ ჩამედგმება. მანანა სვეტობს, ანზორს ეს მოთხოვნილება აქვს განვითარებული, მე უხერხულად ვარ ნამეტანი. ჭაბუა არ დაგვიხვდა. მიგვიღო ნათიამ. დავსხედით ჭაბუას ოთახში: ბუხარი, სკამლოგინი თუ ტახტი, პატარა მაგიდა, მაგიდაზე თარი, ჩონგური, დაირა... ჯორკოები და ტაბლაც... ანზორის ნანატრი ინტერიერი. დამოუკიდებელი ხასიათის კაცი ჩანდა ანზორი, ორიგინალური ლექსებიც (იასამანი) ჰქონდა გამოქვეყნებული და ამ წამბაძველობამ ძალიან შემაფიქრიანა. დავჯექით, დავლიეთ, ვილაპარაკეთ. ნათიას, ჩემი მეუღლის თანაკლასელი იყო, გამოვეცნაურე, მომეწონა, სადა და გულღია (ერთი შეხედვით) ქალი რომ აღმოჩნდა. ჭაბუა მოვიდა გვიან, არ დალია, სამუშაო მაქვსო. ლაპარაკში აგვყვა და შემდეგ წერა დაიწყო. ნუ მომაქცევთ ყურადღებასო, გაგვაფრთხილა. ეს მე ბუნებრივ მოვლენად ჩავთვალე, იმიტომაც, რომ ამდაგვარი რამ ანზორისაგან მქონდა გაგონილი. — მე, თარხანა (აქედან მახსოვს ალბათ რეზო თარხანმოურავი) და მანანა მივედით ჭაბუასთან, ჩვენ ვსვამდით, ის წერდა, რა მაგარიაო. ასე განმეორდა იმღამითაც და იმ მომენტის არასერიოზულობა და

სიყალბე შემდეგ ვიგრძენი. ჭაბუა შეწუხებული მოვიდა და წერას იმ მომენტში და იმ სიტუაციაში კი არა (ახლა ვხვდები), მარტოც ვერ შეძლებდა. კაცი რომ მიიარ-მოიარს, საქმეს რომ ვერ ეწევა, ხელცარიელი და იმედგადაწურული დაბრუნდება, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა. ამაში ახლა ეჭვიც არ მეპარება. შეიძლება, წააგო. წაგებას განიცდიდა, ჩემი დაკვირვებით. ყველაფერს ცუდად თამაშობდა, გარდა მწერლობისა და აგებდა. შემდეგ წაგებას, უფრო სწორად, წასაგებ თამაშს მოუკლო, მოსაგებს მოუმატა. ახლა რას შვრება, არ ვიცი. ნოემბრის ბოლოს, ამ ათიოდე დღის წინ, ჭითანავას სათათბირო ოთახში შევხვდი. მე იგი დაბერებული მომეჩვენა, იმას გასუქებული და, ალბათ, გასიებულიც გამოვეცხადე, იქ, სადაც არ მელოდა. ღამეების თენებით წერდა იგი ყოველთვის თუ არა, არ ვიცი. შედეგი ღამეების თევისა იმ ხანად ფრიად იმედისგამაცრუებელი და დამაღონებელი აღმოჩნდა. მცირე ზომის და შინაარსის მოთხრობები გამოაქვეყნა მხოლოდ. ბოლოს წარუდგინა საზოგადოებას „დათა თუთაშხია“. რემენგტონზე გადაბეჭდილი მოუტანა სტუდიაში ოღიას, რომელსაც იმოდენა წიგნის წაკითხვა არ შეეძლო. მოკლემეტრაჟიანი სცენარი არ ჩაუთავებია, რაც თავი მახსოვს, ბოლომდე. ვკითხე ერთი თვის შემდეგ, როგორია-მეთქი. მაგარია, მხეციაო. დასაწყისი და ბოლო ჩაიკითხა მხოლოდ. ეს არც დაუმალია. დამაინტერესა, რა დაწერა-მეთქი, მაგრამ მე (მაგას მაინც არ მოეწონებაო, იფიქრა) არ წამაკითხა. შემდეგ იყო და გახმაურდა ნაწარმოები, ბესტსელერად იქცა და იქვე გავრცელდა ხმა, მაგისი დაწერილი არაა მაგიო. ეს ხმა ჯერ ხუმრობით გავიდა, შემდეგ მითქმა-მოთქმამ სერიოზული ხასიათი მიიღო. სრულიად უმიზეზოდ? არ ვიცი... ჩემი ღრმა რწმენით, შიგ („თუთაშხიაში“) არაფერია ისეთი, რომლის დაწერა ჭაბუას არ შეეძლო ან არ შეუძლია დღესაც, პირიქით... ხშირად მესმის კითხვისას (ყოველდღე ვკითხულობ-მეთქი, ვერ ვიტყვი)

ჭაბუას ინტონაციები, ფუყე მსჯელობები, აზრები და ასე შემდეგ. ერთი რამ მაეჭვიანებს მაინც, წინადადებებში, თხრობაში, დიალოგებში, ძირითადად მეგრული კონსტრუქციებია. მეგრულ ლარზეა თხრობა გაწყობილი, ეს მიგნებაა, შეიძლება, იღბლიანი მიგნებაც, მიფიქრია (ვცოდავ, ცხადია), ხომ არ ჩაუვარდა „დათა თუთაშხიას" მსგავსი, მხოლოდ მსგავსი, მეგრელის დაწერილი ნაწარმოები. მან იგი გადაამუშავა საფუძვლიანად (ვარაუდია მხოლოდ) და ავტორის სტილი ხერხად გამოიყენა. ასეც რომ ყოფილიყო, არაფერი დაშავდებოდა. „თუთაშხია" კი მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, არა მარტო ქართული ლიტერატურისათვის...

ქუთაისში კი კვლავ თოვს და თოვს...

8 დეკემბერი, 1989 წ.

* * *

ვკითხულობ ნიცშეს „Проклятие христианству..." ვკითხულობ, ვფიქრობ.

„Мой день – послезавтрашный; некоторые люди рождаются на свет посмертно".

ვფიქრობ, თუ ხელმძღვანელობდა თუნდაც ამ მარტივად გასაგები წიგნით სტალინი:

„Что счастье? – Чувство возрастающей сили, власти, чувство, что преодолено новое препятствие" (ამდაგვარი რაღაც აქვს ნათქვამი).

... „Пусть гибнут слабые и уродливые – первая заповедь нашего человеколюбия".

... „Ёсли отсутсвует воля к власти, сушество деградирует"...

... „Сострадание... этот депресивный, заразный инстинкт парализует инстинкты, направленные на сохранение жизни"...

სხვების დამოწმებით, რაღაც ამდაგვარი სტალინსაც აქვს ნათქვამი. მტერთან ანგარიშსწორება ყველაზე დიდი ტკბობააო, აღნიშნავდა ახლობლებში თურმე. შეიძლება არლოვის დამოწმებაც. დიდი წიგნიერი არ ჩანს ის სტალინი, მაგრამ ნიცშე (მისთვის საჭირო ალაგ-ადგილებით) ეცოდინებოდა. იგი ბიოლოგიურ მკვლელს გავს, ვიდრე თეორიულს, მაგრამ ნიცშეს ზეკაცობის იდეას, უფლებისაკენ ლტოლვის სიკარგეს გაცნობილი იქნებოდა, სანამ ლენინის ამოკონსპექტებას შეუდგებოდა. ამდაგვარ წიგნებს სხვების რჩევითა და დახმარებით წაიკითხავდა. როცა საქმეში ჩაეფლო, თავს კი იდებდა, მაგრამ, კითხვისათვის ველარ მოიცლიდა; კალინინი, ბუდიონი და ვოროშილოვიც ვერ მიაწვდიდნენ სულიერ საზრდოს.

თავთან მიდევს აგრეთვე დაწყებული, გვერდჩანიშნულ-მიტოვებული იმანუელ კანტი — „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში", „გ. ქიქოძის ქადაგებანი".

მჭირდებოდა და მედიკომ მომიტანა ლ. ასათიანის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა", კინაღამ ბოლომდე გადავიკითხე ერთ საათში და ახალი ვერაფერი აღმოვაჩინე, დღესვე წავიკითხე (რატომღაც დღემდე ხელში არ ჩამვარდნია) გ. ქიქოძის „ეროვნული ენერგია".

ელგუჯა და ავთანდილი იყვნენ, საარჩევნო დოკუმენტებს მოვაწერე ხელი, დილიდან კი „ტიტრინის" გადათეთრება დავაპირე. დავაპირე და იუზა მოვიდა. ღომითა და ხულგუნით გადამიბირა, შინ ავყევი, თხის ხორციც დავაყოლე ღომს და არაყიც — ცოტა. ტელევიზორის ყურებაში წაგვძინებოდა ორთავეს მცირე ხნით. ბოლო სტუმარი, წიგნის მორთმევის საბაბით რომ მოჭრიდა, თითქმის ძალით გავისტუმრე... შემდეგ ტელევიზორი, საკვირაო „Время"... ახლა მუსიკაა, ველოდები საფეხბურთო მიმოხილვას, ვავსებ ამას..

ხვალ ვერ წავალ, ვატყობ, თბილისს...

10. XII. 89 წ.

* * *

ჩამოვედი უხასიათოდ, დაავადებულივით. მივედ-მოვედე საქმეებს თბილისში — გამსახკომი, რუსთაველის საზოგადოება. გუშინ ვიჩხუბე კიდეც ერთგან, მეორეგანაც და კარგა გვარიანად ამიწია წნევამ. სხვა დროს არ გამიზომია. დალევით? ესეც გასახსენებელი მაქვს? ფაქტიურად, არ დამილევია. თუ მოვკეთდი, ვარჯიშსაც დავიწყებ. მოვიმატე საშინლად. უნდა გავხდე. ანა კალანდაძეს გამოვართვი ლექსები. ისეთია, როგორსაც წერს ბოლო ხანს... ცოტა უკეთესიც და მეტი არა... სამშაბათიდან სამშაბათამდე... ჩამოვიარე, დავესწარი, ჩამოვიარე, დავესწარი... ჩასვლისას და წამოსვლისას. რეზო თ. არ მოვიდა. არც დღეს დამიხვდა, არც წინა სამშაბათს. მოსკოვშიც ვერ წასულა. დღეს ტელეფონით ველაპარაკე. ცუდათა ვარ, რაღა დაგიმალოო, რა დამალვა უნდა, ცუდად არი, უფრო ცუდად, ვიდრე მას ჰგონია...

ახლა ტელევიზორში ვალიკო დოლიძეზეა გადმოცემა. მოხდენილი და, როგორც სხვები ამბობენ, კარგი კაცი იყოო. თ. არჩვაძემ მითხრა, 3-4 წლის წინ მე და დოლიძე ვაკის ბაღში ვსეირნობდითო. მე მკვდარი მეგონა. სხვებმაც ეგ თქვეს — გარდაიცვალაო. კარგად არის, სვამს და ვარჯიშობსო. ეს ძალიან გამიკვირდა. შემდეგ სხვებსაც ვკითხე, ვალიკო დოლიძე სად არის, თუ იციითქვა... ყველამ თქვა — მოკვდაო. ამნაირი ბედი და იღბალი აქვს ზოგიერთს. ახლა ნახევარი საათია, გადაცემა მიდის და ისევე ვერ გავიგე, მიიცვალა თუ ცოცხალია... ახლა შევდგები და სანამ ამას არ დავაზუსტებ, წერას არ განვაგრძობ...

ცოცხალი ყოფილა. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მოღვაწეობს კიდეცო. 5 შვილი ჰყოლია. რამდენ ცოლთან ჰყავს, ამის რკვევას ნამდვილად ვერ დავიწყებ, მრავალჯერ მყავს ნანახი თეატრში. პირველად, ეს იქნებოდა, იქნებოდა კი არა, იყო 1951 წელი. თბილისი. რუსთაველის თეატრი, „პირველი ნაბიჯი“, თუ

არ ვცდები, შემდეგ იერემია ამავე სპექტაკლში და ასე შემდეგ. სულ ბოლოს, ალბათ „ოიდიპოსში“. რატომ დაანება არტისტობას ასე ადრე თავი, ჩემთვის გაუგებარია. რუსთაველის თეატრიდან არცთუ თავისი სურვილით წავიდაო, აღნიშნა დირექტორმა თუ წამყვანმა ღრმააზროვნად. სხვა თეატრში რატომ არ მივიდა, როცა ასეთი წარმატება ჰქონდა? თვითდაჯერებული კაცი უნდა ყოფილიყო და თუ თავისი ფასი (მაინც II ხარისხოვანი) იცოდა, დიდი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა.

კ. ბაქრაძე ჩამოვიდა მოსკოვიდან. გული მოიყვანა ალბათ-მეთქი, მე ვთქვი. ბენია ჩამოვიდა ერთი საათის წინ – რადიოში გამოვიდა, დააქცია ქვეყანაო. ახლა ტელევიზორში გამოდის, „Время“-ს შემდეგ, შეიძლება, იქაც დააქციოს ყველაფერი, მაგრამ მაინც იქ გამოსულიყო, რუსულად, რუსებში, აჯობებდა!

19. XII. 89 წ.

* * *

ძლივს მოვიცალე და გადავწერე მოთხრობა „ტიტრონი“, რომელსაც პირველ ვარიანტში არაფერი ერქვა. დარჩება ეს სახელი თუ არა, არ ვიცი... რაღაც სხვა აზრს ვდებდი შიგ... სხვა პლანეტელებთან შეხვედრის მსგავს ფინალს ვუკეთებდი და მივხვდი, არ იყო საჭირო (ტიტრონი, ტრონი... პლანეტაა თითქოს).

პირველი ვარიანტი დამიმთავრებია შარშან, 29 ივნისს, „ლეჩკომბინატში“. პირველად ვიწექი, მეორედ წელს მოვხვდი. წლინახევრის შემდეგ გადავათეთრე, როგორც იქნა და ძალიანაც მომწონს. არაფერი გამიკეთებია წელსო, ვერ ვიტყვი.

მაინც რა გავაკეთე:

წელს ვბეჭდავდი და საბოლოო ვარიანტს ვუზუსტებდი „რკინის სახკომს“, ეს იყო იანვარი.

ვმუშაობდი სცენარზე ელდარისათვის. მრავალი ეპიზოდის ვარიანტი დავწერე და გადავბეჭდე კიდეც.

სცენარი დავუწერე, მთელი სცენარი მიშა ჭიაურელს.

რაც მთავარია, თითქმის, თითქმის კი არა, კინაღამ თავიდან დავწერე „ჩემი ნოდარი". ეს დიდი საქმე გავაკეთე. ახლა აქ მიდევს ბოლო კორექტურა.

სასამსახურო საქმეები, გამოსვლები, სარედაქციო მინაწერები სხვაა და „ტიტრონი" დავამთავრე.

კიდევ? დღიურებს ხომ ვწერდი და ვწერდი. მაინც მეტი შემეძლო...

ხვალ ბიბისის(?) წარმომადგენლებს უნდა შევხვდე სამსახურში 10 საათზე, რა უნდათ, არ ვიცი, თავად განაცხადეს (ცხადია, ვიღაც-ვიღაცეების რეკომენდაციით) შეხვედრის სურვილი. დავწვე, ჯობია, ამიტომ...

რუსთაველის სხდომა ჩავატარე. მასალები წავიკითხე და ასე შემდეგ... ოტია, ჯ. გედენიძე (სამსახურში), თ. ერგემლიძე (სახლში) მოვიდნენ, მაკამ დამირეკა, სხვებმა არ შემაწუხეს...

21. XII. 89 წ.

„მაგრამრუმ"

* * *

ინგლისელი ჩარლი. ბი-ბი-სის წარმომადგენელი ახალგაზრდა. ტიპიური ბრიტანელი. შავი კოსტუმით. არც პალტო ეცვა, არც პლაშჩი ამნაირ ამინდში, როგორც ჩანს, იქ ეგრე დადიან. ამას ადრეც მივაქციე ყურადღება. ნოემბრის თვეში, შეიძლება, ოქტომბრის ბოლოს (1973 წ.) ვიყავი ლონდონს. ამ და ერთ დღეს წვიმდა, ციოდა. ჩვენი ტურისტები (მთელი გემი), განსაკუთრებით რუსები, მოიფუთნენ, რა არ ჩაიცვეს. იქაურებს მხოლოდ ქოლგები ეჭირათ, მუქი კოსტუმები ეცვათ. ჩარლიც მშვენივრად გრძნობდა თავს — თუნდაც მოწამეთაში. ფანტასტიკო, იძახდა. წირვა დაწყებულიყო და თითქოს ზარებით შემოგვეგებნენ. გავიხედე, სულხანი ლოცულობს, არც გამოგვხედა, თითქოს ღრმად იყო ლოცვაში წასული. წირავსო, კაცმა გვითხრა. მარტო წირავდა? გაგი გამოვიდა შემდეგ ძაღლი ლე-

დით. დიდხანს არ გავჩერებულვართ. ჩარლს ჩვენი თარჯიმანი (ასათიანი) ახლდა და დავმოძღვრე, რაც შემეძლო. რეპრესიები, სტალინი და დამოუკიდებლობისათვის რატომ იბრძვითო, ეს აინტერესებს, ამ დავალებითაა ჩამოსული. ობელისკებს და მემორიალებს თუ უდგამთ 24 წელში დახვრეტილებსო. რატომ მაინცადამაინც 24 იკითხა? განვუმარტე. ისიც ვუთხარი, საღორიის ტყეში სიმბოლური საფლავი გაუკეთა მამას რ. ჩხეიძემ-მეთქი. წინა დღით მეფისაშვილმა განმანათლა და ჩარლიმ დაიხვია ეს სიტყვები, გინდა თუ არა, ის ადგილი მაჩვენეთო. 12 საათზე მომაკითხავს სამსახურში. უნდა დავრეკო...

ნაშუადღევს ცაგერში ავედით. ემზარი არ დაგვიხვდა. არც სხვა აღმოჩნდა ადგილზე. ორი სახლი უნდა გიყიდოთ-მეთქი და არც ამას გამოუწვევია დიდი აღფრთოვანება. გამობრუნებას ვაპირებდით, მაგრამ ავთომ, ლეჩხუმელთა საპრესტიჟოდ, დარჩენა აიხირა. დაურეკა დეიდაშვილს — ნოდარს და იქ ვივიხშმეთ მშვენივრად. შინ გვიან დავბრუნდი.

22. XII. 89 წ.

P. S.

დღეს დაიწყო ასტრონომიულად ზამთარიო. დიდი პირისპირ დგომა, მზე ამ დღეს ჩერდება თითქოსო...

სკოლაში მასწავლიდნენ: დღე იწყებს მატებას 21 დეკემბერსო(?) და ამას სტალინის დაბადების დღეს უკავშირებდნენ. მეც მიკვირდა, ასეთნაირად როგორ დაემთხვა-მეთქი...

* * *

ყრილობა მიმდინარეობს. იქცევა საბჭოთა კავშირი და რას უყურებო, აღარ ეპუებიან გორბაჩოვს. ყურბანები ტაშს უკრავენ. გორბაჩოვმა ნერვები მოიშალა და იქით შეუტია იმპერიის დამცველებს. კომუნისტი ვარო, იძახა, მაგრამ ნაღდად ანგრევს, ნაღდად მესიადაა მოვლენილი.

რუმინეთი. გამაოცა, რაც ვნახე ტელევიზორით. ამას ქვია – აღსდგა ხალხიო. ამას თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა. ორი გარეწარი დარჩა, პიდარასტი კასტრო და კიმ ირ სენი... ლიგაჩოვიც, ალბათ. ყველას დედა ეტირება...

კვაჭიელა შემოვიდა, მანქანის ძველი მაგნიტოფონი ეჭირა ხელში. თავი მოიკლა ჩაუშესკუმ, ნაღდი გავიგეო. გორბაჩოვმა თქვა, არაფერი ვიცი, ცნობები არა მაქვსო, კვაჭიელამ რა არხებით გაიგო?.. ტელევიზორში კენჭისყრებია... რაც გორბაჩოვს უნდა, ის გადის და მე ვერ ვარკვევ, კარგია თუ ცუდი. ტაშსაც უკრავენ უგერგილოდ. ვინ უკრავს, ისიც არ ვიცი... უკეთესობისაკენ უნდა წავიდეს საქმე, წესითა და მიხვედრით... მშვენიერი, თბილი ამინდები დადგა. ასეა ხშირად, თუ ყოველთვის არა, დეკემბრის II ნახევარში. თბილისშიც და ქუთაისშიც ტელეფონი გამომირთეს, ვერ ვრეკავ თბილისში.

23. XII. 89 წ.

* * *

24 დეკემბერია. შაბათი. მზიანი. ქეც ვზი ქუთაისში ფანჯრებდაღებულ ოთახში. ტელეფონი გამორთულია კვლავ. ზევით აველ დასარეკად. დეიდაჩემი დამიხვდა, ლუბა, ხან არა მიშავს, ხან ძალიან ცუდადა ვარო. დის დაკრძალვას ვერ დაესწრო. ჩამოსულა ნუგზარი. რაღაცას ჩალიჩობს, ელექტროობაში სიახლის დანერგვა დააპირა და ჩაბუგა ყველაფერი. აღადგინა, კიდევ კარგი, თორემ უტელევიზოროდ დავრჩებოდი.

ველოდები ყრილობას, ჯერ დახურვას, შემდეგ ჩვენს სატკივარს აჩვენებენ. გუშინ ტრანსლაციაზე შეთანხმდნენ, დღეს გადაიფიქრეს ალბათ. პირდაპირი გადაცემა ვერ გაბედეს. ჩაწერილი ვნახე, არაუშავს.

ოპერაში ახალი დირიჟორი მამაცაშვილი მოუწვევიათ... ძლიერიაო, ენიმ თქვა, დიდი მოვლენაა ქალაქისათვისო.

გასინჯვაზე ვარ დღისით დაპატიჟებული, სამხატ. საბჭოს წევრიცა ხარო...

საღამოს სახელმწიფო ხალხური ანსამბლის ნახვაა ასევე, გასინჯვა-ნახვა. იქაც სამხატვრო საბჭოს წევრი ვყოფილვარ. სრულიად ზედმეტია ეგ ყველაფერი, მაგრამ ჩემთვის (შეიძლება იმათთვისაც) კარგია ძლიერ.

„ჩემი მეგობარი ნოდარის“ კორექტურა ჩავიკითხე ისევ... ვკითხულობ და არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობ. დღეს ტელევიზორს ვერ მოვშორდები, მაგრამ მაინც დავიწყებ ჩაფიქრებული წერილის დაწერას. „ტიტრონსაც“, შემდეგ „რკინის სახკომს“ ჩავუჯდები და ისიც თუ მოვითავე იანვარ-თებერვალში, ამოვისუნთქავ...

გზადაგზა ვიფიქრებ ქართულ ფენომენზე — „რელაციები“. აჩქარება არ ივარგებს. მარტი, აპრილი, მაისი — რამდენიმე იოლი მოთხრობა და წიგნიც მზადაა... ამის შემდეგ გეგმით, ზომით, გრაფიკით ვიმუშავებ მხოლოდ, თუ კარგად ვიქენით, რასაკვირველია...

24. XII. 89 წ.

ხუთშაბათამდე, 28-მდე ვერ წავალ და კასპის შეხვედრას გადავდებ... სხვანაირად არ იქნება...

* * *

გუშინ ჩავწექი. ალბათ გრიპია. დღეს ვიწექი, სამსახურში არ წავედი. დღეს ბევრმა მომიკითხა, ერთი მიდიოდა, მეორე მოდიოდა და ვისაც მოსვლა ავუკრძალე, ჭიშკარზე რომ იცდიდა მანქანაში, იმას არ ვათვლი და მაინც მარტო ვარ...

ძნელია ეგრე ჩემთვისაც კი. არა და როგორ მოვიქცე? ცოლი ჩამოიყვანეო, მეუბნება მაკა, აუცილებლად წამოვაო. სულაც არ წამოვა აუცილებლად და მერე რაღა დროის იმის ცოლობაა-მეთქი... ვიხუმრე(?)

„პრარაბიც“ კი მოვიდა. ისევ გავზომეთ აქაურობა... გავაკეთე,

ვთქვათ, ყველაფერი (საბოლოოდ დავგეგმე კიდეც, დღეს ოტიაც ჩავრიე), მერე? კომპაქტური ბინა კი გამოვა მართლაც... სამუშაოდ მართლაც კარგია. მთავრდება ეს წელი. ზეგ, ხუთშაბათს წავალ, ხვალ არაფერს ჩავწერ, ამ წელსაც აქ დავამთავრებ...

4 იანვრის მეტეოროლოგიურ მონაცემებს ჩამოვიტან მხოლოდ.

თუ სიცხე არ მექნა, ხვალ ბევრ საქმეს მოვილევ... ოტია ვერ უნდა იყოს მთლად კარგად. მთლად კარგად რომელი ვართ! რას გვიმზადებს 1990 წელი?

26. XII. 89 წ.

* * *

4 იანვარი, 1990 წელი. თბილისი.

მშრალი ამინდია. არასაწვიმარი ღრუბლის ნაფლეთები ფარავდა მზეს, თორემ სითბოც იქნებოდა. კარგი ამინდებია ეს დღეები. ცივა და მეტი არა. ზევითაც ვიყავი 31-ში და თოვლი არ იყო. გუშინ „ლიტერატურულ საქართველოში“ მივიტანე მოთხრობა, არც მთლად გადასარევი სათაურით — „მაგრამრუმ“. შეიძლება, ხვალ გაზეთში ვიხილო, საჭიროა. სადღევანდელო ამბავია შიგ.

დღეს მივდექი, მოვდექი, ზოგი რამ გავაკეთე, ზოგი — ვერა. ხვალ უნდა მივიდე, მოვიდე. საქმე არ ილევა. ზეგ ქუთაისში, ჯ. დავლიანიძის „ნივით“, ალბათ გადავუხვევთ რაჭაში. შობას იქით დავრჩები. დეპუტატად დაგასახელესო, ვიღაცას მოუსმენია რადიოში. ეგ კარგია. მინდოდა. მინდა დეპუტატობა. საქმეს დაჭირდება. თანაც ნამდვილ არჩევნებში მოვხვდები. აბზიანიძემ დარეკა ორჯერ. დღეს შაშიაშვილი შემეხმიანა. ახლა წავიკითხე „Наш Современник“-ში წერილი Фусофобия, საინტერესოა და უნდა ვათარგმნინო კიდეც. სხვა რა არის ახალი? ისეთი არაფერი. მწ. კავშირში არეულობაა. ბუდე გახდა უსიამოვნების...

გიგლა იყო გიგათი და ამერიკელი რძლით თუ სტუმრით, ველარ გავარკვიე, ვინაა...

* * *

ქუთაისი. 8 იანვარი, 1990 წ.

რაჭაში ვიყავი ჯ. დავლიანიძესთან — სოფ. სხვავა. შობა ღამე იქ გავათენე. მთიანი რაჭა, დაცლილი სოფელი ზამთარში, თოვაში (გ. თ. IV). შემიყოლია მაინც „დონ კიხოტმა“, თუმც ვერ დამაინტერესა. ვუყურებ, თან ვწერ. სამსახურში ვაგვიანებ. ტელეფონიც გამორთულია, იციან, რომ ჩამოსული ვარ. რაჭიდან სასტუმროს რესტორანში ამოვყავი თავი. რუსის მიმტანი მოვიდა და სპრაზდნიკომო, გვითხრა. აქ ყველა დღესასწაულობდა, რაჭაში არ იცოდნენ, შობა რომ იყო იმ დღეს. დაგლახავდა და გადაგვარდა კიდეც ადამიანი სოფლად. ცხრაასი კომლი ვიყავით, ახლა 70-იაო. ისიც მხოლოდ მოხუცები. ნამდვილი შრომისუნარიანი ცოტა და ასე შემდეგ...

სოფლად ხალხი ცოტა უნდა იყოს, არაა დიდი და ხალხმრავალი სოფლები საჭირო... გაანადგურებენ ბუნებას. ხალხი ცოტა და მშრომელი, მიწიანი, ტექნიკა-მექანიზაციის მქონე... ცოტამ უნდა არჩინოს ბევრი, როგორცაა საზღვარგარეთ, — ევროპა-ამერიკაში, ალბათ.

8. I. 90 წ.

* * *

10.I.90 წ. ქუთაისი. ღამე გვიანი. გამოვიდა გუმბარიძე, ილაპარაკა ნახევარტონებით, — არა მგონია, კი მგონია... აქვს სათქმელი და ფუთნის უფრთხილდება. თქვი პირდაპირ, გაბედულად, ამხელა მისიას (ერის ხელმძღვანელისას) ჩემულობ და ყოყმანობ?! დღეს საკრებულოსავით მქონდა. დეპუტატები უნდა

დაგვესახელებინა. არ შედგა. მხოლოდ მე დავსახელდი... ბევრი ვეცადე თქვენთვისო, ძლივს გამოვიდა ჩემთვისო, არ თქვას ვინმემ. მეშინია, ეგრე არ მოხდეს ხელფასზეც. სხვაზე დავრბივარ და ჩემი არ გაკეთდეს მხოლოდ! ეგ მართლა არ მინდა. დეპუტატობა მინდა. ვფიქრობ, საჭიროა, მაგრამ თუ დღევანდელ მოვლენებს მივყვებით, შეიძლება, საერთოდ არ ჩატარდეს არჩევნები... ამ წესებით, ამ ინტერესით მართლაც არ ჩატარდება.

გივისთან უნდა შევიყაროთ ხვალ დილით, ერთი კიდევ, შეიძლება საბოლოოდ, უნდა ვკრა ხელი „განთიადს“.

ოტია დაწვა საავადმყოფოში (ჩემს წინ) და გაიკეთა კიდეც პატარა ოპერაცია. შეშინებული ავიდა და გულმოსული ჩამობრუნდა. არ ვიყავი ამხელა ამბისათვის ფსიქოლოგიურად მზადო. ამაზე იოლს (ტელევიზორში ვუყურებდით) რას ელოდა, არ მესმის. ყველის კაკალი გაუსუფთავეს, მაგრამ ანალიზებია საქმე... არ მომწონს ფერიო, ონკოლოგმა თქვა. სახის ფერი იგულისხმა თუ კვერცხის, ვერ გეტყვით. ჯირყვალი (ადენომა) ამოსაღები აქვს მაინც, თირკმელზეც ჩანს რაღაცო. იოლად ვერ გადაურჩება ამ ხათაბალას და ღმერთს შევავედრე, გადარჩეს საერთოდ.

კასპიდან უნდა დამირეკონ (შეხვედრაზე) და მე არა ვარ წასასვლელად მზად. დღეისსწორამდე აქ უნდა ვიყო. წავა ეს ზამთარიც თვალდახელშუა!

ელდარი ჩამოსულა. წყალტუბოში დაბინავებულან. დირექტორმა (მურმანმა) მომიკითხა. მოვკვდით რეკვითო. არ მუშაობს ტელეფონი და რას დარეკავდნენ. სამუშაოდაა ჩამოსული, ერთი მე მკითხოს, მემუშავება თუ არა.

მოკვდა კოკლის სიმამრი, დიდი მსმელი და შრომისმოყვარე... ხვალ კოკლისას დავაღამებ...

10. I. 90 წ.

* * *

დღეს გლოვის დღე აქვს რუმინეთს. რა ჭირს იმ ხალხს! ჯერ თავად არა აქვთ ალბათ გასიგრძეგანებული... არაფერი ისმის ჯერჯერობით ზაირა სამხარაძისაგან...

ვიყავი ხონში. ვნახე დასანგრევი და დანგრეული კოლონიები. ადმინისტრაციის შენობა. მაღალი კოლონებით, მწვანედ შეღებილი სიმახინჯე. სტალინის სტილი. ეპოქა იმდროინდელი, სხვაფრივ მშვენიერი ადგილები. სულ მესმოდა, ჩაის ვკრეფთ წულუკიძეში, ვკრეფდით, გვაკრეფინებდნენო... წარმოვიდგენდი და სხვანაირად ვხედავდი თურმე. სუბტროპიკული ზონა, ზღვის სანაპირო ზოლს გავს. სადღაა წულუკიძე, — ხონია. ეს პროგრესია!

სადილი მსუბუქი მაკასთან, ჩაი და სხვა.

ხვალ ძველით ახალი წელია. რამდენიმე კაცი შემეხმიანა. ხვალაც დამირეკავენ. მე წყალტუბოში ვაპირებ ჩასვლას.

დაიწყეს რემონტი. დამასიეს ერთი მუშა. ერთია, მაგრამ ძლიერი, გამხდარი, ბებერიც კი. არაყი დავუტოვე და კარგა ბლომად დაულევია. ამნაირ სისულელეს აღარ ჩავიდენ...

დაბეჭდილა ჩემი მოთხრობა „მაგრამრუმ“... რა სათაურია, რა უბედურებაა! რადიოს გამოუცხადებია, ქუთაისში ეგ გაზეთი არც ჩამოსულა.

თბილისში მივდივარ, საქმე მეძახის და არც მიშვებენ, დეპუტატები მყავს დასასახელებელი. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მომავალ ოთხშაბათს გადავაბარეთ...

თბილისში ვერ ვრეკავ...

ვსინჯო კიდევ?!

გორბაჩოვი ლაპარაკობს ლიტვაში. საბჭოთა კავშირიდან გასვლა არც ისე იოლიაო. ჩამოთვალა გაუსვლელობის მიზეზი და დააყოლა: ზოგიერთებს ეს წყობა Детский сад გონიათო.

детский сад!

კაცი რომ საათებს აამუშავებს შორიდან, ტელევიზორიდან,

ამას რა ქვია? რა უბედურებაა, რა გაუგონარი რამაა! ბევრს აუმუშავა. კუხიანიძემ დაწვრილებით მომითხრო აუმუშავებელი მაჯის საათის ამუშავებაზე, დავიჯერე. სხვამაც ამნაირი თქვა, ეჭვი არ შემეპარა რატომღაც. დღეს ვნახე, ჩემი მაჯის საათიც მუშაობს, იმ დღის შემდეგ ამოძრავდა ისრები. დამივარდა ადრე, ბუდიდან ამოვარდასავით... ახლაც გარკვევით ჩანს ზემოდან. ვისთანაც არ მივიტანე, არაფერი გამოვა, „შტამბოვკა“ არ იხსნებაო. ვერც ვერავინ გახსნა. მას შემდეგ ციფრებს (ელექტრონისას) ვუყურებ მხოლოდ დროდადრო, საისრეს მოვმართავდი-ხოლმე, ან არ მუშაობდა, ან ცოტა ხნით იწყებდა წიკწიკს, თუ არა და დღეღამეში (მომართვიდან მომართვამდე) 5-6 საათით რჩებოდა უკან... იმ ტელესეანსის დროს ხელზე მქონდა. გაფუჭებული თუ იყო, არც გამხსენებია. მეორე დღეს ვნახე, მუშაობს. გამიკვირდა, მოვმართე. რამდენი საათი იმუშავებს-მეთქი, დავინტერესდი. ვხედავ, ზუსტია, გუშინ ზუსტი იყო, დღეს მოველ (გვიანია), ზუსტია, მისხალში მიყვება ისარი ტაბლოს. მოვმართე ფრთხილად. საათზე მეტია, ისევ ზუსტადაა... დავაკვირდები. აღარც უნდა დაკვირვება... ამდენხანს როგორ იმუშავა? როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი?! უცნაური ამბების მომსწრენი გავხდებით მალე და მალე...

12. I. 90 წ.

* * *

წასვლა მინდა უკვე თბილისში. აქ საქმე უამრავი. დაიწყეს რემონტი, რაღაცას მიკეთებენ... ეს პროცესი თავისთავად საინტერესოა და მიზიდავს. ჩემს ბავშვობაში რომ ბალავერი გაფსკვნეს, გათხარეს, იმ ბალავრიდან ამოყარეს ქვები. ის ქვები მახსოვს თითქოს. ის ჩარჩო და ამოქოლილი კარი (ახლა რომ აღვადგინეთ) ძალიან კარგად მახსოვს. ეს სახლი კი შენდებოდა... როდის? ომის დაწყებამდე, კერძოდ: შეიძლება, 39-შიც კი. 40-ში აქ ვათევდით ღამეს უკვე,

რადგან I კლასში აქედან დავდიოდი, მაშინ ომი დაწყებული არ იყო. 1940 წელს კი უკვე აქ ვცხოვრობდით, გაჭირვებით მომთავრებულ პირველ ორ ოთახში. შემდეგ გაგვქონდა (იმის შემდგომ) მიწა სარდაფებიდან და ამ სარდაფებში ამოვყავი თავი მე.

ცოლმა დამირეკა (როგორც იქნა) თბილისიდან, მომიკითხა, მიმასაყვედურა – რას აკეთებ მანდო. ხვალ საკრებულო მაქვს. მანამ რაღაც საზოგადოების სხდომას უნდა დავესწრო. ახლა გამახსენდა, ანკეტა მაქვს შესავსები, „ქუთაისელის“ პრეზიდიუმის წევრად აგირჩიესო. არ იყო საჭირო და არ მინდოდა. „ქუთაისელის“ პირველ ნახევარს დავესწარი, მეორე ნახევარი გადავიტანეთ „სათაფლიაზე“ (გ. ლობჟანიძის სუფრა) და იქაც რაღაც სასარგებლო გარიგება – გამოვა ალბათ „მოწამეთა“.

ჯგუფი გამგზავრებულა. წავიდნენ თბილისშიო.

ახლა მაკამ დამირეკა, მე არავის არ დავურეკავ და საქმე მაინც წავა წინ...

„მაგრამრუმ“... მართლა მოწონთ, მე მგონი...

სხვა არაფერი...

ტყაჩირი, პატრიგეთი, გეგუთი... წვიმა, ბურუსი და ასე შემდეგ.

16. I. 90 წ.

* * *

ქუთაისში თოვლჭყვაპია. საძაგელი სიზმარი ვნახე წუხელ. დღეს ჩატარდა საკრებულო, დაღლილი ვარ, თავატკიებული. ცუდად მძინავს ღამით. ბევრი საქმე გავიჩინე. არეულობა, რემონტი. მოსაწყენია ყველაფერი ბოლობოლო. ქალაქში მიტინგობანა, ხელისუფლება თავგზააბნეულია. ჩატარდება თუ არა არჩევნები, კაცმა არ იცის. ჩემ საქმეს, რაც მთავარია, ვერ ვხედავ, ვერ ვუვლი. მაინც უინტერესოდ მიდის ცხოვრება, თუმც ინტერესდაკარგული არ ჩანს დღევანდელობა. ყველაფრის წევ-

რი და წარმომადგენელი გამხადეს ამ ქალაქში. საარჩევნო კამპანიამ, შეიძლება, გააცოცხლოს გარემო ჩემთვის. იქით მიმიწევს მაინც გული. იმ ხმაურში (ოჯახურში) ბევრს ვმუშაობ, უფრო საღად ვაზროვნებ. უნდა შევირთო, ეტყობა, ცოლი, რა კარგი, მშვენიერი წესი აქვთ მუსულმანებს, მამაკაცი უკეთესს ვერ ინატრებს.

გარდაცვლილა ანზორ ქლიბაძის ცოლი (კიდევ კარგა ხანს გაძლო ანზორის ხელში) ნათელა აბაშიძე. შაბათს იქ უნდა ვიყვე აუცილებლად. იქაც თოვლჭყვაპიაო, გამოაცხადეს.

17. I. 90 წ.

* * *

ხუთშაბათი, 90.

როგორ არ ვეცადე, რა ხერხს არ მივმართე დეპუტატების დასახელებისას და ვერავის (გარდა ვინც დავასახელეთ) გული ვერ მოვიგე. ასეც ვიცოდი და ასე არ მეგონა. ძალიან წკიპად მივდივარ და მაინც გამსვრიან, ვიცი. რას ლაპარაკობენ-მეთქი. არ არის თქმა საჭიროო. რას ლაპარაკობენ, არ გეტყვი ყველაფერსო, ლანჩავამ განმიცხადა. რას ლაპარაკობენ, შენზე, თქვენზე არ უხსენებია და გასაგები იყო მაინც... ჭორებიც (მართალ-ტყუილი) ავიცილო, მინდა, მაგრამ სხვა რას ფიქრობს და ამბობს, არ ვიცი, ვერ ვაკონტროლებ ბოლომდე.

დღესაც სუფრა. საჭმელი ბევრი, უამრავი, ღვინო კარგი და ასე შემდეგ. ქვეყანა თუ დამშეულია, ჯერ არ იგრძნობა. ვერ ვკითხულობ ვერაფერს „ოგონიოკის“ გარდა. „ოგონიოკში“ კი საინტერესო მასალებია. ჩავატარე კოლეგიაც. ბევრმა მოთვინიერებულის პოზიციიდან, რამდენიმემ მაინც თავისი სულელური სამრეკლოდან (ზ. კუხიანიძე) ილაპარაკა. ეგ არაფერი...

იწურება თვე, ყდა არა მაქვს ჯერ მზად. ხვალ არა, ზეგ (შაბათია) წავდივარ თბილისს.

რაღაც საზოგადოება ამ უსაზოგადოებაში შეიკრიბა გივისთან. სხვას გამოვუშვებ-მეთქი, არაფრით არ იქნებაო და მივედი კარგა ხნის დაგვიანებით. გივი კარგი კაცია. თავისი პერანგები და ლაპარაკი მოწონს და მაინც კარგი კაცია, მე მგონი...

შემდეგ: ვკითხულობდი დასაბეჭდ ფორმებს... ვიხსენებდი სიზმარს, საზიზღარ სიზმარს, ღამით რომ ვნახე... დავრეკო, იქნებ, თბილისში...

რ. ყანჩაველის კაბინეტში (გივისგან რომ აველი) დამხვდა მარკოზიჩი... ლომების ყოფაცხოვრებითა და ფსიქოლოგიითაა დაინტერესებული, სხვათაშორის, საინტერესოდ დაინტერესებული. გარეთ რომ გამოვედით, სად წაგიყვანო-მეთქი, ვკითხე. არსადო, მითხრა, აგერ, სასტუმროში უნდა ჩავაკითხო ბავშვებს, ყმაწვილებსო. მე სახლში ამოველ, მერემონტეებს დავხედე და სამსახურში წაველ.

17. I. 90 წ.

* * *

ხვალ მივდივარ თბილისს. ახლა ხელმოსაწერ ფორმებს ვკითხულობ. წერილი გალაკტიონს. მაგადანიდან წერს ტუსაღი: რუსული არ ვიცი, იქნებ მშობლიურ ენაზე გამასამართლოთო. ქართულად წერს და ჯობია, არ იცოდეს ის ენა (მშობლიური), რომელზედაც წერს. საშინელებაა...

ნათლიღება ღამეა. ნაშუაღამევი. მესსაა ტელევიზორში, ალილუიას ხმა ისმის. ეს ამათი დასასრულისა და დიდი ქაოსის დასაწყისი მგონია. საშინელი ამბები ხდება... გორბაჩოვმა დაკარგა მართვის უნარი, გაექცა სახელმწიფო, იგი დაიშალა და თუ ამას დიდი კატასტროფა არ მოყვა, გადავრჩებით. გული კი ცუდს მიგრძნობს.

სომხეთ-აზერბაიჯანში ომია.

რეზერვისტები გაუყვანიათ ჯარში და ხალხი (რუსებიც) გამოვიდნენ (სად? ვერ გავიგე. სადღაც ჩრდილო კავკასიაში თით-

ქო). ტიუმენში (ეს ყველაზე შემაშფოთებელია) ცეკა გადადგა და ხალხის მოთხოვნით „დროებითი ცეკა“ შეიქმნა, პირველად ვიღაც მუშა დასვეს თურმე...

ღმერთს ევედრებიან, ისევ ალილუიას ხმა ისმის.

ფორმებს მოვაწერე ხელი და ყველას 17 რიცხვი დავუსვი, არადა, 20 დაიწყო. ამ ჟურნალის გამოშვება მაინც მომესწრო... ქაოსი საშინელება იქნება, ნელ-ნელა დათმობდნენ, მეგონა, ყველაფერს...

რღვევა ძლიერდება... გორბაჩოვს გადააყოლებენ და მერე რა მოხდება?

ვნახავთ მაგასაც!

* * *

დღეს ვიყავით ლანჩხუთში (ჩონჩხათი-ნინოშვილი) ჩხარტიშვილებისას. თავად ლელა, ვისი გულისთვისაც ჩავედი, არ დაგვხვდა. ვესაუბრეთ დედას და ბებიას. წამოვიღეთ (როგორ გვათხოვა, არ ვიცი) დღიური, დედის ჩაწერილი... არაფრით შემიძლია გავიმეორო, რაც გავიგონე. ეს ძალიან უცნაურია, ძალიან დაუჯეებელი. ჩვენ სამშაბათსაც წავალთ, ბავშვსაც ვნახავთ და რაღაც დასკვნებს გავაკეთებ, პირადად მე. წერილს კი გონერი დაწერს ალბათ მომავალი გაზეთისათვის („მოწამეთა“). კმაყოფილი ვარ მგზავრობისაც კი. თითქოს არ ყოფილიყო ზამთარი. მზე, სითბო, გურია. დიდი და დიდებული საქართველო...

გარდაიცვალა რიჯგვინა (ავთანდილ ნემსაძე). რა მამა, რა მეოჯახე, რა მომღერალი! აწი ვინღა იტყვის იმნაირ ბანს!

კასპში მქონდა შეხვედრასავით. ცოტაოდენი ხალხი დამახვედრეს (სადიალოგედ) გაყინულ საჭიდაო დარბაზში. სუფრა შემდგომ ნიგოითში. ღამით დავრჩი გიორგისთან, დილით ქუთაისისაკენ წამოვედი. დანარჩენები (იორამი, ლევანი, კაკო, ცოლი და მისი ორი მეგობარი) თბილისში გაბრუნდნენ.

თავდება ეს თვეც. სასიგნალოები 1 ნომრის ან მოესწრება, ან არა, ყდას ხატავს ვ. რურუა. კიდევაც რომ დახატოს, ვინ ჩამოიტანს. გავუშვა დროზე და ძველი ყდით თუ პირიქით, აღარ ვიცი.

კოროტიჩი ლაპარაკობს ტელევიზორში.

ხელისმომწერლები გაგვეზარდა, მილიონი დაგვემატა, ხელფასი არ მოგვემატაო. პარტიულ ჟურნალებს (კერძოდ?) ხელისმომწერლები დააკლდათ, ხელფასები გაეზარდათო...

ულვაში მოვიპარსე ამ დილით. ჯერ მოვუშვი და არ მომიხდა, დამაბერა. მთლად ავიღე და შევიცვალე, რას დაემგვანეო, შეწუხდა ზოგიერთი. ორ-სამ დღეში გასწორდება ყველაფერი და კარგად წავა საქმე იმიერიდან! ვაშა!

27 იანვარი, 90 წ.

* * *

წახდა ამინდი. მოიღრუბლა. ჩამოიღვენთა.

მოვიდა მედიკო საქმიანად. მითხრა (ჭკუაც დამარიგა), რას ამბობენ და რას ფიქრობენ ჩემზე. ძალიან გვიან ამითვალისწინეს-მეთქი, გულწრფელად ვუთხარი. რაღაც-რაღაცეები აღარ მოწონთ, ჭორებშიც გავები. დეპუტატი არ უნდა იყოს, რუსთაველის საზოგადოების ავტორიტეტი (როდის ჰქონდა?) ეცემაო, კარგი მწერალი და რედაქტორია და მაინცო... ეს ამ ეტაპზე. მალე ჩემი მწერლობაც ამოუვათ ყელში და რედაქტორობაც... ეგ ეგრე იქნება, მაგრამ მე მანამ მოვიმოქმედებ რაღაცას...

მოთხრობა წამოვიწყე წუხელ. სათაური კარგი მოვუგონე, მაგრამ შიგ ვერ ვდებ ჯერჯერობით ვერაფერს.

ძროხის თავი ნისლში.

კოკლი გამომიარს. ავალ ზევით, პანაშვიდზე. ირანი იყო, მომაკითხავს ისიც საცაა...

28. I. 90 წ.

* * *

დღეს ვიკითხე ლელა ჩხარტიშვილის დედის ჩანაწერები, აღნუსხულია დღენი ქვების ცვენისა. ჩაწერილია ცუდად, უპუნქტუაციოდ, მაინც გასაგებად, დასაწყისი, სანამ ქვები ცვივა, მართალს ჰგავს, მერე და მერე იწყება დაუჯერებელი... საოცრება კი აღარ არი საოცარი, არამედ ფაქტი თავად, თუნდაც ტყუილი. როგორ უნდა გაეთამაშებინათ ამოდენა სპექტაკლი ბავშვებს? როგორ ჩაითრიეს (თუ პირიქით) დიდები — დედა, ბებია და სხვა... ეგაა უკვე საინტერესო, ეგაა გასარკვევი... ვნახავ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

დღეს მესაუბრა ლ. მურუსიძე. მითხრა, რას ფიქრობენ, რა აზრისა (არც მთლად კარგისა) არიან ჩემზე. უსიამო და საძაგელი ლაპარაკი გვქონდა. როგორ უნდა იმოქმედო ამ უმადურ, ბნელ აქტივისტებთან... აღარცა მაქვს ხალისი საქმისა...

გაზეთი მოვასწრო იქნებ... სანახავი მყავს ოტია. გაზეთი „მოწამეთა“ მაინც მთავარია. ერთი პატარა წერილი, იქნება, მეც შევამატო.

29. I. 90 წ

P. S.

რა კარგი რაღაც ჩავიფიქრე გაზეთისათვის — „მოწამეთა“. ქუთაისის კაგებეს შენობა. სათაური: ბენია კრიკ.

არც განვმარტავ სათაურს. უწიგნურმა ახალგაზრდობამ თავი გაანძრიონ იქნებ... ვინაა ეს ბენია კრიკიო, კითხონ ერთმანეთს...

ბენიათი გავხსნი და გადავაბარებ გაზეთს ვინმეს ან შევინარჩუნებ... ეს პატარა საქმე არაა, ვნახოთ...

ხვალ ლანჩხუთი. იქაური აფიორები... ტელევიზორში ახლა ასეთი გადმოცემაა:

ჩეხოვი.

აქამდე ყურადღება არ გამიმახვილებია. ამჟამად გამოიყვანეს ჩინელი, გერმანელი და ალბათ სხვაც (ჩეხოვი მსოფლიო სცე-

ნებზე). რა მოგწონს ჩეხოვში და ასე შემდეგ. ამნაირი სადაო, პასუხებია.

ბოლოსდაბოლოს, ვინ იყო ჩეხოვი? თავისი მოსაწყენი პიესებით? იყო ეგ პიესები სრულყოფილი? რომ ეცოცხლა, ბევრზე (ბევრ ანეკდოტზე) იტყოდა ალბათ უარს... იქნებ მე უკეთესი დამიწერია, ან შემიძლია, დავწერო. ქართველი რომ ვარ, ეს ერთი, დღევანდელ დღეს რომ ვარ, მეორე უბედურებაა და სულაც არ არის ჩვენი დაუნახაობა გასაკვირველი. რუსეთში არიან, იქნებიან ჩეხოვზე უკეთესი (ჩემზე არაფერს ვამბობ) დრამატურგები, პროზაიკოსები, მაგრამ ამის დანახვა და დამტკიცება საშინელ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჩეხოვი კი დედის ჭიპლარის პერანგში დაიბადა და ძალიან იოლად იშოვნა (სიცოცხლეშიც კი) სახელი, რომელიც დღემდე შეინარჩუნა. ანა ახმატოვამ შეაფასა, მე მგონი, სწორად, თუმც დაუსაბუთებლად (ვერ თქვა, რაც უნდა თქმულიყო).

პანაშვიდიდან (გუშინ) რესტორანში ამოვყავი თავი. კოკლიმ ღვინო გამოიტანა. რიჯგვინა ვახსენეთ და წაიმღერეს კიდეც. რიჯგვინას ბანი და სამღერი სადღა იყო და მაინც შედგა სიმღერა. ამის გამო ვიფიქრე: მიდიან, რჩებიან მაინც მათნაირნი, შემდეგ შემცვლელები მოდიან-მეთქი... სულ მესმის პილაია იოსელიანი... მოვა მეორე პილაია ქუთაისში, თუ მოსული არ არის...

* * *

დღეს დავასაფლავეთ ავთანდილ ნემსაძე (რიჯგვინა). იწვა კუბოში ნათამადარივით; დიდ სუფრას რომ მოამთავრებ და წაუძინებ, იმას გავდა. შემდეგ სუფრა დიდი, ქალი და კაცი ჭამდა გაუჩერებლად, აბრეშუმის ჭიასავით შრიალებდა მჭამელი მრევლი. რამდენიმე თამადა აირჩიეს, რიჯგვინამდე ვერ მივიდა ვერც ერთი. არ დამილევია. მე, ნოდარი და გ. კოხრეიძე დავრჩით მარტონი, გამოვცალკევდით. წამოვედით, გამოვუარეთ

ჯუმბერ ცნობილაძეს. წამოუწყია დიდი სახლი, აშენებს თავად, თავისი ხელით, შვილთან ერთად. ფასადს ეკლარის ქვებით აპირკეთებს თავად. არ უშენებია, არ უკალატოზია და მაინც აშენებს. როდის დაამთავრებს, კაცმა არ იცის. ოჯახი რაღაც მონანგრევში, მინაშენში ცხოვრობს სუფთად, მყუდროდ, კარგი შვილები ყოლია: კარგი ბიჭი (მუშაობს) და კარგი გოგო (უმაღლესში სწავლობს).

თბილისში დოდო აბაშიძე გაუსვენებიათ. ეს ტელევიზორით ვიხილე. გუშინ წვიმდა, დღეს მზე იყო, თბილოდა. ჩემს ოთახში ახლა ცხელა კიდეც და მარტო თებერვლის გამო — არა. ზეგ წავალ თბილისში.

1. II. 90 წ.

* * *

გამზადებული ვარ ასამგზავრებლად. აქ რაღაც აირ-დაირია არჩევნებთან დაკავშირებით და ველოდები ავთოს და ელგუჯას, აღმასკომში რომ გავყარე. წუხელი არ მეძინა ფაქტიურად, ტელევიზორიც (გადაცემა დილის ექვსის ნახევრამდე გაგრძელდა) არ გამომირთავს, თან ვისმენდი, თან ვკითხულობდი (კინაღამ მივახჩვე) ილია კუჭუხიძის წიგნს (ქსეროქსზე გადაბეჭდილს) „სამაგიდო რვეულიდან"... ახლაც ამ წიგნს ვკითხულობ (დავბეჭდავ ალბათ კიდეც) და მივადექი თავს „დაუვიწყარი შეხვედრა", სადაც ალექსანდრე ჭეიშვილზეა ლაპარაკი. 1957 წელს ჩამოვიდა მიუნხენშიო. კარგად მახსოვს ის წელი... ატყდა ერთი ხმაური სტუდენტებშიც — ალექსანდრე ჭეიშვილი დარჩენილა გერმანიაშიო. ნათლად მახსოვს, „კომუნისტის" რედაქციასთან, ბუკინისტური მაღაზიიდან გამოვიდა ი. გრიშაშვილი და შეხვდა შ. რადიანს. გრიშაშვილს რამდენიმე მცირეფორმატიანი წიგნი ეჭირა ხელში. ვიცოდი, წიგნთმაგროვებელი რომ იყო და დავაკვირდი, ისიც კი ვიფიქრე, ასე ცოტ-ცოტათი (მაღაზიაში უამრავი წიგნი იყო)

როდის შექმნა მისი სახელგანთქმული (გადმოცემით ვიცოდი) ბიბლიოთეკა-მეთქო. კაცო, — ხელი ჩამოართვა რადიანს, — მართალია, მართლა დარჩენილა? მართალიაო, მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი რადიანმა და თან აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, როგორც მაშინ მომეჩვენა, კმაყოფილი იერით. მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი. ისინი კი იქვე დაშორდნენ ერთმანეთს. გუშინდელივით მახსოვს ეს დღე.

გავდივარ და ვჯდები მანქანაში. შეგვიანდა, მაგრამ არაუშავს. ჩემი საათით: 12:20.

3. II. 90 წ.

* * *

გუშინ წამოვედი თბილისიდან. მთელი დღე ვირბინე ბენზინზე. ადრე ავდექი — 9 საათზე (ჩემთვის ადრეა), ჩავდექი რიგში, არ შემხვდა. მ. ლებანიძე შოფრებში იდგა და ლაპარაკობდა გაცხარებით. მე ეგ არ შემიძლია-მეთქი (ფხიზელს), გავიფიქრე, შევხედეთ კიდეც ერთმანეთს, არ გამოველაპარაკეთ. შემდეგ სხვების ლაპარაკს მივაყურე, მწერალი ყოფილაო, ერთმანეთს უთხრეს. მწერალი თუა, ბენზინი რომ არ არის, დაწეროსო. ორხევში ჩამისხეს შემდეგ, გარაჟში, ცუდი ბენზინი, იქედან — შემნახველ სალაროში, ისევ სახლში, ფულის დასატოვებლად, „ნაკადულში“ შემდეგ. ოთხის ნახევარზე გავცდი თბილისს, როგორც იქნა, დღისსულს ჩამოვედი ქუთაისს მაინც. დამაღამდა, მაგრამ ფარების ანთება არ დამჭირვებია. კარგი მასალები წამოვიღე...

მაინც ვერ გავიგე, იცოდა თუ არა გალაკტიონმა ცურვა (ჯავახაძის მასალა გამახსენდა).

საარჩევნო აჟიოტაჟი იწყება აქ. ამინდია მშრალი, მზიანი, ოდნავ ქარიანი. ბალახი მწვანეა, გაზაფხულის სუნთქვას ვგრძნობ ჩემს ეზოში.

7. II. 90 წ.

P. S.

პლენუმი დამთავრებულა სამდღიანი (7.11.90), ლაპარაკობს იაკოვლევი საზეიმო დაძაბულობით. რაღაც კარგი ამბები ხდება ან მოხდა უკვე, ლიტვას უარი უთხრეს, მაგრამ სხვა რამ მომხდარა სასიკეთო... პარტია ძალაუფლებას უმაღლეს საბჭოს გადააბარებს, საპრეზიდენტო მმართველობა იქნება მთავარიო...

ლაპარაკია მე-6 მუხლის შეცვლაზე და მრავალპარტიულობაზე(!), ორგანიზაციული საკითხი არ განხილულა, როგორც ჩანს. ხვალ ყველაფერი გვეცოდინება.

70 სალდათია ერევნის გარნიზონიდან გაქცეული მოსკოვში. ტელევიზიის წარმომადგენლები სამხედრო ტერიტორიაზე არ შეგვიშვეს, თუმც დაგვპირდნენ კიო, ჩივიან. თითქოს თავისუფალი(?) კერძო-კორპორატიული გადაცემაა. რუმინეთზე ზაირა გამახსენდა, უნდა ვუპასუხოთ წერილზე აუცილებლად, მეტი აღარ უნდა გადავდო.

* * *

წავედი სამშაბათს, ჩამოვედი სამშაბათს, 20 თებერვალს. ბევრი მაქვს საწერი, აქ ჩასაწერი აფერი. არა ვარ საამისოდ განწყობილი. არა მგონია, ფულის გამოცვლა საჭირო იყოსო, თქვა ვიღაცამ ახლა ტელევიზორში. მთავრობაც ამას ფიქრობსო. ასე იქნება ალბათ. ეს მაინც არ გვიშველისო... ეს ბოლო ფრაზა ნაღდად მართალია...

ფული შინ დავტოვე. 5 თუმანი ერთს მივეცი, 5 – მეორეს, გუბაზს კურტკა ეყიდა – 300 მანეთი გადავუხადე... საშარვლე მომიტანა ცოლმა, 45 მანეთი უნდა მომცეო. მივეცი 100 მანეთი, მგონი. მეტი სახარჯოდ დავტოვე და სალაროდან გამოტანილი ჩემი 700 მანეთიც დაიფუშა. გზად სტუდიაში გამოვიარე, სამი ხელფასი ავიღე და ჯიბე შევივსე ცოტა. ეს სტუდიაც მომეშლება მალე, მეც და სხვასაც.

რეზო თაბუკაშვილი ვნახე საავადმყოფოში გასულ ოთხშა-

ბათს, თუ არ ვცდები. ვნახე, ნეტავ არ მენახა. გულდამძიმებული გამოვედი. აღარაა ამ ქვეყანას... იცის, რა ჭირს, რაღაცის იმედი აქვს მაინც... გუშინწინ ამერიკიდან უნდა ჩამოსვლოდა ექიმი, მგონი, ჩამოვიდა კიდეც, – ვიღაცამ მითხრა. ელდარს ენახა სწორედ გუშინწინ. მელაპარაკებოდა და ცუდად გახდა, შემდეგ მითხრეს, წადიო და წამოვედიო. ძალიან მენანება ეგ კაცი! ისევ ის რეზო იყო, მხოლოდ გაცილებით ნამდვილი, ბუნებრივი, ამაღლებულიც. რეზო ინანიშვილი უკეთესად გამოიყურება, შარშან აპრილში უარესს გავდა. ირაკლი სანატორიუმის პრინციპით ისვენებს და ასე შემდეგ. უშანგი ობოლაძე წევს რეზოს (ინანოვის) ოთახში. როგორ უძლებს უშანგის ლაპარაკს? კალიასავითაა უშანგი. 80 წლისაა, ან მეტის. სიგარეტს ვერ ანებებთ ხომ თავს-მეთქი, ვკითხე. რატომ უნდა დავანებოო. შემომიტრიალა შეკითხვა და მართალიც იყო... რაღა დროის დანებებაა!

ეს იყო ლეჩკომბინატში, თუ ლეჩკომისიაში და ქართულად როგორ უნდა ითქვას, ესეც არ ვიცი.

თანდათან უფრო და უფრო მიჭირს ბავშვების დატოვება... დღეს საოცარი რამ ჩაიდინა რეზიკომ. ეტყობა, სიზმარი ნახა. ენერგიულად ყვებოდა სიზმარს სინამდვილედ, ტელეფონით ელაპარაკებოდა ბებიამისს, ჩვენ ყურს არ გვაგდებინებდა, გადითო... აინტერესებდა, როგორ იყო ბებია, ორწლინახევრის ბავშვს. წინა ღამით ხელი გაიჭრა, სისხლის დანახვაზე შეშინდა დედამისი და შეშინდა თავადაც. აღგზნება ჩაყვა ძილში და გამოყვა სიფხიზლეში. ანგელოზი ლაპარაკობდა მისი პირით დღეს...

ვცადო, იქნებ დავრეკო!

ელდარი ამთავრებს სარეჟისოროს. „ტურანდოტი“ საინტერესო ფილმი გამოდის, მასალა მომეწონაო. ერთი ნაგლეჯი არ მინახავს თავად მე.

გადავაწყო უნდა გაზეთის მასალები.

ორი წერილი შავად მაქვს დასაწერი. ირაკლის ინტერვიუ თუ კომენტარი ჩასაწერი. წერილები გადასათეთრებელი. მოვასწრებ ყველაფერს? – ვერა. ვერა ქალის სახელია. რიჯგვინა რომ დავასაფლავეთ, ნოდარიამ მითხრა, აქით გავიდეთ ჩვენო. სად-მეთქი, შემეზარა და უცბად მივხვდი, დედაჩემის საფლავზე გავყავდი. გავედით და უცბათ გამოვბრუნდით.

20. II. 90 წ.

* * *

წვიმს ქუთაისში. ღამეა. მარტო ვარ შინ. სამი პატარა წერილი (ერთი სხვისი სახელით) დავწერე გაზეთისათვის „მოწამეთა“, ერთი, შეიძლება, „მამულს“ მივცე. არც მოთხრობაა (ერთი – ინტერვიუსავით), არც წერილი არცერთი. გაზეთი კი, შეიძლება, მართლა გამოვუშვათ ამ მოკლე დროში. გამოვიტანე, უფრო სწორედ, გამომიტანეს წიგნები: პასტერნაკი, ბულგაკოვი, სკოტი... ორტომეულები და I ტომი (სკოტი) რვატომეულისა. ვაგროვებ და ვეღარ ვკითხულობ. პასტერნაკს, ბულგაკოვს (არც ერთი არ მიყვარს) გადავათვალიერებ, სკოტის რომანს ალბათ ვერ წავიკითხავ... ვინ წაიკითხავს, ვისთვის ვყიდულობ, ვისთვის ვაგროვებ? როგორ მიყვარს ეს მწერალი, მწერალი კი არა, „აივენჰო“. ჩემი საფიცარი რაინდული წიგნი, გადმოვიღებ, აქ რომ მქონდეს, და ისევ გადავიკითხავ... სხვა მის წიგნებზეც ვიწვალე (რობ-როი) და ვერ გავითავისე... „აივენჰო“ სხვაა.

დამეწყება საარჩევნო კამპანია.

დაწყებულიც უნდა იყოს, მაგრამ სანამ გაზეთი არ გამოვა, არჩევნებში ვერ გადავერთვები, შემდეგ ჩავრევ ნაცნობ-მეგობრებს... არც გავინძრეოდი, მაგრამ მაქეზებენ, მაქეზებენ და ძლიერ წინააღმდეგობას გამიწევს მართლაც ერთი კანდიდატი... ეგ არაფერი.

ჩვენ ვიყოთ კარგად!

იქნებ თბილისში დავრეკო.

დღეს 23 თებერვალია. ეს დღეები გლოვის დღეებადაა გამოცხადებული. აქამდე ვზეიმობდით, ახლა ვგლოვობთ, შემდეგ ვიზეიმებთ და ასე შემდეგ. ქაჩალმა ჯერ არ მოიფხანა და მერე სულ მოიგლიჯაო. რემონტი რემონტს დაემსგავსა. დამთავრდეს კიდეც შეიძლება. მშვენიერი სამყოფელი-სამუშაო ბუნკერი გამოვა. ეს მიხარია და მაინც იდიოტურ მდგომარეობაში ვარ, თუ ვინმეა, მარტო არა ვარ და თუ მარტო ვარ, არავინაა...

არც ერთი მომწონს, არც – მეორე!

23. II. 90 წ.

* * *

თოვლჭყვაპია. „ჭყეპის“ წერას შევუდგები. ამ გახსენებაზე, პატარა მოთხრობა დავწერე – „ძროხის თავი ნისლში“, გადათეთრებაც არ უნდა. ერთხელ შავად გადავბეჭდავ და დავაჩერდები. დღეს „მოწამეთას“ მაკეტს ვკრავთ. დიდი გამოგვდის პირველი ნომერი და შემდეგ ვნახავ... პრეტენზიები დიდია ჩვენი მხრიდან. უტკივარი თავის ატკივებას უდრის ჩემგან ეს ყველაფერი.

ნოდარია იყო, ახლა წავიდა. თუ წაიკითხე-მეთქი (ჩემი მეგობარი ნიდარი). გუშინ მომეცი და ერთ ღამეში იმხელა (?) წიგნს რა წამაკითხებდაო. ღვინო გადავიღეთ, ერთი დიდი ბოცა ორ მორჩილ ბოცაში გავანაწილეთ. რამდენიმე მივიწყებული ბოცა გავარეცხინე და მორჩა ეგ საქმე. ქათმები არ შემოდის ბაზარში, ვაჭრებს ვაჭრებს ეძახიან, არ უშვებენო. ვეტყვი რაღაცას-მეთქი, დავპირდი, შაშიაშვილს ეტყვიო, შეეჭვდა.

ჯ. იოსელიანის ორი მოთხრობა წავიკითხე, კარგია თითქმის. მასალა კარგია, თუმცა ძველი, არააქტიური. ხვალე გლოვის დღედაა გამოცხადებული, უნდა შევუერთდე მანიფესტაციებს, თუ არ დამაგვიანდა. ავთო დამპირდა, გამოგივლიო. ადრე არ ამაყენო-მეთქი. მოსკოვი აპირებს ხვალვე გამოსვლას (არა

ჩვენს საწუხარზე, ცხადია) და ძალიან ეშინიათ. უწესრიგობას ვერ დავუშვებთო, იძახიან რამდენიმე დღეა.

24. II. 90 წ.

* * *

ამასაც მოვესწარი: გადმოაყუდეს ლენინის ძეგლი — კოლოსი ქუთაისში, სადგურის მოედანზე.

მიტინგი ჩატარდა თეატრთან, მოედანზე. ხალხი ცოტა, აღტაცება ნაკლები, გულგრილობა ბევრი, ზემოდან უგნურობა. წვიმა, თოვლჭყვაპიანი, ვიდექი იმიტომ, რომ არ ეთქვათ, არ იყოო... სხვამხრივ არა მწამს რა იმ ხალხისა... წამოვედი შემდეგ შინ. ცოტა ხანში მოვიდა გალეწილი მთვრალი კუხიანიძე, სასწრაფოდ წამოდი, ლენინის ძეგლს აგდებენო, არ დავიჯერე, მაინც წავყევი. მართალი იყო. აგდებდნენ და ვერას აკლებდნენ. ფეხზე ჰქონდა ტროსი გამობმული, არ გამოდიოდა, არ გამოდიოდა, შინ წაველ. ახალი ამბავი მომიტანეს, სახანძრო დაცვის მანქანა მოვიდაო. ისევ გავვარდი... ვიღაც (ალბათ მთამსვლელი) აძვრა და სველ კოლოსს, კიბეების დახმარებით, ყურებზე და საყელოზე ჩამოეკიდა. გადააცვა, როგორც იქნა, ყულფი...

ქაჩეს, ქაჩეს და წამოაქციეს უზარმაზარი ძეგლი ბელადისა...

ასე ადრე თუ მოვესწრებოდი, ვერც ვიფიქრებდი!..

რა მოყვება ამას?!

ესეც არ ვიცი, არ ვიცით... დაველოდოთ შედეგებს.

25 თებერვალი, 90 წ.

* * *

დღეს დავიარე ჩემი სამწყსო, ის ადგილები, სადაც უნდა ვიქნე არჩეული, თუ ამირჩიეს. უცხოა ის მხარე ჩემთვის, არასოდეს იქით გული არ მიმიწევდა, არ მიცხოვრია, არ მისწავლია არასოდეს (არ მიქეიფია) და მინდა, მივუახლოვდე სამშობლოს — ქვიტირს. მეორეცაა — იქ მიცხოვრია, როცა ცხოვრება

არ ვიცოდი და არც არაფერი მახსოვს ერთი ბუნდოვანი სურათის გარდა, ისიც სხვისი (დეიდაჩემის) მონაყოლის შემდეგ... შემახსენა და ამოტივტივდა. ესეც შეიძლება, მაგრამ მე იქ ნამეტანი პატარა ვყოფილვარ, ახლა იმას იქით გამაგდეს, რატომ დავთანხმდი, წარმოდგენა არა მაქვს. II სკოლაში, საარჩევნო ოლქიო, რომ მითხრეს, მომეწონა, აგერ, აქვეა-მეთქი, ჩემს რაიონზე მაშინ არც მიფიქრია. გინდა თუ არ გინდაო, მკითხეს და იყოს-მეთქი, ვუპასუხე. ჩავებმები ბრძოლაში და ალბათ გავიმარჯვებ კიდეც, თუმც ძლიერი მოწინააღმდეგე მყავს ერთი, შეიძლება — სხვაც, არც ეს ვიცი...

ცდას არ დავაკლებ (შესაძლებლობის ფარგლებში) ჩემი მხრიდან.

27. II. 90 წ.

* * *

ჩამოდგა გაზაფხული. სითბოებით.

დღეს წაველ თეატრში. გასინჯეს სანიკიძის პიესა და ვუყურე. დამთავრდა, გამოვიქეცი, სალიტერატურო ნაწილის გამგე დამედევნა, ბატონო რეზო, განხილვაზე არ დარჩებითო, არამეთქი. რომ დავრჩენილიყავ, რა უნდა მეთქვა.

უნიჭობისა და უგემოვნების დღესასწაული, პიონერთა დრამწრის დონე.

დავდიოდი თეატრში, ვიცინოდი, ვერთობოდი... ახლა რაები ხდება. „ოთარაანთ ქვრივი", ვიღაცის წამება, „უწრუპუნებენ მიმინოს", ეს, ის... არასერიოზული სერიოზულობა...'

მეგრელიშვილი და შოთა პირველი თამაშობდნენ გმირებს, ან წყვილებს, უფრო ზუსტად, ახლა ერემო სვანაძე და ხერხაძე... ისინი ჯობდნენ იმ სიბნელის და სიწყვდიადის დროსაც კი...

ხვალ გაზეთი უნდა აიწყოს, დაკაბადონდეს... შემდეგ როგორ წავა საქმე, არ ვიცი. ვინც შეფობდა, აღარ არი...

აირჩიეს — დანიშნეს მეორე და ძალიან კარგიც... ორის მა-

გივრიდან ერთია, მაგრამ ამ ახლისთვის (უარს ვერ მეტყვის) გაზეთი არ გამიმხელია. ცოტას კიდევ გავწვალდები და შემდეგ წავა. ვიღაცას, უკაცრავად, ერთ-ერთს უნდა გადავაბარო... ჩემ ბუნაგს დაეტყო ადამიანის (თუმც ადამიანი არ შემოსულა) ხელი, ხის სასიამოვნო სუნი დგას, შემოსვლა მიხარია. თბილისში ვერ მივდივარ ხვალ-ზეგ...

რიჯგვინას ორმოცია. როგორ გაფრინდა ეს 40 დღე! ზ. ებანოიძის დას დაკრძალავენ ბაღდათში.

აქაც, იქაც, სტამბაშიც... როგორც შევძლებთ, ისე ვიქმთ.

გუშინწინ ოტიასთან ვიყავ და ქუდიც იქ დამრჩა, არადა, გაწვიმდა.

2. III. 90 წ.

* * *

ველაპარაკე რეზიკოს. დიდი გავიზარდე, სკოლაში დავდივარო...

ნანუკა რას შვრება-მეთქი, — ჭამს, თამაშობსო. მენატრებიან ნამეტანი. ხვალ წავალ, მალევე უნდა დავბრუნდე. სამშაბათს, 13-ში, წინასაარჩევნო შეხვედრა მაქვს უკვე.

დღეს რვა მარტია. წყალთოვა. ამინდი მარტული. გარეთ არ გავსულვარ. ქალმა მომილოცა თავად. საავადმყოფოდან დამლაგებელი ქალი გადმოვაყვანინე ბენიას და იატაკი მოვაწმენდინე იმ დღე-ზეიმზე, რომლისაც არა მწამს რა, — კომუნისტურია.

გამოვიდა „მოწამეთა“ და ფრიად კარგი და საჭირო გაზეთია. რას იტყვიან სხვები. როგორ გასაღდება, როგორ გაგრძელდება მისი სიცოცხლე? ესეც გავაკეთე და აწი (თუ დავაკანონე) რედაქტორობასაც გადავაბარებ ვინმეს. ვინ შეიძლება?

გუშინვე დავლოცეთ, დავამწყალობეთ „ლეჩხუმში“. დღეს მე ვარ მოქანჯალებული, მომინახულეს, დამირეკეს, კიდევ გამოვა ვიღაც...

8. III. 90 წ.

* * *

წავედი ცხრაში (9), დავბრუნდი თორმეტში (12). ხვალ წინასაარჩევნო შეხვედრა მაქვს და დღიური დასვენებისათვის გადავდე, ჩემი ჭკუით. ახლა ვაჟა თევდორაძემ („კომუნისტის" კორესპონდენტი) დამირეკა, სამი შეკითხვა დამისვა, სამი თავსატეხივით. ამელამ უნდა ვუპასუხო და ჩამოვაყალიბო მოკლედ. სამმა შეკითხვამ „ტურანდოტი" გამახსენა. სწორედ დღეს შევიარე კინოსტუდიაში და შემხვდა II რეჟისორი, ქალი, სახელიც (ბოდიშს კი ვიხდი) დამავიწყდა და გვარიცა. დღეს გადავეცით ლაბორატორიას ფირი ასლის დასაბეჭდადო, შესანიშნავი ფილმი გამოვიდაო. ელდარმაც მითხრა, კარგი მასალები ჰქონდაო. ღმერთმა ჰქნას. მე კი არა მინახავს რა. ასეთი შემთხვევა არ მქონია. ჩემმა გაქუთაისლებამაც გამოიწვია ეს.

დიდი ამბებია მოსკოვში. ირჩევენ (ბევრნი, არ გვინდაო, გაიძახიან) პრეზიდენტს. საქართველოს დელეგაცია ბოიკოტს აცხადებს. ჩვენი არაფორმალები (წერეთელი, ბათიაშვილი, III ვიღაც მონარქისტი (?)) ჩვენ, სესიას უცხადებენ პროტესტს. თქვენ არა გაქვთ საქართველოს გათავისუფლების უფლებაო... გიჟების კოოპერატივი გახდა თბილისი. პოლიტბიურო იშლება, ცეკას მდივნები (მგონი, პარტიაც) აღარ იქნებიან და ამას უშლიან ხელს, ამას აფერხებენ... არ იციან, არ უნახავთ და იმიტომ...

უჩვენოდ ვით იმღერეთაო, აქა ვართ ისევ ჯერ!

ამაზე უნდა ვთქვა სწორედ.

ფარაჯანოვი ცუდადააო (ფილტვის კიბო). იმდენად არ მიყვარს ეს ზნედაცემული ადამიანი, რომ ეს ამბავი არც კი მწყენია მაინცადამაინც (ესეც ჩემი სისუსტეა). რეზო უკეთესადააო, მტერი იქნა ისე... იქნებ მოხდეს სასწაული, მართლაც?!

12. III. 90 წ.

* * *

თარსი რიცხვიაო 13. არც ცუდად მაქვს დაცდილი, არც – კარგად. ამ საღამოს მოუწყვეს შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებს, მათ შორის – ჩვენც. წინასწარი მონაცემებით, გავიმარჯვეთ ჩვენ. კარგია, ეს თუ რაია? ეს არჩევნები, ისე მიდის საქმე, არც ქე ჩატარდება და გინდა გაიმარჯვე და გინდა არა... ახლა ნამეტანი გვიანია და ვუყურებ, ვუსმენ ყრილობას. გორბაჩოვი მიდის და მირეკავს თავისას.

კენჭისყრაა: ვიყოლიოთ თუ არა პრეზიდენტი (ჩანაწერია).

გაიმარჯვა საჭირომ. რამდენით რამდენზე, ვერ დავთვალე.

ხვალ აირჩევენ აგრონომს, ალბათ...

ალბათ კი არა, უეჭველად.

13. III. 90 წ.

P. S.

წულუკიძის სახლ-მუზეუმში მოვასწარი შესვლა. შესანიშნავი, კარგად შენახული ხის სახლი. მეზობლისას ტყემალი იყო აყვავებული გაუბედავად.

* * *

სამშაბათს მინდა წასვლა, იქნებ სხდომასაც(?) ჩავუსწრო კინოსტუდიაში. ვმუშაობ თუ არ ვმუშაობ იქა, აღარც კი ვიცი. ავტომანქანა გამომიცვალეს შავად... რომ გადავიხედე გუშინ ფანჯრიდან, გულს შემომეყარა, მაგრამ რას ვიქმოდი. ჩემი თუ ვიღაც იმისი არ იყოს, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო...

დღეს ისევ ჩავედი ლანჩხუთში, ისევ მივაკითხეთ ჩხარტიშვილებს ჩონჩხათში. საიმედო არაფერი, თუმც ეზო-გარემოა საოცარი, კარგია ნაღდად სოფელი. ოჯახის უფროსი (ჭიჭიკო) დაგვემალა, თუ არაფერი მეშლება. ლელა კვლავ რუსთავშიაო, ჩავალ რუსთავშიც...

გაუქმდეს არჩევნები, დაიშალოს ახლანდელი და თუკი შედგება – ისიც, პარლამენტიო, – იძახდა ზვიად გამსახურდია...

შემდეგ ვიღაც სხვა გარეწარი, სიგუა გამოვიდა, ყველა რუსთაველის რეგიონალური გამგებლები უარს აცხადებენ კენჭისყრაზეო... როდის შემეკითხა, თუნდაც მე, მართლა მაგის...

ჩავალ თბილისში, ჩავაბარებ წიგნაკს. განვაცხადებ (იქნებ სახალხოდ), ბოლშევიკები მძულდა, მაგრამ უფრო მეტად თქვენ მძულხათ-მეთქი. ეგ ეგრეა მართლაც.

რას ჩაიდენენ, კაცმა არ იცის, ეს ნაძირალები?!

ბევრი ვიარე, ორი სუფრაც მოვიცვალე, დავისვენო იქნებ! გამოვშუშდე უნდა!

16 მარტი, 90 წ.

* * *

გუშინ ვიყავი: ბაგრატზე, მოწამეთაში, შემდეგ ციხეში.

ჩემივე წინადადებითა და რჩევით მოაწყო შაშიაშვილმა ეს ექსკურსია შიგ ციხეში. აგვედევნენ მრავალნი ცნობისა და პატივის მოყვარენი... ისეთი ვერა ვნახე რა, რასაც არ ველოდი... ეგრე მომეჩვენა. ყავისფრად (ყვითელიც გადაკრავს) და თეთრადაა შეღებილი ყველაფერი. ასე ღებავენ ალბათ დიდი და დიდი ხანი. სტალინის საკანია იქა. იწვა ამ საწოლზე, არა შეგვიცვლია რაო... ვითომ ეკლესია, შიგ პატიმრებია, სხვაზე უკეთეს გარემოში სხედან...

მრავალი კარი გააღეს... ყველა თვინიერი, ტანად პატარა, ასაკითაც პატარანი, ზოგიერთს ცოლიც ჰყავდა, შვილიცა.

— რაზე სხედხართ?

— ნარკომანია.

— მანქანების გატაცება...

მხოლოდ რამდენიმე იყო ჯიბის ქურდობაზე, ქურდი ვარო, ერთი მკვლელობაზე (შემთხვევით), ერთი ხულიგნობაზეა, ერთი (ძველი მარქსისტივით) მარტო იყო საკანში. ჩვენი დანახვა არ გახარებია (?). ყველანი პატარანი ტანად, ასაკითაც, მაგრამ — ტანად უპირველესად, ბაცნები.

19. III. 90 წ.

* * *

ვიყავი თბილისში, ჩავაბარე პარტიის წიგნაკი № ..... განცხადებითურთ და მოვისვენე, მოვიშორე ეგ უწმინდურობა. ყველას უკვირდა (ჩემი ჩათვლით), რატომა ხარ პარტიაშიო... ბევრს ეგონა (მათ შორის მეც), რომ არ ვიყავი.

შვილიშვილები არ მინახავს, წამოვედი მძიმე გულით, უხასიათოდ.

„მოწამეთა“ მოწონთ. მიტოვება მიჭირს უკვე. როგორ გინდა იმუშაო ამ უქაღალდობაში. „ლიტერატურული საქართველო“ ხვალ განახევრებული (8 გვერდი) გამოვა. შიგ ჩემი წერილიცაა. გუშინ სტამბაში ძველ ცელოფანზე ამოჰქონდათ უკვე, ჩასწორება ვერ მოვასწარი, საჭირო იყო...

ბიჭები არ მინახავს. ოღია შემხვდა სასადილოში...

ორშაბათს საკრებულო... დეპუტატები აირჩიეთ II ყრილობისათვისო, რუსთაველის საზოგადოებაში მითხრეს... პარტიად უნდა გადავკეთდეთო, ეგ საჭიროა?.. საქ. კომკავშირი უნდა დაიშალოსო. ამას რას მოვესწარი!.. რა იყო ეს კომკავშირი, ჩემ დროსაც კი, ხომ ვერ გაიგებს ახლანდელი ახალგაზრდობა, ჩემს დროს უკვე აშკარად ფორმალურად, მაგრამ მყარად არსებობდა. ჩემ შვილებსაც კი ეუხერხულებოდათ უკომკავშირლობა, არა ვარ კომკავშირელიო, ვერ ამაყობდნენ. არ მიიღეს, როგორც ულირსები. ისე, რაც მართალია, არც ერთს უბრძოლია ამ ღირსებისათვის, არც მეორეს...

რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის დრო დგება... ამაზე უკვე ბჭობდნენ, მსჯელობდნენ, სულ სხვანაირად აზროვნებდნენ ამ ორიოდე დღის წინ. რამდენიმე წლით ადრე ნ. წულეისკირმა მწ. კავშირში კრებაზე თქვა: ისეთი პუნქტია კონსტიტუციაში (რესპუბლიკების გასვლას გულისხმობდა), რომ მისი წაკითხვა და გამეორებაც საშიშიაო. ეგრე იყო მართლაც.

22. III. 90 წ.

* * *

ვნახე, წავიკითხე „ლიტერატურული საქართველო“. ჩემი წერილია დამახინჯებულად. წნევიანს ისევ ამიწია წნევამ. არ წავიკითხავ-მეთქი, ვფიქრობდი, გული ცუდს მიგრძნობდა. მართალი გამოვდექი. სისხლი რომ არ ჩამქცეოდა, ვახშამს ღვინო დავაყოლე... როგორ ვუპასუხო, არ ვიცი. ამაზე ვფიქრობ ახლა. ძალიან ბევრი საქმე და საფიქრალი მაქვს და ეს მშველის. უსიამოვნებებს ეს აქარწყლებს...

ზ. კუხიანიძის ძმა მოკვდა მოულოდნელად. ტელევიზორში „ვზგლიადია“, აქ ბევრი ცემენტია, რემონტი არ მთავრდება. თუ დამთავრდა, კარგი გამოვა. კოხტა და კომფორტული ბინა დარჩება ერთი კაცისათვის... ეს ერთი ვარ მე...

23. III. 90 წ.

გადაყოლილი ვარ ჟურნალს და შედეგი, რეზულტატი (მასიურად) არც კი ჩანს, ერთმა ნომერმა გაზეთისამ კი უამრავი მითქმა-მოთქმა და გამოხმაურება (ქებითა და გინებით) გამოიწვია.

* * *

დღეს ჩავატარე საკრებულო (რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის კრებას გულისხმობს რედ.) რადიაციული პროდუქტების არსებობასთან დაკავშირებით. ეს უკვე საქმეს ჰგავდა... გაგულისებული წამოვედი თბილისიდან... როგორ გაძლებენ უჩემოდ, მაინტერესებს... მე რომ ვერ გავძლებ, ეს კი ვიცი... იმათ უფულობა შეაწუხებს, მე – უიმათობა, მცირეოდენი გადახრებით.

მურმანთან ვიყავ გუშინ, ძველი ქუთაისური სახლი ნამდვილ ქუთაისში, ძველი სასტუმროს (Франциа თუ ევროპა) ნაწილია. ვისადილე მხოლოდ. დღე ამერია დროის გადაყვანასთან დაკავშირებით და ადრე ავდექი, ავდექი რა იყო – დავწექი. შუაღამისას გამეღვიძა, ვაჭყიტე ერთხანს თვალები, შემდეგ დოსტოევსკის

(„იდიოტი“) კითხვა დავიწყე. ვიკითხე, სანამ თვალები არ მეტკინა. ვკითხულობ, მიზიდავს, არ მაინტერესებს, კნიაზ მიშკინის ტიპია თავიდანვე გამოკვეთილი... მოგონილი და იმიტომ იგონებს და ტკბება თავად. არ მიყვარს მე ეგ მოგონილი ნაწარმოებები.

26. III. 90 წ.

* * *

ვიყავი „ფერმაში“. დავათვალიერე კარგად, დაკვირვებულად, ადრინდელზე უკეთესად. სამი ხე ერთ ადგილას. სექვოია, ფიჭვი, ჭადარი... ერთმანეთს ეჯიბრებიან სილამაზით. საინტერესო ქალი გვიხსნიდა, მეგზურობას გვიწევდა... უნდა დავაგზაკვალიანო ვინმე და დავაწერინო რაღაც ჟურნალისთვის, გაზეთისთვის... მეოთხე ნომერი უნდა ჩავუშვა ხვალ მიშველაძის მოთხრობითურთ... არა მაქვს პატარა მოცულობის სხვა არაფერი... ეს კაცი წერს, წერს... თავს იმართლებს ისევ... შეაყარე კედელს ცერცვი, შეაფურთხე, თუ გინდა. ახლა ახკომში (ახ. ივერიელი) გამოსულა, ზურაბის ძმის პანაშვიდზე წამაკითხეს... ცრუობს აშკარად, ყველა პუნქტში ცრუობს მეტნაკლებად. თამაზი და ჯაველიძეც კი გაიამხანაგაო, ნიჟარაძემ მითხრა. ამ ადამიანებში როგორ უნდა იმსახუროო, შემომჩივლა. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ თამაზი ვერ დანიშნეთ მდივნად-მეთქი. ეგრეა. დედას აგინებდა ჯაველიძე მიშველაძეს და მეკავშირედ გაუხდია ხუტას წინააღმდეგ. აქეთ მიშველაძე, იქით დოიაშვილი-ბრეგაძე, ჯაველიძე-წივწივაძე, ხუტა, იქით ნოდია, მ. ქვლივიძე. დაიყო, დაიქსაქსა... ჯანსუღი, ზოგიერთი სხვაც, ბოლოს შევლენ ომში. მუხრანი აქტიურად გაფართხალდა ამ მდაბალ კინკლავში... პატივმოყვარეობამ მიიყვანა იმ თანამდებობაზე და ახლა იწვნევს, აწი და აწი იწვნევს ცრუპატივმოყვარეობის შედეგს. იყო „საუნჯეში“. სულ ვფიქრობდი, რა უნდა უნდოდეს შემოქმედს მეტი, რედაქტორია, პატივს სცემენ, მანქანა ემსახურება, ალმანახს სხვა უკეთებს, საზოგადო საქმე არაფერი.

წერე, იკვლიე, თუ რამე შეგიძლია და იდექი ოპოზიციაში. ვიყავით მართლაც, ვხითხითებდით. ჩვენს გარშემო იყო შემოკრებული ნიჭიერი და მახვილგონიერი ხალხიც. არ მოისვენა, ისე, როგორაც არ ასვენებს ბევრს გამგებლობა! ენ. ნიჟარაძეს „დილა“ გაუხდება სანატრელი... ამათ კატეგორიაში არ გავდივარ მეც? არა! მე საქმეს დავეხარბე. თანაც: გამოვექეცი თბილისს, ცოლს, ვიგრძენი, დრო გამირბოდა და ქუთაისი მჭირდებოდა, ქუთაისს ვჭირდებოდი. ეს გამართლდა. ახლა აღარც კი მინდა იქით წასვლა. რეზიკო მექაჩება ნათელი სხივივით... გაიზრდება და ისიც (რაც სავსებით ბუნებრივი იქნება) გაუცხოვდება, ზედმეტი გავხდები მისთვისაც... თუ არ გავხდები, თუ არ გავხდი, ჩემი სახელი, ავტორიტეტი და ფულიც (სხვისი სარჩენი არასოდეს გავხდები) იმოქმედებს.

ახლა გვიანია და ბევრი საქმე მაქვს. „ბახაიას“ ვწერ უინტერესოდ... მომდევნო ნოველებს მივაყოლებ ხალისით იმ კვირია. არ დავმთვრალვარ ეს ორი დღეა. წვეთიც არ გამისინჯია (არ ვარგა), წვეთი არ ჩამიშვია პირში.

27 მარტი, 90 წ.

* * *

დადგა აპრილი, ჩემი თვე. თბილოდა და ოდნავ წახდა ამინდი. მაინც გაზაფხულია. წყავის ნერგი ჩავრგე ეზოში. თბილისში არ დამირეკია გუშინ, ჩემთან იყვნენ ჯ. გედენიძე, ენი და ზურაბიც...

გალაკტიონი, ყველა ნიშნის მიხედვით, ეგოცენტრიკი, უფრო მეტი, სუფთა მანიაკია. რამდენად ნიჭიერი იყო, რომ იმ დროს, იმ პირობებში შექმნა და იარსება... მისი ცხოვრების ნირი, რაა დასამალი, ლოთობა, შემოქმედების მტერია. ან ის როგორ დაწერა, რაც დაწერა, ან მე ის როგორ დავწერე, რაც დავწერე...

ხვალ არაფორმალების კონფერენციაა, რომ არ მივიდე, დამძრახავენ... მიხვალ და რა გაძლებს. ჩამოსულნი იყვნენ: იორამი,

ლევანი, სხვები... გამომიარეს წასვლისას გუშინ... ფეხზე ვერ იდგა ვერც ერთი. ცემა-ტყეპით კინაღამ გავყარე ყველანი. დილიდან დაუწყიათ სმა სასტუმროს რესტორანში, სოსოიას უთამადია და სხვებიც შესწრებიან... ჩემთან რაღას მოდიოდით-მეთქი. ბენიამ ითამადა, ბენიასაც ვაწყენინე... გავისტუმრე ლოთები, სხვა ლოთები მოვიპატიჟე და მეც ვილოთე. დღეს „მოწამეთას“ მაკეტი გავაკეთე. ახლა ღამეა, მიჭირს დაწოლაცა (სხვა ოთახში გადავედი რემონტის გამო) და დაძინებაც.

2 აპრილი, 90 წ.

* * *

ერთი კვირა დავრჩი თბილისში, ამასობაში მომადგა აღდგომა. დღეს წითელი პარასკევია, ვიმუშავე სამსახურში (ზევით, ქვევით), ო. ბრეგაძის მოსაგონარ საღამო-სუფრას დავესწარი, იქედან გადავინაცვლე თეატრში. ვნახე დ. ტურაშვილის პიესა, ლილი ბურბუთაშვილის სპექტაკლი. რაღაც არის საინტერესო იმ ინფანტილურ, თავმოუყრელ მასალაში. ახლა „ვზგლიადია“, შევარდნაძეზეა გადმოცემა, თან ვწერ, თან ვისმენ. ხვალ ასაფლავებენ ა. ფხაკაძეს. სიტყვა თქვიო, მთხოვეს, არ მეკუთვნის -მეთქი. მართლაც ასეა... „მოწამეთა“ იბეჭდება, „განთიადი“ № 3-იც იბეჭდება, № 4 იკვრება და საქმე მიდის წინ...

12. IV. 90 წ.

* * *

გაირბინა აპრილმა და 9 მაისია. ჩამოველ თბილისიდან საპირველმაისოდ წასული. წავედი კვირადღეს (ახლა ვნახავ, რა რიცხვი იყო), 29 აპრილს, დიეტაზე ვარ მას შემდეგ. დაბადების დღეზე დიდი სუფრა გამართეს გელათში, შემდეგ წაეწყო და კვლავ მიმტყუნა ჯანმრთელობამ, ამჯერად დროზე მივიღე გადამჭრელი ზომები. დღეს ვაკის პარკში წავედი რეზიკოთურთ, ლევანსაც გავუარე. არავითარი მიტინგები, არც ჩვენი, არც ინ-

ტერფრონტისა. შეიძლება, დავაგვიანეთ, დროშებით მოდიოდნენ, ბრუნდებოდნენ ბაღიდან ახალგაზრდები... პარკში ხალხი ბევრი, განწყობილება მშვიდობიანი და კარგი. კინოსცენარს გადავხედე საბოლოოდ, ჩავასწორე, ერთი კარგი ეპიზოდიც ჩავამატე... ეგ იყო, მეტი არა გამიკეთებია რა. სტატია მაქვს დასაწერი („ვინ იყო ბელობოროდოვი"). ვეზმანები, წინ მიდევს მასალა, დაწყება მეზარება, როგორც ყოველთვის. ადრე მდინარეშიც ერთბაშად გადავეშვებოდი (ეს ბავშვობაში), მერე და მერე სხვანაირად დავიწყე ბანაობა. ვდგევარ, ვემზადები, მკლავებსა და მკერდს ვისველებ, ფრთხილად შევდივარ. ასე ვიწყებ წერასაც, დღიურს კი დაუფიქრებლად, მოუმზადებლად ვავსებ ხოლმე. ბულგაკოვის წიგნი არ მქონდა ბოლომდე წაკითხული, ბოლო მიმრჩა და ახლა ჩავიკითხე. ტოლსტოისაც ჰქონია ეპილეფსიური მომენტები. სხვებთან ამაზე არაფერია ნათქვამი, მინიშნებულიც. ტატიანა სუხოტინაც არაფერს ამბობს, თუ არ მეშლება.

მუხრანი ცივად მესალმება, რა დავუშავეო, სხვებს ეკითხება თურმე. რა დამიშავა, არაფერი, რა გამიკეთა, არაფერი, რა გააკეთა, ვერაფერი (?), ის არ ან ვერ გააკეთა, რაც მთავარი, სულ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სამწერლოში. გაზეთში ბეჭდავს და მებრძვისო, გ. ბენიძეს გულისხმობს, განგებ თუ საგანგებოდ დაწერილი სტატიები გონია. ამნაირ წვრილმანებს (მეორე წერილი არც ჩამიკითხავს ხეირიანად) აქცევს ყურადღებას... პატივმოყვარეობა არ ასვენებს ხალხს, პატივმოყვარეობის ჭია ხრავს ბჟოლის ფოთოლივით ზოგიერთს. ლევანმა მითხრა, ხალხი ლაპარაკობს, მუხრანის ადგილი გინდაო, ეგრეა ზუსტად-მეთქი, ვუთხარი. ერთი აქაური გახელდა და რაც ბოღმა ჰქონდა, ამოანთხია. გაგინებენ აქაურები უკვეო. ძალიან გვიან დამიწყეს გინება-მეთქი, ვუპასუხე. სამწუხაროა, ასე გვიან (მეოთხე წელიწადზე) რომ მივიპყარი მათი ყურადღება...

მამულში ვიყავ და დავამუშავე პატარა ნაკვეთი მარტომ

და ავადმყოფმა. მესამე დღეს მომეხმარა მამუკა. ჟალტამი და გლერტა ბალახი იყო მოდებული. ფესვებიანად დავთხარე სარეველები. დავთესე:

1. კარტოფილი,
2. ქინძი,
3. ოხრახუში,
4. ნიახური,
5. რეჰანი (რად მინდოდა ერთი კვალი რეჰანი)
6. კამა,
7. სტაფილო,
8. ხახვი,
9. პრასი და
10. ბოლოკი...

მარწყვის და კიტრის ჩითილები ჩავრგეთ ლობისძირებში. ესენი არ გაიხარებენ... აღარც მინდოდა აქეთ წამოსვლა. ძალიან მომწყინდა ყველაფერი (აქაური საქმეები), შენს საქმეს მიხედეო, სწორი მითხრა ლევანმა...

22-ში ყრილობაა რუსთაველის. იქნება მოვასწრო გაზეთი. ეხვეწო და იმათხოვრო უნდა ისევ ქაღალდი, ნებართვა...

9. V. 90 წ.

* * *

ცივი მაისია. წვიმს ქუთაისში და ყველგან სხვაგან, მე მგონი, საქართველოში. გუშინ ხონში ჩავედი პატარა და საინტერესო საკონფლიქტო სიტუაციის გასარკვევად. საინტერესო დღე იყო, დასამახსოვრებელი. არასრულ ანგარიშს გამოვაქვეყნებთ „მოწამეთაში". წვალებით ვუშვებ ფიზიკურად მესამე, რიგით მეხუთე ნომერს. მერე რა იქნება, აღარ ვიცი... 22-ში ყრილობაა რუსთაველისა. უნდა დაიშალოს ეს საზოგადოება, ან უნდა შეიერთოს ან უნდა შეუერთდეს ვიღაცას...

ტატულის აუწია წნევამ, გაუჟონია კიდეც, ენას უკიდებს,

ცალ ხელს ცუდად ხმარობს... ახალგაზრდამ ღვინოს დააჯაბნია თავი, თუმცა მხოლოდ ღვინის ბრალი არ უნდა იყოს. ჯიშად აქვთ სისხლძარღვები მოშლილი და გაფრთხილება უნდოდა ჯანმრთელობას. სანამ, რა დრომდე და რა დროს უნდა გაუფრთხილდე, საინტერესო სტატია წავიკითხე „ნაუკა ი ჟიზნში“, №4. ისევ ხოლესტერინს აბრალებენ ყველაფერს, უნდა ავიცილოთ ხოლესტერინიო. როგორო, არ წერია. მარტო ჭამაზე და დიეტაზე არ ყოფილა ეგ დამოკიდებული... შთამომავლობა, გენები და სხვა. პროფილაქტიკა შეიძლება, ალბათ, მაინც. მერე და მერე გაუმჯობესებენ მკურნალობას ამ მხრივაც...

წლევანდელი წლის „ოგონიოკში“, №18, გამოქვეყნებულია ვინმე თუმანოვ-თუმანიანის წერილი – „Не будем сжигать мосты“. ერთ ალაგას იმოწმებს ელიზე რეკლიუს, გაქრა ეს წიგნიო, დარდობს... აღარაა წიგნი, რომელშიცაა „ ... скрупулозно, без ложной боязни обидеть и без стремления польстить собирал из мельчайших деталей портреты народов, порожающее своей точностью и обьективностью и дающие полное представление о национальном хароктере, включая все их сравнительные достоинства и недостатки“.

როგორი მცოდნე და ობიექტური იყო ეს ავტორი ნაციონალურ საკითხში, ამას ვნახავ (მახსოვს) და გამოვაქვეყნებ კიდეც. ამოვიწერ უბრალოდ, რას ფიქრობდა (ქართველების დამცირების ხარჯზე) სომხებზე. თუმანიანმა ეს იცის, ამიტომ მიტირის იმ წიგნს.

12 მაისი, 90 წ.

* * *

ახლა ვკითხულობ „საქართველოს ისტორიის ეთნოგრაფიულ ატლასს“... საინტერესოა ჩემთვის, მწერლისათვის აუცილებელი. რაღაც-რაღაცეები გამახსენდა. თუნდაც საცეხველი, მე თავად მიცეხვია ღომი კაკვით. მძიმე იყო და დამღლელი

ბავშვისათვის. ხალისით დავიწყებდი (თამაშივით), რამდენიმე წუთში თამაში ტანჯვად იქცეოდა და მივანებებდი თავს. არავინ მაძალებდა, თუმცა ქალების საქმედ ითვლებოდა, ღომის ყანებიც მახსოვს დედულეთს; 1947-48 წლამდე იყო კიდევ, თუ მეხსიერება არ მღალატობს...

საწყაოები მრავალნაირი. ბათმანი, ფოხალი... ხის ჭურჭელი. ფქვილი ინათხოვრა (?), ისესხა სოფელში მეზობელმა. ბებიამ რაღაცნაირად დაფიქრებულად გაავსო ფოხალი, დატკეპნა და არც ძალიან დატკეპნა დაფქული. მეზობელმა მეორე თუ მესამე დღესვე დააბრუნა იმავე ფოხალით. ბებია არ ელოდა თუ რა იყო, გაეხარდა და საწყაო არ შეუმოწმებია. ჩემმა დეიდაშვილმა ანიკომ ანიშნა: ჩვენ დატენილი გავატანეთ, ამან რა მოიტანაო და დააჭირა პატარა ხელები, დატკეპნა, ფქვილი დაიყვანა ქვევით... აფურფუტებულად იყო მართლაც ჩაყრილი, ცოტათი ჯობდა ჩვენი გატანებული, ცოტათი — მეტით არა.

ნათაძემ ილაპარაკა, სხვათაშორის, ნორმალურად, ტელევიზორში, რაც მთავარია, საჯაროდ თქვა, არჩევნების ჩაშლა ზურგში დანის ჩაცემას უდრიდაო. თავგასულ ლიდერებსაც შეუტია თავისებურად.

თბილისს ველაპარაკე. რეზიკო გამომეხმაურა. ქუთაისიდან რეკავო, მკითხა. შაბათს დილითვე გაფრენილან გერმანიაში მამუკა და მაია. წასვლა მინდა, მაგრამ ძალიან ბევრი საქმე მაქვს. ხვალ თამარობაა გეგუთში. მებრძვიან უკვე საბნელოდან, ქუთაისის მწერალთა განყოფილების ბუნაგიდან. ცოტა ხნით გავყუჩდები.

იუზამ დამპატიჟა წვერაზე. მხოლოდ წვერა გავსინჯე — რიონის წვერა. შინაც ჩამომიტანა ორი კარგი, კარგად მოხარშული წვერა.

ხვალ 14 მაისია, 90 წ.

* * *

გეგუთში გახლდით გუშინ, 14 მაისს. თითქოს საგანგებოდ გამოიდარა, დააცხუნა კიდეც. ხალხი საკმარისზე მეტი. რაღაც ზეიმივით. ცხენბურთაობა, ჯირითი და სხვა უღიმღამოდ და მაინც სათვალ-სასეიროდ. ცხენები უჯიშო, ქუჩის ძაღლებივით... ასე შემდეგ და ისე შემდეგ.

სამაგიეროდ, სუფრა ბოდოკიების მშვენიერ ეზოში, უზარმაზარი მოლი, დიდი კოპიტები, აყვავილებული აკაციები, ზურნა-დოლი და სხვა. თამადა ადგილობრივი, ინტელიგენტი, თამადობაც ადგილობრივი მნიშვნელობისა, ან ძალიან გაწვრთნილ-გაწაფული ინტელიგენტი უნდა ამ საქმეს ან სრულიად გაუნათლებელი. უშუალობით, მოკლე სიტყვით და ტრადიციის შინაგანი შეგნებით რომ გაიძღოლებს სუფრას. კარგა ხანია, არ დამილევია და ჭამაზეც თავს ვიკავებ... დავწერე და დავბეჭდავ „მოწამეთაში“ პატარა რაღაცას, „ვინ იყო საშა ბელობოროდოვი“. ხვალვე წავალ თბილისში. დღეს ფეხბურთს ვუყურე მთავრობის ლოჟიდან. წელს შემახვედრეს ეს პატივი, სტადიონზე კი ამ ხანში პირველად მივედი. ქარიანი დღე იყო და გავცივდი კიდეც, მგონი. ყელი მტკივა რაღაცნაირად. სტადიონი გაჭედილი. საქართველოს პირველობას ინტერესი არ ექნებაო, ეგრე არ გამოვიდა...

მოიგო თბილისის „დინამომ“, უკაცრავად, „იბერიამ“ — 2:0.

ხვალ თბილისში წავალ. აქაური საქმეები (ხვალ შუადღემდე დრო მაქვს) მოვითავე, მე მგონი, გუმბარიძის სიტყვასაც მოვუსმინე ტელევიზორში... კომუნისტის პირობებზე კარგადაც კი გამოვიდა.

სხვა? არც არაფერია ახალი.

კომკავშირს შეუცვივდნენ შენობაში და აღარავის გაკვირვებია. თბილისის ვარიანტი გაიმეორეს.

განახევრდა მაისიც — ვარდობისთვე.

15 მაისი, 90 წ.

* * *

გვიანი ღამეა, 12:57. საბჭოთა კავშირის ნაკრები (ფეხბურთი) ეთამაშება ისრაელს ისრაელში. ისრაელი იგებს 3:2-ს. დიდი ფული აქვს, თუ ყველას არა, ჩანოვს აღებული. ნაღდათ ასე იქნება, სამივე, როგორც გედი იტყოდა, „ტუფტა“ ბურთი გაუშვა. დღეს უნდა დამემთავრებინა პატარა მოთხრობა, „ნიკალაი გრაჩოვი“. მოვხაზე, ხვალ მოვრჩები. გუშინ კი „შახაია“, სათაური შეიცვლება ალბათ, დავწერე... ვერ წავედი თბილისში, ველოდები № 4-ის სასიგნალოებს. გვიან ამომიტანეს. ეს ნომერი ეკლექტიკური გამოვიდა. სად სტალინი, სად „ცისფერი ყანწები“, სად ერეკლე და ასე შემდეგ. ს. ხაბეიშვილის ლექსები და სომხიშვილის წერილი სამაგიეროდ. უკვე გაავრცელეს ხმა, შევარდნაძის წინააღმდეგიაო... მთავლიტი თავს იზღვევს, ხელებს იბანს...

ამ ადამიანის გადამკიდეს, აღარც კი დამედგომება ქუთაისში, არა და, არც მინდა წელს წასვლა. ისე მიდის საქმე, რომ უსამსახუროდ დარჩენაც ძნელია... ჰონორარი, მგონი, სულ წაგვართვეს. ყველაფერი ინტელიგენციაზე და პატიოსან ხალხზე უნდა გადატყდეს. ქურდი, მახინატორი, საქმოსანი, არც საშემოსავლოს იხდის, არც პარტიის საწევროს. წვრილი ვაჭარი რასაც იპარავდა, იმას მოიპარავს და ფულიც ექნება... ჩვენ ხვიშტი?

16 მაისი, 90 წ.

P. S.

ეს სულ დამავიწყდა. რობაქიძის წერილი წავიკითხე, სანამ წერას დავიწყებდი. „ეგნატე ნინოშვილი“ ბროშურად ყოფილა გამოცემული 1930 წელს. შესაშურად კარგი წერილია. როგორ მშვენივრადაა დანახული ნინოშვილი და გურია. რას არ წერდნენ ნინოშვილზე მახარაძე და სხვები. აქეს, ადიდეს, შე-

აძულეს ხალხს. აქ სულ სხვანაირადაა, სადად, მშვენივრადაა მოთხრობილი. პოზიორობის ნატამალი, რაც ასე ახასიათებს რობაქიძეს, არ იგრძნობა. სტალინზეც კარგი წერილი აქვს დაწერილი, რ. ინანიშვილმა დაწერა კიდევ მშვენიერი მოთხრობა ეგნატეზე...

რა ყოფილა ეს ეგნატე!

* * *

დღეს გავასვენეთ დათო, ემზარის ვაჟი. უბედურად ამოხდა სული. იტანჯა, წინაპართა გენი ტანჯავდა და მოუღო საკუთარ თავს ბოლო. ბევრი და ძალიან კარგი ხალხი იყო. ეგ არაა ელიტა, არც თბილისი და თბილისელები. მაინც ნაღდი ხალხი, ლიტერატორები და მწერლები. აეტს შევხვდი, უკან იდგა და მომჩერებოდა, ვიგრძენი.

გუშინ დავესწარი „საქართველოს ეროვნულ ყრილობას" სპორტის სასახლეში. ხალხი ბევრი. მოვიდა ილია. საგანგებო შემოსასვლელით შემოვიდა, ეფექტზე მუშაობს უკვე (?). რეზო გამახსენდა, თაბუკაშვილი. ხალხი ფეხზე აუდგა ილიას, ტაშით შეეგება. სიტყვა თქვა – ტაში, ლოცვა თქვა – ტაში, წავიდა – ტაში. კაგანოვიჩია, ვერ გავიგე!.. სიტყვები: წერეთელი, მერეთელი, ჭანტურია და ძმანი მისნი. მე არ მჯერა ამათი. კაკაბაძემ დაიწყო ბოლოს ღეჭვა და ხალხი წავიდა. ცნობისმოყვარენი (ჩემი, იორამის, ლევანის ჩათვლით) წავიდნენ. ჩემნაირები შემხვდნენ გარეთ, ისინიც წამოსულიყვნენ. დღეს რა მოხდა, არ ვიცი, ხვალე რა მოხდება – სულ არა.

ახლა „ვრემია" დამთავრდა, მე უკვე ქუთაისში ვარ. ხვალ ერთი „ქაღალდი" უნდა ავიღო და დილითვე, ამჯერზე მარტომ, გავსწიო თბილისისაკენ, რათა დღის ბოლოს, სამუშაოს დამთავრებამდე ჩავაბარო სადაც ჯერ არს და იქნება ავტომანქანის ფულიც (გაზ-24) შევიტანო სალაროში.

რიჟკოვი გამოსულა და ააფორიაქა ხალხი. კომენტარებიც გაუკეთეს რიჟკოვის გამოსვლას ცუდად... გლახად, ნამეტანი გლახად მიდის საქმე... რა გვეშველება?!

24 მაისი, 90 წ.

(ჩემი დაბადების დღე, პასპორტით)

* * *

საბაგირო ვაგონები ჩამოცვენილა თბილისში. დაღუპულან ბავშვებიც... ეს ძალიან სამწუხაროა... ამ დილით წამოველ სწორედ თბილისიდან, კარგი გათენებული იყო, მაგრამ ხალხს ეძინა. დავიღალე. საერთოდ, დაღლილი ვარ. ამ საბაგირომ დამამწუხრა. არ შემიძლია წარმოდგენა და ყველაფრის გულთან მიტანა, თორემ ამდენს ვერ გავუძლებ, ვერც მე, ვერც სხვა... მაგრამ ეგ ადამიანური თვისებაა. იცილებ და სადღაც შენს გარეშე, შენგან დამოუკიდებლად აღიქვამ სიგლახეს, უბედურებას განსაკუთრებით.

გამოვიყვანე „24-10“. გამოყვანამ, შენახვამ, მოვლამ და აჟიოტაჟმაც კი დამღალა. მგონი, დავაბინავე სადღაც საიმედოდ. სადა მაქვს ამდენი დრო, ავტოსაც რომ ვემსახურო. სამსახურის მანქანაც წაყვანილი მყავდა და სამი ავტომობილი გვეყენა ფანჯარასთან. ეს მეზობლებს აღიზიანებდათ, ცხადზე უცხადესია. თერთმეტს უკლდა ცოტა, რომ ჩამოვედი. სამსახურშიც ვიმუშავე ინტენსიურად, ჩემი ჭკუით. მყავდა სტუმარიც, ახლა გავისტუმრე. „ვზგლიადია“ ტელევიზორში, იმასაც ყურს ვუგდებ. 1926 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერი „მნათობი“ ჩამივარდა ხელთ. ისიც გადავიბალახე და სულ ცოტა წავიძინე კიდეც... ყავას კი ვსვამ, მაგრამ მუშაობას ველარ შევძლებ, ვატყობ... დავწვები, ვიკითხავ, სანამ წიგნი (თუ „მნათობი“) არ გამივარდება ხელიდან. დილის ძილის გატეხვა მიჭირს ნამეტნავად.

1 ივნისი, 90 წ.

* * *

შაბათი დღე იყო გუშინ, 2 ივნისი, სულიწმინდის მოფენის დღეო, ტირიფობას ეძახიან აქაურები. ყვავილებითა და საკურთხით გადიოდნენ სასაფლაოზე. შაშიაშვილმა ზუსტად ამ დღეს შეკრიბა აქტივი და გაიყვანა ქალაქში. მეც მივედი და სწორადაც მოვიქეცი. ჯერ ერთი, ჩემი წამოწყებული საქმე დავაკანონე, ბესიკის ქვა მამია გურიელის საფლავის გვერდით დაიდგმება, მეორეც ისეთი ვნახე, ისეთი ქარხნები და „ობიექტები", რომლებსაც მარტო ვერ ნახავ, საგანგებოდ ამისათვის დროს და ენერგიას ვერ გადადებ.

პანთეონი მწვანეყვავილა, წმ. გიორგი, მაუდის ქარხანა (შენდება და მონტაჟდება), ადრინდელი სამკერვალო, ამჟამად „იმერეთი", წყლის რეზერვუარები და ქალაქის ასაქცევი გზა, ჭოგნარი – სატრაქტორო ქარხანა... ამ გზით მე ვარ სხვაზე მეტად დაინტერესებული. ჩემს ეზოსთან შეწყდება (წლის ბოლოს (?)) რიარია და მოისვენებს ყური და ფილტვებიც.

ამ გზის გახსნის სურვილით ამოუვიდა სული საწყალ დედაჩემს... წელს გადააქვთ გზაო, იძახდა ყოველ წელს, სიცოცხლის ბოლომდე. ის გზა კი (ვნახე საგანგებოდ ერთხელ) დაწყებულიც არ იყო. შემდეგ, როდის-როდის, ხიდი წამოიწყეს წყალწითელაზე და ასე შემდეგ. 1988 წელს მითხრა ყანჩაველმა, წელს, მაისში დამთავრდებაო. აბზიანიძემ თქვა, ვერ თქვა მართალი, წლის ბოლომდე არ იქნებაო, შარშანაც გააწლისბოლოეს და წელს, 1990-ს, რეალური პირი გამოუჩნდა.

ქარხნებს კი (სამკერვალოს, მაუდს) უცხოელები ამონტაჟებენ. ასევე გაკაპიტალისტდება უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის ქარხანაო. იმას შემდეგ ვნახავთო...

სასტიკად ცხელოდა გუშინ. დღეს უკვე გრილა. არ წვიმს, მაგრამ ცას პირი ჩამოსტირის.

ბოლოს ბრეგაძის სახლ-სახელოსნოში შეგვიყვანეს. ექიმი

ბრეგაძე ხეზე მუშაობს და რამდენიმე ხე კარგადაცა აქვს დამუშავებული. საექსკურსიო და საუცხოო კი იქ, ჩემი მიხ-ვედრით, არაფერია. საფიჩხიიდან ფეხით წამოველ ნოდარის სახლამდე, რეზო ჯავახაძესთან ერთად. იუზას შევძახე, რე-ზოს რომ დავშორდი. შვილიშვილი შეძენია და გამოუყვანია კიდეც. სუფრა იწყობოდა და ვინღა გამომიშვებდა. არ დავლიე (დავლოცე მხოლოდ), მაგრამ სუფრას შევრჩი, შინ ჩამოველ საღამოს, წამოვწექი, დამძინებოდა, გამეღვიძა, ღამე იყო, გავი-ხადე, დავიძინე კვლავ. „ვრემია“ არ მიყურებია. დილით ადრე ავდექი და ახლა კი ვარ მართლაც გამოძინებული. თბილისშივე გადავათეთრე „არქანჯელო“, ახლა „მიშა გრაჩოვს“ ვათეთრებ, გადაბეჭდვის მეტი არა დაჭირდება რა...

3 ივნისი, 90 წ.

* * *

ახლა დავასრულე „გენერალი ალავა“ ან „წყალი აუცილებ-ლად დაუბრუნდება ძველ ნაპირს“. ნოველაა ალბათ. რა დიდი რამე მე კი დავასრულე, რომ ვაფიქსირებ. შავია, მაგრამ, მე მგონი, ვარგა.

მსოფლიო ჩემპიონატი მოახლოვდა ფეხბურთში... ამ სახ-ლში ვუყურებდი ერთ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატს, ეს იყო 1966 წელი. „ლონდონი, ინგლისი“. ტელევიზორიც კი მახსოვს — „სიგნალ“. მამუკა იქნებოდა 8 წლის. ისიც უყურებდა უსის-ტემოდ. აღარც კი ახსოვს, მე მგონი. ეგ იყო, თუ არ ვცდები, პირველი პირდაპირი გადმოცემები. შვეცია 58 და ჩილე 62 არ გვიყურებია, ვისმენდით რადიოში გაჭირვებით. 66 წლიდან ფეხ-ბურთი ფეხბურთს დაემსგავსა მილიონობით მაყურებლისათვის. ჩამოვწერე ახლახან ჩემი მახსოვრობის მსოფლიო ჩემპიონა-ტები.

... ცხრა ჩემპიონატი, სატელევიზიო შვიდი დიდი ფეხბურთი მახსოვს... ჯერ არდაწყებულიც მიმითვლია. რვა მახსოვს, აქე-

დან ექვსი მაქვს ნანახი, ორი (არასრულად) მოსმენილი. ამასობაში ქე გასულა (გადის) 32 წელი...

4 ივნისი. 90 წ.

* * *

ბიზეს „კარმენი" ჩაფლავდა იტალიაში, აგინებდნენ, თათხავდნენო (ტელევიზორში ვისმენ). ავტორი მშვიდად შეხვდა ამ უბედურებას გარეგნულად და სულ მალე გარდაიცვალა თურმე. გადაყვა ამ ფაქტს, რაღა ლაპარაკი უნდა. ოთხი თვის შემდეგ კი ავსტრიაში დადგეს „კარმენი" უდიდესი წარმატებით. ბიზე კი მოკლეს სნობებმა, უნიჭოებმა. ესენი (ელიტა) ბატონობენ საზოგადოების აზროვნებაზე, მათი განათლება, არისტოკრატობა ფარავს სნობიზმს და ესაა საშინელება.

რა მომხდარა დღეს თუ გუშინ ქუთაისში:

მშობელს მოუკლავს შვილის კლასის დამრიგებელი, გაქცეულა სკოლის დირექტორის მოსაკლავადაც, ვერ მოუხერხებია. როგორ გაამწარეს, წარმოდგენილი მაქვს. მხეცი გააღვიძეს. არამხეცს გული უსკდება, ან სისხლი ექცევა ტვინში ასეთ დროს. შვილი გაუგდეს პროფტექნიკუმში. უხვეწნია მამას, ნუ მიზამთ, ძნელად აღსაზრდელი შვილი მყავს, დამელუპებაო. პირიქით, გამოსწორდებაო, უთხრეს ალბათ. შვილს კი თავი ამოუყვია ციხეში, რაც სავსებით ბუნებრივად მოსდევს ამ ზომას ჩვენში... კაცის მოქმედებას ეს არ ამართლებს, მაგრამ ძალიან გაამწარეს. ჩემ თავზე მაქვს გამოცდილი. მამუკას გაგდება უნდოდათ სკოლიდან, პროფტექნიკუმში გადაიყვანე, გინდა თუ არაო, ტატული მაძალებდა... ჩემამდე ოთარ იოსელიანის და გ. შენგელაიას შვილები გააგდეს. შევარდნაძის ბიჭს (ერთად სწავლობდნენ) უსუფთავებ კლასს-მეთქი, ვუთხარი ტატულის. როგორ გეკადრებათ, რას ამბობთ, გესმით თქვენო, თვალები გადმომიკაკლა ქალმა, ვითომ ამ წმინდანის სახელი (შევარდნაძის) როგორ ახსენეო. შევარდნაძესთან მოვხვდი სულ მა-

ლე სრულიად შემთხვევით და ვუთხარი, გამიგდო ტატულიმ შვილი-მეთქი და იქვე დავაყოლე, ჩემი შვილის ბრალი იყო ყველაფერი-მეთქი. იმ აქციამ კი შვილი მართლა კინაღამ დამიღუპა, ამ სიტყვის სრული და ყოველგვარი მნიშვნელობით. ნამეტანი გავბოროტდი, მაგრამ მალე ყველაფერი გადამავიწყდა... იმ მკვლელობის ამბავი კი კარგად უნდა გავარკვიო, დავბეჭდო იქნებ... პროფტექნიკუმის სწავლა-განათლების პრობლემის წარმოსაჩენად...

გიგლა იყო ახლა, კაკოიას ქორწილი აქვს 30-ში, ემზადება პატარა პრობლემებით, საორგანიზაციო წინააღმდეგობებით. ვისაუბრეთ ავტომანქანებზე, ჩემი „24"-ის გაყიდვა — არგაყიდვაზე, დღევანდელი სამთავრობო პოლიტიკის არასტაბილურობაზე და ასე შემდეგ.

გორბაჩოვი ჩამოვიდა ამერიკიდან.

ელცინი შეუდგა მოღვაწეობას.

მოლდავეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელიო, რა დაერქვა, ვერ გავიგონე.

რა მოხდება ხვალ, როგორ წარიმართება მოვლენები, კაცმა არ იცის...

იქნება ქაოსი, მხოლოდ რა ზომით?

შეიძლება — დასაშვების ფარგლებში, შეიძლება — ქაოსი ქაოსის დონეზე, ეგ ღმერთმა არა ქნას!

5 ივნისი, 90 წ.

* * *

ერთი ნოველაც დავამთავრე დღეს, „ჭილის ქუდი" დავაწერე, მაგრამ ეს სათაური არ დარჩება. ახლა გვიანია, მაგრამ დავიწყო უნდა მომდევნო. სანოველედ აღარ მცალია, თუმც ეს დაწყებული მაქვს, თეზისად ჩაწერილი, გონებაში კარგახნის წინ დამთავრებული, „პატიმრის გაქცევა ციხიდან". 1973 წელს დავაფიქსირე და არ მოვკიდე ხელი, ცხადია, არ დაბეჭდავდნენ,

მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მაინც გამესრულებინა? შეიძლებოდა და მაინც არ გამოვიდოდა სრულყოფილი, სათქმელს ბოლომდე ვერ ვიტყოდი მაინც საკუთარი ცენზურის გამო. ამიტომ არავითარი ხალისი... ახლა ფასიც აღარა აქვს, მაგრამ რაღაი წესადა მაქვს დაწყებულის დამთავრება, ავად თუ კარგად, ამასაც მოვამთავრებ. დაბეჭდვის იმედი არ გქონდათო და იმიტომ არ წერდითო, გვსაყვედურობენ. ესეც იყო, რა თქმა უნდა და ისიც იყო, რაც ზემოთ ვთქვი – საკუთარი ცენზურა არ გაძლევდა გასაქანს... წესითა და კანონით, არ უნდა შეპუებოდი არაფერს... ადვილი სათქმელია... ჩემი ცხოვრების განრიგი, წესი და უკულმართობაც არ მაძლევდა ამის საშუალებას... სულ ტყუილადაც მიფლანგია დრო. აწი დაკარგულს ვეღარ დავიბრუნებ, წასულს ვეღარ დავეწევი, თუმცაღა ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებ... „რკინის სახკომი“ მაფიქრებს. ვიმუშავებ და მოკლე დროში (ივლისი-აგვისტო), სხვა საქმეებთან ერთად, მაინც ვერ დავამთავრებ. რა ამოწურავს ზღვას. თუ ეს ტომი ჩავაბარე რაღაცნაირად, დროს გავანაწილებ, საინტერესო გამოვა:

„კუდიანი ვარსკვლავი“

„შავი ბუზი“ – ეს ცოტა გვიან, სხვა პატარები...

ორი რომანი უნდა მოვასწრო ალბათ... შემდგომად ამისა. დანარჩენს დრო დაგვანახებს...

6 ივნისი, 90 წ.

* * *

ხვალ იხსნება მსოფლიო ჩემპიონატი. ზეგ, შაბათს, წავალ თბილისში. დღეს ხუთშაბათია. დღეს გავედით საღორიას ტყეში, კაჟინარის ადგილში. ყრია კი კაჟები, ფერად-ფერადი მართლაც. წაგვყვა ვალიკო მაჩიტიძე, მუზეუმის ყარაული. უნდა ენახა ის ადგილი, სადაც ხვრეტდნენ ხალხს. ვერ ნახა, იმედი არ გადაწურვია. ჭოგნარში ჩავალ, ჩემ ძმას ამოვიყვან, ჩემზე უფროსია, ის უფრო მიმაგნებინებსო. ვნახოთ. მე მაინც არ

მოვეშვები. რაღაც უნდა დავადგინოთ, ისე არ გამოვა. საიდან იცის მაჩიტიძემ ის ადგილი, ის დრო. ბავშვები ტყეში დავდიოდით სოკოს საძებრად, მარწყვზეცო. დავიანგარიშეთ და 22 წლის ყოფილა... სოკოზე მეტად სხვა აკავშირებს რაღაც. სიარულში გვაჯობა დღეს 75 წლის კაცმა, შემდეგ დაგვეკარგა კიდეც, შინ წავიდა, იმედია. ჩვენ ადრე შეგულებულ, ვიღაცის მიერ ქვებით მონიშნულ ადგილში გავედით, ვთხარეთ აქა-იქ, არაფერი გამოგვივიდა. ზეგ წავალ, ხვალ აღარაფერს ჩავიწერ. ერთ პატარა მოთხრობასაც გავასრულებ ამეღამ. „პატიმარი გაიქცა ციხიდან“.

8. VI. 90 წ.

* * *

არ წავედი დღეს. კუხიანიძის ძმის ორმოცზე დავრჩი და მგზავრობაც გადავდევით ხვალისათვის (ზურიკოც აპირებს წამოსვლას), სამაგიეროდ, ვიყიდე კაი ტელევიზორი „SILELIS 42 “. გლახა რას მიშვებოდა და კარგი რას მიზამს, უფრო გამაცდენს, ცხადია. შევიძინე კედლის საათი, იაფფასიანი, მაგრამ ლამაზი, ხისფერი, ხისა, მივაჭედე ხის კედელზე და აღარ მოეცვლება ადგილი. ახლა, რომ დაებრუნდები, გამოვიტან ქუთაისის დიდ მაგიდას და სხვა აღარა მჭირდება რა. მოვეწყვე რაღაცნაირად (ელექტროობაღა დამრჩა მოსაწესრიგებელი). სამი-ოთხი დღეა, „ლაკს“ ვუსვამ იატაკს, ერთ პირს დილით გადავუსვამ ჰოლში, დიდი ოთახი დამრჩება გასაბზიალებელი იმ ჩამოსვლაზე, თუ არ მოვიწამლე მანამდე.

დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი. კამერუნმა მოუგო არგენტინას 1:0, რუმინეთმა – საბჭოთა კავშირს. ეს მეორე სენსაციააო, კომენტატორმა. რატომაა სენსაცია, ვერ გავიგე. ისევე შეეძლოთ მოგება, როგორც წააგეს და წაგებაშიც არაფერი იყო მოულოდნელი და არაბუნებრივი, უკეთესი შთაბეჭდილება რუ-

მინეთმა დატოვა. ავსტრია-იტალიას გვაჩვენებენ მოგვიანებით. მესამე „სენსაცია“ იქ მოხდება...

დავიწყებ „ჭყეპს“.

თბილისში საქმე, აქ საქმე, ფიზიკური სამუშაო, სამსახური... მწერლობა? ბეჭდვა როსლა დავიწყო. „რკინის სახკომი“ არ მქონდეს დასამუშავებელი!

შაბათი დღეა, რიცხვს ახლავე გავარკვევ... წელი ვიცი...

9 ივნისი, 90 წ.

გვიანდელი მინაწერი:

ის ტელევიზორი მიდგას აქ (ქუთაისი) კიდევ. გამოვცვალე უკეთესით და მომპარეს... ჩამოვიტანე კვლავ ჩემი „შილიალი-სი“, 10 წელი მუშაობდა Без капитального ремонта.

14 ოქტომბერი, 2000
ქუთაისი, მცხეთობა,
მოწამეთობა, ორწიფობა.

* * *

18 ივნისი, ორშაბათი. ქუთაისში წვიმს. აქამდე ცხელოდაო. თბილისშიც სიცხე იყო. მ. ფოცხიშვილის საღამოს დავესწარი. საქართველოს ესტრადამ სცა ნამეტნავად პატივი და იყო გრიალი, ყვირილი, ჭყავილი. ყურები აღარ მივარგოდა. ხალხი ბევრი, საღამო დაუმთავრებელი. ბავშვებს ეძინათ უკვე. მორისი კითხულობდა ლექსებს პატრიოტულს, იოტისოდენადაც ვერ გრძნობდა, რომ ხალხი დაიღალა. მძიმე ლექსებს წავიკითხავ, თუ გაუძლებთო, ხალხს ამშვიდებდა. ბედნიერი კაცი. ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, მაგრამ ამ მხრივ ბედნიერია. თავისი მრევლიცა ჰყავს. ვინც მისი არაა, იმას ვერც ამჩნევს, თავი სახალხო ჰგონია, მესამე პირში ლაპარაკობს თავის თავზე. თქვენი მ. ფოცხიშვილი, მორისმა ასე თქვაო და სხვა.

მივიტანე ორი მოთხრობა. ამ პარასკევს დაიბეჭდება ალბათ. ჯაველიძეს მოეწონა. მე უკეთესები მაქვს გასამზადებელი. საინტერესო იდეა მივაწოდე, ჭკუაში დაუჯდა, თუ განახორციელა, კარგი იქნება. დამიდევი, მე ვუთხარი, ხელშეკრულება (ფორმალურად) ექვსი, თუნდაც სამი თვით და ყოველ ნომერში წარმოვადგენ თითო მოთხრობას-მეთქი. უნიჭოებს გზა გადაეკეტებათ, ნამდვილ მწერალს ხალისი მიეცემათქვა... ვნახოთო, ნახოს. მე მზად ვარ.

წესია, იქნებ, ჩვენი, გამოდიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, ზოგი რას ამბობს, ზოგი — რას. ერთი ერთს გამოელის, მეორე — მეორეს. ეს სესია, ახლანდელი შემადგენლობით, არაფრის ღირსია. არავითარი რწმუნება მას არა აქვს და მაინცო...

მთავარი მაინც ფეხბურთია...

არის მართლაც (იქ!) ზეიმი და დღესასწაული. ჩვენ, აქ, გამოუძინებელნი ვდგებით ღამის გადაცემების გამო და ასე შემდეგ...

„სტოლი" მოუტანიათ. ჩემი დაა თავისი გავროშით, ეტყობა, ჩამოსული, ზემოდან ხმაურია. ბენიას ძალიან უყვარს და ბუნებრივიცაა. თავის სისხლსა და ხორცს (რეზიკოს) ვერ გრძნობს, ვერ აღიქვამს. სიკეთის მქონე კაცია და გარემოებამ არ შეუწყო ხელი, ცუდ დროს იცხოვრა, პარტიითა და სტალინით იარსება... პარტიის შინაგანად არ სწამდა, მაგრამ სხვა, გარეგანი, არა ჰქონდა რა... ეს იყო ტრაგედია, რომელსაც ბენია მაინცდამაინც არ შეუწუხებია.

18. VI. 90 წ.

* * *

გადმოვიტანე სამუშაო მაგიდა ისევ წინა ოთახში. ლოჯში წავუსვი ლაკი ხელმეორედ (ნეტავი არ მოვიწამლებოდე). იგი შრება და ერთხელ კიდევ, ეს მოხდება ხვალ, გავირჯები და დავლაგდები. ქუთაისის მაგიდა მაჩუქეს (მ. მამისეიშვილმა),

ტელევიზორი გამომიტანეს და ვარ მყუდროდ, თბილისის დარდი რომ არ მქონდეს, ბევრსაც ვიმუშავებ. ჩავალ იმ სიცხეში და გავიხლიჩები ორად, წყნეთი-მუხათწყარო... ერთგან უნდა ვიმუშაო ფიზიკურად (მთლად მივუშვი წელს მამული), მეორეგან სტუმრისა და მომკითხველის (მომრიგებელსაც არა უშავს) როლი უნდა ვიკისრო...

იაპონელ მეცნიერებს დაუანგარიშებიათ: 1980 წელთან შედარებით, 50%-ით გაიზარდა ულტრაიისფერი სხივების მოქმედებაო. ამას ისინი შავ ხვრელებს უკავშირებენ...

კარგი ფეხბურთებია. უყურე და იყავი, თუ საქმე არაფერი გაქვს... ძლივს ავწიე დილით თავი, მძღოლმა გამაღვიძა. ტელევიზორში აცხადებენ, „მონტე-კარლოს“ ბალეტის გასტროლები იწყებაო. ქეც უნდა დავესწრო, მგონი, კვირას, პრინცესაც ჩამოსულიაო და იმასაც ვნახავ, თუ მიცნო...

შესანიშნავი სახარება ვიყიდე — „ახალი აღთქმა“.

საზღვარგარეთაა, იქაური ქართველების მიერ გამოცემული. კარგი ქართულით გამართული, კარგად შედგენილი, პოლიგრაფია შესანიშნავი, ფერადი რუკებიც კი... ვინ გააკეთა, ვინ გამოსცა, სად დაისტამბა, არ ვიცი. რაღაც მითხრეს წინასწარ, არ მივაქციე ყურედღება, არ დავიმახსოვრე... ზედ ეწერებამეთქი ყველაფერი... ზედ კი არაფერი აწერია. რაღაც სექტას შემოაქვს და ყველას არ აძლევენ... დიდი „ბიბლია“ დაიტაცეს, ეძებენ, 100 მანეთიც აღარ უკვირთ. თუ არ ვცდები, 100 მანეთი ღირდა გალაკტიონის რჩეული, რომელიც 1944 წელს გამოსცეს... კარგი წიგნი იყო, კარგად მახსოვს, ფული არ ფულობდა მხოლოდ. 100 მანეთად კი ბაზარზე კილო პურს იყიდდი ან ვერა, 100 მანეთი რომ წიგნს ედო, მაინც უკვირდათ, რა ამბავიაო...

საძაგელი წერილები ჩავყარე მე-6 ნომერში... შეთეკაურ ბრძენს დაუწერია, გ. ლეონიძე ისეთივე პოეტია, როგორიც გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი და გალაკტიონიო. წავიკითხე დასაბეჭდად გამზადებული და გულს შე-

მომეყარა. იძულებული გავხდი, შენიშვნა გამეკეთებინა სქოლიოში. ზემოთ დასახელებულ პოეტებთან (ილიაც არის, ცხადია) გალაკტიონი რომ არ იყოს დამკვიდრებული, ლეონიძესაც არ გაიხსენებდა. გალაკტიონი ვერ მოუნელებიათ, ისე, როგორც აკაკის ვერ ინელებდნენ ზოგიერთები. „აკაკია შოთას შემდეგო“, მუხრანმა თქვა (ჩემთან დაიბეჭდა) და შეიშალნენ... როგორ, ვაჟას?! გეგონება, დააკანონა და დაასაფლავა რუსთაველის გვერდით აკაკი მუხრანმა. დასამარებით კი დაასამარებდა, რომ შეძლებოდა, არც მუხრანს ეპატიებოდა (გასაგები მიზეზის გამო), მაგრამ შეეგუა და ზედმეტიც მოუვიდა, მე მგონი... უმრავლესობის განაწყენება არ უყვარს ხოლმე. ასე იყო თუ ისე, საზიზღარი წერილი დაუწერეს ახლადგამომცხვარ პროვინციულ გაზეთში... „მესიტყვე“ ქვია, თუ არ ვცდები...

ნამეტანი კარგი ამინდია!

21 ივნისია, 90 წელი.

ერთი საათით გადმოწიეს კიდევ უკან დრო, სეზონის გადაწევ-გადმოწევა სხვაა, ეს სხვა იქნებაო... მოსკოვისას (როცა ვშორდებით) დაემთხვევა ჩვენი დრო და კარგიაო. ღმერთი აგაშენებთ!

ძალიან, — ისე ვწერ, ხალვათად, — იოლად გავდივარ ბოლოში... გადმოვიღებ ახალს ალბათ წლის ბოლოს და არ დავაწერ XIII რვეულს (ასე მაქვს გადაწყვეტილი) XIII-ს ვტოვებ...

თორმეტიდან თოთხმეტზე...

შემდეგ მოვა 23, 33, 43, 53, 63, 73, 83, 93, 103 და 113-ს კიდევ გამოვტოვებ... გადავალ — 114-ზე.

ეს მოხდება ალბათ XXI საუკუნის ოთხმოციან წლებში, მანამ არ გვეტკინა არაფერი!

21. VI. 90 წ.

* * *

ქუთაისში წუმს... თბილისში ცხელოდა. გორს აქეთ მოიღრუბლა და აქ წვიმა დამიხვდა. შაბათს ჩავედი, კვირას დავესწარი მონაკოს ბალეტს, გავაცდინე რა ფეხბურთი ტელევიზორში – ბრაზილია-არგენტინა. პირობა მქონდა ცოლისათვის მიცემული და დავთმე ტელევიზორი, თუმცა მონაკოს ბალეტიც ძალიან მაინტერესებდა რატომღაც. ბალანჩინის ბალეტს სტუდენტობისას ჯერ კიდევ მოსკოვში, სპორტის სასახლეში ვუყურე. ხელზე შევიძინეთ, პარტიზანულად, ბილეთები. ნამეტანი უკან მოვხვდი და ძილი მომერია ყმაწვილ კაცს. ვერაფრით ვერ გავართვი ძილს თავი. ახლაც ბალანჩინი... ქართული ელემენტები შევამჩნიე ცეკვებში. ლამაზი იყო ეგ ყველაფერი, დონე შემსრულებელთა ვერ იყო ალბათ ისეთი, როგორიც საჭიროა. სამაგიეროდ, მთელი ანსამბლი ლამაზი, კარგი, მწყობრი, ხალისიანად ფერადი... უვარსკვლავებოდ... დაახლოებით ამდაგვარი შთაბეჭდილებით მივბრუნდი უკან და ჰოლანდია – ФРГ-ს ვუყურე. დაძაბული თამაში. მოიგო გერმანიამ და უნდა გახდეს კიდეც ჩემპიონი. ტარიელი ლაპარაკობს ტელევიზორში გ. შატბერაშვილზე და ნერვებს მიშლის, ყურადღებაც მეფანტება.. შატბერაშვილი კარგი კაცი იყო. მწერალი? რა მოგახსენოთ. გარდაცვლილა 55 წლისაო. ეს დაუჯერებელია. ჩემზე 3 წლით უმცროსი, უხნიერესად მეჩვენებოდა, თუნდაც 70-იან წლებში, როდის გარდაიცვალა? სცენარი მოიტანა კინოსტუდიაში, გორდელაძის დირექტორობაში. ინსცენირება – „იავნანამ რა ჰქმნა“. განვიხილეთ დირექტორის კაბინეტში. მოვიწონეთ. ხელშეკრულება გვინდოდა გაგვეფორმებინა. გორდელაძემ თქვა: წავიდეს ამხანაგი გიორგი დაღესტანში და ჩამოიტანოს იქაურების დასკვნა, რომ ამ ნაწარმოების გადაღების წინააღმდეგი არ არიანო. გაშრა გიორგი და ჩვენც ჩაგვივარდა ენა. იმ დღის შემდეგ იგი კინოსტუდიაში აღარ გამოჩენილა. მე ეს ფაქტი განვიცადე. ჩემ

თავს ვერ ვაპატიე, მწერალს რომ არ გამოვესარჩლე და გორ-
დელაძის ეს სულელური განცხადება ჩავარონინე...

ორი მოთხრობა დავბეჭდე, რაღაც ნაჩქარევი ინტერვიუ იმავ
გაზეთში, რადიოში, ტელევიზიაში საუბარი (ადრე ჩაიწერეს),
გადმოვცემთო. გადააგდეს მეგონა და მიხაროდა. ცუდი გადა-
ცემა იქნება. ტყემალაძემ, კარგიაო. შამათავა შემხვდა დღეს
კინოსტუდიაში, ნაწყვეტი მიმატანინეს ფილმიდან, გადაცემაში
ჩართესო. შემდეგ გამახსენდა, შამათავასა და ჩემს შემოქმედე-
ბით ურთიერთობაზეც რომ ვთქვი რაღაც. ნოველის დაწერასაც
ვაპირებ... „ფერუჩიო ბუზონი“ (კომპოზიტორის გვარი თუ არ
მეშლება). ჯაველიძეს შევთავაზე დამიდევით ხელშეკრულება,
თუნდაც სიტყვიერი და ყოველ ნომერში გამოვაქვეყნებ თითო
მოთხრობას-მეთქი. ჭკუაში დაუჯდა (მგონი, ჩავიწერე), მეორე
ჩასვლაზე რომ შემხვდა, ვფიქრობ მაგაზეო. კვაჭანტირაძესაც
მოეწონა ეგ იდეა. მე მზადა ვარ. ხვალ თუ ზეგ ქუთაისში ჩა-
მოდიან გაზეთის თანამშრომლები. მეც უნდა დავხვდე, სხვა გზა
არაა... წიგნის კომიტეტში ვიყავი გუშინ და გუშინწინ... „მოწა-
მეთის“ გამოცემის ნებართვაზე. ღლონტი ვერ ვნახე, მენთეშაშ-
ვილი გამომელაპარაკა სრულიად მოულოდნელად. თუ მცნობდა,
არ მეგონა. ეს იყო გუშინწინ, გუშინ საგანგებოდ დამყვებოდა
ნებართვაზე. მე გავაკეთებო. გაცლა მინდოდა, ვერ გავეცალე
და უხერხულობას ვერ ვფარავდი ალბათ. ნუთუ გაიგო, რაღა-
ცას რომ ვწერ? საიდან დაყნოსა? გადაბეჭდვაღა უნდა და რა
ვქნა, აღარ ვიცი. ვახტანგმა მითხრა (ჯავახაძემ), მაინც უნდა
დაბეჭდოო...

ემზარის ბიჭის ორმოცი გადაიხადეს. სუფრა სახლში გამარ-
თა ემზარმა. ძველი ნაცნობ-მეგობრები, ნაცნობ-ნამეგობრალნი
შეხვდნენ ერთმანეთს. ბევრი ცრემლი იყო და ღიმილიც. ყველა-
ფერს ეგუება ადამიანი. დღეს ძალიან გავწვალდი. ღამისნატეხი
ავდექი ადრე და ბენზინის რიგში ჩავდექი. გამიფუჭდა მანქანა.
ვიწვალე, მომეხმარნენ შოფრები შოფრულად, ფამილარულად.

რიგშიც ბევრი უკადრისი მაკადრეს. ეგ არაფერი, შევიფერე ეგ როლი. ბაზარი სიცხეში. შემდეგ ჩემს მანქანას მივაკითხე, იქაც შოფრად მიმიღეს. გზაში ბორბალმა დამიშვა. ხუნევში გავმართე. ერთ ხელოსანს და ორ მოღლაბუცეს გამოველაპარაკე. სადღაა ძველი სოფლური ზრდილობა, სიდარბაისლე გლეხისა, სოფელ გეთსამანიის გზა მასწავლეს. ავალ წელს, ორი საყდარიაო, ერთს ვარდობის ეკლესია ჰქვია, მეორეს კვეთისო... ვარდობა გეთსამანიის ბაღს უკავშირდება უთუოდ. კვეთის რაღაა? გევალება შენ ეკლესიების ნახვა თუ გაინტერესებსო, ერთი მეკითხება... მაინტერესებს-მეთქი... მევალება მეთქვა, აჯობებდა.

წუხელ, ფეხბურთის შემდეგ, თითქმის გათენებამდე, ვერა დავიდოვას (მჭედლიძისა) მოგონებას (ვითომ მოგონებას) ვკითხულობდი. ვინ გამოსცა, ვინ ჩაიწერა. ფალსიფიცირებულს ჰგავს, თუმც ბევრი სიმართლეა შიგ. ალაგ-ალაგ საინტერესოცაა. გავანახევრე თითქმის და ქუთაისში აღარ წამოვიღე, მთელი ღამე ვერ მოვშორდებოდი, ვიცოდი...

ნაყალბევს ჰგავს და საინტერესოა მაინც, ბევრნაირად გამოსადეგია ჩემთვის... ტყუილსა და მართალს გამოვარჩევ ნაწილობრივ მაინც ერთმანეთისაგან... ეს ქალი „კარმენში“ კარმენად მყავს ნანახი... მაშინ უკვე (50-იანი წლები) სქელი და ფორმადაკარგული, კარმენისთვის შეუფერებელი მეჩვენა. მაგარი ქალი იყო ადრეო. სტალინის საყვარლობაზე არაფერი უთქვამთ... დ. მჭედლიძემ რომ დაგვიბარა მწერლები... ქ. შალუტაშვილის დაჟინებული თხოვნით შევიყარენით მჭედლიძის კაბინეტში. იდეური ლიბრეტოები დაგვიწერეთო, გვთხოვდა მჭედლიძე ხავერდოვანი ბანით. დავიდოვა იქ იჯდა და იღიმებოდა. ხმა არ ამოუღია, იღიმებოდა მხოლოდ. ჩვენზე ეღიმებოდა, მეგონა. ახლა ვხვდები, ქმრის სულელურ ლაპარაკს ნუ აქცევთ ყურადღებასო, ამას ნიშნავდა. ნუთუ იმ ქალს იმის ნახევარიც კი, რაც იქ სწერია, ისა აქვს თუ ჰქონდა (ცოცხალი უნდა იყოს) ნანახი და თავს გადახდენილი?!

იმ შეხვედრის შთაბეჭდილებამ მოთხრობა დამაწერინა — „კომპოზიტორი ჩირიბერიძე“. დირექტორი, მწერალი, ქალი, კაცი... ყველაა შიგ, დავიდოვას ქალის გარდა. გამოდის, რომ მთავარი გამოვტოვე. იმ დედაბერის (მაპატიოს, უკვე ეგრე იყო) სახე ახლაც ცხადლივ მიდგას თვალწინ.

ქუთაისში მაინც წუმს.

27. VI. 90 წ.

* * *

გუშინ გახდა რეზიკო სამი წლის. მე აქ ვარ, ქუთაისში, ბებიამისიც აქ არის და გუბაზიც. კაკოს ქორწილი იყო, დღესაც გრძელდება. მურად წივწივაძემ დაიანგარიშა და მარტო 11 მსოფლიო ჩემპიონი ზის აქო. სხვა ტიტულებს ვინ ჩამოთვლიდა.

მშვენიერი გამოვიდა **„პ. საყვარელიძე“**, ხელმოუწერლად დავბეჭდავ „მოწამეთაში“. ჩამოვიდა „ლიტერატურული საქართველო“, იყო შეხვედრა და ისიც, რაც შეხვედრას მოსდევს ხოლმე. მეც მივიღე მონაწილეობა, არ ვამწვავებ ურთიერთობას საქმისათვის. ელიზბარი კი მაღალი აზრისაა ჩემზე და ძალიან კარგი კაცია, კარგი პიროვნება თავად ელიზბარი.

30 ივნისი, 90 წ.

P. S.

პირველი ივლისი ყოფილა დღეს. გუბაზი და დედამისი წავიდნენ და მარტოობა ვიგრძენი. მსუბუქმა შიშმაც კი ამიტანა. ასე იყო სულ. ამათ გამგზავრებაზე საშინელი სევდა მიპყრობდა. ხან თბილისში მიდიოდნენ ქუთაისიდან, ხან — თბილისიდან ქუთაისში, ზღვაზე თუ ქვიშხეთში. ყოველთვის მზარავდა გახსენება და იმ დღეს (მალე გადიოდა) მარტოობის შიში მეუფლებოდა. იმ მიკარგულმა გრძნობამ გამიხსენა. რაღაც ჩანაწერებს ჩავუჯექი, თან ვასწორებდი, თან ვრეკავდი, ამწუთას შემოვედით შინო, ფისომ გამაგონა. ივლისია და გრილა. რაღაც

უნდა მოვიცვა პერანგზე. რომ აცივდეს, არ გამიკვირდება, ისეთი ამინდები წაეწყო. ფეხბურთიც იწყება ალბათ.

* * *

გაფრენილა რამდენიმე დღეც. 5 ივლისია. ნამეტანი ცხელა ქუთაისში. გუშინღამ ვუყურებდი ფეხბურთს — ინგლისი-გერმანია, ნაღდი თამაში. ღირსეული ღირსეულის მეტოქე, ყოველნაირი გაგებით. ფეხბურთამდე სტუმრები მყავდა. ერთი მეორედ შემობრუნდა ნერვების მოსაშლელად, მიაღწია მიზანს. ერთს ამდაგვარ სეანსს ჩამიტარებს კიდევ, ჩემი ვარაუდით... შემდეგ მიწყნარდება. გუშინ ჩემ კაბინეტში ჩავატარე კომისიის სხდომა ქუთაისის გადედაქალაქების 1000 წლისთავის გამო. ათასნაირი ოქმები და ანგარიშები მიდევს წინ, გადავხედ-გადავათვალიერო უნდა, ახალი მოვიფიქრო, მოვხაზო, ვუკარნახო. ეს დიდი და კარგი საქმეა, მაგრამ ნამეტანი დავიყურე საქმეში. დილით უნდა ავიდე ბაგრატზე. 2 საათზე ისევ კომისიის წევრებს უნდა შევხვდე, 4-ზე — არაფორმალებს საჯარო ბიბლიოთეკაში. შაბათს, ე. ი. ზეგ, თბილისში მინდა წასვლა, იქ წყნეთი, მუხათწყარო უმანქანობაში და უბენზინობაში...

5. VII. 90 წ.

* * *

დამთავრდა ამგენის ყრილობაც... ახლა მღეროდნენ — ეტო ესტ ნაშ პასლედნი ი რეშიტელნი ბოი... რეშიტელნი და პასლედნი ჯობია და ეგრეა, როგორც ვატყობ!

თბილისში სიცხე, როგორც იყო და როგორც უნდა იყოს. აქაც სიცხე, გუშღამ ჩამოველ და ახლა წვიმს.

დღევანდელ „ლიტერატურულში" დაიბეჭდა რაზმაძის წერილი... მლანძღავს. არაუშავს, გავცემთ პასუხს...

სხვა რა არის ან აქ, ან იქ?..

მოიწვიეს და ჩაატარეს მწერალთა კავშირის დასაფიათებე-

ბელი რაღაც ყრილობა თუ სხდომა. არა გამოვიდა რა, რადგან მწერალთა კავშირის წინააღმდეგ ამხედრდნენ არამწერლები... ან გვეშველება და ან არა ამის შემდეგ. ბატონ პროკურორზე ხელის გასვრაც კი არ ღირს, ან ღირს, ან არა...

გუშინ საშინლად დატვირთული დღე მქონდა თბილისში, სიცხეში, ხვატში. რაღაც მომენტში ავვარდით ლისში, პატარა პურის ჭამა, შემდეგ ჩემს გაპარტახებულ მამულში, შემდეგ წყნეთში, ბაღნებთან – ნანუკასთან, რეზიკოსთან...

მანამდე ოფლისღვრით ბაზარში... შემდეგ სხვაგან და სხვაგან... აქ ვისვენებ ვითომ? ვინ მოგასვენებს ან აქ?!

მოთხრობას ვამთავრებ ბაბუაჩემზე... დავუწერო პასუხი იმ ვიღაც რაზმაძეს?!

ქუთაისში წვიმს...

დღეა თარსი...

არც მთლად კარგი გამოვიდა ჩვენი „მოწამეთა“... ჩემი „პავლე საყვარელიძით“ და სხვა რამე-რუმითა... გუშინ უნდა გავრცელებულიყო თბილისში, გადმოვაადგილე დღევანდლისათვის... რაზმაძეს, თუმცაო, ალიონზე ედო წინო... მსტოვრები ბევრი ეყოლება აქაც და იქაც, აქ განსაკუთრებით და მიაწვდიდნენ, რაღა ლაპარაკი უნდა.

90 წ.

* * *

ქუთაისი. დილა, 9 საათი. 15 ივლისი, კვირა.

წაღრუბლულია, გრილა. საოცრად კარგი დარია. მანქანების ხმაც არ ისმის, მოძრაობა ცოტაა. წლის ბოლოს (ახლა უკვე უეჭველად) გადავა ტრასა და უფრო მოვისვენებ. ერთი მოთხრობაც გავამზადე, მაგრამ გადაწერა-გადაბეჭდვის დრო აღარაა... რაზმაძის წერილზე უნდა ვიფიქრო, პატარა პასუხიცაა საჭირო... სხვანაირად არ გამოვა...

გუშინ სტუმრად ვიყავ ცანცქლი ხუჯაძესთან. ცოტა დავლიე, ველარ ვიმუშავე. ღია კარში ჩამძინებოდა...

შუქი გამოირთო ამ წუთას, ტელევიზორის ხმა მიწყდა...

ქუთაისის 1000 წლისთავის პროგრამა-პროექტი მაქვს სასწორებელი. ზეგ, შეიძლება, სესიაზეც მომიწიოს გამოსვლა. ეგ საქმე მგონია და ამასაც ვერ ვუღალატებ. აქ, შეიძლება, დაატყო საქმეს ხელი. რუსთაველის საზოგადოებას წელსვე დავანებებ, როგორც ჩანს, თავს... არჩევნებს არ დავუცადო?..

თბილისში ვერ წავალ ამ სესიის გამო, არადა, საჭიროა. გაზეთმა იდედლა და „იპადლეცა“ მაინც. აწი რას იზამს, არ ვიცი. ელიზბარს შემრიგებლური პოზიცია უნდა დაიჭიროს...

15. VII. 90 წ.

* * *

უკვე პროკურატურა მაკითხავს სამსახურში სომხიშვილის გამო, ფეტვიაშვილი, ჭუმბურიძე... იქნებ ორი სიტყვა დაგვიწერო ამის გამოო. არა-მეთქი, მაგის იმედი არ გქონდეთ. უკმაყოფილოდ წავიდნენ. გუშღამ კოკლისთან ვიყავ, გორაზე, მანდარინების ბაღში, ჩიტების გალობაში ვივახშმეთ.

ჩამეძინა, შინ რომ მოველ, ტელევიზორთან, როგორც ვვარაუდობდი, ისე დამემართა. ღამის ოთხ საათზე გამეღვიძა. დავჯექ და ვწერე პასუხი... დავწერე შავად. ახლა შორიდან ვუყურებ, მეზარება მუშაობის დაწყება... ყველაზე მეტად ამნაირი წერილების წერა მიჭირს. ზოგიერთისთვის რა ადვილია.

საქართველოში ისევ მაფია ბატონებს ხელოვნებაშიც (სხვაგან თავისთავად), კუდით, კუდით არიან გადაბმულნი მწერლები და ქურდები (სამართალდამცველი ორგანოები), პატიოსან კაცს ვერ ნახავ გამოჩინებულ კაცთა სიაში. ძმად მოგეჩვენება და გიღალატებს, წავა რაზმაძესთან, იქეიფებს. პატიოსნება მათი უპატიოსნებაში დევს. ძმაბიჭობა ყველასთან, ქურდთან, ფუნქციონერთან, სასამართლოს გახრწნილ მუშაკთან, მამულიშ-

ვილის იარლიყით. რა ძნელია ეგრე ყოფა. შენს გვერდში აღმოჩნდებიან უჩინარნი, უსუსურნი, უფულონი, საწყალნი... შენვე შეგეცოდება შენი თავი. გაღმა დადგებიან ჩათლახები, მდიდრები, თანამდებობიანნი, ერთმანეთთან გადაფსკვნილ-გადაკვარახჭინებულნი. ეგრეც არ შეიძლებაო, ფიქრობენ შენზე, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში.

არც კი ცხელა მაინცდამაინც.

17 ივლისია, რაც არ უნდა იყოს.

17. VII. 1990 წ.

* * *

„ისევ და ისევ"... სიმღერაა, მე მგონი, ასეთი... მაკითხავენ მაფიოზები, პროკურატურის მუშაკები, შემდეგ „სამართალდამცველი" ორგანოები მომაკითხავენ და ასე შემდეგ. პარტია რას იზამს? პარტია, ჩვენი ავანგარდი, ცოტა დარხეულშია, ან ისევ წამოაწელყელავებს თავს, ან სულ, რაც უფრო საეჭველია, დაერხევა.

რად გინდოდაო (სომხიშვილ-ნაცვლიშვილი), სახელი ისედაც გქონდაო... ან მქონდა, ან არა...

დარეკა ფისომაც. ეშინია პროვოკაციის, იყო მედიკო, იმანაც გამაფრთხილა, ახსენეს პროკურატურაში შენი შვილებიო... მამუკაც ნერვიულობს თურმე...

ეს ყველაფერი ბუნებრივია...

მე არ მეშინია... სხვისი მეშინია და მაინც არ მეშინია. განვაგრძობ გზას „შემოგანთიადისას" კვლავ. სხვაფრივ, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაკლოთ!

17. VII. 90 წ.

* * *

დავამთავრე შავად რაზმაძის პასუხი. რა შეაჯერებს, რა დახვეწავს, ხვალ და ზეგ, რაზე გავცდი! მოვიდა, მოსულა, უფრო სწორედ, დაზარალებული კვინიკიძე — პროკურორი, მოუტანია

საპასუხო წერილი. მითხრეს, მიაქვსო, დაპირდით, დაბეჭდავს-მეთქი, ჩემი სახელით. დაპირებიან და კმაყოფილი წასულა. გადავავლე თვალი, ლანძღავს სომხიშვილს, ის – ამას, ეს – იმას... საინტერესო გახდება ცხოვრება, ვატყობ, ენის მოტანას (ვითომ ჭკუის დარიგების თვალსაზრისით) მიუმატეს, ამან ისა თქვა, ამას ის უთქვია, ბატონო რეზო, თქვენზე. ხმას არ ვიღებ, მაინც ვისმენ, თითქო არაფერი, მაინც მოქმედებს... მარტო ყოფნა არ მინდოდა ამ დღეებში. ზოგი რა ბედნიერია – სამსახური, სუფრა, სუფრა, სამსახური, სახლში საქმე აწყობილი რაღაც დონეზე... დღეს ველარ დავლევ, დასვენება, გაზეთების კითხვა... მისვლა-მოსვლა საქმეზე, მეორე დღეს გასვენება, ორმოცი, ნათლობა, ქორწილი მეზობლის, დილით სამსახურში... იმდღისას იშოვნის ან დაისვენებს, წამოწვება ან დალევს. ეს ცოლშვილიანები. უცოლშვილოებმა, დღე სად მოკლან და როგორ გალიონ, არ იციან. ქალები ნაკლებად (საყვარლები იმათ ჰყავთ, ვისაც არ ცალიათ, სულ ეჩქარებათ და სულ ეშინიათ), მარტოხელებს სასტუმროს წინ მთქნარება, სუფრა, კარტი (პრიმიტიული თამაშები), შემთხვევითი ქალები, წატრაბახება, სუფრა, დღეს ველარ დავლევ და ასე შემდეგ...

ჩემი ყურის მეზობელი ეზოს ანგრევს. გაგიგიათ ეზოს დანგრევა... ეგრე შვება ზუსტად და ჩემი სახლი არ დაანგრიოს, მეშინია. მიწას ჭრის და გააქვს, რას აკეთებს ამონაჭერში, კაცმა არ იცის, სამი ექსკავატორი ჰყავდა დღეს დაქირავებული და ექვსი „კამაზი“. გაჰქონდათ და გაჰქონდათ წითელი, საკენახე მიწა. ცალთვალა მეექსკავატორე მოყვითალო შარვალ-ხალათში ბუღრაობდა წითელ მიწაში.

ბურდუკიამ მითხრა, მაგარიაო. კარგად მუშაობსო. კაკო კეკუა მოგვეახლა ნასვამი. ინსტრუმენტი აღარ მიმუშავებს ძველებურად და ვდარდობო. ორი-სამი წლითაა ჩემზე უფროსი. ბურდუკიამ უთხრა, არაფერია მაგიო...

ბენია წავიდა გუშინ თბილისში ავტობუსით, ისე მგზავრობს ამ ხნის კაცი ამ სიცხეში, ვითომ არაფერი...

მეც წავალ ორშაბათს.

21 ივლისი, 90 წ.

* * *

22 ივლისია. ნესტმა შეჭამა მთელი სახლი. წვიმს, ღამეა, ზაფხულის არღამეა. რიონი შავტალახად მოდის კიდევ, შარშანაც ასე იყო, შარშანწინაც. ამღვრეულს ვიხსენებ, ატალახებულს — ვერა. ივნისიდან გაკამკამებულ წყალში ვბანაობდით, ივლისში და აგვისტოში ფეხის ჩასადგმელ ალაგს ვერ ნახავდი. ძველ „სუდთან" პლიაჟი იყო, ვაჟებისა მხოლოდ. სწავლის დროს ცოტა ციოდა, წყალში ჩავდიოდით, გამოცდების დროს, ე. ი. ივნისში, ჩვეულებისამებრ ვბანაობდით. ჩავუარდი გ. კოხრეიძის სახლს, შევძახებდი, სადაა გურამი. რიონზეა. ჩავაკითხავდი ან ის ჩამომაკითხავდა... ძალიან ჩვეულებრივი ამბავი იყო ეგა. გ მგელაძემ რომ ჩემი სცენარი (მოთხრობა „ფედია") გადაიღო, აღარაფერს ვამბობ „არაჩვეულებრივ გამოფენაზე", კიდევ ყურუმსაღობდნენ და ხტებოდნენ (აბანოს სახურავიდანაც) რიონში. რომელი წლები იყო. 60-იან წლებში. „ფედია" — აგერ, გვიან და ამდენად — ნაძალადევიც...

წვიმს. ნამეტანი ცუდ ხასიათზე ვარ...

არაა, არაა ჩემი საქმე ოფიციალური თანამდებობა. კაკოსი არ იყოს, მეც ოპოზიციონერი ვარ ალბათ, ხელისშეშლას იოლად შევძლებ, ბრძოლას — ვერიოლად... ბრძოლაში ბრძოლის გარდა იგულისხმება: მოთმინება, მოკატუნება, ვერდანახვა, თავის მოსულელებაც და ბრჭყალების გამოჩენაც... ამას უნდა სიმშვიდე, ამაოებათა ამაოების გახსენება და თუ სიბრძნე და გამძლეობა არ გეყო (გაჩათლახებით მაინც ვერ გაჩათლახდები), უნდა გაეცალო იქაურობას.

22. VII. 90 წ.

* * *

ჩამოვედი. ღამეა გვიანი.

მივდექ-მოვდექ, ბევრი რამ მოვასწარი დილიდან. წავიკითხე ჩემი წერილი რაზმაძეზე. წყნეთშიც ვიყავ ბაღნებთან, დიდ ბაღნებთანაც მოვასწარი მცირე პურისჭამა. პატარა მოთხრობაც დავწერე გუშღამ, „ბირკაია", სათაური სხვა ექნება*... მოთხრობა კი ერთ-ერთი საუკეთესოა... წავიკითხე კ. ბუაჩიძის „შავი წიგნი". ეს ყოფილა ბნელი და შავი პიროვნება.

თ. კვაჭანტირაძეს ველაპარაკე, რამ მოგაწერია ხელი-მეთქი ამ წიგნზე. მიკიბ-მოკიბა. აღარ ჩავძიებივარ.

ტ. ჭანტურია და მე.

სტამბა, ლიტერატურული გაზეთი. ყველანი იქ (რაღაც ამნაირი უნდა მოვიგონო ჩემთანაც), მწ. კავშირი, წყნეთი, „ცისკარი", დუქანი... გივია, ლევანი, კაკო და ასე შემდეგ...

2 აგვისტო, 90 წ.

* * *

გუშინ ორწყალშუა სუფრა გაშალა ზ. ებანოიძემ, შვილის გასტუდენტებასთან დაკავშირებით. სამსახურში ახლა ვიღაც გამომძიებელი ზის, იჯდა, ყოველშემთხვევაში, გუშინ, 2 აგვისტოს. გაძლება ჭირს თანდათან. ამდენხანსაც არ ვაპირებდი აქ დარჩენას, არადა, დატოვება მიჭირს აქაურობის... ალბათ ბევრი ამაგი მაქვს...

ბევრი შრომა და მონდომება შევალიე ჟურნალს, გაზეთსაც...

ვინ დაგიფასებს, მე შენ გეტყვი, მწ. კავშირი დაგიცავს!

კოჭებში მიყურებენ, დაუცურდა თუ არა ფეხიო. თუ დაუცურდა, ჩვენც წავეხმარებით ხელისკვრითო...

არადა, რამდენი ფუჭდება ჩემთვის აქ ჩემი აქ ყოფნით...

დაჯექ, მოისვენე, იმუშავე მშვიდად! დასაწერი არ მაქვს თუ... თუ არ ვიცი, რა დავწერო!

3 აგვისტო, 90 წ.

---

* ვიტალი (მინა) მაღალთაძე (ავტორის გვიანდელი შენიშვნა)

* * *

16 აგვისტო, 90 წ. ქუთაისი. ოთხშაბათი.

წავედ-წამოვედი. მძიმე და უმძიმესი დღეები მქონდა. იმ სამშაბათს დავამთავრე თვითმკურნალობა და დღეისწორს ჩავწექი... გუშინ, ე.ი. 15 აგვისტოს, მეშეღავათა, თუმც ავადმყოფობასაც არ დავნებდი. ძალიან გამიჭირდა... რა ნემსები, რა წამლები. სიკვდილისწინაც ასე უნდა ვიტანჯო?! არ შეიძლება, შვებით მოკლა ადამიანი? ნაღდად სისულელეა სიცოცხლე, პრინციპში... ამაზე მიფიქრია, მიწერია. არ ღირდა სიცოცხლეო, ფიქრობ. შემდეგ: რომ არ გავჩენილიყავ, ხომ ვერ გავიგებდი, რომ სიცოცხლე არ ღირდა!

„იღვაწე და დატკბი შენი ნაღვაწით!“ (ეკლესიასტე), ეს სხვას ჯობია, მაგრამ ბოლოს ხომ მაინც მოგაკითხავს არარაობა. თავის ნამოღვაწარით ტკბება არა მარტო შემოქმედი – ხელოვანი, არამედ ყველა, ყველა ტკბება მისი ნამოქმედარით მზისქვეშეთში, ზოგი – შეგნებულად, ზოგი – შეუგნებლად. ვერ დავესწარი რ. თაბუკაშვილის დაკრძალვას. ესეც განვიცადე. დღეს კი მივიტანე ყვავილები და ვიდექი ცოტა ხნით სამარესთან...

შვიდი დღე და ღამე მასლოკინა მცირეოდენი შუალედებით და კუჭის ძმარვით... გადამეკეტა, ვფიქრობდი, საყლაპავი. ეს საშინელი გასაძლები იყო. ბოლო ღამეს ველარ გავუძლებ-მეთქი და ჩამომეხსნა. ვერ დავიჯერე. გაშტერებული ვიყავ და წამალმა ჩამაძინა. ექსტრასენსთანაც ვიყავ ორჯერ (შეიძლება, იმანაც მიშველა), დოდოსთანაც ჩაველ ლიკანში სლოკინ-სლოკინით. პირველ დღეს წამლები მომცა, მე სუფრაზე განვაგრძე „მკურნალობა“. მეორე დღეს (ქუთაისში ჩამოვბრუნდი) დაიწყო ჩემი წამება. ამდენს რატომ ვწერ, იქნებ არ დამავიწყდეს-მეთქი. არადა, ცოტა ხანში გადამვარდება გულიდან... ისევ ღვინისკენ გამექცევა თვალი... სუფრისკენ, უფრო სწორად... ლაპარაკი, ლაპარაკი, შენ ისეთო, შენ ასეთო, შენ გაგიმარჯოს... ხუმრობაც, ლხინიც შიგადაშიგ და ძირითადი: ლაპარაკი, ლაპარაკი: შენ ასეთო, შენ ისეთო, შენ გაგიმარჯოს, იმას გაუმარჯოს, მა-

თი სახელის ხსენება იყოს, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას მიელის, იმათ გაუმარჯოს!.. და კვლავ ლაპარაკით ტკბობა, დროის ფლანგვის ხარჯზე.

16. VIII. 90 წ.

* * *

ამნაირი აგვისტოც არ გამიგია: გრილი, ნესტიანი, სასიამოვნო გასაძლები. სუსტად ვარ, მაგრამ არ მჯერა, თუ მოვრჩი... ახლა გადავათეთრე მოთხრობა „ვიტალი (ბირკა) მაღნარაძე (გვარ-სახელი, შეიძლება, შეიცვალოს)*, რომელიც ნამეტანი მომწონს...

კარგია, მე მგონი... დავალაგო, გადავბეჭდო და ჩავაბარო იქნებ წიგნი. რა მეშველება, რომ ვერ ვასწრებ! ფულიც აღარა მაქვს. ვერ გავყიდე მანქანა, რის იმედზეც დავრჩი, როგორც ვატყობ... აქ არეულობა...

სტუდიას ჩამოვშორდები ალბათ... რომც არ დაიშალოს, მე წამოვალ, არადა, ორ კაპიკს იქაც ვიღებდი... ფულზეც არაა საქმე. მთლად რომ მოვწყდები იქაურობას 30 წლის შემდეგ, არც ესაა კარგი... უსიამო გრძნობაა, გულისსაწყვეტიც... არადა, იშლება კინოსტუდია ისედაც...

ჯურხას მამის დაკრძალვაზე უნდა წავიდე ხვალ... იქიდან ლეჩხუმში — ავთანდილის შვილიშვილის ძეობაზე... ამ დილით წიგნები გადავიტანე საავადმყოფოში ექიმებისათვის. სესიაა თბილისში. ხალხი ტელევიზორით უყურებს სესიას და მსჯელობს, მსჯელობს და ელის... ჯანსულის და გიგას გამოსვლა იყო ყველაზე არადეპუტატური. სუფრა-კომკავშირის ტრადიციებიდან ვერ გამოვიდა ერთიც და მეორეც, რაღაც ამდაგვარიდან ვერ გამოძვრა.

რ. კაკაბაძეს გაუმართეს რაღაც ბენეფის-კონცერტივით. ვიღაც იძახდა ხმამაღლა: ქართველი ხალხის საყვარელი არ-

* შეიცვალა — ვიტალი (მინა) მაღალთაძე.

ტისტიაო. რა იოლად ლაპარაკობენ ამ ქართველი ხალხის სახელით? ზვიადმა იმეორა, 201 დეპუტატი უნდა იყოს აუცილებლად, ასეთია ქართველი ხალხის ნება და სურვილიო. რა იცის ამ ქართველმა ხალხმა, 300 ჯობია თუ 201? მე ვერ გავარკვიე, რატომაა 201 სამასზე უკეთესი ან პირიქით და ამ ხალხმა საიდან დაიანგარიშა ყველაფერი. უთხრა კიდეც გიგამ: როდის დათვალე, ვინ რამდენის მომხრეაო...

მივიღებ თუ არა, მე პირადად, არჩევნებში მონაწილეობას? არ ვიცი...

18. VIII. 90 წ.

* * *

ვკითხულობ ნაწილ-ნაწილ „ნევაში" კონკვესტის „დიდ ტერორს" – „Большой терор"... საინტერესოა, ბევრი რამაა თავმოყრილი და გაანალიზებულიც... სრულყოფილებამდე, თუნდაც საბოლოო ვარიანტამდე, მიყვანილი არაა მაინც. სერიოზული ჩანს და მგონი, ასე უნდა იყოსო, აღნიშნავს ზოგიერთ ფაქტზე. მე ჩემი გაჭირვება მაქვს (რკინის სახკომი) და ვეძებ საჩემოსაც...

გუშინ საჩხერეში, ჭორვილაში ვიყავ ჯურხას მამის გასვენებაში, ადრე წამოვედი და ცაგერ-ორბელით (ჩვენი უცოდინარობით დავიგრძელეთ გზა) ღვირიშში (უცხერში) ამოვყავით თავი ავ. ყურაშვილის შვილიშვილის ძეობაზე. მთელი სამი სოფელი ყოფილა დაპატიჟებული. იყო რაღაც კარგი, ძველის გადმონაშთიც, სახალხო ქეიფივით... ცუდად მეძინა, გვიან ავდექი. წვიმდა. ახლაც გრილა. თბილისში ვერ ვრეკავ...

გ. კოხრეიძის დედაც გარდაცვლილა, ხვალ იანეთში წავალ.

კოლეგია მინდა მოვიწვიო და გავარკვიო ურთიერთობა მტრულ ბანაკთან...

19. VIII. 90 წ.

* * *

ექვს ივნისს დამიწერია, ახლა, 20 აგვისტოს გადავათვალიერე „ჭილის ქუდი“ – ქუდები. წავიკითხე, უკმაყოფილო დავრჩი, გადავწერე და – კმაყოფილი.

დაქცეულა და დაღუპულა გ. დოჩანაშვილი... ხუთშაბათს უნდა წავიდე. როგორ გინდა, მიხვიდე, რა გინდა, უთხრა!..

მარტო ვარ ამოდენა სახლში გამოყრუებული. ბენია და ლეილა ზღვაზე წავიდნენ, ერთი ათი დღითო, გაურკვეველი მისამართით აემგზავრნენ... ბიჭვინთის საგზურებს ვაძლევდი პირველიდან და სამსახური არ გამიშვებსო, ლეილამ. ბენია გადის უკვე პენსიაში, წლის ბოლოს მოეშვება სამსახურს 83 წლის, თუ მეტის არა, ასაკში. შემდეგ როგორ წავა ჩვენი საქმე?!

მოინდომებენ სახლის გაყიდვას, მე აქაურობას ვერ დავთმობ... ბენიას სიცოცხლეში მაინც არ ამოიღებდნენ ხმას! ბენია ჯანმრთელია, მაგრამ ვის რა ელის, კაცმა არ იცის, არ უწყის...

ეს ზაფხული გასულა, მაგრამ უშინაარსოდ (გასვლები არ მქონია ბევრი) გავატარე... სოკოზე მაინც უნდა გავვარდე ერთი გავარდნა...

20. VIII. 90 წ.

* * *

ვიყავი ხუთშაბათს იმ უბედურებაზე, გახსენებაც ძნელია. გუშინ ჩამოვბრუნდი და ჩავატარე კოლეგია, უსიამოვნება კვლავ... ვერ მოვუღე და ვერ მოვუღე ბოლო ზოგიერთ ნაგავს... ყველაფერი ჩემი ბრალია. კოლეგიამ ჩვენს სასარგებლოდ ჩაიარა. შემდეგ სუფრაზე დასხდნენ და კაკო დაიკარგა, სასტუმროდან გაიპარაო. ის თუ თბილისში არაა ჩასული, კარგად იქნება საქმე... შვებულება უნდა ავიღო. წავალ, სად წავალ... იქ არ მასვენებენ, აქ არ მასვენებენ...

ელდარმა შემოიარა ამ დილით, წალენჯიხაში წავიდა – ობუჯში, მამამისის სოფელში... სესიის პერიპეტიები მოყვა,

რაც მოასწრო, მოკლე ხანში თქვა... არჩევნებამდე დაიცადე, არ წამოხვიდეო. არადა, უნდა წავიდე, ვატყობ. ჟურნალი აღარ იქნება, ეს ნაღდია... მანქანას რა ვუყო, ამეკიდა ზედმეტ ბარგად და ეგაა... ეს აგვისტოც მიდის...

სულიკო შემხვდა გასვენებაში, ჟღენტი.

დაბერებული მეჩვენა. 65 წლისა ვარო, როდის გავხდი ამ ხნის, ვერ გავიგეო. მამფორიაც 65 წლის ყოფილა, სულიკოზე უფროსს ჰგავს, მაგრამ უკეთესად გამოიყურება. კოკლი წამლებითა და ანალიზებით მოვიდა, მურმანი წევსო. დაავადებულია ჩემი თაობაც კი. გამზადებული მაქვს რვა (8) მოთხრობა. გადაბეჭდვის მეტი არაფერი უნდა.

1. გენერალი ალავა
2. ჭილის ქუდები
3. ვიტალი (მინა) მაღალთაძე
4. აპ. სალდანია
5. პატიმარი გაიქცა ციხიდან
6. გრივიცკი
7. ეფროსინე
8. ძროხის თავი ნისლში...

ბოლო პატარაა ნამეტანი. ორი მაქვს დასამატებელი... მაინც არ მშველის, წიგნს ვერ გავავსებ მაინც... „რკინის სახკომს“ უნდა ჩავუჯდე, მინდა, არ მინდა... ორს „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდავ, დანარჩენს — ჩემთან.

25. VIII. 90 წ.

* * *

წავედი კვლავ გუშინ მარტო თბილისში — ორშაბათს. დღეს (სამშაბათია) ჩამოვბრუნდი. დავესწარი რუსთაველის საკრებულოს, არჩევნებში რომ მიიღოს მონაწილეობა, რეგისტრაციაში

რომ გატარდეს, გადაკეთდა, ასე გადაუწყვეტიათ, პოლიტიკურ საზოგადოებად. სახელწოდება დარჩა იგივე, შინაარსი შეიცვალა წესდებაში. კაკოს ელოდნენ, არც კი მოვიდა. ლენინივით ელოდნენ. თამაზი არ იყო... საღამოს წყნეთში აველ პატარებთან. დღეს ძალიან ცხელოდა, თბილისში ვიბოდიალე, სტუდიაში, „ლიტერატურულ საქართველოში". სამსახურში ისევ უსიამოვნება, სასამართლო უნდა შედგეს სომხიშვილის გამო. დავიღალე.

აფხაზეთში არეულობა. გუბაზი ბიჭვინთაში. ახლა იმას ვჯავრობ... საგზურები ამოწერილია ჩვენთვის, აღარ წავალთ. მე უარი ვთქვი. შვებულება თბილისში და მუშაობაში. გუშინ და დღეს გავცდი, თუმც მასალებს ვამუშავებდი „რკინის სახკომისათვის", იმას ვნანობ. გაზეთში ორი მოთხრობა დავტოვე. ჯაველიძე არ ჩამოსულა და უმისოდ გადაწყვეტენ?

ლენინის ძეგლიდან ფეხებია შერჩენილი პედესტალზე. ტელევიზორში აღმასკომის კაცი გამოვიდა და მოედნის რეკონსტრუქციის გამო ავიღეთო, თან აჩვენეს, როგორ გადმოვარდა თავდაყირა, როგორ დაიმსხვრა, როგორ მიცვივდა ხალხი, დასცეს ყიჟინა ველურებივით. მაინც უჭკუო ხალხი ვართ. ამ სიტუაციაში ეგ არ იყო საჭირო. როცა გიჭირს, საქმე ძალად არ უნდა გააუარესო. უჭკუო და თანაც გლახა ხალხი ვართ: სტალინის, მთავარი ჯალათის, ძეგლს უფრთხილდებიან გორში, სტალინის სანაპირო აქვთ თბილისში და ათასი სხვაგან, კოლმეურნეობა თუ სხვა სტალინის სახელობისა...

წავალ რამდენიმე დღეში თბილისში, მაგრამ არჩევნებს რა ვუყო... მე ვიყარო კენჭი? იქით სასამართლო...

სტუდიაში ისევაა ხელფასი გამოწერილი... მივატოვო იქაურობა სულ?

28. VIII. 90 წ.

* * *

ცხრამეტი (19) სექტემბერია უკვე. ჩამოვედი ორი-სამი დღით ღონისძიებაზე, შვებულება თვის ბოლომდე მეკუთვნის ალბათ. ფისო საავადმყოფოშია. ხვალისათვის იყო ოპერაცია დანიშნული, გადადეს და ამიტომ წამოვედი. მანქანა წაიყვანეს, მეორე მოიყვანეს. ახლა ორივეს (მამუკას და გუბაზს) მანქანა ჰყავს, მე — არა. ფული შევიტანე, ნაწილი, „ივერთბანკში". წიგნაკის მაგივრად რაღაც ქაღალდის ნაგლეჯი მომცეს. დავკარგე ჩემი ნაცოდვილარი, მე მგონი. „რკინის სახკომზე" ვმუშაობ ინტენსიურად, ოქტომბერში დავასრულებ... გადავბეჭდავ კიდეც ოქტომბრამდე. ქვეყანა არეულია. კაგებეს არბევენ, ერთმანეთს ესვრიან ჯერჯერობით განდაგან, შემდეგ ფეხებში დაცხებენ ერთიმეორეს, შემდეგ, როგორც საჭიროა, ისე მოიქცევიან, ომობანას გაითამაშებენ ერთმანეთში...

ბენია კარგადაა. ბავშვები კარგად არიან. დანარჩენებსაც არა გვიშავს ჯერჯერობით. სექტემბერი კარგი, მზიანი, სიცხიანი, 15 რიცხვამდე ცხელოდა აგვისტოსავით. 15-ში გატყდა თითქოს სიცხე და არც გატყდა. დღესაც ცხელა ზომიერად. იქაც ცხელოდა, აქაც. ეს კარგია ყოველმხრივ...

19. IX. 90 წ.

* * *

დღეს აკურთხეს პედინსტიტუტი უნივერსიტეტად და იყო ზეიმი და საზოგადოება. სიტყვა თქვიო და არ ვქენი. სუფრაზე მაინც ვერ დავიხსენი თავი. შემდეგ დიდი ბანკეტი „ხვამლში", არ გავჩერდით მე და ლევანი. ბოტანიკურ ბაღში ჩავედით. სამი ხე ვაჩვენე: სექვოია, ჭადარი, ჰიმალაის კედარი, მეოთხეც — ჩვენებური მუხა. ულამაზესი ხეები.

საღამოს წამოწვიმა, აგრილდა.

ქუთაისის უნივერსიტეტი.'

რატომღაც ალ. დიუმას მოგონება მახსენდებოდა (მართლა უდროო დროს). ფოთში ჩავიდა დიუმა და ერთი ნავი ნახა მხოლოდ ბაწრით დაბმული. დაბინავდა სადღაც გემის მომლოდინე. ერთ დღეს საშინელი გრუხუნი შემომესმაო. ორი სალდათი მოდგომოდა ეზოს ტალახიანი ქუჩით. ერთი დოლს აბრახუნებდა, მეორე კითხულობდა „უკაზს", ფოთი ქალაქად გამოცხადდაო. დიუმა წერს: ორი წლის წინ იგი პორტად გამოცხადდა და ადვილი წარმოსადგენია, რა ქალაქი იქნება იგი ორი წლის შემდეგო. თბილისში არეულობა. ნაბიჭვრები ძალაუფლებისათვის იბრძვიან ხალხის, ერის სახელით. ტელევიზორში გამოვიდა ჭანტურია, შემდეგ წერეთელი. სამოქალაქო ომი დაიწყებაო, აშინებენ ხალხს. აქ მოდით, ისე ჰქენით, ასე ჰქენითო. ხალხი ცხვრად ჰყავთ წარმოდგენილი და არც გაემტყუნებათ. ხედავენ, ცხვარია, ტენიან ამ „ეროვნულ კონგრესს". ერთსაც (გამსახურდია) ჩაშლა უნდა ნამდვილი არჩევნების და მეორესაც ჩაშლა უნდა (ჭანტურია, წერეთელი), მთავრობას ხომ უნდა და უნდა.

ნამდვილი უპატრონობაა დღესდღეობით.

20. IX. 90 წ.

* * *

დღეს გელათში სასულიერო აკადემია აკურთხეს. მთავარ ხარაჩოიან ტაძარში ლოცვა და სიტყვები. ჯერ – ილია, შემდეგ – შაშიაშვილი. პარტია დაეწყვილა სამღვდელოებას. მეც ვთქვი, ერთხელ ოპერაშიც გამოვედი და აღვნიშნე, ჩემი ხმის პატრონი თუ აქ გამოვიდოდი, როგორ ვიფიქრებდი-მეთქი. ეგრე მოხდა იქაც. თითქმის ძალით, არადა იხვეწებოდნენ სხვები. ირაკლიც იყო, აბაშიძე, ბევრი სხვა. ხალხი იმდენი, რამდენიც უნდა ყოფილიყო, არც ცოტა, არც ბევრი, ზომიერი... კარგად ჩატარდა ყველაფერი. შემდეგ თეატრში მოუწყვეს შეხვედრა ილიას. გამოვიდა, ძალიან კარგად ილაპარაკა, გულწრფელიც იყო და მართალიც, მომეწონა. თეატრიდან ჯიხაიშში წავედით (ლევანი, ნემსაძე) რეზო ნაჭყებიასთან. მალე წამოვედით.

ვმუშაობ „რკინის სახკომზე“, ტელევიზორსაც ვუგდებ ყურს დროდადრო, ხვალ ოზურგეთში ვაპირებ წასვლას.

21. IX. 90 წ.

* * *

გუშინ ოზურგეთს წაველ ლევანთან და ნემსაძესთან ერთად. ოზურგეთიდან – ბახმაროზე. გურია მოვლილი მაქვს თითქო და იქ არ ვიყავი ნამყოფი. გზით იტრაბახეს პრესა-ტელევიზორში კარგა ხანი და გზამაც ამიყოლა. ის არ აღმოჩნდა, რაც მეგონა. გზას უახლოესი დრო გამოცდის. გალდავაძემ თქვა ერთხელ, გზას 25 წელი უნდა, რომ დაჯდესო. ეს როდის დაჯდება და რა დაჯდა და რა ფული შეიჭამა, კაცმა არ იცის. ბახმარო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი გახდებაო. ამათ ხელში ეგ არასდროს მოხდება. ბახმარომდე მშვენიერია ყველაფერი. თვით ბახმარომ უნუგეშო შთაბეჭდილება დატოვა. უბადრუკი ქოხმახები, ერთმანეთზე მიწყობილი, სიბინძურე და სიღარიბე... სახლები მიხურხლული... მიწას, ეზოს არავინ იღობავს, არავინ ისაკუთრებს (ამას მისვლისთანავე მივაქციე ყურადღება), საყვავილე ადგილი არა აქვთ წინ დატოვებული. თითქოს ყინულოვანი სამყაროს დროებითი სადგომებია. ძალიან დროებით ჭირდება აქაურ მეაგარაკეს ეს ყველაფერი, ადვილი მისახვედრია. ნაძვებს ავადმყოფობა გაჩენია. გულსაკლავი სურათია. ზევით ვულკანური წარმოშობის ტიტველი მთებია. აჭარის მთიანეთში ვიყავ ერთხელ საძოვრებზე, ბახმარო ქვევით არისო, მითხრეს. უხასიათოდ ვიყავი, ლაპარაკი არ მინდოდა მაშინაც. წინა დღის ქეიფს დავაბრალე და სიმაღლის ბრალი იყო. გალახულივით ჩამოვედი ბახმაროდან.

23 სექტემბერია. მშვენიერი დღე, დღის 11 საათი. წავალ თბილისში სადაცაა და 10 დღეში ჩამოვბრუნდები, თუ მშვიდობა იქნა. გუშინ ვერ წავიმუშავე „რკინის სახკომზე“. დავწექი, დაბანგულივით დამეძინა, ტელევიზორიც ჩართული დამრჩა.

გუშინდელი დღე ჩავაგდე ამ გაგებით. სხვაფრივ, სავსე იყო და მშვენიერი იგი. რვეული თბილისში აღარ დამაქვს, აქ ვავსებ მხოლოდ და კარგიცაა ალბათ...

23. IX. 90 წ.

* * *

დღეს 4 ოქტომბერია, ხუთშაბათი. ახლა ჩამოვედი თბილისიდან. დაიწყო „მოამბე" და უნდა მოვისმინო, დღეს ჩავწერე ჟურნალის გამოწერის თაობაზე, არ გადმოსცეს, წუთნახევარზე მეტი არ შეიძლებაო, შემამოკლებინეს და ველარაფერი ვთქვი. ცოლი მძიმედ და უფრო სერიოზულადაა ავად, ვიდრე გვეგონა. მძიმე სურათია, როგორ განვითარდება ავადმყოფობა, ძნელი სათქმელია. ყველაფერი კი ძალიან მოულოდნელად მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს 21 წელი ველოდით, როცა აღარ გვეგონა, მაშინ მოვიდა.

სამუშაო წამოვიღე აქაც, თუ რამე გავაკეთე... ხვალ – ჟურნალი და ზეგ წავალ ალბათ... აქ საარჩევნო კამპანია. ღირს დეპუტატობა ამ სიტუაციაში? შეიძლება რაიმეს გაკეთება, ან ჩემი მონაწილეობა საქმეს წაადგება? ამაზე ვფიქრობ. ერთმანეთი დახოცეს ახალგაზრდებმა ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობაში. ბერია ცხოვრობდა იქ, კომკავშირს ედო ბინა, და ერთმანეთს არ ხოცავდნენ მაშინაც კი. ერთი ჩვენი ნაცნობი უნდა იყოს გარეული ამ საქმეში, თუ ის დაიჭირეს, მეც გადმომწვდებიან...

4.X. 90 წ.

* * *

ტელევიზორში გამოვიდნენ სტალინელები. ეს იყო ამაზრზენი...

ბუნებრივია ეგ მოვლენა თუ არა?

საქართველო არის თავისუფლების ღირსი?

თბილისში ვერ ვრეკავ.

დღევანდელი დღე – დატვირთული, რაც ბუნებრივია. წავალ თუ დავრჩები სამშაბათამდე, არ ვიცი. გრილი, მაგრამ კარგი დღე იყო... საარჩევნო კამპანია დაწყებულია. მე არ მცალია. ცოტას თუ გავინძრევი, იოლად გავალ, მაგრამ საჭიროა? ეგ ვერ გავარკვიე...

5.X. 90 წ.

* * *

ცუდადაა, დავრეკე. მკურნალობას შედეგი არ მოაქვს ჯერ-ჯერობით. ხვალ ჯერ ხონში წავალ წამალზე, ცდა ბედის მონახევრეა, შემდეგ – თბილისში. შაშიაშვილი მელაპარაკა, ჩამოდიო. უნდათ, სოლომონ II მცხეთაში დაასვენონ, რაღაც ვიღონოთო. 3 საათზე „ცოდნაში" სხდომას აწყობენ ეროვნულ-დემოკრატები, ილია II იქ იქნებაო. მარიკა ლორთქიფანიძემ თქვა, საქართველოს მეფე იყო და მცხეთაში უნდა დაიკრძალოსო.

ჯერ ერთი, ერთიანი საქართველოს კი არა, იმერეთის მეფე იყო და მეორეც, ერთიანი საქართველოს მეფეს გელათში ეკუთვნის, ყველა კანონ-სამართლის მიხედვით.

სოლომონ II-ზე თუ ლაპარაკი იქნებოდა, ქუთაის-გელათზე უნდა შემდგარიყო. ადრევე წამოიჭრა ეგ საკითხი, ჯერ ქალმა თქვა ქუთაისში რომელიღაც სხდომაზე (მგონი, მე რომ ამირჩიეს), წულუკიძის ძეგლი ავიღოთ და სოლომონ II-ის ძეგლი დავდგათო. შემდეგ მე გავიმეორე სახალხოდ, წულუკიძის ძეგლის ადგილას დავასაფლაოთ სოლომონ მეორეთქვა...

მე იქ სხდომას ვერ ჩავუსწრებ, ვატყობ... ვერ ჩავუსწრებ და არც მექნება მაგის დრო და თავი. ახლა ნამეტანი გვიანია და 7 ოქტომბერია შემოსული.

7. X. 90 წ.

* * *

თბილისში აგრილდა. აქ ავდარი დამიხვდა. ჩამოვედით შუადღით. ერთ საათში დაიწყება საღამო დიდ კინოდარბაზში. კაკო, თამაზი, ტარიელი, ილია გეგენავა, ლ. ნანიტაშვილი (კაკოს ახლავს თუ ჩვენ საქმეზეა?).

რუსთაველის საზოგადოება, არჩევნების წინა პერიოდი და სისულელე...

მოვბრუნდები, განვაგრძობ...

ჩავატარეთ საღამო.

გამოვიდა კაკო, ილაპარაკა, ილაპარაკა...

თამაზი (კვაჭანტირაძე) — ილაპარაკა, ილაპარაკა...

ტარიელი — უფრო ნორმალურად, მაგრამ ხალხი ვერ აიყვანა, ეცადა კი.

მოვიდა წერილი: ლექციებს ნუ გვიკითხავთ, შეკითხვებს უპასუხეთო...

მეც მივიღე ბარათი ამდაგვარი...

საღამოც მე მიმყავდა. იყო თავშეკავებული ექსცესებიც, ცდები ექსცესებისა, უფრო სწორად... ხალხი ბევრი და მომთმენი. ოთხსაათიანი, განუწყვეტელი ლაპარაკის მოსმენა არ გინდა? ოთხი საათი გაგრძელდა თითქმის... ჩავერთე, მართალია, შიგადაშიგ და ცოტა გავაცოცხლე დარბაზი. ხალხმაც დაიწყო ადგომა, გადიოდნენ ერთმანეთის მიყოლებით... კაკო ამას ვერ გრძნობდა...

აუდიტორიისა და დროის შეგრძნების უნარი არა აქვთ... ეს ელდარსაც ეშლება. ვივახშმეთ, კინაღამ უღვინოდ.

გვიანია, 12-ს ვწერ, მაგრამ გადასულია...

12. X. 90 წ.

დღეა მეორე. წვიმს გაბმულად. არ ცივა. წვიმა კი ძალიან მიყვარს. სამზეო დროა, წვიმა არ უხდება და მაინც... ვიღაც მოვიდა, ვიღაც წავიდა... გადაშლილი მიდევს ფურცლები, ვერ

ვწერ... ვიღაც შემოიარს კიდევ და ფერსათში პანაშვიდზე წასვლასაც ვაპირებ...

მომაგონდა რატომღაც და ვიხსენებდი. სტენდალის „წითელი და შავი“. ჟ. სორელი დუელზე აკითხავს ვიღაც ბარონს თუ მარკიზს და ხვდება, ის არ არი, თუმც სავიზიტო ბარათი სწორია. შემიძლია, დავწერო ის გრძელი ეპიზოდი სიტყვასიტყვითა და მაინც ჩემებურად... მოყოლით უკეთესად მოვყვები. მწერალი მთხრობელი უნდა იყოს უპირველესად... მთხრობელი, მომყოლი (ვინც ყვება)... ის ეპიზოდი კი ბრწყინვალეა ყოველნაირად...

* * *

ფერსათში გავედით გუშინ თ. აბულაძის დედის პანაშვიდზე. წვიმდა, დღეს კვირაა... ელგუჯამ მომაკითხა მხოლოდ და სია მომიტანა საარჩევნო ოლქის ქუჩებისა... რთულადაა საქმე... აქაურობას ვერ მივხედავ, თავსაც ვერავის დავამახსოვრებ, დროც რომ მქონდეს. თბილისში ვერ ვრეკავ და არც მინდა, რომ დავრეკო, რომ ვერ გავდივარ, კმაყოფილიც ვრჩები. შეიძლება მითხრან – წამოდიო, სად წავიდე ამ შუაღამისას... კარგს ვერაფერს გავიგებ და ერთი დღის (ორშაბათის) გამოყენებაც მინდა. ნუგზარია აქ. დაკრიფა ყურძენი, დაჭყლიტა, გამოუვა ერთი ათი ლიტრი. ეს ჩვენი „ადესაც“ გადაგვარდა თუ არა, ადრე ერთი ათი ამდენი ჩამოდიოდა, თუ არაფერი მეშლება. ბენია ჩემთან უყურებდა ტელევიზორს და ნუგზარი ჩამოვიდა უკვე მთვრალი. ის დონდღლაბი ვერ გიზამდა ვერაფერს და რა დალიე-მეთქი? მართლაც რა დალია?.. სასმელი სარდაფში აღარაა. გამოძებნა რაღაც... მე ვმუშაობ. სტუმარი არ მოვიდა და მომეწყინა... ყურძნის ყიდვაც მინდა. კოკლისთან დავწურო იქნებ... „რკინის სახკომს“ ვახრჩობ და ვერც კი... საქმე ძალიან ნელა მიდის წინ...

იმ გუშინწინდელმა საღამომ კი რაღაც გაურკვეველი შთაბეჭდილება დატოვა... ჩემი თავით არა ვარ უკმაყოფილო თით-

ქოს... ვერავის გული ვერ მოვიგე. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ყველა პარტიისა და ყველა ჭკუის კაცი იქ მოვიდა...

რეზო გამოვიდა, მიშველაძე, ტელევიზორში. შუბლზე ძარღვი რომ არა აქვს, ყველამ იცის, მაგრამ სულელიცაა? ველარ გავიგე...

გივიაზე მითხრეს (კვერენჩხილაძე), ფსიქიატრიულში ჰყავთო, — ალბათ ალკოჰოლიზმის ნიადაგზე... იქ რომ ამოყოფდა თავს, ვიცოდი, ვეუბნებოდი კიდეც. ძალიან საწყენია!..

14. X. 90

* * *

ორწიფობა.

ორმოწამეთობა (ორმოწამობა) — თავდაპირველი ფორმა ეგ იყო ალბათ.

მოწამეთაში ავედით და ნეტავ, არ ავსულიყავი. სიბინძურე, სიბრიყვე. ანთებენ იმ საძაგელ სანთლებს, ხრჩოლავს ქიმიურად, მაზუთისაგან თუა გაკეთებული... ყველაფერს იქვე ყრიან, ხის ტოტებს ამტვრევენ დაუნდობლად... ხეებზე და ბუჩქებზე მატერიის ნაკუწები, გათახსირებულია იქაურობა... უნდა დაიწეროს ამაზე. შევუკვეთე კიდეც წერილი „მოწამეთისათვის“.

სტალინელი ონიანი გამოვიდა ტელევიზორში. ამაზრზენად...

ბენდერას ძეგლი გახსნეს უკრაინაში — ლვოვში თუ ლვოვთან ახლო...

რა დრო დადგა...

ეს ძალიან ცუდია რუსეთისათვის...

ამას უკვე მართლა სამოქალაქო ომის სუნი ასდის...

შინ დავრეკე. არაფერი კარგი, იგივე მდგომარეობა... რა უნდა შეცვლილიყო ამ ორ დღეში?!

აქ არავინ მაკითხავს, არავინ მირეკავს და არც მინდა, ეგრე მირჩევნია... არ ვარ ხასიათზე... წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდება, როგორ წავა ჩემი ცხოვრება დღეის ამას იქით...

14. X. 90

* * *

ღამეა. ხუთშაბათი შემოვიდა და ხვალ, ე. ი. დღეს, ამომრჩევლებთან შეხვედრაა და აქამდეც ამიტომ დავრჩი. დავრეკე ცოტა ხნის წინ, ცოტა უკეთესობაა... გუშინ გელათში სასულიერო სემინარია გახსნეს, მოგვიანებით ავედით. მშვენიერი იყო იქაურობა, როგორც ყოველთვის, მოწამეთასავით არაა წაბილწული (ღმერთმა არ ჰქნას) მიდამო. ახალგაზრდა ქალმა თავი დაიხრჩოო გუშინ, ხილის გამყიდველი ქალები წუხდნენ, დაწვრილებით გამოვიკითხე. ქალი სამეგრელოდან, კაცი მაწკეპლაძე. გაუთავებელი უკმაყოფილება ჰქონიათ. სად ნახა წყალწითელაში დასახრჩობი წყალი-მეთქი. უნახია. ვერც ამოუყვანიათ, ის კი არა... ახლა აშრობენ მორევსო. ბიჭი იყო ქალებთან ათიოდე წლის. ენერგიულად ყვებოდა ამ ამბავს. ქალებს ასწრებდა კიდეც ლაპარაკს. დიდივით იქცეოდა.

დღეს საჯაროში ვათვალიერებდი („ჩვენი მეგობარი") გაზეთს. საინტერესო რაღაცას წავაწყდი რევოლუციის პირველ დღეებზე, ჟორდანიაზე. მე თავად გავაკეთებ პუბლიკაციას, როცა მოვიცლი. დღის ბოლოს „ცისკართან" შეხვედრა. თედო ბექიშვილი, მჭედლური და პატარა სუფრა მაინც...

ირაკლიც, ბაზაძე, ბიჭვინთისკენ მიმავალი, რეზო ამაშუკელიც, რომელსაც ფაღავა ჰყავს ჩამოყვანილი, სუფრაზეც უნდა მოსულიყვნენ, ჩვენ ადრე ავიშალენით...

რაც მთავარია, გართულებული „სტალინელების" საქმე. უნივერსიტეტში მიტინგები, გაფიცვები, შეუერთდნენ პროფესორ-მასწავლებლებიც, პოლიტექნიკური ინსტიტუტიცო. ეგ უკვე საქმეა. პიკეტირებას დავიწყებთ სასამართლოს შენობაზეო. იქ ერთი ჩათლახი სტალინელიც ზის. დრო რომ მქონდეს, დრო რა შუაშია, ოჯახური მდგომარეობა რომ მიწყობდეს ხელს, გაფიცვებს შევუერთდებოდი, დავჯდებოდი მათთან ერთად... რაც ხდება, უკვე კარგია, ეგ უკვე გამარჯვებაა. არ ვყოფილვართ ფურთხის ღირსი...

18 ოქტომბერი, 90 წ.

* * *

გუშინ იყო ქარი ქუთაისური. დღესაც ქარია, ოღონდ ზომიერი და მზიანი. ქუთაისი უქაროდ ვერ წარმომიდგენია და კარგია ეს ქარი.

გუშინ იყო დეპუტატებთან შეხვედრა ძველ კინო „კომუნაში“. გადაუკეთებიათ შიგნიდან, აბანოს ჰგავს... საშინელებაა...

შეხვედრა შეხვედრას ჰგავდასავით. არ უნდა მივსულიყავ ალბათ, თუმც მისვლითაც არა დაშავებულა-რა. ისე კი იმ ხალხთან ჯდომა, ვისთანაც, თურმე, მე კენჭს ვიყრი, ძალიან უხერხული იყო და ჩემი არსებობაც...

ერთ ახალგაზრდას, კინორეჟისორი ვარო, პირველად ვნახე, არაუშავდა... უნდა დაუთმო მაგათ ადგილი, მაგრამ, ეგრე არ მოხდება. მე რომ ვუტიო, უღირსი დარჩება. არ უნდა გავბმულიყავ ამ ხათაბალაში. მაინც თბილისისკენ მიმიწევს გული და ამიტომ ალბათ... აქაურობაც არ მეთმობა, ეს არჩევნები კი ერთ ტურად არ დამთავრდება, თუ დამთავრდა საერთოდ. ათი საათია, მივდივარ თბილისისკენა.

19 წიფობისთვე, 90 წ.

* * *

ჩამოვბრუნდი. იქაც წვიმდა, აქაც წვიმს, გზაშიც წვიმდა. მოვიდა არჩევნები. გაიზარდა ინტერესი. ფეხით ამოვიარე რუსთაველი მწ. სახლიდან სახლამდე. ჯერ რუსთაველის საზოგადოებაში შევედი, დავამტკიცე ხარჯთაღრიცხვა... სადაა ჩვენი აფიშები-მეთქი, ყველასი გამოკრულია, ჩვენი — არა...

ერთმანეთს გადააბრალეს. შემდეგ რაღაც დააპირეს. თამაზი ადგა (დაბნეულს დაემსგავსა) და წავიდა. 2500-ს გავაკრავ ხვალ ქუთაისში-მეთქი, დავავალებ და დავქსაქსავ ხალხს ქალაქში... წამოვიღე მართლაც ბლომად... „რუსთაველს“ შეეძლო, შეეკრიბა მოწინავე საზოგადოება და დაპირისპირებოდა კომუნისტებსაც, „მრგვალ მაგიდასაც“, კონგრესსაც, ვერ გააკე-

თა... ამის გამკეთებელი იქ არავინაა. დოდო რცხილაძემ გამომატანა მაღლაკელიძის ჩანაწერები, სურათები, საყვედურები... კაკოს მაგრად მოდგა, გუშინ ცუდად გამოვიდაო... რას მიაწვა ამ რეფერენდუმს მართლაც... დღევანდელ სიტუაციაში არ უნდა გაიმარჯვოს „მრგვალმა მაგიდამ“ და კომუნისტებმა და პირიქით მოხდება...

საბოლოო ჯამში, ოპოზიცია მოიპოვებს უმრავლესობას... „მრგვალი მაგიდის“ ბლოკი დაიშლება, კონგრესი და პატივმოყვარე იოსელიანი ხათაბალად გადაიქცევა...

ვინ არაა პატივმოყვარე?

ქართველი და უპატივმოყვარეო? ეს სენი რომ ჭირდეს მარტო, ვინ დაეძებს.

მე ვერ გავიმარჯვებ ალბათ (უმრავლესობასაც ეს დაემართება) პირველ ტურში. მეორეში, შეიძლება, დავმარცხდე კიდეც... რუსთაველი ხმებს აგროვებდა, მეგონა და დღეს ეჭვი შემეპარა... დღესვე დავარდა, მე მგონი, მისი აქციებიც. ცუდად გამოვიდა კაკო. ცუდი ტაქტიკა აირჩია, 49-ედ დაისახელა თავი, ფანდიაო. ფანდი კი არა, მტკნარი სიბრიყვეა. თ. ჭილაძე, შემდეგ მე, სერებრიაკოვი, ტარიელ პროკოპიჩი... ესენი რა პოლიტიკოსებიაო, იტყვიან. სერებრიაკოვი ვინაა, ვის დაკარგვიაო და ასე შემდეგ... ასეთი თანამიმდევრობა ჯობია საქმისთვის:

კაკო
კვაჭანტირაძე
მე
და სხვა...

25. X. 90 წ.

* * *

ყურძენი მინდა დავწურო და ეგაა ალბათ ყველაზე საინტერესო ამბავი ჩემთვის ამ დროს. კოკლი იყო, ყურძნის გამყიდველი უნდა გამოეგზავნა. არ გამოჩნდა. ერთ დიდ სახლში,

თეატრთან, მისულან, მაგას არ მიცეთ ხმაო, ჩემზე ეთქვათ, კომუნისტია, ამათი კაციაო და სხვა. გვერდით, საავადმყოფოში, ჩემი პროგრამა იყო გამოკრული, სურათით, ჩამოუხევიათ. ძალიან მებრძვის დედაკაცი „მრგვალი მაგიდიდან“, მაგრამ სხვა დედაკაციც აქტიურობს, ვხვდები.

საერთოდ კი ცუდი ამბები ხდება, უფრო ცუდი და უბედური აწი მოხდება. ზვიადი გაიმარჯვებს და პარლამენტი და ეროვნული კონგრესი გადაიქცევა ეროვნულ უბედურებად... ეს აშკარაა. ზვიადი გამოვიდა აგრესიულად. ჭანტურია დაუჭრიათ... სხვას რას ჩაიდენენ, საინტერესოა! სოც-დემოკრატი გამოვიდა (მუჩაიძეს არ ჰგავდა), შვედური მოდელი გვინდა სოციალიზმისაო. შვედეთში მეფე არის (ხომ არაფერი მეშლება?!), მონარქიული სოც-დემოკრატია? ესაა ჩვენთვის მისწრება... მე რომ „რუსთაველი“ არ ვიყო, ხმას მაგათ მივცემდი, აგიტაციასაც მაგათ სასარგებლოდ გავწევდი. საქართველოს ხსნა მაგათ პროგრამაშია, ღრმადა ვარ დარწმუნებული და გადავალ კიდეც მაგათთან. ბოლშევიკებმა ხომ ილია მოკლესო, ხაზგასმით თქვა...

ბოლშევიკებმაც მოკლეს და მენშევიკებმაც, სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს სწორედ, მაგრამ თუ ბოლშევიკებს არ გადაბრალდა, ამ ახალი პარტიის „შვედური მოდელის“ საშველი არ იქნება. მეც ვაბითურებ სოც-დემოკრატებს... არ არი საჭირო, შეიძლება, მაგრამ სინამდვილეს ვერ წავუვალ, არ გადავუვალ... ბოლშევიკებს ბოლშევიკური მეთოდით ვებრძოდითო, ჟორდანია ამბობს... მეთოდი ერთი ჰქონდათ, პრინციპში...

ენიმ დამირეკა — ვეღარ გენდობი-მეთქი, სიყვარულს ვეღარ აგიხსნითქვა. შორიდან ვრეკავ, შემამოწმე, თუ გინდაო... შემოწმება აღარ ჭირდება, ეტყვი რამეს და სხვამაც იცის, ერთი ქმართან ლაპარაკობს ყველაფერს და ასე შემდეგ...

არჩევნებიც მოვიდა.

26-ის შუაღამით, 27. X. 90 წ.

* * *

ღამდება. მთავრდება არჩევნებიც. ხალხი მივიდა ხმის გასაცემად. გასცა ხმა ხალხმა. მარცხდებიან კომუნისტები, გაიმარჯვა, მე მგონი, „მრგვალმა მაგიდამ“. ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა მოხდეს ამ არჩევნებზე... ჩვენ შუალედურ წრებრუნვებში მოვექეცით... საბოლოო შედეგებამდე ადრეა ლაპარაკი, მაგრამ სურათი სწორია, ნათელია. მეც დავმარცხდი ალბათ... „მრგვალი მაგიდას“ და მის წარმომადგენელს ეძებენ ბიულეტენშიო. ახლა მოვლენ, ყველა უბანშია თითო კაცი, და იტყვიან ყველაფერს. აქ ვერ გავალ, იქ გავალ ან იქაც დამარცხდება მთელი რუსთაველი? კაკომ უღალატა საზოგადოებას, როგორც ჩვევია, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე გააკეთა, ბოლო მომენტში (არ გამოვიდა საბოლოო სიტყვით) და მან ბევრი დაგვაკლო. აქეთ რომ მოვდიოდი, პრეზიდენტი უნდა აკაკი გახდესო, მის გასაგონად ამბობდა ტარიელი, თამაზი კვერს უკრავდა და კაკო გაბუსული იჯდა. თუ შესთავაზეს (ეს უკვე მოსაწონია), დადგება და სულ ცოტა ხანში იტყვის, არ მინდაო. ორჯერ ორი ოთხია და ისევე სწორია ჩემი ვარაუდიც.

...და დავმარცხდით სასტიკად.

დამარცხდა, ადრეა ლაპარაკი, მაგრამ ეგრე იქნება, რუსთაველის საზოგადოება, როგორც ვფიქრობდი, ეგრე მოხდა.

ბრძანება გამოუცია, ბრძანება არ უნდა დაერქმია, ილია II-ს, ვინც კაცი მოკლას, რომელმა ქართველმაც ქართველი მოკლას, დამნაშავე თუ უდანაშაულო, შერისხული იქნასო და სხვა და სხვა...

კარგი და საჭირო ღონისძიება...

და მაინც არჩევნები.

სახალხოდ ვთქვი: ყველა ხალხი იმ მთავრობის ღირსია, რომელიც ჰყავს, რომელიც ეყოლება-მეთქი... იგივე გაიმეორა ნ. ნათაძემ (პუპუზამ), ჩემგან დამოუკიდებლად. ის ქალაქი იმ დელეგატის ღირსია, რომელიც ყავს, თავისთავად ცხადია და

მე მაინც არ ვიყავი ასეთი დაბალი წარმოდგენის ქალაქზე, ნამდვილად არ ვიყავი... უმრავლესობა პრიმიტიული...

ეს ძალიან სამწუხაროა... ვიცოდი, მაგრამ ამ დონეზე არა...

28. X. 90 წ.

* * *

ახლა რვა (8) ნოემბერია. წვიმიანი...

გუშინ შვიდი ნოემბერი, უპარადოდ. როგორ იოლად გადაიქცა ჩვეულებრივ დღედ. შინ ვიყავი და მიხაროდა. ბენია ჩამოვიდა ლეილასაგან, ერთი ბაირაღი არაა თბილისშიო, გაოცებული იყო...

შიდსზე ლაპარაკობენ, ტელევიზორის ხმა მესმის. ეს რა უბედურება მოდის. სასჯელი? ალბათ.

ფისოს თითქოს არაუშავს. დღეს მე და ელდარი ვიყავით „ლეჩკომბინატში". ვნახეთ მთავარი ექიმი, თენგიზის მაგიერია, ნებიერიძე მგონი, ვანო. კარგი კაცი ჩანს. ორშაბათს დაწვება და გაიკეთებს ალბათ იმავე კვირაში. რატომღაც მეიმედება. დასასრული არც ისე ახლო უნდა იყოს, როგორც ჩანს, როგორც ჰგონიათ... საექიმო დასკვნა მძიმეა, მართალია და მაინც არ მჯერა...

არჩევნებზე და ზვიად გამსახურდიაზეა ლაპარაკი მხოლოდ. აგერ სესიაც. როგორ გაართმევენ თავს მომიტინგეები პარლამენტს? პეტრიაშვილებისთვის ძმები კენედები დაურქმევიათ უკვე. რექტორს მინდა შევხვდე ხვალ ბუთხუზის გამო, ამიტომაც უფრო ჩამოვიჩქარე.

2. XI. 90 წ.

P. S.

გიორგი ჭყონდიდელზე ლაპარაკობენ, ზეიმის ტრანსლაციაა (ჩაწერილის) ალბათ, როინმა ილაპარაკა, ახლა მ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს. ისე იმოძღვრებიან, თითქოს იცნობდნენ კიდეც. არადა, ყველას ცნობიერებაში ჭყონდიდელი უცნობი პი-

როვნებაა და არც გაიდეალებული, არც გააბსტრაქტულებული და იქმნება შთაბეჭდილება, თითქო არაფერზე ლაპარაკობენ. დავით აღმაშენებელი ძლივს შემოვიდა ხალხის ცნობიერებაში (შემოვიდა კი?) და ახლა ჭყონდიდელი, რაღაც დანამატია აღმაშენებლისა. ტბელის რაღაც წლისთავი გადაიხადეს კიდევ ადრე... ასეთ უსაგნო სახეებს სხვანაირი მიდგომა ჭირდება, სხვანაირად უნდა გაცნაურდეს ხალხში... თანდათანობით ალბათ... სხვაა ცოტნე დადიანი... ეგ პიროვნება რაღაც ეპიზოდით შემოსულია ჩვენს აზროვნებაში, იგი გარეალურებულია, გამატერიალურებულია, სხვაა...

* * *

დღეს ავდარია ქუთაისში.

მარტო ვარ დიდ სახლში. ზევით არც ამიხედია. დავანთე ბუხარი, გავათბე აქაურობა. სამსახურიდან წამოსულმა ვისადილე ჭიპას დუქანში. კაი ღვინო წამოიღო კოკლიმ. ვილაპარაკეთ. მე არ დამილევია და სხვაც არ დამთვრალა. ჭიპა შემოგვესწრო, ფეხბურთზე რომ ვლაპარაკობდით. მახსენდება ვაჩაძის ნათქვამი და მეცინება ხოლმე, კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ჩვენს სტადიონზე ბეტონის ქანდაკება რომ დგას, იმას და ჭიპას არ გაუტანიათ ბურთიო. მალე ავიშალენით, მას შემდეგ შინ ვარ. პირველი ხდება ღამისა და ჯერ ვერ დავჯექი სამუშაოდ. ვერ მივახრჩვე და ვერა „რკინის სახკომი". ხვალ საჯაროში უნდა ჩავჯდე კიდევ, რაღაც-რაღაცეები მაქვს კვლავ დასაზუსტებელი. ბეჭდვას რომ დავიწყებ, მუშაობასაც მაშინ დავიწყებ ნამდვილს... რვა, ცხრა, ათი საათი მიწევს დღეში ჯდომა თუ ხელი არაფერმა შემიშალა. ბეჭდვა, სწორება, ფიქრი, ალაგ-ალაგ შავი ნაწერის გადათეთრება. ძალიან კი ვიღლები. უნდა ვივარჯიშო მანამდე, თუ მექნა სავარჯიშოდ საქმე... როგორ ჩათავდება ოპერაცია, ვინ იცის..

მაკამ დარეკა მხოლოდ. მე არავის ვეხმიანები, არც ვაპირებ. ახლა მარტოობა მინდა. მიჩვეული ვარ თუ ბუნებაშიცაა ჩემსაში... გუშინ თუ გუშინწინ ვიხსენებდი, როგორ მიყვარდა ბავშვობაშიც კი შემყუდროება (დიდი ხნით არა), შენახვა, შეგულება, ნივთების გასულიერება, წიგნების გადალაგება. ნიგვზის ხეზე სკამლოგინი, კაკლის სატეხად ქვა არჩეული და გადანახული, სხვა და სხვა... თუ გამომყვა ეგ ჩვევა-მეთქი, დავფიქრდი და – კი. უჯრები, ჩალაგება, დახარისხება (დასამალავი, დღიურების გარდა, არაფერი გამაჩნია), სამსახურში – სეიფი, აქ – კარადები, მუხათწყაროში – სამეურნეო ხელსაწყოები, თბილისში – კარადები, უჯრები, უჯრები... სად რა დევს, სად რა მაქვს, ყველაფერი მახსოვს... წიგნის ფერი და ყდა-ყუა... ფერით და ყუით მივაგნებ... ეს არ არი, ეს არ არი... არც დავხედავ სათაურს... არ არის და არ არის, ეგაა... იშვიათად შემეშლება.

შეიძლება, ბორჯომში შევიარო... ღორეშა? ერთი სოფელი, გეთსამანია მაქვს კიდევ ჩათქმული. ყველაფერს ვერ მოვასწრებ, დარიც რომ დამედაროს, სამშაბათს კი თბილისში უნდა ვიყო აუცილებლად... ტელევიზორი მიშლის ხელს, თორემ ამნაირ სამუშაო სიტუაციას ვერ ვიშოვნი სხვაგან. მუხათწყაროში, მაგალითად, ვერც ვწერდი, ვერც ვბეჭდავდი, ვერ ვგრძნობდი თავს მყუდროდ ტყეში და სიყრუეში. ეს უცნაურია. სიმაღლეც მაწუხებდა, თუმცა ფიზიკური მუშაობა შემეძლო, ვიღლებოდი და კარგადაც ვგრძნობდი თავს. ბეჭდვის დროს (ბარაქაც არ იყო) პირიქით. ნამეტანი სიწყნარე ნამეტანი ხმაურივით მიშლის ხელს... ეს კი ჩვენი დროისა და ფსიქიკის ხუშტურია.

არჩევნებზეა კვლავ ლაპარაკი.

ელდარი გამოვიდა, არ იყო, მე მგონი, საჭირო, „მრგვალმა მაგიდამ“ აჯობა ისევ. ახლა მაგათ უნდა აცალო. ჯაბას გამოსვლაც, თუმც რაღაცეები დათმო, არ მომეწონა ამის გამო...

9 ნოემბერი, 90 წ.

* * *

ხვალ გაიხსნება სესია. გამოვიდა ზვიადი ტელევიზორში, საბჭოთა ხელისუფლება დამთავრდაო (რაღაც ეჭვი მეპარება), ახლა დადგება გარდამავალი პერიოდიო. თუ ამ აზრზე დარჩა, კარგია. რაღაც სიმშვიდის გარანტიას იძლევა „გარდამავალი პერიოდი". კონგრესმა ინამუსა, 17-დან თვის ბოლომდე გადაწია თავისი კონგრესი. რა პოზიციას დაიჭერენ, რა აქვთ ჩაფიქრებული, განზრახული? კაციშვილს არ უჯერის მთავარი, არც ესმის, რას ელაპარაკებიან და როგორ წავა საქმე, არავინ იცის. მე ასე დაბნეული სხვიმის არ ვყოფილვარ. კომუნისტებს რაღაც კომპრომისული და ვერაგული აქვთ ჩაფიქრებული და ამას ვერ ვხვდები... დღეს უნდა ავმგზავრებულიყავ, მაგრამ გადავდევი... საქმე არ მიშვებდა და წასვლაც არ მინდოდა 13-ში. დილაც ბურუსიან-წვიმიანი, შემდეგ გადაიწმინდა, შეიძლება, ხვალ დარი იქნეს. პატარებს ველაპარაკე, ბაბუა, შენთან მინდაო, მითხრა მთლად პატარამ (ახლა ამოიდგა ენა), უფროსმა სათამაშო მანქანები დამიკვეთა... სესია 10 საათზე გაიხსნება, უნდა შევყოვნდე, ამ ისტორიულ მომენტს ვერ გავუშვებ... „და თუნდაც შემდეგ დაუგვიანდეს, იგი ამისთვის აღარ დაღონდეს"... უნდა შემევლო ლიკანში, აღარ დარჩა საჭირო, ღორეშაში (სესიის გამო) ველარ შევალ, მიმრჩა სოფელი გესთამანია, „ვარდობის ეკლესია" გადაიდო იმ წლისთვის?..

რა არ მოვიმოქმედე და ხელმოწერა წესიერად ვერ ჩავატარე. დღეს დავტრიალდი თითქოს. ოტია შემხვდა, არაფერი არ დაგიკლიაო, მითხრა. მეტის გაკეთება მართლაც აღარ შეიძლია. რა რეკლამა, რა მონდომება... ფასი არ მოვუმატე... ყველაზე დიდი ჟურნალი, ყველაზე იაფი ღირს-მეთქი, ესეც კი დავწერე... უსპენსკის სისულელეს ვბეჭდავ და სხვა... ხელისშემშლელი (წელს განსაკუთრებული მდგომარეობაა) პირობები არ თავდება. ხელფასები გავადიდე. ახლა წასვლაც აღარ მინდა. ჟურნალი მენანება, სხვას ვერ ჩავუგდებ ხელში, თანაც, სად

წავიდე. რა დრო მოდის, რომ ვხედავ... ამხელა ხელფასი სად ვიშოვნო?

„დაისია“ (ფილმ-ოპერა) ტელევიზორში... ცოტა ხანს ვუყურებ...

13.XI. 90 წ.

* * *

14-ში წავედი და დღეს ჩამოვბრუნდი.

ოთხშაბათია, 28 ნოემბერი.

ბიჭებმა გამომაცილეს, მუხათწყაროს გადასახვევთან ვისხედით 4 საათის წინ. ფისომ მოიხედა დღეს, სანუგეშო ჯერჯერობით მაინც არაფერია.

პატრიკეევი გამოვიდა ტელევიზორში, იაზოვიც გამოვიდა. პატრიკეევი – ჩვენ, იაზოვი – ყველას, მთელ საბჭოეთს დაემუქრა. რუსის მოშორება შეუძლებელია და დრო დადგა მაინც მათი მოშორების. მთავარია, უმტკივნეულოდ ჩატარდეს ეს პროცესი. შევძლებთ კი ამას? რას გვიმზადებს დრო და ბედი?!

საქართველოში კი ხდება ამბები, კარგი და ცუდი, ძალიან კარგი, ძალიან ცუდი, ბევრს ნიშნავენ, ბევრს ხსნიან.

აიღეს ძალაუფლება და არ მჯერა, კომუნისტები რაღაცას ამზადებენ, რუსი პროვოკაციაზე მოდის.

„კონგრესს“ ხსნიან ხვალე, მგონი, თავის „კონგრესს“. ესენი უნდა დაშალო და დააკავო ახლა სასწრაფოდ(?).

რაღაც საშინელმა ავტომობილმა ჩაიარა ქუჩაში, მაცივრის სახურავიდან თეფში(?) გადავარდა და დაიმსხვრა. მივალ, ვნახავ... ავტომანქანის ბრალია, აბა, თავისთავად ხომ არ გადმოვარდებოდა.

თბილისის ბაზარში ყველი – 15, ნადუღი 10 მანეთი დამიფასეს. ხორცში 15 მანეთი მივეცი, ლობიან პურში 2 მანეთი და ასე შემდეგ. შემნახველი სალაროდან ძლივს გამოვიტანე 500 მანეთი. ფული არ გვაქვსო, არ აძლევდნენ მეანაბრეებს. შემომ-

ტანებს ელოდნენ, გამტანი მეტი აღმოჩნდა. რად უნდა შეინახო ეს ჩენჩი?

20 ათასი ჩავაბარე „ივერთბანკს“, გინდაც არ მქონია...

28. XI. 90 წ.

* * *

არაფერი კარგი. არაფერი სასიხარულო...

ქეთოს ველაპარაკე... გლახადაა საქმე... საავადმყოფოში აღარ აჩერებენ... მძიმე იქნება დასასრული... მეც ვერ ვგრძნობ თავს კარგად. კარლომ ჩამოიხრჩო თავი.

ძია კარლოს ეძახდა ფისო. მამიდის ქმარი იყო, მეფეხურად მიაჩნდა. კარგი ფეხი აქვსო. მშობიარობის დროს (ორჯერვე), კარლო მოვიდესო. აუცილებლად მოდიოდა კარლო, ყოველთვის ცოლთან ერთად და საქმეც კარგად მთავრდებოდა. ყველა გაჭირვება და უბედურება გადაგვქონდა. ოპერაციის წინ, იმ ხუთშაბათს, კარლომ თავი ჩამოიხრჩოო, მითხრა ქეთომ. მეწყინა ყოველნაირად. კარგი კაცი იყო და დამენანა, მეორეც, ცუდად დაგვებედებოდა, მივხვდი, და ეგრეც მოხდა. ფისომ დღესაც არ იცის კარლოს სიკვდილი. ფასანაურში მომხდარა ეგ ამბავი. წერილები დაუტოვებია, „შარდის შეხუთვა“ დამემართა და აღარ ღირს სიცოცხლეო, ოპერაციას ვერ გადავიტან, არც გავიკეთებო. მინდოდა, ცოტა ხნით კიდევ მეცოცხლა თავისუფალ საქართველოში, მაგრამ არ გამოვიდაო. 9-ში იყო დაბადებული, თუ არ ვცდები, რატომღაც ძალიან მტკივნეულად განიცდიდა სიბერეს. მოხუცებულის სიცოცხლე არ ღირსო. არადა, მამამისმა 96 წლამდე მიაღწია, 90-საც კარგად იყო, მახსოვს... ოტია გადმოვიდა და ჯემალი გადმოყვა საავადმყოფოდან. რეზინგაკვეხებული დადის და მეორე იპერაციას აპირებს, სხვა გზა აღარა მაქვსო. ბენიასაგან აიღო კონსულტაცია. ბენიამ დაამშვიდა, კარგად ჩაიარს ყველაფერიო, კარლოს ამბავი კი ოტიასთვისაც არ მითქვამს... ეშინია და ბუნებრივიცაა... მაინცადამაინც

აქ, რკინიგზის საავადმყოფოში იკეთებს, ასე მაქვს ჩათქმული, შენც ახლოს იქნებიო. მე რას ვუშველი, მაგრამ მაინც იმედია, კაცი კაცითაა... 1 დეკემბერი ყოფილა, საოცრად თბილა, ღია ფანჯარასთან ვზი.

LXII. 90 წ.

P. S.

ფრანგთა 58%-მა არ იცის, ვინ დაწერა „პარმის სავანეო", გვაუწყებს გაზეთი „შანსი". გადმობეჭდილია „ზა რუბეჟომ"-დან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამდენივე ქართველმა არ იცოდეს, ვინ დაწერა „კაცია ადამიანი" ან „ბაში-აჩუკი". ეს გამორიცხულია. თანაც იმ 58%-ში, ცხადია, მკითხველი, ვინც კითხვა იცის, იგულისხმება. ისე კი, სტენდალი „წითელი და შავით" უფროა ცნობილი და ფრანგებს ეს მაინც არ ეპატიებათ.

ახლა ფშავს აჩვენებდნენ. სოფლები — უკანა ფშავი, რაღაც ვაკე და სხვა. ელექტროენერგია არ ყოფილა. დიქტორი ეკითხება, ტელევიზორი რომ არა გაქვთ, რას შვრებითო... ძნელი წარმოსადგენია მართლაც, მაგრამ როცა არ იყო, რას ვშვრებოდით? არ ვარსებობდით? მწყემსმა კარგად უპასუხა, საქონელს ვუვლით, ესაა ჩვენი ტელევიზორი, როდის ვდგებით, როდის ვწვებით, არ ვიცითო...

ისე, უცნაური კია, სადღაც ცხოვრობენ ადამიანები და ელექტრონი არა აქვთ... მე ახლაც ვამაყობ, იმ დროს მოვესწარ, როცა ჭრაქის შუქით ანათებდნენ სოფელში (ოკრიბაში) ბინებს-მეთქი. ეგ მართლა ეგრე იყო და ელექტრონიც შევიდა ყველგან უკვე 50-იან წლებში, შეიძლება — უფრო ადრეც... 50-იანი წლების დასაწყისში.

* * *

დღესაც, 2 დეკემბერს, კვირას, უჩვეულოდ თბილა. ეზოში ვართ მთელი დღე ბენია, ნუგზარი და მე. ნუგზარი შეშას აპობს, მე რაღაცას ვჩალიჩობდი, ბენია მეთვალყურეობდა. დე-

დაჩემის საფლავი არ გვახსენდება. ახლა მოსაღამოვდა, მოიღრუბლა, მაგრამ კიდევ უფრო ჩამოთბა. დარეკა მხოლოდ ნესტანმა. საათს ვუყურებ, 5-იც დაიწყო და მწუხრიც. ვნახოთ, კიდევ რა მოხდება დარჩენილ დროში. წუხელ ცუდად მეძინა, ხან ნაცნობებით (უმეტესწილად ქალებით) გატენილ ავტობუსში ვიჯექი, ხან მე მიმყავდა ძილში ავტომანქანა, რაღაცას ან ვიღაცას ვეჯახებოდი, სასწაულებრივ ვიკავებდი თავს. ვერ ვაგნებდი ფეხის მუხრუჭს. ავტობუსის მძღოლიც იყო. ბოცით დადიოდა. ყველაფერი ვნახე ბუნდოვნად, ფრაგმენტულად და არც ჩამიწერია. ასეთ დაუმთავრებელ, დაუწყობელ სიზმრებს არ ვიწერ ხოლმე...

დაღამდა წვიმიანი, ღამეცაა გვიანი. წვიმს უკვე და მაინც თბილა. ზაფხულის წვიმაა თითქოს.

მოვიდნენ კვაჭი, ზურიკო, მოყვა ბეჟანი. ზურიკომ მოიტანა ღვინო, წავივახშმეთ, დათვრნენ, ზოგი ნასვამი აღმოჩნდა, ბენიაც ჩამოვიდა, ნუგზარი თავისთავად. მე პატარა რეპლიკა დავუწერე ლადო იყალთოელს, ლადო მრელაშვილი, რატომღაც ლადო ალფენიძე მეგონა. „მოწამეთაში“ დავბეჭდე და არაფრით ავტორობას არ გავამხელ...

ყველაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რაც უნდა გავაკეთო...

2.XII. 90 წ.

P. S.

ჯაბა იოსელიანი გამოვიდა ტელევიზორში. შემაშფოთებელი იყო ეს გამოსვლა. სახელი, რაც მას ძალიან უნდოდა, იშოვნა, მაგრამ სწორად არ იქცევა, იქნებ ვცდები, მომავალი გვაჩვენებს.

* * *

11 დეკემბერი. სამშაბათი. ქუთაისში სამშრალე, სითბო და ქარია. თბილისში გუშინწინ წახდა ამინდი. დღეს წამოშხეფა, ძალიან არ გაავდრებულა, არც მაინცდამაინც აციებულა. მანამდე

კი საოცრად მზიანი დღეები იყო. გზაზეც არაა ზამთარი, თვით ხაშურში და რიკოთის მისადგომებთან არ ციოდა.

დღეს გააუქმა ოსეთის ოლქი უზენაესმა. რა მოყვება ამ ამბავს? ძნელი გასათვალისწინებელია, მაგრამ რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო აუცილებლად. ზვიადმა კარგად ილაპარაკა. „ვრემიას“ შემდეგ კვლავ გადმოსცეს, კვლავ ილაპარაკეს. თბილისზე, ის იყო, მოსკოვზე – კრუჩკოვი (კაგებე) იმუქრებოდა ლოყებდაფორაჯებული, კოხტად ჩაცმული, ტანმორჩილი კაცი (მანამდე არ მენახა). ასე ვიზამთ, ისე ვიზამთო. ტყუილი ლაილაი მომეჩვენა...

11.XII. 90 წ.

* * *

ახლა გამოაცხადეს კომენდანტის საათი ოსეთში (ცხინვალი, ჯავა). გამოვიდა რუსი პოლკოვნიკი და გამოაცხადა საქ. უმაღლესი საბჭოს დადგენილება, რის საფუძველზეც ჩადგება ჯარი ოსეთში, რასაც სხვა გვიკეთებდა, ის გავუკეთეთ სხვას თუ როგორაა?.. სხვა გზაც რომ არ გვქონდა? აირია ქვეყანა და აქ მთლად მიჩათლახდა. უნდა წავიდე, უკვე აშკარაა... ქუთაისში კვლავ ქარია ზომიერი და არ ცივა. შაშიაშვილის ნახვა მინდოდა, არ არი...

ხელისუფლება ვის ხელშია, კაცმა არ იცის...

თბილისში ქორწილები და ნარჩენი სუფრები მოვილიე, აქაც ვსვამ, ვერც ვსვამ. გამხვიეს ჭორებში თურმე მაინც. ვარიდებ ყველაფერს თვალს თუ თავს და ვერ ავარიდე...

სასიგნალო გამოვიდა (№10), მშვენიერი ყდით. ეგრე და იმნაირად ჯობია, მაგრამ ხალხი შეეჩვია შინდისფერ ყდას (შეეჩვია კი?) და ახლა შეცვლა იქნება? ალბათ კი...

12.XII. 90 წ.

P. S.

გამოვაცხადეთ რუსულად, ქართულად ტელევიზორში, ახლა კალათბურთს ვთამაშობთ.

ცხინვალში კი 3 კაცი მოკლეს (ქართველი, ოსი?), ორი დაჭრესო და სხვა. მოსკოვმა (ვრემია) კრინტი არ დაძრა... არადა, რუსები (ჯარი) გავრიეთ საქმეში...

ჩემ შემოქმედებაზე იცავს კაცი დისერტაციას, თუ არ ვცდები, კახაბერ ლორია. ეს ახალგაზრდა მუშაობდა და სხვა არავინ გამოლლიტავდა ამ თემას. ნიკოლეიშვილს დაუბარებია, ოპონენტი ვარ და მივდივარ თბილისსო. უნდა გამხარებოდა თუ არა, არც ვიცი. ძალიან მეეჭვება, ჩემი... რაც ქვია, სპეციალური კვლევის ღირსი იყოს. რაც მეკუთვნის, რაც ვარ, ის მაინც გაუგებარი დარჩება. შეღავათები არ მჭირდება. ზოგიერთი შემოქმედი სიკვდილის შემდეგ იბადებაო, ეს ჩემზეა...

გავიდე, კალათბურთს ვუყურო!

* * *

დილაა. რვის ნახევარი. 14 დეკემბერი. პარასკევი. ჭიშკრის ხმა გავიგე. ბენია გადავიდა ჭიშკარზე შავი საწვიმარი „კეპკა“ ქუდით, დადგა გაჩერებაზე, გაიკეთა სათვალე (სარკმლიდან ვადევნებ თვალს), დაელოდა, მოვიდა ავტობუსი (როგორა აქვს გაზომილი დრო), გაატარეს (ეტყობა, ერთმანეთს იცნობენ), ავტობუსი წავიდა. უნდა ჩავიდეს რიონ სადგურში და შემდეგ მაცივარში. არც ვიცი, ბოლომდე მიდის თუ არა ავტობუსი. სხვა წესი ჰქონდა და სხვა განრიგი ადრე. ფეხით გადიოდა სადგურამდე, კიბით ქვევით, ტროლეიბუსი, შემდეგ, მგონი, ავტობუსი და ადრინდელი მაცივარი, ქვიტირის საზღვართან, მისი „სამშობლო“ უფრო ახლო იყო იქიდან, ვიდრე სამსახურიდან ამ სახლამდე (რა შედარებაა!), შემდეგ სამი უბედურება ერთად.

1. სამსახურის ადგილის შეცვლა, გაუჭირდა გადაადგილება.
2. ცოლის გარდაცვალება.

3. და მძიმე ოპერაციები.

იოლი არ იყო ამათი გადატანა. ახლა დადის კვლავ სამსახურში, 1907-ში ვარ დაბადებულიო, დაბადების მოწმობაში და სხვა საბუთებში 6 უწერია.

საქართველოში კვლავ, როგორც სხვაგან, არეულობა, გაურკვევლობაა. ქალაქს ვინ ხელმძღვანელობს, ძნელი გასარკვევია. გუშინ შევედი აღმასკომში, დღესაც აქ ყოფნა (მცირე ხნით) მომიწევს. გუშინვე წავედით საღორიის ტყეში, სასაკლაოს მხრიდან. მზიანი დღე დეკემბერის, ქარი, რომელიც მუხათა კენწეროებზე გადადიოდა და ტყე გუგუნებდა. „იდგა ტყის ძალი". კარგი იყო ძალიან.

14. XII. 90 წ.

* * *

გუშინაც გავედი ტყეში. მივაგენით თითქო დახვრეტილთა ადგილსამყოფელს, ბევრს ცოდნია ის ადგილი. სასროლეთივითაა მართლაც. სამი ორმო ამოვიღეთ სხვადასხვა ალაგას. ჯერჯერობით არაფერი აღმოჩნდა. „ბელორუსს" მივიყვანთ, თუ რამე გამოვა. შეიძლება, იქ ხვრეტდნენ და სხვაგან მარხავდნენ.

მზეა და სითბო. კარგი ამინდები იცის დეკემბერში, დაფიქსირებულიც მაქვს, მაგრამ ამნაირი არ ყოფილა, მე მგონი, ჩემს მახსოვრობაში. თბილისში ვერ ვრეკავ. ვერც ვმუშაობ. საქართველოში არასტაბილურობაა. წერეთლის გამოსვლა სიგიჟეს უდრიდა. შევარცხვინე ამნაირი და ამდენი შიმშილობა, ერთმანეთს ეჯიბრებიან თითქო. ჯაბამ — ვაჟკაცურ შიმშილობას განახებთო, ადრინდელი პროვაკაცია იყოო, წერეთელმა — სასიკვდილო შიმშილობას ვაცხადებო. გადაუჯოგრა, თუ გადაუჯორგა ჯაბას. სასაცილოა...

ქუთაისის ქუჩებში ვიარე ფეხით, სითბო, სიწყნარე, სიმშვიდე. შაშიაშვილი მოვიდა, დავესწარით სპექტაკლს და მოვბრუნდით. ლამარამ და გიგლამ გაგვიშალეს პურ-მარილი ტაბლაზე. ახლახან დავიშალენით...

სპექტაკლი:

აზ. ნესინის იაფფასიანი ვოდევილი. ვოდევილი იაფფასიანი უნდა იყოს, ცხადია... ეს მთლად იაფფასიანია, თუმც არცთუ ცუდად მოფიქრებული და მაყურებელიც ეყოლება უდაოდ. გაერთობა ადამიანი და ესეც კარგია.

თბილისში კარგად ვართო.

საქმენი სათბილისონი და საქართველოსანი არცთუ კარგადაა და ასე შემდეგ.

15.XII. 90 წ.

* * *

გუშინ იყო ბარბალობა. აქ იციან ბარბალობა, გილოცავენ, ლობიან პურებს აცხობენ, სუფრებს შლიან. მომილოცეს, ლობიანიც მომართვეს. სუფრის რა მოგახსენო, ცუდად ვიყავ უკვე, შიშმაც ამიტანა. დღეს არამიშავს, გადავედი ისევ დიეტაზე, შარშან თბილისში დავსწრებივარ და არ გამიგია. ჩამირონინებია. შარშანწინ აღმინიშნავს აქ, ჩამიწერია.

ახლა „მოამბეს“ მოვუსმენ...

ხვალ ყოფილა ნიკოლოზობა. წმინდაო ნიკოლოზ! ნიკოლოოზი...

წავალ ზეგ, ალბათ...

ცუდი ახალი წელია ჩვენთვის... ჩემი ოჯახისათვის. სხვა მხრივ ყოფილიყოს მშვიდობა.

ავდარია. ზამთარი არ ჩანს, მაგრამ ნამეტანი გლახა, სველი ამინდია.

ამის ჩასაწერადაც ძლივს დავჯექი. სამუშაოდ გული არ მიმდის. არც შემიძლია, გაშლილი მაქვს წინ ქაღალდები, ჟურნალები, წიგნები. ფული მაინც ხომ მჭირდება, ხომ უნდა ვარჩინო ოჯახი. ხომ შემეძლო, გამომეცა „დალი“, დავშლი წიგნს, დავაწებებ და გამოვცემ კერძოდ, არ გაიყიდება თუ რა! ფულსაც შემოიტანს. არ ვშვები. სახელს ვუფრთხილდები ალბათ... „ვრემიაა“.

აღარ დაიწყო ომი იმ ერაყშიც, დგანან და ელიან.

ყრილობაა.

რეფერენდუმი ჩავატაროთო, პრეზიდენტმა, რას ნიშნავს ეგა? რას ფიქრობს, რისი გათამაშება უნდა!

გვინდაო საბჭოთა კავშირიო, იტყვიან? იქნებ რუსეთმაც მოინდომოს მარტოდ დარჩენა? რატომ დებს სასწორზე „საბჭოთა კავშირს"?

გასარკვევია ეს ყველაფერი...

დაშლის პროცესს რეფერენდუმიც (ზამთარში ჩავატაროთო) ვერ შეაჩერებს. ჩვენ რა გვეშველება!

18. XII. 90 წ.

* * *

გამთიშა ტელევიზორმა. ყრილობა საკავშირო. ჩვენთან ერთმანეთის ლანძღვა. მოშიმშილენი.

წერეთელი: სასიკვდილო შიმშილობაზე ვჯდებიო, განაცხადა. არა ყავს პატრონი(?), მრჩეველი?

შემდეგ „ვიდეო", ჭადრაკი და ჩამოდგა ორის ნახევარი. ჭადრაკი მართლა მაინტერესებდა, ვერ მოვშორდი. კარგად დარჩა გადადებული XXI პარტია. სუეტინი მოიგებს ალბათ(?) ამ პარტიასაც და დამთავრდება ეს იდიოტური მატჩიც.

ფისომ დარეკა, არა მიშავსო. ფეხზე დგას... ჩამოიტანეო: ყველი, ღერღილი, ფქვილი, კარტოფილი, ღუმელი, ლობიო და სხვა. ვიყინებითო, წამოუთოვნია კიდეც თბილისში. აქ არა გვიშავს ამ მხრივ. ბაზარიც უკეთესია. ნაგვერდულა ფიცრის ნაჭრები ჩამომიტანეს ეზოში და ვწვავ ნედლ, სველ ფიცრებს, ცეცხლი მინთია.

ავტომანქანას მართმევენ. ახალი მთავრობის სუსხიც ვიგემე და მაინც ამ მთავრობას ვემხრობი, — ვაცალოთთქვა, ვამბობ. უნდა ვაცალოთ, სხვა რა გზა გვაქვს. ხვალ გაიხსნება კვლავ სესია, ვნახავთ, რას იტყვიან... თუ ჩემი მძახალი გაათავისუფ-

ლეს, კვლავ ჩემ ოჯახს დაეტყობა მაგათი სიკეთე. ან აქ რა ვქნა. თუ პერსონალური მანქანა არ მეყოლა, მეც უნდა წავიდე. როგორ უნდა ვიარო აქეთ-იქით? დადგა ჩემი წასვლის დრო. არადა, როგორ გინდა ამ უბედურ დროს უსამსახურობა. სტუდიის ხელფასი ვის ეყოფა? არც მინდა, მოვწყდე აქაურობას. დავთმო ჟურნალი, გაზეთი? ძალაა ეგ ყველაფერი! მშვიდობა იყოს და არ დავეძებ სხვას...

თუ წავედი ზეგ, ამ წელს რაღას ჩამოვბრუნდები!

ეს დღიურიც დაისვენებს, თუმცა ხვალინდელი დღეც წინაა.

19. XII. 90 წ.

საქართველო კი არა, შიმშილეთია!

შიმშილეთი უნდა დაერქვას რაღაცას!

* * *

რას უნდა მოასწავებდეს შევარდნაძის გადადგომა? წინ უსწრო მოვლენებს? გაასწრო, როგორც გორბაჩოვმა ახსნა? ვიცე-პრეზიდენტად მინდოდა დამესახელებინაო. უნდოდა? აქედან ჯერ ის დასტურდება, რომ მინისტრობას ართმევდა. ჭორები, მისი მოხსნისა და პრიმაკოვის დანიშვნის შესახებ, არ ყოფილა საფუძველსმოკლებული, თუ იქედან უშვებდა, სხვაგან იმედი არ ჰქონდა, მაშინ სხვაა. მე არ მომეწონა მისი გამოსვლა, ნერვიულობა და ბოლოს ძალად ნერვების აშლა. მსოფლიო კი სწრაფად გამოეხმაურა. შოკური დარტყმა მოახდინაო, აღნიშნეს, გარბაჩოვიც შეშფოთებული ჩანდა, თუ არ იაფერისტა. გურულად ახტა, მე მგონი, გაკუჭდა და დამთავრდა მაგის პოლიტიკური კარიერაც. სტალინი ამბობდა თანამდებობაზე დროდადრო უარსო, მაგრამ თუ მართლა ამბობდა, მისი უარი გარეთ არ გამოდიოდა. ამ განცხადებამ კი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო უსწრაფესად. არ გავუშვათო, თქვეს, მაგრამ უკან ხომ აღარ დაიხევს. სხვა პოსტსაც ვეღარ გაედევნება, თუ ამ საქმის რაიმე გამეგება...

წერეთელი დაჯდა საშიმშილოდ, „ვრემიამ“ თქვა. ქალი გამოვიდა ნაშუადღევს, შემდეგ აღარ აჩვენეს. გვარ-სახელი ვერ დავიმახსოვრე, კარგად გამოლანძღა წერეთელი და ვჯდები, მშრალ შიმშილობას ვაცხადებო. ეს ქალიც, პროფესიით იურისტი და ვაჭრობის მუშაკი, სიკვდილზე მიდის. აფექტში ჩანდა, მოითმინეთ, მოიფიქრეთ კარგადო, უნდა ეთქვათ, შეიძლება უთხრეს და გადაათქმევინეს კიდეც. თუ ახლა, თერთმეტია უკვე, არაფერი თქვეს, ეგრე იქნება... თუ მართალია, კარგია და საჭიროც სადღაც... აწი თავი უნდა დაიწვას ვიღაცამ, სხვა აღარაფერი დარჩა. საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე მომეჩვენა, ვიდრე ერთი შეხედვით გამოჩნდა. ახლა ძალიან გაუჭირდება გორბაჩოვს. შევარდნაძის პოლიტკარიერა გასრულდა. პოლიტიკური თვითმკვლელობაა, ერთმა დელეგატმა თქვა.

20 დეკემბერი, 1990

* * *

დღეს იყო მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი შევარდნაძეზე სიჩუმეში. ზევით, ქვევით („განთიადი“, „რუსთ. საზოგადოება“). მიმსვლელ-მომსვლელი ცოტა, ან სულ არა. კუხიანიძეს მოუწყვეს შეხვედრა სკოლაში (ნიკეას დასახლება). დირექტორმა თქვა, უმრავლესობა მოსწავლეებისა (სკოლა დიდია) სოფლებიდან ახლად ჩამოსახლებული (ბევრია ლეჩხუმელი) მშობლებისაა. ნაწილი იქაური სკოლებიდანაა გადმოსულიო. დერეფნები ცუდად იყო გამთბარი. თქვენ გცივათო, დირექტორმა აგვიხსნა, ამათ ცხელათ, ამათთვის აქაურობა აფრიკაა. საღამო – სკოლის დონეზე, ბავშვები – ყველა კარგები.

ნაღდად სულელია დეპუტატი გურამ პეტრიაშვილი. არ შეიძლება ამ კაცის ტელევიზორში გამოსვლა. თვალი და ყური კარგად ვერ მივადევნე და მგონი, ამ გამოსვლის გამო წავიდა წამყვანი (გვარ-სახელი გადამვარდა) ტელევიზიიდან. სანამ ეს პოლიტიკური... (დებილიზმიო?) არ შეწყდება და წესრიგი არ აღდგება, არ მოვალო... ძალიან კარგი, მე გავიფიქრე.

22. XII. 90 წ.

* * *

დღეს ვიყავი ლორიების ოჯახში ვაკეში, სუფრაზე. კახა ლორიამ ჩემ შემოქმედებაზე გუშინ დაიცვა (არ დავსწრებივარ) დისერტაცია. სუფრაზე მივედი კაკო ჯორჯაძესთან ერთად. კარგი სახლი, კარგი ხალხი, სტუმრები კარგი. ოპონენტი ქალი (სახელი დავიმახსოვრე და მაინც დამავიწყდა). ჩემი დისერტაციაო, იმ ქალმა მითხრა, თქვენ შემოქმედებაზე იყო მთლიანად აგებულიო. აგაშენებთ ღმერთი-მეთქი. უცნაურია ეგ ყველაფერი.

მოდის 1991 წელი.

ხალხი პოლიტიკითაა დაავადებული...

პოლიტდებილიზაცია. მთავრობის სახლის წინ მოშიმშილე ქალები, ტელევიზიის მისაღებში მოშიმშილე ქალები.

სიძვირე, სიცარიელე...

ბაზარი — უბედურება.

ინდაური 160 მანეთიო.

რა ეშველება ხელფასზე მაცხოვრებელს? უკან და უკან მიდის ცხოვრება. სამაგიეროდ, თავისუფლებას მოვიპოვებთო. თავისუფლებასაც ეკონომიკა განაპირობებს...

27. XII. 90 წ.

* * *

ამ წლის ბოლო დღეა, ორშაბათი, მზე, სითბო.

წავედი ბაზარში („დეზერტირი"). მანქანა სადგურის მოედანზე გავაჩერე, სასტუმროსთან. იქაც ძლივს ვიშოვე ადგილი. (?!) ბაზარი ქუჩაშიც, სადგურის მოედნიდან ბაზრის გასწვრივ — ბოლომდე დახლები იყო გაშლილი, ხორაგი ეყარა. რა გინდა, სულო და გულო, იმერული ყველი 25 მან. რიგი იყო იმ ყველზეც. ქუჩაში ვიყიდე წამოსვლისას 80 მანეთად... ვერ ვკადრე თავს, რომ რამდენიმე კილოგრამი მეყიდა. 125 მანეთი აქვს თვიური ხელფასი ჩემს ზოგიერთ თანამშრომელს, 5 კილო ყველი და ეგაა სულ.

აღარაფერი მაქვს ჩასაწერი...

ახალი წელიც ისე მოდის რაღაცნაირად, ძალიან ჩვეულებრივად, უიმედოდ...

ხორაგი არი, მყიდველი არი, ე.ი. ფულიც არი. ყიდიან, ყიდულობენ, რამდენს შია და წყურია. მშიერ-მწყურვალნი არ ჩანან.

ბენია ჩამოვიდა. ერთად ემგზავრნათ ნუგზარს, ნემსაძეს და ბენიას... რამდენიმე ავტობუსი გამოეცვალათ, უწვალნიათ. მეც ხომ მართმევენ მანქანას, მიყავთ, ვერ წაიყვანეს. დავრჩები უმანქანოდ, ჩავრჩები კიდეც აქ. ავტობუსით და მატარებლით არ ვივლი. მეტროში მითხრეს დაბეჯითებითო, ბენიამ მითხრა (ჩემს ნაცნობს ნაცნობი შეხვდაო), გარბაჩოვს ესროლეს, დაჭრილიაო, რადიომ გადმოცაო. ძალიან გაგვეხარდა სუყველასო. რატომ-მეთქი? საქართველოს რომ თავისუფლების ნიშანწყალი წაეცხო მისი წყალობით — იმიტომ გაგეხარდათ-მეთქი? დაამშია ქვეყანა, ყველას მაგის სიკვდილი უნდაო. გასტრონომიული ლოგიკით ცხოვრობს ბევრი, მაგრამ „მაგის“ სიკვდილი მართლა ბევრს უნდა და სწორიცააა, ისე ვატყობ, შიმშილს კი არ ვუჩივით ჯერჯერობით.

ახლა, მიუხედავად ყველაფრისა, მეტს ვჭამთ და მეტს ვსვამთ, ვიდრე ადრე, ვიდრე იმ დროს, რომელსაც მიტირიან ზოგიერთები, ქელეხები, ორმოცები, წლისთავები, ნათლობები, ქორწილები და სხვა... ყრია ისევ სუფრებზე პურმარილი, ისევ ვსკდებით და ვგჯებით...

პური თუ შეგვიწყვიტა რუსეთმა, რას ვიზამთ... სხვაგან ვიშოვნით პურს? ვინ მოგვცემს მუქთ მჭამელებს და რა გვეშველება...

აკაკისა აქვს ნათქვამი, დაწერილი — 1881 წელი წინიდან და უკნიდან ერთნაირად იკითხებაო (ჩაწერილიც უნდა მქონდეს), მაგრამ არაფერი განსაკუთრებული იმ წელს, თუ არაფერი მეშლება, არ მომხდარა. ამ 1991 წელზე, რომელიც ისევ წაღმა-უკუღმა იკითხება, ამას ვერ ვიტყვით. ეს წელი რთული და

დაძაბული იქნება, რბილად რომ ვთქვათ... ვნახავთ, თუ ვიქენით!

ცხენის წელმა ჩაიარა.

თხის წელი დგებაო, თხა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ცხოველია ცხოველთა შორის. თხისშვილი — თიკანი კი სუფთაა, ყოველნაირი გაგებით... ურქო თიკანიც (ჯიშია ასეთი) ნამეტანი ლამაზია.

თხის წელი კი ჩემი შემოქმედებითი წელი იქნება, თუ ვიქენი საერთოდ.

31 დეკემბერი, 1990 წელი.

* * *

4 იანვარი, 1991 წელი. პარასკევი დღე, 12:32. თბილისი.

მზეა. ცა მოწმენდილი. ცივი, სუსტი ქარია, მაინც თბილა. ეს დღეებიც დარი იყო, თბილოდა. არც დიდი სტუმრები, არც დიდი მისვლა-მოსვლა. მაინც გადავიღალე, ორშაბათს შობა, შემდეგ ძველით ახალი წელი. ნაშობევს ქუთაისში ვიქნები. შაშიაშვილი საძველსაახალწლოდ რაღაც სტუმრიანობას აპირებს, უიმედო ღონისძიება აქვს ჩაფიქრებული. ელდარს სცენარი აწუხებს... უნდა გადავუაროთ, დღეს და ხვალ, ერთი გადარება, სხვა გზა არაა. ხვალაა ოთარის დედის დაკრძალვა. ახლა კინოსტუდიიდან დარეკეს, ორ საათზე კრებაა, რ. ჩხეიძის მოხსნას აპირებენ, ბრძანება მოაქვთ „ზემოდან“ და სასურველია თქვენი დასწრებაო. ელდარმა გამაფრთხილა ადრევე, არ გაერიო ამ საქმეშიო. ეს გაფრთხილებაც ზედმეტია, ცხადია და სტუდიაშიც ახლა გაახსენდათ, იქაც რომ ვმუშაობ.

4. I. 91 წ.

* * *

6 იანვარია, შობის წინა ღამე დგება. მთელი დღე მზე იყო და სითბო იდგა. ოთახის კარი აივნისკენ ღია იყო, ჩიტები ახ-

ლაც აივანზე მყავს გალიით. რ. ჩხეიძე მოხსნეს ნაწილობრივ. ნ. მგელაძეს ხსნიან და „ნაწილობრივ“ ისიც მოხსნილი უნდა იყოს. შევარდნაძე თავის ადგილშია ჯერ. „მრგვალი მაგიდა“ მოქმედებს, ბრუნავს ყოველშემთხვევაში. ახლობლებს, ყოფილ ახლობლებს იგი არ უყვართ და პირიქით. ნამეტანს აგინებენ და შეიძლება, გაზვიადებულადაც ლანძღავენ. ნ. წულეისკირი მინისტრია კულტურისა, მ. მაჭავარიანმა: რაც ცოცხალი ვარ, პირველად გათენდა ნამდვილი ახალი წელიო, და საერთოდ, კარგადაა საქმე!

6. I. 91 წელი.

* * *

9 იანვარი. ოთხშაბათი. 1991 წელი. ქუთაისი.

გუშინ ჩამოვედი, ღამე იყო, მშვიდად სუნთქავდა ჰაერი. წამოეწვიმა და გრილოდა, დღეს მზე იყო, თბილოდა. მთელ საქართველოში თბილა ამ, კინაღამ, შუაზამთარს... პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული, „საოსეთოში“ მდგომარეობა გართულებული. კრემლი აგონიაშია და ახლაა იგი საშიში. ახლა უნდა მოვუხმოთ გონებას. ლანძღვა-გინება და აღშფოთება არ გვიშველის...

კარგახნის წასული ვარ და ჩამობრუნება არ გამხარებია ამჯერად... მინდოდა წამოსვლა და არ მიხაროდა... მარტო გადაღლით ვერ ავხსნი ამას. ოჯახია ჩემი (ქალაქისათვის) დიდიც და გამოცალკავება ამ არეულობაში არაა საჭირო: თანაც გასრულდა ოთხი წელიც. 1987 წლის იანვარში ჩამოველ (დღეს-ხვალ დავაზუსტებ, რვეულები სამსახურის სეიფში მაქვს ჩაკეტილი). ოთხი წელი საკმარისია. შეიძლება ხუთიც, 60 წელიც აქ შევისრულო იქნებ. ყველაფერი შეიძლება. 60 წლის შემდგომ შეიძლება დავსახლდე სოფლად. მარტოდ? დავრჩე უსამსახუროდ? თუ შვილები დადგებიან ფეხზე მყარად, შვილიშვილები?

09. 01. 91 წ.

* * *

ვარციხეში ჩაველ იუზასთან. ღვინო გადაიღეს ჭურიდან ჭურებში და ბოცებში. ჩემი წილის წამოვიღე ნაწილი. სუფრა გაიშალა მაინც. დღე კი მზიანი და თბილია... ამნაირი ზამთარი უნდა იყოს მუდამ საქართველოში, თუმცა იქაურებს, ჯერ შეშფოთება არ ეტყობათ, ირწმუნებიან — არ ვარგა, თოვლი უნდა იყოს უკვეო. არ მიყვარს არც თოვლი, არც ყინვა. ხომ არის მხარე, ქვეყანა, მიწა, სადაც არც ერთი იცის, არც — მეორე... მიწა იკვებება მაინც, მოსავალი მოდის, მცენარე იზრდება. „რკინის სახკომი" დაწყევლილია. გუშინ რაღაც მივახლაფორთე, დღეს იმასაც ვერ ჩავიდენ. ცოტა დავლიე, ღვინო ხელს არ მიშლის, მაგრამ „სახკომზე" მუშაობა არ შემიძლია. გუშინ შემეძლო უჭმელ-უსმელზე. გავძეხი და არ მინდა, ეგაა. არადა, ვიღუპები.

რას ვაკეთებდი, ნეტავ, შარშან ამ დროს? ახლავე გავიგებ.

ბევრი რამ მომხდარა.

ოტიას გაუკეთებია ცალი ყვერის ოპერაცია. გარდაცვლილა კოკლის სიმამრი. დაკრძალვაზე იყო თოვლი, ყინვა, ვერაფრით მანქანით სახლამდე (გორაზე) ვერ მივედით. ფეხით ვიარეთ. უკანასკნელად იქ ვნახე რიჯგვინა... წყალტუბოში ჩამოსულიყო ელდარი, სცენარს გადავხედოთო, შემოუთვლია, ეს გუშინ იყო თითქო... ერთი წელი გასულა... ეს სცენარიც გაჯანჯლდა, გადაღება გაჭიანურდა, გაიწელა... ისევ სცენარი მიდევს წინ...

ოტიას ამბავი უნდა გავიგო.

თბილისშიც დავრეკო იქნებ...

ე. ი. შარშან ამ დროს — ყინვა-თოვლი, წელს — მზე და სითბო.

შარშან გამოვიდა გუმბარიძე, ნახევარტონებით ილაპარაკა და სხვა.

სხვა პრობლემები იდგა შარშან ამ დროს საქართველოში.

არაფერი მომხდარაო, მაგრამ რაც უკვე მოხდა, შარშან, ერ-

თი წლის წინ, ამას ვერ წარმოვიდგენდი, კომუნისტები თუ ასე იოლად გადავიდოდნენ ისტორიიდან, როგორ ვიფიქრებდი...

დღევანდელი საქართველო კი ძალიან დაძაბულია, აშლილია, განერვიულებულია.

რა გვეშველებაო, მეკითხებიან ხანდახან. გვეშველება-მეთქი, ვამბობდი. დღეს მე ვიკითხე, რა გვეშველება?

10. 01. 91 წ.

* * *

მაინც ძალიან მიყვარს ქუთაისი. როცა სულ განახლდება და ძველი სახლები დაინგრევა, ერთსართულიანი ქუთაისი აღარ იქნება. იგი აღარ მეყვარება ალბათ, მაგრამ მე აღარ ვიქნები მანამდე. დღეს ვფიქრობდი, შევადგინო იქნება-მეთქი ფერადი ფოტო-ალბომი ერთსართულიანი ძველი სახლებისა. მივხვდი, ვერ ვიზამდი, მოვიწყინე. ვინ გადამიღებს, ვინ შემიდგენს, ვინ გამომიცემს. ვიდეო გამახსენდა. კინო. ალბომი აუცილებელია, მაგრამ კინო იოლია. შევატანინო უნდა გეგმაში რ. ნაჭყებიას. სახლებს მე ავარჩევ. ვხედავ უკვე. ციხის ქვევით – გადაშლილი ძველი წიგნივითაა, საფიჩხია, ბაქანთან – ლომისა და ვეფხვის პატარა ბარელიეფები, ისევ საფიჩხია – „ხარაზოვის“ ბაღის წინ, ცხაკაიას ქუჩაზე (ახლა რა ქუჩაა ნეტავ?) ძალიან რომ მომწონს კლასიკური, მკაცრი სტილით, იმგვარივე ქვის წყობით და სხვა... ახლებიც შეიძლება, სხვათა შორის. რამდენიმე მოქალაქემ მშვენიერი სახლი აიშენა...

შაშიაშვილმა შეყარა დღეს ხალხი. მეც მიველი. აღშფოთება გავუგზავნეთ გორბაჩოვს. ბიძინა მინდაძეს კრძალავენ ხვალ და ვერ მივდივარ... მიჭირს წინ და უკან სიარული უკვე. წადი, წამოდი, რაღაც ინტერვალი უნდა დაიცვა. მანქანაც არ დამიბარებია... თვითმფრინავით ვერ ვმგზავრობ. ქუთაისი-თბილისის ტრასით არც კი მიფრენია... ბათუმიდან გამოვფრინდით მე, სულიკო ჟღენტი, გედი შავდია... სულიკო არა, გია ბადრიძე.

სულიკოს დედის დაკრძალვიდან წამოვედით. ქუთაისში დაფრინდა, თბილისამდე გვქონდა ბილეთები, დავრჩეთ-მეთქი, თანამგზავრებს ვუთხარი, საღამოს მატარებლით ავიბარგოთთქვა. იოლად დამეთანხმნენ, რა ჰქონდათ მეტი საქმე! დიდი ხნის წინ იყო ეგა.

გლახა ამბები ისმის, კარგს ძნელად გაიგებ. ანზორი ვერ უნდა იყოს კარგად, გლახა რამეზე ეჭვობენ. ღმერთმა არ ჰქნას!.. ტარიელ ჩარქსელიანს შვილი დაეღუპა. ვიყავით პანაშვიდზე, გეგუთშიც. იქ მამისეიშვილის დედაა გარდაცვლილი. თბილისს ველაპარაკე. კარგად არიან.

11. 01. 91 წ.

* * *

12 იანვარი. შაბათი. ქუთაისი, 91 წელი.

ოთხი წლის წინ, 12 იანვარს ჩამოვბრუნდი სამუშაოდ, სასამსახუროდ ქუთაისში. რაღაც გავაკეთე კიდეც ამ ოთხი წლის მანძილზე. ის 12-იც მახსოვს, თოვლი და ყინვა არ იყო, მართალია, მაგრამ ამნაირი ამინდი, დღეს რომაა, საერთოდ არ მინახავს. ოთახში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. ბუხარი არ მინთია და გარეთ მირჩევნია. როგორი სითბოა. გაზაფხულივით? არა, შემოდგომის ამინდია? ვერ ვიტყვი. ზამთრის დარია, ზამთრის სითბოა, მზეა, მშვიდობაა. გალაკტიონის ლექსებს ვკითხულობდი ფანჯარასთან, მზეში. ახალ-ახალს აღმოაჩენ, რამდენს არ მიუბრუნდები, ძველს გაიხსენებ, გახსოვდა და მაინც.

„დააყირავა მზემ ვარდებით სავსე კალათა“...

მურმანი გამომიარს ახლა და კოკლის სიმამრის წლისთავზე წავალთ. მინდა გასვლაც, კარგი იქნება ახლა გაბაშვილების მთა, არქიელის გორა, უქიმერიონი. ამათ შუა იქნებოდა კიდევ სხვა სახელიც. უქიმერიონზე ადრე იქნებოდა, თავისთავად...

12. I. 91

* * *

გუშინ მოიღრუბლა მხოლოდ, დღეს წამხდარა ამინდი, წამოუფიფქია კიდეც, თუმცა არ ცივა. 16 იანვარია. ერაყში ომი არ დაწყებულა. ომი ამათ დაიწყეს. ბალტიისპირეთს შეუტიეს, მალე ჩვენ მოგვადგებიან...

მინთია ბუხარი, ვზი, ვერ ვმუშაობ. ერთი სტუმარი გავუშვი, მეორე გამოჩნდა. ირაკლი ჩამოვიდა, ბაზაძე, სტამბაში გავამგზავრე. სამსახურში ორისთვის მოვალ-მეთქი, დავიბარე... საგაზეთო მასალაც (ინტერვიუ) მაქვს გასაკეთებელი, ჩავწერ და სხვები გააკეთებენ, მაგრამ უჩემოდ არ გამოვა. სწორება და თავიდან წერაც მომიწევს. ინდური ფილოსოფიის ანაბანას ვკითხულობ დაძინებამდე. ალაგ-ალაგ ტვინს ძალას ვატან და ვიმახსოვრებ თითქოს რაღაც-რაღაცას და ეს პროცესი დაგვიანებულია ფრიად ჩემთვის.

ორი ტომარა ნაქურჩალა ჩამომიგზავნა ვარლამმა, შევყრი ცეცხლში და ვაბარბალებ ერთი-ორი დღე... ომი კი მაინც გვიახლოვდება...

16. I. 91 წ.

* * *

და იმ დღეს, მეორე დღის გათენებისას დაწყებულა... ახლა 19 იანვარია. შაბათი. გახურებული ომია ერაყში. ზამთარი ქუთაისში არ მოსულა. ორი დღე აცივდასავით. დღეს ისევ თბილა. მე მაინც ვერ ვაკეთებ ვერაფერს. იმ წლის ბოლოს და ამ წლის დასაწყისში დიდი უსაქმურობის დღეებია.

ოსეთი, ლიტვა, ერაყი, ცოლის ავადმყოფობა, ჩემი მარტოობა არ მაძლევს ალბათ დაწყნარების საშუალებას.

ნესტანმა მოიყვანა ანზორ წიწუაშვილი, ისრაელიდან ჩამოსულა 19 წლის განშორების შემდეგ. მსახიობი იყო ქუთაისის თეატრში. მახსოვდა (და გავიხსენე) ანკრად. კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გონიერ, მართალ კაცს ჰგავს... მოყვა იქაური

ამბები. ქართული არ დავიწყებია, რუსული ახლაც არ იცის. ებრაული ვისწავლეო. შუქი ჩაქრა. სანთლებისა და ბუხრის ალზე გავუშალეთ პატარა სუფრაც. ზურიკოც მოვიდა ბეჟანითურთ.

19. I. 91 წ.

* * *

დღეს ნამეტანი მოწყენილობაა. მანქანა გაფუჭებია მერაბს და ვერ გავედი. მისარებ-მოსარები ვიყავი სადღაც-სადღაც. გუშინ განვაახლე მუშაობა, წავჩოჩდი ცოტა წინ. გული მაინც არ მიმდის, ამნაირი ნაძალადევი რას ივარგებს. საგაზეთო, „სამოწამეთო“ ინტერვიუ ჩავწერე, ელგუჯას ქაღალდზე უნდა გადაეტანა და ხელსაწყო გაფუჭებია. ხმა არ ისმოდა, წაიღო ხელოსანთან, თუ არ გაკეთდა, უკეთესია. ნამეტანი გულახდილი ლაპარაკი მაქვს და ახლა არაა საჭირო. გადავდო იქნებ. ელდარი მომაკითხავს უკვე. სცენარში არც ჩამიხედია.

დღეც მოღრუბლული, არცთუ უსიამო. სათოვლოდ ემზადება ცა. შვება და ვერც შვება...

გალაკტიონის ლექსებს ვკითხულობდი დღისით ფანჯარასთან. არავის მოუკითხავს. ტელეფონის რამდენიმე ზარი მხოლოდ.

20 იანვარი, 1991 წელი.

P. S.

კომუნისტების წირვა გამოსული იყო, ვიცოდი და ახლა საბჭოთა კავშირის რღვევა გამოიკვეთა. ვერა ძალა იმპერიას ვერ დაანგრევდა, შიგნიდან რომ არ დანგრეულიყვნენ. რუსეთი ითხოვს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რუსეთი იყო აქამდე „საბჭოთა კავშირიც“, ახლა აღარაა. რუსეთის ყოფილ „განაპირა მხარეებად“ იხსენიებდნენ ბრეჟნევის დროს, კარგად მახსოვს, რესპუბლიკებს. ტელევიზორი მოგვიძვირეს უდენობის გამო და გვიან გავიგე გასაშტერებელი ამბავი. ნახევარმილიონიანი მიტინგი გამართულა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის

დაშლას, რესპუბლიკის საქმეებში ჩაურევლობას, გორბაჩოვის გადადგომას მოითხოვდნენო. ამ პროცესს აწი ველარაფერი გააჩერებს და არეულობაც არ შეწყდება დიდი ხნით, ჩვენ უკვე სიმშვიდეს ველარ ველირსებით... მომდევნო თაობა, შვილები, შვილიშვილები, დალაგებული იყო თითქოს მაგათი ცხოვრება, მეცოდებიან... ისევ გაჭირვება, შფოთი...

ხუსეინმა გახიზნა ცოლ-შვილი და ოქრო აფრიკის რომელიღაც ქვეყანაში, მსოფლიო კი კატასტროფის წინაშე დააყენა ერთმა სულით ავადმყოფმა. შემთხვევითია ვითომ ეს მოვლენა?

ასე უცბად საბჭოთა კავშირის დაშლა ივარგებს? არა. რაღაც დრო უნდა ამას... ელცინი, აიღებს ალბათ ძალაუფლებას, არც შლის თითქოს საბჭოეთს.

* * *

დღეს ფეხით წავედით სამსახურს. იქ, სადაც ადრე „სანიმუშო ფურნე" იყო, ოდნავ აქეთ, ჩემკენ, პურის მაღაზია, რიგი იდგა ომისდროინდელი... იდგნენ პურის რიგში მოქალაქენი, ძირს პაპყი თოვლი, ზემოდან ფიფქები უდღეური. ომის დროს – ქალები და ბავშვები ბლომად, ახლა პირიქით – საქმიანი ხალხი. უსაქმური ახალგაზრდები იქვე იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად კინოსთან, თავხედური მზერით. ჩემი ხნისას ყურადღების ღირსადაც აღარ თვლიან. ერთი ჯგუფი მეორეს ამოწმებდა არც მთლად სასიკეთოდ. გაყარე, მე ვიფიქრე, ესენი ოსეთში...

ეთერი ჩამოვიდა ოსეთიდან. ჩაუწერია რაღაც-რაღაცეები, დავბეჭდავთ. მილიციელებს გამოუტნევიათ ცარიელი ჰილზები, ერთი მთელი – სამახსოვროდ და ისიც მე ჩავიდე ჯიბეში. ესვრიან ერთმანეთს, კლავენ დროდადროო. წუხელ ისევ ტელევიზორს შევრჩი, მოსკოვი არ გამორთეს რატომღაც. რუსეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დეპუტატები დაუფარავად აგინებდნენ გორბაჩოვს, უნდა გადადგესო. ერთმა – პასუხისგებაში უნდა მიეცესო. გორბაჩოვს ჯარი დარჩა და ისიც უკმაყოფი-

ლოა. ახლა კი მოვიდა მაგის აღსასრული. აქამდე ეგ არ მით-ქვამს... მოვიდა და დროცაა...

გუშინ მზე იყო. პატარა პურ-მარილი გაუმართეს სტამბის თანამშრომლებს მოწამეთელებმა. დიდხანს ვერ გავჩერდი. ტელევიზორზე გადამაშუალამდა და მაინც ვიმუშავე, 5 იყო დაწყებული, რომ დავწექი.

ძალიან ნელა მივიწევ წინ და მაინც ვახრჩობ, მგონი... დღეს და ხვალ მექნება ბოლო დარტყმა. შემდეგ ნამდვილი მუშაობა, სწორება, ბეჭდვა.

22 იანვარი, 91 წ.

* * *

დღეს, 26 იანვარს, თოვდა. ნაშუალამევს წამოვიდა და გვარიანად დადო, მშრალადაც თოვდა... ფულის ჩაბარების აჟიოტაჟი მიწყნარდა. მეც ჩავაბარე, რას დააბრუნებენ უკან, არ ვიცი, სხვისი ფულია. ერთი ხუთთუმნიანი და ათთუმნიანი კუპიურაც კი არ აღმომაჩნდა. ფისოს შეენახა ჩუმად რაღაც და 2000-მდე დაეგროვებინა. გადაახურდავებენ, ეგ არაფერი, მაგრამ ხალხს რა უგროვებია, რა შეუნახია. სულ ამ კუპიურებს აგროვებდნენ და ზუსტად მოარტყა მთავრობამ ამჯერზე მიზანში. ძალიან მოულოდნელად და გასაიდუმლოებულად გააკეთა. სტალინის დროს რომ ფული გამოიცვალა, 1947 წელს, სხვა იყო. წინასწარ იცოდა ხალხმა. ვიცოდით ჩვენც წინადღით. გავყევი ბაზარში დედაჩემს და მამაჩემს, ვარლამიც იყო. ყველაფერს ყიდულობდნენ, არავინ არაფერს არ ყიდდა. ხვალ გამოიცვლება ფულიო, იძახდნენ. გამოიცვლება კი არა, გაუქმდებაო. გასაიდუმლოებულ ქვეყანაში, იმ გასაიდუმლებულ დროს, როგორ გაბაზრდა ეს წარმოდგენა? ისე, კაცმა რომ თქვას, მას სახელმწიფოზე გავლენა არ მოუხდენია. ხალხის ერთმა ნაწილმა გაასაღა გაუსაღებელი ხლამი, ნაგავი და დანარჩენებმა, მაინც რომ არ დაიჯერეს სინამდვილე, სტალინი ფულს როგორ გაგვიუქმებსო,

იზარალეს, მანეთში ათი კაპიკი მიიღეს. ზოგმა სულ არ გამოაჩინა დანაგროვები, ზოგმა დაწვა კიდეც ფული. ეგრე იყო მაშინ. ჩვენ ამ დღეს ბაზარში ნარდი ვიყიდეთ 100 მანეთად, თანაც ზიარად, ნახევარი ნარდი ვარლამის იყო, ნახევარი — ჩვენი. მეორე დღეს ის 100 მანეთი გახდა 10 მანეთი და ჩემ მშობლებს რაღაც ფული შერჩათ კიდეც... ასე ბევრს. იცოდნენ, არ ჯეროდათ...

თოვს. გვიანია. ბუხარი ანთია. შეშა ტკაცუნებს. მარტო ვარ, საქმით თუ გაამართლებ ამ სიმარტოვეს. გუშინ ღამის 4 საათზე დავწექი, საწოლში ვკითხულობდი, როდის დამეძინა, არც ვიცი. მერაბმა გამაღვიძა დღის პირველ საათზე. თოვლმა მიქნა ეს. ქუჩიდან რომ ხმაური არ ისმოდა, იმის ბრალი იყო ალბათ. დავამთავრესავით ეს „რკინის სახკომიც“... თებერვალს წამართმევს მთლიანად. შემდეგ სხვას წამოვიწყებ, უფრო საჭიროს და სახალისოს. მაინც: ნოველების ციკლს, „კუდიან ვარსკვლავს“... ორი რომანი მაქვს ჩაფიქრებული და რომანამდე ერთ კომერციულ სცენარსაც გამოვკრა იქნებ ხელი. ეს — მატერიალურად მომჯობინებულ შემთხვევაში. რამდენიმე მოთხრობაც, რაღაც სხვაც გაუთვალისწინებელი და გავხდები 60-ისა.

დ. ც. ალბათ 60-ში გადავა, 61 წლამდე მოვასწრებ... კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, ეგრე არ გამოვიდეს.

26. I. 91 წ.

* * *

გორკის უთქვამს: მუშა ხალხმა, არ შეიძლება, არ გაიგოს, რომ ლენინი მათ ტყავზე და მათ სისხლში რაღაც ცდებს ატარებს მხოლოდ. მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ სასწაულები არ არსებობს, სინამდვილეში მას ელოდება შიმშილი, წარმოების სრული მოშლა, ტრანსპორტის განადგურება, ხანგრძლივი სისხლიანი ანარქია და შემდეგ ამისა უარესი სისხლიანი და ბნელი რეაქცია.

1917 წ. 20 ნოემბერი ყოფილა მაშინ. სწორი თქვა და ახდა

კიდეც. მაშინ ვინ დაუჯერებდა, მითუმეტეს, მუშათა კლასს რას შეასმენდა... არ დაუჯერეს და თავად დადგა „სისხლიანი ანარქიის“ მხარეზე, ლენინის მხარეზე შემდეგ და ახლა იძახიან, სად დგას, სად იდგა მაშინო. როცა თქვა, არ დაიჯერეს. ეგრეა, მწერალი, ხელოვანი, მოაზროვნე ადამიანი ხვდება, აფრთხილებს. არ უსმენენ და თავად დგება არსებულის, რეალურის, აქედან გამომდინარე – რეაქციულის მხარეზე. მოსკოვიდან გადმოცემა იყო „შუაღამემდე და შუაღამის შემდეგ“. დასაწყისს ვუყურე, შემდეგ გამორთეს. საშინელი სურათები აჩვენეს ლიტვის სისხლიანი ღამისა, რაველის მუსიკაზე შემზარავი იყო. შემდეგ ალაპარაკეს კინორეჟისორი, მწერალი, მესამეს მოსმენა არ მაცალეს... აგინებენ, დიქტორის ჩათვლით, დღევანდელ დღეს, დღევანდელ ხელისუფალთ, გორბაჩოვს. რა გინდა მერე... ერთი კია საკვირველი. გორბაჩოვი ჯარის, ტანკის, ტყვიის იმედზე დარჩა და სიტყვა, პრესა და ტელევიზია ვერ დაიმორჩილა. აქედან პრესის და ინფორმაციის აკრძალვით იწყებენ. ეს ვერ შვება იმიტომ, რომ ერთადერთი, რაც გააკეთა, ეს იყო – სიტყვის თავისუფლება. ამასაც აკრძალავს – რაღა დარჩება... ამას უფრთხის, თავისას მირეკავს, მაგრამ აგინებენ უმოწყალოდ. ჩივის, როგორც ჩანს, საპასუხოდ, რამდენიმე გადასცეს სასამართლოს, სამართლებრივ სახელმწიფოს ქმნის უსამართლობის, ბნელეთის ქვეყანაში...

ღამეა და ქუთაისში კვლავ თოვს მშრალად და წვრილად, ხვრიში თოვლი მოდის, სწორია ხვრიში... ხოშკაკალა სხვაა... ჩაიკეტება გზები და ჩავრჩები ამ ქუთაისში.

27 იანვარი, 91 წელი.

P.S.

ახლა არც ისე გვიანია. ღამის სამი საათი დაიწყო. დავამთავრე „რკინის სახკომი“. მზადა ვარ სასწორებლად, საბეჭდად. გარეთ თოვს წვრილად, მშრალად. ბუხარში ცეცხლი იღვეფება.

რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე კარგს.

* * *

ჩავრჩი და ეგაა. ჩაიკეტა გზები კვლავ. ზეგ მაინც თბილისში რომ არ ვიყო, არაფრით არ შეიძლება... ნაშუადღევის შემდეგ აღარ თოვდა, იქნება, ხვალ-ზეგისთვის გამოკეთდეს ამინდი... ხუსეინი იმუქრება, ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენია. ისრაელმა, პასუხი უნდა გავცეო, ძალიან, ძალიან საშიშია ეგ ყველაფერი. ეკოლოგიური კატასტროფაც, ნავთობის წვით და ბოლებით მოსალოდნელიაო. ძალიან შორსაც კი არა ვართ ეპიცენტრიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში შიდსი პროგრესულად იზრდება, რაღაც საშინელი ციფრი დაასახელეს. რა ეშველება კაცობრიობას, რა გვეშველება ჩვენ, მთელ დედამიწას.

ნესტანი იყო, მიმისუფთავ-მომისუფთავა ზედაპირულად (მეტი არ იყო საჭირო) აქაურობა, ილაპარაკა იმ მთის, იმ ბრის, წავიდა. ნაქურჩელას ვწვავ ბუხარში, თაგვია გამოსული ბუხართან და ნაქურჩელას დათრევა უნდა. აღარც კი მეპუება. უკვე გადამიცილდა აქ ყოფნის ვადა, აღარ მინდა გაჩერება, იმას ვდარდობ, ადრე რომ ვარ ჩამოსაბრუნებელი... ერთი ორი კვირა მაინც უნდა დავრჩე, აქაურობა რომ მომინდეს. ჩამოვიდე აქ საბეჭდად თუ არა... უნდა წამოვიღო საბეჭდი მანქანა, მაგრამ ასე უცბად ვერ წამოვალ, იქაც უნდა მომწყინდეს, ცოლმაც უნდა ამიშალოს ნერვები და ყველაფერი კარგად იქნება, თაგვს კი ძალიან გაუვიდა თავს!

28. I. 91 წ.

* * *

წავედი, წამოვედი ცუდ გზაზე, უამინდოში. მძღოლი არ მახლდა. მე ვიჯექ საჭეზე. უხიფათოდ ვიმგზავრე. ეს იყო იანვარში, რამდენიმე დღის წინ. ჩამოველ ხუთშაბათს, დღეს შაბათია, 2 თებერვალი. მურმანთან ვიყავი ვახშმად, ახლა მოვბრუნდი. დღისით თავმჯდომარესთან, 8 თებერვლის ღონისძიების (დავით აღმაშენებლის ხსენების დღეზე) კომისიაზე. იქიდან საჯარო-

ში, წავიმუშავე, შემდეგ მურმანთან, კოკლი, ნემსაძე და სამი ახალგაზრდა. ახლა ბუხართან, გადაშლილ და ჩანიშნულ წიგნ-ჟურნალებთან, მაგიდა გადმოვიტანე მყუდროში, კარგად მოვკალათდი, ათბება და ისევ ფანჯარასთან გადავდგამ.

2 თებერვალი, 1991 წ.

* * *

ქუთაისში კვლავ თოვს მშრალად, ყინავს კიდეც. 4 თებერვალია, ორშაბათი დღე...

დღითი დღე უარესდება საერთაშორისო და სასაქართველო მდგომარეობა. ცუდისა და ცუდის მოლოდინით ვარსებობთ, ვიწრო ინტერესებით, მარტივი მსოფლმხედველობით ვცხოვრობთ. მივათრევთ ჭვირთს... თუ არ იგრძნობ, რომ ნაწილი ხარ „დიდი მთელის" (სამყაროსი), ვერ მიაღწევ სრულყოფილებასო (ინდური ფილოსოფია). გრძნობა არ კმარა ალბათ, უნდა იწამო, უნდა დაიჯერო ვედებისაო და სხვა. ვკითხულობ დაძინებისას, ხით გაწყობილ დიდ სახლში, ინდური ფილოსოფიის ანა-ბანას.

როცა კი მიგრძვნია, რომ ნაწილი ვარ ბუნებისა (ტყისა, მიწისა, წვიმისა), ბედნიერი ვყოფილვარ. ფილოსოფიის გარეშე მითქვამს, ჩაწერილიც მაქვს სადღაც. სამყაროს შემადგენელ ნაწილად უნდა იგრძნო თავი... იქამდე არ მივსულვარ. გუშინ სტუმრებიც მყავდა... სხვას არ ვსტუმრობ...

სტუმრიანობა აქ წვეულებით იციან. ქელეხი, ქორწილი, ორმოცი და ასე შემდეგ... თამაშობენ ალაგ-ალაგ, უმიზეზოდ (თუ არ სმენ) არ მიდიან, ჩემი დაკვირვებით. მე ცოტას ვმუშაობ და აზრიც არა აქვს ამნაირ მარტოობას. ემიგრანტ ვინმე ცხონდიას (ყდაზე აწერია Кондиа) მოგონებას გადავხედე (კ. ბაქრაძისგან წამოიღო ნემსაძემ) და მივაგდე... დასაწყისშივე ტყუილებით გავივსე... აღარც იქნება საინტერესო. გ. ლომაძის პატარ-პატარა მოთხრობები ერთ გაზეთში და დანარჩენი, მგონი, მომდევნოში. ის მომდევნო, „ლიტერატურული საქართველო", გადავდე და

მიმრჩა. გამოვძებნო უნდა. ნუგზარი ჩამომყვა თბილისიდან, გუშინ წავიდა. ბიჭიკოს დუქანიც მომწყინდა. ეს ბუხარიც აღარ მათბობს. დღე მაინც ვერ მოვკოჩე. დღე მაინც საქმეა. ხვალ აღმასკომზე გთხოვენო. დილით თავმჯდომარესთან უნდა იყოო (აღარ გადავარდა ეს თავმჯდომარეობა?) მივალ იმიტომ, რომ რვაში (8) სტუმრებს ელოდებიან დავით აღმაშენებლის ხსენების დღეზე. კომისიის წევრი ვარ და ამიტომაც ვრჩები ამ კვირია. მენატრებიან პატარები და იქ მუშაობის საშუალება არა მაქვს. რვაში კი დალევაც მომიწევს, რვამდე დალევისათვის მზადება შემხვდება და ეს დღეები მიდის და იკარგება მაინც.

4. II. 91 წ.

* * *

ერთ ფიზიკოსს, ვინმე ჯონ უილერს (ამერიკელი უნდა იყოს) უთქვამს: Когда мы наконец дойдём до основных законов природы, они будут настолько просты и прекрасны, что мы будем порожены, как это не было очевидно с самого начала...

ეს ბუნების კანონები სამყაროს მთლიანობასაც გულისხმობს, მაგრამ სამყარო არ არის მხოლოდ „ბუნება“ ფიზიკოსების გაგებით; მართალია, ბევრ რამეს აღმოაჩენენ და განცვიფრდები, იგი ისეთი გასაგები და ნათელი აღმოჩნდება, მაგრამ მთავარს მათი მეთოდებით ვერ იპოვნი. თავად ავტორი ინტერვიუსა, საიდანაც ეს ნაგლეჯი ამოვიღე, გახლავთ Ствивен Вайнберг, გამოჩენილი ფიზიკოსი ყოფილა. იგი აღფრთოვანებულია ბუნების სიმარტივით, ალბათ, სისადავით, „Простати природы“. ერთ-ერთ უდიდეს სიმარტივეს სიმეტრიაში ხედავს... სიმეტრია კი საინტერესო მოვლენა უნდა იყოს ბუნების კანონებში. მართლაც (სადღაც ადრეც წამიკითხავს), ყველა აღმოჩენაში (открытие), რომელშიც მე ვმონაწილეობდი, ყველაზე დიდი სიამოვნება (კმაყოფილება) მომგვარაო აღმოჩენამ იმისა, რომ სიმეტრია, სინამდვილეში, გაცილებით დიდია, ვიდრე ამის წარმოდგენა

შეიძლებოდაო. სამყაროს წარმოშობაზე დიდი აფეთქების თეორიას იზიარებს. სამყარო ფართოვდება და იგი დაახლოებით 50 მილიარდი წლის შემდეგ დაიწყებს შეკუმშვას, გაცივდებიან და ჩაქვავდებიან გალაქტიკები. გარდა იმისა, რომ კაცობრიობა მანამდე გადაბნელდება და გალაქტიკების გაცივებას ვერ მოესწრება, სანუგეშოს სხვას ვერაფერს დაინახავს ამ თეორიაში ადამიანი. ეს ყველაფერი დაბეჭდილია Диалог - США 45.1990.

ქუთაისში კვლავ თოვლია, ცივა. დღეს დიდი აღმასკომი იყო და შაშიაშვილი დაემშვიდობა აქტივსო (დანამდვილებით არ ვიცი). დანიშნავენ ახლა პრეფექტს და გამოპრეფექტდება ყველაფერი, არ დავესწარი აღმასკომს, თუმცა საგანგებოდ, ალბათ გამოსათხოვარი სპექტაკლის სანახავად, ვიყავი დაპატიჟებული. შაშიაშვილზე უკეთეს პრეფექტს კი ვერ იპოვნიან და თუ იგი მართლაც წავა, ძალიან ცუდიც იქნება ქალაქისათვის. 8-ში დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა და ამიტომაც შევყოვნდი აქ. გადასახურდავებელი თუ უკვე გადახურდავებული სხვისი ფულიც გამოსატანია.

5 თებერვალი, 91 წ.

P. S.

ჩემი ბუხარი ცუდად ათბობს ან სულ არ ათბობს, შეშას ნთქავს და სითბოს მიაქანებს საკვამურში, ჰაერს ფილტრავს და ანიავებს სამაგიეროდ, ცეცხლიც კარგია, დამამშვიდებელი საცქერელია. ოტიამ გააკეთა. არ არის საჭირო ამხელაო და არ დავუჯერე. ს. ორჯონიკიძის სახლში მივაქციე ბუხრებს ყურადღება. „რკინის სახკომს“ ვასწორებ და იმიტომ უფრო გამახსენდა ბუხარი ამ შუაღამისას. პალატშიც პატარა და თხელი ბუხარი, ოდაშიც (ოთახებშიცაა) პატარები, უფრო პატარები, ცხადია, ვიდრე პალატში. რა უნდა შეწვან და მოხარშონ ასეთ თხელ ბუხარში-მეთქი, გამიკვირდა მაშინ. სამზადი სახლი ჰქონდათ, შეიძლება, ბუხრები კი სათბობადაა გამზადებული, შეშას ცოტას დაწვავს, სითბოს მეტს დატოვებს... რას ერჩი

ახლა ამ ოტიას, თავის სასახლეშიც პატარა ბუხრები გააკეთა... ახლა აქ წევს, ჩემს ახლო, რკინიგზის საავადმყოფოში, ოპერაცია გაიკეთა პროსტატისა. დღეს უკვე კარგად იყო, ბენიას ნახვა მინდა, გადმოვალო. იყავი, მე ვუთხარი, თვითონ გადმოვა, გნახავს-მეთქი. ბენიას მესამე ოპერაცია დაჭირდა, თუმცა იგი 80 წლის იყო და ჭრილობა არ შეუხორცდა. შეუხორცებლობას სხვა გართულება მოჰყვა, კიბოაო, ბოლოს „დაგვაიმედეს". არაფერი ამის მსგავსი. 4 წელი გადის უკვე წელს...

თბილისში ვერ ვრეკავ...

* * *

ადამიანი იბადება თავისუფლებისათვის და ამისთვის უნდა იცხოვროს. არის მოვალეობის გრძნობა, რომელსაც ვერ გაექცევი. ზოგი იქედანაც გარბის თავისუფლების გამო, უმრავლესობა ამას ვერ ახერხებს, რომელია სწორი და რომელი ბრუნდი, გასარკვევია...

ახალი გათენებულია, 7 თებერვალია. შუაღამისას გამეღვიძა და წავიკითხე ვინმე დიმო ცხონდიას მოგონებები. ადრევე დავიწყე და მივაგდე, ტყუილში დავიჭირე (ახლა გულმავიწყობა მგონია) და იმიტომ... დასაწყისშივე რაღაც შეეშალა ლავრენტი ბერიასთან დაკავშირებით და ვიფიქრე, ასე ტყუის და იგონებს ყველაფერს-მეთქი. პირიქით აღმოჩნდა. აღწერილი აქვს, როგორ გაიქცა საბჭოთა კავშირიდან 1932 წელს, როგორ მიატოვა მშობლები, ცოლი, შვილები, რომელთა მიტოვება არ გაძნელებია და ამან გამაოცა, და სამშობლო, რომლის დაკარგვა განიცადა ბოლოს ყველაზე ძლიერ. სასწრაფოდ უნდა ვათარგმნინო ვიღაცას და გამოვაქვეყნო აუცილებლად.

გუშინ დამირეკა ფირუზ, გვარს ვერ ვიხსენებ და მითხრა, თქვენთან ლაპარაკი სურს ვინმე (ვინმე არ უთქვია) ურიდიას, სიგუას დავალებითო. პირველ საათზე გელოდებათ თქვენ და კოსტავას, პრეფექტის არჩევასთან დაკავშირებით საკონსულ-

ტაციოდო. მივედი დაგვიანებით, კოსტავა ყოფილიყო შაშიაშვილის კაბინეტში (შაშიაშვილს კაბინეტში მიგვიღო უკვე). დაელოდეთო, ფირუზამ. დაველოდე, ვფიქრობ, ვინაა ეს ურიდია, სადღაც მინახავს თითქოს, ახალი მთავრობის წარმომადგენელი რომაა, ვიცი. ვიღაც ნაბიჭვარი, კარგი გაგებით (გუბაზმა რომ დამიბაროს, გაცილებით ბუნებრივი იქნება). კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისი ასაკის პირობაზე. შაშიაშვილი დატოვეთ-მეთქი, ვუთხარი და დავაბარე, ასე გადაეცით-მეთქი. ავუხსენი, რატომ იყო ეგ მათთვის საჭირო და აუცილებელი. ამას ვერ მიხვდებიან, არც გააკეთებენ, მაგრამ მე ჩემი ვთქვი...

ხვალაა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. მოველით სტუმრებს და არა გვაქვს იმედი. საორგანიზაციო სხდომაზე თავმჯდომარედ (რასაკვირველია, უარი ვთქვი) დამასახელეს, შაშიაშვილმა თქვა, ამის უკან რუსთაველის საზოგადოება დგას და სხვა ჯობიაო. არ მწყენია, მაგრამ გამიკვირდა, ვერ გავიგე იმ წუთს, რატომ იცილებდა სააღმასკომო საქმეს თავიდან თავად და თავის მოადგილეს რად არ ასახელებდა, თურმე გაუქმებულია იქაურობა... მეც ამაცილა ეს საქმე, ახლა ვხვდები და მადლობელი ვარ. ნეიტრალურმა საზოგადოებამ და პიროვნებამ უნდა ითავოს ყველაფერიო. ჩაბარდა პ. ვაჭრიძეს და ამ უხელისუფლებო დროს (არავინ იცის, იქნება თუ არა ხვალ თავის თანამდებობაზე) ეს მართლაც უპრიანია. ხვალ ჩამოვა თუ არა ვინმე, ძნელი სათქმელია.

7 თებერვალი, 91 წელი.

* * *

ღამით, თოვლში ავედით გელათში წირვაზე. ხალხი ცოტა, ხარაჩოები მოხსნილი, კარგი იყო ნამეტანი.

ვერ დაიჩურჩულებ, ქალაქმა რომ არ გაიგოს... შაშიაშვილი დატოვეთ-მეთქი და სხვა არაფერი, ერთი-ერთზე ვურჩიე კაცს.

ყველამ იცოდა მალე. შეიშალა მრგვალი მაგიდა და წამართვეს მანქანაც...

უმანქანოდ კი აქ ვერ გავჩერდები და ასე შემდეგ... ხვალ ან ზეგ წავალ.

7. II. 91 წ.

* * *

კაციშვილი არ ჩამოვიდა 8 თებერვალს, აღმაშენებლის ხსენების დღეს. დაპატიჟეს უამრავი ხალხი, დანიშნეს საგანგებო მატარებელი. მატარებელიც ცარიელი, არც ერთი კაცი თბილისიდან. თვით დავით აღმაშენებლის საზოგადოებიდან — არავინ. ეგა ვართ ქართველები. გადაყენებულ პატიაშვილს სიდედრი რომ გარდაცვლოდა, ნახევარი ინტელიგენცია (თბილისისა), ერი და ბერი იქ გაჩნდებოდა. ზვიადი რომ წამოსულიყო, კისერს მოიმტვრევდნენ. მე აქ ჩავრჩი, ამ თოვლობაში. 11 თებერვალია, ორშაბათი დღე. მანქანა წაიყვანეს. მთ. ინჟინერმა, გაგამგზავრებო, აღმითქვა გელათშივე. შაბათ-კვირას არ შემხმიანებია. ამ დილით ადრე დარეკა. გზა არ არიო და ხვალ დილამდე მანდ მოვა მანქანაო. დავიცდი ხვალ დილამდე. ზალიკოს სიდედრის ორმოციც ყოფილა...

თოვდა და თოვდა განუწყვეტლივ ეს დღეები. თოვლი იყო მშრალი, მსუბუქი, კარგიც კი. მზემ გამოიხედა დღეს და თოვლი არ დნება მაინც, წყლად და ჭყვაპად არ მიდის ჯერჯერობით.

ღვინო გავხსენი გუშინ, წლის მოსავალი, შესანიშნავი ღვინო დამდგარა. ძაღლი მომეჩვია ყავისფერი, ალბათ მეზობლისა. ბავშვობაში მეზობლის ძაღლს ჯიმუსას ეძახდნენ, ეს სახელი შემდეგ არ გამიგია. ჯიმუსას ვეძახი ამ ახალგაცნობილ ძაღლსაც. თმა და თვალები ერთი ფერისაა. ფერებზე ცოტა მწყრალად ვართ ქართულის თვალსაზრისით. ის არაა ყავისფერი. ყავის მარცვლები სხვანაირია. მოყვითალო-მოყავისფრო, კინაღამ

აგურისფერი. ინდაურის კისრის ძვალი ვნახე თეფშზე, წუხანდელი დარჩენილი, ავიღე, სანამ გარეთ გავიდოდი, გავიფიქრე, ძაღლს სხვა გრძნობა აქვს, ხვდება, ძვალი რომ მიმაქვს-მეთქი, გავაღე კარი და მორბის შორიდან თოვლში თავაღერილი.

ჩვენი მიკი, 14 წელი ვინც იცხოვრა ჩვენსას, ნაფიქრალს ხვდებოდა. ეს უნდა დავბანო, გავიფიქრებდი, შევხედავდი და მიკი გარბოდა (ეზარებოდა საშინლად წყალი) და იმალებოდა საწოლქვეშ. იღრინებოდა, წვალებით გამოვათრევდი ხოლმე. სანამ დაბანას არ გადავიფიქრებდი, თავს არ გამოყოფდა. დღეს აღარ დავბან-მეთქი, გადავწყვეტდი და გამოძვრებოდა კიდეც. ეს ფაქტია... გადამოწმება, ჩემი მხრიდან, არ ჭირდება.

11 თებერვალი, 91 წ.

* * *

27 თებერვალი, 91 წელი. ჩამთავრებულა ეს თვეც. გაზაფხულიც მოდის. ღრუბლიან-ნისლიანი დღეა ქუთაისში. არც წვიმს, არც ყინავს. თოვლი სულ გამქრალა. ორი კვირის წასული ვარ. ავემგზავრე სამშაბათს, ჩამოვედი წუხელ – სამშაბათს, ერთი სამშაბათის ჩაგდებით. გამომიგზავნეს ტაქსი, ჩამოვიდა გვიან, მძღოლი ცოტა ფამილარული, დაღლილი, არ დაისვენა, არ ივახშმა, მირჩევნია, ახლავე გავბრუნდეთო. წავედით, ვხედავ, – ეძინება, რამდენჯერმე ვთხოვე, მე დავჯდები საჭეზე-მეთქი, არ ქნა, სანამ ხაშურში გზის მეორე მხარეს არ გადავიდა და არ მიადგა ნარვალს. ჩამოვსვი და ყველაზე რთულ მონაკვეთზე, ზესტაფონამდე, ნისლი, ბურუსი, მე ვიჯექი. თბილისში რაც ხდება, ყველამ იცის და ისტორიისათვისაც არ დარჩება გაუგებარი, ჯაბანი ხალხი აღმოვჩნდით ჯერჯერობით, ერთმანეთთან ვართ მხოლოდ მაგრები, პატარ-პატარა დემონსტრაციები, პიკეტები ტელევიზიის სახლთან. თავისუფლება ჯაბა იოსელიანს, რატომაო, კარგად არ იციან, მთავარია, ზვიადმა არ გაიმარჯვოს, ეგ ვართ ჩვენ. ჯაბამ კი უზარმაზარი ენერგია

გამოამჟღავნა სიბერეში. საპატივცემულო კაცია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ახალგაზრდები (უმეტესობა) ქურდობისთვის სცემენ პატივს. არა განგსტერობისათვის, მაფიოზობისთვის (ეს სხვაგანაც შეიძლება მოხდეს), ქურდობისთვის... პროფესორი რომაა (რატომაა, კაცმა არ იცის), ეს არაფერს ნიშნავს. „რამკის ქურდი“ იყო და ეს არი მთავარი. ამით იშოვნა, ყოველ შემთხვევაში, სახელი, ამან შეუწყო მეორე სახელის შოვნაში ხელი. ნამეტანი პოპულარული გახდა. აწი რას მოიმოქმედებს, არ ვიცით. ლევანისათვის ეთქვა და ზურიკოსათვისაც, შეხვედრა მინდა რეზოსთანო...

სიგუასთან ვიყავი, გადაღლილი, გამხდარი და სახედაპატარავებულიც კი მომეჩვენა. აზროვნებს ნორმალურად, მაგრამ ზვიადის გარეშე ფეხს ვერ დგამს, ეტყობა. პრეფექტის დანიშვნა ქუთაისში მეც შევაყოვნე, ახლა არიან რჩევაში. მთავრობას კი, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ღონე სულ არა აქვს. ჩამოვედი სამუშაოდ, ჩამოვიტანე საბეჭდი, ვნახოთ, როგორ წავიყვან საქმე-სამუშაოსა. ახლა სამსახურში უნდა გავიდე, გადიდებული ხელფასების ქაღალდიცა მაქვს ჩამოტანილი.

27. II. 91 წ.

* * *

გაზაფხულიც შემოვიდა უსიხარულოდ. წვიმს, ზამთარი ირეცხება. ვკითხულობ ტროცკის. Лев Троцкий. Сталин. კარგია, რომ გამოვიდა ეგ წიგნი, კარგია, რომ ითარგმნა და დაიბეჭდება „ცისკარში“. რუსეთი საქართველოს სიძლიერეს, პოტენციურ შესაძლებლობას მიხვდება, დაინახავს. საქართველო ფიგურირებს წიგნში ძლიერ. ამ პატარა, შეფარდებითი რაოდენობით უმნიშვნელო ერს რამდენი მნიშვნელოვანი ფიგურა ჰყავდა იმ კატაკლიზმებში. კარგი, სტალინი ბითურდება და ტროცკი მეწვრილმანე ხდება. მე ვიყავი პირველიო, სტალინზე პირველიო, ამტკიცებს და მეორის, ვისზე წინაც „იდგა“ თურმე, იმის მე-

ბიოგრაფე ხდება. ცალ ფეხზე ორი თითი ჰქონდა შეზრდილი (თითქოს გონებრივი ნაკლია. ასე, შეიძლება, კუჭშიც ჰქონდეს ორი წყლული ერთმანეთზე შეხორცებული ადამიანს), იმეორებს ნიშნისმოგებით და სხვა.

მიუხედავად ამისა, ვერაგულად დაწერილი წიგნია, მიზანს ამართლებს მაინც. წიგნი მისიანებმაც არ მოიწონეს, მაგრამ ზუსტადაა გაანგარიშებული. გადაყვა ამ წიგნს და მოასწრო დიდი ლაფის გადასხმა ადრესატისთვის. თითქოს ობიექტურად, სინამდვილეში, ვერაგულადაა, ჭკვიანურადაც, შეთხზული მართალი ისტორია. რაც არ უნდა თქვან, საჭირო წიგნია. სტალინის გაბითურებაში (საჭირო და აუცილებელი იყო საქართველოსათვის) მეც მიმიძღვის მცირეოდენი წვლილიო...

ხვალ ვიწყებ „რკინის სახკომის" ბეჭდვას. ძალიან გამიჭირდება, ვიცი. ფორმაში ვარ და არც ვარ. თოხნა მირჩევნია უკვე ხანგრძლივ ბეჭდვას... სპარსეთის ყურეში ომი შეწყდა. მაინც ძალიან ძნელია, განსაზღვრო საქართველოს უახლოესი მომავალი. აქ ბედია (ხანდახან გვწყალობს კიდეც) მთავარი. როგორც განვითარდება კავშირში (ომი რომ შეწყდა, კარგია) მოვლენები. ისე, ვიმოძრავებთ, მოვლენების განვითარების მიხედვით ვიტივტივებთ ერთხანს წყლის ზედაპირზე. არ ჩავიძირებით, მაგრამ როგორ გავალთ ნაპირზე? გავირიყებით, გაგვრიყავენ თუ გავცურავთ. ეგ დღეც მომდგარია და ამასაც ვნახავთ.

7 მარტი, 1991 წ.

ქუთაისი

* * *

არადა არ მოვიდა გაზაფხული. დღეს ნამეტანი მარტულია, ცივა. მზემ ვერ მოახერხა ჩამოჭყეტაც კი. სტალინის გარდაცვალებისა და ცოლის დაბადების დღე უნდა იყოს. 4-ში თუ ხუთში მოკვდა ის ძაღლთაპირი. ნამეტანი ჩავუღრმავდი მაგათ ცხოვრებას და ახლა ვხვდები, სტალინი არ იყო მონარქი, გარ-

და პირადი ანგარიშსწორებისა, მარტოდ, სხვისაგან დამოუკიდებლად, ვერაფერს ვერ წყვეტდა, მხოლოდ მისი გამოისობით არ ხდებოდა ყველაფერი, განსაკუთრებით, 20-იან წლებში. 30-იან წლებში გახდა სატრაპი დიქტატორი, მაგრამ არა ერთპიროვნული მმართველი. ანგარიში ეწეოდა ხელქვეითებს, დროს, საერთო სიტუაციას. ერთხელ უყვირია მისი ძველი ქართველი ძმაკაცის თანდასწრებით, თქვენ ხომ არ გგონიათ, მართლა ყველაფერი შემიძლიაო! რა ეგონათ მთხოვნელებს, არ ვიცი, მაგრამ რასაც ითხოვდნენ (მეტად უმნიშვნელოს, კარგად აღარ მახსოვს), ის ნამდვილად შეეძლო. წავიკითხე ტროცკის „სტალინიც", საჭირო წიგნია, მაგრამ „ამაოდ დაშვრაო", სწორედ ამაზეა ნათქვამი.

„კოლხური დიადემა" №1, გაზეთი აფხაზეთში. მოლოტოვზეა წერილიო, მჭირდებოდა, მოვატანინე. ახალი და საინტერესო არაფერი, ერთის გარდა. ბერია მეო, მოლოტოვმა თქვა, ლენინთან გავიცანიო. გასაშტერებელი ამბავი, თუ გინდა, ესაა.

24-ში ლენინი აღარ იყო, 23-ში სასტუმროდ არ ვარგოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 1922 წელს ნახა ლენინთან 23 წლის ლავრენტი. მართალს რომ წერს, ერთი დეტალისგანაც მტკიცდება.

რა გესიზმრებაო, ეკითხებიან 90-ს გადაცილებულს: „...წასაკითხი მაქვს მოხსენება, რომელიც მზად არა მაქვსო... სტალინთან ერთად დავდივარ დანგრეული ქალაქის ქუჩებშიო... ესე იგი, სტალინგრადში. ეგრე იქნებოდა. როგორ წვალობდა ძილში, ალბათ, მოხსენების გამო... სტალინი და მოხსენება გადაექცეოდა კოშმარებად, რა ლაპარაკი უნდა.

IV გვერდზე მხატვარ ბახტაძის მოგონების ნაწყვეტია უშანგი ჩხეიძეზე — ხონზე... როგორი მართალია, როგორი კარგი... ასეთი რამ მიყვარს. თითქოს მეც ჩავვარდნილვარ ანალოგიურ სიტუაციაში, თუნდაც შარშან, იმავ ალაგას, იმავე ეკლესიის ეზოში.

კვანტილე
სერგო გოფოძე
კვიჟინაძე
ვჩომ დილო და სხვა.
უნდა წაიკითხო, ისე ვერ გაიგებ! ვჩომ დილო?!

4 მარტი, 1991 წ.

* * *

მარტი მარტულად კი არა, ზამთრულად მოდის. სიცივით, თოვლ-წვიმით. ერთი თვეა, მანქანა ჩამომართვეს. ელგუჯამ დარეკა, ჩხეიძეს ველაპარაკეო. შეადგინეთ ახალი საბუთი და თუ სიგუა დამაწერს, ახალ მანქანას მივცემო. სიგუა თუ ეტყვის და ზ. გამსახურდია მომცემს, ცხადია.

სტუმრები მყავდა. წავიდნენ. დილით გონერიმ და ავთომ გახეთქილი წყლის მილი გამოცვალეს. შემდეგ სამსახურში წაველ და ეს დღე დაიკარგა. თავიც მტკიოდა. ახლა მომეშვა ცოტა. წნევის ბრალი ხომ არაა?.. დიეტაზე ვარ და ვივარჯიშე კიდეც დილით. ადრე დავწვე, ჯობია, იქნებ გამოვსწორდე და ადრიდანვე შევუდგე ბეჭდვას. თან ვასწორებ, თან ვთხზავ (შიგადაშიგ) და ვბეჭდავ. ვიღლები, ვზივარ თავდახრილი და ჩავყურებ ხელნაწერს. ვერც დავამთავრებ-მეთქი, ასე მეჩვენება ხანდახან. მოვათავო იქნებ, დავაყენო გზაზე ეგებ და მერე გეგმით წავალ. ვაგვიანებ რამდენიმე თვეს, თორემ დასახულს არ ავცდენივარ. ამის შემდეგ რამდენიმე ნოველა (ციკლივით) და „კუდიანი ვარსკვლავი“. შემდეგ „გათენდა“, რომანი და გადავცილდები 60-ს. ერთი სცენარიც გამოტყვრება (სხვა წვრილიც) იმასა და იმასშივე და ესეც გათვალისწინებულია. მთავარია, ტემპი არ დავკარგო.

7. III. 91 წ.

* * *

9 მარტია. 35 წელი გასულა 56 წლის 9 მარტიდან. უკან რომ ვიხედები, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან სწრაფად გავიდა ეს დრო. ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ. რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ, როგორ ნათლად, დღესავით მახსოვს ის წლები, ის ამბები, ის ცხრა მარტი. წელსვე დავიწყებ წერას იმ დღეებზე. ნოველები, „კუდიანი ვარსკვლავი" და ის... „გათენდა" შეიძლება ჩაემატოს. თუ სცენარი გამოტყვრა, გამიჭირდება, მაგრამ დაწყებით დავიწყებ. მთელი დატვირთვით ვმუშაობ და მიჭირს უკვე ბეჭდვა... აქ ჩამოსულმა მანქანაზე ვარჯიშს ხომ სულ მივანებე თავი. ამან უარყოფითად იმოქმედა.

ელცინი გამოსულა არსებული მთავრობის, ხელისუფლების კისრის მოგრეხის ლოზუნგით. შეშფოთებულნი არიან. შეშფოთებული ვარ მეც, ყველა. ნუთუ ისევ დაიწყება ნგრევა, ტერორი, სამოქალაქო, სასაზღვრო საკონფლიქტო ომები. რა დააშავეს პატარებმა. ბრეჟნევ-სუსლოვის დროს ინატრებს ხანდახან ძალაუნებურად კაცი. მარტო ვარ, ხელი არ მეშლება და ასე გამოკეტვაც არ მიყვარს.

ისევ წვიმა, სიცივე. თბილისში თოვდა.

9. III. 91 წ.

* * *

გამოიხედა მზემ. ფანჯრებიდან ათბა სახლები, გარეთ ცივი (არა ძველებური) ქარი ქროდა და ციოდა. ვარდციხეში მეტი იყო ქარი. შორს, ვიზუალურად სულ ახლო, დათოვლილი მთები (მცირე კავკასიონი) ჩანდა. იქაურები ამბობდნენ, როცა მთაზე 180 დაიწერება, მაშინ შეიძლება რიონში ჩასვლაო. ეს ხდება, თურმე, ივლის-აგვისტოში, თოვლის მთლიანად გადნობის დროს.

არაფერი საინტერესო არ მომხდარა ამ დღეებში, გუშინ, გუშინწინ და დღეს. გავცივდი კი, დიეტაც დავარღვიე, ამაზე მომდის გული.

11 მარტი, 1991 წ.

* * *

14 მარტი, 91 წ. ქუთაისი.

მუხრანს დავურეკე სამსახურიდან, დავუკავშირდი. ჩემი წამოსვლის დრო დადგა-მეთქი, ვუთხარი, როცა სათქმელს (მანქანასთან დაკავშირებით) მოვრჩი, იყავი ცოტა ხნით მანდო, შემოეყარა გულს. ჩემი ჩასვლის კი არ შეშინებია, სამსახური იგულისხმა ჩემი სავსებით სწორად. აბა, რაზე გავაფრთხილე, ჩემი წამოსვლის დრო დადგა-მეთქი. უკითხავად ვერ წავალ თუ რა. პრეფექტად დანიშნესო, ნიშნავენო ა. კოსტავასო. მთელ ქალაქში ახლა ეგ ვერსიაა გავრცელებული. ნეტავი ეგრე იქნებოდეს და იმ ნაბიჭვრებს არ გააკარებდნენ მმართველობას! კოსტავას დანიშვნა (მეეჭვება მაინც) ქალაქისთვის არ ივარგებს, ჩემთვის კარგი იქნება?! ჩემისთანებისთვისაც, ვისაც ხელი არ უნდა შეუშალო, გვერდში დგომა აგრძნობინო, — კარგი.

ნ. კაკაურიძესთან ვიყავი ინსტიტუტში, უკაცრავად, უნივერსიტეტში. ძალიან გაიხარა თითქოს, ასეც იყო ალბათ. ვილაპარაკეთ.

ბენია მოვიდა გუშინწინლამით ისეთი მთვრალი, რომ კიბეზე ხელით ავიყვანეთ, ქალმა და კაცმა მოაცილა. თამადად დაუნიშნავთ ოჯახში. მაგის დედაც ვატირე, დავაფინე ხალხი, მარჯვნივ და მარცხნივ ცვიოდნენო, დედა ვუტირე ყველასო. ძლივს გავხადე პალტო და კოსტუმი. შემდეგ არ გამიკარა, გამომიკეტა კარი, მე მივხედავ ჩემ თავსო. ვუტრიალე ფანჯრიდან, არ დაეცეს, თავი არაფერს დაკრას-მეთქი. დაწვა, შევატყვე. დილით, რვის ნახევარი იქნებოდა, ჭიშკარი გაიჯახუნა. ძილს

თავი ვერ გავართვი. შემდეგ ავდექი, შევამოწმე, სამსახურში წასულიყო. ყველაზე ადრე მე მივედიო. მე რომ ისე დავთვრე, ორ დღეს ვერ ავდგები. ორი დღით ადრე მოითბილისა სამსახურის საქმეზე, შაბათს წავიდა, კვირა საღამოს დაბრუნდა. შეუძლია ჯერ, თუმც რა, სულ 26 წლითაა ჩემზე უფროსი...

ქუთაისში ჟამი ამინდია. გუშინწინ ქარი იყო და მზე, გამოაშრო ყველაფერი. გუშინ ისევ გაწვიმდა, დღესაც წვიმს. ქუთაისის ბაზართან ძალიან ბევრი ყვავილი იყიდება. ყვავილების ტრადიცია არ იყო ადრე... ვბეჭდავ, ვმუშაობ, ვიღლები, თავიც მტკივა. დაგუდულად გავანახევრე სამუშაო და ბოლოში თუ გავალ, არ მგონია. რამოდენა საქმე წამოვიკიდე... ამნაირ შეცდომას აწი აღარ დავუშვებ. არადა, ახლა ეგაა საჭირო, მე მგონი, წიგნად გამოცემაც თუ მოვასწარი, დროის და მომენტის შესაფერისი ამბავი იქნება.

პურიც ქრება. მაღაზიებში რიგებია. ცარიელ მაღაზიებში პურის მომლოდინე ხალხი დგას. როგორ განვითარდება მოვლენები, კაცი ვერ გაარკვევს. ავტომანქანა უნდა წამართვან თუ უნდა დამიბრუნონ, ვერ გადაწყვიტეს სიგუადან ქვევით. სახელმწიფო როგორ უნდა მართონ?.. ტელევიზორში სულელი პეტრიაშვილია, ამიტომ აქეთ გამოველ, ბუხართან. მაგიდა ისევ ფანჯარასთან უნდა გადავდგა. დღეს თუ არა ხვალ, გაზაფხული მოვა.

14. III. 91 წ.

* * *

დღეს ცეცხლი არ შემინთია. „ზალაში“ ვზი, დიდ მაგიდასთან, ესეც მომწონს. გაზაფხული არ მოდის, გარეთ ცივა, გამიფუჭდა საბეჭდი მანქანა. წავიღე ხელოსანთან, დავტოვე. დღევანდელი დღე სანახევროდ გამიცდა. მეორე ნომერია სასიგნალო „განთიადისა“, ლამაზი ყდით.

ზეგა აქვთ რეფერენდუმი და ნერვიულობენ. გამოვიდა გორბაჩოვი, მიიღეს მონაწილეობა და თქვით Да-ო. თუ ყველამ დაუჯერა, რაღად უნდა რეფერენდუმი. თუ გაიმარჯვა და გაძლიერდა, რაც საეჭვოა, შერჩება ტახტს და ასე ყოყმანით, ჯიკავჯიკავით და ტკეპნით გააგრძელებს მოღვაწეობას. ამასობაში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. ელცინის გამარჯვება ჩვენი გამარჯვება და ქაოსი იქნება. II ვარიანტი. იქნებ რაღაც ფორმით მოვუწეროთ ხელი ხელშეკრულებას და სახელმწიფოს შევინარჩუნებთ, მთავრობა ბევრს დაგვითმობს. ჯობია თუ არ ჯობია ხელის მოწერა საქართველოს ხალხისათვის, ეს ჯერ ისევ საკითხავია. ჩვენს ხელისუფლებას მეტი მოქნილობა ჭირდება. სხვა გზების ძებნაა საჭირო, ახლა სხვა დროა, ძველი (ორჯ-სტალინი) არ განმეორდება... შევარდნაძე შეხვდა რომის პაპს, გუშინ, მგონი, ბეიკერსაც. რა ფუნქციას ასრულებს და რას ჩადის, არ ვიცი. ჯერ არ გავრკვეულვართ. ესეც საკითხავია, დღევანდელი საქართველოსათვის შევარდნაძე ჯობია თუ გამსახურდია. ესეც არავინ იცის. სახარებას ვკითხულობ (ოთხთავს) ძილის წინ, მშვენიერი ენითაა გადაწერილი. წიგნი, მგონი, შვეიცარიაშია გამოცემული, არაფერი სატიტულო გვერდებზე ამდაგვარი არ აწერია. ძველი ქართული გასაგებია თითქოს და შთაბეჭდილებას და აღქმას ანელებს ჩემ დონეზეც კი. იქ სიტყვები დომინირებს. ის სიტყვები და ის სტილი ბუნებრივი იქნებოდა, როცა წიგნი ითარგმნებოდა. თუ ენა თარგმანისა მაშინაც ზეაწეული და ხელოვნური იყო (ეგრეცაა ალბათ), ძალიან ცუდია. სახარება, ბიბლია მთლიანად, წყალივით უნდა იკითხებოდეს დღეს, მაშინაც მარტივად უნდა ყოფილიყო გადმოღებული. სიმარტივეში, სისადავეშია სიდიადე. ჩვენ კი გვიყვარს სიტყვების რახარუხი.

15. III. 91 წ.

* * *

წყალტუბოში გავედით მე და იუზა. მოიწმინდა დღისით, მზემ გამოიხედა და კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები ჩანდა. ხვამლი სულ ახლოს იყო მოსული. „ვით ხომალდი ასწიოს ნაღმმაო“, ხვამლზე აქვს ნათქვამი, თუ არაფერი მეშლება, გალაკტიონს. არ ვარგა, მე მგონი, „მინდა, გულზე დაგაკრა (ყვავილები), ვით ლამაზი ღილები“, – ამისი არ იყოს. შებრუნებული შედარება ჯობია. ხომალდი ხვამლივით ასწია ნაღმმაო. ეს უფრო სახოვანია, ისევე, როგორც ყვავილივით მინდა დაგაკრა, დაგაკერო ღილები, სხვაა. საერთოდ კი არავითარ ნაღმს და ხომალდს არ ჰგავს ხვამლი. იგი კლდეა, რომელიც მთაზე მოცოცავს, საიდანღაც, თითქმის წყლიდან ამოსულა, ადის გორაზე, კიდევ უფრო ზევით აფორთხდება, შეუმჩნევლად, დროთა განმავლობაში.

კუხიანიძე გამომივლის, ვ. ჭყონიას დედის გასვენებაში წავალთ. წუხელ ცუდად ვიყავ, გავცივდი, ყელი ახლაც მტკივა, არ მინდოდა ადგომა, ავდექი, საბეჭდი მანქანის ამოტანა დავაპირე. ხელოსანი არ დამხვდა და წყალტუბოში მოვხვდი. რამდენმა მითხრა, რამდენმა დამირეკა, ვაჟა ჭყონიას დედის დაკრძალვაა, გასვენება აქ მთავარია. ყველამ იცის, ყველა იქ მოიყრის თავს ვალდებულების მიხედვით. ზოგს მარტო მოსვლა ევალება, ზოგს – დარჩენა, სუფრასთან დაჯდომა, სასაფლაოზე მიყოლა, ფულის დადება და სხვა. ყველა დავალდებულ-დაკაბალებულია, ჩახედავს დილით რვეულში, ნახავს, იმან რა მოუტანა და ასე შემდეგ. თეატრში არ იყრიან თავს, გელათში არ ავლენ ერთობით დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გასვენებაში კი – ეგ სავალდებულოა. თბილისიდანაც ბევრი ჩამოვა. უკვე მაქვს უფლება, შევაჯამო ჩემი ოთხწლიანი მოღვაწეობის შედეგები, დაკვირვებები. უახლოეს „მოწამეთაში“ გამოვაქვეყნებ და ეს იქნება სასკანდალო წერილი მცირეოდენი გულისმოსვლებით...

რეზო მოვიდა, ნაჭყებია და რამაზ ყანჩაველი, შემდეგ ელგუჯამაც მომაკითხა. იუზა თბილისში გაემგზავრა. კოკლი არ რეკავს. კვაჭიელა საერთოდ დაიკარგა.

ხვალაა ამგენის რეფერენდუმი. ზვიადი ჩაფრენილა მოსკოვს, შეხვედრია ბეიკერს... ეს რაღაცას ნიშნავს...

16. III. 91 წ.

ღამის ორი საათია.

* * *

17-ია, კვირა. რეფერენდუმი.

სამშაბათს სამი კვირა გახდება თბილისიდან წამოსვლისა. აქამდე ამდენხანს არ დავრჩენილვარ, ეგ ნამეტანია.

გორბაჩოვი გამოვიდა: თუ საბჭოთა კავშირი დაიშალა, საფრთხე ემუქრება მსოფლიო ცივილიზაციასო. თუ არ მისცეს ხმა საბჭოთა კავშირს, არადა, მიცემენ, აღარ იქნება თვითონ და კაცობრიობას ემუქრება. ელცინი თუ გახდა პრეზიდენტი, დებულებით (რუსეთის უმაღლესი საბჭო), ჯარიც მას უნდა დაემორჩილოსო. სამოქალაქო ომი თუ იქნებაო, ვიღაცამ ჰკითხა — უცხოელმა. „გდე, უ ვას, ილი უ ნას?“ იხუმრა თითქოს, მაგრამ რა ეხუმრება. ახლა გადავიაზრე, რომ მას ნამეტანი ეშინია ამაზე ლაპარაკისაც კი... არადა, მარტივად შეეძლო მისი პრეზიდენტობის საკითხის გადაწყვეტა, დაახლოებით ისე, როგორც ურჩევენ „ეროვნული ხსნის კომიტეტის“ წევრები. რას აიტეხა ეს არჩევნები. ბედი მიაქანებს კატასტროფისკენ, მას უკვე აღარაფრის გაკეთება შეუძლია. 70% იტყვიოს კისო, ამერიკელებს უთქვამთ, ვინც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, იმის 70%, ალბათ... ესეც ბევრია. ფალსიფიცირებული არჩევნებითაც არ გამოვა ამდენი, მე მგონი.

ცეკვებია ტელევიზორში, საშინელი გრიალითა და ტაშფანდურით, სამაჩაბლოელი ლტოლვილებისთვისო... ცეკვა-თამაში აკლიათ, მეტი არაფერი. სვანებმა იცეკვეს, ცალი ხელი აუშვეს ხანჯლიდან, ეტყობა, ბრძანება გამოსცეს...

ავადა ვარ, გრიპია თუ გაციებული ვარ, ესეც არ ვიცი, სიცხე არ გამიზომია, ყელი მტკივა. ვსვამ ახლა ცხელ ყავას და სტრეპტოციტს. ბეჭდვა მიდის ნელა, მძიმედ, ძლივს დავბეჭდე 15 გვერდი. გადავაწყვე ხვალისთვის გვერდები. დაუწერელია თურმე 24 წ. აჯანყების დასაწყისი. ჩავიქნიე ხელი, ტელევიზორს მივუჯექი, შემდეგ ეს რვეული გადმოვიღე, უნდა შევუძახო ისევ თავს, მეტი გზა არა მაქვს. უნდა დავწერო ამეღამ, ხვალინდელი დღე (სამსახურშიც უნდა მივიდე) რომ არ ჩამივარდეს.

რეზო დვალიშვილი მოვიდა, კუხიანიძეს მოყვა. დვალიშვილებზე (ყაჩაღებზე) უნდა დაიწეროს რაღაც, მეც მინდა. საინტერესოა ჟურნალისათვის. მე არ შემიძლია მხოლოდ. შესახელებული მყავს ორი: ვანელი – ტყეშელაშვილი და თემურ ამყოლაძე. ხვალ ვიღაცის ჩანაწერებს მომიტანს...

ახლა ფეხბურთი დაიწყო: რუსთავი – ვანი.

17. III. 91 წ.

* * *

იჟეჟება და არ ტყდება ეს ამინდი. ათბა და გაზაფხულს არ დაადგა საშველი. ახლა ღამით მოიწმინდა, კარგი ვარსკვლავები ჩანს და ახალი მთვარე. ოთხშაბათია, 20 მარტი, სამსახურშიც ვეღარ გავდივარ, გამაჯახირა ძველმა „მერსედესმა“, 30 წელია, მე მაქვს თითქმის. 1962-ში შევიძინე, როდინდელია, ღმერთმა არ იცის (საბეჭდი მანქანა).

მთვარეს ახლა რომ გავხედე, გადასულა დასავლეთით, მზესავით დაშვებულა ჩემგან მარჯვნივ, წყალტუბოსკენ. ამნაირი მთვარე არ მინახავს.

ფეხბურთია კარგი ტელევიზორში – „რეალი“ – „სპარტაკი“, რვაზე ვრთავ ხოლმე, სულ სამწუხარო ამბები. კიდევ კარგი, ჩვენთვის არ ცალიათ. მეშახტეები გორბაჩოვის და მთავრობის გადადგომას მოითხოვენ. წაიკითხეს წერილი სესიაზე. რუსებზე

ეს მოქმედებს, ისინი (დელეგატები) ძალიან შეფიქრიანებულნი არიან. ელცინი იმარჯვებს და როგორ წავა ჩვენი საქმე, მაინც არ ვიცით. მეშახტეებმა, ხელისუფლება გადაეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსო. ეს კარგია, მარტონი არ ვრჩებით. რუსი თუ გავაჩერეთ, ყველას მოვუვლით. აწი უნდა ვიმუშაო. რაღას შევძლებ. ხვალინდელი საბეჭდი დედნები მაინც გამამზადებინა. ოთხი სახარებიდან ერთი დაწერა ტოლსტოიმ, შემდეგ თქვა, შევცდიო, ლევანი იხსენებს ხშირად. რა მისი საქმე იყო ამის გაკეთება, ვინ ეკითხებოდაო, ყვირის, არ შეიძლებაო. არ ვეკამათები და დღემდე ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება. ტოლსტოის გამთლიანებული სახარებაც წაკითხული მაქვს, ბავშვებისათვის დაწერილი. ჯვარი ათრევინეს ს. კვირანელსო. სამი სახარება ამას ამბობს, ერთში ქრისტეს მოაქვს თავისი ჯვარი. რატომ არ შეიძლება, ჭეშმარიტებად მიიჩნიო ის, რაც ბევრია. სამი ამბობს, ასეო და ასეც რომ არ იყოს, ერთმა უნდა დაიჯეროს, რაც ნამდვილია და რეალური. სახარებაში ყველაფერი ნამდვილია, იმნაირი მართალი დეტალებია, რომლის მოგონება არ შეიძლება. ეგ არ შემეშლება. ყველა ვარიანტის მიხედვით, ქრისტე ჯვარზე მალე მოკვდა, უკვე საშინლად გაიოცა პილატემ, როცა ეს ამბავი შეატყობინეს. მეორე-მესამე დღეს შაბათ-კვირა იყო. დაძინება უნდოდათ ალბათ ყარაულებს და წვივების დასამტვრევად წავიდნენ. დაცხებდნენ ფეხებზე და მალე კვდებოდნენ ალბათ, სხვანაირად არ შეეძლოთ? ქვების სროლას ხომ არ დაუწყებდნენ? ალბათ არ შეიძლებოდა. თითქოს კაკლის ბერტყვაზე მიდიან — წამოდი, დავუმტვრიოთ წვივები!

გულმოწყალე ხალხი იყვნენ მაშინაც. ზოგიერთი, თურმე, შიმშილით კვდებოდა, იმდენხანს ძლებდა. ძმარ-ღვინოს აწოდებდნენ ღრუბლით, ძონძით ალბათ. გრძელ ჯოხზე წამოცმული ღრუბლით უსველებდნენ ტუჩებს.

ქრისტეს მკვდარი დაუხვდა წვივისმმტვრევლებს. ავაზაკები ჯვარზე ცმულსაც აგინებდნენ.

დაუმტვრიეს თუ არა წვივები, არ ვიცი. მგონი, არ წერია. ჩავხედავ ხელახლა.

ამ ფაქტს კი გამოვიყენებ.

პარასკევს, ზეგ, შეხვედრა მაქვს მაღლაკში.

საიდან გავახსენდით ამ უბედურ დროში. წავალ, გავერთობი-მეთქი და უარი არ ვთქვი...

20 მარტი, 91 წ.

* * *

გუშინ მაღლაკში პატარა შეხვედრა მოაწყვეს ხალხური მუსიკალური ორკესტრის თანხლებით, მშვენიერი პურმარილით. ყველაფერი კარგი, მშვიდი, სადა. წყალტუბოდან ჩამოვიდნენ...

მუხის ხე დგას ეზოში უზარმაზარი, საგანგებოდ უნდა ვნახო, კულტურის სახლის გამგე ჟორჟოლიანი გიორგი(?), გიორგი, კი. წამომყვნენ: კოკლი, ნემსაძე, კუხიანიძე, ჩავაკითხავ სხვა დროსაც იმ ჟორჟოლიანს.

მამაჩემის ბებია ანა ჟორჟოლიანი (მაღლაკიდან). ფოტოზე ვაკვირდები იმ ქალს და ძალიან საინტერესო სახე აქვს... მორჩილი ხასიათია... ასე ჩანს და თან სიმშვიდეა მის გამოხედვაში.

„რკინის სახკომს“ ვერ ვაჯობე, ალერგია დამემართა ბეჭდვაზე. დღეს შაბათია, ორშაბათს წავალ თბილისში და იქ თუ დავამთავრებ, სხვა საშველი აღარაა... აწი მხოლოდ შავად თუ გადავბეჭდავ სხვა რამეს.

დღეს 23 მარტი ყოფილა.

23. III. 91 წ.

* * *

კარგახანია იქა ვარ, სადაც უნდა ვიყო. დღეს შაბათია, 20 რიცხვია აპრილისა.

* * *

17-ში ღამით ჩამოვედი (ისევ ტაქსით) თბილისიდან, კარგა ხანს დავრჩი იქ და ბევრი რამეც მოხდა მოკლე დროში.

9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რამდენად რეალურად, ვერაფერს ვიტყვი, რა გველის, როგორ წარიმართება მოვლენები, არ ვიცი.

დავამთავრე, ჩავაბარე „რკინის სახკომი". ერთი ნაწყვეტი „მამულს" მივეცი. აღდგომას — 7 აპრილს მამუკამ მონათლა ბავშვები და გაიმართა ჩვენსა ამ დროისათვის არცთუ პატარა სუფრა. ცოტა დავლიე კარგა ხნის სიმშრალის შემდეგ. მეორე დღეს ლევანი და იურა ჩამოვიყვანე, დავლიე ცოტაზე მეტი...

წნევამ მანამდე ამიწია, წამლებზე დავჯექი... ერთხელ, აქ ჩამოსვლამდე, სერიოზულად დავთვერი. 17-ში პურმარილით გამომაცილეს... ხუთშაბათს თუ პარასკევს ელგუჯასთან ვიყავით საზანოში. გუშინ სკოლაში (XXXI) გახსნეს კ. გამსახურდიას მემორიალი, მიმიწვიეს, მივედი და არ დავრჩი უკმაყოფილო. ბავშვებს მოუმზადებიათ მშვენიერი კომპოზიცია. ერთი გოგონა იყო მშვენიერი (გვარად, მგონი, თავდუმაძე), ლალი ბადურაშვილმა და თ. ხაინდრავამ ყვავილები მოართვეს, იმ გოგონამ წამოიღო ყვავილები და თ. არჩვაძეს მოუტანა, მე რატომ მაძლევო, არ გამოართვა თენგიზმა, მოეფერა და გოგონამ ცრემლი მოიწმინდა. საღამოს სუფრა ოჯახში (მასპინძელი — ტაქსის მძღოლი, პურ;მარილი — ზიარი). „ბალკომში" გამოვიტანეთ მაგიდა. არც ცხელოდა, არც ციოდა, იდგა მშვენიერზე მშვენიერი ამინდი (20. IV), ყვაოდა ბია და სხვა ხეები.

იყო პრეფექტი (არამარტო ერთი) და პრეფექტს შევხვდი ადრევეც. ავტომობილს დაგიბრუნებთო ან ახალს მოგცემთო და სხვა.

დღეს მყავდა სტუმრები ყავისა. ხვალიდან უნდა შევუდგე მუშაობას. დამეწყება ახალი ეტაპი წერისა (ნოველები), ჯაველიძე შემხვდა, დავდოთ ხელშეკრულებაო, ცოტა მაცალე-მეთ-

ქი, მოვემზადები და მაისისთვისთქვა. მე ექვსი ვთქვი და სამ თვეზე შევთანხმდით თითქოს. ყველა ნომერში ერთი ნოველა 3 თვის განმავლობაში. ეგ საინტერესოცაა. მე მხოლოდ 1 მოთხრობა („ჭყეპი") მაქვს მზად. ორით თუ წავედი წინ, ყოველკვირა თითოს ჩავაბარებ...

მუხრანს ველაპარაკე, გადმომიყვანე-მეთქი. ამ უბედურ დროში უმუშევარი ვერ დავრჩები და გამომიძებნეთ, გადმომიყვანეთ-თქვა. რა ჯობია მაგას, მაგრამ სად და რანაირადო. უარის მეტი მისგან არ მსმენია რა, მაგრამ კარგია მაინც, ტყუილი დაპირება რომ არ იცის...

დაბადების დღე თბილისში?

მუხათწყაროზე ვინ შევაწუხო, აქედან ვინ წავიყვანო, ამაზე ვფიქრობ... შარშან იქიდან (იმავ დღეს) აქეთ წამოველ (იმხელა სუფრას ვინღა გამართავს), წელს აქედან (იმავ დილით) იქით უნდა გავწიო.

პირველი მოთხრობა (?). ელგუჯას სითხე გავსინჯო ჯერ!

21 აპრილი, 91 წ.

* * *

წავედი 25 აპრილს, დღეს, 9 მაისს ჩამოვბრუნდი. 26-ში მუხათწყაროში ავედით, 27-ში, 28-ში უქეიფოდ, შემდეგ პირი არ დამიკარებია სასმელზე გუშინდლამდე. ე.ი. 10 დღე მაინც, 29-ში ის საშინელება მოხდა და კარგი აღარაფერი გაგვიგია მას შემდეგ. გუშინ ნათესავებს, თენგიზს და გოგის (ერგემლიძეებს) შევხვდი და ღვინო ველარ ავიცილე. შეხვედრაც საქმიანი იყო. საღამოს, გივია (ძნელაძე). მეცადინეობის მიუხედავად, აქეთ ვერ გამოვემგზავრე... ბოლო ავტობუსში ადგილი არ იყო, ტაქსმა, რომელიც ამ საქმისთვის იყო დიდუბეში გაჩერებული, 300 მანეთი მთხოვა, სად მქონდა 300 მანეთი... წამოვედი დღეს ქუთაისი-თბილისით (ექსპრესი), მშვენივრად ვიმგზავრე, სხვათაშორის. მანქანაში ვერ ვკითხულობ, „იკარუსში" მთელი გზა ვკითხუ-

ლობდი. შეიძლება, თურმე, ამნაირადაც მგზავრობა. 1987-შიც, მუშაობა რომ დავიწყე, ავტობუსით ჩამოვედი. შემდეგ მატარებელი შევუნაცვლე, ავტობუსში კი მეორედ (აქედან ვიმგზავრე ერთხელ) ჩავჯექი. რას იზამ! დამიბრუნებენ ალბათ ავტომობილსაც... მივატოვებ თუ არა აქაურ სამსახურს, არ ვიცი...

დრო დგება ნამეტანი ცუდი და უმუშევარი ვით დავრჩე. იმოდენა ოჯახს ვინ მიხედოს. ცოლი არ არის ისევ კარგად... მამუკაც ცუდადაა. უჭირს... პერიოდიც ეგეთი აქვს. იმ ასაკში (33 წ.) მეც აშლილ-არეული ვიყავი, თუმც არჩეულ გზაში არ მიყოყმანია, არ შევეჭვებულვარ.

ორი პატარა მოთხრობა დავწერე, მესამე დავიწყე. იქ განვაგრძობ, ვაგვიანებ, თუმც გეგმას მივყვები მაინც. სად უფრო გამჟღავნდებოდა ჩემი შესაძლებლობები (მწერლობიდან თავის დაუნებებლად) — რეჟისურაში, თეატრში და კინოს რეჟისორიც ძლიერი ვიქნებოდი, ამას ვგრძნობ, ვხედავ კიდეც. ეს დრო რომ ადრე დამდგარიყო, მე გადავიღებდი კინოფილმს, ერთსაც და სხვასაც. კინო ჩემს დროს რუსული იყო, რუსეთის იყო რეჟისორობაც, ნახევრადგარუსებულთათვის და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს ხელობა (რუსული რეჟისორობა) არ იყო ჩემი საქმე. გულიც იქით არ მიმიწევდა...

თბილისში მშვენიერი ამინდებია, რიკოთს აქეთ აგრილდა. შინ რომ მიველ, წვიმაც დაიწყო. ნუგზარიც იქ დამიხვდა...

9 მაისი, 91 წ.

P.S.

... ავტობუსში ერთი სანდომიანი, ტანსრული ქალი საძაგელი ხმით იცავდა ზვიადს, მხოლოდ — ვისგან, ვერ გავარკვიე, რადგან დანარჩენებიც მეზვიადეები იყვნენ და მე ხმა არ გამიღია...

ქალი კი მცირეოდენ შენიშვნასაც ვერ იტანდა, რატომ ბედავენ სხვებიც კენჭის ყრასო, ამაზე იშლიდა ნერვებს. ასეა ბევრი, თუ უმრავლესობა არა (ბენია და ნუგზარიც კი), დამცველები აღმოჩნდნენ. ჩემ დას ვერც უხსენებ ზვიადის მცირეოდენ აუგს...

მამულია და ვიღაც ქალი (ჩემსას რომ იყვნენ) მოდიან, თუ ჩამოვიდნენ უკვე და ჩემთან შეხვედრას აპირებენ. ზვიადის წინააღმდეგ იბრძვიან... მე მგონი, არაფერი გამოუვათ. ახლა ვფიქრობ, იქნებ კარგიცაა, ეგრე რომაა?! რას გაიგებ! იქნებ უარესი ავირჩიოთ, ვინ გარჩევინებს, მაგრამ მაინც... სხვა უფრო საიმედოა? ვინც არი, ეგ მანიაკია აშკარად, მაგრამ იქნებ სწორედ ეგ მანიაკი ჭირდება დროსა და სიტუაციას. ადვაძე გონიერი ჩანს, მაგრამ ძალა ექნება?.. კონგრესმა და მხედრიონმა თუ წამოყო ისევ თავი, უარესია. თავსატეხი საქმე გაჩნდა. ხალხიც ფიქრობს, როგორც ვაკვირდები და ბევრი ბრმად აღარავის ენდობა.

* * *

რეზო მებურიშვილის ორმოცზე ვიყავი. სიკვდილი და გასვენება გამომაპარეს, ქვიტირის სასაფლაოზე დაუმარხავთ, სურათი რომ დავინახე (ავტობუსიდან გადმოიტანეს), ყველაფერი აღმიდგა თვალწინ. ერთ წრეში ვმეგობრობდით და მისი ოჯახი ჩემთვის უცნობი იყო. პირველი ცოლი ისე დამარხა, ვერ გავიგე, ვერ გავიცანი... სხვა მხრივ, ძალიანი ახლობლობა გვქონდა ერთ დროს, მერე ნამეტანი დავშორდით და ასე შემდეგ...

აქ ახალი ჭორები.

„მოწამეთაში“ გამოქვეყნებული პატარა წერილი დეპუტატ კაცაძეზე ჩემი დაწერილი ყოფილა(?), ასე დაუსკვნია აქაურ საზოგადოებას(!).

„მრგვალი მაგიდა“ მემტერება, მადონა მეგრელიშვილი გეძებსო (ძლივს გავიხსენე, ვინაა) და სხვა მრავალი. თანდათან აუტანელი ხდება ჩემი აქ ყოფნა... თბილისში ვერ ვრეკავ... ამ სახლში კი ვისვენებ, მაგრამ გარეთაც ხომ უნდა გახვიდე. ჩემიანების დარდიც მახსენებს თავს. მუშაობას მაინც ვერ ვახერხებ... ხვალ კვირაა, შეიძლება იუზასთან მომიწიოს გავარდცხება...

11 მაისი, 91 წ.

* * *

ახლა 20 მაისია, ორშაბათი. ხვალ წავალ თბილისში. რა გავაკეთე 9-იდან დღემდე. საჩემო არაფერი. ჩანაწერებიც „არ გამიკეთებია“ სხვადასხვა წიგნუკებში. სამსახურში ვმუშაობდი კი...

დღეს დამირეკა და შემდეგ გამომეცხადა გ. ლომაძე. ვისადილეთ „თოლიაში“ ამერიკული ლუდით (გიას ძღვენით) და გავიარ-გამოვიარეთ. კვირას, 12 მაისს, სუფრა შემხვდა ვარციხეში, მივაბი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ჩავწექი (ძველებურად) ხუთშაბათს. გუშინ მოვიკეთე და თენგიზ ერგემლიძესთან ვიყავ ოჯახში, ცხადია, არ დამილევია, მაგრამ ვჭამე და გადავიღალე, დღეს 3 ქილა ლუდი დავლიე და წნევა, პირიქით რომ მეგონა, დაწეული აღმომაჩნდა. ამ საღამოს შევძელი ამ მაგიდასთან დაჯდომა და ხვალ წავალ, ჩემიანებსაც მივხედავ. ავადმყოფი ვერ წავიდოდი, მკვდარი მკვდარს ხომ არ ავეკიდებოდი. შემდეგ არჩევნები. გაიმარჯვებს ეს ზნედაცემული კაცი და ეს იქნება დიდი უბედურება. თუ ვცდები, ეგ იქნება კარგი! ნეტავ შევცდებოდე მეც, სხვებიც... ჟურნალის საქმე ცუდადაა, მწერლობის, მწერლების — უარესად. გიამ მითხრა, 40 წელი არც მწერლის გაგება იქნება, არც დაფასებაო (?). გადაჭარბებულია და სიმართლესაც ჰგავს... საძაგელმა უნიჭობამ წალეკა უკვე წიგნის ბაზარი, აწი რა იქნება, კაცმა არ იცის, ამდენხანს არ იყო გარჩევა და აწი ვინ რას გაარჩევს... მითუმეტეს, როცა მწერლობას ისეთი სიცარიელე „ხელმძღვანელობს“ ბატონი მუხრანის სახით, კაცი, რომელსაც საკუთარი თავის მეტი არ ახსოვს, არც ახსოვდა არავინ (ოჯახს არ ვგულისხმობ).

21. V. 91 წ.

* * *

ახლა 3 ივნისია. კვლავ ავტობუსით (ექსპრესით) ვიმგზავრე. წყალტუბოს მანქანა იყო და ჩემ ქუჩაზე არ ჩამოიარა. ჩა-

მოვედი საფიჩხიაზე, გადავიკიდე ჩანთა ბეჭზე, „დიპლომატი“ ხელში და წამოვედი ფეხით, გადმოვჭერი „ხარაზოვის“ ბაღი, ახლა რა ჰქვია, არც ვიცი. ყოფილი ურიცკის IV ჩიხი. ნაცნობზე უნაცნობესი ადგილები, ვიარე მსუბუქად, კარგად. კიდევ კარგი, ტაქსს და სხვა მანქანას რომ არ დავუწყე ლოდინი. ბინდდებოდა, ნაცნობიც არ შემხვედრია მიკროგზაზე, სითბოში, სიწყნარეში. თბილისში არაფერი კარგი, მთელი დღე, 3 საათამდე, ონკოლოგიურ საავადმყოფოში, არაფერი სანუგეშო და პირიქით. ყველაზე მძიმე დღეები ჩამოდგება აწი ჩემს ოჯახში...

ბენია კარგად დამიხვდა. სხვებსაც არა გვიჭირს რა. მამუკა ესენდუკშია. გუშინღამ ემზარი მესტუმრა... მომიტანა წიგნი „ლუკა პაჩოლი“. გამეხარდა, ავტობუსში ვიკითხე, მისმა ორმაგმა ბუღალტერიამაც კი დამაინტერესა. სასთუმალთან გამოვიმარაგე, დაწოლილიც ვიკითხავ... მოთხრობა მაქვს დასამთავრებელი, „სიუზანა მაკდონალდი“, ამაღამ ვერ შევძლებ. ემზარმა ი. აფციაურის ლექსები გამომატანა, ჩვენთან ერთად დაამთავრა უმაღლესი, მას შემდეგ მთაში (თიანეთის რაიონი) მასწავლებლობს. შარშან შემხვდა, ვერ ვიცანი. ლექსები „ვერლავეს“, რაღაც უნდა ავურჩიო. ამ თვის ბოლოს, თუკი რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ათიოდე ნოველა მექნება მზად, შემდეგ (შავად მოხაზულია) „ლენინი“ და დავადგები „კუდიან ვარსკვლავს“. წელს, მე მგონი, მეტს ვეღარაფერს მოვასწრებ...

ვიღაც ნათელმხილველს უთქვამს, გაზეთში ეწერაო, ხვალ იქნებაო მიწისძვრაო. ეს ხვალეც მალე იქნება.

დღეს 3 ივნისია, 1991 წელი.

* * *

არაფერი მაქვს ჩასაწერი, მიწისძვრაც არ ყოფილა ჯერ. ველაპარაკე, ცუდად ვარო კვლავ... აქ ახალ ჭორებში ვარ გახვეული... „მრგვალი მაგიდა“ მიტევს, ჯერ სუსტად. გამოვიდა, როგორც იქნა, IV ნომერი. ფეხით ჩავდივარ ხოლმე სამსახურ-

ში და დღესაც ფეხით ჩაველ, კოპერაციული მაღაზიებით, ფერად-ფერადი აბრებითაა გავსებული ქალაქი, ყოველ შემთხვევაში, ის გზა, რომლითაც მე გავდი-გამოვდივარ, ეგრეა. ამ გზით ცდილობენ გამდიდრებას, უკიდურეს შემთხვევაში, ბოლოს ეგრე იქნება, არსებობას. ყანჩაველმა გამომიარა, ვისადილოთო. წავედით ტყეში, იმას იქით. იქ იყო რეზო, მოწერელია და ბევრი საჭმელი. ხალხიც ბევრი და ბევრის მჭამელები. ასე იქნება სულ? ჯერ უარესად, შემდეგ უკეთესად. ადამიანის სიცოცხლე მეტად, ნამეტანი მეტად ხანმოკლეა და რასაც მოასწრებ, ეგაა...

თბილისში ვკითხულობდი ახალ კიკნაძისეულ-ბაჩანასეულ ბიბლიას, სახარებას. აქ ძველი გადავათვალიერე (შვეციაში, სტოკჰოლმში გამოცემულიც მაქვს):

„სოფლისა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა“. (იოანე)

„სოფლისა თავსა ვესახლე, არა სოფელი ჩემს თავსა,
სოფელს კი ვეთავსებოდი, სოფელი მე არ მეთავსა“...

(ხალხური)
5. VI. 91 წ.

* * *

71 წლისას დაუმთავრებია „აღდგომა“ ტოლსტოის, შემდეგ სხვა დაწერა და „ჰაჯი მურატი“ 1905 წელს, 77-ისამ გაასრულა (მე ის დასრულებული მგონია).

71 წლისა, თუ ვიცოცხლე მანამდე, წერას ვანებებ თავსმეთქი. კაკო ბაქრაძემ ტელევიზორში განაცხადა, აწი აღარც დავწერ, აღარც დავბეჭდავო. დარდით აღარ დაძინებია თურმე ზვიად გამსახურდიას.

იმათი არ იყოს, ძალიან არ იდარდოს მკითხველმა, თუ აღარ დავწერ! თუ რამის თქმა გინდა, წესით და რიგით, კი უნდა მოასწრო სამოცდაათამდე. შემდეგ მოიგონებ, თუ მოსაგონებელი გექნა, თუ მახსოვრობა შეგინარჩუნა განგებამ. ოტია იყო მო-

სული და ბევრი ვილაპარაკეთ. დაუხნია, დაუთოხნია, დაუფარცხია... სიმინდი, ჭადი მაინც მექნება საჭმელიო. იმას კი ექნება, სხვამ იკითხოს!

გუშინ ერთი მოთხრობა გავასრულე, „სიუზანა მაკდონალდი". კარგი გამოვიდა. 10-12 ნოველა გამოცხვება მაის-ივნისში... გეგმით მივდივარ... ვის ჭირდება ნოველა, ან სხვა რამ... ჟურნალებს ჭირდება...

ვინც რამეს აკეთებს, ვისაც (ჩემზე არ ვამბობ) სახელი აქვს, ყველა ძულს გამსახურდიას. ყველა მისი მტერია, ყველა „კრემლის აგენტია". ეს რა უბედურება მოევლინა საქართველოს?! ასე გვეწერა ალბათ... გადასატანი უნდა გადავიტანოთ, სახადი უნდა მოვიხადოთ. რა ეშველება ხალხს მაგის ხელში!

„აღდგომის" ბოლო გვერდები ჩავიკითხე ახლა სწორედ. ჩეხოვმა უსაყვედურა, რა საჭირო იყო (სახარებიდან ადგილები), ტოლსტოიმ უპასუხა თურმე, მაგიტომ დავწერე ეგ რომანიო...

ერთიც მართალი იყო და მეორეც (სადღაც წინ ჩაწერილი მაქვს). რომანს მართლაც არ ჭირდება, საქმეს, რომელიც რომანს უნდა გაეკეთებინა, ჭირდებოდა თუ არა, ვერ ვიტყვი. გადავიკითხე ხელახლა, რუსულადაც ნაცნობია ფრაზები... ქართულად ხომ არი და არი, იმდენი ვიკითხე, იმდენნაირი სახარება ვატრიალე, რომ არაფერია გასაკვირი...

დღეს წვიმდა ქუთაისში. ახლა მოჟამული ამინდია. ძალიან მიჭირს უკვე აქ ყოფნა. უნდა ვიყვე. ხელფასი მაკავებს, ჟურნალის რედაქტორობა ნამდვილად აღარ მინდა... არანაირად არ მინდა. ტაქტიკური თვალსაზრისითაც (რა საკადრისია) გაცლა სჯობს.

6 ივნისი, 1991 წ.

* * *

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" (სხვა სათაური აქვს მგონი). ერემეიშვილმა გამოაქვეყნა წერილი ვინმე პარმენ ჭეიშვილზე, ხარკოვის უნივერსიტეტის პრივატდოცენტზე, პროფე-

სორზე, გამოჩენილ ქიმიკოსზე... მომიტანა ერემეიშვილმა, წავიკითხე, წავაკითხე ბენიას. ვიცოდი, ვინც იყოო (მეც გამეგონა), მამაჩემი კარგად და ახლოს იცნობდა, ერთი ბუდიდან ვყოფილვართო. შუა ქვიტირის ეკლესია მოუმთავრებიათ და გაუხსნიათ 1911 წელს, ხატები, მგონი, იმავე წელს, გამოუგზავნია ხარკოვიდან პარმენ ჭეიშვილის... კამეჩიანი ურმებით მოიტანესო, თქვა ბენიამ... სოფლის ყრილობა გაიმართა, იყო ეკლესიაზე ჟრიამულიო და სხვა. გამოხმაურებით ვაბეჭდვინებ „მოწამეთაში“ და ჩავედი დღეს ეკლესიაზე. მშვენიერი ქვითაა მოპერანგებული, წახდენილი იყო, გადაუხურიათ, ერთი დიდი კარიც შეუბამთ. გამოველაპარაკე იქაურ ჭეიშვილს, ძეგლთა დაცვა აკეთებს. სოფელსაც აუკრებია ფული. ეკლესია საკმაოდ მოზრდილია, უგუმბათო, მაგრამ ბაზილიკაც არაა, რაღაც რუსული თარგით თუ სტანდარტით, ამდენი არ ვიცი, არის აგებული.

ქვიტირთან ჩემი ბავშვობა სისხლხორცეულად არაა დაკავშირებული (ოკრიბა, დედულეთი სხვა იყო), მაგრამ მახსოვს იქაურობა, ის ეკლესიაც, კლუბი იყო, როგორც ჩანს, ჩემს პატარაობაზე და კინოფილმებსაც უშვებდნენ შიგ, საკურთხეველში დიდი, თეთრი ფარდა ეკიდა და ჩანდა კინო, რომელმაც არ დამაინტერესა. საბჭოთა ფილმი იქნებოდა, უეჭველად. თვითმფრინავი, პილოტი, შთაგონებული სახით, კაბინაში, აფრენის წინ. ეს სცენა მახსოვს. მომწყინდა და ავედი სცენაზე — საკურთხეველში (დღევანდელი გაანგარიშება) რომ ყოფილა გამართული. შემოვუარე ეკრანს და კინო იქიდანაც ჩვეულებრივად გამოჩნდა. ვერც ამ აღმოჩენამ მიიზიდა ჩემი ყურადღება, გამოველ ეზოში, საღამოა, მზე ჩასულია, ვის ვახლდი, არ მახსოვს. ბებია ოლღა ზის საფლავზე, მე დავრბივარ საფლავზე, ლოდზე (კინოდან გამომყვა ალბათ ბებია). ნუ დარბიხარ, ცოდვაა მკვდარიო. გავჩერდი, დავფიქრდი, შენ რომ ზიხარ-მეთქი, მე ვზივარ, კი არ დავრბივარო. ამაზეც ვიფიქრე: ჯდომა შეიძლება, სირბილი — არა...

ვნახე საფლავი. ბებია, ბაბუა და მიტუშა (ავთანდილი) ბიძა. არასწორად აწერია დაბადების თარიღები... ვლადიმერს — 1885, თავად ამბობდა, 84-ში ვარ დაბადებულიო. ცოლი ორი წლით, შეიძლება მეტითაც, ყოფილა უფროსი. ეს სხვებმაც იცოდნენ, ბაბუასაც არ უარუყვია, როცა ჩავეძიე. ესე იგი, ბებიას დაბადება-გარდაცვალების თარიღები: 1882-1975

93 წლის იყო, მართალია, შეიძლება, ცოტა მეტისაც კი. ვლადიმერი 7 წლით ადრე მოკვდა. 85 წლამდე იმანაც იცოცხლა. რაღა უკლია ბენიას იმ ხანამდე... არ ეტყობა მაინცადამაინც სიბერე. პენსიაში გაუშვეს და ამას დარდობს, დარჩა უსაქმოდ. ეს მესამე ტრავმაა, — პირველ ორზე ნაკლები. I. 1987 — დედაჩემის სიკვდილი, II. სამი ოპერაცია პროსტატისა, III. — ეს...

ღმერთი შეეწევა. ჩამოვიდა ჩემი და გავროშითურთ. არ მსიამოვნებს მაგის აქ დანახვაც, მგონია და ასეცაა ალბათ. სახლის გაყიდვაზე ელაპარაკება სულ მამამისს, ე. ი. მამაჩემს. ნუთუ მოიშლება ეს კერა?.. ყველაფერი წარმავალია და ესეც წავა და კვლავ დაბრუნდება ჩემ სახელზე, ჩემი მიცვალების შემდეგ.

7. VI. 1991 წ.

* * *

ღებში ავედით ამ კაი შაბათს, მილიციამ გვათხოვა „კოლხოზნიკი“, ღებში დაგვიხვდა მილიციელების უფროსი გივი ლობჟანიძე. ნაშუადღევს ჩავედით საოცარი გზითა და საოცარ მხარეში. სუფრა გაშლილი დაგვიხვდა. გელოდითო. თუ გველოდნენ, არ ვიცოდით. ეთერი, ყურაშვილი, თავბერიძე...

მიძალება რაჭულად, თავი ვერაფერ გზით ვერ დავიძვრინე, მაინც არ დავთვერი.

ამბროლაურში, ონში არ შევჩერებულვართ, ნელა გავიარეთ და გზიდან ვუყურებდი სახლებს, სიშორეზე — სოფლებს. ხალხი მუშაობდა, ცხოვრობდა, სახლებიც იდგა. შთაბეჭდილება — დასანგრევი. დაინგრა თითქოს მხოლოდ. ტრაგედია არ მიგ-

რძვნია. კარვებიც აქა-იქ დავინახე... დღე დავკარგე ამის გამო, თუმც ნოველის ჩანაწერი წასვლამდეც გავაკეთე. ახლა წერას ვეღარ შევძლებ, ეს დღე საამისოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. ხვალ დავასრულებ, რიგით, მგონი, VIII ნოველას „ანგლია“.

8. VI. 1991 წ.

* * *

17 ივნისი, ორშაბათი. 1991 წ. თბილისი.

11-ში მზის ამოფრქვევა ყოფილა ჯერარნახულიო.

13-ში შ. ჩანტლაძის დაბადების დღე. მემორიალური დაფა გაუკრავთ, აქ ცხოვრობდაო ცნობილი პოეტი შ. ჩანტლაძეო. სულაც არ იყო ცნობილი, არც იყო და არც არი. მიეწერათ – აქ ცხოვრობდა პოეტი შ. ჩანტლაძე, არ აჯობებდა?!

როგორ იფიქრებდა სიცოცხლეში ამას!

თავი მეტი ეგონა, ვიდრე იყო და მაინც, გენიოსი ვარო, არ ჯეროდა შინაგანად. რაც მთავარია, აწი გავაკეთებო, გაკეთებული მაქვსო, არ ამბობდა. ვერ შეძლო, მოუცლელი და ახალგაზრდა გარდაიცვალა. დროს ვერ მოერგო და ასე შემდეგ. შევიკრიბენით ცოტანი, ნაცნობები, ყოფილი მეგობრები. შოთას მეგობრობაც არათანაბარი და არამყარი იყო. საბოლოოდ შეირჩინა თითქოს მუხრანი, კიდევ ვიღაც, ეს მეგობრობაც (მუხრანისა და მისი) მოჩვენებითი და ფორმალური იყო, მგონია. ჩატარდა უხეირო მიტინგი უხიაგ სიცხეში, მტვერში, ხმაურში, ვიწროზე ვიწრო ტროტუარზე. ტელევიზიამ დააგვიანა (ესეც შოთას იღბალი), არც მიკროფონი, არც არაფერი ამდაგვარი ტექნიკისმაგვარი. სიტყვები: მუხრანი, ემზარი და რატომღაც, შ. ნიშნიანიძეც. სიცხე აუტანელი. ყოველ 13-ში ამნაირი სიცხე მახსოვს. უფრო სწორად, ნახევარი დღე ცხელი, შემდეგ წვიმა დაცხებს. ასე მოხდა იმ დღესაც.

მოვიდა ასანა, წამოით ჩემსაო და წავედით ნატახტარში. გ. თ. IV

ეს დღეები კი აქტიური მზის (უცნაური აფეთქების) დღეები ყოფილა და ქეც ვიყავი მიგდებული, მოთენთილი, დღესაც ეგრე ვარ...

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ს. სიგუა... მეც შემომთავაზესო, ტარიელმა განაცხადა. ზვიადს ეგ უნდოდა — სიგუა, როგორც გამოირკვა და მაინც სიგუას დანიშნავდა... ვთხოვე მუხრანს, ადრევე გამომიძებნე-მეთქი ადგილი, გადმომიყვანე-მეთქი, ყური არ გააპარტყუნა, თავისი დიდი ყური, ამ თანამდებობაზე არც დავთანხმდებოდი, ეგ არ იყო ჩემი საქმე, ისე კი მაინტერესებდა, დააქნევდა თუ არა მუხრანი ყურებს საჩემოდ. ეგ არაფერი... სხვა არ მჭირდეს და ამას არ დავეძებ.

ცოლი მძიმედაა უკვე... აქა ვარ ამიტომ, წასვლა-წამოსვლას (გაქცევას ჰგავს) აზრი აღარა აქვს.

ხუტა დანიშნეს „ნაკადულშიო“.

ვ. ჭელიძე გაუშვესო.

რამდენი იმეცადინა ვახტანგმა, რამდენი იბრძოლა, რამდენი წერა. „ცისკრის“ პირველი რედაქტორი, კინოსტუდია, „საბჭოთა საქართველო“, „ლიტერატურული საქართველო“, ვითომ არაფერი. „ქართლის ცხოვრება“, თარგმანები მრავალი. ჰკითხე მკითხველს, ვინაა ვ. ჭელიძე? ვერ გეტყვის. ერთი ლექსით, ერთი სულელური სიმღერით რჩება ზოგიერთი... ზოგი — უსაქმურობით, ზოგი — ღვინის სმით (თამადობით) იხვეჭს სახელს... ამ კაცმა რამდენი იღვაწა... საქმე გააკეთა. დატოვა. ეგაა მთავარი.

ვწერ პატარ-პატარა ნოველებს. ნოველა პატარა უნდა იყოს, ცხადია და მე სხვანაირად ვწერ. დიდ ამბებს ვათავსებ პატარაში (არა ყველაში). ჩემსავით ვერავინ მოახერხებს ამნაირად ამ ქვეყანაზე. მეთორმეტე ნოველას დავამთავრებ ამელამ, მრჩება ერთიც. ერთი „ჭყეპი“, ძველი დაწერილია. 13+1=14. თოთხმეტივეს ერთად გამოვაქვეყნებ.

გამზადებული მაქვს სიუჟეტები ბევრისა, დიდროვნებისა და წვრილ-წვრილებისა. გადავდებ და ამჯერზე დავამთავრებ:

1. „ლენინი“

2. „კუდიანი ვარსკვლავი“

მომავალი წლიდან – რომანი. შემდეგ, რასაც მოვასწრებ ჩაფიქრებულ-მოფიქრებულთაგან, გეგმის მიხედვით. რაც არ უნდა გაიჭიჭო, დრო დგება ისეთი, მწერლობით ვერ იცხოვრებ.

ამ დილით ერთი მწვანე თუთიყუში მოფრინდა და (გუბაზს გაუღია კარი) შესულა გალიაში. კვლავ გაოთხდნენ, კვლავ დაწყვილდნენ. კარგ ნიშნად ჩავთვალე, ეგზემპლარიც ჯიშიანია. მუქი მწვანე და შავი. რეზიკო იყო აღტაცებული. ამხანაგებთან მოვიდაო. იჯდა და გალიას მიჩერებოდა დიდხანს. ნანუკა ენად გაიკრიფა...

ბოლო სიზმარი ამ წლის აპრილში: „...მივყვები ცურვით ჩამდინარე წყალს, წყალი თხელია, ლურჯი, მომწვანო“... გავყვე უნდა ცურვით ამნაირ წყალს, ჩამომდინარეს, უნაპიროს. გავყვე უნდა უშიშრად, რაც არი, ეგაა. ბოლო არ ჩანს, არც უნდა გამოჩნდეს, დასრულება მოძრაობისა ჩვენზე არაა...

* * *

22 ივნისი. შაბათი. ნამეტანი ცხელა თბილისში. ივლისის II ნახევარშია ხოლმე ამნაირი ამინდები. ომის დაწყების დღეა. „50 წელი გასრულებულა...

არათუ მომსწრე და დამსწრე ომისა, არამედ მონაწილეც ბევრია დარჩენილი (ბენია, ვარლამი და სხვანი მრავალნი). მე კი 8 წლის ვიყავ მაშინ, 1 კლასი დამთავრებული მქონდა, დღევანდელი 8 წლის ბავშვი უფროა გაგებაში (ასე მგონია), ვიდრე მე ვიყავ იმ ხნისა...

სოფ. ქვიტირი. აღგზნებული ხალხი, ფორიაქი. რაღაც ხდებოდა მნიშვნელოვანი, საშინელი, ხდებოდა სადღაც შორს, სხვაგან და მაინც იქ, ქვიტირშიც. ერთი ახალგაზრდა კაცი ამბის

მომტანივით ყვებოდა. ასე ყოფილა, ასე უქნიათო და სხვა. დიდი იყო ჩემი გაოცება, შიშზე მეტი – გაოცება. ქვიტირიდან ქუთაისში, როგორც ყოველთვის, ფეხით. მე ვიღლებოდი ხოლმე, კარგად მახსოვს. ღამეა, ახალი შებინდებული, ე. ი. 22 დღეისსწორი, 50 წლის წინანდელი, შავი რადიო კიდია ტურბაზის შენობაზე, წულუკიძის ბაღის წინ. ხალხი, არც ისე ბევრი, შეჯგუფული. ისმენენ, ჩვენც შევჩერდით. ახლა ვხვდები, მოლოტოვი ლაპარაკობდა. მამაჩემი, დედაჩემი, იყო კიდევ ვინმე? არ ვიცი...

ვისმინეთ ცოტა ხანს, წავედით. იქედან ჩემს სახლამდე კილომეტრნახევარია დაახლოებით. ქვიტირიდან? 5-6. მაინც ვიღლებოდი. ნათლად მახსოვს ის დღე...

13 ნოველა დავწერე. აქედან ზოგიერთი (ნაწილი) მნიშვნელოვანია ფრიად. ერთი, „ჭყეპი", დაწერილი მქონდა – 14. გავამზადებ დასაბეჭდად.

გ. რცხილაძე იყო. გასინჯა. დღეებიაო დათვლილი. ძალიან სამწუხაროა და ჩვენ შევეჩვიეთ ამ ამბავს ყველანი, ალბათ კაიხანია. სიკვდილიც რომ სანატრელი გაგიხდება ადამიანს!..

რა ვქნა? კიდევ რა შემიძლია?!

გოგია იყო გუშინ, ხარაბაძე. მომიტანა კარბელაშვილის წიგნი ძმებ სიმენსებზე (ტელეგრაფი), სცენარი გავაკეთოთ საზღვარგარეთისათვისო. ფული, ვალიუტა და სხვა... გერმანიაო... კი არ მეშორებაო, მაგრამ მეჭორებაო... არც მეჭორება, სხვათა შორის (გოგია გერმანიიდან არის ახალი ჩამოსული) და მაინც... ალბათ უარი. არც თავი მექნება საამისოდ, არც დრო. მოდის ეს დღე...

* * *

25 ივნისია, სამშაბათი. საშინელი სიცხე. არაფერი სასიკეთო ჩვენთან... დღეს ექსტრასენსი მოვუყვანე – ნანა ჯამაძე. ხომერიკმა მირჩია, თხოვა თან... საინტერესო ქალია აშკარად. რისი

ჩამდენია, რისი მომრჩენია, არ ვიცი, არც ვთხოვ, სიკვდილი შეუმსუბუქოს იქნებ...

ახალი ნომერი მოვიდა „ნაუკა ი ჟიზნის“. კირკეგორიო (Кьеркегор) Датский Сократ-ად იწოდებოდაო. დანიელი სოკრატე.

პატარა ერებისათვის დამახასიათებელი თვისებაა, როგორც ვხვდები. არადა, არაფრით არა ჰგავდა თურმე სოკრატეს. წერდა და წერდა გაუჩერებლივ, სოკრატესგან განსხვავებით, წერდაო. ანტისოკრატე ყოფილა. დიდი შრომის გამო (არა მარტო ამიტომ) გაცდა იგი დანიას, დანიურ მოვლენად არ დარჩენილა, თუმცაღა ჩემთვის, უამრავთათვის, იგი მაინც უცნობია.

თურქმენისტანში ყოფილა მთები ბალახოვანი, ბაქოს გარეუბანშიც (ორჯონიკიძის ბიოგრაფიიდან ვიცი). შევადაროთ ქუთაისის ბალახვანს... ჩვენებური ახსნა.

ბალახოვანი — ვანი — დასასვენებელი ადგილი. ეგ ახსნა ხალხური ეტიმოლოგიის კატეგორიას ხომ არ განეკუთვნება და ბალახოვანი თურქულენოვანი ხომ არ არის? პროფ. პ. ბერიძე ამტკიცებდა, ჰეკატეს ბაღი, სადაც მედეა წამლებს ამზადებდა, ქუთაისის ბალახვანში იყოო... იქვე ხარობდა ასფოთოლოსიო, ჩიტი გვრიტი მოფრინავდა, მე შროშანი მეგონაო და სხვა. რა შუაშია შროშანთან ჩიტი გვრიტიო და ასე შემდეგ. გამოაქვეყნა ეგ მოსაზრება „ლიტერატურულ გაზეთში“, მაშინდელ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. ეს იყო 1957 წელი, მე მგონი... ან 1956. საინტერესო წერილი იყო.

გავიდა ეს ივლისიც.

25.VI.91 წ.

* * *

ერთი თვის მეტის წასული ვარ. ჩამოვედი დღეს ქუთაისში ავტობუსით. გავიარე მძიმე დღეები. ისინი არ განელებულან... დავასაფლავე ცოლი, რომელთანაც 34 წელი, ავად იყო თუ

კარგად, ვცხოვრობდი. მანამდეც 2 წელი ხომ ერთად ვიყავით... გვქონდა ბედნიერი დღეებიც. ვიხსენებ ყველაფერს, ვიხსენებ... ვფიქრობ, ვნანობ...

16 ივლისი, 91 წელი.

გარდაიცვალა 27-ში. VI თვე.

40 გახდება 6 აგვისტოს...

თვალისდახამხამებაში მოდის 40.

დამთავრდა ჩემი ცხოვრების, სიცოცხლის ორი ეტაპი, დგება მესამე და უკანასკნელი: რამდენად ხანგრძლივი(?) და ნაყოფიერი იქნება იგი...

* * *

მიჭენაობს ან ჭიან-ჭიანით მიდის დრო. ცხელა ქუთაისში. გამოვიდა „მოწამეთა“ შავი სათაურით, შავად შეხვდა საზოგადოება ქუთაისისა. ელგუჯას მოუსვარსალებია ბატონი ალექსანდრე შენგელაია. აქ რომ ვყოფილიყავი, არ დავაბეჭდვინებდი ან სხვანაირად გამოვაქვეყნებინებდი. არ ვიყავი და უჩემოდ წავიდა, რაც სავსებით ბუნებრივია. აღარა ვარ რედაქტორი, თავმჯდომარეც აღარა ვარ ფაქტიურად. ავუხსენი ყველას, ასე-მეთქი. ჩემი ნამოქმედარ-ნაკარნახევი ჰგონიათ. დამირეკა ბატონმა შურამ, შემოვიდა ბატონი ლანჩავა, ვიღაც ქალმა გამლანძღა ტელეფონით... ვიღაც რედაქციიდან მეწვია და ასე შემდეგ. ქალაქი გაბითურებულ-გაპრეფექტებული... ჩამოიარა ზვიადმა და შეკრეს ქუჩები, ატეხეს შფოთი. ზვიად კონსტანტინოვიჩი კი ბათუმს გაემგზავრა დაცვის მანქანების ზმუილით. ჩემი მზახალი გერმანიაშია — ბონში — საოპერაციოდ გამზადებული. ეგ გადარჩებოდეს, ჩემ თავს არ ვჩივიო, ხშირად იმეორებდა ფისო...

მეც მომადგებიან „რევოლუციონერები“ და რა ეშველება პატარებს ან ჩვენ რა გვეშველება ამ გარეწრების ხელში.

რეზო მიშველაძემ იმარჯვა, გათვალა, გაიანგარიშა, გარისკა, არცთუ უშედეგოდ.

რით გადაუხდიან სამაგიეროს (რომ გადაუხდიან, უეჭველია), მაინტერესებს...

გვიანია. მეძინება...

18. VII. 91 წ.

* * *

ცხელა. ვარ მარტო. არ ვსვამ. თანამესუფრედ არ ვარგივარ და თეთრი ყვავივით დავრჩი, არა მარტო ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო. აშმორდა ჭაობი ამ სიცხეში. ყველაზე დაჭაობებული გაზეთი „ქუთაისი" აღმოჩნდა... მწერალთა კავშირიც, თუმც მისი აქტიური წევრები ინერტულნი გახდნენ... ორშაბათს შევკრიბავ „სათათბიროს" თუ „საკრებულოს" და მოვიხსნი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის რწმუნებებს...

ვიწყებ წერას.

„ლენინი", შეიძლება სხვანაირად: „ძეგლების მსხვრევა" (ლენინი), ან ისე, ან ასე...

19 ივლისი, 1991 წ.

* * *

ცხელა, მაგრამ უჩვეულოს ამ დროისათვის ვერაფერს ვხედავ. რიონი მოდის შავად, ამღვრეულად. სავსე იყო ამ დროს მობანავეებით... ივნისში, გამოცდების დროს ვიწყებდით...

1 მაისსაც ჩავმხტარვარ შიგ... ნამეტანი ცივი და ამღვრეული კი იყო. ჩავრჩი აქ. ბავშვები, პატარები იქ ჩამირჩა. მანქანა აღარაა, კაცს ვერ აიყოლებ, რომ გახვიდე, გამოხვიდე... 40-ის ჩამთავრებამდე არც ვაპირებ ამდაგვარ გასვლებს, შემდეგ მოვახერხებ უეჭველად. გადმომირეკა, შემეხმიანა რამდენიმე ადამიანი. ლამარამ საჭმელი მომიტანა, თუმც მეც მქონდა საჩემო ინჯრები. ელარჯიც კი გავიკეთე... მეზობელმა, ავტოინ-

სპექტორმა, ჩემგან რომ დავალებულად თვლის თავს, ერთი ყუთი „შამპანური“ შემომიგზავნა. ვარდიხეში უნდოდა ნემსაძეს გამგზავრება, ღვინო ჩამოვიტანოთ, გამოგივლიო. მანქანა ვერ ეშოვნა, ბენზინი არავისა აქვს. ჩემ ქუჩაზეც სიწყნარეა, ძალიან ცოტა ავტომობილი დადის. წუხელ გამოაცხადეს, არა ბენზინი, არა თხევადი გაზიო, არაფერიც არაო. სრულდება ჩემი წინასწარმეტყველება („მოწამეთა“ №1, 1991). განადგურება, გაპარტახება ელის ტყეებს. სანამ ეს რეგვენი არ მოშორდება ხელისუფლებას, ჩვენი საქმე არ გამოსწორდება... გორბაჩოვს უნდა შევხვდე, მაგრამ ადგილზე, შეხვედრის ადგილზე ვერ შევთანხმდითო. თითქოს დღედაღამე, ელჩების დონეზე, ამ საკითხის შეთანხმებაზეა ლაპარაკი. კრემლის ზღურბლს არ გადავაბიჯებო... ვინ მიგდია, რომ არ „გადააბიჯოს“. თვით გორბაჩოვი იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ მჟავე ხასიათზე უნდა იყოს შვიდეულის თათბირის შემდეგ. ჩამოვიდა თუ არა ლონდონიდან, არც ვიცი.

20. VII. 91 წ.

P.S.

აკაკის იუბილე გადმოიტანეს და ჩაშალეს. გალაკტიონის 100-ზე (წლისთავზე) არავინ ფიქრობს, მხოლოდ ზნედაცემული კონსტანტინე გამსახურდია...

„ლანდების ლაციცის“ ავტორის შვილი განაგებს საქართველოს ბედს!..

ვაი, ჩვენს მოსწრებას!

* * *

23 ივლისია. სამშაბათი. წვიმდა კოკისპირულად. მაინც ცხელოდა. ჩახუთული ჰაერი იყო. ახლა გვიანია და გრილა.

გუშინ ჩავატარე საკრებულოსავით. გავთავისუფლდი თავმჯდომარის მოვალეობისაგან. მთლად არ მიგვატოვოო და საპატიო თავმჯდომარეობაზე (ვითომ რამეს ნიშნავს) დავთანხმდი.

ფორმულირებისათვის, გაზეთში რომ გამოქვეყნდება, კარგია, თავმოყვარეობა არ შეილახება. მეც ხომ ქართველი ვარ და მეც ხომ ჩემი წილი პატივმოყვარეობა მჭირს. „ლენინი“ გაიწელა. პირველ ნაწილს, ალბათ, აქ დავამთავრებ, მეორეს — თბილისში. ლეილა გავროშით და ბენია ოჯოლაში წავიდნენ. ვარ მარტოდ-მარტო ამოდენა სახლში, სახლის მომავალი კი, როცა ამაზე დავფიქრდები, მაშფოთებს და მზარავს. წავალ, ალბათ, მალე, ამ სამსახურსაც ხომ არ შევაბერდები. წავალ, ხშირად ვერ ჩამოვბრუნდები. ბენიაც, კარგად ამყოფოს ღმერთმა, სანამდე იქნება... ან მე სანამდე ვიქნები... ჩემი შვილები აქაურობას არ ჩამოაკითხავენ... მე შენ გეტყვი, მუზეუმს გაგიხსნის ახლანდელი ხელისუფლება! კომუნისტები მოანატრეს ხალხს უკვე...

მე თუ არ ვიქენი, ხომ აღარაფერი აღარ იქნება! რატომ მაინტერესებს, — ვის დარჩება აქაურობა და რას გახსნიან აქ. ამაზე არ უნდა ვფიქრობდე თითქოს, მაგრამ ეგრე არ არის სიცოცხლე მოწყობილი.

ეგ ან სიცოცხლის დამთავრების სრული შეუგუებლობაა(?) ან არგაქრობის არაცნობიერი რწმენა! ე. ი. ადამიანი ან ვერ შეეგუა რეალობას, ან რაღაც იცის მისმა შთამომავლობითმა, გაჩენის დროინდელმა (როცა იცოდა) გენმა.

23. VII. 91 წ.

* * *

ისევ მახსენა ქორიძემ და ჩამაყენა ნამეტან უხერხულ მდგომარეობაში. უსიამოვნების ერთ-ერთი რგოლია ესეც. არც გინება მინდა მათი, არც ქება. ჩამოვიდა გუბაზი, თორნიკესთან ერთად, კაბინეტში შემოვიდა პირდაპირ და გამეხარდა, გამიკვირდა თანაც. წავიდნენ ღვანკითში. ჩამომიარს შაბათს, სათბილისოდ.

გამოვუშვით ერთი წიგნი — „ივ. მრისხანეს ცოლები“, „ეკატ. მეორის საყვარლები“, გამზადებული გვაქვს ორი. ეს ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას გამოაკეთებს...

ჩემი მზახლის ჯანმრთელობის საქმე, გადადებული გვეგონა, კარგად უნდა იყოს. ბონში გაიკეთა ოპერაცია. საიმედო ამბავი დაურეკიათ, აქ ვნახავთ, რა იქნება. ამათ ხელში რომ ვერ მორჩებოდა, ცხადია.

დღეს და ხვალ მოვრჩები „ლენინს", გამიგრძელდა, მაგრამ წყაროებიც იყო საქექი და იმის ბრალია. დღეს უნდა მენახა ი. ნიკოლაძის ლენინის ძეგლი და გულზე გადამვარდა, ხვალეც არაა გვიან.

25. VII. 91 წ.

* * *

ვერ ვნახე ეს ნიკოლაძის ძეგლი. ჩამობრუნების იმედზე გადავდევი.

გუშლამ ზვიად გამსახურდია აჩვენეს ტელევიზორით... სხვაზე ნაკლებ რეპრესიებს არც მე მივმართავო. მეგობრებო, ჩვენ კი მოვახდინეთ რევოლუცია, უსისხლო რევოლუცია, მაგრამ საით მივდივართ, არ ვიცითო. აწი უნდა გავარკვიოთ, საით წავალთო, სოციალიზმი საგინებელი სიტყვა არ გეგონოთ, ევროპაში სოციალიზმის იდეები მძლავრობსო და სხვა.

ემუქრებოდა სიგუას, მინისტრებს, პრეფექტებს. მოგხსნი, არაფერს აკეთებთო. აკეთებენ მხოლოდ თავიანთი თავისთვის. ყველა მიხვდა, გამსახურდია სულელია, დღესა ვართ, ხვალ არ დაგვტოვებს, მადლობას არაფერზე გვეტყვისო და ყველა მოსწრებაზე და წაგლეჯაზეა ისევ, ყველა ფულის შოვნაზეა გამეცადინებული, შიმშილით რომ არ დაეხოცოს ცოლ-შვილი. ხვალინდელი დღის აღარ ჯერა აღარავის... ამ კაცის ხომ აღარ ჯერათ და აღარ ჯერათ...

ხვალ წავალთ თბილისში.

26. VII. 91 წ.

* * *

ჩამოვედი დღეს. კვირაა, 11 აგვისტო. 1991 წ.

თბილისში ცვარი არ ჩამოდის ციდან, იბუგება სიცხით ყველაფერი. აქ წვიმებია, ნესტი. დაობებული დამიხვდა სახლი. გამოვაღე ფანჯრები, კარებები, ცეცხლიც კი შევანთე ბუხარში. გავანიავე აქაურობა, თუ უშველა. ისე, აქ უფრო გასაძლისია. თბილისში მაგიდასთან ვერ დავჯდები ამ დროს, — ეგ გამორიცხულია.

ორშაბათს, 5-ში, გადავიხადე ორმოცივით. ბევრი ვირბინე პროდუქტებზე, დამზადებაზე, დავლიე იმ დღეს კიდეც. დილით საშინელი სიცარიელე ვიგრძენი. ის დღე მამულში შევაღამეთ, მეორე დღეს გაღვიძებულს (სახლი მილაგებული, 40 გადახდილი, საქმე აღარაფერი, თითქო შვილიშვილები წასულნი მეგონენ, ეძინათ) უარესი დამემართა, აღარ მინდოდა აღარაფერი... რისთვის, რატომ ცოცხლობს ადამიანი-მეთქი, ვფიქრობდი. კიდევ კარგი, ღვინოს არ ავყევი...

ჩამოვიდა გერმანიიდან ანზორი, ძვალი და ტყავია დარჩენილი, მაგრამ მხნედ არი... ურთულესი ოპერაცია გაუკეთებიათ. მე ვფიქრობ, გამომჯობინდება, მალე გამოკეთდება. სამსახური (სამმართველო) გაუუქმეს, თავადაც განთავისუფლებულია (არ ჰქონდათ უფლება) და აწი თუ რაიმე შეიცვლება, არ ვიცი.

დრო დგება გლახა და იმედითა ვართ. აქ რა ხდება, არ ვიცი.

ვიმგზავრე ავტობუსით, ექსპრესი. გაზეთები ვიკითხე, რაღაც-რაღაცეები მოვინიშნე, მაგრამ ყველა გაზეთი იქ დამრჩა. ავტობუსის მძღოლმა მიცნო, გამომეცნაურა. მამუკასთან იწვა საავადმყოფოში, 79 წელი იყო, თუ არ მეშლება... როგორ არიო, პირველად ეგ მკითხა. კარგად-მეთქი. ფისო როგორ არიო, სახელიც კი ახსოვდა. მოკვდა-მეთქი, გაუკვირდა, ეწყინა. სახეზე ვერ ვიცანი, თორემ მეც მახსოვდა. საინტერესო პიროვნება, ყველაფერი იცის, უამრავი ინფორმაცია აქვს და საოცარი მახ-

სოვრობა. გაუჩერებლად ლაპარაკობდა მგზავრებთან, ყურადღება არ ეფანტებოდა. სახელი არ მახსოვს, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ გავიხსენებ. წვიმა წამოვიდა.

* * *

ჭახათის ეტიმოლოგია გავარკვიე. სადღაც ჩავწერე...

დღეს ავედით მე და იუზა მანქანით ჭახათაში (კლდიაშვილის, ტყიბულის ქუჩა). ფეხით უნდა ავიარო საღამოხანს ერთხელ. სოფელია, თან ქუთაისია, თან სოფელი. ძროხებს მოდენიდნენ სახლებში იქაურები. ხბოს ფიცარი ჰქონდა შუბლზე (ასეთი რამ არ მინახავს) აკრული. ქალბატონო-მეთქი, პატრონს ვკითხე: შუბლი ტკივა? არა, თავიო... გამაშაყირა თუ მართალი მითხრა, ვერ გავიგე. მაღლიდან ერთი მშვენიერი ქალიშვილი დაეშვა, გაოცებული მზერითაც კი ჩაგვათვალიერა, სხვა ქალ-ქალბატონებიც ფერხორციანნი. გზა თეთრი, ქვიანი, ღორღიანი. ქვები, სულ ქვები.

ჭახათა. ჭახა – მთა. გლახა მთა, ე. ი. მოუსავლიანი, კლდიანი, ქვიანი. მჭახე. ჭახა-ჭუხი.

აჭარაშიც – ჭახათა, ზუსტად ამნაირი, ტელევიზორში ვნახე, მოწამეთის ხეობა მეგონა.

წვიმდა კინაღამ კოკისპირულად ამ დილას. გასვლა შევაყოვნე. მინელდა და მაინც წვიმაში წაველ. თორმეტის ნახევარი იყო, არავინ მელოდა და სამსახურშიც არავინ დამიხვდა ნატოს მეტი. ახალი მიღებული მბეჭდავი. დილიდან დღის ბოლომდე იქ ზის.. ამ გოგონამ გაამართლა... რაც უცნაურია, ჭორები არ დამხვედრია, თუმც მეჭორავენიც არ გამოჩენილან. ერთმა დარეკა მხოლოდ. ახლა ღამეა, გრილა. მარტო ვარ, ვისვენებ კია. კარგახანი დავრჩებოდი ამ სიმშვიდეში, გუბაზი რომ არ მყავდეს ბიჭვინთაში გასაცილებელი. სახლი მარტო რჩება და ყარაულად უნდა დავრჩე, ასე გამოდის. შვებულების გაფორმებაც არ მინდა, ჩემიანები რომ ჩამობრუნდებიან ახალდაბიდან

სექტემბერში, იქნებ წავსულიყავ სადმე? სად? ზღვა არც ვარგა, გულიც არ მიმიწევს.

ტატული შემხვდა და პირდაპირ მომახალა, მართლა მიდიხარ ქუთაისიდანო. რატომ მეკითხები-მეთქი. ასე ამბობენო. შაშიაშვილი ბრუნდება, შენ თბილისში გადადიხარო. შაშიაშვილი თუ ჩამობრუნდება, მეც დავრჩები-მეთქი. გადაწყვეტილიაო (ეს ჭორი დამავიწყდა). სტამბაში ვიყავი, ჩავაბარე „რკინის სახკომი", დავტოვე, უფრო სწორად. მანდარიამ მძიმე ოპერაცია გადაიტანა, სანამ ის არ გამოვა სამსახურში, წიგნს ხელს ვერავინ მოკიდებსო. ან მანდარია რას იზამს... მუშა, სპეციალისტი აღარ ჰყავთ ფაქტიურად. მძიმე ჩავარდნა აქვს ახლა პოლიგრაფიას. შემდეგ შეიძლება (არის ნიშნები) გამოსწორდეს საქმე.

წუხელ ფირდოუსი ვიკითხე რუსულად... რაღაც-რაღაცეებმა დამაინტერესა კიდეც, მაგრამ წიგნს გული ვერ დავუდე, თუმც პირველად არ მჭერია ხელში. ქართულ თარგმანს (არის კი?) უფრო მოვერგები ალბათ.

ერთი გვერდი მაქვს ჩასამატებელი (ორჯონიკიძის როსტოვში გადაყვანა) „რკინის სახკომში" და მეზარება დაწერა. აქ შეიძლება მუშაობა. ახლა „ლენინს" მივუბრუნდები. ხვალ უეჭველი უნდა ვნახო ნიკოლაძის ლენინი. ამ სახელ-გვარით არ მინდა ჩავამთავრო ეს გვერდი.

12. VIII. 91 წ.

* * *

დღეს უკვე რიონი რიონს ჰგავდა, წყალდიდიც იყო და წმინდაც, რიონის პირობაზე. ბანაობდა კიდეც რამდენიმე ბიჭი მარჯვენა ნაპირზე, წითელი ხიდისაკენ. თეთრი ხიდის ქვეშ სიცარიელეა. სადღაა ხიდიდან და აბანოს სახურავიდან ხტომა. მხტომელები არიან დარჩენილნი და საქმე საქმეზე რომ წავიდეს, გადახტებიან კიდეც. მომდევნო თაობას კი ეს ამბები გადმოცემითღა ეცოდინება.

ფოთში გაიხსნა ევროპის პირველობა საწყლოსნო სპორტში. პომპეზურობით, რაც მოსალოდნელი იყო, გახსნეს და ჩააკონცერტეს. გამოვიდა ზვიადი, იცოდეთ, რომ ამნაირ ძველ ქვეყანაში ხართ ჩამოსულიო, მიმართა სტუმრებს და გაუმეორა კიდეც (ეს ყველაფერი სწორია, კარგიცაა), მაგრამ სტუმრები იყვნენ ნამეტანი ცოტანი, მასპინძლები — ნამეტანი ბევრნი. 80-ათასამდე მაყურებელიაო... არ არსებობს კუთხე დედამიწაზე, სადაც ამდენი მაყურებელი შეიყრის თავს ამნაირ ღონისძიებაზე. ესეც გასაგები იქნება, ნამეტანი რომ არ იყოს.

13 ქვეყანა (საბჭოთა კავშირის ჩათვლით) მონაწილეობს, ზოგიერთში — ექვსი, ზოგიერთში — ორი მონაწილეაო. ავიღოთ სამი მონაწილე და თუ საქართველოც ამ ცამეტშია, მაშინ გამოვა 12X3=36. გამოაკელი ექვსი საბჭოელი და დაგრჩება 30 მონაწილე. ტურისტები არ უნდა იყვნენ და მასპინძლები ქე ვართ ბლომად, როგორც აღვნიშნეთ!

კონცერტი: ცეკვები, ხმლების ჭახაჭუხი „მოფარიკავეთაგან", რამდენიმეს ბერძნული ტანსაცმელი ეცვა. ეს სიახლეა და ამას მივაქციე სწორედ ყურადღება. მართლაცდა, რას მიაკვდნენ ამ კავკასიურ ჩოხა-ახალუხს... თუ ცეკვებს ძველ ცეკვებად (სუხიშვილების მაგალითზე ეს საეჭვოა) ვთვლით, ტანსაცმელიც ძველი უნდა გვქონდეს: — კოლხური, იმერული, ხომ იქნებოდა ასეთიც, სხვას მიმსგავსებული, მაგრამ მაინც, ამ შემთხვევაში, კოლხური. იცეკვეს „სირტაკიც", ეს კარგი იყო. ქართველ ქალს შვენის ამნაირი ცეკვა. სიმღერის დროს რა ჭირთ, ვერ გაიგებ. ესტრადაზე საცოდავად დგანან. საესტრადო სიმღერებს ყოვლად უეფექტოდ, უგრაციოდ ასრულებენ. სიმღერებიც არ ვარგა და ესეც განაპირობებს მათ უპლასტიკობას. ჭადრაკი, ჭადრაკი ითამაშე-მეთქი, მინდა ამ დროს დავუძახო.

13. VIII. 91 წ.

* * *

22 აგვისტო. 1991 წ.

დიდი ამბები მოხდა 19-ში, 21-ის ჩათვლით. სამი დღედაღამე დაძაბული იყო მსოფლიო, ზვიადს განუცხადებია საჯაროდ (პირადად არ მომისმენია), ეგ ამბები მე არ მეხებაო. მე დამოუკიდებელი ქვეყანა ვარ („მე" ჰგონია უკვე ქვეყანა) და საზღვარგარეთ (?) რა ხდება, არ მეხებაო. მსოფლიოს ეხება, ამას არ ეხება თურმე... ფარსი გახდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. ქართულ ტელევიზიას აღარც კი ვუყურებ. ყველა არხი ამ ექსტრემალური ამბით, მოვლენითაა დაკავებული. ყველა არხზე, საკაბელო გადაცემებითურთ, ამ საგანგაშო ამბებს გადმოსცემენ. ზოგან ელცინია, ზოგან გორბაჩოვი, ზოგან ბუში... გადავრთე ჩვენთან — პეტრიაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის სტრატეგიაზე ლაპარაკობს შეშლილის წამლით განელებული მზერით. უნდა გავათავისუფლოთ საქართველოო. ვისგან? იშლება საბჭოთა კავშირი. ბუცებს სხვაგან არიგებენ.

გაემარჯვა გორბაჩოვს და ეს მოსალოცი ამბავია ამ ეტაპზე. გადაარჩინა ელცინმა. თავიც გადაირჩინა, გორბაჩოვიც გადაარჩინა. შევარდნაძე, სობჩაკი, პოპოვი, ბაკატინი, სხვები და სხვები, ელცინი თავისთავად, გაბედული ხალხი აღმოჩნდნენ. გადადეს თავი და გაიმარჯვეს. პუგომ თავი მოიკლა. დანარჩენები გაძაგრეს. როგორ განვითარდება (დემოკრატების გამარჯვება, ამ ეტაპზე, აშკარაა), ჯერ კიდევ კაცმა არ იცის.

ვბეჭდავ ნოველებს შავად. ფერისცვალების შემდეგ სიცხეები განელდა. აივანზე მძინავს კვლავ, მაგრამ დღისითაც ოთახში, მაგიდასთან ჯდომა შეიძლება. ფერისცვალება დღეს გაემგზავრა გუბაზი ბიჭვინთაში და გადაბრუნდა კიდეც ქვეყანა. პატარები ახალდაბაში არიან. არ მივარგა მანქანა (სამჯერ გამიჩერდა იმ დღეს ქუჩაში), თორემ ბევრ რამეს მოვასწრებდი. ქუთაისსაც მოვიარდი. ახლა ხელფეხშეკრული ვარ. თავმოყვარე კაცი უკვე აღარც უნდა გაჩერდეს ქუთაისში...

არ შეიძლება მიტოვება. თანაც წიგნებია გამოსაცემი, საფლავის ქვებია გასაკეთებელი. ფერისცვალება დღეს, არ შეიძლებაო და, გავედი სასაფლაოზე. იმ დღეს შავი დღე იყო, სამხედროებს ეპყრათ ძალაუფლება და იმედის სხივიც არ ჩანდა. გავედი ამიტომაც, სამარის ქვის ზომებიც ავიღეთ, მოხელესაც მოველაპარაკეთ (მე და მამუკა).

მარტო ვარ. სახლი ფარღალალა. ვერ ვტოვებ, თორემ ქუთაისში მირჩევნია, იქ უკეთ ვიმუშავებ, ასე მგონია...

* * *

24 აგვისტო, 1991 წ. თბილისი.

საღამოს აგრილდა. ახლა გვიანია. ვბეჭდავ შავად ნოველებს. გადავბეჭდე ცხრა...

გასაშტერებელი ამბები ხდება იმპერიაში. იმპერია ირღვევა ნაკერებში. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის გაასამართლებენ „პუტჩისტებს“, არადა თავადვე (დემოკრატები) ატრიალებენ სახელმწიფოს. ეს უკვე რევოლუციაა, რომლის მნიშვნელობისა და შედეგების განსაზღვრა ახლა შეუძლებელიცაა.

წარმოუდგენელი რაღაც ხდება, ისტორიული ნახტომისათვისაც კი ნამეტანი დიდი ნახტომი (скачок) გამოდის, იშლება კომუნისტური პარტიაც, „ყველა საქმის, ყველა სიკეთის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“.

მშვიდობიანად ჩაიარს ეს ყველაფერი?

რაღაც მეეჭვება!

შიში გაამჟღავნა შევარდნაძემაც: თუ ეკონომიკური მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, შეიძლება უკუპროცესები განვითარდესო. ეგ მართალია.

მარტო ვარ. რაღაც შიშიც მეუფლება დროდადრო.

ელდარი იყო, ახლა წავიდა. ხვალ მიფრინავს მოსკოვში, სესიაზე. ინტერვიუ შევუკვეთე ჟურნალისათვის. თანახმაა.

მამუკას აერია სამსახურის საქმე. დაიჭირეს მაგისი ხელმძღვანელი გია გოდუაძე, შეიძლება, მეც გამჩხრიკონო და იარაღი გადავუმალე. ჩემია-მეთქი, ვიტყვი, თუ ნახეს. მაინც კრემლის აგენტად, ჯერჯერობით, პასიურ აგენტად ვითვლები და გამოიყენებენ ამ ფაქტს, მაგრამ ვერ ნახავენ...

ანზორი გაათავისუფლესო სამსახურიდანო. გლახად მიდის საქმე. წიგნები თუ აღარ გამომიცეს, რას ვქმნავთ?!

ღმერთო, შენითიო და არა ჩვენითიო, ვაჟა-ფშაველას უყვარდა თურმე ეგ თქმა. დილით იყო ბატონი იოსებ მეგრელაძე, საინტერესო მასალა მომიტანა და სხვასაც დამპირდა.

24. VIII. 91 წ.

* * *

რამდენი რამ მოხდა ამ ერთ კვირაში. ეს ერთი კვირა, ხვალინდელი დღის ჩათვლით (სესია იხსნება), საუკუნის ტოლია. გორბაჩოვმა დათმო გენსეკობა, თვითლიკვიდაციისაკენ მოუწოდა ცეკას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა უკრაინამ და სხვა და სხვა.

„მსოფლიო, მრავალი ნგრევის მოწამე გავხდებით!"

გალაკტიონი.

ეს ლექსი უნდა ამოვძებნო, სწორად და სრულად ამოვიწერო, დამჭირდება.

შაბათს, დილის 10 საათზე გამოვედით ქუთაისიდან: ნემსაძე, მურმანი, კოკლი და მე.

ორ საათზე გზაში შევჩერდით, ვიყავით იქ. კოკლის ღვინით ავედით მუხათწყაროში. დავლიეთ. კოკლი და მურმანი იქ დარჩნენ. მე გურამ თუთბერიძე გავიყვანე და შიგ რეიდში ამოვყავი თავი. ზუსტად იმ ადგილას გურამისგან წამოსული დამიჭირეს და გამკოჭეს, პირდაპირი მნიშვნელობით, მილიციელებმა. მაშინ იორამი მახლდა, ახლაც: მე, გურამი, იორამი. ამჯერზე არაფერი მითხრეს. არ შემამოწმეს, მიბრძანდითო. ცოტა მეც

ვიეშმაკე, თქვენი ვარ-მეთქი, ვუთხარი, თან საბუთი არავითარი. რა იგულისხმეს იმ „თქვენში“, არ ვიცი... ე. ი. ეს იყო შაბათს. მეორე დღე, კვირა. მოვიდნენ გივია, ომარი. მორჩენილი ღვინო გასინჯეს ნამეტან სიცხეში. საღამოს გ. დოჩანაშვილის ვაჟის, ირაკლის წლისთავი. სუფრა. სიცხე, სიცხე. ორშაბათს ფერისცვალება და ეს ამბავი (გივიამ დარეკა დილით, ჩართე სასწრაფოდ ტელევიზორიო). გადატრიალება. საზიზღარი განწყობილება, საშინელი წინათგრძნობა. ორი დღეც და უკან დაბრუნდა კარუსელი, დაიწყო სახელმწიფო სტრუქტურის დემონტაჟი. ყოველ წუთში ახალ-ახალი ამბავი. ჩართავ ტელევიზორს, აუწევ ხმას: ახალი ამბავი. ჩვენთან პეტრიაშვილი. ამ კაცს რომ შევხედავ, საკუთარი თავი მეზიზღება. მრცხვენია, ქართველი რომ ვარ. ზვიადის დანახვაზე კი ალერგია განმივითარდა, მაკანკალებს მაგის ხმაზე, არა მარტო მე...

ქუთაისში მინდა წასვლა.

ახლა დავჩერებივარ ფოტოსურათს (ფისო, მაია, პატარები), გადაღებული ამ წლის მაისში. რა უსიხარულო ფოტოა. უნდა შევინახო.

აქა მაქვს სხვა ფოტოებიც. გადიდებას ვაპირებ... ილო ფულს არ გამომართმევს და არ მივუტან.

25. VIII. 91 წ.

* * *

1 სექტემბერია.

გუშინ კვლავ ძალიან ცხელოდა. თბილისში წამოვედით სიცხეში, მამუკას მანქანით: მაია, რეზიკო, ნანუკა. გაწვალდნენ პატარები. მე აქ დავრჩი, ქუთაისში. ისინი ბიჭვინთისაკენ გაეშურნენ, როგორ იმგზავრეს ნეტავ?

გუშინ ი. მეგრელიძე მოვიდა, ვაჟით, გუბაზით.

წამაკითხა ნ. რამიშვილის ვაჟის წერილი. ნამეტანი აგინებს რეზო თაბუკაშვილს. განძი გადაარჩინა მამაჩემმა და ჟორდა-

ნიამ, ექვთიმეს ვინ ეკითხებოდაო და სხვა, ტექსელის ამბები კი სულ უკუღმაა გაშუქებულიო (ამასვე ამბობს მაღლაკელიძე) და სხვა. საყურადღებო წერილია ფრიად, ახლა არ ღირს (არც აპირებს ადრესატი) გამოქვეყნება მაინც. თაბუკაშვილს კომუნისტების ლაქიას უწოდებს...

ს. სიგუა ზ. გამსახურდიას ნაღდი ლაქიაა მართლაც.

ისევ საინტერესო სიახლეებია პოლიტიკაში. სუვერენული რესპუბლიკების ხელმძღვანელობას შეხვდა გორბაჩოვი, მათ შორის — სომხეთის და საქართველოს ხელმძღვანელებიც იყვნენო. ვინ იყო, ნეტავ, ჩვენგან?

თუ ზვიადი იყო, სეირია. ერთი საათის წინ პრეზიდენტის პრესცენტრის გუშინდელი განცხადება გაიმეორეს, გამსახურდია რომ გორბაჩოვს შეხვედროდა, საქართველოს პრესტიჟი დაეცემოდაო.

იმისწინ პოლიტიკური ლეში უწოდა. აგინებს, აგინებს, გაუთავებლად შევარდნაძეს. რამდენიმე დღის წინ, ხალხი არა ხართ, რაიმეში დაგვეხმაროსო, დეპუტატებს მიმართავდა...

აქაც კაი ამინდი იყო დღისით.

კოკლი, მურმანი მოვიდნენ სადილზე. გამიყვანეს თემურისთან, გოგებაშვილის ქუჩაზე. მალე ავდექი.

ახლა ქრის და გრილა.

ხვალიდან მძიმე სამუშაო მელის...

გადაბეჭდვა, სხვას ვერ ვენდობი... არადა, მზადაა ყველა მოთხრობა... ნაწილი მაინც მივცე, იქნებ, ჩემს მბეჭდავს. არ გამოვა...

1 სექტემბერი, 1991 წ.

* * *

3 სექტემბერია. სამშაბათი, ღამეა.

ქუთაისში გრილა. ვმუშაობ შინ და სამსახურში, ვიყავი სტამბაში.

დავითი ყველაფერს მპირდება, არაფერზე ამბობს უარს... ვნახოთ. წიგნი, წიგნები...

ჟურნალი, იარსებებს თუ არა იგი, არავინ უწყის...

მე კი ძალიან მომწყინდა აქაურობა. ახლა სეირისმაყურებელთა დრო დადგა. დაჯექი ტელევიზორთან და იყავი, დატკბი ნგრევით, სხვისი, მრავალთა და მრავალთა სისულელითა. ასათიანმა ნორმალური სიტყვა თქვა ყრილობაზე. ჩემთვის მოულოდნელი იყო. სხვებსაც მოეწონათ... გამსახურდია ამაზე შეიშლება, აითვალწუნებს ერთგულ პირუტყვს... გუშინ შეხლა-შემოხლის სურათები აჩვენეს ტელევიზორში მოსკოვიდან. ნუთუ ვერ მოუღებენ ბოლოს ერთ გარეწარს საქართველოს რეალური თავისუფლების ზარის ჩამოკვრისას...

3. IX. 91 წ.

* * *

ვარ მარტო სიგრილეში და ვმუშაობ, მიხარია კიდეც სიმყუდროვე – არც რომ ცხელა და არც რომ ცივა. შიგადაშიგ ტელევიზორს ვუყურებ. მელასავით, თითქო უდარდელად გამოვიდა შევარდნაძე საქართველოს ამბებზე. 9 აპრილი და 2 აგვისტო ერთ კონტექსტში მოიხსენია. დასხდნენ უნდა და დიალოგიც უნდა გამართონო. ვითომ სხვაა, ვითომ გულშემატკივარია ჩვენი პრეზიდენტის. რაღაცას მოიმოქმედებს, ამდენს არ აპატიებს. გუშინდელი „საქართველოს რესპუბლიკა“ უბინძურესად, უჭკუოდაა შედგენილი. კრემლში დიდი შეხლა-შემოხლები უნდა იყოს... ღმერთი სჯის რუსეთს. კანონზომიერების ყოველთვის მწამდა. ვიცოდი, რომ ბუნება (ვინაა ეს ბუნება), განგება ამას (მრავალს და მრავალს) არ დაუშვებდა. მართლაც ასე ხდებოდა. ახლა კი აშკარად რაღაც ძალა დომინირებს მოვლენებზე. ვისგან თავისუფლდებიან რუსები, რისთვის იბრძვიან? გასაგებია ჩვენი, უკრაინის, ბალტიისპირეთის, სხვებისა და სხვების მისწრაფებანი. რუსი კი რუსეთის დან-

გრეკისათვის იბრძვის? ნუთუ ეს პროცესიც მათი სახელმწიფოებრიობისთვის სასიკეთოდ შეტრიალდება. 1917-დან თითქმის 21 წლამდე დაბნელებული არ ჰქონდათ გონება, გადახოცეს ერთმანეთი და გაძლიერდნენ. მათი გაძლიერება მათი დაცემის ტოლფასიც იყო...

ახლა რა ხდება?

ძნელი გასარკვევი არაა. პროგნოზირებაც მომავლისა იოლია თითქოს. დაშლისა და თავისუფლების სუნი ასდის ყველაფერს, მაგრამ რამდენად უმტკივნეულოდ გასრულდება ეს პროცესი? ეგაა საქმე!

უკეთესის იმედით უნდა ვიყოთ!

4 სექტემბერი, 91 წ.

* * *

ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებას, ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღმერთისაგან, ხოლო არსებულნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი.

ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღმერთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე.

(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ)

ჰეგელს ეკუთვნის, მგონი, ეს გამოთქმა — რაც არსებობს, გონიერიაო ე. ი. თუკი არსებობს, საჭიროა.

„რაცა ღმერთსა არ უნდოდეს არა საქმე არ იქმნების.“

(რუსთაველი)

პავლე — ხელისუფლების მოწინააღმდეგე ღმერთის წინააღმდეგიცაა.

ე. ი. ყველაფერი ღვთის განგებით ხდება.

უსამართლოც კი? თუ შევეწინააღმდეგებით უსამართლობას, ღმერთსაც შევეურჩებით?

საქართველოს დღევანდელი სიტუაცია კანონზომიერია, წინასწარაა დაგეგმილი. ზვიად გამსახურდიაც უნდა მოვითმინოთ, რადგან ეგრეა საჭირო და კანონზომიერების წინააღმდეგ ნუ წავალთ.

ყოველ შემთხვევაში, ბრძენ კაცს არ შეშვენის არსებულის წინააღმდეგობა.

ჩვენ უნდა ვიქადაგოთ მშვიდობა (სიმშვიდე) და სიყვარული ეგაა ალბათ.

ნოსტრადამუსი წინასწარ ჭვრეტდა მოვლენებს, ისტორიებს (რა დოზით, ეს დასადგენია). ამა და ამ წელს, ამ საუკუნეში ასე მოხდებაო და ასე შემდეგ.

ე. ი. მოსახდენი სხვაგან და წინასწარ დადგენილია, გაანგარიშებული.

ჩვენც, მოკვდავთაც შეგვიძლია:

1. ასე მოხდება

2. ასე არ მოხდება.

მითქვამს, ვიტყვი და გამმართლებია და გამიმართლებს კიდეც, მაგრამ ეგ სხვაა, ნოსტრადამუსი – სხვა.

ძალიან კარგად ვიცოდი, საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, კომუნისტები გადაშავდებოდნენ ოდესმე. ეს იყო ისტორიულ-ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური წინჭვრეტა, მაგრამ როდის მოხდებოდა, დღეს, ხვალ თუ მრავალი საუკუნის შემდეგ, ამის ამოცნობა ჩვენ არ შეგვეძლო...

ზ. გამსახურდიას არ უწერია დიდი დრო, ვგრძნობ, ვხედავ და ვნახავ.

6. IX. 91 წ.

P. S.

დაკლებულ რიონს დღეს ღრუბლის ნაჭრებივით მოჰქონდა სილა. ამნაირი რამ არ მინახავს.

გვიანდელი მინაწერი:

აქ უნდა ჩავსვა, ბიჭს რომ მამა დაეხრჩო მდინარეში. საუბარი დედასთან. ძალიან საჭიროა.

* * *

7 სექტემბერია. შაბათი.

ზღვაზე არიან ჩემები და ყველანი ერთად, გუბაზი ბიჭვინთაში-კინოსახლში, დანარჩენები – ლიძავაში. მალე დავიყრით ერთად თავს. ახლა დავრეკე თბილისში, მეზობელთან, ვინც ჩვენს სახლს უვლის. თუთიყუშები ვიკითხე პირველად. ორი მამალი, კარგი ჯიშისა, ხომ წამოსვლისას გამიფრინდა. მოფრინდებიანთქო, ველოდი. არ მოფრენილან. ერთ დედალს მოუკლავს მეორე დედალი და დარჩენილა თავად ბარტყით. რა ავები არიან მარცვლიჭამია ფრინველები, განსაკუთრებით – დედლები. ახლა ერთია ბარტყითაო. რამდენჯერ ვთქვი, არ მოვიყვან თუთიყუშებს-მეთქი. ღმერთმა არ იცის, ერთხელ გალიიანად მომპარეს, რამდენი გაფრენილა ჩემი აივნიდან. ახლა დარჩა ის, რომელიც მოფრინდა, ჩემი არ იყო, გავუშვებ იმასაც და დავიტოვებ ბარტყს. მარტოხელა ეჩვევა ადამიანებს და ლაპარაკსაც სწავლობს თურმე.

ტელევიზორში ვნახე მიტინგი, ბრბო და ზვიადი. ამაზე ამაზრზენი, ამაზე საზიზღარი არ მინახავს არაფერი. სანამ ეგ არ გადაშენდება, საქართველოს საშველი არ იქნება:

ბოლო ნოველა დამრჩა გადასაბეჭდი და ხვალ მეცხრე (დაგვიანებულად) ნომერსაც ჩავაბარებ... როგორ უნდა იმუშაო ამ ადამიანის ხელში, უბედურებაა.

7. IX. 91 წ.

* * *

ქუთაისში ახლა ისევ წვიმს. დღისით მზე იყო, ახლა წვიმს, წვიმს, ღამეა. მოვრჩი ბეჭდვას 14 ნოველისას. ახლა წინ მიდევს „ლენინი“. მინდა, სწრაფად მოვიშორო, რომ ნამდვილს მივხედო.

დარეკა ენიმ, იყო ნემსაძე, ჩამოიარა გია ლომაძემ. საქართველო დაძაბულია. ხალხი? ხალხს ვერ გაიგებ... ხვალინდელი დღის ფიქრიც არა აქვთ. ელიან, ნაღვლობენ, რაც იყო, ის ურჩევნიათ და იქნება უკეთესიც მოხდესო, იმედოვნებენ: როგორ დაანგრიეს ეს კლდესავით ქვეყანაო, დარდობს ბენიაც. უფრო გაოცებულია, ვიდრე დადარდიანებული. სამუშაომ გამომკეტა შინ, გუშინ შევისვენე და სადგურში გავიარე, მიყვარს სადგური, ვოგზალი – ისე არა, სადგური, სადგურის მისადგომები და სხვა ათასი...

მაინც რა გველის?

თავისუფლება მოახლოვდა. რეგვენი, მანიაკი მოექცა სათავეში. ესეც იღბალია... „მე რად მინდა, მეგობრებო, პრეზიდენტობა!“ ვითომ მე მინდა...

მე და მე. სულ „მედან“ ამოდის, სხვა არ არის არავინ, ჩემს მეტი არავინაარ, ესე იგი. რამდენჯერ თქვა. გვიახლოვდება ენერგეტიკული კრიზისი. ჩვენს ტყეებს დაეტყობა სულ პირველად. სწორად დავწერე და ვიწინასწარმეტყველე „მოწამეთაში“ – „როცა ტივი იშლება“. დაიშალა ეს ტივიც. ახლა გონიერი კაცი გვჭირდება.

ისიც მოვა, მაგრამ როდის?!.

8. IX. 91 წ.

* * *

ვარდციხეში ვიყავი გუშინწინისწინ, ორშაბათს. დღეს ველოდი ჩემიანებს ბიჭვინთიდან. არ გამოჩნდნენ.

სამსახურში მიჩათლახებულა საქმე – ერთი ჩათლახის გამო.

გარდაცვლილა პავლიკა გალუშკინი! კარგი ბიჭი, კარგი ქართველი, გუშინ გავიგე და ძალიან მეწყინა...

თბილისში დიდი ამბებია. ვერ მოიშორეს ერთი ეროვნული გარეწარი. ვთქვათ, მოიშორეს, ასეც მოხდება, მაგრამ უკეთესი გარეწარი რომ დაჯდეს, რას შვრები?!

ჩამოვატანინე ელდარისაგან ინტერვიუ. საჭიროა დაბეჭდვა, ვბეჭდავ. ამიხტა ის ჩათლახი, რომელიც ზემოთ მივაჩათლახე.

მაინც დაძაბული ვარ! ყველაფრის გამო. საქართველოს უჭირს.

12. IX. 91 წ.

გადავათვალიერე ეს რვეული და ჯერ კიდევ თებერვალში იდიოტურად ვაზროვნებდი თურმე ხელისუფლების საკითხში.

* * *

გუშინწინ, ოთხშაბათს, კინოსტუდიაში ავიღე ბოლო ხელფასი. ე. ი. მთლიანად გავედი შტატის თამაშიდან. იქ ვიღებდი ხელფასს 1961 წლის 7 აპრილიდან. თითქმის 31 წელი. ქართული კინოსტუდია კი ისედაც დაიშალა გამსახურდია-გუგუშვილის ხელისშეწყობით.

თვენახევარი გავატარე ორ საავადმყოფოში. ჯერაც არა ვარ კარგად, როგორ ვარ, ისიც არ ვიცი. ოპერაცია (კუჭის) ავიცილე და ისინიც არ მომძალებიან მაინცდამაინც. არც არაფერი ჩამიწერია ამ ხნის მანძილზე. ქუთაისში, რამდენადაც ვიცი, არც არაფერი მომხდარა, არც არა ხდება რა. აქ კინაღამ დაიქცა ქვეყანა. ცოტას გაწყდა და არ დახოცეს ერთმანეთი.

ერთი საავადმყოფოდან გამოსული (ისევ გამიახლდა სისხლის დენა შიშის ნიადაგზე) მეორეში შევბრუნდი. სახლში იმ დროს მოველ, საგანგებოდ ვიჩქარე ბიჭების გამო, როცა სროლები გახშირდა სპორტის სასახლესთან, ჩვენს უბანში, ხევში, ქუჩაში. არადა მამუკა იქაა, ვინერვიულე, შიშმაც დამრია ხელი და წაველ სხვა საავადმყოფოში, გ. რცხილაძეს მივეკედლე, გონჯილაშვილთან დავწექი. კარგი ვქენი თუ არა, უოპერაციოდ რომ გამოვბრუნდი, დავინახავ...

გარდაცვლილა ურولოგი ჯაფარიძე. ბენია იწვა VII საავადმყოფოში 1988 წ. (ვაკე) და იქ ვხედავდი ხოლმე. ბელიაშვილის მოთხრობის (სათაური არ მახსოვს, მგონი „ქოჩორა“)

ცხენს მაგონებდა. აღარ იყო ამ ქვეყანას, ცივი, არაფრისმთქმელი მზერა. არაფერი მოთხოვნილებისდაგვარი არ იკითხებოდა მის თვალებში. თითქოს იხსენებდა რაღაცას, მეტი არაფერი... სურვილი, ინტერესი აღარავითარი. პენსიაში გასული, სამსახურში დადიოდა თეთრი ხალათით, დამთავრდებოდა სამუშაო დღე, მიდიოდა თუ მიყავდათ, ალბათ მიყავდათ. ერთმა ექიმმა მითხრა: არც არაფერს აკეთებს, არც არაფერში ერევა, არც რჩევა-დარიგების, კონსულტაციების პრეტენზიები არა აქვსო. ის ფიქრიანი მზერა არ დამავიწყდება. დავწერო უნდა...

დღესაც ვერ ჩავყლაპე ზონდი. შევაწუხე ექიმები, საქართველოში კი საქმეები ძალიან ცუდად მიდის!

1 ნოემბერი, პარასკევი, 1991 წ.

* * *

გუშინ ჩატარდა კინოს ყრილობა

კინოსაზოგადოება ერთსულოვნად ანტია. ავირჩიეთ ისევ ელდარი და იყო შეძახილებიც: „ელდარი, ელდარი!..“

პაროდია იყო „ზვიადი, ზვიადიზე“ და მაინც უსიამოდ გაჟღერდა. გიორგი აქტიურობდა კენჭისყრის დროს, სულ არ იყო საჭირო და არც შვენოდა. როცა ხუმრობს, მაშინაც დაძაბულია. ანზორ სალუქვაძემ მითხრა, უზრდელიაო. რაღაც არი ამდაგვარიც. ჭაბუა დაბერებულა, ს. ჟღენტი სიბერეშია, ლორთქიას არაუშავს... ჩვენ ვბერდებით...

ჭაბუამ თქვა, სხვანაირ პასუხს გაცემენ ირაკლი გოცირიძესო. ამ წერილის შემდეგ, სანამ პასუხი არ იქნებოდა (კატორღელები წერენო), არც კი უნდა გამოჩენილიყო, წესით და რიგით.

კინო მაინც ზოგადსაკაცობრიოაო, აღნიშნეს (ნ. ამირეჯიბი): ქართული მონტაჟი კი არსებობსო. ნ. შენგელაია „ელისოს“ რომ ამონტაჟებდა, დოლს უკრავდა, დოლენკო კი ჭრიდაო. „ქართულ მონტაჟზე“ რცხილაძე ავთო რომ მოვიწვიოთ, რა იქ-

ნებათქვა, ვიკითხე და ჯ. ჩარკვიანმა აიტაცა. ჩემი ავტორობა არ დავიწყებია.

მონტაჟი დოლენკოსი, რეჟისორი გ. დოლიძე, აკომპანიმენტი უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რცხილაძისა!

პრეფექტი – მედოლე, ეროვნული მოძრაობის ლიდერი. დღესაც არ გამოცხადდა სასამართლოზე. თ. წივწივაძემ და გრიგალაშვილმა მოკლე პრესკონფერენციაც კი გამართეს იქვე, სასამართლოსთან, ქუჩაში. არა მარტო ჩემი, დამსწრე საზოგადოების შეურაცხყოფაა რცხილაძის გამოუცხადებლობაო, აღნიშნა. სასაცილო კი იყო ყორეზე გადმომდგარი მიკროფონიანი თამაზი. მე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა რაზმაძემ მიჩივლა ხაბეიშვილის პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და კაციშვილს არ გაუგია-მეთქი, ვუთხარი. ბევრნი ვიყავით იქა: ჯანსუღი, გოგია ხარაბაძე ნატის პალტოთი, ტარიელი, ჯგუბურია, თითმერია, სხვები, სხვები და სხვები...

დღეს სამშაბათია, 5 ნოემბერი.

მოდის 7. არავითარი მზადება. შემოდგომა – კარგი, დრო და წელი – მძიმე და უიმედო.

* * *

7 ნოემბერი უშვიდნოემბროდ.

73 წლის 7-ში, თვე VII, სტამბოლში გახლდით. დავწერე: ეს არის პირველი დღე ჩემს ცხოვრებაში, როცა 7 ნოემბერს 7 ნოემბერს (დღესასწაულს) ვერ ვხედავ-მეთქი. მეორე ასეთ დღეს თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა და მოვიდა ეს დღე, ეს წლები. დღემდე (შარშან-შარშანწინ) მოსკოვი მაინც ზეიმობდა. იყო გრიალი მაინც, მუსიკა და ყვავილების ცვენა, მაინც მხიარულნი, ზურგზე ბავშვებშესმულნი. მოდიოდნენ მოედანზე, ახლა აღარაფერი. ვუყურე გადაცემას: როგორ დაწინაურდა და როგორ გახდა გორბაჩოვი გორბაჩოვი. გადმოალაგეს პარტიული ბოსების ბიოგრაფიები, საქმენი საგმირონი, პორტრეტები...

თბილისის არხზე კი ნაძირალა ზვიადი ლაპარაკობდა... ხან იმას ვუსმენდი უყურადღებოდ, ხან ამას... იქითაც ჩართული იყო, აქეთაც. ბევრი ვიკითხე ავადმყოფობის დროს, რადიოს და ტელევიზიას მოწყვეტილმა. შიგადაშიგ ვუბრუნდებოდი ისტორიას, ახლაც არ ვაკლებ ხელს. მერამდენედ გადავიკითხე, ჰეროდოტე, პლუტარქე, თუკიდიდე არა მაქვს, სანიკიძის კომპილაცია „კეისარიადაც“ კი (ალიონამ მაჩუქა კინოს ყრილობაზე რატომღაც). ადამიანთა ისტორია ადამიანთაგან ადამიანის ექსპლუატაცია კი არა, ხოცვა-ჟლეტაა. აწამებდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს დაბადებიდან დღემდე.

ქსერქსეს მოუვიდნენ ბერძენი მეომრები, შენი დახოცილი ელჩების სანაცვლოდ მოვედითო. ქსერქსეს მოეწონა მათი გულახდილობა, გამბედაობა. თქვენ არ დაგხოცავთო, არ გავიმეორებ იმ შეცდომას, რაც თქვენიანებმა ჩაიდინესო, ელჩთა ხელშეუხებლობა შელახეს, მე ამას არ გავიმეორებ და თქვენ (ბერძნებს) დანაშაულისაგან არ გაგათავისუფლებთო... ეს ერთი სინათლეა იქ, ერთი კი არა, ერთადერთი, დანარჩენი: მტრობა, სისასტიკე, დაუნდობლობა, ერთმანეთის წამება, ხოცვა–ჟლეტვა...

რას მოგვიტანს მომავალი წლის 7 ნოემბერი, საინტერესოა.

7. XI. 91 წ.

* * *

9 ნოემბერი, შაბათი, 1991 წ.

მიტინგის ტრანსლაცია (ჩანაწერი). იგი დღეს ჩატარდა. საშინელებაა, ჩვენ, ინტელიგენტებიო, გაიძახიან გამომსვლელები... მეზიზღება თავი, რომ ვუყურებ და ვუსმენ, მრცხვენია, ქართველი რომ ვარ. გამოვიდა ქალი, არ მინდა, მისი სახელი და გვარი ვახსენო. ინტელიგენციას კი აღარ ამბობდა, ჩვენ არისტოკრატიაო, გაიძახოდა. ზვიადი როიალზეც უკრავსო, აღნიშნავდა საზიზღარი ხმით და ინტონაციით. გენაცვალეო,

შეუძახა ზვიადს, კუზიანივით რომ იდგა (პიჯაკს შიგნით ჯავშნით) ეს ნაჩათლახარი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, „არისტოკრატკა“. გაწერელია რომ გარეწარი იყო, ეს ხომ ვიცოდი. ვამბობდი, არ ჯეროდათ. რამდენი გარეწარი გაამჟღავნებს კიდევ თავს.

ე. ნიჟარაძე მინისტრთა საბჭოს კაბინეტში გადავიდა მთავარ მოადგილედ, დღეს გამოაცხადეს, გუშინწინ ვნახე. შეფიქრიანებული იყო, მაგრამ არაფერი დაცდენია, იორამი — ნაკადულში, „ცისკრის“ რედაქცია გაუთავისუფლეს დოიაშვილს.

ორი ძლოკვი ჰყავს უკვე, ერთი — „ლიტერატურულ საქართველოში“, მეორე — „ცისკარში“. არჩილს გაუშვებენ პენსიაში. მე მომდგებიან, ქუთაისში ვარ გასამგზავრებელი. უკვე მეშინია, იქ რომ გავხდე ისევ ცუდად?! ბენიამ დარეკა. ოპერაცია არ დაგჭირდაო? არა-მეთქი და გაეხარდა. ვათეთრებ „ლენინს“ (ქვესათაური ჭირდება), მხოლოდ გუშინ მიმივიდა გული საწერად, ორი გვერდი გადავწერე, ორს ორს მივუმატებ დღეს და შემდეგ რას ჩავიდენ, არ ვიცი. საშიშიც გახდა ოჯახის მიტოვება. გუშინღამ გაბმული სროლა იყო ხევიდან... უჩემოდაც ივარგებენ, მე არ ვიქნები და იქნებიან, მაგრამ მაინც ჩემი შემყურენი არიან. ჯანმრთელობაც მღალატობს... ჩვენი ნერვები სუსტია. ამ ასაკში მეც მიჭირდა, ოჯახს ვპატრონობდი. მეხმარებოდნენ, ცხადია, ჩემნაირი არ მყავდა, მაგრამ — მაინც...

9. XI. 91 წ.

* * *

დღესაა 15 ნოემბერი. ავდარია, თუმც არ ცივა. გუშინ მზე იყო. დავასაფლავეთ გ. ფანჯიკიძის დედა. თავი გაარიდეს გასვენებას ეროვნულ-პატრიოტულმა ამხანაგებმა. არ მოვიდნენ გურამის კოლეგები: მაჭავარიანი, ნიჟარაძე, ბერულავა, სხვებიც — გარეკოლეგები.

ეგა ვართ. ახლა რაა, ადრე რა იქნებოდა. გ. ხარაბაძემ საიდუმლოდ გამანდო: 28 კაცის დაჭერას აპირებს ზვიადიო, ვარ თუ არა სიაში, არ ვიციო, არ გჭირდება გაფრთხილება, მაგრამ მაინც გეუბნები, სალაპარაკოდ არ ვამბობო. მეორე წუთში იგივე, სხვების გასაგონადაც მითხრა ტარიელმა და როგორც გამოირკვა, მთელმა გასვენებამ (უმეტესწილად „კრემლის აგენტებმა") იცოდა ეს ამბავი. ნეტავი მართლა დაგიჭერდეთ (ერთი იმათაც ჰკითხე!) და ეგ იქნება მაგის აღსასრული-მეთქი. კაი ენის იყავიო, გოგიმ თქვა, შეიძლება, შენთან გადმოვიდე დასამალავადო. გამოქვეყნდა მუხრანის განცხადება „ლიტერატურულ საქართველოში", საჭიროა თუ არა მწერალთა კავშირიო. მე არ ვიცი და თქვენ თუ იცით, მითხარითო. განცხადება მოკლეა და ბევრი ტირე, მძიმე და ძახილის ნიშანი აქვს სიტყვებსა და წინადადებებს დასმული.

მაინც დასაჭერთა სიაზე ვფიქრობ. რაზმაძე არ აძლევს სანქციასო. იოლი სარწმუნოა, ბალანდამწვართა პრეზიდენტი, ცოცხალი კი არა, მკვდარი არ დაგვაყრის ხეირს. მაოხარი მკვდარი გახდება...

ქელეხზე ველარ დავრჩი, თუმც კი მივედი საქელეხო სუფრაზე. ორი თვე გასრულდა სამშაბათს? ჩემი მძიმე ავადმყოფობის ორი თვე. თითქო არამიშავს და მაინც ვერ ვბედავ ქალაქიდან გამოსვლას. მაინც არ მინდა. ორშაბათს მაინც უნდა წავიდე. შევიძინე დოლარის ქვითრები (დამეხმარა ენვერი) სახელმწიფო ფასით: ერთი დოლარი 50 მანეთი დამიჯდა. გავატანე ცოლის ნათესავის (აზას) ამხანაგს, ვინმე გეგენავას, წამლისა და ხურდის ჩამოსატანად. ან ჩამომიტანს, ან — არა. 200 დოლარის ქაღალდში კი 9700 გადავიხადე...

15. XI. 91 წ.

* * *

18 ნოემბერია. ორშაბათი, 1991 წელი.

ჩამოვედი ქუთაისში კვლავ ორი თვის (ერთი თუ ორი დღის ჩაგდებით) შემდეგ. ავტობუსი ახალი გზით წავიდა და ახალ-ქუთაისის ავტო-რკინიგზის სადგურში ამოვყავი თავი. მივრა-ხუნდი რაღაც დანგრეული მანქანით სახლამდე. ბალახვანში უზარმაზარი პურის რიგი დავინახე. პური არ იყო, დიდი რიგი იდგა. ქარი, შუქი არა. გასაღები ვერ ვნახე, სიბნელე, ქარი, რიგი. ომი გამახსენდა, ჩემ ბავშვობაში დავბრუნდი, შემოვედი, როგორც იქნა, ჩემს აპარტამენტში. ცეცხლი დავანთე, გავთბი ცოტა, ვჭამე. გამომიკეთდა ხასიათი, ჩავრთე ტელევიზორი და პეტრიაშვილი... რას შვრები ახლა! ვუსმინე ძალაუნებურად. გადავრთე მოსკოვზე და გამოვედი აქეთ, დღიურის შევსებას მივყე ხელი. ტელეფონი რომ გამორთული დამიხვდა, დამავიწყ-და. ელდარს წერილი გაუგზავნია პრეზიდენტისთვის და პეტ-რიაშვილი კითხულობს. ვნახე გუშინწინ, შემთხვევით შევხვდი ქუჩაში. წამაკითხოს ამ დალოცვილმა, სანამ პეტრიაშვილის ყბაში აღმოჩნდება. გუშინ ე. გიორგაძე გამოვიდა ტელევიზორ-ში. ედიშერ ბინძური, ეგრე იყო ცნობილი, ეგრე ვიცნობდით. ეგაა გარეწრების გარეწარი...

რაც ხდებოდა, ის ხდება, იგივე მოხდება, როცა ქვეყანა გა-დატრიალდება, ნაძირალა გამსახურდია როცა გავა სცენიდან.

18. XI. 91 წ.

* * *

კუმ, ნახირ-ნახირო და ქუთაისშიც გამართეს პრეზიდენტის მხარდამჭერი ინტელიგენციის მიტინგი... გავიარე ბაზრიდან მოედანზე. ახლო არ მივედი. ხალხი ვერ შეაგროვეს, გადაკე-ტეს მოედანი და ხალხი არა. მე და გონერი წავედით და შორს, თეატრის საწინააღმდეგო მხარეს გავჩერდით. თეატრ-ტრიბუნა ჩანდა და ხმაც ისმოდა მიკროფონიდან. მოხუცმა კაცმა ჩაია-

რა, ნერგები მიჰქონდა, გახედა თეატრს და თქვენი დედა ასე და ისეო, შეაგინა მწარედ... ვიცინეთ. ვილაპარაკეთ ნერგებზე, ახლა, ამ დროს ჯობიაო დარგვა, ნიორიც ძველ მთვარეზე იხარებსო და სხვა... გამოიყვანეს ზ. ებანოიძე – ლექსი წაიკითხა. არ გახვიდე-მეთქი, მაინც გასულა, სიტყვა უთქვამს კუხიანიძესაც, რა მემიტინგეგაო, რომ იძახოდა მანამდე. დღეს მიმტკიცებდა, მაგათ საწინააღმდეგოდ ვილაპარაკეო, ებანოიძემ სულ სხვა ლექსი ვთქვიო. ლექსი მართლაც კარგი იყო... იქნება ალბათ გადაცემა (ამის იმედი აქვთ) და მოისმენთო. ვერაფერს ვერ მოვისმენთ: დაფიქსირდება: პრეზიდენტის დასაცავად გაიმართა მიტინგი და გამოვიდნენ: ეს, ეს, ის და ის...

ტექსელის აჯანყების მონაწილე, ვინმე ჯიმშელეიშვილი მოვიდა, აღშფოთებულია შ. მაღლაკელიძით, რომელსაც ოტო მაღლაკელიძეს ეძახის. დაუწერია აღშფოთების წერილი... დავბეჭდავ-მეთქი უცვლელად და სწრაფად. ჩვენ ვიყავით და ვიბრძოდით, არნახული გმირობა ჩავიდინეთო... მთავარ ბრალდებაზე ვერაფერს ამბობს. გერმანელებს რომ უღალატეს და ყელები დაჭრეს ომის დამთავრების შემდეგ, ეს ვითომ არაფერი... სხვა არაფერი, შედარებით სიწყნარეა. ბატონობენ და სიტუაციას ფლობენ ქურდები... ბატონობენ ხულიგნები, მოპატრიოტო ელემენტები და მაინც ქურდები... ხვალ, იქნებ, „მოწამეთისთვის“ მივცე ინტერვიუ და ვთქვა ყველაფერი... არ მინდა ყაყანის ატეხვა... კი თუ არა... მოვიფიქრო უნდა რაღაც. ტელეფონი არაა, თბილისში ვერ ვრეკავ. პურზე რიგები. ბაზარში სიძვირე. დღითიდღე უფრო ძვირდება ყველაფერი. ერთი დღის ხელფასით მუშა კაცი ერთხელ ვერ ისადილებს, ვერ გაძღება დიეტურ სასადილოშიც კი...

რომ ჩამოვედი ორშაბათსა (კარგად ვერ ჩავწერე), ქუთაისი თავის ალაგას დამიხვდა. იყო ქარი, არ იყო: წყალი, ტელეფონი, პური, ტრანსპორტი, კარი დაკეტილი, გასაღებიც არა... რა მინდა აქ, ვფიქრობდი...

რა მინდა მართლაც...
მივხედო ახლა „ლენინს“(???)!
დღეს ოთხშაბათია.
20 ნოემბერი. არ ცივა.

* * *

ვარ ქუთაისში. მოდის ზამთარი და არაა შეშა. 23 ნოემბერია. შაბათი. მშვენიერი, მზიანი დღე.

კოკლი, მურმანი, ნემსაძე წავედით წყალტუბოში მურმანის სიძესთან – რევოსთან. აშენებს, თითქმის აუშენებია უზარმაზარი სახლი. დიდი ეზო, მეურნეობა. შავი ინდაური წითელ ხურმაზე იყო გასული. შეფრენილიყო მართლაც ტოტზე, მწიფე ხურმას თუ კოროლიოკს კორტნიდა.

ბუხარი არ მინთია, დიდ ოთახში ვზი. აქ თბილა კიდეც. ელექტრონი მათბობს. გადავწერე „ლენინი“, გადავბეჭდო თუ არა, არ ვიცი. სად დავბეჭდო. ჩემთან უხერხულია. თანაც 1 ნომერს ახალგაზრდებს ვუთმობ, მეორემდე შორია, არ მიმიწევს გული „მნათობისაკენ“. „ცისკარში“ აღარ მივიტან. „ლიტერატურული საქართველო“ დაიხურა ჩემთვის. გადავათვალიერე „საქართველო“. ი. ორჯონიკიძის წერილი „მწერალთა კოლმეურნეობაზე“ (ასე უწოდებს მწ. კავშირს), სამარეში ჰყავს ჩადებული მუხრან მაჭავარიანი...

ღმერთი შენითო და არა ჩვენითო.

ქართული ეკლესია გაუხსნიათ მოსკოვში. აჩვენეს ტელევიზორით, კარგი ფაქტია...

ვემზადები „კუდიანი ვარსკვლავისათვის“

23. XI. 91 წ.

* * *

გუშინ გიორგობა იყო. დამავიწყდა აღნიშვნა. სასაფლაოზე გასვლა არაო, მუშაობა არაო, თავის დაბანა არაო და ამიტომ წავედით წყალტუბოში. დიდიან-პატარიანად მუშაობდნენ ეზო-

ში რევოსთან, ჩვენს გამო შეწყვიტეს შრომა და შეგვიძღვა მასპინძელი მარანში. ნადული შევჭამე. ერთი ვაშლიც მივაყოლე. რულში მე დავჯექი და ჯაჭვის ხიდამდე მივიყვანე კოკლი და ნემსაძე. მშვენიერად დავიბანე თავიც შინ დაბრუნებულმა. იყო მედეა. მომიტანა წამლები, საჭმელიც, სხვა რაღაცეებიც. არ მინდა-მეთქი, წამალზე და თაფლზე უარს ვერ ვეტყოდი, სხვაზე კი... არ ჭრის... ამომაშხამებ-მეთქი, ასეც იქნება...

დღეს, კვირას, მშვენიერი ამინდი, მოღრუბლული, თბილი, უქარო. არავინ გამომაკითხა (დათქმული ქე გვქონდა) და ავედი სასაფლაოზე. რამდენიმე ნაცნობი გზაში. სასაფლაოზე სიწყნარე, მღვდელი ჩაჯდა დაგლეჯილ, ძველთაძველ „მოსკვიჩში“ და საშინელი ღრიალით მოაბრუნა ეკლესიასთან! დედაჩემის საფლავი მივასუფთავე, როგორც შევძელი. გურამის სამარეზე გავედი. ვაჟა არ მიძებნია. ამასწინეებზე ვერ მივაგენით მე და ნუგზარმა. რამდენი ნაცნობია მარტო გზისპირზე. ერთი ახალი გაჭრილი სამარეც იყო გზაზე. ფაფანაკიანი, თოხგადებული (თითქოს სათოხარში მიდიოდა) მესაფლავე გამოჩნდა, ვედრო ჰქონდა წამოცმული თოხის ტარზე, ღია სამარესთან დააგდო – ვედრო კი არა, საიდან მოვიტანე, დაგორგლილი თეთრი თოკი თუ თოკები. მივხვდი, გასვენების დრო იყო მოსული, სადაც არის, შემოასვენებდნენ ვიღაცას, თოკები უხმარს გავდა. ვედროდ მომეჩვენა მართლაც თავდაპირველად.

გავედი საფიჩხიის ეკლესიასთან, დეიდაჩემთან, სახელოსნოში ორნი მუშაობენ. მოუპარიათ საკერავი მანქანები „ზინგერის“ ფირმის, ძველი და ძვირფასი. 12 თუ 15 შარვალიც წააყოლეს ხელსო, მკერავმა თქვა, 83 წლის ყოფილა. მთავარი გზით ჩამოვბრუნდი, მოკლეზე არ გადმოვჭერი, შევათვალიერე სახლები, საალბომედ რომ მჭირდება. გურამს ვაჩვენებ ხვალ, თუ ამინდი დამირჩა. ყოფილ ხარაზოვის ბაღში გალაკტიონის ბიუსტისთვის (ჯ. მიქატაძის (?) თავია მაღალ სვეტზე) მკვდარი კატა უსვრიათ. პირდაპირ ცხვირზე თუ ცხვირთან ჰქონდა ჩა-

მოკიდებული. დავაკვირდი, რაა-მეთქი — მკვდარი კატა. გათახსირდა ქვეყანა, რაც ბერი, ის ერი. შეაძულა იმ კაცმა ხალხს მწერლობაც, ინტელიგენციაც... ვერაფრით ვერ ავწვდებოდი და ქვას ვერ ვესროდი. ხვალ გამოვაგზავნი სამსახურიდან ახალგაზრდებს, თუ მანამდე არ ჩამოაგდეს.

„ლენინს" მოვრჩი. დღეს მივაკერე ეპილოგივით. მგონი, არაა საჭირო...

დავრეკე თბილისში ლამარასაგან. ველაპარაკე მაიას, რეზიკოს. ცუდად მესმის და ხელახლა დაგირეკავო, რეზომ მითხრა. ნანუკა გახდა 3 წლის. ნანუკას სტუმრებს ველოდებითო, მაიამ. გურამი მოსულა, რცხილაძე, ჩემს სანახავად. გაუკვირდა ალბათ ჩემი წამოქუთაისება. რეჟიმი არ დაარღვიოს არაფრით, დაურეკეთო.

ლამარასთან პატარა (ჩემს ავადმყოფობაში მოვლენილა) გიგლა კიბორძალიძე დამიხვდა. ლუბა (მეორე დეიდა) ვერაა კარგად. 80-ის უნდა იყოს, მეტის არა... დედა ბევრად უფროსი იყო დებზე, საფლავზე ექვსი (1906) აწერია, თავად მითხრა, 1900-ში ვარ დაბადებულიო. 87-ში გარდაიცვალა. შუშანა 80-ს გადაცილდა... ლუბაც (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს). ნინა უმცროსია, ნაბოლარა, 80-ის თუ გავხდი, სიკვდილს არ ვინაღვლებო.

24. XI. 91 წ.

* * *

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!..
ქართველს ქართველი მოუკლავს
და უპატრონოდ გორავსა.

„გავა დრო" ჰქვია აკაკის ამ ლექსს.

დავბეჭდავ „აკაკის ნომერში", რომელსაც ხვალ-ზეგ ჩავუშვებ. ორი ნომერია XI, XII გაერთიანებული, წელს არ მოესწრება, ცხადია.

გივი ლობჟანიძე მოვიდა დღეს. საშინელი ამბები ხდებაო ქალაქში (ჩვენც ხომ ვიცით).

... წყალტუბოს გზაზე მანქანა არ გაუჩერა ქუჩაში მგზავრს... „მგზავრმა“ ესროლა ბომბიო და შეიწირა 15 წლის ბიჭი. საღამოს ტელევიზორით აჩვენეს მკვლელი. „ლიმონკა“ თბილისში ვიყიდე (სამხედროსგანო?) 100 მანეთად ერთი წლის წინო. არ გამიჩერა არავინ მანქანა, მთვრალი ვიყავი და ეს დამემართა, ამას ვერ მოვინანიებ და დამხვრიტეთო. მილიციას ვინ ეკითხება დახვრეტას, მაგრამ შეწუხებული (ღმერთმა დაწყევლოს) მართლა ჩანდა. ბავშვთა საავადმყოფოში ოპერაციის დროს გარდაიცვალა 4 თვის ბავშვი გიორგი (ღმერთმა გაანათლოს იმისი სული). ჭირისუფლებს, მამას, ბებიას და სხვებს დაულეწიათ მთელი საავადმყოფო. ძუძუმწოვარი, ავადმყოფი ბავშვები კინაღამ დახოცილა ქვებით, გიორგის კი არც გაჩენა გაუგია, არც გარდაცვალება... ხალხი გამხეცებულია... სტუდენტები — მკვლელები არიან დაჭერილნი. ქურდები კი მილიციასთან ალიანსში (პირდაპირში თუ არაპირდაპირში) განაგებენ სიტუაციას ქალაქში, რესპუბლიკაში... ქურდები იციან, იცნობენ, შეუძლიათ ნეიტრალიზება, შეთანხმება, დახმარების თხოვნაც კი... სხვები არიან საშიში, ვერ მიაგნებ, არ იცი, სად ეძიო, გივიმ აგვიხსნა. ჩვენც ვიცოდით და ასე შემდეგ...

გავშალე „კუდიანი ვარსკვლავი“. ნამეტანი ძნელ საქმეს შევებმები, იოლად გადავწყვიტო იქნებ და არ გავართულო... ვის ჭირდება ახლა ლიტერატურა ნამდვილი... არც სხვას ჭირდება და არც მე. რაც დავწერე, იმასაც იჭვით ვუყურებ, ცოტა სხვანაირად უნდა მეთქვათქო, მეჩვენება. რაღა დროისაა... აკაკის სიბერეში და ახალგაზრდობაში აქვს კარგი ლექსები დაწერილი... იმას და იმას შუა — თითო-ოროლა... გალაკტიონს ერთი პერიოდი აქვს, 30-იან წლებში და შემდეგ (მცირეოდენი გამონაკლისით) აღარც არსებობს.

ქუთაისში თბილა. რამდენიმე დღე დარჩა ზამთრამდე. ტყეში

ვარ გასასვლელი ჯირკებზე – საბუხრედ. ოთახში თაგვი ვნახე, ვდიე ცოცხით, აქეთ-იქეთ და დავკარი. ავწიე კუდით და ქუჩაში გადავუძახე. არ იყო მკვდარი. ცოდვა არ დამიდევს. ცოცხი მოხვდა საცოცხედან...

27. XI. 91 წ.

* * *

ჩათავდა ეს კვირა. ვერ მივდივარ თბილისში. დამრჩა საქმე და ისევ უნდა ჩამოვბრუნდე ახალ წლამდე, თუ წავედი. გამომცემლობა აქაური იშლება ალბათ. ცალკე დავრჩებით ჩვენი ანგარიშით, ბუღალტრით. იქნებ ფულიც ვუშოვნო ჟურნალს... მაშინ ღირს დარჩენა, მუშაობაც ღირს, არ ღირს... საქმე კი (სახელმწიფოებრივი) დღითიდღე უარესდება. დღეს ისევ ჩაშლილა სესია. ასათიანს ისევ უმტყუნა ჯანმრთელობამ ნერვიულობის ნიადაგზეო, გამოაცხადა დიქტორმა, სხვა არაფერი თქვეს. ტელეფონი გამორთულია. ისედაც ვერ ვრეკავ... ყველაფერი მოშლილია, რაც სხვაგანაა, ისაა აქ. გუშინაც ვიყავით ტყეში და დღესაც. გუშინ დავაგროვე ხმელი, ფუტურო შეშა, დღეს წამოვიღეთ. ამ ზამთარს, თუ აქ ვიქენი, ეყოფა ჩემ ბუხარს. ბენიასაც ეყოფა... აქ და ყველგანაც თბილა. აქეთ ნამეტანი კარგი ამინდებია. მიიწურა შემოდგომა. ტყე ხომ კარგია და კარგი... თუ შეხვალ სიღრმეში, თვალსაც დაასვენებ, ნერვებსაც. სხვა აქ არაფერია ახალი...

29 ნოემბერი, 91 წ.

* * *

ჩამოდგა (ასტრონომიულად) 1 დეკემბერი, ზამთრის პირველი დღე. ჩართულია ტელევიზორი, ვარ სითბოში, ვკითხულობდი, ახლა, იოლი მისახვედრია, ვწერ, ზამთარში კი ხვალ შევალ, რომ გათენდება, მაშინ. შუშაში ფანჯრიდან მესკია ჩიტი დავინახე – ღობემძვრალა. ჩვენ მოზიარეს სარის ღობე ჰქონდა ხოლმე (იმ ღობეს ის ისაკუთრებდა) და ამნაირი ჩიტები ფხაკუ-

რობდნენ. ღობე კი არ უყვარდათ, შეშა ხმელი მისი ბინადარით. კვერცხივით ჩიტი, მოყვითალო-მოჟანგისფრო, პატარა კუდით, გრძელი ნისკარტით, ლამაზია. აკაკის უყვარს ჩიტები, – ცხოველები საზოგადოდ:

„შენ, ჩემო თხაო, ბელაო...“
„წვერი გაქვს დეკანოზისაო“... და სხვა
„მადლი შენს გამჩენს, შვინდაო!
დღეს მეტი რაღა გვინდაო!
ზაფხული კარზე მოგვადგა,
ცამ ლურჯად მოიწმინდაო“...

„ხის ტოტებზე ჩიტუნები,
ფრთხიალობენ, სრიალობენ...“
„შეიფრთხიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო“

და ბევრი, ბევრი ამნაირი ლამაზი სტრიქონი. მწერებში ფუტკარი ჰყავს (სხვანაირად არც იქნება) გამორჩეული. რამდენიმე სიტყვა ამოვიწერე. რამდენიმე არ ვიცი, ზოგიერთის დაზუსტებაც მჭირდება:

გორვილა, ღვარძლთან ერთადაა: ღვარძლი – გორვილა, თელხი, სიოსთან – „სიო და თელხი“, თერხვი!

ხოჭიჭი – აკვანთან. ეს ვიცი...

მაჟვაბელი („მაჟვაბელად თავს დამაწვეს“)

ქაზი – გუთანთან (ქაზეითია თუ ქეზეითი ღორეშაში?)

დაურწყება – დარწყულება?

მგამა? – (... მაგრამ რა მგამა...)

ელცინმა ოფიციალურად განაცხადა: თუ უკრაინა ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, არც რუსეთი მოაწერსო... აზრიც არ ექნებაო და მართალია... დაიშლება СССР-ი, თუ ССГ? არ უნდა უხაროდეს საქართველოს... ყველას ეშველება, ჩვენს გარდა. დაიშლება და ჩვენც დავიშლებით... საქართველოც დაიშლება, როსღა გავერთიანდებით...

იუზასთან ვიყავი ვარდციხეში, მე და კოკლიმ ჩავაკითხეთ. ღვინო წამოვიღე ცოტა. იმათ დალიეს კიდეც ზომიერად. „ლიტერატურული საქართველო“, შავი გაზეთი. პენკლუბის რაღაც საორგანიზაციო ჯგუფი შეიქმნაო... რატომ არ არიან სხვებიო. მათ შორის მეცა. მე იმიტომ არა ვარ, რომ არავინ გამაგებინა, არავინ შემიყვანა ალბათ, არც ვიყავ თბილისში და ვერც შემითანხმდებოდნენ. მ. მაჭავარიანისა და ნიშნიანიძის გვერდით კი არ დავდგები, არც იქით... არც აქეთ...

„შუა კაცი ვარ უბრალო...“

(პირველი დავაწეროთ მაინც, ქეც ხდება 1 საათი)

1. XII. 91 წ.

ვერა და ვერ დავიწყე „კუდიანი ვარსკვლავი“. მინდა, კარგი გამოვიდეს. რაც დამიწერია შავად (1987 წ.), არ ვარგა. გამოვიყენებ... შავის პირობაზე კარგიცაა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. დროც ხომ სხვანაირია!

* * *

1 დეკემბერი. კვირა. წვიმს დილიდან ქუთაისში. აპრილის წვიმასავითაა, არ ცივა. ქუჩები წყლადაა წასული. ღვარსადენებში აღარ ჩადის წყალი, მაგრამ გზებიც ირეცხება რაღაცნაირად. თბილისი ტალახდება ამნაირ დროს. ჩავედი ფეხით ბაზარში წვიმაში, ფეხითვე მოვბრუნდი. ბაზარი არის მაინც. სიძვირე კი არა, ბაზრობა მიკვირს, გამოაქვთ, ყიდიან. ესეც რომ არ იყოს, რა ეშველება ხალხს! ნადუღში – 18 მანეთი, ვარიაში 25 მანეთი მივეცი, ვაშლში 8 მანეთი გადავიხადე და კმაყოფილი წამოვედი. ეგ არაფერია, კვლავ გაძვირდება პროდუქტები, სიგარეტს ყიდიან კოლოფს 20-ად, რატომ უნდა მოგცეს კილო ხორცი ამ ფასად.

„მოწამეთასთვის“ ჩავწერე, ეთერმა ამოიწერა (არ წამიკითხავს) ინტერვიუ. არ დავაბეჭდვინე, შარია-მეთქი, ახლა ვნანობ,

თუმც მართლა შარია. ჟურნალის დახურვაზე იზრუნებდნენ, გაზეთსაც არ დააყრიდნენ კარგ დღეს, მაინც უნდა დამებეჭდა... წერია:

იღუპება უგუნურობითა და წინდაუხედაობით საქართველო. იკვრება ჩვენს გარშემო წრე მუსულმანური და სხვა.

მუხრანის ირონიული, უკბილო, წონასწორობადაკარგული კაცის დაწერილი წერილია („ლიტერატურული საქართველო", 29 ნოემბერი, 91 წ.).

რა მინდა, ჩავამატო იმ ინტერვიუში:

თბილისის სატელევიზიო გადმოცემები, ვიდეო. ეს ფილმები უფრო საშიშია (ძალადობა, სიყეყეჩე, სადიზმი), ვიდრე მარქსიზმი, ლენინიზმი და პარტისტორია, კიდევ რაღაც...

ისევ წვიმს. აკაკისაა:

„ღმერთო, წვიმა მოიყვანე,

წითელი და შხაპუნაო..."

რას უნდა ნიშნავდეს „წითელი წვიმა?"

სამჯერ გადავათეთრე „კუდიანი ვარსკვლავის" პირველი გვერდი. დღეს მეტი არა გამიკეთებია რა...

ევდოკიმოვია ტელევიზორში და იმან შემიყოლა, მაცინა კიდეც...

მანამდე იაპონური სადიდო თამაშობანი აჩვენეს. იქაც ვიცინე და კარგად ვარ.

1. XII. 91 წ.

* * *

8 დეკემბერი. კვირა. თბილისი.

მშვენიერი დარებია, გულიც გაგვიხარებია.

ემზარი იყო ბიჭით, ბაქარით. რეზიკოზე უმცროსი შვილი ჰყავს. შემდეგ — ჯურხა და იორამი მოვიდნენ.

ბაზარში შეველ 3 საათზე, დღისით, ცხადია. ცარიელი. ლობიო 25 მან. კილოგრამი. პურის მაღაზიასთან რიგი გრძელი.

მობაზრეები რიგში. ერთი კილო ლობიოთი 70 კგ. პური შეუძლია გააყოლოს ხელს. დიდი შეუსაბამობა. პრეზიდენტის ყეყეჩური სიჯიუტის შედეგი.

დღეს იგი ტელევიზორეთში აჩვენეს. სტუდენტების უმეცრებაზეა ოპოზიციის აგიტაცია გათვალისწინებულიო. სტუდენტების მიმხრობა უნდა, თან შეურაცხყოფას აყენებს. ერსაც გადაწვდა: სტალინის, ორჯ-ძისა და შევარდნაძის შემოქმედი ერიაო. შემდეგ შევარდნაძეს მიაწვა ავადმყოფურად, ადრინდელივით.

გორში კოსტავას საზოგადოების წევრები დატაკებიან ერთმანეთს. ერთი ახალგაზრდა დაღუპულა. საშინელი ხალხი რომ ვართ, რად უნდა ლაპარაკი.

უკრაინა, რუსეთი, ბელორუსია, ჩურჩულ-ჩურეჩულ რაღაცაზე თანხმდებიან, რაღაც აქვთ ჩაფიქრებული, იშლებიან და ერთდებიან... ეგრე იოლადაც არ გამოვა. საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოს დაშლაც მოყვება. იოლი (ღმერთმა არ ჰქნას) მოსალოდნელია. ეს ძალიან მაშინებს. უკრაინის დამოუკიდებლობას რაღაც მოყვება... ახლა ტელევიზორში გორბაჩოვი სწორედ ამ საკითხებზე ლაპარაკობს, უკრაინელებს მიმართავს.

გივიაო, რა ამის პასუხია, ლიტ. მუზეუმის დირექტორად დანიშნა პატრონმაო, მითხრა ემზარმა. ჯურხამ და იორამმა — არაო და ასე შემდეგ.

გორბაჩოვი კი შესამჩნევადაა ანერვიულებული.

* * *

12 დეკემბერი — ხუთშაბათი.

ჩახერგილია რუსთაველის პროსპექტი კვლავ. პარალიზებულია ისევ ქალაქი. მიტინგომანიით დაავადებული პრეზიდენტი გაჰკივის, ევროპის უძლიერესმა სახელმწიფომ — უკრაინამ გვიცნოო. და არის ღრიალი. როდის გახდა ევროპის უძლიერესი სახელმწიფო უკრაინა? ჯერ თავად უკრაინა არ უცვნია არა-

ვის და არცნობილ უკრაინას ვუცვნივართ თუ არ ვუცვნივართ, არცაა კარგად გარკვეული.

მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე. სამსახურში გაველი, მაია დამიხვდა სიცივეში, სიბნელეში, დენი გამორთულა. წადი, მე ვუთხარი, მეც შინ წამოვედი ფეხით და ახალ მოედანზე გადავაწყდი მიტინგს. ელდარმა გახსნა და ჩაატარა. არ მომეწონა ეგ ამბავი... სიგუა და მცველები, შავად ჩაცმულნი, ავად გამომზირალნი, თოფებით, ბინოკლებით, შემართული ავტომატებით ათვალიერებდნენ გარემოს პროვინციალური დეტექტივური ფილმების გავლენით. ვინმემ არ გვესროლოს შორიდანო, თავად რომ გავარდნოდა რომელიმეს, ატყდებოდა პანიკა, შეიქნებოდა ზედახორა. გადავაწყდი: თამაზს, გოგიას, ბურჯანაძეს, მიმინოშვილს. ვიდექით ერთად. მე ადრე წამოვედი. სიგუას გამოსვლასაც ველარ დავუცადე. მიტინგი კი დაძრულა ზვიადის მიტინგისაკენ. „მოამბეში“ არაფერი თქვეს. პრეზიდენტს შეხვდნენ სტუდენტები. სტ. მაისურაძემ გამოაცხადა: პრეზიდენტმა პრეზიდენტული სიტყვა მოგვცა და ჩვენი საუბარი შეულამაზებლად გადმოიცემა დღეს ცხრის ნახევარზეო. ველოდები. რაზმაძე კრემლის აგენტი იყო, ჭანტურიას დაჭერისათვის მოვხსენიო, უთქვამს, სხვა სისულელეებიც ულაპარაკია. ი. სარიშვილმა განაცხადა: არ მიულოცავს ახალი წელი ქართველი ხალხისათვისო.

ხვალ განაჩენს გამოუტანენ გ. ჭანტურიას. გარდაიცვალა გრიშა ვაშაკიძე. კალანდაძის ქუჩის მეზობელი. ბოლო დროს იშვიათად ვხვდებოდი. ნამეტანი სწრაფად ვითარდება მოვლენები. საბჭოთა კავშირი თითქმის აღარაა... ჩვენ სადა ვართ? ცხადია, გვიცნობენ სახელმწიფოები და ყველაფერს მიიწერს გათახსირებული პრეზიდენტი. სხვასაც იცნობენ და მალე გავხდებით საქართველოს რღვევის, დაშლის, დანაწილების მომსწრენი...

* * *

13, უფრო სწორედ, 14 დეკემბერი, სამის ნახევარი ღამისა.

ქუთაისზე შეკვეთა მივეცი, ვერ დავრეკე. დღეს აცივდა. გაავდარდა. არ ჩამოუთოვია გორებზე ჯერჯერობით. გულგატეხილი ვიყავი ყველაფერზე და იმედის სხივი გამოკრთა, სტუდენტები და გამსახურდია გადმოცეს. შავი დღე აყარეს, არა მარტო პრეზიდენტს. შემეცოდა პირველად ჩემს ცხოვრებაში პრეზიდენტი.

კარგი ახალგაზრდები!

ჩემი თაობა, არა მარტო შეშინებული და დაკომპლექსებული, არამედ ინფანტილურიც იყო. წიგნები ამათზე მეტი მქონდა წაკითხული. მხატვრული ლიტერატურა უკეთ ვიცოდით... ინფორმაცია და პირდაპირობა ნაკლები გვქონდა, ცხადია. ახლა ინფორმაციით და თავაშვებულობით გამოირჩევიან... ასე დაწყობილადაც ვერ ვმსჯელობდით, რაც მართალი მართალია. გოგა ხაინდრავას ცოლი იყო, გუშინდელი მიტინგის ამბებს მოგვიყვა. მიკროფონებს რომ ასწორებდნენ მთავრობის სახლის წინ, ასეთი ხმა ისმოდაო:

ზვი-ა-დი. მო-ვე-დით!

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ზვი-ა-დი; გა-მო-დი ბუნკერიდან და სხვა. მშვიდობიანად დაშლილან მოგვიანებით. ხაბულიანი დილარი (დოლარას ეძახიან) გამოვიდა რამდენჯერმე ტელევიზორით, გვაშინებდა. ეს თვე ნახევრდება, ეს წელიც იფუშება. მიკოტრიალობს დრო დრულად, წუთისოფლურად.

* * *

ახლა დოლარი (დილარზე გამახსენდა) ღირს ძვირი. 1=100 მანეთს. ცოტა იქით, ცოტა აქეთ, სიტუაციის შესაფერისად. როცა 5-6 მანეთი ფასობდა, სახელმწიფო 70 კაპიკს უტოლებდა. „კრუიზში“ რომ წაველ ევროპის გარშემო 6 ქვეყანაში, 25 მანეთი დაგვიხურდავეს თითოეულს და გვიბოძეს 30 დოლარი, ცოტა მეტიც კი... 1 დოლარი მარქსის სამარეზე დაგვადებინეს

ყვავილებისთვის, 1 – კომუნარების სასაფლაოზე, ერთიც ებრაელთა მემორიალზე, რაც დამრჩა, იმით შევიძინე: ვილვეტის შარვალი მამუკასათვის, შავ-თეთრად ნაქსოვი შალის სვიტერი გუბაზისათვის, ორი იაპონური სამზეო ქოლგა, ერთი – ცოლს, ერთი – ქეთოს, თორმეტი საღვინე ჭიქა, ორი თუ სამი ხალსტუკი და კევი ბლომად. ვერსალში სუვენირის საყიდელი ფული არ დამრჩა. ბაღში ავიღე სამი რკო და ჩავიდევი ჯიბეში. შემდეგ უჯრაში მიდევს სამახსოვროდ, დავხედავ, ვერსალი მომაგონდება, ერთი რკო დაიფშვნა, აღარაა, ორი შელანძღულია. დღეს ვიფიქრე, აქამდე, რატომღაც, აზრად არ მომსვლია, დამეთესა, ჯობდა-მეთქი, აქამდე მუხის ხე გაიზრდებოდა მართლაც და მას შემდეგ ხომ (1973) 18 წელი გასულა, მუხის ხე, სამიდან ერთი მაინც გაიხარებდა...

მიტინგები, შეხვედრები, არეულობანი გრძელდება, მძაფრდება, დიდდება, მრავლდება. მე, რატომღაც, აღარაფერს ვიწერ „ტ-4"-ში. ვიმახსოვრებ, მაგრამ ჩაწერა საჭიროა.

თ. სიგუა ფერდაკარგული, გაფითრებული იყო იმ დღეს... დაცვით, ამალით მოსული არაფატივით, დამცველები არაბებს ჰგვანდნენ ჩაცმულობით, სიგუა – არაფატს თუ ხალიფას. ლამაზი მამაკაცია.

პათოლოგიური სიძულვილით ძულთ ზვიადი ბევრს. რაშია საქმე?

ზვიადი, ზვი-ა-დი!

ჩხაოდნენ დღესაც (გუშინდელი თუ გუშინწინდელი ჩანაწერი).

14 დეკემბერი, 91 წ.

* * *

19 დეკემბერი. ცივა. სიმშრალეა.

მიტინგები. ამოვიარე „ივერიასთან". მიტინგი. სიგუა ლაპარაკობდა, თუ არ შემეშალა. ბნელოდა. დენი გამორთეს, როგორც ჩანს. მანქანა ვერსად მივაყენე, არც იკეტება ხეირიანად, თორემ

შევჩერდებოდი. მივიყვან, მე ვიფიქრე, შინ და გამოვბრუნდები, სახლში მოსულმა გადავიფიქრე. ხალხი ქუჩაში დგას ხელაწეული, ტრანსპორტი არაა და კერძო მანქანებს აჩერებენ უშედეგოდ. ყველა აჩერებს: დიდი, პატარა, ქალი, კაცი... დგანან საათობით ახალაგზრდები. ფეხის გადადგმა არ უნდათ. ხვალ გონერის სიძის გასვენებაა. ჩემი თანამშრომლები აპირებენ ჩამოსვლას. გზა ახლა გაწმენდილი უნდა იყოს. რიკოთის ამბავი გადმოცეს. 18 საათი ყოფილა დაკეტილი, მანქანებით გაჭედილი, ექვს რიგად მიადგნენ თურმე ერთმანეთს, როცა გზა გახსნეს. ექვსი რიგი ზევიდან წამოვიდა, ექვსი ქვევიდან. გვერდის ასაქცევი არაა. ცხოველი ამას არ ჩაიდენს არაფრისდიდებით, ცხოველს არც მივაყენებ შეურაცხყოფას. როცა გავუშვით, მანქანები გვირაბში გაიჭედნენო. მიაწვნენ აქედან და იქედან. ხალხი კინაღამ გაგუდულა მანქანების გამონაბოლქვით... რას გავს ეს, უკვე ნამეტანია. ხალხი აღარა ვართ, ვრწმუნდები თანდათან... აღარც შეიძლებაო მგზავრობა...

ყაჩაღობა, ქურდობა, პირუტყვობა...

* * *

22 დეკემბერი. გუშინ სტალინის დაბადების დღე იყო. დღეს დილიდან ერთმანეთს ესვრიან უგნური ქართველები. პრეზიდენტის თუ პრეზიდიუმის სახლი წამლის ბოლშია გახვეული. ხანძარი გაუჩნდა I სკოლასო. თ. ჩხენკელი მოვიდა, ყოფილ ცხაკაიას ქუჩაზე აქვს ძველი სახლი. ბოლში გახვეულა იქაურობაო. არ დამთავრდება სროლაო. ესენი იმ სახლს ვერ აიღებენ, ისინი იქიდან არ გამოვლენო. კარგად ყოფილა საქმე. ვის ათავისუფლებენ ვისგან, გაუგებარია. ახლა ექვსი დაიწყო, 5:14, ჩამოღამდა. ტელევიზორი აღარ მუშაობს. რა ხდება, არავინ იცის, კარგი არაფერი მოხდება, ცხადზე უცხადესია. ყველას ეშველება, ჩვენს გარდა...

რა ვუყო ოჯახს, შვილიშვილებს, თორემ არც ჩამოვალ ქუთაისიდან. მომენატრა ისედაც იქაურობა. ბუხარი. სიმყუდროვე.

როგორი ახალი წელი გვითენდება?! მტრისას!

* * *

24 დეკემბერი, 91 წელი.

შობაა ჩამომდგარი წაღმართული კალენდრით. სროლებია. ახლა შეწყდა, მგონი. ნახევარი საათის წინ საშინელი გრიალი ისმოდა. 50 კაციაო მკვდარი. უამრავი დაჭრილი. ცოდვის ტირილია. ვზი შინ გულდაწურული. რა გვეშველება, კაცმა არ იცის. არც უნდა ვიყო კარგად, ვწერ მაინც. ვკითხულობ. რა უნდა ვქნა! ზოგიერთი ისეთი წიგნი გადმოვიღე, შენახული რომ მქონდა და აღარ მახსოვდა. მიყვარს პატარა ფორმატის ლამაზად გამოცემული წიგნები, სტუდენტობის დროიდან ვუფრთხილდები ზოგიერთს...

რამდენი ნაწარმოებია თაგვზე: კორეალი (კორეელს ვწერთ ხოლმე), კორეალი მწერლის ჩინურად დაწერილი ზღაპარი „თაგვი სასამართლოზე“ (XVI საუკუნე), ლიმ ჩჟი-სა...

განახლდა სროლები. ქვემეხების ხმაა... დაუნდობლადაა თაგვი იმ წიგნში განადგურებული (დაუნდობელი განადგურება თუ არსებობს?), იუმორის და ღიმილის ფარგლებიდანაც კია გასული. ნაწარმოები კი საინტერესოა, სათარგმნელადაც იოლია. მშვენიერი ლექსი აქვს რ. ბერნსს (თარგმანიც კარგი) თაგვზე. თაგვის ბუდეს რომ სახნისი წამოედო... ირანული პოეზიიდან: „თაგვებისა და კატების ომი“. კიდევ... ვერ ვიხსენებ. სულ ახლახან წავიკითხე რაღაც თაგვებზე. თაგვზე ემზარ კვიტაიშვილმა დამაკვირვა პირველად. ხაფანგში გაჭედილი მაჩვენა, რა ლამაზიაო, მითხრა. თაგვის სილამაზით არასოდეს დავინტერესებულვარ, არ მიყვარდა, მაგრამ არ მეზარებოდა, ღიმილსაც მგვრიდა. კატა რომ ათამაშებს, ესეც ბევრჯერ მინახავს, ვმჯდარვარ და ამ სადისტური სცენისათვის მიცქერია. რამდენ-

ჯერმე გაექცა კატას თამაშში. კატის სახე, გამომეტყველება უნდა ნახო ამ დროს. ნათლად მახსოვს ის პოზა, ის მზერა, თავად კატა არა... რამდენი კატა გვყოლია. სულ გვყავდა, მაგრამ იყო კატა და არა კატები. ომი, ლამფის შუქი, ცეცხლი – „ფეჩი“, ადრე ბუხარი. არც გცივა, არც გთბილა, დედაჩემი საწვავს ზოგავდა, არა მარტო საწვავს, ყველაფერს ზოგავდა, მომჭირნეობდა, რაც თავი მახსოვს.

ბუხარი, ლამფა, გარეთ ღამე. თაგვის მოდარაჯე კატა მაგიდის თუ კარადის ჩრდილში, ცივი ქარი აწვება კარს...

ვინ შეაბამს კატას ეჟვანს?!

ვაჟას „სათაგური“ შესანიშნავია. დღეს უფრო საშიშია, დღეს უფრო ფეთქებადი და ფეთიანია დრო, ვიდრე ომისას იყო. ტოლსტოის სახლ-მუზეუმის ეზოში, ვაშლის ბაღში, ბევრი თაგვი იყო მინდვრისა... ისინი მართლაც ლამაზებია. მომწვანო, მოზურმუხტისფრო, ქალები კრეფდნენ ვაშლს ეზოში. ყველამ გამოგვიწოდა, მიირთვითო. მე გამიკვირდა მათი გულუხვობა. ბევრი ვაშლი ყოფილა და კრეფას ვერ აუდიოდნენ თურმე, მაგრამ მაინც საკვირველი იყო, ახლაც მიკვირს... მიირთვით, მიირთვით და მოჰქონდათ ვაშლები. დასვენების დღე იყო და ჩვენს მეტი არავინ იყო ეზოში. კილო ვაშლს ყიდდნენ 25 კაპიკად. ეს ვაშლი მომცა-მეთქი არაყის, სიდრას, კალვადოსის გამოსახდელად. თავად რატომ არ ხდიან? ალბათ სიტკბო არა აქვს? ნუთუ არ იციან გამოხდა. ერთხელ გამოვხადე ქუთაისში ჩვენი ეზოს ვაშლისგან, ცოტა ბაზრიდანაც მივუმატე, ცოტა იქ დავტოვე და 8 ლიტრიანი აქეთ წამოვიღე. ანზორი და ჭაბუა ამირეჯიბი მესტუმრნენ და ვსვით, ვწრუპეთ, უფრო სწორედ. მახსოვს, საფრანგეთში, პორტ ჰავრიდან სოფელში აგვიყვანეს, ფერმერის მეურნეობა გვაჩვენეს. ეზოში ვაშლი ეყარა გორებად, სიდრას და კალვადოსს ხდისო, აგვიხსნეს. დაგვალევინეს კიდეც თითო სათითური. არ შემოუთავაზებიათ, მაგრამ ზოგიერთმა და მათ შორის მეც მეორე სათითურიც გადავჰკარით. კარგი იყო,

თუმც ოკრიბული „ბაღის ვაშლის“ არაყს ვერ ჯობდა. იმ არაყს, მახსოვს, ვაშლის ისეთი არომატი ჰქონდა, მაგიდაზე დადგმული ჭიქიდან ფეხზე მდგარს ცხვირში გეცემოდა.

„კუდიან ვარსკვლავს“ ვწერ. დავამთავრებ და შესვენება მექნება ალბათ. მოთხრობაზე, ნოველაზე აღარ მიმდის გული. რომანს (ისტორიულს), რომელსაც დავწერ, დიდი დრო უნდა. ან დავიწყებ გაისად, ან ვერა. ან კი, ან არა...

24. XII. 91 წ.

* * *

25 დეკემბერი, 1991 წელი, შობა.

სროლა აღარ ისმის. რა ხდება, ან რა მოხდა წუხელ, მოსახლეობამ არ იცის. ჩვენი ტელევიზორი კაბელზეა და მოსკოვიდან, საზღვარგარეთიდან ვიღებთ რაღაც ცნობებს. ზარბაზნების ხმა ფანჯრებს აზანზარებს და ამბავს მოსკოვი გვატყობინებს. ზვიადს დახმარება უთხოვია ელცინისათვის, რუსეთისთვის ომი რომ ჰქონდა გამოცხადებული, დაავიწყდა. ვინ მოიყვანა საქმე აქამდე. მრგვალმა მაგიდამ: ზვიადი, კიტოვანი, სიგუა, ადამია... დანარჩენების ხსენებაც არ ღირს.

Бо - Цзюй – VIII საუკუნე.

ბო-ძიიუი (?) მიდევს წინ. ვკითხულობ. ერთ ლექსს ქართულად გადმოვიღებ-მეთქი სასინჯად, ველარ მივაგენი.

შინაარსი:

სანთელი ქრება, ლაპლაპებს, თენდება, ვგრძნობ, მოწვიმს, ბანანის ფოთლების ხმა მესმის...

დუ ფუ

იუან ჩჟენ

ტანის და სუნის დიდი რვეული. ჩამოთვლილია რვა პოეტი, შემდეგ დაემატნენ ზემოთნახსენები გვარები და სხვა. წამიკითხავს ერთი, მეორე, მესამე... მერვე, მაგრამ ამათ ერთმანეთისაგან, თავს ვერ გამოვიდებ, ვერ ვანსხვავებ. ახლა იმასაც ვერ

ვიხსენებ, რომელი იყო, მთვარეს რომ იჭერდა და დაიხრჩო მდინარეში, ნავიდან რომ გადავარდა. ლეგენდა და სინამდვილე.

კონსტანტინემ გამოიყენა ეს მომენტი. მთვარე დაანახა ადიდებულ, ამღვრეულ ენგურში თარაშ ემხვარს, ტყუილია, თუმც ლამაზია.

რა დღეშია ახლა მისი ძე.

მეცოდება უკვე. რაღა ფასი აქვს აწი, დღეის ამას იქით, მის გადარჩენას, მის პრეზიდენტობას და სიცოცხლეს. ამდენი მსხვერპლის შემდეგ.

ხომ დავანახეთ მსოფლიოს, რა ხალხიცა ვართ.

სტალინი არ იყო ქართული მოვლენაო, ვინ ჩემი ფეხები იყო აბა!

25. XII. 91 წ.

* * *

27 დეკემბერი.

გარდაცვლილა რეზო ინანიშვილი. ძალიან საწყენია. ბევრი იწვალა, იბრძოლა. აღსრულებულა გუშინ და გუშინწინ ვიხსენებდი მის ერთ მოთხრობას, ამეკვიატა. შევიტანო თუ არა-მეთქი, ვფიქრობდი, „კუდიან ვარსკვლავში“ ნიმუშად ის და აკუტაგავას ერთი ნოველა, სათაური არც ერთის მახსოვს, არც მეორესი. უხერხულია-მეთქი, ვიუარე გუნებაში ბოლოს. აწი შევიტან.

საშინელი სროლა იყო წუხელ, დაუფიათებიათ კაგებეს შენობა. იწვის კიდეც, მგონი. რა ხდება, რა უბედურება, რა საშინელება. ანგრევენ თბილისს, რასაც თბილისი ქვია, იმ რაიონს ანგრევენ, ანაცარტუტებენ. რა დღეებს შეესწრო რეზო, რა უიმედობაში მოკვდა ალბათ. ამ დანაშაულს ვინ გამოისყიდის, ვინ გამოასწორებს, მატერიალურად, მორალურად როსღა გავიმართებით.

ეს რა ახალი წელი გვითენდება! მოედანზე კვლავ მიტინგი-

აო. ელდარს უთქვამს სიტყვა. ნეტავ, ეგ კაცი არ გარეულიყო ამ საქმეში. ანზორმა თქვა (მიტინგზე ყოფილა), ბოლი ქვევით და ქვევით ჩამოვიდა, ფერფლი წამოიღო. ერთი დამწვარი ქაღალდი ავიღე, კაგებეს საბუთი მეგონა, მურმან ლებანიძის წიგნიდან ამოგლეჯილი ლექსი აღმოჩნდაო. მაჩვენა და ქეც ჩაიდო გულისჯიბეში. შევინახავო...

27. XII. 91 წ.

* * *

ჩათავდა ეს მძიმე წელიწადიც, უკვე 1992-ია. იგი არაფერს სასიკეთოს არ გვპირდება. შარშანდელი ჩემთვის, ჩემი ოჯახისათვის იყო მძიმე, წელს ყველასათვის (განსაკუთრებით ეკონომიურად) მძიმე იქნება.

სროლა აღარ ისმის დღეს, მაგრამ ეგ სიჩუმე უარესის ნიშანია. ხვალ რა მოხდება, არავინ იცის.

დავასაფლავეთ რეზო ინანიშვილი. წყნარად, მშვიდად, უპრეტენზიოდ გავასვენეთ. როგორც იცხოვრა, ისე დაგვეთხოვა. დაჩაგრული არ იყო, თავის ყადრიც იცოდა, მაგრამ ცხოვრებას, შემოქმედებას, შესაძლებლობას ყოველნაირად ზუსტად აფასებდა, ჩემი დაკვირვებით. არც იკლებდა, არც იმატებდა. ბევრი ახლობელი ნაცნობი დაკრძალვაზე. ყველა მომფერებელი, მოკრძალებული, დაღონებული, ხვალინდელი დღის ფიქრით შეჭირვებული, ცოტა ადრე წამოვედი ქელეხის სუფრიდან. დიმა ერისთავი გამომყვა, შენზე ვფიქრობდი ეს დღეებიო, მითხრა, გამომაცილა. თავად ფერდაკარგული, ტაზეპამით ვარო. ემზარიც არ მომეწონა. არ გამოჩენილან: მუხრანი, ენვერი, ფანჯიკიძე, ჯანსუღი (იმალება), ელდარი (ვერ გამოჩნდება), ნ. წულეისკირი (გამოჩენის პირი არა აქვს). წულეისკირი ქუჩაში დაუნახია გუბაზს. შედიან, გამოდიან ბუნკერში თურმე. შინაური ომია. ალყაში არიანო. როგორი ალყაა, ვერ გავიგე. დიდი გველი მაინც ვერ ამოაგდეს სოროდან, სარიშვილის ნათქვამი

TCH -მაც გაიმეორა. გამსახურდიამ (წესით), ახალი წელი ვერ უნდა მოულოცოს ქართველ ხალხსო. აგრეც მოხდა. ბრძოლამ კი, თუ ტელეშენობას დაეცნენ, შეიძლება ჩვენკენ გადმოინაცვლოს... მაშინ რა უნდა ვქნათ?

1 იანვარი, 1992 წ.

* * *

4 იანვარი. 12 საათი, 1992 წელი.

ნაჭერ-ნაჭერ მოდიან ღრუბლები სამხრეთიდან შარშანდელივით. გუშინ ყინავდა, მაგრამ მზე იყო. დღესაც იხედება შიგადაშიგ მზე. ყოველ 4 იანვარს, უკვე რახანია, თბილისის ამინდის მიხედვით ვიმახსოვრებ.

სროლა არაა.

ველოდები ტელეგადაცემების დაწყებას. იქნებ ამოძვრეს დიდი გველი და ეშველოს საქართველოს, თბილისს; იქნებ აღარ დაიღვაროს მეტი სისხლი.

ქუთაისთან კავშირი გაწყდა.

ბუხართან ჯდომა ჯობია იქ. იქნებ იქაც აირია ყველაფერი, ესეც არ ვიცი. აქ ომია.

P. S.

დღის 11 ნახევარში მზე იყო. ეს 4 იანვარიც მზიანად ჩაითვლება.

4. I. 92 წ.

* * *

5 იანვარი. მზე და სითბო.

ეზოში გერონტიმ (მეზობელია) დაანთო ცეცხლი და შეშის ბოლი გაფიჩხულ ტოტებში ავიდა. სროლა არაა, სიმშვიდეც არაა. ქუთაისიდან ჩამოვიდნენ, სიბნელეა ქუთაისშიო. იმოდენა ქალაქი ბნელში, ყოველნაირი გაგებით. ადამიანები ბნელში. დაღუპვის ნიშანია.

ამათაც აღარ დააყენეს საშველი.

„აჯანყებაც“ ნამეტან ინტელექტუალურ დონეზე განვითარდა...

5. I. 92 წ.

* * *

7 იანვარი 92. შობა. მზე.

გუშინ დამთავრდა ომი. დამთავრდა კი?!

დილითვე გავედით რუსთაველზე. ხეები დამტვრეული, დაჩეხილი, დასახიჩრებული. ნაძვის რტოები ქვაფენილზე. წიწვისა და ფოთლების სუნი. სასაფლაო გამახსენდა. სროლა აქა-იქ, როგორც გავარკვიე, არაფრის გამო. ერთი გვარდიელი ჰაერში ისროდა მანქანიდან, გზა გაათავისუფლოთო, გვანიშნებდა, მისი ჭკუით. ბევრი დაფეთდა, არც მე დამდგომია კარგი დღე, თუმც არაფერი დავიტყვე. მთავრობის სახლს, იგი ციხე-სასახლე აღმოჩნდა, ცეცხლი ეკიდა ერთ მხარეს, ხელმარჯვნივ, დამწვარი სკოლისაკენ. მეხანძრეები აქრობდნენ. სეირისმაყურებელი მრავალი, ნაცნობი ბევრი. ქალები კიდევ ილანძღებოდნენ შიგადაშიგ. იქაც კი ბედავდნენ ლანძღვას. ბოზებო! – დაუწყო ძახილი ჯემალ ჩახავამ. სიბნელეა აქაც.

სახლები დაქცეული, მაგრამ ძირითადი ნაწილი გადარჩენილია, აცხადებდნენ პირიქით. ცოტა გადარჩაო. ყველაზე ლამაზი შენობა, სასტუმრო „თბილისი“, დამწვარია, მაგრამ ჩონჩხი, სახურავის ჩათვლით, დარჩენილია. შეიძლება აღდგენა. მხატვრის სახლს, „ინტურისტს“ ეძახდნენ ადრე, მე მგონი, აღარაფერი ეშველება. იგი ძალიან ძველი იყო. სკოლაც თავიდანაა ასაშენებელი. რუსთაველისა და ოპერის თეატრები გადარჩენილია. რუსთაველის თეატრი დაზიანებულია... ყველაფერს ეშველება დაღუპვულთა გარდა. რისთვის და ვისთვის? ვისთვის დაიხოცნენ უბედურები. არჩილ სულაკაური შემხვდა, თავის რედაქციას ათვალიერებდა ქვევიდან, არ ღირს შესვლა, რადგან აღარაფე-

რია შიგო. გამოვბრუნდით, მე, ლევანი, ქვისლი ჩემი, თ. იოსელიანი, არჩილი, შაშიაშვილი შემომხვდა.

წუხელ სროლები ისმოდა უბან-უბან. ეგ უკვე ბუნებრივი მეჩვენება. ბრძოლის გამოძახილია. დაწყნარდება ალბათ ყველაფერი. დარია, სითბოა. ეგ კარგია.

7. I. 92 წ.

* * *

14 იანვარი. სამშაბათი.

დღეს ვიყავი „ბუნაგში". წამოდი, გინდა თუ არაო, ელდარმა და წავედი. სიგუა გუმბარიძის კაბინეტში ზის, თუ სართული არ შემეშალა. ერთხელ გუმბარიძესთანაც, მაშინაც ელდართან ერთად, ვარ ნამყოფი. სიგუა კი, გამსახურდიას დროს, უმაღლესი საბჭოს შენობაში იჯდა. რას აკეთებდა, არ ვიცი, მხოლოდ კაბინეტი იქ ჰქონდა. იქაც ვიყავი მანქანის საქმეზე, გაკეთებულად ჩათვალეო. ჩავთვალე, მაგრამ არა გამოვიდა რა. ეგ არაფერი, სახსენებელიც არაა. ამ დილით კი სხვა სიტუაცია დამიხვდა, ცხადია. სიგუას ეძინა, გაიღვიძებს მალეო. კიტოვანი გამოვიდა თვალების ფშვნეტით. ვითოჟირი წელზე. ველვეტის შარვლის ქამარზე ჩამოკიდებული, დაბალი, მელოტი, უნდობლად, რაღაცნაირად გამომშრალი. მომაჩერდა, ვინაარ, ფიქრობდა. კაბინეტში ვზივარ დაუპატიჟებლად. შემოდიან, გადიან, ერთმანეთს იცნობენ სამაგიეროდ. კიტოვანს უთხრეს, ვინც ვიყავი, რაღაც მომენტში, ამას მასზე კი არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

იქ იყვნენ:

შარაშენიძე (თავდაცვის კომისარი);

კიტოვანი (ვინც არი);

ჯაბა (არ იყო, ვინც იყო!)

მაისურაძე (და იყო კაგებე) და სხვები...

გიორგი შენგელაია მოვიდა. სიგუამაც დალია ყავა. ცალკე

დავსხედით. ვისაუბრეთ, მე ქუთაისური ინფორმაციებით ვილაპარაკე. მქონდა რაღაც ცნობები და საკუთარი მოსაზრებები. სიგუა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა თითქოს და ნორმალურს ჰგავს კვლავ. ბოლოდროინდელ მიტინგებზე სულ სხვა იყო. ახლა კინაღამ ისეთი დამიხვდა, როგორიც მახსოვდა, წართმეული მანქანა რომ ვერ დამიბრუნა, ისეთი. პრინციპში, მაინც რბილი კაცია. იყო საშტაბო-საომარი განწყობილება, სიგუა არძინბასაც ელაპარაკა.

მოვიდნენ, წავიდნენ, ორი ბეტეერი შემოიჭრა გორში და დაიკარგაო, რეკავდნენ, უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. განწყობილება – მოქალაქეთა განწყობაზე უკეთესი და მე მგონი, საქმე მაინც უფრო ცუდადაა, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ. არძინბასთან საუბარი დაყვავებით. ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობდნენ (ელდარი, შარაშენიძე, მაისურაძე, კიტოვანი, გიორგიც) და სხვა უცნობი პირებიც. Хуй – სულ ხშირად ახსენებდნენ სიგუასა და ელდარის გარდა. წვრილად, ნათლად მახსოვს ყველაფერი, ტელეფონზე ლაპარაკების ჩათვლით და ჩაწერას არ ვთვლი საჭიროდ, თუ რამეს ფიქსაცია გავუკეთე გუნებაშიც კი, აღარ დამავიწყდება, თუმცაღა ეს კანონი, ჩემს ასაკთან შეფარდებით, შეიძლება გაბითურებულად ჩაითვალოს.

ზ. გამსახურდია რაღაც სხვა პლანის, სხვა ყაიდის კაცი იყო. რაღაც ჰქონდა პროვინციალურიც, თბილისელს, თბილისში გაზრდილს (ვადარებ ვიღაც-ვიღაცეებს) არც ჰგავდა. ამ მხრივ იგი ჩამორჩენილიც მგონია. ეს მამის გავლენაცაა. კონსტანტინეს დროს ჩამორჩენილობას აბრალებდნენ და ეს არ იყო სიმართლეს მოკლებული. რაღაცნაირად, რატომღაც, იგი ვერ აღიქვამდა თანამედროვეობას, მან ვერ ასახა, ასე მგონია, მისი დრო. თავის ეპოქაში, თავის დროში იგი ეძებდა წარსულს. მან თავისი თავგადასავალიც ვერ დაწერა...

14. I. 91 წ.

* * *

16. I. 92 წ.

ახალი წერტილი — ზუგდიდი გაჩნდა სატელევიზიო პოლიტიკურ რუკაზე. აჩვენა კიდეც სიენენმა — ზუგდიდი — თბილისი. ეგ გვაკლდა და ამასაც მოვესწარით. გარეწარი გამსახურდია ახლა ზუგდიდში აგდიაო და იქედან იმუქრება, ნაპოლეონივით აპირებს იქედან თბილისში შემოჭრას. უდღეურის დღეები დათვლილია, მაგრამ ბნელ ხალხს რა უშველის. ბნელი, ბნელი, ძალზე ბნელი ერი აღმოვჩნდით. დიდი ბრძოლა მოვახმარე სიბნელის გაფანტვას მეც, კამათით, დავით, ირონიით, ხუმრობით, საუბრებით, პირადი კონტაქტებით, უკონტაქტობით, წყენითა და უმადურობით. ახლა ვხვდები, კიდევ კარგი, ახლა და არა მაშინ, რომ წყალში იყრებოდა ყველაფერი... თუმც სიტყვა მაინც თავისას შვრებოდა და ის თავგამოდებაც არ დარჩება უნაყოფოდ... ახლა ამის თავიც (კამათის, მეტყველების, ახსნის) აღარ მაქვს.

ძალიან, ძალიან მებნელება, წყვდიადი მგონია ირგვლივ...

16 იანვარი, 1992 წ.

* * *

26 იანვარი, კვირა.

თოვდა თბილისში დილიდან.

შუადღეა. ახლაც თოვს უდღეურად. დღენათელია. ეტყობა, ვერ დადებს.

ჩავრჩი თბილისში. ხან ომია, ხან უამინდობა, უგზოობა, სიბნელე. წასვლა მინდა, ვერ მივდივარ. საჭიროცაა ჩემი იქ ყოფნა. ქუთაისი ჩამარხულა თოვლში. დავრეკე ძლივს. ბენია კარგადაა, მარტოა თოვაში, უელექტროობაში, უპურობაში ბერიკაცი...

ნუგზარი გავიდა სადგურში, იქნებ რამეს გავყვეო.

ვმუშაობ. ვამთავრებ „კუდიან ვარსკვლავს". არ ვჩქარობ. საქმე მიდის მაინც წინ. ვითარება რთულია კვლავ. ხალხი გაჭირვებაშია. სიბნელე არ ითრგუნება.

გარდაიცვალა ჩემი კარის ყოფილი მეზობელი გოგია კენჭაძე, გაურკვეველი მსოფლმხედველობისა და ეროვნების მკურნალი.

კურნავდა ხალხსაო. დიდი ფული იშოვნა, მე მგონი, გადაყვა კიდეც ფულს. დღევანდელ დღეს იმ ფულს არ შეარჩენდნენ, რაღა ლაპარაკი უნდა. შიში, ნერვიულობა ალბათ.

შიშში ვცხოვრობთ სუყველანი.

* * *

გუშინ, 30 იანვარს ჩამოვედი ქუთაისში. დიდი თოვლი დევს, მხოლოდ აღარა თოვს. ქალაქი პარალიზებულია ყოველნაირად, ხალხი არაა დაღონებული, დეპრესირებული. სამაგიეროდ მიტირიან გამსახურდიას მრავალნი. აგინებენ ქალები მწერლებს, სხვებსა და სხვებს... თბილისში თუ დაბალი წრეებია ჩათრეული ამ სიბნელეში, აქ უმაღლესი „ელიტა": პედაგოგები, ექიმები და ასე შემდეგ. დიდთოვლობას შეუწყვეტია მიტინგები, ქალაქელებმაც ივარგეს. შეიძლება ითქვას, ქუთაისმა გადაარჩინა საქართველო ძმათამკვლელი ომისაგან. მეგრელთა და სამტრედიელთა მანიფესტაცია რომ შემოეშვათ, აქაურები რომ არ მოეთოკათ, ნამეტანი ცუდი ამბები მოხდებოდა მთელ დასავლეთში. საზვიადოსაც ქუთაისის ამბოხების იმედი ჰქონდა.

ცივა გარეთ და შინ. დენია, ღვთის მადლით. შეშა თოვლქვეშ ჩამარხულა, სველი, დამპალი. ბუხარში ცეცხლი ვერ დავანთე სერიოზული.

თავის გადარჩენაა მთავარი. მე უკვე ნათელი გონება მაქვს და შემიძლია მუშაობა. ველარც გავჩერდები უკვე უსაქმოდ. ჩემი საქმე კი წერაა... ღვინო აღარ მიშლის ხელს და ყოველგვარ სიტუაციაში შემიძლია უკვე წერა, ბევრის – არა, ცოტ-ცოტასი ყოველდღე.

31. I. 92 წ.

* * *

1 თებერვალი. შაბათი. ქუთაისი, 1992 წ.

ბენია გავაცილე, თბილისის მატარებელში ჩავსვი. ისევ თოვს. თუ არ შეწყდა და ითოვა, ცუდად წავა საქმე. სადგური ნახევრად ჩაბნელებული, ხალხი უსიხარულო, ადრინდელი მხიარულობა წამსვლელ-დამრჩენისა აღარაა. ნასვამიც ჩანდა. მატარებლით ჩამოვემგზავრე გუშინწინ. აღარც მახსოვდა, ბოლოს როდის ვიჯექი შიგ. ადრე – სულ მატარებლით, შემდეგ, 1974-ის ბოლოდან, სულ ავტომანქანით. თუმც 1987 წლის ზამთარში რამდენჯერმე ვიმგზავრე ახალი ქუთაისიდან, იმ სადგურს კი სადგურად არ ვთვლი... აქაური ახლობელია. ყველა ჩამოსვლა სახლს ნიშნავდა. სადგურში ფეხის ჩამოდგმა შინამდე მისვლის პრობლემასთანაა ყოველთვის დაკავშირებული. აქ ეგ არ მქონია. გადმოვიდოდი მატარებლიდან, ვგრძნობდი, შინ ვიყავ. სადგურის კუდი, რკინიგზის საავადმყოფო, ნ. წიქორიას, გედენიძის და ჩვენი სახლი. მსუბუქი გასეირნება და ჩვენი ჭიშკარი. გუშინწინაც ეგრე მოხდა – გადმოვედი და შინ ვიგრძენი თავი. სადგური ნაცნობი, განძელები შავი, ბალახი, სარეველა განძელებში, ვოგზალი, ძველი, აღარაა, მაგნოლიას დიდი ხე, ჭადრები. აღარ არიან... სადგური მაინცაა... იგი ბევრ რამეს მახსენებს...

ახლა თოვდა. გადათეთრებული იყო ყველაფერი. სროლის წყვეტილი ხმაც ისმოდა თეთრ სიბნელეში.

კარგი ცეცხლი დავანთე ბუხარში. ნაჭა დავამაგრეთ, ქვაბი ჩამოვკიდე სასინჯად, იყო გონერი, მოვიდა კოკლი, მედიკო... დალიეს ღვინო... მე ვერა...

ვიღაცას უჭირს, ვხვდები, სამეზობლოში, მთელ საქართველოს უჭირს. რა გველის, არ ვიცით... ჩვენთან არს ღმერთიო, დავისწავლეთ და ვიძახეთ წარა-მარა. ჩვენთან იყო? ჩვენთანაა?

დენი არი, ღვთის მადლით. ჩართული მაქვს, მათბობს, არ მათბობს, ვერ ვთბები და ვთბები. ბუხრიან ოთახში ვეღარ

ვჯდები რატომღაც, აქეთ გადმოვანაცვლე. ტელევიზორის გამოც. იქით გატანა მეზარება. დიდი მაგიდაც მომწონს, გაზაფხულ-ზაფხულში იქ ჯობია, ნამეტან სიცხეში – აქ.

თბილისში ვერ ვრეკავ, ისინიც ვერ მიკავშირდებიან...

მან უთხრა მათ: თქვენი საქმე არ არის, იცოდეთ დროები ან ვადები, რომელიც მამამ დაადგინა თავის ძალაუფლებაში (მოციქულთა საქმენი).

1 II. 92 წ.

* * *

2 თებერვალია.

ბარდნის. თოვლი, ყინვა, ჭყვაპი არ მიყვარს, მაგრამ თოვა მიყვარს, დღენათელია და დიდხანს არ გასტანს. ვატყობ და ესეც კარგია. ახლა ლამაზად ჩამოდის ცა. თოვს და თოვს. ვხედავ ხეებს, სახლებს დათოვლილს, გამვლელ-გამომვლელთა სილუეტებს.

ტელევიზორი შრიალებს, ველოდები, ტელეფონი დუმს. კედლის საათი წიკწიკებს, ელექტრონია და თბილა, საღამორელე ბუხარსაც გავაჩაღებ კაბინეტში, თუ სტუმარი მოვა, თუ არ მოვა – მაინც.

* * *

3. II. 92 წ.

ღამეა, ყინავს. ცა მოწმენდილია და ბევრი ვარსკვლავი ჩანს.

სტუმრები გავაცილე. ახლა ისევ სითბოში ვარ.

მოვუსმინე შევარდნაძეს, ბევრი ილაპარაკა. სადღაც საინტერესო იყო, სადღაც – პირიქით... ხან გაოცებული ვფიქრობდი, ეს კაცი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობს, მონაწილეობდა? ხან დასაშვებად მიმაჩნდა მისი მონაწილეობა მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში...

ბევრ შეკითხვას იდიოტურად უპასუხა, ზოგს – ღირსეულად. საქართველოში მის მოღვაწეობას მისი მოღვაწეობისდროინდელი აზროვნებით გამოეხმაურა, შემდეგ – უფრო სხვანაირად...

ახლა ჯაბა გამოვიდა ტელევიზორში, საშინელი სიტყვა თქვა, მძიმე მოსასმენია.

არადა, სხვა გზა რომ არ ჩანს!

* * *

7 თებერვალი.

თოვს წვრილად, წყალწყალად, მარტულად. წუხელ მაინც დაუფიფქია ხეები. გუშინ დიდი კინოს დიდ დარბაზში სამხედრო საბჭო შეხვდა ქალაქს. მოვიდნენ ბნელები ორგანიზებულად. დახვდნენ მოუმზადებლად. ფაქტიურად, მიტინგი ჩაატარა საბნელომ. სიტყვის თქმაც კი მინდოდა, მაგრამ ამ ბაზარში რა უნდა მეთქვა. წამოვედი, წამოვიდნენ სხვებიც, დარჩა ქუჩის ხალხი. ძალზე მძიმე და რთულია დღევანდელობა. სიცივე, შიმშილი, შიში და სიბნელე. ყველაფრის ატანა შეიძლება – სირეგვნის გარდა. უნდა გავუძლოთ, სხვა რა გზაა. საბეჭდად ვემზადები (ძეგლების მსხვრევა)... რა ხანია, თითი არ დამიკარებია კლავიშებისათვის. წუხელ მოვსინჯე, არ გადამვიწყებია... ვერც მიმაქვს თბილისში. იქ ბავშვებს ვერ ვუმალავ. გერმანული „კოლიბრი“ გააფუჭეს, თუმც იქ ვერც ვერასოდეს გამოვიყენე.

დედა უტირეს მწერლობას. აღარავის გაგონება აღარ უნდათ. მ. მაჭავარიანი კარგი პოეტიაო, იმიტომაა კარგი, რომ ზ. გამსახურდიას უჭერს მხარს, ფეხებზე რომ კიდია ზვიადიც და ხალხიც, არ იციან.

მაინც თოვს.

მაინც საქმე!

1992 წ.

* * *

8 თებერვალი.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. შარშანდელივით თოვლია, თოვს კიდეც, წუხელ დათოვა. მსვლელობას აწყობენ გელათში გამსახურდიას მომხრენი, იქაურობაც უნდათ წაბილწონ, ჩავრჩები აქ, ეტყობა, ისევ... წავა მატარებელი, არ წავა.

ვბეჭდავ „ძეგლების მსხვრევას". დიდხანს ვერ ვჯდები საბეჭდ მანქანასთან. ცივა, ადრე ღამდება, დენი ითიშება. სხვა საქმეცაა და შემდეგ ტელევიზორი. რაღაც შეკრება მინდა მოეწყოს ქუთაისში, რაღაც მაქვს სათქმელი, თითქოს აუცილებელიცაა. გუშინ აქ იყვნენ – რედაქცია, რუსთაველის საზოგადოება. მოვილაპარაკეთ. თუ არ განელდა ჩანაფიქრი... იქნებ არცაა საჭირო შეკრება, შეხვედრა, სიბნელეს ვერ გაფანტავ, ვინც იცის, იმან ისედაც იცის... თუმც მთლად ეგრეც არ უნდა იყოს...

1992 წ.

* * *

9 თებერვალი. კვირა.

კვლავ თოვს. მთელი ღამე თოვდა, როგორც ჩანს. სახუმაროდ აღარაა საქმე. იმარხება თოვლში ქუთაისი, ფანჯრებზეა მოსული თოვლი. უბერავს, ბუქია და დასავლეთიდან მოაყარა ნამქერი. წყალი არაა... შუქი არი ჯერჯერობით, ესეც თუ გათიშეს, რას შვრები. ერთი ტომარი ნაქურჩელა ჩამომიტანა წუხელ ვარლამმა, ერთი აბრიალებაა. შეშა არის, თოვლშიც ბევრი ჩარჩა. აღარ დამჭირდება-მეთქი და აღარ მივხედე... გუშინ უნდა გამომეთრია...

ვარლამმა, 78 წლისაა, თვალი გამოიცვალა, თექვსმეტი წლის გოგონას (დაღუპულა ავარიაში) თვალი გადაუნერგეს. იხედება, აღარ აწუხებს, რვა თვის შემდეგ ნაკერებს ამოგიღებთო. შეეთვისება ახალგაზრდის ორგანო ბებრისას? ოპერაცია მოსკოვში,

ფეოდოროვის კლინიკაში გაუკეთეს. იყო კი აუცილებელი? ექსპერიმენტებს ატარებენ იქაც.

იქცევა ქვეყანა და „ლენინს“ ვბეჭდავ.

9. II. 92 წ.

* * *

10 თებერვალი.

ისევ თოვდა. ახლა ღამეა. თუ კიდევ თოვს და ითოვა წუხანდელივით, ქალაქი ჩაიმარხება თოვლში. სახურავზე ვიქნები გასასვლელი და ვერც გავალ. წასვლაც რომ შევძლო, არ მოძრაობს არაფერი, როგორ მივატოვო ეგ სახლი, ან თოვლი გასრესს, ან ქურდები გაძარცვავენ... მე რომ ვარ, რას ვიზამ. ყაჩაღები ძარცვავენ ოჯახებს, ოჯახის წევრებს. საშინელებები ხდება... დღისით ბიჭები იდგნენ საავადმყოფოსთან, კაკოც იქ იყო. ბირჟა აქვთ. გამოვლენ სახლთან, დგანან. რა უსიხარულო ცხოვრებაა. ასე არაა თბილისშიც! უბან-უბან არიან დანაწილებულნი. ხილიან-დოლიძის ბირჟა ამ ქუჩების გადაკვეთაზეა, ღერძზე, კვაჭანტირაძის და ელდარის სახლამდე. დგანან, აბოლებენ, იყოფენ ნარკოტიკს, აფურთხებენ... ვინც იპარავს? ქურდები ჩემს თავზე იკრიბებიან. მანქანების მპარავები – არ ვიცი...

ქუთაისში, ახალგაზრდობის დროს, ყველანი „ქალაქში“ ჩავდიოდით. ყველა იქ დგებოდა. მართალია, იყო უბნები – ბალახვანი, საფიჩხია, სადგურიც – ლოთები, ბოზები... აქ, ჩვენს ახლო, არავინ ჩერდებოდა. თუმც იქ იყო ორი, ხანდახან – სამი მაღაზია, ყავდათ თავიანთი მუდმივი მუშტრები. ჩვენ არ ვჩერდებოდით და მაინც უფრო ხალისიანი იყო ცხოვრება... საპარიკმახეროც იყო ერთ დროს, დუქანი, დოლ-გარმონიც და სხვა. ახლა, მარტო ამ სიტუაციის გამო არა, უსიხარულოა ცხოვრება, არსებობა. ორი გვერდი დამრჩა გადასაბეჭდი, რატომ ვბეჭდავ, ვის ჭირდება.

რთულია მაინც აქ, ასე მეჩვენება, ცხოვრება... სიმყუდროვე მაინც იყო ადრე. ჩვენთან, აქ, არავინ მოდიოდა საქურდლად,

იცოდნენ, სად უნდა მისულიყვნენ... ახლა ესეც აირია. ვინ რას აკეთებს, ვინ რას იპარავს, ვინ რას იგლიჯება, კაცმა არ იცის. ამდენი უსაქმური, ამდენი გამოფიტული, ცარიელი, ღატაკი სულით ახალგაზრდა არის კიდევ სხვაგან? არის ალბათ, მაგრამ რა შეღავათია...

მოსახლეები ადგენენ რაზმებს, ათევენ ღამეებს, ყარაულობენ თოფებით უბნებს, დაუჭერიათ, დაუჭრიათ წუხელსაც ვიღაც-ვიღაცეები. ვუსმენდი ზ. ებანოიძეს, თ. ლანჩავას... აშკარად აღარ მინდა აქ სამსახური, ყოფნა, დროებით, კი. სულ მომენატრება და ვერც გავძლებ უაქაოდ, მაგრამ ახლა მიჭირს...

თბილისში მეტად ვნერვიულობ, აქ დეპრესიასავით მემართება და სულ არაა მარტოობით გამოწვეული. ესეცაა, მაგრამ ატმოსფერო გახდა აუტანელი. ტელევიზორი მიშლის ხელს, იქ ვისმენ, აქ ვწერ და არ გამოდის...

თუ თოვს, უკვე ნამეტანია.

დღეს ქუჩაში ისეთი რამ გავიგონე, გამეცინა და მომეწონა.

ერთმა ქალმა უთხრა მეორეს: აღარ დაიღალა ამდენი თოვით!

10. II. 92 წ.

* * *

11 თებერვალი.

კვლავ თოვდა. ქალაქი თოვლის გორებშია. დღეს თოვლავდნენ სახლებს. ხვალ ჩემი სახლიც ხელმეორედ იქნება გადმოსათოვლი. ისე ამახინჯებენ ქართულს (კრიშა, ჩერდაკი, სხვა და სხვა), მიკვირს ამ კაი სიტყვას — გადმოთოვლას რომ ხმარობენ...

„შ. ხვინგიაძის თავგადასავალი“

დიდთოვლობაშია მოქმედება. მართალს ლაპარაკობს მასპინძელი, მაგრამ მართალია სიყვარულში, მოგონებაში, მასპინძლობაში, ამიტომაა თოვლი, სითეთრე, სისპეტაკე. ტყუილს ბევრი ამბობს (ნაწარმოებში), მაგრამ ცოტაა წრფელი და ალალი.

ეგაა მთავარი. ადამიანებს ვიცნობ, ტყუილს (ფაქტობრივს) არ იტყვიან, მაგრამ ცრუობენ, თვალთმაქცობენ გრძნობაში, კაცობაში, სიყვარულში. ამნაირ ხალხს, ვერ ვიტანო, ვერ ვიტყვი, მაგრამ არ ვპატიობ სიყალბეს...

მეზობელი გარდაიცვალა, ახალგაზრდა კაცი. იწვალა, მოკვდა წუხელ. თუ თოვს-მეთქი, გავედი ეზოში გვიან და განათებული დავინახე სახლი, რაღაც მოხდა, მივხვდი... ამ თოვაში, ამ უამინდობაში დაკრძალვა. ტრანსპორტი არ მოძრაობს... ქუთაისის მატარებელი არ იყო ჩამოსული დღის ბოლოს, თბილისიდან გამოვიდა თუ არა გუშინ, ისიც არ ვიცითო, სადგურში მითხრეს. თბილისიდან გამოსვლას რაღა უშლიდა ხელს?!

* * *

12 თებერვალი.

კოკლიმ თქვა, 12 თებერვალს შეწყდება თოვაო. შეწყდა. მისი დაბადების დღეც ყოფილა და ქეც მოვიდნენ ისა და ბატონი მურმანი. სხვებიც შემოგვემატნენ, ჯერ გადმოვთოვლეთ სახლი სანახევროდ (გონერი და მისი დისშვილი), ერთი ფენა ააცალეს, თოვლის ერთ დიდ შემოტევას კიდევ გაუძლებს. დილით ბაზარში ჩაველ. ბაზარში ხანძარი, პირდაპირი გაგებით. ცეცხლი წაკიდებია სამხრეთ მხარეს... დაწვეს ალბათ. ხალხი მაინც – მყიდველი, გამყიდველიც. ყველი ვიყიდე – კილო 80 მანეთი. რიგები პურზე და სხვა. აწი თოვლმაც უნდა იწყოს დნობა, წესით, თუ მატარებელი გავიდა, შეიძლება, წავიდე ხვალ თბილისში. გადავბეჭდე „ძეგლების მსხვრევა". ახლა ჩავასწორე, რაღაც-რაღაცეები არ მომეწონა... ახლა ტელევიზორში „სამანიშვილის დედინაცვალია". რამაზი – კირილე, გენიალურია...

ეროსი და რამაზი (ხანუმა). როგორ მიხარია, რომ ბოლო სპექტაკლი (განახლებული დადგმა) ვნახე ხანუმასი.

ეროსი და რამაზი აბესალომ-მურმანის დუეტივით ასრულებდნენ. ფანტასტიური იყო...

12. II. 92 წ.

* * *

17 თებერვალი, ორშაბათი, 1992 წ.

თბილისში მშვენიერი დარებია. ხვალაც თუ მოწმენდილი იქნა, ათბება. „ლიტერატურულ საქართველოში“ მივედი თამაზთან. მოვიდნენ: ა. სულაკაური, გ. დოჩანაშვილი, ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი, ვ. გოგუაძე, გრიგალაშვილი, ჯ. თითმერია, თ. ლანჩავა, ვ. როდონაია. მივიტანე „ძეგლების მსხვრევა“.

თბილისქალაქი მშრალია და კეთილამინდიანი. დიდი მოძრაობა (ახლა იკლო), ავტოტრანსპორტი რომ არ იყოს, საცხოვრებლად ადგილი არ აჯობებდა. ჩემი სახლიც ბედნიერი გამონაკლისია. ჩემს სათბილისო მახსოვრობაში (1954 წლიდან სამხედრო გაკვეთილები) სპობდნენ ვერეს ხევს, ზოოპარკის ტერიტორიას და ჯერ კიდევ ვერ მოსპეს.

ფეხით გავიარე დღეს ძველ თბილისში. ერეკლე II-ის ქუჩა. კინო-ფოტო მუზეუმის ალაგას (რატომ დაანგრიეს ის ძველი სახლი?) გათხრებია... ბაზილიკა აღუდგენიათ. სამეფო თუ საუფლისწულო სასახლის მარანი გამოუჩენიათ და სხვა. სასაცილო ნამეტანი. მზეს ეფიცხებოდნენ წვეროსანი ახალგაზრდები და რელიგიის დოგმებზე, ტრადიციებზე კამათობდნენ მშვიდად. წიგნები შენისთანა ურწმუნოებისათვის იწერება, მორწმუნემ ეკლესიაში უნდა იაროს, ქადაგებას უნდა უსმინოსო, ყველაფერი ეცოდინება მაშინაო, ერთი უხსნიდა მეორეს...

* * *

21 თებერვალი, 92 წელი.

გუშინ წამოთოვა. დღეს ისევ მზე და ცივი ნიავია. მიწისქვეშა გასაძრომში, ფილარმონიასთან, ორი ქართველი ბიჭი უკრავდა ორ გიტარას და მღეროდა. ბამბის ქუდები ეხურათ თბილად (ერთი – სათვალით), არცთუ ცუდად ეცვათ. ფული ეყარათ წინ საშესაწიროზე. თანატოლები ედგნენ და უსმენდნენ. ფული ჩემ დროს არავის დაუგდია. ვერ მღეროდნენ, ქერო უნდა, მაგრამ

(სიმღერასთან შედარებით) კარგად უკრავდნენ. ამდაგვარ რამეს თბილისში არ გადავწყდომივარ. ხალხს ნორმალური გამომეტყველება გაუხდა. ადრე მეტად დაღონებული იყო. შეწუხება არა, პირადი წუხილი უფროა, ვიდრე საყოველთაო. რას მოგვიტანს გაზაფხული?

წიგნად უნდა გამოვცე ორიგინალური კინომოთხრობები. ბევრი საინტერესოა იქ, უამრავი პერსონაჟია და სხვა. რატომ უნდა დაიკარგოს, ზოგიერთი დაბეჭდილია, დაუბეჭდავებს გავკრავ ხელს, მრავალი ვარიანტიდან (ნაწვალებიდან) ავარჩევ უკეთეს ეპიზოდს. ჩამოვთვალო ბარემ:

1. ცისფერი მთები
2. ჭიდაობას რა უნდა
3. ბერსათრიელა
4. ბოსტოიამ თქვა

მივამატებ:

1. გათენების წინ („ყაჩაღებს" დავარქმევ)
2. „ტურანდოტი" (ჩემი ვარიანტი. შაფათავამ რა გადაიღო, არ ვიცი)
3. ფეხბურთი (ჩემი ვარიანტი. სხვისი არ წამიკითხავს. ფილმი არ მინახავს)
4. ასკილის წითელი ყვავილი.

თოვს ისევ. მაგინებს, ალბათ, ტ. ჭანტურია. გუშინწინ მიმტკიცებდა, აწი და აწი კაი ამინდები იქნებაო. გაზაფხული მოდისო. ეგრე არაა, ჩემო ტარიელ-მეთქი, მოთოვს კიდევ-თქვა.

საქართველოში კარგი არაფერი. სიგლახე სიგლახეს ემატება, სისასტიკეს — სისასტიკე. ნაძირალა გამსახურდია, დედას არ უშვია ჯერ საქართველოში იმნაირი ნაძირალა, ჩეჩნეთიდან იბრძვის, საკუთარ ხალხს (სად ყავს ხალხი) ებრძვის!

22. III. 92 წ.

* * *

ახლა მართლაც თოვლია თბილისში. დღეს ისე რა და გუშინ მართლა კარგად თოვდა. ანზ. სალუქვაძემ, თ. ჩხენკელმა დამიძახეს ეზოდან, – ჩამოდიო, ნასიარულები ვიყავ, მაგრამ ჩავედი, კიდევ ვიარე, დღესვე ვნახე ჯაბა იოსელიანი.

გ. ხარაბაძემ და თ. წივწივაძემ მითხრეს, წამოდიო, გაზეთის ქაღალდის საშოვნელად მიდიოდნენ. წავყევი. ჯაბაც სანახავი მყავდა. გაეხარდა. როგორ ხარო, გამომკითხა. წყლული აქვს იმასაც და ჩემი აინტერესებდა. შემდეგ სიტუაცია დავუხატე ქუთაისური. გაბრაზდა, გინება დაიწყო. ჩემი გინებაო, შემდეგ თქვა, ცოლს არ გაუგია, ახლა ვიგინები იმიტომ კი არა, რომ წონასწორობიდან გამოვდივარ, არამედ მაგათ დონეზე დავდივარ, საჭიროაო. გამხდარია. სიბერე არ ეტყობა. თითები აქვს, აღნაგობასთან შედარებით (ადრეც მიმიქცევია, ცხადია, ყურადღება) – პატარა, თუმც – არა უშნო. ხმა მოგუდული, ცხვირისეულიც. ადრინდელ შთაბეჭდილებას ველარ ტოვებს, ზოგიერთი მამაკაცი სიბერეში გამოკეთდება ხოლმე. ჯაბას არაფერი ჰქონდა გამოსაკეთებელი. დაკარგვია, არ შემატებია... ანდა პირიქით...

ცხოვრება კი უკან და უკან... რა გვეშველება! კიტოვანი მოსკოვშიაო. რატომო, გოგია ჩააცივდა. შევარდნაძე ჩამოგვყავსო, ჯაბამ ჩაილაპარაკა.

ერიკა ჟღენტი ვნახე პურის რიგში. ერთად წამოვედით პურებით. უბედური სიტყვებით აგინა შევარდნაძეს, არც სხვას დააყარა უკეთესი დღე, ზვიადს არ ვიცავო, ესეც დააყოლა, მოსკოვში არ დაედგომება და აქ მოდისო. შვეიცარიაში თუ ჩაესვლება, ან პარიზში-მეთქი, ვკითხე.

ვამთავრებ „კუდიან ვარსკვლავს“ და ზუსტად ჟღენტზე ვარ გაბოგირებული (ასტრონომი ჟღენტი). ორიოდე დღის სამუშაოღა დამრჩა ამ ეტაპზე, შემდეგ სხვა იქნება...

24. II. 92 წ.

* * *

გადმოცემა ტელევიზორში. აკ. შანიძე.

კაცი, რომელმაც დიდი ხანი იცოცხლა. შესაშურია და მოსაწონი და ამაში მე პიროვნულ ღირსებასაც ვხედავ. ასეთი კაცი ბუნებრივი ნიჭით, ტალანტით (როგორც მუსიკოსი, მათემატიკოსი და სხვა) დაჯილდოებული მგონია.

მივჩერებოდი სხვადასხვა ასაკში გადაღებულ აკაკის ფოტოსურათებს. ჯანმრთელი ჯიშისა, ყინვაგამძლე თუ ასაკგამძლე. სახეზე აწერია ცხოველური წარმოშობა, ჯიში. გადარჩეული და გამოყვანილია ბუნებრივ პირობებში. შთამომავლობას (თუ ქალს შეურჩევთ) ღონიერს, ასაკგამძლე ნაშიერს მოგცემს. სახე მკვრივი, ხმა – მაღალი, თმა – ჯაგარი და სხვა... ბენიაც ასე არაა, ერთი ნაოჭი არა აქვს სახეზე, კბილი არ აკლია (მელოტია, სამაგიეროდ, რაც თავი მახსოვს); დილით ადრე დგება, ვარჯიშობს, ძინავს, ჭამა-სმაში ზომიერი, ნაკლებდარდიანი, ჯიშიანიც, დედის მხრიდან განსაკუთრებით...

აკ. შანიძის ლექციები მახსოვს. II კურსი, უნივერსიტეტი: იგი მაშინაც ბებერი მეგონა (1955-56 წ.წ.). დაფაზე აუღლებდა სიტყვებს და ცარცში იყო მოსვრილი, აქებდა ნიკო მარს და აინტერესებდა გვარები. „რა გვარი ხართ“, „თქვენი გვარის წარმოშობა ასეთია“... და სხვა. ქართული „გრამატიკის საფუძვლები“ კი ბოლო კურსზე ჩავაბარე გიგინეიშვილს ცუდად. გამოცდის წინ, ერთი კვირით ადრე გავნაპირდი და ვიზეპირე უშედეგოდ შანიძის წიგნი. კოშმარი, არაფერი დამამახსოვრდა, არც ყოფილა საჭირო. წინადადებები უნდა დაგეშალა და სიტყვები გაგერჩია თურმე მხოლოდ სინტაქსურად, მორფოლოგიურად. ამნაირად არ მივარჯიშია, პრაქტიკულებსაც არ ვესწრებოდი. ნ. ბაბუნაშვილის კლასის იშვიათი სტუმარი გახლდით და დამიწერეს დამაკმაყოფილებელი, რადგანაც მაკმაყოფილებდა (ოთხიანი მეგონა). უპროტესტოდ გამოვედი გამოცდიდან. გარეთ მივხვდი, სტიპენდიას რომ ვკარგავდი. შემეძლო გამოს-

წორება, გადავადება, გვიან იყო. სხვა სამი, თუ არ ვცდები, არ მიმიღია...

26. II. 92 წ.

მაინც მოვა გაზაფხული!

* * *

1 მარტი, 92 წელი.

მოვიდა ეს გაზაფხულიც მარტულად, უსიხარულოდ. ამწუთას თბილისშიც მარტო ვარ. მამუკა ცოლოურსაა ცოლ-შვილით, გუბაზი ბორჯომში გაემგზავრა.

დავამთავრე „კუდიანი ვარსკვლავი" ნაკიან თვეს, ნაკიან წელიწადში, სწორება, შავად ბეჭდვა... ფიქრი... დიდხანს ვერ გავიჩერებ და გაზეთშივე (შევუთანხმე თამაზს) დავბეჭდავ გაგრძელებებით. გამოქვეყნდა „ძეგლების მსხვრევა". თავზე ვადექი და მაინც შეცდომით წავიდა თავსათაური – თითქოს „ლენინი" ჰქვია და არა „ძეგლების მსხვრევა"... ლენინი ქვესათაურია. ეგ არაფერი. ჯერ არავინ შემხმიანებია. სანოველ-სამოთხრობოდ ვის ცალია, თუმც წაიკითხავენ, გაზეთს ეტანებიან. ჟურნალი სხვაა. „განთიადის" ნომრები ჯერ კიდევ არ ჩამოუტანიათ. ეთერი წამოიღებს სასიგნალოებსო (№11-12), ელგუჯას ველაპარაკე. ველოდები. მეცხრე ნომერი წუნიანი აღმოჩნდა. გადავარჩიე რამდენიმე და იქაც შეცდომა. არჩილმა მითხრა, 14-ის მაგივრად ექვსია დაბეჭდილიო. ეგრე გამიკეთდა. რ. ჯაფარიძემ პირველი მომიწონა, იორამმა პირიქით და ასე შემდეგ... თ. კვაჭანტირაძეს უნდა დავურეკო, იმასაც ნაკლული ხომ არ შევახვედრე.

ახალი კონსტიტუციის ამოქმედება იზეიმეს გუშინ სპორტის სასახლეში ულიმღამოდ. ქუთაისში ისევ თოვსო. ღვთის წყრომაა. ამნაირი არ გამიგია. ბენია იყო გუშინწინ, ჯ. იოსელიანი კარგი კაცი ყოფილაო, ომის მონაწილეებს აღგვიდგინეს პრივილეგიებიო (მედლების ჩამოკიდების უფლება, პურის ურიგოდ აღება...). ცოტა ყოფნით ადამიანებს. ზვიადმაო, ახლაღა გაახ-

სენდა, მტრის ჯარში იბრძოდითო, გვითხრაო. დაახლოებით ეგრე განაცხადა მართლაც. როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება! ღორობა იყო ეგ! რა ბევრნი ეგენი დარჩნენ: რა უფლება გაქვს, შეურაცხყო ხსოვნა და მოგონება!..

1. III. 92 წ.

* * *

ხვალ ცოლის დაბადების დღეა. სიზმრადაც ვნახე წუხელ. დღეს ათბა. ქუთაისში კვლავ თოვსო. აქ ათბება უფრო, უცბად და ნამდვილად, ყველგან ათბება, თუმცა ამინდი რამდენჯერმე წახდება. მარტი მარტობას ხომ არ მოიშლის. აპრილშიც გადაყოფს „ნასესხებით“ თავს. საბურთალოს ბაზარში შევიარე ამ დილით. ცარიელი. ხალხი გაშტერებული. რაც არი, იმასაც ვერ ყიდულობს. მეტრო არ მუშაობს. შინ გათბობა არაა, დენი არაა, გაზი არა, ტელეფონი გამორთული. საომარი სიტუაციაა კვლავ. ღამით მოდის დენი და ტელეფონიც ირთვება, გაზიც აბჟუტდება. ქუთაისში და სხვაგან უარესობაა, რაღა ლაპარაკი უნდა. ქუთაისში წყალიც არაა. ნამეტანი რთული სიტუაციაა. გაზაფხულიც სასიკეთოს არ გვპირდება. იაპონელს უთქვამსო, პირველი ორი წელი გაგიჭირდებათო. შემდეგო? შემდეგ შეეჩვევითო. კარგი ნუგეშია!

მთავრობაში მინდა ასვლა ჟურნალის თაობაზე. ირაკლი ვნახო იქნებ. ფეხით წავალ, სურგულაძესაც ვნახავ და ცხენსაც გავხედნი.

3. III. 92 წ.

* * *

შევარდნაძე ჩამოვიდა დღეს დიდის ამბით, ტელევიზორით შევიტყვეთ. დღის ორის ნახევარზე გასვენების პანაშვიდიდან ჩამოვედი რუსთაველზე. ოპერასთან სიწყნარე, სიმშვიდე. დილით, ალბათ, დიდი „შესტვიე“ ყოფილა იმ რაიონში. მოდიოდა

და მოყვებოდნენ (ტელევიზორში), ხალხს არც აღტაცება ეტყობოდა, არც მწუხარება.

სუმბათაშვილი გამოვიდა და აგინა. ბრიყვების ჩვევაა პირდაპირობა და მიუხვედრელობა. ეჩვენებათ, რომ სხვა ვერ ხვდება, სხვა ვერ ხედავს სხვის ნაკლს. ზოგიერთი სადღეგრძელოში დააპირებს ხოლმე სიმართლის გამჟღავნებას. მეო, მართალი უნდა გითხრა, პირში მთქმელი კაცი ვარო და სხვა. სადღეგრძელო კი პირდაპირობასა და გულახდილობას არ ითვალისწინებს. სუფრაზე კაცს უნდა მოესიყვარულო ან აარიდო უნდა სადღეგრძელოს „რეჩს" თავი. საერთოდ, თუ გძულს სუფრაზე (შინაურულზე) ვინმე, არც უნდა გაჩერდე.

სუმბათაშვილი კი ბრიყვია.

ახლა გადარჩენაზეა მხოლოდ ლაპარაკი.

გადაწყვეტილი მაქვს ქუთაისიდან წამოსვლა. უქუთაისოდ გამიჭირდება, მაგრამ რა ვქნა, ჩავალ დროდადრო მაინც, არათანაბარი ინტერვალებით. მამულსაც მივხედავ მუხათწყაროში. სულაც თუ არ ვიმსახურებ, უკეთესია. თავს მივხედავ და საქმეს უპირველესს. მწერლობა, ნამდვილი, გარჩენს?!

მოვაწყვე ბუდე ქუთაისში, შევმყუდროვდი და აწი ავირევი...

აღარც იქით ვიყავ, აღარც აქეთ და მაინც...

7. III. 92 წ.

* * *

12 მარტი, 92 წელი.

ეს დღე გაზაფხულისნაირი იყო. ფეხით მივდივარ-მოვდივარ. თუ გადავაჭარბებ, თუ არა, არ ვაკლებ ნორმას, აუცილებელი რომაა ადამიანის არსებობისათვის. ეგაა ჩემ ასაკში ერთადერთი და სწორი ვარჯიში, შრომაც, ფიზიკური. ესეც იქნება და სიარული აღარ დამჭირდება. შევიარე რუსთაველის საზოგადოებაში. ვაჟა გიგაშვილთან შევყოვნდი. ვისაუბრეთ კუჭის წყლულზედაც (ვის რა აწუხებს!). იქ იყო ციალა არდაშელია,

ზალიკო სამადაშვილი, რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც არ ვიცნობ (ასევე ვერ მცნობდნენ იმ ასაკში უფროსები, თუნდაც კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში). ქუჩაში შემხვდა შაშიაშვილი. შენ თუ წამოხველ, მეც არ წავალ ქუთაისშიო, შენ იქ უნდა იყო პატრიარქივითო (ცოტა მაკლია პატრიარქობამდე). ალიონა შემხვდა შემდეგ ვარაზისხევში, შენ მაღლა უნდა იდგე პოლიტიკაზეო, ჭკუა დამარიგა. რაც მთავარია, მოვძებნე ის სახლი (რად უნდოდა მოძებნა), სადაც ვიდექ მდგმურად 1956-57 წლებში, სადაც გავბედნიერდიო, რომ იტყვიან სწორი და ირონიული მნიშვნელობით. იქიდან გადავბარგდი კალანდაძის ქუჩაზე, ცოლოურს, ცარიელ-ტარიელი. ქვეშაგებიც დედაჩემს გავატანე ქუთაისში, რომ არ დაეყვედრებინათ, ერთი ხელი ქვეშაგებით შემოვიდა ჩვენს ოჯახშიო. სწორედ განვსაჯე ჯერ კიდევ სტუდენტმა, სხვათა შორის. ნიკოლაძის IV შესახვევი იყო ჩემ დროს. ახლა შიო მღვიმელისა გამხდარა. რ. თაბუკაშვილის სახლია ბოლოში, ჭიაურელიც იქ ცხოვრობდა. შესულს, გამოსულს იმ ეზოში მოხვედრის სურვილი არ გამჩენია რატომღაც. 36 წლის შემდეგ აღმეძრა სურვილი, ველარ ვიცნობ-მეთქი იქაურობას. ისევ ისეა ყველაფერი. ორი გარაჟი ჩაუდგამთ მხოლოდ სიღრმეში. დანარჩენი ძველებურად. ხის კიბის ქვეშ ფეხსადგილი (მოქმედია კვლავ თუ არა, არ შემიმოწმებია). ჩემი ყოფილი ოთახის შუშიანი კარი და სარკმელიც. ხელი არ უხლია არავის. შუშებიც კი არ უნდა იყოს გამოცვლილი. ვინმემ არ მკითხოს-მეთქი, ვის ეძებო. კაციშვილი არ ჩანდა, არც ეზოში, არც აივნებზე, არცა ფანჯრებში. ვიდექი, ვიხედებოდი გულდაწყვეტილი, გულდამძიმებული...

12. III. 92 წ.

* * *

14 მარტი

საშინელი, საძაგელი ამბები ჩამოვიდა გუშინ ზუგდიდიდან. შევარდნაძემ თქვა: ვერ ვიტყვი, რომ მრცხვენია ქართველობისა,

მაგრამ ასეაო. მე უკვე (სხვებსაც), კარგა ხანია, ქართველობა არ მინდა. 13 III. თარსია მართლაც ეგ ციფრი. ციფრებისა, პითაგორელებისა არ მჯეროდა, არ დაადასტურა დრომ, ცოდნამ მათი საუკუნეობრივი თეორიები, რაში გამოიხატება, არ ვიციმეთქი და არ ყოფილა ეგრეთნაირად...

შემთხვევით გადავრთე გადასართველი ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე და გასაშტერებელ კაცს წავაწყდი.

მუხამედ სიდიკ აფგანი

ციფრებით წინასწარმეტყველებდა, ციფრებითვე ადგენდა ცხრილებს, წარსულის სურათებს აღრიცხავდა. ამა და ამ წელს ეს გადაგხდაო, ეუბნებოდა მოხალისეებს... მართალი ბრძანდებითო, გაოცებას ვერ მალავდნენ კლიენტები. ციფრი 7-ა მთავარიო. აბრა გამოჩნდა არაბულენოვანი (ცენტრი გაუხსნიათ ქაბულში) ამდაგვარად გაწყობილი.



ავედი მუხათწყაროში. სახლი მთელი, თუმც კარი ნაწვალები დამიხვდა. შეუჩნდა ვიღაც და გატეხავს ერთ დღეს (წასაღებს სულ იპოვის), კარს კარად წამიხდენს. ამოვლენ მალე ქართველი მუშები, პროლეტარები და დაიწყება წვრილ-წვრილი ძარცვა-გლეჯა. გაუჭირდებათ კია, ტრანსპორტი არ იქნება... თათრები ჩვენზე პატიოსანი ხალხია, არ უნდა ლაპარაკი. ახლა ასეა, შემდეგ რა იქნება, არ ვიცი...

ავიყვანე: რეზიკო, ბენია, ლეილა, მიშიკო, ნანუკა. იკოტრიალეს და ირბინეს თოვლში, ყოჩივარდები შეაგროვეს დედიკოსთვის. თოვლი დნებოდა, მიწა იყო რბილი და მანქანა ჩაეფლო, ძლივს ავიშვი, ვიწვალე, ვინერვიულე. თავი ამტკივდა, მტკივა ახლაც. წნევამ ამიწია ალბათ.

სულიკო შემხვდა, ჟღენტი. ოღია მოვიდა, შემდეგ – იორამი.

რა გვეშველება! როგორ განვითარდება მოვლენები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში? არავინ არა იცის რა.

სიდიკ აფგანის პროგნოზი: გაინტერესებთ?

1992 წ. კრიტიკული (არამდგრადი, ქალური და სხვა...)

1995 წ. გარდამავალი პერიოდის დასასრული

2005 წ. დაწყნარდება ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორია, დამყარდება მშვიდობა...

სამოთხე გვექნება თუ არა, არ იცის...

მშვიდობა იქნება... ნორმალურ ქვეყანას დაემსგავსებაო.

1992 წელი

* * *

18 მარტი.

გუშინ ჩამოვედი ქუთაისში. ასე მგონია, ერთი კვირა აქა ვარ. თოვლის უკანასკნელი ნაფლეთები ადის მიწიდან. გუშინ ხვეტდნენ, ყრიდნენ, ჩეჩქვავდნენ, გაჰქონდათ. კერძო მოსახლენი, მედუქნეები, მოსამსახურენი, დამსუფთავებელნი საქმიანობდნენ. წაქცეულს რომ წიხლს მიაყოლებ, ისე იყო. სანამ შეეძლო, სანამ ძალაში იყო, ხმას ვინ სცემდა-მეთქი, გაუჭირდა და მოდგნენ-მეთქი. შთაბეჭდილება დამრჩა ამნაირი.

ჩვენი შენობის (მწ. სახლის) ფასადის ნაწილი, პარაპეტი ჩამოანგრია თოვლმა. მივედი, საამშენებლო ნაგავი, ბარიკადები დამიხვდა შესასვლელში, პარმაღთან. სტამბაში გავედი ფეხით. დ. მანდარია ვნახე შინ. ვერ უნდა იყოს კარგად. ბევრი ვიარე, დავიღალე. ანტენა შევამოწმე მაინც სახურავზე შინმოსულმა. გადავაბი, გადმოვაბი, დავახვიე და სხვა. ივარგა, ივარგა, თუ არადა, ჯანდაბას. სახურავზე ვიყავ მორთხმული კარგახანს და ქალაქს ვუყურებდი. კრამიტიანი რომ იყო, უფრო მიყვარდა. იქ ვიცოდი ცქერა, ფიქრი. ახლაც ვზი, ვფიქრობ, ვუყურებ... არი კი რამე საყურებელი? სადგური ჩანს ხელისგულივით, მართალია...

ეთერი, ჯ. გედენიძე, ბოლოს იუზა, — მესტუმრნენ... ჩამოღამდა. რეზო და რამაზი ადრევე ვნახე, ვისაუბრეთ, ზოგი აქეთ ვთქვით, ზოგი იქით, ცოტა აქეთ, ბევრი იქით, ანდა პირიქით...

სადგურის ბაქანზე (პერონზე) თოვლი აღარ იდო თითქმის. მოვჩხრიკე იქაურობა, გასაღები ვერ ვნახე. ხვალაც გავალ და მორჩა. შაბათს, თბილისში, ყრილობა – 25-ში და ასე შემდეგ.

18 მარტი.

* * *

1981 წლის 23 მაისს დამინებებია სიგარეტისთვის თავი.

6 თვე გასრულდა, არ ჩამიშვია პირში წვეთი ალკოჰოლისა, არანაირი სახითა. ენა დავაწე ერთხელ ჭიქას, ძმრიანობა შევუმოწმე ღვინოსა.

გუშინ ზ. ებანოიძემ გასხლა ვენახი მაღლარი, რომელიც ძირსაა დაფენილი ამჟამად, თალარი, დაშალა და დაანგრია თოვლმა. იმ ჟანგიანი რკინების გადაწყობა კი ვერ შევძელი, დავუტოვე ნუგზარს. გადატეხილი ტოტები დავჭერი სამაგიეროდ, გონერიმ ბჟოლაც დაბელა, მე დავსხეპე, შეშად და ფიჩხად გადავარჩიე. ანტენაც გაკეთდა და ტელევიზორი ჯადოსნურ სარკესავით გახდა. ერთადერთი ფასიანი, ღირებული ნივთია და წასვლისას კვლავ უნდა შევმალო ფიცრებში, ხრიგლებში, სარდაფში. ხვალ დილით წავალ თბილისში. კოკლი გამომაკითხავს და გამიყვანს ავტოსადგურში. გუშინწინ დავცალე სეიფი. დღიურის რვეულები და სხვა ხელნაწერ-წიგნუკები გადმოვიტანე შინ. გულისწყვეტა არ მიგრძვნია, შეიძლება იმიტომაც, რომ საბოლოოდ არ მიმიტოვებია იქაურობა, გამოსათხოვარი მომენტი არ მქონია, უფრო სწორად, უჯრებიც არ დამიცლია. ერთი ნომრის ჩაშვებასაც მოვასწრებ, მხოლოდ, გამოვა თუ არა, არ ვიცი, ქაღალდი არაა, ჩემი წიგნების საქმეც ცუდადაა. აქეთ-იქით სიარულიც აღარ მომიხერხდება ხშირად. ძვირი ჯდება ეგ ყველაფერი. საფლავის ქვები წამოსაღებია, ხელოსანი – ქვითხურო დასაყენებელია საქმეზე. ან წამოღება ვით გინდა ან კალატოზის აქ დაბინავება. დაგვიანებაც არ ივარგებს. საჩემო არაფერი გამიკეთებია. ერთი ნოველა მოვამზადე მხოლოდ. ჯანსულს დავპირდი, თორემ აღარ ვაპირებდი მენოველეობას.

21. III. 92 წ.

* * *

გუშინ ჩამოვედი. დამხვდა სამწუხარო ამბავი. გარდაცვლილა ანზორ ქლიბაძე. მოულოდნელი იყო. ძალიან დამწყდა გული.

ვერ გადავიღეთ, ვერ ჩავწერეთ გიტარით. იქნება ალბათ შინაურებში გადაღებული, მაგრამ სატელევიზიოდ, საკინოვედ (მქონდა ცდა) ვერ გამოვიყენეთ. „IV სიმფონიაში" არის პერსონაჟად – ღვაბერიძე. შეიძლება იქონიო წარმოდგენა მის პიროვნებაზე არასრული. არ კმარა და არც მქონია ამის პრეტენზია. პირიქით, მივმალე კიდეც, თუმც ვუთხარი, იქა ხარ-მეთქი, გაეხარდა, წავიკითხავო, არ ექნებოდა წაკითხული.

წავიდა... წაიყოლა ყველაფერი მიწიერი.

ემზარმა დარეკა. ლექსიც დაუსტამბია ჩემი ხსენებით. სამსახურიო, საჯარო ბიბლიოთეკაო. კაკო იქაა-მეთქი. სასტიკი უარი... გაკეთდება ჯაბასგანაო. არ მჭირდება შუამავალი-მეთქი. ყრილობას დაველოდოთ უნდა. დღეს ვიკრიბებით, 12 საათზე და ვნახოთ, რა გადაწყდება. რას ფიქრობენ, რა აქვთ ერთმანეთში მოლაპარაკებული. ბოლო ორი სხდომა გამოვტოვე. ამინდმაც გვიშალა პირი. გუშინ ჟინჟლავდა, დღეს იჟეჟება.

23. III. 92 წ.

* * *

უცნაურად, მოულოდნელად ჩატყდა ეს დღე... მოლოდინი მქონდა და არ ველოდი. მინდოდა სამსახური, გაჯანჯლდება და გამოვა-მეთქი, ვგრძნობდი. იოლად გადაწყდა თითქოს. მწერალთა სახლის ერთ-ერთ კაბინეტში მომიწევს ხვალ შესვლა. კარგია თითქოს და არ მსიამოვნებს. გული ცუდს არ მიგრძნობს და უხასიათობასაც ვერ ვფანტავ. ეგ არაა გამარჯვება. არჩევნები (ალტერნატიული) ჩატარდებოდა, მეგონა. უკონკურსოდ (თავმჯდომარის ანალოგიით) ამირჩიეს. ტაშიც კი შემხვდა. ზოგიერთი გულწრფელადაც უკრავდა. უამრავი მტერი გავიჩინე მაინც. შეეჩვევიან ჩემს მდივნობას (მოადგილე მქვია, მაგრამ

ეგრეა), მეც შევეჩვევი და შემდეგ საქმიანი უკმაყოფილოები, მაგინებლები მომიმრავლდებიან. თამაზმა მითხრა, ფანჯიკიძესთან ვერ იმუშავებო. რატომ-მეთქი, ვიუცხოვე. მართლაც ვერ ვიმუშავებ. ძალიან გამიჭირდება, რაც მართალია. უცნაურად კი დაიწყო.

ვერეს ბაღში, ყრილობის დაწყებამდე, წიგნებს ხევდნენ და ისროდნენ, ილანძღებოდნენ, იწყევლებოდნენ ქალები. ჩემი წიგნი არ დამინახია, არც იყო ალბათ. იყო: ჩარკვიანი, ფანჯიკიძე, წივწივაძე, მიშველაძე, ნათაძე... შემდეგ სრულაც ატყდა. შემოვიდა დარბაზში პანიკა. ისარგებლეს და ყრილობა ვერ ჩაშალეს.

ახლა გვიანია. თავიც მტკივა. მეძინება კიდეც. რანაირი ცხოვრება დამეწყება ხვალიდან?

25 მარტი, 92 წ.

* * *

ფეხით გადავედი ჩემი სახლიდან მაჩაბლის სახლამდე. ლევანი მახლდა. ეს რა ტრავერსი მომაწყობინეო, მისაყვედურა, სიარული კი, ჩემი არ იყოს, არ ეზარება. ვარაზის ხევით, პეტრიაშვილის, კალანდაძის, გოგებაშვილის, აღმაშენებლის ქუჩებით გადავედით. ნამეტანი ნაცნობი ქუჩები, ადგილები, სახლები...

ზვიგენივითა ვარ, სიარული, მოძრაობა, მოთხოვნილებაა. მანქანა დამხევს უკან. გამომიყოფენ ალბათ ავტოს. შევედი კაბინეტში (სკამზე არ დავმჯდარვარ), სადაც ცალი თვალით შევიხედავდი ხოლმე ყმაწვილკაცობაში. ხვალ, ზეგ სკამზეც დავჯდები... რომ კი არაა ჩემი საქმე?! ამათი (ადრინდელი მდივნებისა) საქმიანობა ტელეფონით რეკვა იყო, ამბროსიჩ, შალვოვიჩ და სხვა... ეგ რთული საქმეა ჩემთვინა.

„ლონდრეა" ტელევიზორში. რედაქტორი ვყოფილვარ, არ მახსოვდა. ლამაზი ფილმია. მივიწყებული, არდაფასებული. ცალკეული სისუსტეები ბევრი. საერთოდ კი ლამაზია და კარგი. ადრე ვთქვი, ჩაწერილი მაქვს სადღაც...

26. III. 92 წ.

P. S.

გადმოცემა კულაშიდან, კულაშის თემიდან.

მიცვალებული ამოუთხრიათ საფლავიდან.

ტაძრიდან „სეფერთორა“ მოუპარავთ. ყარაულობენ საფლავებს. ერთის მაგივრად II ამოთხარესო და სხვა. უნდა ჩავინიშნო სხვაგანაც...

* * *

ერთხელ, ადრე, ვერეზე, წიგნის მაღაზიიდან გამოსული ანზორ ქლიბაძეს გადავეყარე. ხელში მეჭირა ახალი ნაყიდი საფოსტო ილუსტრაციები, იტალიელი მხატვრების გრაფიკული გამოსახულებით. ერთ-ერთი აიღო, გადააბრუნა და წააწერა — „უკანასკნელი სახსოვარი ჩემ ძვ. ძმაკაცს, რეზო ჭეიშვილს ანზორ ქლიბაძისაგან. 19/VIO-58 წ. А. Клибадзе.“

ახლა წინ მიდევს ეს საფოსტო ბარათი და ფოტო ანზორისა, მართლაც უკანასკნელი სახსოვარი, მისმა ქალიშვილმა თამრიკომ რომ გამომატანა. სხვა სახსოვარი ანზორისაგან არ მახსოვს (ნივთიერი), მაგრამ ბევრი სამახსოვრო და ღირსსახსოვარი წუთები და დღეები მოუნიჭებია ჩემთვის, სხვისთვის, მრავალთათვის. ეს იყო დიდებული მეგიტარე, თვითნაბადი, ხალხური თუ სახალხო მუსიკოსი, დაუხვეწელი, უსწავლელი (მუსიკალური თვალსაზრისით) და ტალანტი.

არგენტინელი ჭეიშვილი (ქალი) ლაპარაკობს ტელევიზორში ტკბილი ქართულით და იქითა მაქვს ყურადღება. ანზორის ფოტოც, ბოლოდროინდელი, წინ მიდევს. დამირეკა ელდარმა, ხმაზე ვერ ვიცანი. ნიკოლსკი ბრძანდებითო? მე ვთქვი, ვინაა?.. ნიკოლსკი მინდაო, ვიღაც ვიღაცას ეხუმრება ალბათ-მეთქი და ჩემთან მოხვდა შემთხვევით-მეთქი. ვინ ბრძანდებითთქვა. მე პატიაშვილი ვარო და ვიცანი მაშინ. თვითონ პირველია და მე მეორე (პატიაშვილი, ნიკოლსკი). დღეს გავიწყვე კაბინეტი. სითბო, სიგრილე დაისადგურებს იქა, თუ მშვიდობა გვექნა.

27. III. 92 წ.

* * *

ისევ უსიამოვნო ამბები სამეგრელოდან, ისევ და ისევ უბედურების მოლოდინი. ერთ ალიანსში არიან ჩართულნი მრავალნი, მათ შორის – ჩვენიანები. მუხრანის ექსცესებიც ჯაჭვის ერთი რგოლია. ახლა წინ მიდევს მისი წაკითხული, სხვებთან ერთად ხელმოწერილი პოლიტიკური განცხადება... დასაწერია კომენტარი. განცხადება, ერთიც და მეორეც კი, გაზეთში გამოქვეყნდება. კომენტარზე ვფიქრობ, ვყოყმანობ, მოვხაზე და ხელი აღარ მიმდის მეტზე. არადა, სიმართლე უნდა ითქვას! ამდენმა ქვეყანამ გვიცნო, მოიხაზა თავისუფლების კონტურები, განათდა და ისევ არეულობა. როგორ უნდა ვამბობდე ამას, მაგრამ ღუპავს საქართველოს. დედას არ უშვია საქართველოში ამნაირი ნაძირალა!

ირაკლი იყო, შემდეგ იორამი. გასვენებაში შემხვდა გ. ნიშნიანიძე. შეძლებ შენ მუშაობასო? მე ვმუშაობდი, დავაარსე ჟურნალი, გაზეთი, ვხელმძღვანელობდი რუსთაველის საზოგადოებას ქუთაისში და სხვა და შენი შეკითხვა მაინც ბუნებრივია-მეთქი. ფანჯიკიძის „მუშაობას“ გულისხმობდა. ამნაირი მუშაობა მართლაც არ შემიძლია.

28. III. 92 წ.

* * *

დღეს მოყარეს დახეული წიგნები მწ. სახლში. კ. ბაქრაძე და მიშველაძე ვნახე, დანარჩენი ბიბლიოთეკაში შეიტანესო, სხვა ავტორები არ მინახავს. მოახლოვდა წყეულის დაბადების დღე და საშინლად იკბინებიან. რაღაც სისაძაგლეს ჩაიდენს ეს ბნელი ხალხი. ასე გაგრძელდება 9 აპრილამდე, შემდეგ სიწყნარისკენ წავა ცხოვრება. დღეს რა ხდება, არ ვიცი. მოსკოვს უბრძანებია, შერიგებაზეა ლაპარაკიო. საქართველოს ტელევიზიას მსგავსი არაფერი უთქვამს. ველოდები ღამის გადაცემას.

მტკივა ყელი, სიცხეს ვერ ვგრძნობ. გადამადვეს გრიპი პა-

ტარებმა, ან გავცივდი. ყელზე რა მეტაკა! იშვიათად, მაგრამ მახსოვს მაინც ანგინები, წელიწადში ერთხელ, ბოლო წლებისას ვერ ვიხსენებ.

30. III. 92 წ.

* * *

დღეს ტელევიზიაში. რაც მინდოდა, ვერა ვთქვი, არც იყო საამისო განწყობილება.

გარდაიცვალა გურამ თუთბერიძე. ძმაკაცი. 40-41 წელი ვმეგობრობდით. მიყვნენ ერთმანეთს: ომარი, ზერო, რიჯგვინა, ქლიბაძე, რ. მებურიშვილი. ეს – იმ მხრიდან... ვ. თუმანიშვილმა თქვა ნ. მესხის ქელეხზე, ჩემი თაობის სუფრა თითქმის ალაგებულია, ახლაც ლაგდებაო. მალე გარდაიცვალა თვითონვე.

გურამმა მოისვენა. ბუცუ, სადღაც, კმაყოფილიც კია, გახარებული კი არაა, – კმაყოფილი. წუხელ, ღამის 3 საათზე, ყველას ეძინა, მე ვადექი თავზე და ამოუვიდა საწყალს სულიო(?)...

თუ გყვარებია ოდესმე-მეთქი, უნდა ვკითხო, ვკითხავ აუცილებლად.

აყვავდა ხეები უგემურად.

გაჟეჟილად მკვიდრდება გაზაფხული. მიხო იყო, ქვლივიძე, ახლახან გავიდა. გავკარი კბილი.

ტელევიზორეთში არ დამისახელებია, ცხადია. მუხრანიც ვახსენე კარგად ლექსთან („საბა") დაკავშირებით. სამეგრელოდან სამშვიდობო ამბები მოდის. ექსცესები გრძელდება და ბუნებრივია, გველი იხრწნება და შხამს ავრცელებსო, მიხომ ბრძანა.

არ ჩამოდგა ჯერ მშვიდობა.

4 აპრილი, 1992 წ.

* * *

მამუკა დაიკარგა. ვინერვიულე, ჩამოვიდა, მოვისვენე და კუჭს ვუფრთხი მაინც. გარეთ ვიდექ, დავინახე ჯალაღონია, ჩამოი-

ტანა ბენზინი კანისტრით, ჩამოყვა ცოლი. დამინახა, წამოვიდა დაჩქარებით. დამირეკეს, შეიძლება მოგკლან ამეღამ და წადი სახლიდანო. მივდივარ და იცოდეო, ვინ დაგირეკა-მეთქი, მე ვკითხე. არი ერთიო. ანონიმური ზარი არ ყოფილა. ერთმანეთს აფრთხილებენ, აშინებენ, პანიკას თესენ. ასეც ვუთხარი. არაო, გავრბივარ შინიდან და იცოდეო. ვიღაც ქალმა მოაკითხა მანამდე, სად ცხოვრობსო. ის ქალიც გამოჩნდა. სამივენი წავიდნენ დაჩქარებით, ცოტა ხანში ჯალაღონია და ცოლი მისი მობრუნდნენ. ჩასხდნენ მანქანაში, გაქრნენ. ახლა გვიანია. აფეთქების ხმა არ მსმენია. ჯალაღონიას ბინაც მთელი უნდა იყოს.

რით ირჩენენ თავს თავგადაგდებული მეზვიადენი? ღმერთმა არ იცის. ჯალაღონიას კი ერთი ჟაჟი...

აქ ძილმა დამძლია. დღეს 7 აპრილია, მამუკას დაბადების დღეა.

მშვენიერი დარი იყო. ძველ თბილისში ვისადილეთ, „დარეჯანის სასახლესთან", გვერდზე სასტუმრო გაუწყვიათ, კერძო ალბათ... ბევრს ბევრი ფული აქვს. ფულით კი ყველაფერი იპოვება აქაც-კი. ხვალ რაზმაძე გვყავს მოპატიჟებული. ზევითა ვარ ასასვლელი. მიწა დასამუშავებელია. ქუთაისშიც უნდა ავემგზავრო ამ დღეებში.

7. IV. 92 წ.

* * *

დღეს რაზმაძე იყო მწ. კავშირში. უნუგეშო სურათი დახატა. „უნუგეშო პეიზაჟი" ჩემია. კინოსტუდიიდან (დიღომი) მტკვარგაღმა მიდამოს დავარქვი უნუგეშო პეიზაჟი.

წინ ხრიოკი, შემდეგ ლიანდაგები, ხანდახან მატარებლები. შემდეგ უღიმღამო ნაგებობანი. მილიციას მიაწვა ბ. რაზმაძე. 9 აპრილის შემდეგ სახელი გაიგდეს და მას შემდეგ აღარაფერს აკეთებენო. მთლად ეგრე არაა, მაგრამ დაახლოებით ეგრეა: ქურდებთან რომ ძმაკაცობდნენ, შემდეგ ეროვნულ მოძრაობას

დაუკავშირდნენ. კონფლიქტებში არ შედიან არც ერთთან, არც მეორესთან. სამსახურს ჯერ მთლად ვერ შევეგუე, ვერ გავშინაურდი, თუმც არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობ. არ მომწონს, რამდენიმე შესაფერ კანდიდატად რომ არ მთვლის. ეგ ძალიან დროებითია...

8. IV. 92 წ.

P. S.

ხვალ გურამს ვკრძალავთ.

ფოტოსურათები დავათვალიერე, ერთმა ადრინდელმა (ყრმობისდროინდელმა) მიიქცია ყურადღება. იქიდან შემიძლია დავიწყო (გონებაში აღდგენილი მაქვს) და აღვწერო, დავწერო (ეგ რთულია და შეუძლებელი, რადგან შთამომავლობა რჩება) ცხოვრება კაცისა, რომლის ცხოვრება არ შედგა... სწორად მიდიოდა და შეეშალა. ფეხი ბეწვის ხიდზე შედგა, შემდეგ დაიშალა ხიდი, ბონდი თუ სხვა. საფუძველში იდო სიყალბე (ოჯახური) და ამან განაპირობა ტრაგედია.

* * *

დაკრძალვაზე ბევრი ახლობელი იყო, — ქუთაისელი. სამოცისანი არ გავმხდარვართ და არც არაფერი გვაკლია. შერყეული ჯანმრთელობით შევიყარენით. გადავხედე, გადმოვხედე და ზოგიერთებს მშობლებიც გვყავს. რამაზის დედაც და მამაც დიდი ხნისანი — ტიტე 88 წლისაა. ზ. იოსელიანსაც დედ-მამა ჰყავს, — ჯაბა თან ახლდა, სასაფლაოზე არ წამოვიდა, ცოლი მისახედია, მარტო ვერ ვტოვებო. ზ. კეზევაძის დედა კარგადაა, მუშაობს შინ, ეზოშიდაცაო. ბენია ბენიობს და სხვა.

გურამი კუკიაზე დაიმარხა. საფლავებსა და საფლავებს შუა გამოუძებნეს, იყიდეს სინამდვილეში, გადამალული ადგილი.

ეს იყო მისი ცხოვრების ტრაგედიის დასასრული. ბოლო სურვილი — ქუთაისში დამმარხეთო, არ ასრულდა. მუხათგვერდი სხვა იყო: სივრცე, თავისუფლება. იქ არიან თან: ზერო,

ომარი, ქლიბაძე... გურამის ცხოვრება თვალწინ მიდგას. რატომ, რის გამო გაუკულმართდა ადამიანის ცხოვრება, ვიცი, ვხედავ. დაწერა, თქმა არ შეიძლება, არც ახლა, არც შემდეგ... შეცვლი, არ ივარგებს, არ გამოვა, შთამომავლობას დავუტოვო? რას იტყვის გურამის შთამომავალი. მძიმე იქნება!

9 აპრილია. ექსცესებიც ყოფილა. ტელევიზორით შევიტყვეთ. ქალაქს არა დატყობია რა. ილიას ქადაგება მოგვასმენინეს: 9 აპრილის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ადამიანს, ადამიანისშვილს არა აქვს უფლება, ადამიანები სისხლისსაღვრელად წააქეზოსო და სხვა... შევარდნაძე მოდის ხვალ მწ. კავშირში. საჭირო იყო? არ მესმის!

9. IV. 92 წ.

* * *

გუშინ ე. შევარდნაძე მოვიდა. ცალკეც შევხვდით შეხვედრის დაწყებამდე და შემდეგაც. ახლა სხვანაირი მომეჩვენა, ადრინდელთან შედარებით — სხვანაირი. კარგადაა თან ფიზიკურად. კარგადაა ჩაცმული. არ აწუხებს გარეგნულად არაფერი. სახე სუფთა, გადატკეცილი, თვალებიც ნათელი, მზერა გადაღლილი თეთრი, ცისფერი... მეც ვთქვი სიტყვა. დილიდან შევუდექი რეკვას, დავუკავშირდი ვიღაც-ვიღაცეებს, მათ შორის ნათლიმამას, გია პაპუაშვილს. ამოვაღებინე ზედმეტი. არ მეგონა, თუ ყველაფერს გადმოცემდნენ. ჯარი და მილიცია უნდა იყოს სახელმწიფოში-მეთქი. ახლა „მაცნეს“ ვუსმენ. შევარდნაძემ სახელმწიფო საბჭოს დღის წესრიგი შეცვალა და ახალი საკითხი შეატანინა, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარიო. ერთიანი ჯარი უნდა იყოს მხოლოდ საქართველოშიო. გუშინ კი არც საჯაროდ, არც კერძოდ ამის შესახებ არა უთქვამს რა. რაღაც ზემოქმედება მომიხდენია, ვხვდები.

ქორწილივით გადაიხადეს ჩემიანებმა. ძმისშვილმა შეირთო ცოლი, ცოლოურსვე ჰქონდა სუფრა, ნუცუბიძის ქუჩის დასა-

წყისში, გაგარინის ქუჩის ახლო. კერძო სახლი, მშვენიერი, პატარა ეზო. რამდენიმე კუა, ზღარბებიც მოვიდნენო. ამნაირ უბანში მინდა გადავცვალო სწორედ ბინა.

მშვენიერი აპრილია.

ზევით მინდა ასვლა, მოქუთაისებაც უნდა მოვასწრო. ჩემი დაბადების დღეც მოდის.

11 აპრილი, 92 წ.

* * *

დღეს ჩამოვიდა გენშერი. ხვალის მიღებაზე მიგვიწვიეს. შემდეგ უარი შემოთვალეს, მხოლოდ თავმჯდომარეო, ალბათაო. შევარდნაძე რომ მოვიდა, დიდ თვალებში შიშიც ჰქონდა ჩამდგარი, მარტო შიში — არა, დანაშაულის გრძნობა მოყვებოდა. გული ცუდს უგრძნობდა და კარგად დაუმთავრდა.

დღეს ავედი მამულში, ერთი კაკალი დავრგე, სხვა ნერგები გავსხალი.

12. IV. 92 წ.

* * *

მოლოდინის, უკეთესის მოლოდინის დღეებია. ასეთი განწყობითა ვარ. უკეთესი უნდა დავამთავრო, გამოვაქვეყნო და ვთქვა. ვითარებაც სტაბილური ხდება. ერი, საქართველოც სახელმწიფოს ემსგავსება. ხვალ საღამოს, შეიძლება, ქუთაისში გავემგზავრო. სამსახურისკენ გული მიმიწევს და მაინც ვერ გავითავისე იქაურობა... ეს მალე მოხდება, მაგრამ ამდენი ხნის ამრეზილობა, იმ დაწესებულების მიმართ, ვერ დავძლიე, სხვა რამეც... რამდენს ვატყობ უხასიათობას, მათი ადგილი მიჭირავს თითქოს... რამდენი — ბევრს ნიშნავს, რამდენიმეა ასეთი...

ამინდი კი წახდა... წვიმს. გაზაფხულია მაინც. ვუტრიალებ „კუდიან ვარსკვლავს“.

„ბჰაგავად-გიტას“

ვედური მოძღვრება

ვედური ცოდნა — შრი კრიშნასაგან მომდინარეობსო.

ტრანსცენდენტული ცოდნა გარესამყაროსმიერია, სამყაროსეული ცოდნა — მატერიალურია!

14. IV. 92 წ.

* * *

აყვავებულია იმერეთი.

მოვდიოდი აქეთკენა და ვუყურებდი იმერეთს. ადრინდელვით აღარ მიმიხაროდა. გაზაფხულიც შემოვიდა ზანტად, გაჟეჟილად... ისედაც რა გვაქვს ჯერ სასიხარულო. ქუთაისშიც სტუმარივით აღმოვჩნდი. ესეც უცნაურია. ქუჩებში რომ გავიარე, რაღაც შვებაც ვიგრძენი ამ აღმოჩენით. რაღაცისაგან განვთავისუფლდი, რაღაც პასუხისმგებლობა მომეხსნა... თითქოს დროულადაც... დღეს მშვენიერი ამინდია. მეზობლის ქალები, ქვრივები, თავთავიანთ ეზოებში მუშაობენ თავგამოდებით. მე ვითომ ვერ მამჩნევენ, ვერ მხედავენ. ეგ არ შვენით, უყურადღებობა კი არა, მუშაობა არ უხდებათ. ისე კი მართლაც მერიდებიან — სხვა მეზობლებიც... ადრინდელზე უცხო გავხდი თითქო...

თემურ ჩხეიძე ლაპარაკობს გულისწყვეტით ტელევიზორში. „ჯაყოს ხიზნებში“ (სპექტაკლი) ჯერ თეიმურაზს თანაუგრძნობდნენ, შემდეგ ჯაყოს მხარეს დადგნენო. ძალიან გაკვირვებული იყო და ამ ფაქტის ახსნაც შეიძლება... ჯაყოს არავინ შეიყვარებს, მაგრამ თეიმურაზიც რა შესაყვარებელია, ნაკაცარი კი არა, არაკაცი...

შექსპირის ტრაგედიები (სპექტაკლები) მახსენდება. ვთქვათ, „ჰამლეტი“. კინო, კინოსპექტაკლები, სპექტაკლები (ნ. ჩხეიძე, გ. გეგეჭკორი), არავითარი ადამიანური, დღევანდელი თვალსაზრისით, ემოციები... მხოლოდ მსახიობი (როგორ ასრულებენ), მხატვარი, დადგმა და სხვა. მსახიობის ოსტატობა... აკ. ვასაძე, აკ. ხორავა... ვასაძეს — მეტი ტექნიკა, ხორავას — მეტი ემოცია და ასე შემდეგ... დეზდემონას (შ. თოიძე) — სინაზე...

ლაურენს ოლივიესაც... სიცარიელე... ჩეხოვის სევდა, მოწყენილობა, ყოველ შემთხვევაში, უფრო გადამდებია, თუ გაუძლებ...

„პოლიციელები და ქურდები“ — ამდაგვარი ადამიანური ფილმებიც მრავალია.

სტურუა:

აღტაცება, გართობა, სანახაობა... ცრემლი არაა, წუხილი არაა...

სიცარიელეა ყველგან.

კლდიაშვილიც ვერ გადააქვთ, ამ თვალთახედვით, ბოლომდე...

თუნდაც დარისპანი... არ არის გაგებული ბოლომდე. ან მთლად ჩააჟამებენ, ან გააშარჟებენ... თანხვდომაცაა, ალბათ, ზოგჯერ... ვის როგორ ესმის... ჩემსას ვინ გაიგებს... ვინა? ვერავინ...

„შ. ხვანგიაძე“ გავაკეთე პიესად.

ფინალური სცენა, ზღვა სევდა, სიხარულნარევი წუხილი, სისუფთავე, სისპეტაკე...'

ვინ წაიკითხა, ვინ ჩახედა... იცის ჩემი ვინმემ...

არავინ, არავინ...

აპრილია. ჩემი დაბადების თვე, აღდგომა და მაისი...

16 აპრილი, 1992 წ.

ქუთაისი.

* * *

ხორავაზეა გადაცემა. ვასაძე ლაპარაკობს. დიდი არტისტები იყვნენ სცენისა, ცხოვრებაშიც არტისტები (აუცილებელიც კია), ბუნებითაც არტისტები, ასეთები ცოტანი იყვნენ და არიან.

მაინც: იგივე ხორავა, ვასაძე, გოძიაშვილი, შავგულიძე, ერონსი, რამაზ ჩხიკვაძე. ზაქარიაძე? იყო ისიც. ცხოვრებაში, აქტიორული მონაცემები ცხოვრებისეული (სიმღერა, ცეკვა, იმიტაცია, ხუმრობა) — ნაკლები. სამაგიეროდ, იგი ყოველდღიურობაშიც თამაშობდა საკუთარ თავს, თავის თავში — სხვას, ზემოქმედე-

ბას ახდენდა სხვაზე, თრგუნვიდა (რ. ჩხეიძის მაგალითი) სხვას! ჭიაურელიც არტისტული იყო ბუნებით, ტალანტი ნაკლები. ძია მიშა! კარგად ვიცნობდი ერთი პერიოდი, დაკვირვების საშუალებაც მქონდა. ხორავამ გიჟუა ითამაშა 70 წლისამ. საკვირველი იყო, მაგრამ საჭირო და აუცილებელი არ ყოფილა. სპორტული დისციპლინითაც თავიდანვეც მოიკოჭლებდა. სენატორი ან პრეზიდენტიც რომ გამხდარიყო, შესანიშნავად შეასრულებდა ამ როლსაც, როლებსაც...

18. IV. 92 წ.

ქუთაისი

* * *

გუშინ ციოდა, დღესაც... გაილია ეს აპრილიც. ხვალ თუ არ გამოიდარა, არ ეღირება ზევით ასვლა. პროგნოზი ამინდისა — არასახარბიელო. გუშინ „ქალაქურში" ფანჯიკიძემ გადაიხადა 60 წელი — 100 კაცზე იყო ალბათ სუფრა, 80, ცოტა მეტიც ვისხედით. ერთი სული, სულ ცოტა, 500 მანეთი დაჯდებოდა... იმის ნახევარ პურმარილს დავჯერდებოდი და ცოლის წლისთავს გადავიხდიდი, მაგრამ ვერ მოვახერხებ. ეგ გამორიცხულია. ვერც გადავიხდი ვერანაირად, საფლავი თუ მივახლაფორთე, არ დავეძებ...

საშინელი მკვლელობები. გოგონები გააუპატიურეს, აწამეს, მოკლეს. ნაძირალები (როგორ მოახერხეს) დაიჭირეს. სამწუხაროდ, ერთი და მთავარი დამნაშავე ჩოხელი აღმოჩნდა, საშინელებაა... როგორ გადაგვარდნენ, გაიხრწნენ ადამიანები, ქართველები... ნუთუ ეგა ვართ?!

ამერიკის საელჩოს პრეზენტაციის გადმოცემაა, შევარდნაძე ლაპარაკობს... ამერიკის ელჩი საქართველოში, ჩვენი სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიდი ამბავია!.. შევარდნაძე ქართულად ელაპარაკება ამერიკელებს... სულ სხვა განზომილებაში მოექცა, ან მოექცევა — ჩვენი პოლიტიკური აზროვნება, ფსიქოლოგია...

23. IV. 92 წ.

* * *

გუშინ იყო შესანიშნავი ამინდი, მზე.

ჩემი 24 აპრილი. ნაშუადღევს ავედით, გამგეობის შემდეგ. სამსახურს დავუკავშირე მაინც:

ფანჯიკიძე, ე. მაღრაძე, გ. გვერდწითელი, ტ. ჭანტურია, ე. კვიტაიშვილი, ი. ბაზაძე, ლ. მალაზონია, ი. ქემერტელიძე, ხ. ადეიშვილი, თ. გრძელიძე, მძღოლები: მერაბი, ვალერი და თქვენი მონა-მორჩილი. ძაღლები მოვიდნენ ბოლოს (პირდაპირი გაგებით), დიდ-დიდი ნაგაზები. დღესაც აველ, მივალაგ-მოვალაგე, მივასუფთავე.

დღესაც მზე... მიწის დღე... სადღა არიან ძმაკაცები. ძველები. ზოგი მიწაშია, ზოგი მიუძლურებულია, ქუთაისში...

გურამის საფლავზე უნდა გავიდე, ხვალ თუ ვერ მოვახერხე – ზეგ.

ხვალ ბრწყინვალე აღდგომაა!..

კალანდაძის ქუჩა. საერთო გასასვლელ-გამოსასვლელები ერთ მეზობელთან. კინა ერქვა იმ ქალბატონს, კაი ქალია, შვილიშვილებს კვერცხებს არ უღებავდა... რა სი-სუ-ლე-ლე-ა! ლამაზი ქალი იყო, მგონი, დედა ებრაელი ჰყავდა, რუსი ებრაელი, კვერცხებს კი კომუნისტური მსოფლმხედველობის გამო უცხადებდა უნდობლობას. ბავშვებმა რომ შეაწუხეს, იტირეს ალბათ, მეორე წელს მწვანედ შეღება, შემდეგ წელს – წითლად, ბედს დამორჩილდა. იმ ქუჩაზე კი, იმ სახლში... თორმეტიოდე აღდგომას დავესწარი, თუ არ ვცდები. ბევრი აღდგომა მახსოვს, ბავშვობისდროინდელიც... ომის დროს ძალიან უსახოდ, ბედკრულად ტარდებოდა. წითელ პარასკევს კი ყოველთვის დალევა მიწევდა. სულ მახსენდებოდა: „დღეს მე ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია...“ ასე დამემართა გუშინაც, თუმცაღა მე არ დამილევია, დალევის სუფრა მქონდა მხოლოდ. დაემთხვა თუ არა აღდგომა როდესმე 24-ს, არ მახსოვს. სულ „ვოკრუგ და ოკოლო“, განგებ თითქოს... შეიძლება დაზუსტება...

ო. გვასალია დაიღუპაო, რით, ნეტავ? გასვენებაში უნდა მივსულიყავ და გადამავიწყდა. იშვიათად დამმართნია ეგ. ზემოდან რომ ჩამოველ, ოთხი გამხდარიყო. აკაკის იუბილე დავადგინეთ ივნისში. უნდა გავისარჯო.

25. IV. 92 წ.

* * *

ილია II. არტისტიზმი აკლია, არადა, ესეც საჭიროა. კარგად, დაკვირვებულად ილაპარაკა სააღდგომოდ, ემოცია აკლდა თუმცაღა... ჭარბად ჰქონდა რ. თაბუკაშვილს ის, რაც ილიას აკლია, მაგრამ რეზო ილიაობას ვერ შეძლებდა, არ ეკუთვნოდა...

მიცვალებულთა დღეა. გუშინვე ავედით ფისოს სასაფლაოზე. ყველაზე კარგი სასაფლაო, ჩემი მიხვდრით, თბილისში, საბურთალოს პანთეონიც კარგია, მაგრამ ეს ჯობია, მშრალი, მაღალი, მყუდროც. სიმწვანე აკლია და ესეც იქნება, თუ აუცილებელია. ქართველებს, ჩემიანებს, პერსპექტიულად არ მიაჩნიათ, ყველას დიდუბეში ჩაკვეხება უნდა. ბევრი უღირსია მართლაც უკვე, მაგრამ დიდუბეში მეტია. ჩემი სამარეცაა ვითომ? კაცმა არ იცის-მეთქი, ვფიქრობდი... სხვა ცხოვრება დამეწყება, სხვა მეწყვილით და ეგ ადგილი ვაკანტურად იქცევა? ქლიბაძე პირველ ცოლთან დამარხეს. არ მინდა იქ დამარხვა, საერთოდ არსად არ მინდა, სასაფლაო კი სხვის უმჯობეს არს... **დამწვან იქნებ, მიფიქრია და ფერფლი მოაფრქვიონ წყალწითელას ხეობას, მეორე სათავიდან მოწამეთამდე.** დღეს კუკიაზე ავედი. დავიმახსოვრე და ვერ მივაგენი გურამის სამარეს, სამგზის ვეცადე, ორჯერ შევბრუნდი, არა გამოვიდა რა. მაინც რა გაბურდულ-გაუბედურებულია იქაურობა. ერთი ნორმალური, იქაურობისთვის საშინლად შეუფერებელი სამარე აღმოვაჩინე, ს. თორაძის აღმოჩნდა. წინა დღით ამ კაცის სახელი თუ პერსონა ამეკვიატა. სულიკო თორაძე. გამახსენდა ერთი ეპიზოდი, რამდენჯერმე მოვყევი გუნებაში და დღეს სამარე ვნახე. მკვდა-

რი თუ იყო, არ ვიცოდი. გურამის სახლში გავედი, მისიანები გზაში შემცდნენ... ერთ ჭიქა ღვინოსაც რომ ვერ დალევ ასეთ დღეს, უბედურებაა...

„ქართლის ცხოვრებას“ მივუბრუნდი. ვკითხულობ იქა-იქ. საბეჭდი მანქანა, ქუთაისიდან ჩამოტანილი, შეხვეული მიდევს ჯერ. „კუდიან ვარსკვლავსაც“ ჩავუჯექისავით. სამსახური შემიშლის, ცხადია, ხელს. ქუთაისი, მუხათწყარო, წიგნები. ყველაფრისგან რომ გავთავისუფლდე, მეტი დრო დამრჩება? დამრჩება, მაგრამ ვერ გამოვიყენებ...

27. IV. 92 წ.

* * *

პირველი მაისი, 1992 წ.

რანაირი პირველი მაისია, არც ზეიმი, არც დასვენება, არა დემონსტრაცია, არა პარადი.

რა იყო ადრე, რა დროშებს, რა ზეიმებსა ვართ შესწრებული. ერთი 1 მაისი. შეიძლება, შეიძლება კი არა, ეგრე უნდა იყოს, 1947 წელს, საპირველმაისოდ, დედაჩემმა შემიკერა შარვალი (იცოდა კერვა, მხოლოდ დრო არ ჰქონდა და გაგაწამებდა), მომითავა, როგორც იქნა. ახალი, აბრეშუმის, მოყვითალო პერანგი მქონდა. შემიკერეს თუ მიყიდეს, რაც ნაკლებ სარწმუნოა, აღარ მახსოვს. შარვალ-სარონჩკა მაქვს. მივიზომე, დავილაგე საწოლთან, ფეხსაცმელები ძველია, მაგრამ რა უჭირს. ველოდები გათენებას. არ დამეძინა. თითქმის გავათენე. ეს იყო პირველი უძილობა. გამოვეწყვე. წავედი მარტო (სკოლაში რატომ არ მივედი, ვერ ვიხსენებ). შემხვდა რეზო, მეზობელი. მაშინ არ ვძმაკაცობდით, შემოგვიერთდა ვიღაც (არ მახსოვს), ჩვენზე პატარა, ავედით თეატრის მოუთავებელ შენობაში და ვუყურეთ პარადს. ციოდა, გამოუძინებელს აღარც ტანსაცმელი მიხაროდა. შემდეგ ამოვიდა დიდი მზე, ათბა, აცხა კიდეც. მობრუნებული უძილობას აღარ ვგრძნობდი, შინაც არ შევსულვარ. ბაღის

ეზოში ავუხვიე. გამოფენილი იყვნენ ბავშვები, ტყემლები კვირტში იყო გამოსული. ბურთი ვითამაშე ახალი ტანსაცმლით და ძველი ფეხსაცმელებით.

რუსები შარშან ამ დროსაც ზეიმობდნენ.

ახლა ბაიბური არაა ტელევიზორში.

ჩავრთო ერთი ხელახლა!..

* * *

სულხანმა თქვა, დედაჩემი და ჩემი და ვამპირები არიან, ენერგიას მართმევენო. კარს ჩემი ოთახისას განგებ ტოვებენ ღიად, ჩემი ენერგია რომ წაიღონო, თუმცაღაო, დაუმატა, ეს, შეიძლება, არც კი აქვთ გათვითცნობიერებულიო. თავად სულხანი (შავლეგო) რაღაც ენერგიას მართლაც გასცემს. მე არ მაწუხებს არც მისი ენერგია, არც უენერგიობა. ეგ მომენტი შესამჩნევია. ზოგიერთს ვერ ვუძლებ... მეგობარი იყო ოტია პაჭკორია, სტუდენტობიდან ახლობელი. ვერ ვუძლებდი, ოტიასთან მარტო დარჩენა მიჭირდა, მალე მღლიდა, თავის ატკივებამდე. სხვებიც თუ იყვნენ, თუნდაც ერთი, ოტიას ენერგია ვერაფერს მაკლებდა (იგი სხვებზეც ნაწილდებოდა, როგორც ირკვევა). ეგ ფაქტია. თ. ჩხენკელიც მთრგუნავდა ადრე, ახლაც, მხოლოდ ძველებურად – ვერა. იმასაც ვერ ვუძლებ, ვინც შენგან მოელის, შენ გელოდება. შეუძლებელია ჩემთვის გ. ჭოხონელიძესთან მარტო დარჩენა. არ ლაპარაკობს და დაძაბულს გტოვებს, არა მარტო სიჩუმით. უმრავლესობას არც მოაქვს, არც მიაქვს. ქალებზეც ცოტა სხვანაირად ვრცელდება ეგ პროცესი. ფისო პირდაპირ განმუხტვას აწყობდა, გამინუხტებოდა, გადმომაბარებდა ნერვულ იმპულსებს და წყნარდებოდა.

4 მაისია. წუხელ ციოდა. ეს რანაირი გაზაფხულია. ახლა აცხება ულოგიკოდ, უეცრად. ცხოვრება მშვიდდება და ძვირდება შესაბამისად. ჩემიანები ლიკანში არიან. მე და გუბაზი ვართ მარტონი, ბენია – მთლად მარტო. ჩამოვიდა ლეილა და იყო თუ

არა ქუთაისში, ესეც არ ვიცი. დღეს ფანჯიკიძის დახეულ-დაფლეთილი ტომები მოგვიყარეს, შემომიტანეს კაბინეტში. მე რას დამილაგეთ, მე ვუთხარი. აკაკის იუბილის თუ იუბილეების გამო დაგვიბარეს ხვალისთვის სახელმწიფო საბჭოში... ცირკსაც ნახავ თანო, გოგუაძემ შემომახარბა. ვნახო უნდა. რა უნდა იმდენ მწერალს იქ, ესეც უნდა ვიკითხო ოფიციალურად. არჩილიც იქაა, მგონი. ერთხელ მთვრალმა პურის ნაჭერი ესროლა სხვა სუფრას რესტორან „თბილისში", კინაღამ გვცემეს მე და საწყალი ე. ყიფიანი. თუ მწერალია, წავიდეს, წეროსო, გაგვაფრთხილა ერთმა ავად. მე და ედიშერი გავეცალეთ იქაურობას. გ. კობოსნიძე გამოგვყვა, ბოდიშებით და ახსნა-განმარტებებით გამოგვაცილა. მთავარი დამნაშავე სად დაიმალა, ვერ გავიგეთ...

ქუთაისიდან ველოდები წიგნს და სხვა ცნობებს. წასვლაც მინდა. ეგ სიამოვნება თანდათან რთულდება, ძნელდება, ძვირდება...

4 მაისი, 1992 წ.

* * *

დღეს დავესწარი სახელმწიფო საბჭოს სხდომას... დაძაბული იყო იქაც სიტუაცია.

ჯაბა გამოვიდა მკვეთრად, მკაცრად, რამდენადმე დაუფიქრებლადაც. თავის მოკვლაც კი ახსენა. არ უნდა გადაიცეს ტელევიზიით. კარგი სიტყვა თქვა მოულოდნელად ი. ორჯონიკიძემ და თავად შევარდნაძემ... ბევრი მწერალია და ჩვენც შევემატეთ დროებით (ფანჯიკიძე-ჭეიშვილი). ვახტანგ გოგუაძეს ველაპარაკე, რა უნდა ამდენ მწერალს-მეთქი ხელისუფლებაში. ჭაბუა, გეგეშიძე, ჯანსუღი, კვაჭანტირაძე, ნაირა გელაშვილი, იზა ორჯონიკიძე, იგორ... გაქართველებული რუსი, გვარს ვერ ვიხსენებ, გიგუშა შახნაზარი, ჯ. აჯიაშვილი, კიდევ ვინ? აკ. ბაქრაძე, მწერლობის მაძიებლებს აღარც ჩამოვთვლი... დავიღალე რაღაცნაირად, არაფერი გამიკეთებია, ვუსმენდი მხოლოდ

და შინ რომ მიველ, დაღლილობა ვიგრძენი, მოთენთილობა. ვინერვიულე კიდეც შინაგანად, როგორც ჩანს. დღეს თურქი ქართველი გავიცანი, თვითონ გამეცნო, უფრო სწორად. პოეტი ვარო. ქრისტიანი. თანაც, სადღაც, სამსუნთან, ქართულ სოფელში ცხოვრობს. მშვენივრად ლაპარაკობს იქაურ ქართულს. ჩემნაირი მოლიონნახევრიანი იქნებაო. ლაზებ-ჭანებიანად (ქართველებად არ თვლიან თავს) 5 მილიონზე მეტი გამოვალთო. ხვალისთვის დავიბარე. გავაცნობ დანარჩენებს. ქუთაისიდან ჩამოვიდნენ ავთანდილი და ელგუჯა. იქაც არეულობააო. გამოაცოცხლა პეტრიაშვილმა საქართველო. პეტრიაშვილის გამოსვლაც დაგეგმილი იყო. მიტინგებზეც მაგინებენ, მთათხავენო, შევარდნაძემ. დღეს უკვე შემეცოდა...

7 მაისი, 1992 წელი

P. S.

გარდაცვლილა მარლენ დიტრიხი. მხოლოდ ერთი კინოფილმიდან მახსოვს და ფილმი არ მახსოვს, იქაც ასაკში იყო და კარგი მსახიობის და არა კარგი ქალის შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგ სულ რაღაც ფრაგმენტებში ვხედავ. სექსულაურ როლებსაც განასახიერებდა თურმე. ამნაირი (ძველებიდან) მარიკა როკი ვიცი. სულ სხვა იყო დინა დურბინა. „სეკრეტ აკტრისა“ ათჯერ მეტჯერ ვნახე ზედიზედ. მიყვარდა, არც მეტი, არც ნაკლები.

* * *

საქართველოში საქმეები (ცხოვრება) მაინც ცუდად მიდის... ერთი ნაძირალა ებრძვის საკუთარ ხალხს. ხალხი კი ხალხს არ ჰგავს, კაცი – კაცს, ქალი – ქალს... ცხოვრება ძვირდება დღითიდღე, ბაზარში ვაშლი ვერ ვიყიდე. ახალი ვაშლი შემოვა (სამაისო) სადაცაა და ძველს 40 მ. (მეტსაც) აფასებენ. ერთი ქალი თაფლს ყიდდა, 300 მანეთი უნდაო. მაისის ბოლოს, ივნისის ჩამოდგომამდე ქუთაისში ვაშლები შეითვალებოდა, კუხე-

საც მშვენივრად ვჭამდი, მჟავე მომწონდა და – შეწითლებულსაც. საუკეთესო, ბაღის ვაშლს ეძახდნენ, ვაშლები გვქონდა, საადრეო ვაშლები, ყველა ძირი მახსოვს, რომელი დაირგო, რომელი რამოდენა გაიზარდა. 12 ძირი იყო, თუ არ ვცდები. ორი – სხვა ჯიშის, თუმც ისიც საადრეო, ნიგოზმა არ გაახარა ერთი-ორი, შემდეგ თავად ნიგოზი გადაბელეს, გახმა. ვაშლები იყო, ყვაოდნენ თეთრად – მოლურჯოდ, მოიისფროდ, ბევრს ისხამდნენ. ქარი ყრიდა და მაინც ბევრი რჩებოდა ტოტებზე. ეზო რომ ჩამოგვაჭრეს, რამდენიმე ხე იქ მოყვა, სამი ხე გვიანობამდე შემორჩა. ქერქში ჭია გაჩნდა. ვერ მოუარეს, ვერ უწამლეს. ერთი, მხოლოდ სხვა ჯიში, წამოიზარდა ხელახლა... თავისით ამოსულმა ტყემლებმა, დაფნამ, „ადესამ“ გაბურდა იქაურობა. ახლა, გაჭირვებისას, თალარიც გაფუჭდა (თოვლმა დაღუნა რკინები), გავსხალით, ავჭერით, გავაჩრდილეთ (ჩრდილი შევამცირეთ), ნუგზარმა დაბარა, ბენიამ მწვანილი და კარტოფილი დათესა ხელისგულის დადება მიწაზე. ომის დროს გვქოდა ბოსტანი, მხოლოდ – ეზოს ბოლოში, სადაც ახლა ძოწენიძეების სახლი დგას.

ქორწილივით ჰქონდა ირაკლის. ქალისიანები დაპატიჟეს, უფრო სწორად, ჩემიანებმა. მოულოდნელად გამოცხადდა ბენია, მატარებლით ჩამოსულიყო. წუხელ 2 საათზე (4 საათის დაგვიანებით) გამოვედით, ზესტაფონში დაგვათენდაო, მოღოღავდა შემდეგო. აბა რა იქნებოდა ამ დივერსიების დროს.

ნამდვილ სამუშაოს ვერ მოვკიდე ხელი. გრიშა აბაშიძემ მითხრა, ნუ გადაყვები სამსახურს, ასე ადრე ნუ მოდიხარ, წერა არ მიატოვოო (ნოველები წაუკითხავს)... შეწუხებული მომეჩვენა. დროს მართმევს სამსახური, ფიზიკურად ისე არა, როგორც ფსიქოლოგიურად. ჯერ ვერ შევეჩვიე მაინც, ვერ ვეთიშები იქედან გამოსული იქაურობას. ეს გაივლის... ერთი მდგომარეობიდან მეორეში იოლად გადავდივარ ხოლმე. ეს გამომუშავებული მაქვს, მქონდა, ყოველ შემთხვევაში. რედაქციიდან შინ თითქმის

არასოდეს წამიღია სამუშაო, შინ მოსულს სამსახური არ მომ-ლანდებია. გუშინ გამგეობა გაიწელა, დავიღალე, დამთავრდა და გამოვერთე იმ სიტუაციასაც, მაგრამ იქაურობა მახსენდება მაინც... იყო ჩემი საქმე? ისე, ჟურნალს მეტი ზრუნვა ჭირდება ახლა... ჟურნალი უარესია უქაღალდობაში, უფულობაში. სად ვიშოვნო ქაღალდიო, ავთანდილმა (ჩამოსული იყო) შემომჩივ-ლა. ჩემი ჩაშვებული 1-2 ნომერი, მორჩენილ ქაღალდზე და-ბეჭდილი ჟურნალი გამოვა და დაეწყებათ ახალი ერა... მაისი დამთავრდება, მომდევნო ნომერი არ ექნებათ (მასალები ისევ ჩემია) ჩაშვებული. როდის აეწყობა, როდის დაისტამბება!

9 მაისია. ომის დამთავრების მერამდენე წელი? ორმოცდა-მეშვიდე (47).

9. V. 92 წ.

* * *

ბილეთები მიდევს წინ ოპერისა. სამი ბილეთი, რიგი 10, ად-გილები – 18, 19, 20. არ წავედი. წამყოლსაც ვიშოვნიდი. არ გამახსენდა, არც მქონდა წასვლა გუნებაში. წინა დღით გურამი მაძლედა, არ გამოვართვი. ვის გინდათ ოპერის ბილეთებიო. არა-ვინ აიღო. თამაზ წივწივაძესაც ბლომად ჰქონდა, გამოგზავნეს და ვაი, თუ არავინ მივიდაო! ეგრეა. ახლა ვის ცხელა ოპერა „ოტელოსათვის", ხომერიკისათვის. იმიტომ კი არა, რომ დროა მკაცრი და არეული. განწყობაა სხვანაირი, საერთოდ, რაა ეგ „ოტელოც"? შუა საუკუნეების ზღუდე-გალავნებით შემოფარ-გლული ქალაქებისთვისაა თითქო დაწერილი. შოთა ჩანტლაძე წავიყვანე ქუთაისში. საღამოს ბაღის კიდის ახალგაზრდებში გავერთეთ. ო. ასათიანი „ოტელოს" დამდგმელს და მგონი, ავ-ტორსაც აგინებდა. მოვიდა სპექტაკლიდანო, მეზობელზე ყებო-და და მოეჩვენა, რომ ცოლმა საწამლავი ჩაუყარა შეჭამანდშიო და სხვა. შ. ჩანტლაძე მთელი წელი იხსენებდა ამ ამბავს. ქუ-თაისში ბიჭებმა „ოტელო" გაარჩიეს, არ თქვაო, ქირქილებდა და ხელებს იფშვნეტდა.

სხვაა „კარმენი“, მერიმე, ბიზე. საოპერო, სამუსიკო სასპექტაკლო ამბავია. 47 წლისამ დადგა პარიზში ავტორმა და პრემიერამ უსიხარულოდ ჩაიარაო. ბიზე კი, ეს ფაქტი მოუსწრაფავდა სიცოცხლეს, სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ოპერა „კარმენი“ კი მხოლოდ 10 წლის შემდეგ აღიარეს ოპერად, ის სახელი შეარქვეს, რასაც იგი იმსახურებდა. სამწუხარო ისტორიაა...

10. V. 92 წ.

* * *

ყველა უბედურებას სასიკეთო რამეც თან ახლავს ხოლმე. პეტრიაშვილი: გამჟღავნდა მისი და პრეზიდენტის ფსიქიკისა და მიზანდასახულობის იდენტურობა, მათი მისწრაფება კავკასიური სიბნელისაკენ და კიდევ დაამკვიდრა სახელი — მერცხალი, რომელიც აიტაცა უკვე საზოგადოებამ. იტყვი, მერცხალი, გასაგებია, ვისზეა ლაპარაკი. შეიძლება იხმარო ურიის მერცხალი (რომელ არს ნამგალა), ნამგალა, სხვა და სხვა. მე ნამგალას დავიჩემებ. ოსეთში ომია. ახლაც ისვრიან, ამწუთასაო. ნორმალური გადაცემა აფხაზეთიდან. როგორც იქნა, მოახერხა ტელევიზიამ პირდაპირი მოვალეობის, ამ სიტუაციისათვის, შესრულება... უნდა დავუკავშირდე როგორმე სოხუმს — კალანდიას. ჩაატარებენ თუ არა, აუცილებელიც კია, აკაკის საღამოს, ჩვენ იუბილეს ვეძახით. ჩვენთან, — 20-ში, სხვაგან (ქუთაისი, ბათუმი და სხვა) — ცოტა ადრე. თუ ვერ მოვახერხეთ, თუ ვერ ჩავატარეთ, მართლაც უნდა დავიშალოთ მაშინ. ზეგ ჩამოდიან ჩემები ბორჯომიდან. თვე გახდება, პატარები არ მინახავს. რა ელით, როგორ, რანაირად გაიზრდებიან არეულ, უზნეო, უკანონო ქვეყანაში. ქვეყანა ვართ, სახელმწიფო, რესპუბლიკა? საქართველოს ამინდის პროგნოზს (პირდაპირი მნიშვნელობით) ისევ აცხადებს, „ესენგეს“ ქვეყნებთან ერთად, მოსკოვი (ბალტიისპირეთს არ ახსენებს).

12. V. 92 წ.

* * *

ჭანტურია. ე.დ.პ. მძიმე სურათი დახატა. საყოველთაო მობილიზაცია მოითხოვა. აქამდე, მე მგონი, არ მივა საქმე. ზვიადს ჩამოაღლიტა ქაღალდის ნიღაბი. აქ მომეწონა. საჭირო გამოსვლა ჰქონდა.

შევარდნაძე გაღიზიანებულია აშკარად. ნათაძის ხმას გამოყავს წონასწორობდან და თავს იკავებს. ამ წუთისთვის გორშია უკვე. ცხინვალის მისადგომებთანო. ჯაბაც იქაა. ვითარება უაღრესად რთული, ურთულესი.

გურამის ორმოცი იყო. მშვენიერი, დროის შესაფერი პურმარილი გაუკეთეს ოჯახში. სასაფლაოზე სიმშვიდე. სითბო. წამოსვლისას წამოწვიმა. გაზაფხულის წვიმას ჰგავდა, პატარა ჭექა-ქუხილითურთ. ეს ხმაც პირველად გავიგონე წელს. მიტინგების მოყვარულები დაძრწოდნენ „ზემელზე", უნივერსიტეტთან. მილიცია ფხიზლობდა. ზვიადი განაგრძობს ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ჩემიანები ჩამოდიან ხვალ. გარდაიცვალა ჯანსუღის მამა შაბათს, ვერ აველ ზევით. ხვალ, ზეგ, მაზეგ კი არ მეცლება. გურამი საზღვარგარეთ. დავრჩი მე. აკაკის იუბილე (ჩვენი, უფრო სწორად, ჩემი წამოწყებული) ახლოვდება. უნდა ჩატარდეს ამ სიტუაციაშიც კი. ეგ არაა იოლი საქმე... ოთარი მოვიდა, მამფორია. ვერ არი კარგად, აშკარაა.

13. V. 92 წ.

* * *

ცუდად ვიყავი ეს დღეები. დღეს მოვკეთდი თითქოს. არ მეგონა, თუ ისევ საავადმყოფო და უარესი არ შემხვდებოდა... თ. გრძელიძის დაბადების დღეზე, გურამის ორმოცზე დავარღვიე დიეტა, გადავიღალე... კარგად ვერაა მუცელში საქმე... ისე კი, ამ ორ-სამ დღეს თუ არ მივათვლით, ცუდად არ ვგრძნობ თავს, პირიქითაც. სხვა არ ვიცი. წინათგრძნობაც არა მაქვს უიმე-

დო. გუშინ დაასაფლავეს ჯანსულის მამა – ავდიდი. წვიმდა თბილად. ვერეს ხეობა კარგი იყო (საბურთალოში დაკრძალეს, ვაკის მხრიდან). ოსეთში ვხოცავთ ერთმანეთს... შევარდნაძე აქტიურობს, ქულებსაც იგროვებს და საქმესაც უძღვება. ეხმარებიან უნიათოდ. ვისაც დახმარება ევალება, ვინც მხარს უჭერს (ჩვენ და სხვები), ისინი განსაზღვრავენ დღევანდელ სიტუაციას. ჩვენ თუ გამოვეცალეთ, დაიქცევიან. ამას ვერ გრძნობენ, შევარდნაძე გრძნობს. ინტუიცია, ალღო არ ღალატობს... სხვა არაფერია საინტერესო.

ფანჯიკიძის მანქანა წაიყვანეს ბანდიტებმა.

მე წამართვეს, ეგრე გამოვიდა. ახლა უჟმური ამინდია. უგემურად მოდის მაინც ეს გაზაფხული – ისედაც და ასედაც.

17. V. 92 წ.

* * *

ზევით აველ, წავიმუშავე. კარგი (ამ დროისათვის მაინც უჩვეულოდ გრილი) დღე იყო, შემდეგ აცივდა. ელდარი ჩამოვიდა ამერიკიდან, ტელეფონით ველაპარაკე. კულტურის საბჭოში ხარ და უნდა მოხვიდეო. მურმან ლებანიძემაც დარეკა: რუსთაველის პრემიების დარიგებაა ხვალ, გუშინწინ „გულანის“ (ახალგაზრდა მწერალთა ასოციაციის) შეკრება, პრეზენტაცია და პურმარილი შედგა. გვიან ევროპის უშიშროების წარმომადგენლები მოვიდნენ. ათის ნახევრამდე იცადეს და აღარ გაჩერდნენ (როდის გახდნენ ამნაირი პუნქტუალურები), აკაკი ბაქრაძე, ჯანსუღი, ოთარ ჭილაძე, მე და ჭაბუაღა შევრჩით სტუმრებს. ერთი მაღალი, შავწვერა კაცი მეცნაურა. ჩეხი ვარო, რუსულად უთხრა ჭაბუას. რაღაც-რაღაცეები გაახსენა. საუბრის დასასრულს მე გამომელაპარაკა. თქვენს ოჯახში ვარ ნამყოფიო. აღვიდგინე მეხსიერებაში, ვაცლავ ჩერნის მოყვა თარჯიმანთან ერთად (აღარ მახსოვს გვარ-სახელი, ს. ცაიშვილის ახლანდელი ცოლი ხომ არა? არა მგონია)... რად უნდოდათ თარჯიმანი, ამ კაცმა რუსული იცის, ვაცლავი ქართულად ლაპარაკობს... წიგნიც

თარგმნა, გამოსცაო. მე ის წიგნი არ მინახავს. ვიღაცამ დარეკა, ვიღაცასთან არიო და მორჩა... მე არ მივაქციე ყურადღება და ხელმეორედ აღარავინ შემხმიანებია. მენატრება ქუთაისი.

შფოთიანი დღეებია.

ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა „რუბიკონში“...

მივუბრუნდი ხელმეორედ ფარდობითობის თეორიას. დავინტერესდი ხელახლა და ყურადღების მობილიზება, კონცენტრირება ვერ შევძელი მაინც...

21. V. 92 წ.

* * *

დღეს ჩატარდა რუსთაველის პრემიების მინიჭების „ცერემონიალი“. არ გავდა ალტერნატიულ არჩევნებს, მაგრამ რაღაცას დაემსგავსა მაინც. ჭაბუასა და დ. აბაშიძეს (სიკვდილის შემდეგ) მივეცით ღიად, დანარჩენებს – ფარულად. ვერ გავიდნენ: მხატვრები (ხუნდაძე, ქოქიაშვილი), კ. მახარაძე და რ. ამაშუკელი.

ლაურეატები: თ. ჭილაძე, პ. ბურჭულაძე (II ტური), ტ. ჭანტურია (II ტური), კამერული კვარტეტი და ნ. ანანიაშვილი. თავად მონაწილენი (თ. ჭილაძე, ტ. ჭანტურია, რ. ამაშუკელი, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჭილაძე – ძმა თამაზისი) მონაწილეობდნენ, ხმას აძლევდნენ საკუთარ თავს და შლიდნენ სხვებს... ჩემ თავთან მაინც ვარ მართალი, ყველა მწერალს ვაძლევ ხმას-მეთქი, განვაცხადე და ასეც გავაკეთე. წავშალე I ტურში ჯ. ხუნდაძე, რადგანაც ქოქიაშვილისთვის უნდა დამეჭირა მხარი (მთხოვეს და გამაფრთხილეს) და რა საჭირო იყო ერთის წაშლა მეორის ხარჯზე, რატომ ჩავიდინე ეს, არ ვიცი. ყველა ხმის დამგროვებელს აძლევდნენ პრემიას, წავშალე (არც ეს უნდა ჩამედინა) ნ. ანანიაშვილის გამო კ. მახარაძე. განცხადება დაიწერა ოსეთში მომხდარი ფაქტის გამო. სადავო იყო რაღაც-რაღაცეები და სხვა. შემდეგ სახელმწიფო საბჭოს კულტურის კომისიის სხდომას დავესწარი...

22. V. 92 წ.

P. S.

ციფრები არ მწყალობდნენ, მათემატიკური მონაცემები (აბსტრაქტული აზროვნებაც) არ მივარგოდა. გამრავლების ტაბულა ვერ დავიმახსოვრე პირველ-მეორე კლასში. ეს ძალიან კარგად მახსოვს. არც არავინ მანვითარებდა ამ მხრივ — უცოდინარი დავრჩი. მიმატება, გამოკლება, გამრავლება, წვალებით ავითვისე, მაგრამ ალგებრამ ამიბნია თავგზა საბოლოოდ. განტოლებები საერთოდ ვერ გავიგე. ალგებრაზე რომ გადავედით (VI კლასი), სკოლაში არ მივედი. და ეს საგანი ჩინური აღმოჩნდა. უფროსკლასელმა მეზობელმა მკითხა a-c+b რამდენიაო, ვერ ვუპასუხე (ვითომ პასუხის ღირსად არ გავხადე). a+b, მეგონა, უდრიდა C-ს ან სხვა რაღაცას. ამ ელემენტარულმა გაუგებრობამ ჩამომაშორა საბოლოოდ ამ საგანს. ახლა ვფიქრობდი, ხელახლა შემიძლია დავიწყო სწავლა მათემატიკისა, a-სი და B-სი, განტოლებების-მეთქი. ეს ამეკვიატა და დღიურზე მომაბრუნა. არადა, მართლა ეგრეა, ვატყობ... ახლა ტელეფონის ნომრებსაც კი ვიმახსოვრებ, თუ დავიმახსოვრე — ვიმახსოვრებ, ადრე არ შემეძლო. მასწავლებელსაც მიმაბარა დედაჩემმა (სკოლაში დაარწმუნეს, აუცილებელიაო), დავდიოდი მეზობლისას, თხელ ფარდებჩამოფარებულ ფანჯარასთან ვისხედით სიგრილეში. ახლა იმ ქუჩაზე ისეთი მოძრაობა და ხმაურია, რომ ფანჯრები იმ მხარეს საერთოდ აღარ იღება. ძველი, ერთსართულიანი, მოვარდისფრო ქვით მოპირკეთებული სახლია, თუ არ ვცდები (აწერია თარიღი), 1914 წელსაა აგებული. წინ ერთი სართულია, ეზოს მხრიდან (მაშინ არ ვაკვირდებოდი) — ორი და შეიძლება, სამიცაა. მასწავლებელი — ომში ნამყოფი, სქელულვაშა, ფეხგაშეშებული, ჩასიძებული კაცი, 30 წლის მეტის არც კი იყო ალბათ; მაშინ კი ძალიან ხნიერი მეგონა. პატარა სუფთა მაგიდაზე რვეულები და სიგარეტები („პრიმა“), აბოლებდა გადაბმულად, თუთუნის სუნად იყო წასული, ბოლს „სვამდა“ მართლაც... იმ კაცმა (შემდეგ კლასის პედაგოგად მომევლინა)

გამათვითცნობიერა, გეომეტრიით დამაინტერესა კიდეც და ეგ იყო. ვუცდენდი, გულს ვერ ვუდებდი სწავლას, ბოლოს მივატოვე... ახლა რომ თავიდან დამაწყებინა ყველაფერი, ჩემს ბედს ძაღლი არ დაუყეფს.

ხვალ მარხავენ სარგის ცაიშვილს...

დღეს ამინდი კარგი იყო, გრილა მაინც. თესვის დრო არ გასულა. ამნაირი უსიცხო გაზაფხული მე არ მახსოვს...

* * *

გასვენებაში ვხვდებით ერთიდაიგივე ხალხი (ე. წ. ინტელიგენცია) ერთმანეთს. თემო ჩირგაძესაც იქ შევხვდი, კარგახანი არ მენახა. ს. ცაიშვილის დაკრძალვა. სასაფლაოზე აღარ წავედი, თუმც ქელეხზეც გამაფრთხილეს წინასწარ. ჯ. ჩარკვიანს მაინც ვერ ენდობი ბოლომდე. თავით რომ მარილი დაუნაყო, რაღაც მომენტში გიმტყუნებს... სხვას ჯობს და მაინც მიყვარს, მაგრამ — რატომ? რამდენიმე დღე ვიფიქრე ამაზე...

ვბარე ზევით, ხვალ თუ აველ, დავთესავ... 500 მანეთი ძლივს გამოვიტანე (ნახევარი მანეთიანებად) სალაროდან. წაველ ბაზარში და თითქმის ხელცარიელი დავბრუნდი. პამიდორის ჩითილების საყიდლად მეყოფა თუ არა ხვალ მორჩენილი ფული, არ ვიცი. ყველის ფასიც ვერ ვიკითხე. ნადუღი — 70 მანეთი, ხორცი — 120. დღეს არეულობას ელოდნენ, სიწყნარე იყო. ამ დღემაც მშვიდად ჩაიარა. ვნახოთ, რა მოხდება 26-ში. ზეგ ბეიკერი ჩამოვა. ხომ უნდა შეუშალონ ხელი! რათა არ დაგვიმონოს ამერიკამ (აშშ-მა)...

23. V. 92 წ.

* * *

ეს კალმისტარი რეზიკომ მაჩუქა. ვიღაცამ (?) მომცა ბიჭვინთაშიო, მითხრა. საოცრად გულკეთილია.

დღეს 26 მაისია. ჩატარდა, როგორც ვხვდები, ნორმალურად,

როგორც დროს და სიტუაციას შეეფერება, იმნაირად. გუბაზი გახდა 28 წლისა. დღესავით მახსოვს 28 წლის წინანდელი დღე. ცხელოდა. ხალათი მეცვა და სურდო მქონდა. საათი მეკეთა მაჯაზე, მგონი, წინა დღით გამოტანილი საწყობიდან... რუსული საათი, ბრტყელი, მოდაში შემოვიდა მაშინ, იმ ხანებში. ვიქეიფეთ. წერილი ავუგზავნე ცოლს იმ დღეს და შემდეგაც (დაცულია). სახელი გუბაზი შევარჩიე-მეთქი, ვწერდი. ცოლს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმც აღფრთოვანებაც არ გამოუხატავს. მამუკაზე კი ბევრი ვიყოყმანეთ. ჭაბუკაც კი გვინდოდა, დაგვერქმია. ჭაბუკა ჭეიშვილი. ოფიციალურად მზეჭაბუკად უნდა გაფორმდესო. ჭაბუა ამირეჯიბს ასე ჰქვიაო. მზეჭაბუკი არ მომეწონა. ჭაბუა კიდევ ნამეტანი ანალოგიურიაო და სხვა და სხვა...

ზევით ვიყავ. იქვე ვჩალიჩობდი და ტელევიზორსაც ვუსმენდი, დღევანდელ მოვლენებს ვაკვირდებოდი... გაემგზავრა ბეიკერი, ჩვენ კმაყოფილები დავრჩით. ოსეთში უბედურებაა კვლავ. გაზი გამოგვირთეს. ქალაქში ცოტა პური ცხვება. ოჯახები, მათ შორის ჩვენც, უპუროდ დარჩნენ. გვიტევენ ყოველნაირად. შინაური და გარეული ერჩის საქართველოს. ექსპრეზიდენტი წარმატებით (მეტ-ნაკლებად) ებრძვის საკუთარ ხალხს.

რეზიკოს კალმისტარი არ გამომადგასავით. ამ ქაღალდმა (ენგურმა) ვერ გაუძლო, წინიდან უკან გამოატანა მელანმა...

26-იც ჩამთავრდა. ივნისი რთული თვე იქნება. ივლის-აგვისტოში ჩაცხრებიან ბნელები. შემოდგომაზე, არჩევნებისათვის გააქტიურდებიან... ახლა ტელევიზორში ფეხბურთია. თასის ფინალი: იბერია (დინამო) და სოხუმი „ცხუმი". მოგებული ევროპის პირველობაზე გადის და თამაშს პრინციპული ხასიათი აქვს. თბილისი იგებს (1:0).

ამინდი კაი... გრილა ისევ.

26. V. 92 წ.

* * *

ყაირი — ცხენის, ხარის დასაჭედი ლურსმანი. ესეც თურქულიდან იქნება შემოსული. თურქული და არაბულია თითქმის ყველა სიტყვა (ძირითადი ლექსიკა), რომელიც ყ-ზე იწყება. ყანა, ქვეყანა ქართულია? რა ენაზე ვლაპარაკობდით, ნეტავ ვიცოდე, სპარს-არაბ-თურქობამდე? ყალყზე — ესეც თურქული ყოფილა.

დღეს გორში გახლდით (ფანჯიკიძე, მჭედლური და მე). არჩევნები, სუფრა, ბევრი საჭმელი და ცუდი ამბები... სტადიონზე დაუწვიათ (ბენზინი გადაასხესო) ორი ქართველი მკვლელი, ავაზაკი. ერთი იქვე მოკვდა, ერთი ფართხალებდა, გარბოდა, ვიღაცამ დანა გამოუსვა ყელში, შემდეგ გვარდიელმა ტყვია დაახალა, რომ არ ეწვალაო. ბავშვები უყურებდნენ ყველაფერ ამასაო. შეიშლები ადამიანი! თბილისში რომ შემოვედით, „ივერიასთან“ „ფიატი“ წამოგვეწია, გვერდზე მიაყენეთო. არ მიაყენო, მძღოლს ვუთხარი, იქვე, შუა მოედანზე გავაჩერებინე. ორი ბიჭი გადმოვიდა, იარაღი არ ქონდათ. ქერა, ბობრი, 30 წელს გადაცილებული იყო ერთი. ბოდიში მოგვიხადა, ვიღაცამ დაგვარტყა, ვეძებთ, უნდა მივაბრიდოთო(?). არც შევპასუხებივართ. მძღოლს კი აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს ამბავი. უცხოთა ვერსიაც (დამნაშავეს რომ ეძებდნენ) ჭეშმარიტად ჩათვალა. როდის დალაგდება, როდის დაწყნარდება საქართველო? ეს რა საზიზღარი ხალხი აღმოვჩნდით?!

ამინდი კარგი იყო. ცხელოდასავით. შემდეგ მოიღრუბლა, ახლა ღამეა, გვიანი. დავიღალე მაინც. „ოკულტიზმს“ ვკითხულობ. ხვალ, იქნებ, „კუდიანი ვარსკვლავის“ ბეჭდვაც დავიწყო შავად. ზევითაც მინდა ასვლა. იმ ხუთშაბათს ქუთაისში გამგზავრებას ვაპირებთ.

29 მაისი, 1992 წ.

* * *

გურამ დოჩანაშვილი მოვიდა. ჯერ დარეკა. გუშინაც ვუ-კითხივარ. წამიყვანა შინ. ირაკლის დაბადების დღე ყოფილა გუშინ. 24 წლისა გახდებოდაო. მწუხარება აუწერელი. გურამი სვამს. უჭირს. ჩემ ბოლოდროინდელ ნოველებს აქებს (ზეპირად იცის კინაღამ) და უხერხულობაში მაგდებს. მე არ შემიძლია, ამ დონეზე სხვისი რამ დავიმახსოვრო და გავითავისო. მახსოვ-რობაა და კაი კაცობა, უბრალოდ არ ხდება.

დავიწყე შავად ბეჭდვა „კუდიანი ვარსკვლავისა". რა ხანია, საბეჭდ მანქანას არ გავკარებივარ. გამიჭირდა, დავიღალე. ხუთშაბათს ქუთაისში ვაპირებ გამგზავრებას; უკვე ვეშურე-ბი...

30. V. 92 წ.

* * *

დღეს უკვე გაზაფხულია. ისევ გრილა, ღრუბლიანია. გუშინ საიათნოვას დაბადების დღე თუ სახელის ხსენების რიგი იყო. მე და გურამი მივედით. დაგვხვდნენ სომეხი მწერლები, სომეხი სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა — ქართულად მოლა-პარაკე სომხობა. ებრაელებიც ალბათ და ქართველებიც ცოტა. გივი იყო, შაჰნაზარი, თ. ჯანგულაშვილიც. მოვიდა შევარდნაძე, მოყვა ლითანიშვილი. გენახა უნდა, რა ამბავი გაუმართეს, რა ოვაციები, ხელზე კოცნიდნენ ვიღაცეები წასვლისას...

ზვიად გამსახურდიას თაყვანისცემაში პათოლოგიაა, კაც-თმოძულეობაც. აქ სხვა, აქ იმედისა და შველის შეგრძნებაა. შველას თხოვდნენ... ისევ შენ თუ გვიშველიო და სხვა. შემ-დეგ: ს. სხირტლაძის დაბადებიდან 80. გურამ ნარიმანიშვილთან სუფრა, ხალხი კარგი. თამადა ე. მაღრაძე, ჯანსუღმა უარი მითხრაო, მასპინძელმა გამანდო. თ. კვაჭანტირაძესაც ექნებოდა პრეტენზია. ამიტომაც წავიდა, შეიძლება, ადრე. მოხუცები: გ. აბაშიძე, კ. ძიძიგური, შემდეგი თაობა: მ. ლებანიძე, ო. ჭელი-

ძე, შემდეგ ჩვენ, ჩვენს ქვევით – აჩ. გოგელია, კვაჭანტირაძე... ახალგაზრდები უკვე სანათესაოდან, ნაგრამთაგან... კარგახანს შევრჩი სუფრას მეცა, მაინც ავითესე, მარტო წამოველ.

7. VI. 92 წ.

* * *

ქეც წავედი ქუთაისში და ქეც ჩამოვედი. გუშინ საღამოს მოწყენილობა და მარტოობა ვიგრძენი. ტელეფონი გამორთული, სამუშაო არა და ამიტომაც. ბევრმა არ იცოდა, იქ რომ ვიყავ, ის ერთი აღარ მაწუხებს და ასე შემდეგ... დაღამდა. ტელევიზორი. იუზა ჩამოვიდა. იუზასთან აველი და ხასიათი გამომიკეთდა. ახლა იქ მირჩევნია... არჩევნები ჩავატარეთ ვითომ. სუფრები ორდღიანი ჭამით. გურამიც არ სვამდა. დღეს ხელოსნები წამოვიყვანე. ახლა აქ არიან და ძინავთ (პახომა და ბუდუ), კეთდება საფლავი ცოლის და იქნებ ჩემიცა. თუ გავათრიე რამდენიმე წელი, სხვა ადგილს მოვიზომებ. სამარეშიც მარტო მირჩევნია... 10-ში პლენუმი, გაერთიანებული. 20-ში აკაკის იუბილე. ფიქრით ვარ დაკავებული. „კუდიანი ვარსკვლავის" შავად ბეჭდვას მოვახერხებ მაინც. ძმაკაცები ვერ ვნახე. დეიდაშენია ცუდათო, ავედი. ეძინა. არ შევაწუხე. თავად შემომჩივლა ამასწინ: აღარც აქეთა ვარ, აღარც იქითაო. ასე ვართ ყველა, მე ვუთხარი, მაგრამ არ ვიყავი სწორი. დეიდაჩემი სხვანაირ, საბოლოო აქითურიქითურობას გულისხმობდა.

6 ივლისი, 92 წ.

* * *

ჩინეთთან გავაფორმეთ დიპლომატიური ხელშეკრულება. ჩინეთმა გვაღიარა და ვითომ არაფერი. დაამთავრეს სამარე პანთეონში და გავისტუმრე მუშები – პახომა და ბუდუია. სიგრილეები... ცხოვრება ძვირდება, ფული მცირდება, საოსეთოში ომია.

ომებიდან ვეღარ გამოვძვრებით დღეის ამას იქით. მღერის გ. დოლიძე. ღამეა, ექვს საათზე ამდგარს (მეღვიძება ჩემით) ძილი მძალავს. რომ რამე იყოს, წავიდოდი კვლავ ქუთაისში.

ხვალ პლენუმია (გაერთიანებული პლენუმი) კინოკავშირის შენობაში. დამირეკა გოგონამ, რადიოჟურნალისტი ვარო. სამსახურში მოდი-მეთქი (წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ვმსახურობდი). სად არისო მწერალთა კავშირის შენობაო. თუ კიდევ დარეკა, შევახურებ.

სხვა ღირსყურადსაღები არა ხდება რა, მოსალოდნელი კია ბევრი რამ. ნ. მგელაძე მოვიდა, როგორ გრძნობ თავს ახალ თანამდებობაზეო, როგორც გიორგი სააკაძე-მეთქი. გ. სააკაძესავით იბრძვიო, ასე გაიგო. დიდგვაროვნების შურსა და ღვარძლს ვგრძნობ, მეფე სიძედ გამხდომოდეს თითქო... ინტერვიუ მაქვს დასაწერი „საქართველოსათვის". იქ ვიტყვი ამასაც...

9. VI. 92 წ.

* * *

პლენუმი ჩატარდა ყველა შემოქმედებითი კავშირისათვის. ფანჯიკიძის ინიციატივა. იყო თუ არა საჭირო, არ ვიცი. დარბაზში ჩამოიხუთა (კინოკავშირში), გარეთ მზე და სიცხე გვეგონა, გამოვედით, წვიმდა. ახლაც წვიმს.

საღამოა. ამინდი სევდიანი, საჩემოც. ზაფხულია მაინც. 1966 წელს აღებული ლიტფონდის წიგნაკი მომხვდა ხელში. ჩემს ფოტოს დავაკვირდი. მომეწონა. კარგად კი გადმოვიხატე (?). ყველას ჰგავს, ჩემს გარდა.

თავის ტკივილი ამყვა. სხდომაზეც ვერ ვიყავი კარგად. შინ მოსულმა ვჭამე, სულ მოვითენთე. ახლა არამიშავს. ველოდები „მაცნეს". იქნებ ახალი თქვას რაიმე. გაზეთი „აღდგომა" თუ წაიკითხეთო, ალეკო შენგელიამ (10. VI. 92) მკითხა. გაგინებენ შიგაო. ნემსაძემაც იგივე მაუწყა ადრევე. სად გამოდის ეს გაზეთი. ეტყობა, ქუთაისელმა ზვიადისტებმა გამოუშვეს. მეტი საქმე არა მაქვს, „აღდგომას" ვკითხულობ-მეთი! „მოწამეთაა"

ჩემი დაარსებული და „აღდგომა“ მიუსადაგებიათ, როგორც ვხვდები. ა, აღდგომა და ა, ხვალეო! ჯავახაძის „გალაკტიონს“ ვკითხულობდი წუხელ. საინტერესოა ფრიად. რაც იყო, ხომ ვიცოდი და მაინც საინტერესოა და უცნაურია ნამეტანი. იშვიათი მოვლენაა ის კაცი...

10. VI. 92 წ.

* * *

რუსთავში ჩავედით გადარჩევნებზე თუ არჩევნებზე. საინტერესო ხალხი. ერთი კაცი დურგალი მეგონა და ჩემი აღმოჩენის დასამტკიცებლად, რა პროფესიის კაცია-მეთქი, ვიკითხე ჩუმად. პოეტია ცნობილი ს. ახ - ანიო, მიპასუხა კარპემა.

ქალები: შ. ბრონტე, უკაცრავად, შარლოტა კვანტალიანი, მერი შალვაშვილი და არა შარვაშიძე. შემდეგ სუფრა სულ სხვა ხალხისა. იგივ სტრუქტურები, ძველებური ურთიერთობანი და დამოკიდებულებანი. მილიციის, პროკურატურისა, დირექტორებისა, გამგებლებისა (ქალაქკომის მდივანი) და სხვა...

ანზორ შონიამ: მთავარი იყო, კარგად ყოფილიყავ | მდივანთან. საქმე – პროკურორთან, მილიციის უფროსთან და საკუთარ მინისტრთან... წვრილ-წვრილი ჩინოვნიკები: რევიზორები, სანეპიდსადგური, სხვა და სხვა, დროდადრო რომ ამოცვივდებოდნენ, სათვალავში არ შედიოდა. ახლაც ეგრეა. რა შეიცვალა. ახლაც დონორს ეძახიან ამ კაცს – შონიას. დღევანდელი სუფრა, რადგან ნაკითხია და წიგნი უყვარს, მან შეიწერა, სხვანაირ სტუმრებს სხვა კაცი გაუძღვება, დარგებისა და რანგების მიხედვით და ასე ამნაირად. სენაკური ტრიო ქალებისა. ორი დარეჯანი და ერთი ჯუნა – იმღერეს. მეგრულ სიმღერებს ცოტა წახმარება ჭირდება-მეთქი. თავდაპირველად ვერ გაიგეს. აი, ისე, როგორც ჯანო კახიძე ეხმარება-მეთქი. სწორიაო, დამეთანხმნენ. ჯანომ იმერული სიმღერები აწიაო. ახალ სიმაღლეზე აიყვანა – მე ვუპასუხე...

12 ივნისი, 92 წ.

* * *

13 ივნისი. ცუდი დღე. სასაფლაოზე ავედი, საამისო დღედ ჩავთვალე. ქვა დავდე წარწერით. კარგად ამოიკვეთა ჩემი ესკიზით.

სახლიდან ვაპირებდით გასვლას ბავშვებითურთ და საშინელი აფეთქება. იმწამსვე გარეთ გავვარდი, საშინელი პანიკა. გაზი აფეთქდაო, ეგონათ. უზარმაზარი სახლის ყველა ფანჯარა ჩამოვარდა ძირს. ააფეთქეს მანქანა, დაიღუპა ხალხი და ბავშვი. ნაძირალები, ჩაუსაფრდნენ ჯაბას, აშკარაა. გაწირეს ხალხი. შაბათი დღე, ბავშვები ეზოში... შემთხვევით გადარჩენილები უამრავი. შუშის ნამსხვრევებით იყო მოფენილი ყველაფერი. გაფუჭდა ბევრი მანქანა. ბრძოლა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გრძელდება.

13. VI. 92 წ.

P. S.

დათო მაღრაძე დანიშნეს კულტურის მინისტრად. სრულიად ახალგაზრდა, სრულიად უსაფუძვლოდ. სპეკულიანტმა ლ. სანიკიძემ დაწერა წერილი სტალინის გადმოსვენებაზე, ასეთმა სპეკულიანტმა ქართველებმა მიიყვანეს საქართველო, ქართველები აქამდე, ამ უბედურებამდე. პროვინციელი მექრთამე-სპეკულიანტის საქართველო დაღუპვის ღირსია...

* * *

დღეს დავესწარი ნ. დუმბაძის ფონდის დაარსებას ფილარმონიის დიდ დარბაზში. სხდომაზე აღარ დავრჩი, ვეღარ გავძელი. საღამო მიყავდა გოგია ქავთარაძეს, კითხულობდნენ ნ. დუმბაძეს. ყალბი ნოტები მიხვრეტდა ისევ ყურს. კარგად გაითამაშა მარჯანიშვილის თეატრმა სცენა „საბრალდებო დას-

კვნიდან“ (ტიგრანა, დევდარიანი, ჭეიშვილი და სხვები), ერთი ნათელი წერტილი... ყალბი დიდებით განვლილი კაცის გზა დავინახე, ალბათ უკანასკნელად. ერთადერთი მწერალი, ვისაც ბესო ჟღენტი კონიუნქტურისთვის (სოსოიას რუსი) ებრძოდა... კომკავშირზე, პ. კორჩაგინზეც მრავალი სიტყვა აქვს დახარჯული... სისულელეა ყველაფერი, გახსენებად არ ღირს, მაგრამ სამწუხაროცაა. შეეძლო, უკეთესად გაეხარჯა ნიჭი, უკეთესადაც ეცხოვრა...

ქორწილი გადაიხადა ომარ ცავამ. ერთი 150 კაცი ვისხედით. ახლო მყოფთ ვუთხარი, ეს პურ-მარილი რომ ნახოს ამერიკამ, რასაც დაგვეხმარება, შეხედავთ-მეთქი. ეყარა ყველაფერი... ორკესტრი. არაა ომარი ჭკვიანი კაცი.

პასუხები მაქვს გასაცემი ანკეტაზე. შემდეგ – სიტყვა აკაკიზე, ძეგლის გახსნაზე რომ მომიწევს ან თუ მომიწევს თქმა. ცხინვალთან ომია. მოსკოვი საშინლად აცხადებს, აშუქებს მოვლენებს. გორში შეტაკება რუსებთან. არ იქნება ჩვენი საშველი...

15. VI. 92 წ.

* * *

17 ივნისი. წვიმიანი.

გუშინ შევარდნაძესთან ვიყავით, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებს შეგვხვდა, ყველა ითხოვდა ფულს, ყურადღებას, არა გვაქვს, რას გვთხოვთო (ჯინჯიხაძე, სურგულაძე)... ძველი კომუნისტური აზროვნებისაგან ვერ დავიხსენით თავი. მემსახურე და მოგივლის ვარიანტი იყო. ახლა აღარაა ეს მდგომარეობა და მაინც იგივე პრეტენზიებია... ერთიდაიგივე ხალხი ტრიალებს კიდევ და კვლავ შევარდნაძის გარშემო. ამ კვირის „საქართველოში“ ჩემი ინტერვიუც იქნება და ცოტა მეც მოვეფერე, გვყავს კაცი, რომელიც გამოგვადგება-მეთქი, აღვნიშნე. შემდეგ ყველა წავა, ყველა წავალთ და სხვა...

იქცევა ქვეყანა, მაგრამ თავად იმედიანადაა. აღნიშნა კიდეც, ახლა უფრო იმედიანადა ვარ, ვიდრე ადრეო. ვიღაცას ეხუმრა, კომუნისტები მთლად სულელები კი არ იყვნენო, გაიცინა... აკაკის ძეგლის გახსნაზე პატარა სიტყვა მაქვს დასაწერი, შემდეგ გოგლაზე...

17. VI. 92 წ.

* * *

დღეს ჩავატარეთ ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი საღამო. დღე იყო, მაგრამ საღამო ერქვა. კარგად, თბილად და მშვენივრად ჩაიარა. ზეგ აკაკის ძეგლის გახსნა და ოპერა. სიტყვა მაქვს მოსამზადებელი, დასაწერიც. ჯერ თავი არ შემიწუხებია. თითქოს სასკოლო თემა მქონდეს დავალებული, შეგრძნება მაქვს ამნაირი. გადმოვიღე უკვე აკაკის ტომები, მაგრამ თავი აღარა მაქვს აღარაფრის, ფეხბურთებმა გადამღალა. წააგო ესენგემ (რა უბედურებაა ეს ესენგე?!) და გამეხარდა, თუმცაღა თემის დასაწერად არ აღმაფრთოვანა.

ნ. გელაშვილს კარგი წერილი დაუწერია, გამოქვეყნებულია გუშინწინდელ „თბილისში". მკაცრია, სწორია. ფეხით გაველ სამსახურში, ფეხით გამოველ საღამოსა. საჭიროა, მაგრამ საამისო დროც არაა, საათი — იქით, საათი — აქეთ. ტელევიზორთან ყვინთვას ეგ ჯობია, რა დროზეა ლაპარაკი! მოვიდა წლისთავიც. ქუთაისშიც წასასავლელი ვარ. მთლად მირჩევნია ყველაფერს იქ ყოფნა!

18. VI. 92 წ.

* * *

აკაკის ძეგლის გახსნა სტადიონთან. მოვიდა შევარდნაძეც სიცხეში. კარგი სიტყვა თქვიო, მითხრა. არ იყო ცუდ ხასიათზე. ოპერაშიც შემოვიდა. შუა წარმოდგენიდან გაიყვანეს, რო-

გორც ახლა ვხვდები, რუცკოის განცხადების გამო. აჩქარდა თავადაც... აყვა სულსწრაფებს – წერეთელს, ნათაძეს, სხვებს. სწორად სჯიდა და აჩქარდა. ახლა რა გვეშველება, წარმოდგენა აღარა მაქვს!

20. VI. 92 წ.

* * *

გუშინ გვირგვინი ავიტანეთ მთაწმინდაზე აკაკის სამარესთან. მე და ფანჯიკიძემ დავიჭირეთ და ძალიან სასაცილო მომეჩვენა. პოეტს უნდა ეჭიროს-მეთქი და მივაჩეჩე მჭედლურს, კალანდიას. იმათაც იუხერხულეს. იქედან კოდაში გავემგზავრეთ ორბელიანების სახლის სანახავად, გასაგებად, გამოგვადგება თუ არა. ვილაცას დაუწყია რემონტი, მიუტოვებია სახლი უსახო, უშნო, თუმც საკმაოდ ტევადი და დიდი ხარჯით იგი რაღაცას დაემსგავსება. ადგილიც დიდი ვერაფერი შვილია... კოშკი მაღალი, მოვლილი, შენახული, მიდამოზეც დომინირებს. ამოდენა კოშკი არის სხვაგან? სვანეთში? გარედან მიცქერია, შიგ არ ვარ ნამყოფი (უშგული). სხვილოც – დიდია ბევრად, სიმაღლეს ვერ ვიტყვი... ის თავდაცვითი ნაგებობაა, ციხე-კოშკი; ეს მხოლოდ კოშკია...

დაძაბულობა პოლიტიკური თითქოს შენელდა რუსეთთან, იმიტომ, რომ ძალიან უჭირს, კიდევ შეიძლება საერთო ენის გამოძებნა, როგორც ჩანს.

სადღაც, მხოლოდ, ამჯერზე, ჩვენგან შორს, რაღაც აფეთქდა – ორჯერ, მესამეჯერ...

24. VI. 92 წ.

P. S.

სროლის, ბათქის ხმა მესმოდა თურმე. ეს იყო დილის რვის ნახევარზე. მას შემდეგ სროლა იყო, კვლავ ომი ჩვენში, ჩვენს

ახლო. შიშში, ფეთებაში, საით გამოიწუილებდა ბრმა ტყვია, არ ვიცოდით. პირველი საათისთვის დამთავრდა ყველაფერი. გაძაგრეს გარეწრები, დენიც მოვიდა, ტელეფონიც ჩაირთო, ტელევიზორიც ამუშავდა. დაიღვარა კვლავ სისხლი, ისევ სისხლი და როდემდე...

შევარდნაძე ელცინს შეხვდა მაინც. დღეს ისინი (ელცინი და კრავჩუკი, შევარდნაძე და სხვებიც) სტამბულს გაემგზავრნენ.

გვიანდელი მინაწერი:

ტელევიზიის შენობისთვის იყო ბრძოლა. აიღეს შენობა მეზვიადეებმა. ხალხი ვერ მიიმხრეს. მოექცნენ ალყაში, შუადღემდე თავს იცავდნენ. ესროდნენ ტანკიდან, „ვერტალიოტიდან“, ვერტმფრენი დაგვტრიალებდა თავს ხილიანზე. სახლის ყრუ კედელს მოფარებულნი ყოველდღიურობაზე ვსაუბრობდით, ომი შორს იყო თითქო...

* * *

29 ივნისი. ორშაბათი.

დღე წავიდა ისევ კლებაში. ბრუნვა-ბზრიალით მიდის დრო. ადამიანები კი მიდილარიენ და მოდილარიენ. შაბათს, გუშინწინ, წლისთავი გახდა. სასაფლაოზე ავედით ახლობლები, იჯახის წევრები, შემდეგ პატარა სუფრაც. თუ საშუალება მექნა, ნამდვილ წლისთავს სექტემბერში გადავიხდი-მეთქი. ასეც ვიზამ, მაგრამ მექნება კი სააშუალება (მატერიალური)?

გუშინ ზევით... კარგად წავიმუშავეთ. კრამიტები გამოვცვალეთ და სხვა. მე პირადად კარგად წავიმუშავე, კარგად დავიღალე და ვინერვიულე კიდეც. ჩემი ძმა და ლ. მალაზონია დათვრნენ, გამოქლიავდნენ და ყოფა მიტირეს, კოშმარივით მახსენდება მათი საქციელი.

ხვალ მოჭადრაკე ქალები (მსოფლიო ჩემპიონები) გვყავს მოწვეულნი. ხვალემ იკითხოს ხვალისაო. ქუთაისს ველაპარაკე. გავრისკო იქნებ ამგზავრებაც ამ კვირას...

29. VI. 92 წ.

* * *

მოვიდნენ: მაია, ნონა, ნინო. ბევრი ყვავილები, თითო-თითო „ვეფხისტყაოსანი“ მივეცით, კარგი სიტყვები ვუთხარით. შემდეგ ვითამაშეთ ჭადრაკი. მე პირადად გურიელმა მომიგო, სხვისით არ დავინტერესებულვარ. ნონამ თავი დაიძვრინა, მაიამ მოვალეობა მოიხადა. ჭადრაკის დაფის დანახვა არ შეეძლოთ. გავანაწილეთ წლიური პრემიები. იმას, ამას და იმას და კრებაც დარჩა მხიარული. გოგია ნიშნიანიძე იყო. „კუდიან ვარსკვლავზე“ მელაპრაკა. უბედურება მოაქვს და თანაც მიაქვს, შხამებს აკრეფს მთლიანად დედამიწიდან, წავა და წახვეტავსო. მეორე ტომის კორექტურას ვკითხულობდი. პირველი შემთხვევა, როცა ჩემით უკმაყოფილო არა ვარ. ის კი არა (შეიძლება, რაღაც აკლია, რაღაც ზედმეტია აქა-იქ), მომეწონა კიდეცა.

რეზიკო გახდა ხუთი წლის. გუშინ ხანჯალი (შარშან რომ ჩამოვუტანე) დაირტყა ფეხზე. ფეხშეხვეული წავიდა ბაღში. წაქცეულა, შუბლზე კოპი აზის, ცხვირიც შეწითლებულია, რკინის მანეთიანი დავადევი. ქორწილამდე გადაავიწყდება. ჩემი დაწერილი დარჩება. ვადაზე, ნავარაუდევზე ადრე შეივსება ეს რვეული. დანარჩენები ქუთაისშია. ხომ არ გვეფიქრა უკვე მათ უსაფრთხოებაზე. იქნებ გადამეღო ქსეროასლები.

ტიბეტში ბუდაა... აირჩიეს, დანიშნეს? სატელევიზიო ინფორმაციის დონეზე ვიცით მხოლოდ. 8 წლის ბავშვია, ღვთის სული ჩასახლდა მის სხეულშიო.

ჩათავდა ივნისი. დარჩა ორი ცხელი თვე ზაფხულისა...

30. VI. 92 წ.

P. S.

ამ საუკუნეში ორჯერ (1910-1986) იყო, სხვიმის? გაისად არ იქნება ორჯერ. რომელ საუკუნეებში მეორდება გაორმაგებით. აქ კანონზომიერება იქნება დაცული. დავიანგარიშებ მე თავად.

ე. ი. XXI საუკუნეში 2062 – ერთხელ
+ 76
XXII საუკუნეში 2138 – ერთხელ
+ 76
XXIII საუკუნეში 2214 – ორხელ
+ 76
2290
+ 76
XXIV – 2366
+ 76
XXV – 2442

ყოველ III საუკუნეში ალბათ. წინა საუკუნეებსაც გადავხედოთ.

* * *

გ. გოჩე – ლი.

დღეს ამეკვიატა გზაში ფეხოსანს. დავწერე გუნებაში (ნოველა):

აქ გადმოვიტან, შემდეგ მართლა დავწერ ან არ დავწერ.

დედა სახებალნიანი, უსიამო, უჟმური, თუმც ავი და ბოროტი არ ჩანდა. ოჯახი გაჭირვებული. უფროსი შვილი, ძმა გ-სი, დაჭერილი, გადასახლებული. ძმები ერთმანეთს გავდნენ – სახეჭორფლიანები, სახემოჭმუხნულნი, ერთმანეთსა და – დედას.

რუსულ სკოლაში შეიყვანეს. უჭირდა სწავლა, ისე, როგორც ყველა ქუთაისელ ქართველს, ვისი ოჯახიც გარუსებული არ იყო. მეათე-მეთერთმეტე კლასებში სხვაზე მეტი მუყაითობა გა-

მოიჩინა. სწავლით და სიბეჯითით არ მოუკლავს თავი, მაგრამ შეეგუა რუსულ სკოლას. მოეწყო იოლად ახალგახსნილ სუბ-ტროპიკულ ინსტიტუტში.

ერთხელ ჯგუფად მოვდივართ ტროტუარზე. საწინააღმდეგო ტროტუარზე (ქუჩის მეორე მხარეს) გური მოდის. გადმოდი აქეთ, რამდენჯერმე დავუძახეთ. თქვენ გადმოდით, ბოლოს ხომ მაინც აქეთ უნდა გადმოხვიდეთო. გადმოვიდე და ისევ უკან უნდა დავბრუნდეო? მარტო იარა. ჩვენ ლაპარაკით, სიცილით, მხიარულებით განვაგრძეთ გზა. არ გადმოვიდა, რამდენიმე მეტ-რი ზედმეტად არ გახარჯა.

ოკრიბიდან (გასტროლების შემდეგ) მოვდივართ საბარგო, სანახშირე ვაგონის ტამბურში მოკალათებულნი, ბარგითურთ (ფუთები, ჩემოდნებიც). გური საფიჩხიასა და სადგურს შუა ცხოვრობდა. ბარგი მისას უნდა დაგვეტოვებინა. მატარებელი იქ სვლას ანელებდა და ჩავმხტარიყავით უნდა. ჩახტი, ბარგს გადმოგიყრით და შემდეგ ჩვენც ჩამოვხტებითთქვა. ჩახტა. ჩავ-ყარეთ, მაგრამ ამასობაში მატარებელმა სვლას უმატა და მე და ომარი შევშინდით. ისე კი მოვიქეცით, ვითომ გურის ვუგანეთ და ბარგი (გადაგდებისას ზოგიერთი ფუთა გაიხსნა) შევატო-ვეთ. გაბრაზდა, როცა მიხვდა, არ ვხტებოდით, ჩაიქნია ხელი და წავიდა. ბარგი დატოვა. გვეწყინა, რაღას ვიზამდით. მობ-რუნებულა, აუკრებია, შეუნახავს ყველაფერი. ვერ მიხვდა, რომ ვერ გადმოვხტით და აკრიბა. აფიორაში რომ დარწმუნებული-ყო, უკან არ მობრუნდებოდა. გვითხრა კიდეც, ვერ ჩამოხტით, შეგეშინდათ და ვითომ მე მაჭამეთო. დაამთავრა და მუშაობ-და რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში, სტავროპოლის რაიონში ალბათ. ფულიც იშოვნა. რომელიღაც ფაბრიკის დირექტორიც გახდა, თუ არაფერი მეშლება. თბილისში შემხვდა ზაფხულის სიცხეში, გასუქებული, გაბერილი, ძროხას რომ მუცელი ამო-უტრიალდება (სოიონაჭამ ძროხას), იმნაირად გამობერილი, პე-რანგით, ყელსახვევით და სქელი, მწვანე შლიაპით... ქუთაის-

ში მოვაწყვე ბაღნები, მაგრამ თბილისში უნდა გადმოვიყვანო (ბინას ყიდულობდა თუ ნაყიდი ჰქონდა), ქუთაისში გაზრდილი ბავშვი რა იქნებაო.

ერთხელ კიდევ შემხვდა, მგონი, გასვენებაში (ვისი?), მაგრამ თავი ველარ დამამახსოვრა. რვა წელი უნდა იყოს მას შემდეგ გასული... ცოცხალია, მკვდარია, უნდა გავიკითხო...

2 ივლისი, 92 წ.

* * *

6 ივლისი, კვირა. ქუთაისი.

დღეს ჩამოვემგზავრე მარტო, არასაიმედოდ გამართული მანქანით. სიმშვიდე, სიგრილე, მშვენიერი ღამე. ქუჩაც არ ხმაურობდა, მანქანების ხრიალს აღარ მიაქვს ყურთასმენა ძველებურად, უბენზინობისა და სხვა რამის გამოც, გახსნილია ახალი ტრასაც. სწორედ იქედან შემოვედი. ბენზინში, აქედან იქითაც მეყოფა, 1000 მანეთამდე გადავიხადე.

ელცინმა განაცხადა (ტელევიზორით), რუსეთი საზღვრებს გააკეთებს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან უპირველესადაო, შემდეგაო, აზერბაიჯანთან და საქართველოსთანაო. დიქტორმა ნაღვლიანი კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს. ვცხოვრობდით მშვენივრად, „ჟილი ნაროდ დრუჟნაო“, არც საზღვრები გვქონდა არც არაფერი, ახლა კი რას ჰგავს ყოველივე, აწი და აწი უარესს უნდა ველოდოთო. ჩვენ სიხარულით ველოდებით „მშვენიერი“ ცხოვრების დასასრულს, რაც შეიძლება, მალე უნდა გავეყაროთ რუსეთს, სადაც ცუდი ამბებია მოსალოდნელი. რუსული მოდელის, მომავალი განვითარების პროგნოზირება ახლა შეუძლებელია. რა გველის, არც ჩვენ ვიცით, როგორ, რანაირად, ვის ხარჯზე უნდა ვიცხოვროთ მატერიალურად, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ. მწერლობა უფულო ხელობად იქცა უკვე... შევეგუებით ახალ სტრუქტურებს, ახალ ყოფას?

წინ მიდევს უცნობი ქალის ჩანაწერები, დღიურები, წერი-

ლები. ვინ იყო, ვინაა, სადაა? ვინაობა არ გაამხილა, მე ვერ მოვიკვლიე, თუმცაღა ძლიერადაც არ შემიწუხებია თავი.. ამ მასალიდან კი რაღაც საინტერესოს გამოდნობას ვაპირებ.

6. VII. 92 წ.

* * *

ორშაბათი.

თორმეტი საათისათვის ჩაველ ძველ სამსახურთან. შეიარაღებულები, ზოგიერთი ჩემი ხნისანიც. ისევ ჩემ ყოფილ კაბინეტს მიაშურეს. კარი ვერ გააღეს, ფანჯრიდან გადავიდნენ. რა ხდება-მეთქი, ვკითხე შედანიას (ლიდერს). ასეა და ასე საქმე, წალენჯიხაშიო. ამიწერა სიტუაცია. ყველაფერი მართალი თქვა, როგორც საღამოს გაირკვა. მოწერელიაც გამოჩნდა ნასვამი, ფისტოლეტით („შლოპანცები") და ტოიოტათი. წავიდეთ, დავლიოთო, მეპატიჟა. ჩემი წიგნის 500 ეგზემპლარი ჩავაწყვე მანქანაში. დილით გავალ. გზაზე შფოთი თუ არ შემხვდა, კარგია. ჩემ დაფხავებულ ავტოს არ დაეხარბებიან... რა გვეშველება, ისევ ეს კითხვა მიტრიალებს. ნათაძის წერილია „საქართველოში". წავიკითხე, გულს შემომეყარა, ვფიქრობდი, როგორ მოვახერხო, რომ არ ვიცხოვრო საქართველოში, როგორ გავხიზნო ოჯახი, შვილები, შვილიშვილები უცხოეთში, საქართველოდან შორს.

7. VII. 92 წ

* * *

წავედ-წამოვედი. წამოვიღე წიგნები, „რკინის სახკომი", 500-ოდე ეგზემპლარი. შეშფოთებული ქუთაისი მივატოვე. ქალაქკომში (ასე ვიხსენიებ კვლავ იმ შენობას) შესვლა დავაპირე და ვერ შევძელი. ზრიალი იყო, შესასვლელთან დაცვა. გვარდია. სიგუა იქ ყოფილა, თათბირს ატარებსო. გამოვბრუნდი. ირაკლის სიძე შემხვდა, ავტომატზე თავმიდებულს მეძინა წუხელი,

ხოცვა-ჟლეტა იყო გუშინ სამეგრელოში, დღეს რა ხდება, არ ვიცი. დამპატიჟა. ავუხსენი, ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. კუჭის წყლულის წამალს დამპირდა, უებარი რამაა. ვიზრუნებ მაგაზეო. ჩამოიარა რეზო ერისთავმა, რა ხანია, არ მენახა. მუმია დავაპატენტე, მუმიის წამალს ვუშვებო. კუჭს ხომ არ შველის-მეთქი, ვკითხე. არ უნდა ლაპარაკი, უებარია, ჩემი ხელით ჩამოგიტან თბილისშიო.

ეს რვეულიც ქე თავდება. სადღა ვიშოვნი ამნაირ რვეულებს.

ჩემ მეზობელს, ნუკრიას, მამუკას ამხანაგს და კბილას, მეხუთე შვილი შეძენია ამ ძნელბედობაში. ის ქუჩა, რომელსაც ბალზაკის ენერგია (ნიჭი ჩემი ეყოფა) ჭირდება, სწორედ წიქორიებით, სადაც მეხუთე მოქალაქე გაჩნდა, იწყება, ზევით და ზევით იკეტება, იდუმალი ხდება

7. VII. 92 წ.

* * *

10 ივლისია. დღეს აცივდასავით. ყველა ზაფხული ერთნაირი იყო აქამდე, ახლა ზაფხულიც გადაგვარდა?

ონკოლოგიურ საავადმყოფოში ავყევი ზურიკო ნემსაძეს. მთლად კარგადაც არ უნდა იყოს, თუმც მთლად ცუდადააო, გამაფრთხილა ერთმა ექიმმა. აღარავის არაფერი უკვირს, თვით ავადმყოფსაც კი. მშობელი შვილის უბედურებას განიცდის მხოლოდ და მშობლის მწუხარების გაზიარება არ შეუძლია ძეხორციელს. ახლა, ამ უბედურ დროში, თანაგრძნობაც უჭირთ.

წიგნები ჩამომიტანეს. ჩავტვირთეთ საწყობში, მეც გამოვიღე ხელი. ავთომ და ელგუჯამ ივარგეს, პატივი მცეს ჭეშმარიტად, ნაწილი შინა მაქვს და სად მივიტანო, სად გავასაღოთქვა, ვანგარიშობ. მეჩვენება, რომ არ გაიყიდება. ეს მოჩვენება რეალურია. წიგნი აღარ გადის, თანაც ძვირი გავხადე... ჩემი წიგნი, რაც კი გამომიცია, არ გაყიდულიყოს, არ მახსოვს. ეგეთი შემთხვევა, რომ იტყვიან, არ ყოფილა. არ ყოფილა და იქნება. „რკინის სახ-

კომი“ კი პოლიტწიგნის შთაბეჭდილებას (ასეცაა) ტოვებს. დაა-წერე რომანი, — წავა, რომანი იყიდება ჯერჯერობით...

ეს რვეული თავდება. ახალი აღარაა. ამ ფერისა არც იყიდე-ბა. ნაკლები ხარისხისა — 21 მანეთი. წიგნში, ნაწვალებში, 20 მანეთი მინდა ავიღო და ცარიელ რვეულში 21 უნდა გადავი-ხადო. ტ. ჩარქსელიანს გამოუცია ლექსების წიგნუკა. ფასი 10 კაპიკი ყოფილა. ბიძამისს ეთქვა (სვანეთიდან ჩამოსულ ბიძას), ცარიელი რვეული 12 კაპიკია და შენ რა დაწერე ამნაირი, 10 კაპიკად რომ შეგიფასესო. გ. ხარაბაძეს მივესალმე დღევანდე-ლი „ლიტერატურული საქართველოთი“ — გოგია — 50. მოწო-ნებიათ. კორექტურას ვამთავრებ მეორე ტომისას. სექტემბრამ-დე მოვრჩები „კუდიან ვარსკვლავს“. შემდეგ კინომოთხრობები („ტურანდოტი“, „ასკილის წითელი ყვავილი“. „გათენების წინ“ და სხვა), შემდეგ გულო ჯანდიერი და ისტორიული თ. ც. ბო-ლოსდაბოლოს. არ მოვკიდებ სხვა რამეს ხელს...

მშვიდობა იყოს ოღონდაც...

10. VII. 92 წ.

* * *

გარდაიცვალა დეიდაჩემი — ლუბა. ასაკის მიხედვით მიიც-ვალნენ და მიყვნენ ერთმანეთს დები. დედაჩემი — ვერა, შუშანა, ლუბა, დარჩა — ნინა. რა სახელებს არ არქმევდნენ, რა დრო იყო!.. თუმცა დედა, მგონი, იმ საუკუნეშია დაბადებული, იგი დაახლოებით 87 წლისა აღესრულა (მგონია, მეტისა).

თუ ვინმესაგან (სანათესაოსგან) რაიმე კარგი მინახავს, ლუ-ბასგან მახსოვს მხოლოდდამხოლოდ...

იტანჯებოდა, უჭირდა სუნთქვაც კი. 4 დღის წინ ვნახე ქუ-თაისში. იწვა .შეწუხებული, უკეთესად ხარ-მეთქი, ვუთხარი. სოფელი ხომ არ გენატრება, წასვლა ხომ არ გინდა-მეთქი (ვერ ძლებდა ზაფხულ-შემოდგომა ქუთაისში). არაო, აღარ მინდა იქაურობა, ჩემ შვილთან წოლა მინდა მხოლოდო (სასაფლაო

იგულისხმა). იმდენად გულწრფელი იყო, რომ არც შემიცხადებია, რას ამბობ, რა დროს მაგაზე ლაპარაკიათქვა...

ყურში ცუდად ესმოდა, საღად აზროვნებდა. ქალიშვილმა, კარგადააო და არ დავიჯერე, მივხვდი, განწირული იყო, თუმც ასე უცბადაც არ ველოდი. რით წავემგზავრები, აღარც ვიცი... ოშაბათს თელავში მივდივართ. ოთხშაბათს გამგეობა. ხუთშაბათს უნდა გავემგზავრო მანქანით, თუ არა და ოთხშაბათსვე, მატარებლით. 1000 მანეთი, სულ ცოტა, ჭირდება ბენზინს. ასე გადავიხადე ბოლო წასვლაზე და ვიყოფინე (50 ლიტრი) კიდეც...

12. VII. 92 წ.

* * *

ვიყავი კახეთში გომბორით. რა ხანია, იქით აღარ ვყოფილვარ. მშვენიერი დღე იყო, თუმცაღა ორშაბათი და 13 არც გამხსენებია, თარსი დღე თუ იყო, თორემ შეიძლებოდა, გადამედო კიდეც ამგზავრება. ხვალ არა და ზეგ ქუთაისში მომიხდება წასვლა. ბათუმში ვაპირებდით და გადავდეთ. საერთოდ კი, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით, ცოტას დავდივარ თვით საქართველოშიც. ზ. ნემსაძე არ უნდა იყოს კარგად. არჩილ სულაკაურიც. დაჭიანების და არა ჭკნობის, ჭკნობა შემდეგ მოვა, პროცესი იწყება, სამოცს რომ მიუახლოვდები, გინდაც გადაცილდები. ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე იყო (მერამდენე წელი ნეტავ), დარეკა ნანულიმ, მივედით. იყვნენ სხვებიც, არც მრავალნი. ვიდექით, დავიშალენით. არ წახვიდეთო, წასვლისას წამოგვეწია ქეთინო, ნანულის არ აუწევია საჯდომი. დედაჩემი გაგიჟდებაო. დედაშენი მაშინ არ ჩაყოლია და ახლა ჩაყოლით რჩებაო, ჰკითხა ჯანსულმა, ეტყობა, ვერ იყო ხასიათზე, დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს ელოდა. ფანჯიკიძემ უარი თქვა, წინასწარ რატომ არ გამაფრთხილესო. ტარიელმაც უარი, თუმცა, ჩემი არ იყოს, ჩოხაც არავის შემოუხევია იმისთვის. მანქანით რომ

ავიარე, ჯანსული მიყვებოდა მხოლოდ შინაურებს. სხვა? სხვა არც არავინ ყოფილა გამოჩენილ-გამოჩენილი ხალხი, ნოდარს რომ უყვარდა, არც კი მობრძანებულა.

14. VII. 92 წ.

* * *

ქუთაისი, 16 ივლისი.

ნამეტანი ცხელოდა გზაზე. დღეისთვის ბუნებრივია-მეთქი. რატომაო. ივლისის II ნახევარია, ყველაზე (აგვისტოს I ნახევრის ჩათვლით) ცხელი დრო წლისა. ეგ მართლაც ეგრეა. ოკრიბაში შედარებით გრილოდა. აქაც აგრილდა. ახლა ჩამოიხუთა და მგონი, წვიმას ეპირება. ჩემიანები — მამუკა, გუბაზი, მაია გაემგზავრნენ, დავრჩი. ახლა ჩემსას ვარ, ღამეა. დავკრძალეთ დეიდა... იყო ხალხი ბევრი, ნათესავები მრავალნი, დღე, თითქოს, უმნიშვნელო. ტატულის მანქანით ჩამოვბრუნდი ოჯოლადან, მეზვიადეებს გადავაწყდი, მომშალეს. ახლა გამახსენდა თვარა, მაგაზე აღარ ვფიქრობდი. დეიდა სახლიდან ქალებმა გამოიყვანეს, აქაური წესიაო. როდის დამკვიდრდა, როდის იყო ამნაირი წესი? ისე კარგია! ახალ დამკვიდრებულს ჰგავს, გიგლამ კი ტრადიცია დაარღვია. წინასწარ არ დასხა ხალხი და ერთ რამეში შეცდა. სიდედრი ადრე, დღის 3 საათზე გამოასვენა, ამიტომ ყველანი უკანვე შემობრუნდნენ, ნახირივით მოაშურეს ეზოს, ეზოში გაშლილ (400 კაცზე) სუფრებს. ადრე ეგრე იყო: ჭამდნენ, სვამდნენ, სკდებოდნენ (ზოგიერთები), ტოვებდნენ გადასახურავს და მიდიოდნენ, სასაფლაოზე რამდენიმე გარეჭირისუფალი და ნამდვილი ჭირისუფალიღა მიაცილებდა მიცვალებულს (მამაკაცები მთვრალები). ახლა ყველა გავიდა და თითქმის ყველა შემობრუნდა. 5-6 საათისთვის რომ გადაეტანა (როგორც წესი იყო), უჭმელ-უსმელებიც წავიდოდნენ... თუმცაღა, შეიძლება, ხალხიც დაკლებოდათ, სუფრები ცარიელი დარჩენოდათ. წინასწარი დაანგარიშება, გაზომვა-გამოზომვა აუცი-

ლებელია. არც მწვადი უნდა დაწვა, არც შამფური, ისე, ნახირს ჰგავდა მართლაც ხალხი. ჭამდნენ, სვამდნენ ბევრსა, ქალები განსაკუთრებითა...

16. VII 92 წ.

P. S.

ზუსტად 16 ივნისს ჩამოვსულვარ შარშან, ცოლის გარდაცვალების შემდეგ. წინა რვეულში მაქვს საგანგებოდ აღნიშნული.

* * *

განზრახული მაქვს დისკუსიის გამართვა ქართული ენის, ლექსიკის საკითხებზე. სადისკუსიო-მოსაწვევი თეზისი მოსაფიქრებელია, დასაწერია. ლექსიკა ქართული (სალიტერატურო ნორმებითა და ლექსიკონებით) ღარიბია, გასარკვევია, რამდენია ძირეული ქართული სიტყვების ლექსიკური მარაგი და შესადარებელია სხვა ენებთან. აქედან გამომდინარე: გამდიდრდეს ენა დიალექტებით, კუთხური სიტყვებით, რომელთაც შესატყვისი არა აქვთ სალიტერატურო ენაში, სინონიმებით, ომონიმებით, რაც მთავარია, მეგრული ენით, ნაწილობრივ — სვანურით (მაგ. ბულბული — მაფშალია და სხვა). ეს უნდა გააკეთონ მეგრული წარმოშობის მწერლებმა. სასწრაფოდ უნდა გამოიცეს ამგვარი სიტყვების ლექსიკონიც... ჩვენ უნდა თამამად ვაწარმოოთ სიტყვები: მაგალითად: (არ მაგონდება) სიმონ. ამ სიტყვის დღევანდელი ირონიული მნიშვნელობა გასაგებია. აქედან: სიმონეთი (არაუშავს რა, სოფელი სოფელად დარჩება), სასიმონეთო, სიმონები და სხვა... არამარჯვე მაგალითია, მაგრამ ამნაირმა სიტყვებმა უნდა განდევნონ კალკები, სხვათა ენები, საერთაშორისო (შესაძლებლობის ფარგლებში) ტერმინები... რაც მთავარია: მეგრულის ქართულთან შერწყმა... შორს გამიზნულია ეგ ჩანაფიქრი და აუცილებელიცაა. ამაზე უნდა დავაფიქრო მრავალი...

ჩამთავრდა ეს რვეულიც (XV). იგი აქვე დარჩება, ქუთაისში. ჩავიარე საკანცელარიო მაღაზიები და რვეული ვერ ვნახე. 21 მანეთიანი დავიწუნე ყდის გამო თბილისში. ჩავალ, ვიყიდი და განვაგრძობ. ცხადდება სამდღიანი დასვენება ხვალიდან: შაბათი, კვირა, ორშაბათი.

ახლა 17 ივლისია, პარასკევი. საღამოს ექვსი საათი. ქუთაისში ცხელა, დილით წვიმდა კიდეც. ზაფხული ძალაშია, მაგრამ ადრინდელს აღარა ჰგავს, გაძლება შეიძლება...

17. VII. 92 წ.

* * *

ქუთაისში წვიმს. ღამეა და წვიმს. ღია ფანჯარასთან ვზი, მაინც წვიმს, 18 ივლისია. არ ცხელა. ზაფხულიც გადასხვაფერდა. ოდნავი ნესტი და ხის სუნია. კოკლისთან ვიყავ, გორაზე. იქაც წვიმდა. მანდარინის ბაღი ხასხასებდა, ბუშმალა, ბლები გაკრეფილი, ვაშლები, მოლი და წვიმა... ჩვენ ზალაში ვიჯექით, პურ-მარილი ზომიერი. პედაგოგი ქალები, ნათლიები დათოსი — ვისი დაბადების დღეც აღმოჩნდა. მასწავლებლების მსოფლმხედველობის სინათლეში (დღევანდელი პოლიტიკური ვითარების მიხედვით) მეპარებოდა ყოველთვის ეჭვი და ეგრეც აღმოჩნდა. შემებნენ (არა ყველა), მგონი, მე ვაჯობე. ზვიადს ნატრობენ და ვერ ამხელენ. სხვები (სხვა ფენებში) აგინებენ კიდეც გულგარეთ, შევარდნაძეს დავუჭერდი მხარს, მკვლელები და ბანდიტები რომ არ ედგას გვერდითო. შევარდნაძეზე შეაჩერეს არჩევანი, — ერთად რომ იმოღვაწეონ, კარგი იქნებაო (საქმე — ერთს, სახელი — მეორეს), თქვეს ცოტა ხნის წინ. ახლა, მხოლოდ შევარდნაძეო, ჩამოშორდნენ ბანდიტები და გვერდით დავუდგებითო, პროგრესია მათი მხრიდან. მესამე ეტაპი როგორი იქნება, ვერ ვხვდები, ბავშვები კი ცუდად გაიზრდებიან ამათ ხელში. იმიტომ კი არა, რომ დაუჯერებენ, პირიქით, არ დაუ-

ჯერებენ და ესაა ცუდი. მასწავლებელსა და მოსწავლეს შუა (დამწყებ კლასებზეა ლაპარაკი) ნაპრალი გაჩნდება.

ესე იგი, იყო ქალთა საზოგადოება და მაინც წვიმდა... ვვარჯიშობდი დილაადრიან და დამდგომია იაკობ პაპიაშვილი. როგორ გააღო ჭიშკარი, როგორ შემოვიდა უხმაუროდ? ნაბიჯების ხმა არა აქვს, ერთი კაცივით? დავითარსე-მეთქი, იაკობის დანახვაზე გავიფიქრე, ისე აგიხდათ ყველაფერი კაი...

ელექტრონის კაცები (ელიოზიშვილისა) მოვიდნენ, გადაგვამოწმეს, აკანტურეს თავი და ორშაბათისთვის დაიბარეს ბენია (გული შემოეყარა, რომ გაიგო).

18. VII. 1992 წ.

* * *

გუშინ ჩამოვედი ქუთაისიდან. დღეს სამშაბათია, 21. VII. სიცხე. ბუზები, ვირთხები და ასე შემდეგ. გაძლება შეიძლება, ყველა თბილისური ზაფხული ერთნაირია და წელს არა. სულისხუთვა ადრინდელივით. დილაა, მართალია, მაგრამ გრილა. წიგნები არ იყიდება ჯერჯერობით. ვარიგებ, ვკარგავ, ზ. კუხიანიძემ: კაბინეტი გამიტეხეს და წაიღეს 40 ცალამდიო, აქაც გახსნილი დამიხვდა ერთი შეკვრა, სხვა ცალები (ზემოდან მეწყო) ადრევე გაქრა. ვალი დამედება, ლაპარაკი არ უნდა. საყიდლად ეძვირებათ, საკითხავად ეიოლებათ მკითხველებს, არამკითხველს (დამწერი რომ არ აინტერესებს) პოლიტიკური ლიტერატურა ჰგონია, მას არც ყიდვა სურს, არც კითხვა (ამოუვიდა ყელში) ეხალისება, არც სხვათა სიხარულით ვარსებობთ და კმაყოფილი ვართ... ამნაირ რვეულში კი პირველად ვწერ... საბაზრო ეკონომიკის დაწყების შედეგია.

21. VII. 92 წ.

* * *

ღამით:

დღის 5 საათზე შეხვედრა მოვუწყვეთ მომღერლებს. მოვიდნენ პუნქტუალურად, გამოწყობილნი: საკონცერტო კაბებით და კოსტუმებით ამ სიცხეში. მაყურებელი, ჩვენი დიდი მეცადინეობისდამიუხედავად, ნამეტანი ცოტა. სამაგიეროდ, საღამო გამოვიდა მშვენიერი: ხომერიკი, გეწაძე, ათანელიშვილი და სხვები. პურ-მარილი „ივერიაში", მაგარი სიმღერებით. არ იყო თითქოს ამის დრო და საჭიროება, მაგრამ კარგი გამოვიდა. ტელევიზორს ვეღარ მოვუსწარი და რა მოხდა და რა ხდება აქ და იქ, არ ვიცი. დელეგაცია მიემგზავრება სამეგრელოში ხვალ დილით. ეს კუკა პატარაიასაგან შევიტყვე. მისი სტუდენტი ბიჭია დელეგაციაში, სახელმწიფო საბჭოს წევრიცაა, სტუდენტობის (მეგრული გვარი) და კაი სტუდენტობის გამო მიყავთ...

21. VII. 92 წ.

* * *

სტალინის გენიოსობის მოტრფიალენი დამეხვიენ იმ დღეს. ხომერიკი იცავდა მომღერლის დონეზე და მხარი აუბეს: ფანჯიკიძემ, მაღრაძემ, მჭედლურმა; ტოლსტოიმ ნაპოლეონის გაბითურება დააპირა, მაგრამ არა გამოვიდა რა. ადამიანებს, მკვლელებისა და ყაჩაღების ხსენებაზე აღტაცებაში რომ მოდიან, ვერაფერი შეასმინა, თუ არ ვცდები. შენი რომ არაფერი გაქვს, სხვისი გაოცებს. კაცი, რომელიც პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდა, ვერც ჩამოყალიბდება, სხვისით ცხოვრობს, სხვისი უკვირს, სიგლახე, სისასტიკე, მოძალადეობა გმირობა ჰგონია; კარგი კაცობა, კეთილშობილება სისუსტედ ესახებათ, ღირსებად არ მიაჩნიათ. ტოლსტოის ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნებაში ეპარებოდა ეჭვი (ეს, შეიძლება, არასწორიც იყო) და სტალინის გენიოსობას, ცხადია, ვერ დაიჯერებდა. ადამიანის ბედი ადამიანზე არაა დამოკიდებული, რადგანაც ამ პროცესს უზენაესი განაგებსო. ეგ იყო ძირითადი დებულება მწერლისა

(უნდა გადავხედო „ომი და მშვიდობის“ II ტომს ხელახლა). ყველაზე დიდი და ძლიერი იმპერია შექმნა სტალინმაო, სულ ტყუილია. რუსეთის იმპერია (ძალიან ძლიერი) შექმნილი იყო. რუსეთის სულიერი პოტენციალი იმ დროისათვის მაღალი იყო. მწერლობა, მუსიკა, ხელოვნება საერთოდ... სამხედრო არისტოკრატია და სხვა და სხვა აღმავლობას განიცდიდა, კომუნისტებმა, განსაკუთრებით სტალინმა, რუსეთი სიბნელისაკენ შეაბრუნეს კვლავ, თუ 100-ით არა, 50 წლით უკან დახიეს. იმპერია დასაშლელად შეემზადა, რადგან იგი ფურთხით შეაკოწიწა, შექმნა ბუტაფორული რესპუბლიკები და კონსტიტუციით (როცა უნდათ, გავლენ საბჭოთა კავშირიდანო) მათი დამოუკიდებლობა აღიარა, ეგონა, ამაზე (დამოუკიდებლობაზე) ფიქრსაც ვერავინ გაბედავდა (ეგრეც იყო დრომდე და მომენტამდე), მაგრამ გაბედეს და იმპერიამაც ძალიან მალე (რაა ისტორიისთვის 70 წელი) რღვევა – ნაკერებში პრიწინი დაიწყო, რუსეთის სიძლიერის ერთი საფუძველი ტერიტორიული მთლიანობა იყო; იგი მტკიცდებოდა და იზრდებოდა როგორც ერთი მთელი, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კოლონიური ზრდის საწინააღმდეგოდ. სტალინის მემკვიდრეებმა, ხრუშჩოვმა განსაკუთრებით, მისდაუნებურად, ეგ პრინციპი დაარღვიეს, შორს (კუბა, ვიეტნამი) დაიწყეს ხელების ფათური და მსოფლიოც გამოფხიზლდა, სხვა სახელმწიფოები გაფრთხილდნენ. შორს წაგვიყვანს ეგ ლაპარაკი. რუსეთს სტალინის დასამადლებელი არაფერი ჭირს. გერმანიასაც იმ ომში (მსოფლიოს, ებრაელებს და კომუნიზმს დაუპირისპირდა) გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა; იგი დამარცხდებოდა და ისევე განადგურდებოდა, როგორც განადგურდა, სტალინი სულაც რომ არ დაბადებულიყო. ქართველების გაჟლეტას კი, სხვაზე არას ვლაპარაკობ, სტალინთანა აქვს პირდაპირი კავშირი (24, 37, ომი და სხვა).

გია ლომაძეს გაზეთი გამოუშვია, „ბანკი“, №1. ქუთაისში ვინახავ პირველ ეგზემპლარებს. აქ მიდევს „შარავანდიც“, რო-

მელსაც ფანჯიკიძე წერს თავიდან ბოლომდე (№7, 92 წ.). ახლა ნაშუაღამევია და ძალიან ცხელა. თბილისი ჩადგა სიცხის კალაპოტში. აქ გვაცალა, რას ერჩი!

ფანჯიკიძე მიდის. მე აქ ვრჩები აგვისტოშიც. მამულს მივხედავ, ვიფიქრე, მაგრამ უბენზინობა შემბორკავს, მთენთავს თან ზევით-ქვევით სიარული.

23. VIII. 92 წ.

* * *

ათიოდე წუთში გაიხსნება ოლიმპიადა ბარსელონაში. გავერთობი, თუმცა კი, მუშაობას ვაპირებდი. გრილა და შეიძლება დაჯდომა, წერაც კი. ოლიმპიადა მაინც ოლიმპიადაა. ისე, არავითარი მოლოდინი, არავითარი სიხარული, არც ჩემკენ, არც სხვისკენ.

I ოლიმპიადა, ჩემი მახსოვრობის 1952 წელი, ზაფხული, სკოლადამთავრებული. წავიკითხე „პრავდა". გადავაწყდი საინფორმაციო წერილს (სპორტის ამბებს ვეძებდი ალბათ), „პრავდა" კი ბენიას ჰქონდა გამოწერილი, თუმცა შიგ არ ვიხედებოდი. ებრაელთა უბანი, გ. კოხრეიძის სახლი. გავშალე გაზეთი (საბანაოდ ჩავდიოდი ან ამოვდიოდი „ჩვენი პლაჟიდან" – „ძველ სუდთან", სომხურ ეკლესიასთან, სადაც რვაწლედი დავამთავრე). ცუდად ვკითხულობდი რუსულად და გავარკვიე მაინც, რომ იმართებოდა დიდი სპორტული შეჯიბრება სპორტის ყველა სახეობაში და ჩვენი საბჭოური გუნდიც მიიღებდა მონაწილეობას. გამიკვირდა, ბიჭებს ვუთხარი, ასეა-მეთქი. არც კი დამიჯერეს, ხეირიანად ყურადღებაც არ მაღირსეს. დამთავრდა და გახმაურდა შემდეგ, აჭრელდა გაზეთები, გავიმარჯვეთ, ვაჯობეთ ამერიკასაო და სხვა. შემდეგ: თანაბარი ქულები დავაგროვეთაო. ქართველი სპორტსმენები ამოტივტივდნენ: ო. ქორქია, ჯორჯიკია, ჩიხლაძე, მეკოკიშვილი, ხნიკინა-დვალიშვილი, მზია ჯუღელი, სანაძეც, მე მგონი, შეიძლება გადამოწმება.

ზურიკოსთან (ზურაბ ნემსაძე) გავედით მე და იორამი გუშინ საღამოს. პატარა სუფრაც გაგვიშალეს დეიდებმა... რომ წამოვედით, იორამს ვუთხარი, მეტად ვეღარ ნახავ ამ კაცს-მეთქი. მეც ეს გავიფიქრეო.

აქ გამომიარა რამაზის მანქანით მესამე დღეს. საიმქვეყნიო ჯერ არაფერი ეტყობოდა და ღმერთმა ჰქმნას, ამას იქით არ წაუვიდეს ავადმყოფობა.

ოლიმპიადა დაიწყო.

გადავინაცვლე ტელევიზორთან.

26. VII. 92 წ.

* * *

გარდაიცვალა ანზორ ღვინერია.

წავიდა „აზია სლადკიც“ (თავადვე დაირქვა ეს სახელი), ქუთაისში ბაძგუს, ურჩხულსაც ეძახდნენ; გულის აჩვილებაც იცოდა სადღეგრძელოში, მაგრამ „სლადკი“ სულაც არ იყო. სამარედან ამოღებულს დაემსგავსა ბოლოს, თუმც იმ მომენტში გადადებული არ ყოფილა. კუჭი ჰქონია გახეთქილი და გული უთქვამთ; საგულე წამლებს, გამაფართოებლებს(?) ვაძლევდითო, ოპერაცია გადაუტანია, მომკვდარა მეორე დღეს.

11 საათზე დაიწყო სახელმწიფო საბჭო, ხუთის ნახევარზე გავიარე, ისევ აქ იდგა მანქანები, პატრონები შიგ, შენობაში.

5 საათზე კულტურის კომისიაზე მინდოდა მისვლა, მაგრამ ვინღა მოიცლიდა, ქუთაისის მუზეუმისთვის (ნიკოლეიშვილის წერილი მქონდა შევარდნაძისათვის გადასაცემი) ვის ცხელოდა. ძალიან ცუდადაა საქართველოს საქმე, საშველი აღარა ჩანს უკვე. ზვიადის სიკვდილია ერთადერთი გამოსავალი და იგი მოკვდება სულ მალე, ამ წელს ვერ გადაიტანს. კანონზომიერებას, ბუნება გვთავაზობს ამას, გამოუსვლელიდან გამოსავალს მოგვაძებნინებს ხოლმე ყველაზე კრიტიკულ მომენტში, დავიმახსოვროთ ეს დღე!

27. VII. 92 წ.

* * *

ღამეა გვიანი. ტელევიზორი ისევ ჩართულია. გუბაზი ხატავს, თან უყურებს, თუ უსმენს. ოლიმპიადა შემიყოლიებს. მეძინება ტელევიზორთან, წუხელ ხახალეიშვილის (დღეს ვნახე) გამარჯვებასაც ვერ ვუყურე, დიდი ამბავი მოხდა და ვერ მისცეს შეფასება, მნიშვნელობა. ქუთაისელი რომაა, ამიტომ-მეთქი (არის სიმართლის ფიორი), ესეც კი ვიფიქრე.

ჩვენგან არც ძალიან შორს, ვაკეში, რაღაც აფეთქდა, შემდეგ უფრო ახლო, შეიძლება, ზოოპარკის ტერიტორიაზე... სროლას ყური მიეჩვია და სწორედ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა გუშინ ერლომ ახვლედიანის ცოლი; გარდაიცვალა დავით მანდარიაც, ცინუკი დადიანი (არ მომწონდა მაინცდამაინც მისი სიმღერა), სათნოების სახლში (აღარავინ დარჩა ნეტავ?) მოკვდაო (მის უპატრონობას მიანიშნეს).

მე, ოღია და ლევანი ვიყავით ზ. ნემსაძესთან. ზურიკო კარგ ხასიათზე (წამალი ჰქონდა დალეული) დაგვხვდა... ჩვენც ვითვალთმაქცეთ – კარგად ხართქო, ავადმყოფს მართლაც არ ჰგავდა. უეჭველ მორჩენას (ბოლომდე არ იცის – რა ჭირს) მპირდება მეწამლე – აქიმიო. ელოდა, უნდა მოვიდეს თავადო. წამალი ბალახეულისაა (ლომიძის, მგონი), იქნებ არც ჭირს არაფერი...

28. VII. 92 წ.

* * *

179-ე წევრი გავხდით გაერთიანებული ერებისა – გერო 179. 1 - 7 - 9, სამივე შიგაა – 1 – 7 – 9. აქედან რაღაც სასიკეთო დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. ეგ გუშინ მოხდა. დღეს 1 აგვისტოა.

დილაა. მივდივარ ჩარგალში. დანარჩენი ჩამოსვლისას.

...ჩატარდა. ხალხი საკმარისი. ატმოსფერო მშვიდი. სუფრებიც. სმაც ზომიერი. ამინდი შესანიშნავი. პატარა წალაპარა-

კებასავით მომივიდა ვაჟა ადამიასთან. არ გავამხილე თორემ, თავდაპირველად, ვერც ვიცანი. მეგრელობას შევეხე და მისი უხეშობა არ გამკვირვებია. გულიც დამწყდა, რატომ ვაწყენინე-მეთქი.

სიტყვაც ვთქვი უხეირო, თუმცა სხვაზე (ვერაფერი შეღავათია) უკეთესი. ტელევიზიამ ჩამწერა და საღამოს (ასეც ველოდი) არ გადმოსცეს. ან გაუფუჭდათ (რაც აჩვენეს — უხარისხო), ან სხვა გადაცემასაც (უფრო სავარაუდოა) ამზადებენ ვაჟაზე.

1. VIII. 92 წ.

* * *

მარტო (საუფროსოდან) დავრჩი სამსახურში და მომსვლელ-წამსვლელს, მიმრეკავ-მომრეკავს ველარ ავუვედი. დღის ბოლოს კულტურის კომისიას დავესწარი სახ-საბჭოში. ქუთაისიდან წამოღებული წერილი მქონდა მისატანი, თორემ მისვლა არ მინდოდა, ფეხები უკან მრჩებოდა. სხდომა მალე დამთავრდა, საბჭო დაიწყო. რას სხდომობენ ამდენს? საარჩევნო ციებ-ცხელებაა. პარტიებს გონიათ, ვინმე იცნობს, ვინმეს მათი საქმიანობა აინტერესებს.

4 აგვისტოა. გრილა. წყნეთში ვერ დავრეკე. წიგნი არ იყიდება, მძიმედ საღდებაო, მითხრა გამყიდველმა. მძიმედ, მძიმედ... წიგნის ბუმი იყო (ვგრძნობდი, — დროებით) და აღარაა. ყველაფერი ეძვირებათ, რაც სავსებით ბუნებრივია და რისი ყიდვაც აუცილებელი არაა, შეიძლება, მართლაც არ იყიდო.

4. VIII. 92 წ.

* * *

გუშინვე დიდი ზეიმი. ტელევიზორი ვამჯობინე მოედანზე დგომას. სწორად მოვიქეცი, მაგრამ ელგუჯა ამაშუკელის სახელოსნოში, სადაც შაშიაშვილის გადაპატიჟებული ვიყავი, ადრე მომიწია მისვლა (რომელიღაც ინსტიტუტის შენობაში აქვს

გამოყოფილი სამუშაო ადგილი). 8 საათზე წამოვალთო, შაშიაშვილმა. მივედით დროზე მე, გ. გვერდწითელი, მურმან ლებანიძე. ზეიმი გრძელდება თურმე. ჩვენთან არც ტელევიზორია, არც რადიო. ვნახეთ დავითი, ვუარეთ გარშემო, ვათვალიერეთ, შთამბეჭდავია, ფოტოსურათზე არ ჩანს ასეთი... მომეწონა ერთ ნახვაზე. ცხენი გორგასალისეულია, ხმალი, ჯვარი – ტრადიციული და მაინც შთამბეჭდავი. შეიძლება, სივიწროვის ბრალიცაა. მოვიდნენ, როგორც იქნა, მოშავდნენ (კვერნაძისეულია) მანქანებით. მეც გამოვიდევი თავი და მასპინძელივით მივეგებე შევარდნაძეს, კათალიკოსს, სიგუას და სხვებს. რაღაც ვილაპარაკე კიდეც. აღტაცებული, დაღლილი, გაბრუებული შევარდნაძე ყურადღებით მისმენდა (?) და არაფერი ესმოდა, შევატყვე.

არ მომეწონა საკუთარი თავი, ცუდ ხასიათზე დავდექი, ბერძენიშვილის სახელოსნოში წასვლის სურვილი აღარ გამჩენია. კიდევ კარგი, აღარ ავედევნეთ (მურმანს ძალიან უნდოდა) შავშავებს, დავრჩით. იქაურმა თანამშრომელმა მშვენიერი კახური ღვინო გამოიტანა. ე. ი. მასპინძელი (დირექტორი ინსტიტუტისა), ლია სტურუა, ელგუჯა(?), რ. კვესელავა, რ. ესაძე, ლებანიძე, გვერდწითელი.

შემდეგ:

ისევ ტელევიზორი, ოლიმპიადა ესპანეთიდან. ბეჭდვა ვერ დავიწყე, თუმცა არ ცხელა, სამსახურში ფუყე, უსარგებლო საქმეები დაღლამდე. დილაა. წყნეთში მინდა ასვლა, თუ ჩატოვა ბენზინი გუბაზმა მანქანაში, ავალ, ზოოპარკში ერთსაათიან ვარჯიშს გადავდებ და დროსაც მოვიგებ.

მთავარია მშვიდობა და განგებაც გვიშველის.

5 აგვისტო, 1992 წ.

* * *

მამფორია იყო გუშინ. ქალიშვილი მოიყვანა, ლამაზია, მაგრამ დიდია ტანად. დედითა და მამით ლამაზი არ გამოდის

ხოლმე სრულყოფილი. შენ რომ შემარცხვინოო, ერთხელ უთხრა ქალიშვილს, დავჯდები გაწყობილ საუფრაზე, არ დავლევ, არ შევჭამ, არც ავდგები. ვიქნები და მოვკვდებიო. ამნაირი სასჯელი თუ გინახავთ?! ახლაო, მითხრა, დათო მაღრაძესთან მყავდა, შენთანაც მოვიყვანე, დაგვპირდნენ სამუშაოს, ან იქ, ან აქ. ლექსებს წერს, ესა და ესა აქვს დამთავრებულიო, თანაც მუშაობს. სხვებთანაც მიიყვანდა, ვხვდები, მოვკვდები და უპატრონოდ არ დამრჩესო, ფიქრობს. ეს აშკარაა. ადრე მითხრა: საკეისრო გაუკეთეს, ბავშვი მკვდარი ამოუყვანესო, შვილიშვილი რომ გამჩენოდა, კიდევ დიდხანს ვიცოცხლებდიო. ქმარს შეურიგდა თუ სხვაზე გათხოვდა? ველარ ვკითხე.

კვლავ გრილა, ვმუშაობ...

9 აგვისტო, 92 წ.

* * *

10 აგვისტო. კვირა.

დამთავრდა ოლიმპიადა ბარსელონაში. დახურვის ცერემონიალი, ზეიმი, ფიესტა. ქალმა და კაცმა იმღერეს მშვენიერი სიმღერა დიდებულად და ლამაზად. ფეიერვერკი აჩუქეს მსოფლიოს, – ვინც იქ იყო (ზღვაში წვეთი), ვინც ტელევიზორში ხედავდა ხმითა და ნაირ-ნაირ ფერებით, სიხარულის წუთები. ეგ გვაკლია და გვენატრება, ცხადია. მეც ვიყავ ესპანეთს: კადისი, სევილია, მადრიდი, სან-სებასტიანი, ვიკტორია-გასტია, ბილბაო, ბასკეთის სოფლები. ელვა რომ გაანათებს უკუნეთს და გალანდავ არემარეს, ისე წამიერად მახსოვს იქაურობა.

10. VIII. 92 წ.

* * *

სავარჯიშოდ ჩაველ, ჩვეულებისამებრ, ზოოპარკში. შემზარა სიჩუმემ. არც ერთი სტუმარი, არსად ჩანდნენ ბავშვები, მომვლელ-მოსამსახურენიც კი. ხალხმა იკლო. სიძვირეც და

ზაფხულიც, მაგრამ დილის 10 საათზე ზოოპარკი ცარიელი არ მინახავს. შევარდნაძის გუშინდელი გამოსვლის შედეგია, არ მშორდება მწუხარება და ჭირიო, — ეგაა! რაღაც განცხადებაა საჭირო მწ. სახელით, მოვხაზე კიდეც...

ცხოველები თითქო უპატრონოდ. კოდალას დავაკვირდი. სულ მაგის კაკუნი და წიოკი მესმის, ახლა კი დავიახლოვე; ხიდან — ხეზე, ტოტიდან ტოტზე ხტოდა, მაგრამ არ გამირბოდა. ხაკისფერი, მომწვანო-მოყვითალო გვრიტები მომრავლდნენ, არა მარტო ვერეს ხევში, ჩხიკვებიცა, — ახლა ველარა ვხედავ.

კიდევ ერთი შეცდომა შევარდნაძისა: ქუჩებში გამოდითო, არ უნდა მიემართა ხალხისთვის (დემოს). იგივე გაიმეორა?! ვნახავ, ვინ გამოვა!

ველოდები ლ. მალაზონიას.

12. VIII. 92 წ.

* * *

რა ხდება ახლა დასავლეთში, კაცმა არ იცის, რა მოხდება — მითუმეტეს.

უკვე აშკარად ისმის: მეგრელები — ის არც ქართველია, არც მეგრელი, დროებითაც რომ მიწყნარდეს იქაურობა, ამ საკითხს, სეპარატიზმი ერქვას, თუ გნებავთ, აღარაფერი ეშველება.

მთვრალმა დოჩანაშვილმა საყვედურებით ამავსო. არა მარტო დოჩანაშვილმა. გამომიყვანეთ გამგეობიდანო. გეგონება, ვინმე ვინმეს ექაჩებოდეს, სასაცილოა, მე რომ თანამდებობის პირად მთვლიან. რა მეხება: სიტყვა, გახსენება და ასე შემდეგ. ამ ფუნქციადაკარგულ მწ. კავშირს რისი გაცემა შეუძლია! ბინები და მანქანები აღარ რიგდება, ტაბლაკვერები აღარ ცხვება. უნდა გავცე პასუხი იორამს, დოჩანაშვილს, ელიოზიშვილი ამის ღირსიც არაა. რეგვენის თავში არაფერი არ შევა.

ახლა კი ვხვდები, რატომ უფრთხოდა ამ დაწესებულებას შ. ნიშნიანიძე, რა მიხვედრა უნდოდა, ვიცოდი, მაგრამ ვერ

ვგრძნობდი, რაც შოთას შეურაცხყოფა გადაუტანია ამ შენობაში. ახლა განთავისუფლებულივით გრძნობს თავს და პირზე ღიმილი არ შორდება. ცოტას თამაშობს, მაგრამ გულწრფელიცაა სადღაც. მუხრანი, ხუტა, ნიჟარაძე, ჯანსული, რამდენიმე კაცი კიდევ დაკარგულ დიდებას მიტირიან. იმ დღეებს ვერ ინელებენ, შოთა კი, სადღაც, კმაყოფილია. მე თავად მეგონა, შევეჩვეოდი აქაურობას. აქეთ გული არ მომიწევს. სამსახურში მისვლა თუ არ მიხაროდა, მინდოდა ყოველთვის, სხვანაირი შემთხვევა არ მქონია. ახლა დილაა და ფეხათრეულივით ვგრძნობ თავს უკვე. გუშინ გურამი ჩამოვიდა, დღეს წავა და ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიმძაფრდება. ეს იდიოტური დავთარიც არ მომწონს.

14. VIII. 92 წ.

* * *

გამოუშვეს რომან გვენცაძე. რას გავდა მისი სატელევიზიო გამოსვლა?! გაუგებარია. აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო. თუ მთავრობა (შევარდნაძე და სხვები) დიდ თამაშში არ არიან ჩაბმული აფხაზეთთან დაკავშირებით, ეგ კაცი აღარ გამოადგებათ. თუ არიან, ღმერთმა გაუმარჯოთ. გვენცაძის ადგილზე კი აქამდესაც სხვა უნდა ეძებნათ.

ოღია და იორამი წამოვიდნენ ჩემსას, ძველი ჩვევითა და ინტერესით. გამოვაწყვე პურმარილივით. დასხდნენ ტელევიზორთან, გუბაზი მიუერთდათ და შეექცნენ კიტრს, პომიდორს, მწვანილს; ცოტა ყველი, ცოტა ხილიც. ეს ნამცვრევი დაჯდა 500 მანეთი. სასადილოში ორჯერ მეტი დაჯდებოდა, რესტორანს აღარც ვახსენებ.

ვმუშაობ, ვბეჭდავ შავად. ახალ ამბებს ველოდები. ზაფხულის პირობებზე არ ცხელა. ჩემი ბინა ისედაც გრილია. 12 ხდება.

აფხაზეთში კი ომი იყო.

გუშინ ოსეთში დახოცეს ქართველი ბიჭები. ყოველნაირ საშინელებებს მივეჩვიეთ, უბედურება ყოველდღიურობაში ითქვიფება.

15. VIII. 92 წ.

* * *

უკვე 21 აგვისტოა. იყო ფერისცვალება. ასიცხდა ახლა. დილაა. გრილა. ბოლო გვერდები გადავბეჭდე „კუდიანი ვარსკვლავისა“, – სექტემბერში სულ მოვრჩები.

კინაღამ ყველა ბლოკმა დამასახელა კანდიდატად. გონიათ, დავხვეტავ ხმებს ქუთაისში. პირველ ნომრად ხარ დასახელებულიო, მიმეორებენ. 5 კაციანი „კომანდის“ შეკვრა დამევალა ბოლობოლო. ცოტა გავინძერი კიდეც. დღესაც მივდგები-მოვდგები, დეპუტატობისკენ კი გული არ მიმიწევს(?). ელდარს ვერ ვუთხარი უარი, თუმც ჯერაც არაა გვიან. საქართველოში კი არეულობა, ქაოსი. ომი აფხაზეთში, სამეგრელოშიც...

ბევრი ახალგაზრდა შეეწირება ამ ომს, ბევრი ოჯახი გაუბედურდება ამ ომში, რამდენიმე წლის შემდეგ დაწყნარება, დალაგდება ყველაფერი. სრული მშვიდობა კი საქართველოში აღარასოდეს იქნება.

კომუნისტებმა ხომ მოახერხეს სტაბილიზება, ყველაზე რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა, მშვიდობის დაკონსერვება თითქმის მთელი 40 თუ მეტი წლის განმავლობაში. შემდეგ ავღანეთი შემოეპარათ, მაგრამ ბევრი არაფერი დატყობიათ. რუსეთი (საბჭ. კავშირი) ინარჩუნებს მშვიდობას, ომს და კონფლიქტებს გაურბის. გადარჩა: ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია... შუა აზიის ყოფილ რესპუბლიკებში (ბევრგან დაწყებულია) ახლა იწყება „ეროვნული მოძრაობა“.

არჩევნებში მივიღო თუ არა მონაწილეობა? სამიოდე დღე მაქვს დარჩენილი საფიქრალად. დახმარება მჭირდება, აშკარაა.

„კუდიანი ვარსკვლავი“ მზადაა. შავად გადაბეჭდილს გადავდებ დროებით და სექტემბრის თვის (11 1993) გავამზადებ საბეჭდად.

ერთს გადავუარ ზედაპირულად და ნამეტანი კმაყოფილიც დავრჩები. ეს, შეიძლება, არცაა კარგი, ვნახოთ...

ახალზე ვფიქრობ, ჯერ „უცნობი ქალის ჩანაწერები“, შემდეგ კინომოთხრობებს გავამზადებ, ეს აუცილებელია, თორემ ამებნევა და ამებურდება ნაწვალებ-ნაჯახირევი, „ასკილის წითელი ყვავილი“ და სხვაც. ამასობაში, თუ ვიქნებით, ჩამოდგება ჩემი 60 და შევუდგები ისტორიულს კოდური სახელწოდებით დ. ც. ზევით ავედით: ოღია, ლევანი, ცხადია, მე და ნელი ბატიაშვილი.

ველოდები ახალ ამბებს აფხაზეთიდან.

21. VIII. 92 წ.

* * *

კარგი რომ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. ეგრეა ახლა საქართველოს საქმე. ჩვენი სიძლიერე (XII საუკუნე) ძალადობაზე იყო დამყარებული და არა – შეგნებაზე, ხალხის სურვილზე. ახლა რაა, მაშინ რა იქნებოდა, თუ დროს გავყვებით და დროით (ისტორიით) დავიანგარიშებთ. ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა აშლილობა, დაქსაქსულობა და შინაომები იყო. რუსეთმა დაგვაწყნარა. მონღოლებმაც მოიტანეს მშვიდობა, დარწმუნებული ვარ. ჩვენი ისტორიის, დაწერილი „ისტორიის“ ნაკლებად მჯერა.

შევავსე უკვე, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, საარჩევნო ანკეტა. რა გვეარჩევნება? არც ჩატარდება ალბათ. ჩვენ უკვე ომში მოვტოპავთ. რას გადაწყვეტენ, დღეს სახელმწიფო საბჭოს სხდომაა. ლანა ღოღობერიძემ დარეკა, ვიღაც მოვა, თუ მე გამოვივლიო, ვერ გავიგე. კაკულიკამაც დარეკა: „პაპაჩემი“ გყოლია ნახსენებიო. ვიფიქრე, შარზე ხომ არაა ეს კაცი-მეთქი. იქნებ სადღაც გამოგიქვეყნებიაო, კარგ წერილს გულისხმობ-

და, მივხვდი. არ მახსოვს, ჩემო კაკო-მეთქი. ვახსენე მხოლოდ? არა მგონია (?). ზეპირსიტყვიერად კი ბევრი მიქია და ბევრიც მიგინებია. ამ კაკოიას რა უნდოდა, ვერ გავიგე. ქუთაისს დავუკავშირდი, ველაპარაკე ავთ. ყურაშვილს (არჩევნებთან ვარ მაინც). არ უნდა გავრეულიყავ, ახლა ვრწმუნდები. ცივი უარი დასაწყისშივე. ხშირად ამას ვერ ვახერხებ.

ზევით ვიყავით გუშინ: მე, იორამი (დინჯი), ლევანა, ანზორი (ოღია) — იორამი ღოღიას ეძახის. ჩავალაგე ტომსიკაში საჭმელი საგზალივით და დამრჩა. ეს უკვე მეორედ. გუშინ წამოსაღებად მიმიხაროდა, გუშინწინაც დამრჩა, გუშინაც. ამ დილით, იძულებული გავხდი, ავედი. თევზი იყო მორჩენილი, „ამურის თეთრი". გაფუჭება შემენანა და ბენზინზე აღარას ვამბობ, მანქანა კინაღამ გამიფუჭდა. წყალი ამიდუღდა, აშიშინდა, აბოლდა...

23. VIII 92 წ.

* * *

გარდაცვლილა და კიდევაც დაუსაფლავებიათ მურმან ახვლედიანი. როგორ არ გამაგებინეს, კინაღამ შევიშალე დღეს, იდიოტია ეს კოკლი! ნაღდად კრეტინი! აღარ დამრჩა აღარავინ თითქმის ძველი საძმაკაცოდან... დარჩნენ კი, როგორ არ დარჩნენ (სამ კოკლი), ღმერთმა კარგად ამყოფოთ! მაინც რამდენი გარდაიცვალა — ფისოს გარდაცვალების (წელი და ერთი თვე, ცოტა მეტი) შემდეგ, ჩამოთვლაც არ მინდა.

ძალიან მოულოდნელი იყო. გული დამწყდა ნამეტანი.

ვინღა ვართ: კოკლი, კვაჭიელა, იუზა, ნემსაძე...

გ. კოხრეიძე, ჯ. ცნობილაძე (ეს მაინც სკოლაა). იუზა ბავშვობაა, იუზა II (ქუთათელაძე) გაველურებულია, ზ. კეზევაძე, ზ. იოსელიანი, რ. ჭუმბურიძე... ისინი, რომლებთანაც დღემდე არ შემინელებია ურთიერთობა: იუზა, კვაჭი, კოკლი, ნემსაძე...

რამდენი წავიდა, რამდენი იყო...

ცხვრის ფარა მიდის, მწყემსი გამოდებს კომბალს ფეხში ერთ-ერთს, გამოათრევს დასაკლავად, ფარა ძოვს და მიდის, არხეინად, ვითომ არაფერი, ვითომ მას არ მოედება ხვალ კომბლის თავი ფეხებზე.

ასეა: რომელს, რომელ დღეს — ხვალ თუ ზეგ მოგიქნევენ, არ ვიცით, არც უნდა ვიცოდეთ.

აფხაზეთში კი ხვალ დიდი და სისხლისმღვრელი შეტაკება შეიძლება მოხდეს. წერილი უნდა დავწერო უხსენებლის საქციელზე, „ლიტერატურული საქართველოდან" მთხოვეს. უხსენებელი როგორ უნდა ვახსენო? კარგი შვილი კი გაზარდა დედამ! კარგად აღზარდა მამამ უხსენებელი. რა დედამ, რა საშომ შობა ამნაირი ნაძირალა!

კარგი არაფერი ამ ქვეყნიდან, თითქმის არაფერი! დილით რომ ზოოპარკის ეზოში ვვარჯიშობ, ესაა კარგი. სიწყნარე, სიცარიელე. ცხოველები. უყურებ, ისინიც გიყურებენ, უნდა უყურო!

რეზო ნაჭყებიამ დარეკა ქუთაისიდან.

მენატრება ქუთაისი!

24. VIII. 92 წ.

* * *

არ მშორდება მურმანის სახება. როგორ არ ვნახე საავადმყოფოში! ვიფიქრე, გამოვა, ფეხის თითი მოჭრეს, დიდი ამბავი! სულ რიჯგვინას ახსენებდა, იგონებდა. წელს რამდენჯერ — ისა და კოკლი — ისხდნენ ჩემსას, სვამდნენ, მე ვუყურებდი.

წელს წავიდნენ: ანზორ ქლიბაძე, ანზორ ღვინერია, გურამ თუთბერიძე, მურმან ახვლედიანი.

ადრე: რ. გუმბერიძე, რ. მებურიშვილი, ავ. ნემსაძე (რიჯგვინა). თითქო გუშინ; უფრო ადრე: ომარი, ზერო, გ. მეტრეველი (დეიდაშვილი, ძმაკაცი), ჯ. ჭეიშვილი (ჭეია ბლოკი); სულ ადრე — ბოჭოლია ლომიძე (იგი ჩვენთანაც ძმაკაცობდა... ჩვენი საძმოს მუდმივი წევრი არ იყო), თბილისში სხვები...

აფხაზეთიდან კარგი არა ისმის რა.

ახლა გვიანია. დღევანდელი ამბები არ მოგვსვლია. სახელმწიფო საბჭოც არ აჩვენეს.

უკვე 26. VIII. 92 წ.

* * *

გუშინ ჩავატარე კრება მწერალთა. ყველანი მოვიდნენ – რეზო ჯაფარიძემ დაივალა განცხადების გაკეთება, უფრო სწორად – დაწერა. დღეს მოიტანა. თენგიზ ბუაჩიძის კაბინეტში ჩავასწორეთ, ხვალ გაზეთში იქნება, შემდეგ ტელევიზია, რადიო და სხვა. შემრიგებლური სიტყვა ვთქვი, მწერალს რა ევალება ამ სიტუაციაში, გავასაჯაროვე, ჩემი ჭკუით. ვიცოდი, ეფექტს ეს არ მოახდენდა და ასეც მოხდა; კრება ასაღელვებელს ელოდა; სხვებმა, რასაკვირველია, ჯ. ჩარკვიანმა, სცადეს ორატორული ნიჭის ამოფრქვევა...

რ. ჯაფარიძეს სიტყვა კი, შეიძლება ითქვას, ჩემი მითითებით დაუწერია...

კარგს რას უნდა ველოდოთ? რის იმედი უნდა გვქონდეს, ღვთის? ისტორია არ გაგვწირავს, მაგრამ ეს არეულობა, სისხლისღვრა სადამდე გაგრძელდება? შევძლებთ კი დამოუკიდებლად არსებობას? ეკონომიკის აღორძინებას, წესრიგის დამყარებას, ჯარის გაწვრთნას, ყოლას? სხვისი ზედამხედველობის და სხვისი დიქტატის გარეშე ვით ვიარსებებთ? შევარდნაძესაც ხომ პირველად უხდება დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად მუშაობა, მართვა... სხვის სამსახურში, სხვის ომში მაგრები ვართ, ეს ცხადია.

ზაფხული უფრო მშვიდად ჩაივლიდა, მეგონა, შემოდგომისათვის ველოდი ვითარების გამწვავებას, შეიძლება, ამაზე უარესსაც... ვერ მოვისვენებთ...

კვაჭანტირაძე მსჯელობს ტელევიზორში, საუნივერსიტეტო-

სალექციო არტახები ვერ დახია. ერეკლემ ჯაჭვის პერანგი გაფხრიწა და ამ კვაჭანტირაძეს რა ჭირს?!

ამსვა-დამსვა და ქუთაისში ჩამსვა, მთლად მირჩევნია ყველაფერს.

უხსენებლის მომხრეები იმედს არ კარგავენ, ბოლო და გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებიან. ეს არი ჩვენი ბოლო და გადამწყვეტი ომიო. ინტერნაციონალში ვპოვებთ ბოლოს შვებას ყველა?!

მიშველაძეს ბომბს უკიდებენ კარის სახელურზე, დავიჯერო? სახლიც ამნაირად არ დაუწვეს?..(?) ისე, ამჯერზე (გუშინ) ნამეტანი შეწუხებულიც კი ჩანდა, შეშინებულიც.

დღეს მარიამობაა. ტელეგადაცემებიც სამარიობოა. ახლა გალობენ.

P. S.

ამ საუკუნის 98 მარიამობა ჩამოდგება 6 წლის შემდეგ. კარგი წლები იქნება, 93 (შედარებით უკეთესი), 95 და 97... 99-ში სხვის სტანდარტებს დავუწყებთ პოტინს უშედეგოდ, მერმეთ ღმერთი შეგვეწევა!

* * *

ტელევიზორეთში ავედი, ავიტანე განცხადება. თითქმის მტრულად დამხვდნენ: გოგელია, დარასელი, ღვინჯილია, აკლდათ კვარაცხელია. მეჩვენება, რომ იქაც მთლად კარგად ვერ უნდა იყოს საქმე. ელოდებიან, რა იცი რა მოხდებას გათვალისწინებით.

არძინბა-უხსენებელს აფხაზეთ-სამეგრელოს სამთავროს შექმნა უნდათო, თქვეს სხვის ნათქვამად ტელეგადაცემაში. აშკარაა, მართალი იქნება, მაგრამ რომელი გახდება პრეზიდენტი, უხსენებელი თუ ხსენებული? ორივე ალბათ. ერთი მთავარი, მეორე – მეორეხარისხოვანი, ანდა პირიქით, დავითი, დავით ნარინი.

ხვალ საარჩევნო თავყრილობა აქვს „ერთობას“. აუცილებელია თურმე ჩემი პერსონის გამოცხადება; ჩატარდება კი ეს არჩევნები? ან – კი, ან – არა! შევარდნაძე ცალკე იყრის კენჭს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთაო, დღეს დაუდგენიათ. ეს კარგად მოუფიქრებიათ. იგი ჩამოაშორეს „მშვიდობას“ და ბევრს დაეხა „ფლაგი“ ამით.

რა მსურს, რას ველი?! გული ცუდს არ მიგრძნობს რატომღაც.

ეს ზაფხულიც მიილია.

30. VIII. 92 წ.

* * *

შემოვიდა 1 სექტემბერი, მძიმე და ბნელი სექტემბერი. რა დღე უთენდებათ საქართველოში მრავალთ და მრავალთ, რა გველის კიდევ, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს. კარგად არცა გვაქვს გასიგრძეგანებული, ბევრი, ჩვენთვის ბევრი, ახალგაზრდა ჩამოასვენეს დღეს, ბევრი, მგონი, ასამდე, დაჭრილი ჩამოიყვანეს. სასაკლაოდ აქციეს მანდარინის ბაღები აფხაზეთში. უბედურო საქართველოვ!!!

ელდარი, მგონი (ვინ თქვა, აღარ მახსოვს), ავსტრიაშია. ირაკლი ბადურაშვილმა მითხრა, სტუდიაში ვიყავი, ცარიელია იქაურობა, ადამიანისშვილი არ ჭაჭანებსო. მხოლოდ ერთი ქალი ამონტაჟებს თქვენს სურათსო. შავი სამუშაო დაუტოვა ალბათ ელდარმა, ფილმი კი, მგონია, არ შედგება, გული ამას მიგრძნობს. იგი უპატრონოდ, რაღაც ამნაირი გაგებით, გასრულდა და აწი აღარაფერი ეშველება, 3, უკიდურეს შემთხვევაში, 2 წლის წინ უნდა გასულიყო ეკრანზე და სხვა ჟღერადობა ექნებოდა. დრომ გაგვასწრო, დრო უფრო საინტერესო და დინამიური აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი ფანტაზია, ელდარს საკინოვედ არ ეცალა, არც მე მიმაკარა. გახმოვანებითაც უჩემოდ გაახმოვანა. შავიაო, ვნახოთ და ხელახლა გადავახმოვანებთო, არ მჯერა...

1 სექტემბერი, ღამის 1 საათია, 92 წელი.

* * *

ჩამოვიდა ფანჯიკიძე. მივედი ჩვეულებრივად და ყველანი მის კაბინეტში დამიხვდნენ, სათოფედ ვერ ვიკარებდი ზოგიერთს: ზოგი შვებულებას ითხოვდა, ზოგი განთავისუფლებას. ვხედავ, გვრიტებივით შემოსხდომიან გარეშემო... ფეხიც არ გაუდგამთ თითქოს მის არყოფნაში შენობიდან. ასე იყო ქუთაისშიც: ხან იცოდნენ, ხან გუმანით მგრძნობდნენ და ადგილზე მხვდებოდნენ თუნდაც გვიან ჩასულს. ნემსაძე არსად ჩანდა მხოლოდ. დღის ბოლოს გაილანდებოდა გაოცებული, სულ აქა ვარ, – ეს ოხერი, მეტი სამსახურში არ დადის არავინ, ჩამოხვალ თუ არა, აქ გისხედანო. ეგრე იქნებოდა.

„კუდიან ვარსკვლავში“ ერთი-ორი ნოველა მომრჩა. ერთის გამოყენება შეიძლება. ერთი შავად დავწერე და აღარ მივბრუნებივარ, მოგონებიდან – პატარა ეპიზოდი „შარავანდისათვის“... იოლია, მაგრამ მივდგე და ვწერო ზოგიერთივით? აგრეთვე – დ. კლდიაშვილზე მაქვს დასაწერი, ძველს ახალი დაემატება, ყველა დეტალი თუ ახალი თავი მოფიქრებულია, ამასაც ჩაჯდომა და გულისყურის დატანება უნდა.

დილით ვარჯიში, საჭმელზე ფიქრი, სამსახური, შემდეგ ტელევიზორი. ყური ახლაც იქითა მაქვს. დროა ასეთი. სულ ველით, ველოდებით – კარგს არაფერს.

შემდეგ კინომოთხრობები. ეგ იოლია, „უცნობი ქალის ჩანაწერები“. ქუთაისში წამოვიწყებ შვებულებისას, „კუდიანი ვარსკვლავის“ გადაბეჭდვამდე.

60 – წელი და დ. ც.

2 სექტემბერი, 1992 წ.
ღამე, 12-ს გადაცილებული

* * *

შემოდგომაა. ცხელა კიდეც. ღამეა. ბევრი ჭრიჭინა ჭრიალებს. ჩამოაქვთ, ჩამოაქვთ გვამები (მიცვალებულები) აფხაზე-

თიდან, ვიღუპებით და ეგაა. შევარდნაძე მოსკოვშია, ხვალ შეხვდება ელცინს. სამათხოვროდ გაგვიხდის რუსეთი ისევ საქმეს. თუკი მთელი ქრისტიანული სამყარო ამოგვიდგება გვერდით, შეგვაიარაღებენ და ღირსეულ სახელმწიფოდ გადავიქცევით, ჩავებმებით მუდმივ და გაუთავებელ ომებში. ვიომოთ უნდა ქალიან-კაციანად, სხვანაირად ვით მოვიქცეთ! შევიდეთ „ესენგეში“? შესულა სომხეთი, რა უშველეს? ჩვენ ვინ გვიშველის? გამოსავალსაც ვერ ვხედავ!

საარჩევნო ბლოკიდან მირეკავდნენ. დღეს უნდა მივსულიყავ და ხვალ მოდიო. ასე კი არა, ისე უნდა მოვქცეულიყავითო... გეგონება, მაგაზე ვფიქრობ დღედაღამე. ხელის აქნევა მინდა და ვუშველი თავს!

2. IX. 92 წ.

* * *

დღეს დაიწყო შევარდნაძის მოლაპარაკება.

შედეგებს ველოდებით. ფიშერი მახსენდება. გუშინწინ გამოჩნდა შეცვლილი, გადასხვაფერებული, ყოფილ სპორტსმენს (არა მოჭიდავეს) ჰგავს-მეთქი, — სხვასაც, ყოფილ და ამჟამინდელ საქმოსანს, პოლიტიკურ მოღვაწეს — დაბალი რანგისას, პრეზიდენტობის მაძიებელსაც(?). ამერიკიდან (ევროპაში) პრეზიდენტის მისასალმებელი თუ მისალოცი ტელეგრამა მიულია, დააფურთხა და გადააგდო თურმე. უზრდელია, მაგრამ ეგაა! ხომ უნდა იცოდე, ვის უგზავნი!

3. IX. 92 წ.

* * *

მოლაპარაკება სასიკეთოდ დამთავრდა. სრული გამარჯვებაა, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. პირველი, შეიძლება გადამწყვეტი რაუნდი, მოგებულია. დიდი ფორაა. შევარდნაძემ განიმტკიცა პოზიციები. აჩვენეს ფოტო

(უხსენებელი, სოსლანბეკოვი, დუდაევი), რა აქვთ საერთო? — საქართველოს სიძულვილი, საქართველოს დანგრევა-დაქუცმაცების იდეა. პირველად უწოდეს უხსენებელს ნამდვილი სახელი — ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ტაში შემოვკარი.

დღეს კრება გვქონდა. მწერლები დავესწარით. შევაფასეთ სიტუაცია, საჭირო იყო.

ფიზოს ბავშვობის მეგობარი გარდაიცვალა (ცისანა ნარსია), ხვალ ანზორ ღვინერიას ორმოცია... გუშინ დავკრძალეთ თითქოს. როდის გავიდა 40 დღე. 40 სწრაფად მოდის.. გაოცებული რჩები ყოველთვის.

კარგი რა არი?

კარგია, რომ ვართ! „მოწამეთა“ წაუკითხავს (ყველაფერს კითხულობს) ემზარს, ჩემი ინტერვიუა. გაფუჭებულ დიქტაფონზე ჩაიწერა ეთერმა, როგორ გადაიტანეს ქაღალდზე, არ ვიცი... შევარდნაძეზე ამბობო, ემზარმა, კულტურას გადარჩენა არ ჭირდებაო (შევარდნაძე დაინიშნა ქართული კულტურის გადარჩენის თავმჯდომარედ). მართლაცდა, რა ჭირს შევარდნაძის გადასარჩენი, ქართული კულტურა იყო (თუკი იყო) და დარჩება კიდეც. ასეთი პრეტენზიული და სულელური სახელწოდების თანამდებობა არ უნდა უბოძო ადამიანს; ქართული კულტურის აღორძინების (ეს უარეს შემთხვევაში) თავმჯდომარე შეიძლებოდა დარქმეოდა.

ჯ. ჩარკვიანი გამოვიდა კვლავ ტელევიზორში. ბნედას შეყრის მალე მსმენელს და მაყურებელს.

4. IX. 92 წ.

* * *

დღეს იყო 40 ანზორის, „აზია სლადკის“. მე და იორამი ავედით წინასწარ სასაფლაოზე, მუხათგვერდის პანთეონში(?), ჭირისუფლების ამოსვლამდე ვილოდინეთ. ცხელოდა, ჩრდილს შევაფარეთ თავი მუხის რაყაში. საოცარი ადგილია, მშვიდი,

რბილი პეიზაჟი, მიწიდან ამოყრილი, ალბათ ვულკანური, ლოდებით და ტყიანი გორებით, სამი მხრიდან შემოზღუდული, ჩრდილო-აღმოსავლეთის სივრცით, კლდის ნაპრალი, ბუნებრივი თავშესაფარიაო, ამიხსნეს; შორიდან ჩანდა, შესვლა მომინდა. თავსხმა წვიმაში თავის შეფარება იქნება კარგი. ანზორი ნამეტანი მშვიდი სახით ჩაასვენეს იმ დღეს, თითქოს კმაყოფილიც იყო, რომ დატოვა გამოუსადეგარი სხეული, დააბინავა, მოიხადა ამქვეყნიური ვალი და სხვა განზომილებაში გადავიდა (დაკრძალვის დღე გამახსენდა).

„კუდიანი ვარსკვლავის" გადაბეჭდვას არ ვჩქარობ. წიგნები (რკინის სახკომი) ნელა იყიდება, ან არ იყიდება. ერთი მოაფირისტო გამყიდველი – ტარიელი – სულ დამეკარგა წიგნებიანად. ერთმა მითხრა, არ იყიდება, 4 ცალი გავასაღე იმ დღეს და მოვეშვიო, თუ არ დადევი დახლზე, რა გაყიდის-მეთქი. რამდენნაირ ადამიანს არ გადაეყრები.

ჯერ ისევ ცხელა დღისით და მომწონს. ტელევიზორით შევარდნაძის საარჩევნო კამპანიის საინიციატივო ჯგუფში დამასახელეს... ხელი რომ მოვაწერე უსათვალოდ რაღაც ამდაგვარ ქაღალდს, გამახსენდა. მწერალი ესა და ეს, თანამდებობა, სხვებისაგან განსხვავებით, არ ეწერა. ჯერ გამიკვირდა, შემდეგ მომეწონა, მწ-ლი რ. ჭ.-ვილი, – საკმარისია, უკეთესიცაა.

მე იქ ორგანიზაციას კი არა (მწ. კავშირი), საკუთარ თავს წარმოვადგენ მხოლოდ და მხოლოდ.

5 სექტემბერი, 1992 წ.

* * *

ღამეა. 6-ია ჩამომდგარი, ისევ ცხელა და ისევ ძალიან მომწონს წლის საუკეთესო დრო, რასაკვირველია, ზაფხული. სიმხურვალის, აზროვნების, ვნების, გაშიშვლების, წყალში ჩასვლის დრო; სოფლად, ტყეში, ღელეში უნდა გაატარო მხოლოდ ზაფხული და მე იგი აქ, თბილისში გავატარე და წავიდა თან ეს ზაფხული.

ც. ნარსია გამოასვენეს შუადღით, პაპანაქებაში, ჩემს წინ მდგარი ერთი ქალი ლაპარაკობდა: რა უსახური სახლებიაო (მართლაც ეგრეა), როგორც ჩვენი ცხოვრებაა უსახური და უდღეური, ისეთივეა ყველაფერი. აივანზე ლიმონმა გაიხარა წელს, მანამდე ფოთოლზე რაღაც უჩნდებოდა, არ აცლიდა გაზრდა-განვითარებას. წელს მოშორდა ჭირი უწამლოდ და იწყო ზრდა.

წყალი არ დავაკელი და გალაღდა, დავაკვირდი, ერთ ტოტს პალმისნაირი ფოთლები გამოუვიდა. ეს ნამეტანია. მუტანტია? გაზრდილია რადიაციაო, ქეთო მიმტკიცებდა, ეგრეც იქნება, გავრცელდა ძლიერ შაქარი, კიბო...

ქუთაისში უნდა წავიდე, იქ მოვრჩებიო, ზურიკოსა აქვს ახირებული... გიჟდებიან დეიდები, რა უნდა ქუთაისშიო...

წუხელ ხშირი სროლა იყო. ყოველღამე ისვრიან სადღაც აქ, ახლომახლო. დღეს სიწყნარეა.

ჩემები (მამუკა ოჯახით) წყნეთში არიან, გუბაზი აქაა, ხილიანზე, — ხატავს. მე ვწერ ხანდახან.

ფანჯიკიძეს საგაზეთოდ ერთი საინტერესო „გახსენება“ ჩავაბარე. სხვა იმდაგვარი მოგონებებიც გადავარჩიე გონებაში. დიდ სირთულეს არ წარმოადგენს მათი რეალიზება, ერთი კალმის მოსმით მოვუღებ ბოლოს, მაგრამ დაბეჭდვა აღარ მიხარია. ფულს აღარ იხდის პრესა, ძველი საჰონორარო, გაბითურებული ტარიფებით მოქმედებენ კვლავ.

7. IX. 92 წ.

* * *

გლახა დღეში ჩამაგდო ჩემმა „მოწამეთამ“, სახელდახელოდ ჩაიწერა ქალბატონმა ე. ნაცვლიშვილმა. არ მომისმენია, ამოიწერეთ და მანახეთ-მეთქი. დაუსტამბავთ. ჩამოვიდნენ, გაზეთები დაგვრჩაო, დამიმალეს. ალბათ რაღაც ვთქვი ამნაირი საქართველოს იმპერიაზე, მაგრამ ისე, როგორც იქაა, ნაღდად არ მითქვამს, რომ მეთქვა კიდეც, უნდა დაებეჭდათ?! საქ-ველო

იმპერიაა დღესაც, რაღაც გაგებითაო. ეს უნდა დღევანდელობას?! ამნაირად არც მიფიქრია და ვით ვიტყოდი. ხვალინდელ „ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნდება ჩემი განმარტება, იმათ თუ გადაბრუნებულად არ დაბეჭდეს. ღრენიამ დარეკა, ეთერმა იტირაო, ის ადგილი ამოღებული გვქონდა, სტამბაში ჩაამატესო, გავარკვევთ მაგასო, განმარტებას ვბეჭდავ-მეთქი. რაც გნებავს, დაგვაბრალეო. მეტი რაღა უნდა დაგაბრალოთ-მეთქი, მე ვუთხარი.

მაყვალა მრევლიშვილი დაკრძალეს მშვიდად, უხმაუროდ, პატივისცემით. გული არავის აჩვილებია, ცხადია, პურმარილიც გაუმართეს მოკრძალებული. ინტელიგენცია თავდაჭერილი, დღევანდელ ვითარებაში გარკვეული. დღეც იყო თბილი, მზიანი, უნიავო. სხვა არაფერი საინტერესო. ვახტანგ გოგუაძეს ველაპარაკე სამიტინგო ალაგზე, ტელევიზიაზე, მათ უნიათობაზე, პროვოცირებულ გამოსვლებზე. დამეთანხმა. ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს გოგელიაო, ამოიღეთ ხმა, ჩვენც გაგვაკრიტიკეთ, საჭიროაო. რასაც ვაპირებდი, ის მითხრა. სხვა ვერავინ ავიყოლიე. მწერლები ერთმანეთთან ანგარიშსწორებას უნდებიან, პირადი, ვიწრო, დამრგვალებული ინტერესები ამოძრავებთ, გასაოცარია. იმიტომ ვერ ვიტანდი იქაურობას. დრო იცვლებოდა, ქაოსი, ერთმანეთზე (მსოფლიო მასშტაბით) გადაჯაჭვული მოვლენები. ისინი ისევ ისე, ძველებურად, გუშინდელი გამგეობა.

ფანჯიკიძე: ფული ვიშოვნე და დავაარსოთ პრემიებიო. კარგიო. ილიასი, აკაკის... ვაჟამ რა დააშავაო. მედლებით, დიპლომებით. ჩამოიკიდებთ მკერდზე, ივლი რაკასოვსკივით-მეთქი, ერთს ვუთხარი იქვე. არარსებულზე კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი. ახლა რას შვრებით, შემდეგ რას იზამთ, მე ვიფიქრე. დღევანდელობაზე მინდოდა მეთქვა, უნდა წამომეჭრა საკითხი ჩვენსა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე. არ ამომიღია ხმა. სწორიც იყო.

10. IX. 92 წ.

* * *

ისეთია მწ. კავშირი, როგორიც მეგონა, როგორსაც ვუყურებდი გარედან; ის ხალხი, რომელიც იქ ტრიალებს, დიდად არ განსხვავდება გ. ფ-ძესაგან, სხვებისაგან, საკუთარს იქით ვერაფერს ხედავენ, მხოლოდ საკუთარი პერსონა, ერთმანეთისადმი სამაგიეროს გადახდა: ჩემი წიგნი, ჩემი და ჩემი...

გოგი ნიშნიანიძე მმოძღვრავრდა — შემოიკრიბე პატიოსანი ხალხი და თქვით რაიმე, მიმართეთ ხალხს, სიკეთისაკენ მოუწოდეთ და სხვა. იმ დაწესებულებაში ეგ არ გამოვა, გოგიჯან. მე რომ ვიყო მთავარი, შეიძლება, მოვახერხებდი მაგის მსგავსს. ახლა ეგ შეუძლებელია. დაუძახეო (მე არ ვიცი, ვის უნდა დავუძახო!) თ. ჩხენკელს, ზ. კიკნაძეს და ასე შემდეგ, ბაჩანას, ემზარს, თავად გოგის (იგულისხმება) და — რამდენია კიდევ პატიოსანი, ფეხებზე მკიდიოსანიც პატიოსნებაში. შეიძლება, მართლაც, შეკრება, გაერთიანება ერთი ჭკუის ხალხისა(?). იმას სხვა მიზნები, სხვა ამბიციები, იმას — სხვა... მე თავად სხვა რამ მამოძრავებს...

რ. ინანიშვილის ოჯახი ითხოვს დახმარებას: საფლავის გასაკეთებელი ფული არ გვაქვსო.

წიგნებს ვყიდი მძიმედ, ცოტაოდენი ფულიც ავიღე დღეს, ფულს რომ ფული აღარ ერქმევა, მაშინ გავკეთდები კიდეც.

ხვალ — შაბათი, ზეგ — კვირა. ახლა ღამეა, 12-ს გადაცილებული.

12 სექტემბერი.

* * *

დღეს დაკრძალეს ლევან აბაშიძე.

მწუხარება აუწერელი. რამდენი ადამიანი, რამდენი ოჯახი გამწარდა! ნაცნობები, ახლობლები.

ხალხი ბევრი. ინტელიგენცია. სიწყნარე. ჭირისუფალნი თავდაჭერილნი. ახალგაზრდები. მეომრები. სროლა, ზალპი სამარესთან.

უხსენებლის აშკარა მომხრეები არ ჩნდებიან, საზოგადოებაში არ გამოდიან აშკარად. როგორც ვატყობ, რა ჩემი შეტყობა უნდა, რესტავრაციის იმედი აქვთ, მუხრანი თვითიზოლაციაშია.

ელდარი გავაჩერე გასვენებაში, ყურში არაფერი მესმის, ლაპარაკს აზრი არა აქვსო. გამოვალ საღამოსო. მაგის საღამო გვიანი ღამეა. თერთმეტია, შეიძლება, გამოჩნდეს უკვე. ერთ ყურში ესმოდა და ის ყური დაიზიანა. ტელევიზორში უნდა გამოვიდეთ 24-შიო, კ. იმედაშვილმა. არ ვიქნები-მეთქი, დღეს დამიძახეს, შეკრება გვაქვსო, არც იქ მიველ. წასვლას ვაპირებ ქუთაისში, დღეისსწორს გავემგზავრები. სროლები ისმის შიგადაშიგ ხოლმე, შევეჩვიე და თუ ახლოს ისვრიან, მაინც ვკრთები. როდის დამყარდება მშვიდობა? რა დროისთვის შეიძლება ივარაუდოს ადამიანმა? გიგას უთქვამს: შევარდნაძემ გამიხმო და მითხრა: მაცალეთ არჩევნებამდეო. სირბილე უსაყვედურეს მანამდე. ვთქვათ, ვაცალეთ. შემდეგ რა იქნება. დააწყნარებს ამ ქვეყანას? შეუძლებელია დიქტატურის, ერთმმართველობის გარეშე. ეყოფა კი ჩვენი ერთმმართველობა? თუ ისევ უნდა აღსდგეს იმპერია? ისევ უნდა მოვიდნენ კომუნისტები? რევოლუციამდეც, რომ ვაკვირდები, აჭრილ-აფორიაქებული იყო რუსეთი. 1907 წელს დააწყნარეს რეპრესიებით და მაინც ვერაფერს გახდნენ. ომი. რევოლუცია, სამოქალაქო ომები, ქაოსი და როდის, როდის გამოჩნდა სტალინი. ისე უანგარიშოდ, ისე დაუნდობლად ხვრიტა საკუთარი ხალხი, რომ ომმაც ვერ მოშალა შინაგანი წესრიგი. ტანკს უვარდებოდნენ და სიმართლის თქმას ვერ ბედავდნენ. მოვიდა სიტყვის თავისუფლება და მოყვა ანარქია. ფინალია ცივილიზაცია, ევროპული ყოფა-ცხოვრების წესი და კანონი, შინაგანი კულტურა, დისციპლინა. ჩვენთან როდის იქნება? ანდა, იქნება კი საერთოდ?

რა მოხდება და რა გვეშველება?! ისტორია ციკლურად მეორდება: ანარქია, ძლიერი ხელისუფლება, ტოტალიტარიზმი, ისევ ქაოსი, ისევ ის? შვეიცარიას, დანიას, შვეციას დავემსგავსებით ოდესმე?

12. IX. 92 წ.

* * *

შავად გადავბეჭდე „კუდიანი ვარსკვლავი“. ვასწორებ ხანდახან, საფუძვლიანად მოგვიანებით ჩავუჯდები. შვებულების შემდეგ დავიწყებ ნამდვილ ბეჭდვას, მანამდე დავისვენებ. ქუთაისში იმ „ქალის ჩანაწერებზე“ წავიმუშავებ. ხვალ თეატრის ხალხს უნდა შევხვდე... იყო კი საჭირო?!

დღეს კოოპერატივის კრება ჩავატარეთ, ბინებიო, ხოზემ აგვიხსნა, დაჯდება მილიონი და დამთავრებული არ იქნებაო, ცარიელ კედლებს (გადახურულს) ჩაგვაბარებენ მილიონად, თუკი ფული კიდევ არ გაბითურდაო. კარგი იმედია!

15. IX. 92 წ.

* * *

ერთი კვირის წინ ისე ცხელოდა, რომ მაგიდასთან მიჭირდა ჯდომა ამ დროს. ღამის პირველი ხდება. იწყება უკვე საზამთრო პრობლემები, რომლებსაც ცუდი პირი უჩანს. შევარდნაძე, მოულოდნელად, სოხუმში ჩაფრინდა და გამოეცხადა იქაურ საზოგადოებას. გუშინ ფანჯიკიძემ ჩაატარა ჩვენი და თეატრის მუშაკების შეხვედრა, თავად კმაყოფილი დარჩა და დღესაც ვერ შევატყვე უხასიათობა. თ. ჭილაძე რომ გამოვიდა, დარბაზში თითქმის აღარავინ იყო, დაიწყო მტკიცება, ქართული კინო ვერ მოვა ქართულ თეატრთან და ქართულ მწერლობასთანო. სიტყვა წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ მსმენელი აღარ დაურჩა. კინოში ვერ ივარგა და ვერ მოინელა, ძმათა პრეტენზიებსაც შეეკვეცა დროებით ფრთები. ძალიან ამადლიდნენ ყოველთვის თავს ხელისუფლებას, „ეროვნულსაც“ კი. დიდუბის საფლავი მოიპოვეს ბრძოლით. ცოლი, თამაზმა – რძალი დაკრძალეს დიდუბეში და დიდი და პრეტენზიული (სისადავის პრეტენზიითაც) საფლავი გაუკეთეს მოუხერხებელ ალაგას, სივიწროვეში დაიმკვიდრეს ალაგი ფართო. სამოთახიანი ლუქსი ჰქონდა ბიჭვინთაში ერთ ძმას – მარტოსულს, სხვას, ოჯახით

— ერთი ან ორი ოთახი „...რას ვითხოვთ ისეთს, რაც არ მეკუთვნის, მესმის, არ მეკუთვნოდეს, ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ სხვას არ ეკუთვნის, ჩემ ხარჯზე? კი, ბატონო, მაგრამ რატომ?“ ასეთია მაგათი ლოგიკა...

სხვა? ყველაფერი გლახადაა და ყველაფერი კარგადაა, თანაც წუწუნს აზრი არა აქვს. შარშან ამ დროს — 17 სექტემბერს მიმქონდა წერილი. 18-ია ჩამომდგარი და ჩავთვალოთ უნდა, რომ ერთი წელი გადაგორდა მშვიდობით...

18. IX. 92 წ.

* * *

კინოფესტივალის გახსნას დავესწარი. არაუშავდა რა, დღევანდელი პირობებისათვის კარგადაც ჩატარდა. კონცერტი რიგიანი, ეკრანზე უსისტემოდ დამონტაჟებული ნაგლეჯები კინოფილმებიდან. მაინც რიგიანი. ჩვენს თვალწინ ჩაიარა კინომოგონებამ. ჩვენი თაობისათვის კინო იყო მთავარი. მეოცე საუკუნე — ელექტრონი. სინემა, ტელევიზია. ჩემ გვერდით აღმოჩნდა თანაკლასელი ს. ჩიკვაშვილი (კორინთელი), კოკოჩაშვილი მოვიდა. მწერლების უპატივცემულობა აქაც ჩანდა. ელდარს დაველაპარაკები. ნელიმ მითხრა: ვნახე თქვენი ფილმი, ჯ. კახიძეს აჩვენა სამუსიკედაო. ეგ არ მომეწონა. ვუთხარი კიდეც, უჩემობა არ ივარგებს, ცუდად მაქვს დაცდილი-მეთქი. თ. ჭილაძემ ხომ განაცხადა ოფიციალურად — კინო ვერ მივა ქართულ თეატრთან და მწერლობასთანო. მთლად მართალი არ უნდა იყოს... ისე კი, კინო რომ თანდათან შორდება ლიტერატურას, მწერლობას და თეატრსაც, ლაპარაკი არ უნდა.

20. IX. 92 წ.

* * *

ადრე მეძინება, ადრე ვიღვიძებ. ყველაფერი შედარებითია; ქუთაისლები ჩამოვიდნენ (ელგუჯა, ავთო, ეთერი, სხვები), გადამიღეს, ჩამწერეს საშაშიაშვილოდ. საინიციატივო ჯგუფია...

ჩვენს „ერთობაზე“ არ ვდარდობ, არც მაინტერესებს ერთობა. აქვე მოვხსნი კანდიდატურას-მეთქი – დღეს გავბრაზდი. შემდეგ, მალე გადამვარდა გულიდან გაბრაზება და ახლა აღარ ვიცი. მოვხსნა, ჯობს? თუ ვერ გავედი? უბრძოლველად, ცხადია, ვერც გავალ, თუმცა, როცა ვიბრძოლე, რა გამოვიდა? ერთი ქალი გამიდგა მაშინ... ბევრს მოიმოქმედებდა საჩემოდ, ასე რომ არ მომხდარიყო, საერთო სურათს მაინც ვერ წაშლიდა.

ხვალ, ზეგ... ხუთშაბათს, ე. ი. მაზეგ წავალ ქუთაისს. ეს იქნება ჩემი შვებულება. ნაღდად დავისვენებ და წავიმუშავებ კიდეც. აქ წვრილ-წვრილი „გასახსენებელი“, იქ – „უცნობი ქალის ჩანაწერები“... „კუდიანი ვარსკვლავი“. ერთი კვირა მეყოფა, ან მეყოფა, ან არა. დღეში 15 გვერდი საშუალოდ. დრო იყო, 30-ც არ მიჭირდა. სახ-საბჭოს კულტურის კომისიაზე დამიძახეს, არ მიველ. ელდარს უნდა დავკავშირებოდი, ესეც გადავდევი. ბაზარში მოვიშალე. შეგუებული ვარ სიძვირეს და მაინც მიჭირს თავის შეკავება. თაფლი, კილო – 400 მანეთი, კვერცხი, 1 ცალი – 6 მანეთი, ზეთს და კარტოფილს ეძებს ხალხი. მოდის ზამთარიც...

21. IX. 92 წ.

* * *

დავალაგე და გავათამაშე, გავარჩიე-მეთქი, ვერ ვიტყვი, ფიშერ-სპასკის პარტია (რახანია, ამნაირი რამ არ გამიკეთებია); პარტია მარტივია მეტად და ამდენად გაუგებარიც. თამაშის წესების რაღაც უმნიშვნელო, შეიძლება, მნიშვნელოვანი სახეცვლილებით, 10 მოგებამდეც თამაში. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა 5:2 ფიშერის სასარგებლოდ. მეორე ნახევარში (ბელგრადში) სპასკი ერთ მოგებასაც დაჯერდება, რათა როგორმე მიღებული ფულის სამართლიანობა დაამტკიცოს. რაც მალე მიიღებს 3 მილიონს, მით უკეთესი. რისთვის უნდა მოიკლას თავი, სახელს აღარ ეშურება, მსოფლიო ჩემპიონობა (ვინ მის-

ცემს) არ აწუხებს, მისი საჭადრაკო კარიერა დამთავრებულია კაიხანია. სენსაციის მოყვარული ხალხი კი მეტის ღირსიცაა. არ დამთავრდება-მეთქი ეგ თამაში, ტარიელს ვუმტკიცებდი. სიბერემდე სიქაჩლეო, ეგრე დამემართა. 10 პარტიას (კასპაროვ-კარპოვის ანალოგიით) ვინ მოიგებს და როდის-მეთქი, გავიანგარიშე. ამ ხნის კაცს ეგ როგორ უნდა შემშლოდა, გიჟიაო ფიშერი, მაგრამ ფულს არ დაკარგავს, მატჩს არ მიატოვებს; წაგებას ძნელად შეურიდგება, თუმც არ აგებს. პარტნიორიც შესაფერისი (პირველ ასეულშიც არ შედისო — კასპაროვმა) ჰყავს შერჩეული. ერთი რომ ძალიან ბევრს იღებდეს და მეორე (სპასკი) ძალიან ცოტას, მაშინ სპასკიც მოიკლავს თავს. ყვარ-ყვარე ამბობს: მე, რასაკვირველია, ფულს სახელი მირჩევნიაო. სპასკის ფული ურჩევნია სახელს, რომელიც მან, რაც მოსაპოვებელი იყო, მაშინაც ვერ მოიპოვა.

ახლა ღამეა და წვიმს. ხვალ ქუთაისში ვაპირებ გამგზავრებას. ქვეყანა არეულ-დარეული, შიმშილი და სიცივე მოახლოებული. დავისვენო იქნებ, ცოტა, ქუთაისში. გუშინ ნელისთან ვიყავ, საინტერესო ძველი კერამიკა მაჩვენა, შევრჩი და ფეხით მომიწია წამოსვლა. იქ, ქუთაისში, მეტია მომკითხველ-მიმკითხველი, ყველას თუ არ გადავაწყდი ერთდროულად!

22 სექტემბერი, 92 წ. ოთხშაბათი

* * *

ვიყიდე ბრემი, „ცხოველთა ცხოვრება“, რუსული გამოცემა, 1922 წლისა. გადამუშავებულ-შევსებულიაო. რაც გარდაიცვალა ავტორი, მას შემდეგ „ამუშავებენ“ გერმანელები. ახლა რუსებს მიუყვიათ ხელი. ძველი გამოცემებიც მახსოვს, გადამითვალიერებია და შემივლია ხელი მხოლოდ. ეს იქნებოდა ჩემი უსაყვარლესი წიგნი წიგნებში... არ მქონდა და ვიყავი უბრემოდ. ახლა რეზიკოს ვუსახსოვრებ. ისწავლოს რუსული და წაიკითხოს...

ჯავახიშვილის X ტომი გამოვიტანე. ვუკირკიტე, მაინტერესებს. რამოდენა შრომაა შიგ ჩადებული. შრომა და ენერგია? რაღაც სხვა. გულმოდგინება, თანამიმდევრობა, შეწირულობა. ყველაფერი უნდა დათმო, ამდენი რომ შეძლო (განათლებისა და ნიჭის აუცილებლობით). არიან ამდაგვარი ადამიანები: მომზენი, ჭარიანი სომხეთში, თუ გვარი არ მეშლება და სხვები. ესენი განსაკუთრებული, ჭიანჭველის ძალით დაჯილდოებული ადამიანები არიან. თავად შეადარა ჯავახიშვილმა თავი ჭიანჭველას. ჩაწერილია საბედნიეროდ. ძეგლს რომ ვუყურებდი უნივერსიტეტის ეზოში, მაღალი მამაკაცი მეგონა, ასეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა. პირიქით ყოფილა, ხოვლეში მისი „პლაშჩი" ავზომე თვალდათვალ და გამიკვირდა. ტანდაბალი კაცი იყოო, ხორგუაშვილმა ამიხსნა. მშვენიერი ადგილია იქ და – სახლი. ხელმოწერაც მომწონს. აწერს გარკვევით, ლამაზად, თუმც არც მთლად თავმდაბლურად: ივ. ჯავახიშვილი

არ მომწონს, რა ამის პასუხია, ილია ჭავჭავაძის ფაქსიმილე. უყვარდათ თავადიშვილებს, როგორც ჩანს, ხელსლართვა. მივდივარ და ვერ წაველ ქუთაისს. წუხელ გუბაზი გახდა ცუდად – გრიპით და მოწამვლის ნიშნებით.

უბენზინობა, უფულობა, უნომრობა (ნომრებია შესაცვლელი, ავტო რომ არ წაგვართვან) და სხვა.

25. IX. 92 წ.

* * *

ჩამოვედი ქუთაისში, ახლა აქა ვარ, ქაბატოჯან, 26 სექტემბერია. შაბათი. ტელევიზორში კინოფესტივალის დახურვაა. არიგებენ ფულებს ამ შიმშილობის დროს. ახალგაზრდობა იხოცება, არ აქვთ იარაღი, უზნეობისა და უორგანიზაციობის ზეიმია.

30 ათასი ამას (ხმა მესმის), ის დარბაზში არაა, სადაა? წაიღოს დიპლომი! რა შავ ქვად უნდა! ფული მიეცით. არაა!

გრანპრიზი მიიღო ბაბლოვანმა, – „ოქროს არწივი“! კარგი სახელწოდებაა, არწივიც კარგია, ცხადია, ნივთზეა ლაპარაკი. ბაბლოვანმა გამოასწორა სიტუაცია, ფესტივალი სამარცხვინო არ გახადა, სვანური ეშმაკობაც გაურია... ფონდი შექმნა. კარგი გამოვიდა. საჭიროა, თავად ისარგებლებს, სხვასაც დაეხმარება, რაღა თქმა უნდა.

ქუთაისში მოღრუბლულია. მზემ გამოიხედა შუადღისას, შემდეგ ისევ მოიჟამა. ზესტაფონში გამოვიარე და ვიყიდე ყველი 180 მანეთად. შარშან ზაფხულში 8 მანეთი მეძვირებოდა. შარშან ეს თვე იყო, მე და გოგია ხარაბაძე რომ გავემგზავრეთ თბილისში, რესტორანში შევედით, ზესტაფონს რომ გავცდით, დავლიეთ (ბევრი არა), ვისადილეთ. გოგიამ კეცში შემწვარი ერთი ქათამი დატკვირა. თევზი იყო, მახსოვს, მდინარის, ერთი კილო ყველის ფული რომ არ დამიხარჯავს, ნაღდად მახსოვს. ჩავედი თბილისში, შინ და საავადმყოფოში, პირდაპირ რეანიმაციაში მოვხვდი. სექტემბრის მეორე ნახევარი და მთელი ოქტომბერი ორ საავადმყოფოში გავატარე. შემდეგ ომი, სიცივე, შიმშილი, მარტი და მოულოდნელად მწ. კავშირის მდივანი აღმოვჩნდი. ქუთაისიდან კი მაინც მივდიოდი, ეგ გადაწყვეტილი მქონდა.

26-27. IX. 92 წ.

* * *

ისევ უგემური ამინდია. არც წვიმს, არც მზე იხედება. შემოდგომას არ ეკადრება. კვირაა, 27. ტელეფონი გამორთული. გავალ, ჯერ ზურიკოს ჩავაკითხავ, ჩამოიყვანეს ალბათ. გუშინ უნდა ამგზავრებულიყვნენ ჩემსავით.

წუხელ ერთი ნოველაც, „ინსპექტორი“ წამოვიწყე. ამით გავასრულებ პატარა ციკლს საერთო სათაურით – „გახსენება“.

1. როგორ დავანებე სიგარეტს თავი („მოწამეთა“)
2. საყვარელიძე პავლე („მოწამეთა“)

3. პოლიტბიუროს სხდომაზე („შარავანდი“)
4. ორი შეხვედრა გ. ლეონიძესთან (ახალი)
5. ფრანგულის სპეციალისტი (ახალი)
6. ავტოინსპექტორი ვწძთ (ახალი)

დაემატება:

„ხიბაროები ამაზონის ჯუნგლებში“.

თბილისში გავასრულებ, რადგან ბოლო ნოველას ერთი დოკუმენტური წიგნი ჭირდება. აქ დავიწყებ: „უცნობი ქალის ჩანაწერები“. ამ სათაურს შევცვლი ალბათ. წინასაარჩევნო კამპანიას უნდა მივხედო. ასე თუ ისე, დიდი მუშაობაცაა საჭირო. ამისთვის, პირადად მე, არც დრო მაქვს, არც ფული და არც ხალისი.

ჯერჯერობით დაწინაურდნენ: მწვანეები, 11 ოქტომბერი (სხვაზე მეტი შანსი აქვთ), მშვიდობაც... მწვანეები გაუგებარია. „ერთობა“ ჭაკადაა ჯერჯერობით, პარტიები ვერ აიღებენ ხმებს, მე მგონი. სწორედ ახლა წერეთელი ლაპარაკობდა, ნორმალურად სხვათაშორის, ტელევიზორში. გაუვლის ასაკი და დაჯდება, მამამისისა და წინაპრების ენერგია არ გაყვება დიდხანს, ვატყობ.

27. IX. 92 წ.

* * *

ქუთაისი ქუთაისია. წინასაარჩევნო ციებ-ცხელება აქვთ კანდიდატებს. აქტიურობს შაშიაშვილის „კომანდა“. ვინმე გვენეტაძის „პროკლამაციებია“ გაკრული: ხმა მიეცით გვენეტაძეს! ვინაა ეს გვენეტაძე? ექიმი ყოფილა. დარეკა გედენიძემ, თუ არ გადიხარ, მოვალო. მოვიდა რუსთაველის საზოგადოებაში. რა მელაპარაკა, ვერ გავიგე, საერთო აზრს მივუხვდი, მოვხსნი ჩემს კანდიდატურასო. რატომ-მეთქი, არ ვკითხე. შაშიაშვილის სასარგებლოდ ხსნის, როგორც ჩანს, მაგრამ მე რატომ მითანხმდება? იქნებ ელოდა: არ ჰქნა, არაფრისდიდებით-თქვა. ჩემს სიაში ჩაგწერდი-მეთქი, შემოგითვალე, უარი გებრძანებია-თქვა.

ვერ გამაგებინეს, ვერ ამიხსნეს წესიერადო, მადლობელი კი დარჩენილა.

დაუფიათებიათ, ზოგიერთი დაჭრილიაო, კარლო ძოწენიძის ოჯახი, — „მარკოზაშვილის დარბაზი". უნახეს პროკლამაციები და სხვა, აჩვენეს ტელევზიითა. ნაცნობი სახეები დავინახე, მათ შორის — ...იც, სულელი...

ხვალ ტელესტუდიაში. დილით უნდა ჩავწერო... საგაზეთო ინტერვიუ დასაწერია. გადავდევი, გადავდევი, მოვიტანე აქამდე. „საღამო მშვიდობისას" ველოდები. ნ. ჯაფარიძეც ჩვენს ჯგუფშია. გამოუშვით-მეთქი, ელდარს ვეუბნებოდი, გადმოისროლეთ ჩვენკენა! მეც ჩამოვალო. ჩამოვა კი?

დამთავრდა სექტემბერიც.

30. IX. 92 წ.

* * *

ცუდი და ცუდი ამბები აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, ოსეთიდან. რას უნდა ველოდოთ კარგს?! ნათაძე, ჭანტურია და სხვები ლაყბობენ ტელევიზორში, მეორე ოთახიდან (ზალიდან) მესმის მათი ხმა. პროგნოზებს თავად ვაკეთებ. ქუთაისის თუ ქუთაისურ ტელევიზიაში გამოვედი. ორგვერდიანი გაზეთიც ჩავუშვი. იქაც პროგნოზი: 1992 წელი — კრიტიკული, მომდევნო — გარდამავალი, 1995-დან უკეთესობა იქნებათქვა და ასე შემდეგ. ამას ვიმეორებ ხოლმე. ყურადღებასაც არ მაქცევენ ზედა ეშელონიდან, მაგი ხომ ისედაც ვიცითო, ტარიელი გვეტყვის, ჭანტურია, აუცილებლად. ტარიელმა ხომ ყველაფერი იცის, არა მარტო — ტარიელმა! ჩვენ, ქართველებმა, ყველამ ყველაფერი ვიცით. სიგლახეშიც მაგრები ვართ. უზნეობის გამო ვისჯებით. პურზე რიგებია, ხალხი შეწუხებულია, თუმც უიმედობა, სასოწარკვეთა არ იგრძნობა ამ ქუთაისში.

ციოდა ეს დღეები, გუშინ — განსაკუთრებით. დღეს ათბა. ბუხარიც მენთო. ახლა არ მინთია, ვზი, ვწერ. ძალიან მომ-

წონს და მიყვარს აქაურობა. აქ შეიძლება მუშაობა, ვისვენებ კიდეც.

გახსენება: პატარ-პატარა ნოველები დავწერე, მივადექი „უცნობი ქალის ჩანაწერებს“. ეს ძალიან საინტერესოა. რატომ მანდო იმ ადამიანმა „ჩანაწერები“, დღიურების ნაგლეჯები, მთლად ნათელი არაა. მინდოდა, ნ. დუმბაძისათვის გადამეცაო, მწერს, — ან ეს რატომ უნდოდა, გაუგებარია. მასალა ცოტაა, მაგრამ ჩემთვის საკმარისი, მნიშვნელოვანიც, ვათვალიერებ, ვარკვევ, ვანგარიშობ გამომძიებელივით. ჯერ ვინაობას, ქალმა გამხელა არ ინება, ვადგენ, ვაზუსტებ. თავი დამალა, მაგრამ კუდი დამიტოვა. ადვილად გამოვათრევ, თუმც არაა საჭირო, რაცაა, იმაზე ავაგებ ყოველივეს. დანარჩენი ხელს შემიშლის კიდეც. მრავლის მთქმელია.

მაინც გავარკვიე: ხინგავა ნათელა, ქმარი — გიგლა, ალბათ — გუმბერიძე. მეგრელია, ყოველმიზეზგარეშე-მეთქი, ვფიქრობდი.. არ შეიძლება, მეგრელი ქალი არ იყოს! ისე აგიხდეთ ყოველივე, ლექსების ნაგლეჯების მიხედვით სხვა და მთავარი პერსონაჟი... იგი უნდა იყოს ტაგუ მებურიშვილი.



დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

პოლიტიკა, ეკონომიკა, ეროვნული მოძრაობა. ინგრევა ქვეყანა. თავისუფლებისათვის იბრძვის მისი ქვეყანა, სამშობლო, ომი საქართველოს მთლიანობისთვის. ქალი მისით, მისი ინტერესებით, ოცნებით ცხოვრობს. ითხოვს სიყვარულს. ქალური და დედური საწყისები ებრძვის ერთმანეთს.

ეგ ყველაფერი ეგრეა მართლაც.

1. X. 1992 წ.

* * *

2 ოქტომბერი, 3 ჩამოდგა.

საშინელი ამბები აფხაზეთიდან. ბიჭები მიყავდათ ავტობუსებით, ქალაქის მოედანზე ყოფილან დაბანაკებულნი; საჭმლის ნამუსრევი ვნახე, რომ ჩავიარე. ფრონტზე, სასაკლაოზე. რეზერვის მობილიზაციას აცხადებენ. ჯარი არაა, სადამდე შეიძლება მოხალისეთა იმედზე ყოფნა! როგორც იქნა, დავრეკე თბილისში. ველაპარაკე ჩემიანებს. კარგად არიან. ამან დამამშვიდა. ტელევიზორი მაგიჟებს უკვე. კარგი არაფერი ისმის, კარგახანს ვერც გავიგონებთ...

2. X. 92 წ.

* * *

მშვენიერია საქართველოში ოქტომბერი — წიფობისთვე. შესანიშნავი ამინდებია. მურმანის საფლავზე გავედით გოჭოურაზე. რაც უცნაურია, პირველად. ვიცოდი კი, შორიდანაც დამინახავს, შიგ სასაფლაოში — პირველად. შესანიშნავი მიდამოა, ხელმარცხნივ — ხევი, ტყე, სასაფლაოც ტყეა. ჯ. ლორთქიფანიძეს (ქაქანია) საფლავი აქვს გაწყობილი, უკეთესს ვერ ინატრებ. ილია ჭავჭავაძეს არა აქვს. კოკლის ვეუბნები, ასეთი განსასვენებელი-მეთქი. მართალი ხარო, არ წყენია. რით დაიმსახურა (ურიგო კაცი კი არ ჩანდა და მაინც) ეს პატივი? მაღაზიაში და სასადილოში ნაშოვნი ფულით. ზურიკოც გვახლდა. მალე მეც ეგ დღე მელისო: სიკვდილზე ლაპარაკობს, სიკვდილის სიახლოვეს ვერ გრძნობს, ამ ავადმყოფობას რომ ვერ გადაურჩება, გრძნობს, თუმცა რა ჭირს, ზუსტად არ იცის.

ტელეფონი ჩამირთეს, როგორც იქნა — 3 55 30. რაც მთავარია, მავიწყდება, დავამუშავე უცნობი ქალის გამოგზავნილი ნაწერები. სრული წარმოდგენა მაქვს იმ ქალზე, იმ ოჯახზე, ქმარზე, ქალის თვალით დანახულ ქმარს მეც სხვანაირად ვხედავ. საინტერესოა ძალიან. შემიძლია, დავიწყო კიდეც... საჭიროცაა, ვგრძნობ. თუმცა მიტოვება მომიხდება მალევე, არჩევ-

ნები მოვიდა. ომი ომს დაამსგავსეს, სამწუხაროდ. თბილისში მომიხდება მელე წასვლა, იქ ბეჭდვა. სამსახურში გასვლამდე უნდა მოვამთავრო. აქეთ როსღა ჩამოვბრუნდები, აღარ ვიცი, ზამთარში – აუცილებლად. სიცივეში და სითბოში ცეხლისპირას უნდა ვიმუშაო. ამასობაში 60 წლის გავხდები. რაღაცას ვიქადნებოდი ამ დროისათვის, მაგრამ ჩანაწერებში ვერ მივაგენი, თავიდან უნდა გადავხედო, ქსეროქსზე უნდა გადავიღო ყველა რვეული და სადმე საიმედოდ, თუნდაც ლიტ. მუზეუმში დავაბინავებთ. დროა, ამის საჭიროებას ვხედავ...

X. 92 წ.

* * *

გვსჯის რუსეთი. კომუნისტებმა ზვიადი და მრგვალები მოგვივლინეს, ნახავთ და მოგენატებითო. ასეც გამოვიდა. რუსებმა გაგვჩხირეს აფხაზეთი, ოსეთზე ამნაირად არ უზრუნიათ. შევარდნაძის პერსონაც არ აძლევთ მოსვენებას. ესეც გათამამდა, აყვა წერეთელს, წერეთელ-ნათაძისთანა სულელებს. რუსეთთან ახტომა ჯერჯერობით არ შეიძლება. ახლა გვაჩვენებს, უმისობა, ურუსეთობა რომ არ შეგიძლია. რუსეთი მოვიდა თავის დროზე კავკასიაში და გადაგვარჩინა (ამის აღიარება არ გვსურს), წავალ და დაიღუპებითო, გეუბნება.

ხვალისათვის საგაზეთო ინტერვიუში ჩავამატებ ამ სიცხადეს, თუ არ დამაღალატა ღრენიამ, „ერთობაც“ ხვალ უნდა გამოვიდეს. დილისთვის ანაბეჭდებს ველოდები, ჩავასწორებ, გავუშვებ. 1500 ეგზემპლარი მეყოფა ალბათ.

შევარდნაძემ, ჩიხში ვართო, იმეორებს, „ტუპიკოვოე სოსტოიანიე“. გამოსავალი არაა თითქო, გამოსავალი გამოჩნდება, რადგან გამოუვალი არ ყოფილა არასოდეს. რაღაც სხვანაირი, უფრო მოქნილი პოლიტიკაა საჭირო, რუსეთი უნდა გაიხადო მოკავშირედ, გამოგიყენებს, გამოიყენო შენც უნდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს...

X. 92 წ.

* * *

ველოდები ღრენიას და ვათვალიერებ დღიურებს (წუხელისაც), მაინტერესებდა, როდის და რა თვეებში ვხდებოდი ცუდად: თებერვლის ბოლო რიცხვებში, მარტის დასაწყისში – ეს კანონზომიერება გამოიკვეთა, დანარჩენი?.. ულოგიკობა გაბმულ სმასთან იყო დაკავშირებული. საერთო დაკვირვება: გაზაფხული ადრიანი, შემოდგომაც...

უკეთესად ვუძლებდი სმა-ჭამას ზაფხულში, ზამთარში, სიცხე-სიცივეში... გამონაკლისები იქაც ყოფილა. შემოდგომა-ზაფხული ასეა დაფიქსირებული, მე მგონი, სამედიცინო ლიტერატურაშიც უთქვამთ, წამიკითხავს (არასაფუძვლიანად), თებერვლის ბოლო, მარტის დასაწყისი სახიფათოაო...

X. 92 წ.

* * *

ოტიასთან ევიარეთ და გევიარეთ. გამოვიდა ყანიდან და აგვიძღვა ოდა-სასახლეში. ჯემალ გედენიძესთან ერთად ვიყავი. სულიკო ვაშაკიძე (ოპერატორი) და ასისტენტი მისი. გადაგვიღეს, ვილაპარაკეთ, საჭირო საუბარი ქე შედგა, თუ გადმოსცეს. აფხაზეთის ბოლო ტრაგიკული ამბები ცნობილი არ იყო იმ მომენტში. ვთქვი და აქ გავიმეორებ: შევარდნაძე არ უნდა აყოლოდა წვრილ-წვრილ პოლიტიკანებს, აყვა და დაგვღუპა, იქნებ აგვაშენა?(?). აქ რომ არ დამთავრდება ყველაფერი, ნათელია.

რუსეთმა გაგვჯოხა, მაგრამ მაგათი აღსასრულის დროც დადგება.

ხვალ თბილისიდან ჩამოვდივართო: ნანა ჯაფარიძე, ვინმე გოქსაძე, კიდევ ვინ, არ ვიცი. თბილისში ვერ ვრეკავ და არც მიკვირს. ჩამირთეს, როგორც იქნა, შემიცვალეს ნომერიც ტელ: 3-55-30.

მშვენიერი კაცია საუფროსოდ ჩემი მეგვარე – გ. ჭეიშვილი. ვიყავი, გამშრალი დამიხვდა. რა ვქნაო, მითხრა, კიდევ მოი-

პარეს კაბელი, მიწიდან აძრობენ, ალბათ ტრაქტორით, სპობენ სატელეფონო კომუნიკაციებს, ელექტროსადენებს, გააქვთ თურქეთში ნიფხვების შესაძენად. ახალგაზრდები იხოცებიან, იქ სისხლი იღვრება, აქ რა ხდება. სიმღერის ხმა ისმის სამეზობლოდან, ორი სახლის გადაღმა მღერიან ამ უბედურების დღეს. არადა, მგონი, ახალგაზრდები არიან, შეიძლება, ომშიც კი მიდიან... ნუ განვსჯით!

X. 92 წ.

P. S.

გამოვუშვი ორგვერდიანი „გაზეთ-პროკლამაცია". საჭიროა. ინტერვიუ გაზეთ „ქუთაისს"... კითხვებიც მე დავწერე და პასუხებიც, ისე, როგორც „ერთობაში". ასეც ხდება. „ერთობა" აქვს სათაურად იორგვერდიანს.

პატარა ნოველა გამოვაცხვე, „ფრანგულის მასწავლებელი"... დღეს „ლიტერატურული საქართველო" გავშალე და ნეკროლოგს დავაკვირდი. მგონი, ეგ ქალია „ფრანგულის სპეციალისტი" — თინა სარჯველაძე.

რამ უნდა გაგახაროს ამ სიავის ხანაში!

* * *

დავიწყე „გულო ჯანდიერი" (უც. ქ-ის ჩ-ბი). შორს ვერ წავალ ალბათ ამჯერზე, რადგან სხვა მაქვს დასამთავრებელი, თბილისში შვებულების დასრულებამდე წავალ და პირდაპირ ბეჭდვას დავიწყებ. აქეთ როდისღა ჩამოვბრუნდები, დროს როდის გამოვნახავ, ანდა, იქნება კი მშვიდობა, მისვლა-მოსვლის საშუალება?!

ქუთაისში ქარია ზომიერი, ქუთაისური. გაციებული ვარ და წნევამაც ამიწია ალბათ. ვიგრძენი. საჯარო ბიბლიოთეკაში შევხვდით ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, როგორც დეპუტატობის კანდიდატები (მე და ავთანდილ ყურაშვილი); ქალებმა

მომშალეს. უფრო ცუდად გავხდი. ორგვერდიანი გაზეთი (1200-1500-მდე) დაარიგეს კინაღამ დღესვე, მთლიანად, ხვალისათვის დამრჩა ცოტა და მოვიდა ეს არჩევნებიც...

X. 92 წ.

* * *

დღეს ჩამოვიდნენ: ნ. ჯაფარიძე, გ. გოქსაძე, მ. არეშიძე და ვიღაცეები. ჯაფარიძე საქმიანი აღმოჩნდა, ეტყობოდა. პირდაპირ საქმეზე გადავიდა. იქვე, კლუბში (მწ. კავშირი) გავერიეთ შაშიაშვილის შეხვედრაზე. იქედან წყალტუბო, საქმოსნების თანხლებით. ნაჭამნი, ნასმნი და ისევ სუფრისკენ; ჩვენ გზა აგვებნა და გამეხარდა ნამეტნავად; არც ჩემი თანამგზავრები, ვ. ახობაძის გარდა, დარჩენილან უკმაყოფილონი (გვახლდნენ იუზა, ავთანდილ ყურაშვილი).

როგორ მჯაბნის ეს სურდო, გადასარევია. ვებრძვი, ძალს ისაა, ძალს — მე, ვარჯიშიც არ მიმიტოვებია. ხვალ ისევ შეხვედრა, შემდეგ ვანი, სიცხე თუ არ ამყვა! წამლობა დავაპირე, ალერგიული აღმოვჩნდი, თვალები დამიწითლდა, კონიუქტივიტი თუა! წნევა არ უნდა ყოფილიყო. გუშინაც კი, როცა თავი მტკიოდა, წნევა არ მქონდა.

არჩევნები მოადგა კარს. რა ხდება, რა იქნება, რას ვიზამთ, რას ჩავიდენთ? რას გვიპირებენ, რას გვიმზადებს გამჩენელი? დაინტერესდნენ ჩვენითო: ამერიკა, ევროპა... ახლო აღმოსავლეთიდან (ლიბანი, ისრაელი, სირია), აქეთ ომის კერის გადმოწევა ხელს აძლევთ, რაღა თქმა უნდა, ისე შეგაიარაღებენ, რომ მეორე ისრაელად გაქცევენ...

ქუთაისში წვიმს. წყალტუბოში თბილი წვიმა იყო, არაა გამორიცხული, გოდოგანში და კვახჭირშიც წვიმდეს.

მოვიდეს ეგ არჩევნები ბოლოსდაბოლოს! ხვალ ხალათი უნდა გამოვიტანო, სამხედრო ბლუზასავით (ვნახე დრო) შევაკერინო, ქამარი მაქვს ბაბუაჩემის — ვლადიმერის დანატოვარი,

ვერცხლით გაწყობილი, ბოლოზე აწერია: ხელ. ჯალა. დანარჩენი (ალბათ ადრინდელი მფლობელის გვარი ეწერა) გადაფხეკილია. ბაბუაჩემი ატარებდა, დამრჩა მე. კულა და ქამარი. ღვედი დაობდა, გაწყდა, გადავაბი. ახალი ტყავი უნდა მოვასევადო, შევმოსო ადრინდელი ვერცხლით და შემოვირტყა. წელი ქეც მაქვს სახანჯლე.

ღმერთო, მშვიდობა ჰქენი!

X. 92 წ.

* * *

მთელი დღე წვიმდა. ეტყობა, მთელს საქართველოში წვიმს. სადღაა ეს მთელი საქართველო?! თერთმეტია ჩამომდგარი, მოვიდა ეგ არჩევნებიც. გავხდები თუ არა დეპუტატი?!

გული მეუბნება, – ვერ გახდებიო... ბლოკი რომ დამარცხდება, ლაპარაკი არ უნდა. აკ. ბაქრაძე კვლავ გამყიდველის როლს თამაშობს. ჯერ ასე ვიყავით შეთანხმებული, „ერთობას“ უნდა დახმარებოდა, გადავიდა „11 ოქტომბერში“ და ტელევზიით (რაც აკრძალული უნდა იყოს) უწევს პროპაგანდას ამ ბლოკს. დაქირავებული ადვოკატივითაა!.. ეგ არაფერი, რატომ უნდა, ნათაძის კომანდა, ნათაძისნაირები მოექცნენ სათავეში.

წარსული გამოცდილება არაფერს ნიშნავს? ხომ გაყიდა პირველ არჩევნებში საკუთარი (რუსთაველი) საზოგადოება... ერთი მანდატიც ვერ მიიღო (!!!), ახლა მრგვალებს თუ ბრტყელებს უჭერს მხარს... ელდარმა არ იკისრა ჩვენი ლიდერობა, ამიტომ „მშვიდობაც“ დამარცხდება. აქ მე არ გავინძერი, რადგან მხარდაჭერა არ მქონდა, მხოლოდ ორი დღის წინ ჩამოვიდნენ გოქსაძე, ნანა ჯაფარიძე მხლებლებითურთ – მამით, ქმრით, მამამთილით და მამამთილის მეზობლებით... ცოტა მივდექით, მაგრამ უკვე გვიანი იყო... გადმოვიდა თუ არა მანქანიდან, დაიწყო საქმიანობა. ამან ცოტა გამაოცა, საინტერესო პიროვნებაა. იმავ დღეს – წყალტუბო, გუშინ – ვანში. იქ ღრეობა და წყალში

გადაიყარა ადრინდელი მონაპოვარიც. დღეს, 10 საათისათვის, როგორც იყო დათქმული, ველარ მოვიყარეთ თავი. უბენზინობის გამო დაიკარგა ტყიბული, ზესტაფონი და სხვა... იქნებ, ესეც საეჭვოა, დავრჩი მხოლოდ მე, № 1 – პირველი? ნანა მეოთხეა. ერთი კვირით ადრე იყო ჩამოსვლა საჭირო და 5 მანდატსაც ავიღებდით... ელდარის ჩამოსვლა მეტის გარანტი იყო. არ ჩამოვიდა, ვერც იქედან გაწია პროპაგანდა. ლ. ღოღობერიძემ აქაც გააფუჭა საქმე, იქ უარესს იზამდა. ბლოკმა „აღორძინებამ“ (ადვაძისამ) ჩარკვიანი და ამირეჯიბი არ გამოაჩინა. ეს მათ საქმეს გააფუჭებდა, ბლოკმა „ერთობამ“ კი ლანა წამოწია. ეს იყო დიდი შეცდომა (ლანა ამას ვერ მიხვდება), რაზედაც ველაპარაკე კიდეც ელდარს, რაც არი, ეს არი! დამთავრდა წინა კამპანიაც. საშპალერედ დამრჩა აფიშები, შემიძლია, გავყიდო.

გაიმარჯვებენ: „11 ოქტომბერი“, „მშვიდობა“, „აღორძინება“, „მწვანეები“. ცოტა რომ გავრყეულიყავით, მეოთხეზე დავჯდებოდით, შეიძლება, მწვანეებსაც გავტოლებოდით. პარტიები, თუ არ ითაღლითეს, განზე დარჩებიან და ეს ძალიან კარგია.

დანარჩენი შემდეგ.

ა, დღეო და ა, ხვალეო!

10 ოქტომბერი, 92 წ.
ქუთაისი

* * *

ჩამთავრდა ეს არჩევნებიც, მე მგონი. აწი რაღა გავაკეთოთ? გაიმარჯვა შევარდნაძემ დამაჯერებლად (მაგრად). ქუთაისში შაშიაშვილი გაუფროსდა კვლავ, საბოლოო შედეგები არ გამოუცხადებიათ ჯერ. ველოდებით...

ავთოსთან ვიყავით, ყურაშვილთან, წუხელ. შაშიაშვილიც იქ მოვიდა და იქვე, სუფრასთან მივულოცეთ გამარჯვება, რადგან სურათი, ყველა მონაცემის მიხედვით, ნათელი იყო.

დღეს აქ მინდა, რაღაი დაქადნებული ვიყავ, ბუხრის დანთება

და ტაბლის გამართვა. ხუთი-ექვსი კაცი, მეტი არაო... ზევით, ზალაში, ქეც მაქვს გასაშლელი მაგიდა, მამისეიშვილის ნაჩუქარ-ნასახსოვარი. ზევით, სასადილო ოთახში, სუფრა არ გამიშლია. ეგეც იქნება, ახლა კი მაგის დრო არაა, თუმცაღა საშუალება, როგორც გაირკვა, არის! რაც შეეხება „ერთობას“, ერთობის საქმე კოტრაწეს! ქუთაისში რაღაც ხმები დაგროვილა მაინც, სხვაგან – არა, მგონია. ესეც მალე გაირკვევა. ძირითადი: თუ „დემოკრატებმა“ (ნახევარი კომუნისტებია, ნახევარი სტალინელები) ხმები მოიპოვეს, საქართველოში მშვიდობა არ იქნება...

პარლამენტს დაერქვა „რესტავრაცია“, შევარდნაძეს დაბრალდება, რაც დასაბრალებელია და ასე შემდეგ. თუკი ხმები გადანაწილდა და უხმოდ დარჩნენ რადიკალური პარტიები (ჩანს, ასეც მოხდება), გაგრძელდება მიტინგები; ააქოთებენ თბილისს, სანამ ისტორია არ მოისვრის სანაგვეზე ყველას ერთად, მანამდე არა გვეშველება-რა.

„მშვიდობა“, ვთქვათ, 35-40% (?); „11 ოქტომბერს“, „ქარტიას“, „ი. ჭავჭავაძეს“, „მწვანეებს“ დარჩენილი 60%. ამას არა უშავს რა. „ახლა ჩვენში მუშასა თითქოს არა უშავს რა!“

გუშინწინ წვიმდა, დღეს მოღრუბლულია, გუშინ კი, თითქო საგანგებოდ, მშვენიერი დარი იდგა. შესანიშნავი ამინდი (როგორიც უნდა იყოს იმ დროს) იდგა. თბილისი მაქვს შეკვეთილი, ვერ ვრეკავ!

დიალოგი: (ტელეფონით):

– თუ შეიძლება, მანანას თხოვეთ?!

– სად რეკავთ?!

– თქვენ დაუძახეთ და სადაც ვრეკავ, მე ვიცი!

12 ოქტომბერი, 92 წ.

* * *

13-ია. ჩათავდა ეს დღე – თარსი.

მეცამეტე ნომრით იბრძოდა შაშიაშვილი და როგორც აქ იტყვიან ხოლმე, გადოუჯოკრა დანარჩენებს. დიდი ანგარიშით

მოიგო არჩევნები ქუთაისში. როგორც ირკვევა, არც ჩვენ დავმარცხებულვართ... შეიძლება, გავხდე ან გავხდი უკვე დეპუტატი. ესეც ახალი ამბავია. ძალიან რომ მომენდომებინა, რომ ჩავდგომოდი სათავეში კამპანიას, 12 ხმას ავიღებდით 24-დან, სულ ცოტას. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

ღვინო მქონდა და პატარა პურ-მარილიც გავაწყვე ბუხართან, იუზას სპონსორობით. საძაგელი სადღეგრძელოები არ იყო; იყო ჭამა, სმა, გახსენება, სიცილი, ცრემლი და წუხილიც. ხალათი შეკერილია, ვერ გამომაქვს უღილებოდ. მომწვანო ღილები უნდა იშოვნოო (ხალათი სამხედრო ყაიდისაა).

ქუთაისში წვიმს, მშვენიერი ამინდი იყო ამ დილით, ახლა ღამეა და მაინც წვიმს.

13. X. 92 წ.

* * *

გადაიარა ამ 13-მაც. არაფერი კარგი. წვიმდა მთელი ღამე. ახლა მოჟამისპირებულია.

სოხუმიდან გლახა ამბებია. უტევენ ქალაქს. ოჩამჩირე-სოხუმის რკალზეა ომი. უკან – გალი, ზუგდიდი... მეგრელები იქიდან იბრძვიან. დუდაევ-გამსახურდიას სცენარით იბრძვიან... აფხაზეთი? ეჭვიც არ მეპარება, რომ დაგვიქვითავენ რაღაცას და მოვუწერთ ხელს. შემდეგ აფხაზეთ-სამეგრელოს ფედერაცია. აქამდე მივედით. ეს პრობლემები ახლა კიდევაც რომ მოგვარდეს, კვლავ წამოიჭრება მომავალში. იქნებ შეგვემუშავებინა ფედერალური მმართველობა: გურია, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა და ასე შემდეგ, ფედერალური მთავრობით, ეს მრავალ პრობლემას მოაგვარებსო... აფხაზეთისა და სხვების სახელმწიფოებრივ მისწრაფებებს გააბითურებსო.

თბილისში მინდა უკვე წასვლა. იქნებ მანქანაც გამომიგზავნონ.

14. X. 92 წ.

* * *

მოწმენდილია და ქარია. ქუთაისური ქარი მოვიდა. არ ცივა, თუმც საიდანღაც მოაქვს სუსხიც... თუ არ მოიღრუბლა, არ დათბება. თბილისში წვიმააო.

არჩევნების საქმე არაა მომთავრებული. ჩემი პირადი დეპუტატობაც კი ეჭვქვეშაა. „ერთობა" წინ ვერ წავიდა, პირიქით, რაიონებმა, მგონი, უკან დაგვწიეს. „კვოტა" არ შედგება და თავისუფალი აღმოჩნდები მეცა... ზურიკოსთან ვერ გავედი. დავრეკე თბილისში. მალვინამ დეპუტატობა მომილოცა. ჯერ არაა გერკვეული-მეთქი. რა ვიცი, აქ გარკვეულია, ასეაო — თქვესო. უნდა გამომეკითხა: ვინ თქვა, რა თქვა, ვინ რა იცის? ხოზეს მანქანის საქმე დავავალე. ვნახავ მძღოლსო, ნახავს?..

იდიოტობაა რვეულების შევსებაც...

მე კი მიყვარს თვალის გადავლება, განვლილი დღეების ხელახლა გადაფურცვლა, ფირის უკან დაბრუნება. სხვას ვის დააინტერესებს?...

წიგნს უდგება შავი ხანა. ქართულ მწერლობას? იგი უკან და უკან მიდის, არა იმიტომ, რომ არ იწერება, ან ვერ ვწერთ — დროის უკუღმართობის გამო...

ტელევიზია, პოლიტიკა, ლაყბობა, ვაჭრობა, ბიზნესი, სროლა... კითხვა?

ჩვენ ვწერთ, ჩვენ ვკითხულობთ, მხოლოდ ჩვენ წავიკითხავთ და ერთი ჭირი მარგებელია, მწერლობაც გაიცხრილება, ნახირი დაიშლება, დაიფანტება, უნიჭონი, უუნარონი ჩამოგვშორდებიან, ახლები აღარ(?) მოვლენ. ფული არ იქნება, სახელი და სახრავი — არა და რაღა უნდათ? სახელმწიფოს ახლა უნიჭო ჟურნალისტები, ტელერეპორტიორები ჭირდება. მხატვრული სიტყვის (ლექსისაც) აღარ ეშინიათ, ვერც თეატრი, ვეღარც კინო ვეღარ მოახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას, ხელოვნება გახდება სამოწყალო... კინო კიდევ ჰა და ჰა... მცირეეროვანი მწერლობა ვის დაკარგვია... ეს სამწუხაროა!

15. X. 92 წ.

* * *

შემომრჩა და ვწვავ ნელ-ნელა საარჩევნო ფურცლებს, სადაც ჩემი ბიოგრაფია და საარჩევნო პროგრამა წერია მოკლედ, 1990 წელსაა ჩამობეჭდილი. დღემდე შემომრჩა, რუსული ცალკე უნდა იყოს, მგონი... მუხათწყაროში დავწვი! ორი ცალი გუშინწინ (ქართული) გადავინახე, იყოს სამახსოვროდ-მეთქი. მანამდე ესეც არ გამხსენებია. ახალი არჩევნებიდან აფიშები გადამირჩა, ერთი კონა აქ მიდევს, ერთი (კონა) რუსთაველის საზოგადოებაში დავტოვე და გ. ჩიტიძეს წაუღია.

ავთ. ყურაშვილი სოფელში აპირებდა თურმე საშპალეროდ წაღებას. მაქვს შენთვის შინ-მეთქი, ვუთხარი, ვერ გავახარე. კიდევ დარჩა სხვა, ფურცელ-ფურცელ, გამოუსადეგარი ფორმატისა.

რა არჩევნები ამიტყდა, რა მეარჩევნებოდა. არაა თითქო ჩემი საქმე და რაღაც მაწუხებს მაინც. მარტო მწერლობის დრო აღარაა, ვგრძნობ. ყველა გრძნობს, რაღაც სხვა რომაა მისი საქმის გარდა საჭირო! იყო და კიდევ ველით! ისევ დაიღვრება სისხლი, დაიღვრება და დამთავრდება! რაღაც ასტეროიდიც გვიახლოვდება ფინთადაო, იაპონელები შეშფოთებულნი არიან...

16. X. 92 წ.

* * *

დავხედეთ ზურიკოს მე და კოკლიმ, შემდეგ ზევით ავედით — ბაგრატზე, ვიწრო ჩიხით ავუხვიეთ, „ლაშხის სახლი“ და ზევით. ყველაფერი, თითოეული ქვა და კენჭიც კი ნაცნობია, დანახული, ხელშენავლები. კარიბჭე — დასრულებულია, ხარაჩოჩამოხსნილი პირველად ვნახე და მომეწონა. ჩერენცოვის ჩანახატზე უფრო დიდი ჩანს, მაგრამ ამნაირი იყო (ზომები დაცულია, ცხადია), როგორც ჩანს. ორი ბერძენი მუშაობდა, მახსოვს, თეთრიწყაროდან უნდა ყოფილიყვნენ. ჯამაგირის პირობებზე ფულსაც კარგად უხდიდნენ, მაგრამ არც ერთი ქარ-

თველი ქვაზე ამ ფულად (დავიანგარიშე კიდეც) არ იმუშავებდა. ისინი გულდაგულ, აუჩქარებლად თლიდნენ და ზომავდნენ. ვინღა იშოვნის იმნაირ ხალხს. ფეხით წამოველი მარტო (კოკლი გორაზე დარჩა). ლეილამ დარეკა: ხოზეს მძღოლი ვერ უნახიაო. ხვალ მანქანა არ ჩამოვა. წავყვე ავტობუსს თუ ველოდო? უბენზინო ავტო? აღარ ვიცი... შვებულებაც მიმთავრდება. ბენიასაც აღარ უნდა მარტო დარჩენა. ვინღა მოუვლის ამ სახლს, როგორ წავა მისი საქმე?

ქალაქში რიგებია პურზე, ბაზარში, სიძვირეზე აღარაა ლაპარაკი, პროდუქტების სიმცირეა, საომარი განწყობილებაა. შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს წევრებს დაემშვიდობა, ვინც პარლამენტში ვერ მოხვდით (ეტყობა, იქ ყველაფერი გარკვეულია), არ იდარდოთო, რაღაც ფორმით, მოგიწვევთ, საქმეში გაგიყვანთო (რა აუცილებელია, არ მესმის).

შეიქმნა თავდაცვის საბჭო თუ კომიტეტი და შევარდნაძეც სხვანაირად ალაპარაკდა, იგი უფრო მკაცრი, კონკრეტული გახდა, გადამჭრელი ზომების მიღებას აპირებს ყველა საქმეში. უპირველესად საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება-გაზრდაზე იფიქრებს და სწორიც იქნება...

17 ოქტომბერი, 92 წ.

* * *

დღეს სიცხე იყო ქუთაისში. სიცხიდან-სიცხეში. უცნაურია ამ დროისათვის. სითბო იმდენი არ იყო, — მზე აჭერდა არაბუნებრივად.

გავედი საფიჩხიის ბაზარში თერთმეტის ნახევარზე, ერთ წველა ყველს გავუსწარი მხოლოდ. შემოდგომის კვირა დღეს ბაზარი (მართალია, პატარაა) ცარიელი? ხილი ცოტა, სხვა არაფერი. ხორცი იყიდებოდა, არ ეკარებოდნენ, ერიდებიან ხორცს, ეშინიათ, ფასიც არ მიკითხავს...

იმ დროს — ომის წლებში, გავსებული იყო ეს ბაზარი სა-

ფიჩხიაზე. ძელქვებით იყო შემოსაზღრული ეკლესიის ეზო... ძელქვები? იქნებ რცხილები? ან კოპიტები? დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ქვა აღარაა იმ ადგილას ძველი, ეკლესიაა გახსნილი სამაგიეროდ, წირვა-ლოცვაა... ეს კი მაშინ წარმოუდგენელი იყო...

18. X. 92 წ.

* * *

დღეს ფეხით აველ ჭახათაში, ღორღსამტვრევამდე, იქედან ვუყურებდი წყალწითელას, გოდოგნის ჭალებს; რატომ არა მაქვს სახლი იქ, ვფიქრობდი. ის ჭალები არ მომივლია, შევიგულე სამომავლოდ, იმ გზაზე კი ფეხით მრავალჯერ, განძელ-განძელ ავსულვარ გელათამდე; ერთხელ, 44 წელი იყო, თუ არ ვცდები, თხა წავიყვანეთ ოჯოლაში მე და ერისტომ ფეხით, ჩავედით სოფლამდე, სულ ცოტა, 25 კილომეტრი მაინც გავიარეთ. გავყევით რკინიგზას. თხა იყო მოწითალო, მორჩილად მოდიოდა; ხალისიანად დავიწყეთ ჩვენც და რა გასაკვირია, დავიღალე მალე. საღამოა, აგვისტო (დროც როგორ მახსოვს). ორპირში დაგვაღამდა. წყლები იყო მოდიდებული და ამიტომ კიდევ დავიგრძელეთ, მახსოვს, ბილიკები. გვიან ღამით ჩავედით ოჯოლაში...

დეიდაჩემს (ლუბა) წავყევი ამის შემდეგ, თუ მანამდე, ვეღარ ვიხსენებ, სულ სხვა გზით... დავწერე ნოველა „ბერსათრიელა". ჩავუარეთ იმ ადგილს, ფიჩხიც დავალაგეთ საფლავზე. დეიდამ დამაგზაკვალიანა და დამამახსოვრა ის დღე: აქ ბერია დამარხული და უნდა ვთქვათ, ბერს ცხონება, ჩვენ ქონებაო. „ბერსთრიელა" გადავაკეთე, უკეთესი გამოვიდა. ჭახათიდან კი, სადაც შევჩერდით, მოწამეთა და გელათი არ ჩანდნენ, მთა ფარავს მათ.

ჭალამ მომჭრა თვალი სამაგიეროდ. 60 წელი აქ მინდა მოვისამოცო. შარშანწინის წინ გელათში, ბევრი ქუთაისელი (ზოგიერთს კარგად არც ვიცნობდი), შარშანწინ – მოწამეთა, შინა-

ურობაში (სწორია), შარშან – მუხათწყარო, ღარიბულად. ეგრე იყო... გელათში დიდი სუფრა, მრავალი მესუფრე. ცოლი მახლდა. ს. ხარაბაძე – თამადა. თბილისიდან დამემატნენ...

გაისად უნდა ჩავივაკო, თუ მივაღწიე იქამდე, თუ მშვიდობა იქნა, ამინდმაც თუ გაგვიმართლა.

არ ჩამოვიდა მანქანა. ვერ მოუძებნიათ ვალერიანი. სულელი... ბენზინის პროლემაა. ხვალ წავყვები ავტობუსს, გ. კოხრეიძემ ამიღო ბილეთი...

დეიდაჩემთან ჩამოვბრუნდი, ვარლამმა მაჭარი გამასინჯა – ფელამუშით. ორი პატარა კვახი გამომატანა თვალსასეიროდ, ერთს მწვანე-წითელი ფერი ადევს, ამნაირი ფერები სხუმის არ შემხვედრია.

შვებულებას აქ ვატარებ, რაღაი ჩავერთე არჩევნებში, ცოტა ხელიც გამოვიღე და გავხდი, მგონი, დეპუტატი.

გუბაზმა დარეკა წუხელ, ელდარმა მამცნო კაი ამბავიო. რას ნიშნავს ახლა ეგ კაი ამბავი, არ ვიცი, კარგად არც კი მაქვს გასიგრძეგანებული...

19. X. 92 წ.

* * *

თბილისში უჟმური ამინდი დამიხვდა. ისეთივე შემოდგომაა, როგორიც დრო, თუ – პირიქით. მირეკვ-მორეკვები მხოლოდ. სამსახურში ორშაბათამდე არ მინდა გასვლა, თუმცა ხვალეო, კიტოვანს ვხვდებითო. დიდი მჭევრმეტყველია (?) და საინტერესო იქნება მოსმენა!

დღეს ბაზარში საშინელება. ხალხი დაზაფრული, საქონელი იყო: ქათმები ბლომად და სხვა. სახორცესაკენ არც გამიხედია. კვერცხი, ცალი, 12 მანეთი (ერთ მილიონამდე არ ასულა ჯერ).

კვერცხი მილიონი ღირდაო 1919-20-21 წლებშიო, ასანთი 1 მილიონი, ამას ბენიაც ადასტურებს. ბაბუაჩემი მომცემდა ერთ მილიონს და მეიტანე ერთი სპიჩკაო.

იქითკენ მივდივართ...

გლეხმა (დასავლეთში განსაკუთრებით) მოიწია წლის სარჩო. გაყიდვას არ იჩქარის, შეშინებულია და ინახავს მოსავალს. სიმინდს შეინახავს გაზაფხულამდე, თუ შეხედა, მშვიდობაა, გამოიტანს, გაყიდის...

ჩემიანები კარგად არიან.

დანარჩენი ძველებურად:

მოლოდინი და შიში არის...

21 X 92 წ.

* * *

დენ სიაო პინი რამდენი წლისაა? ახლავე ვნახავ. 88 წლისა. უფრო ხნიერიც კი ჩანს. ეტყობა, ჭკვიანია მართლაც. კატის ფერს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, თაგვი დაიჭიროსო, ებრძანებინა. მთავარია, ვიყოთო და ამას ახერხებენ; ინარჩუნებენ სახელმწიფოს, როგორიც შექმნეს, როგორიც მანამდე ჩაიბარეს — ისეთს... სანამდის შეძლებენ, როდემდე მოახერხებენ. იქაც გარდაუვალია ქაოსი. იქაც აიშლებიან სულ მალე...

პროლეტარიატის დიქტატურა: უმრავლესობას უნდა ებატონა უმცირესობაზე... ადრე იყო — პირიქით. შეაბრუნეს და იოლადაც აასრულეს. უმრავლესობა ამას ისედაც გააკეთებდა, როცა საშუალება და უფლება ექნებოდა. ლენინმა დააჩქარა ეს პროცესი და საკითხიც იოლად გადაწყვიტა: გაანადგურა ფიზიკურად, განდევნა. დარჩა უმრავლესობა. გამოირკვა, რომ ეს უფრო ძნელი მოსავლელია. რა უნდა ექნა? მეფეს ვეღარ დაიბრუნებდა. მონარქიას ვეღარ აღადგენდა, არადა სწორედ მონარქიას მოუღო ბოლო იოლად. ეს გაითვალისწინა, გაითვალისწინეს და შექმნეს სასტიკი ფორმა მმართველობისა. ეს მისია ერგო სტალინს: ძირითადი მექანიზმი მართვისა მან გამოიმუშავა: შიში, ხვრეტა, ციხე, რეპრესია, დათრგუნვა მასისა... III ეტაპი: შევინარჩუნოთ, რაც არი (სუსლოვი), არ გავარყიოთ,

არ გავანძრიოთ... თუ გავარყიეთ, თუ შევქანდით, დავინგრევით (ჩინეთია ახლა ამ დღეში): მოვიდა გორბაჩოვი, მისი ჭკუის რამდენიმე პოლიტკონსტრუქტორი და დაიწყეს სახელმწიფოს „გადემოკრატულება“, გაკულტურება, გაევროპულება და როგორც მოსალოდნელი იყო, თავზე დაემთხვლათ ყველაფერი. ამას არც ელოდნენ, არადა ეს პროცესი გრძელდება, უნდათ და ველარ აჩერებენ... დიდ როლს თამაშობს ერთი (ელცინი) კაცი. ეს აღარაა სიჯიუტე ან ახირება; იგი ველარ ჩერდება და აწვება იქით, საითაც გაუტია თავდაპირველად. თუ ელცინი დროზე ადრე მოიშორეს (საბედნიეროდ, ეგ არ მოხდება), დაიწყება უკუ პროცესები, რესტავრაციის ცდები და როგორ განვითარდება შემდეგ მოვლენები, ძნელი წარმოსადგენია...

რა შეიძლება მაინც, დღეს მოხდეს საინტერესო? დღე წინ გვიდევს!

ახლა ნაშუაღამევია.

23. X. 92 წ.

* * *

დღეს 27-ია. ორშაბათი. დღე ისევ მოჟამული.

შარშან რა მშვენიერი ოქტომბერი იყო! ყოველი დღე მახსოვს. საავადმყოფოში გავატარე ეგ თვე. საერთოდაც, ყოველი წლის ყველა დრო მახსოვს თითქმის, შემიძლია გახსენება, იმ ზამთარს, იმ ზაფხულს ასეთი და ასეთი ამინდი იდგა-მეთქი. აღნუსხულიც მაქვს წერილობით 70-იანი წლების ბოლოდან. გუშინწინ მიწისძვრა იყო. შეშინებულმა გულისძგერით გავიღვიძე, შუა კარი ძაგძაგებდა და რაწკუნებდა. რა ხდებოდა, ვერაფრით მივხვდი გამოფხიზლებამდე. შიში კი ძალიან ამყვა: ეს იყო სუფთა ცხოველური, ფიზიოლოგიური შიში.

გუშინ „ერთობა“ შეიკრიბა, ხვალ – განმეორებით. დღეს შევარდნაძესთან გვქონდა შეხვედრა. მივედით ნახირივით. შემოვიდა, ტაში, ფეხზე ადგომა. სტალინია თუ ვინაა-მეთქი, წა-

მოვიძახე და შემდეგ მეც ავდექი, რათა ერთადერთად არ დავრჩენილიყავ და უზრდელობა არ დაეწამებინათ. გამოვიდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა მიულოცეს წინასწარ. ამით შეიძლება ჩვენი საქციელის გამართლება მხოლოდ. „ძველი გვარდია“ აქტიურობდა...

ჰონორარების საკითხი უნდა გადასინჯოს მთავრობამ (ვინ თქვა, აღარ მახსოვს). გადაწყვიტე შენ-მეთქი, გავიფიქრე. ველარ გაიგეს, რომ ყველაფერი მათი გადასაწყვეტია. ისევ მთავრობისაკენ, ცეკასკენ იხედებიან.

გადაწყვიტონ, მოგვცეს, გვასწავლოს, გვასვას-გვაჭამოს და ასე ამნაირად.

სამსახურში გავედი. რამდენიმე დღეში, შეიძლება ზეგაც, პარლამენტი შეიკრიბება და გაირკვევა, რა საქმიანობაში მექნება თავი გაყოფილი. იქაც, აქაც... სხვანაირად არ გამოვა. მთლიანად იქ (რიგით წევრად) თუ აქ, სადაც ვარ? ერთი ორგანოც არჩევითია, მეორეც, ადგილის დამკარგავმა კაცმა რაღა უნდა ჰქნას?! პურიც გაძვირდება ამ დღეებში...

27. X. 92 წ.

* * *

31 ოქტომბერი, მშვენიერი დღე შემოდგომისა (როგორც იქნა!). ვიყავით საგურამოში. გურამიშვილის – 200. სუფრა გვარიანი. გამგებელი – გელა მიჭელაშვილი, ჯ. პატიაშვილიც – სამასპინძლოდან. ხვალ კასპი – ლამისყანა. სიტუაცია იგივე იქნება ალბათ. სიტყვაც უნდა მოვიფიქრო დილისათვის. თუ ამინდიც ამნაირი დაგვესწრო, კაი!

გამზადებული ვარ საბეჭდავად. დრო სადღა გამოვნახო... ზოგიერთს, ნახევარს მაინც, არც გადავბეჭდავ, არ შემიძლია. ერთ გვერდზე ერთი წინადადება რომ გავასწორო, ერთი სიტყვა მაინც რომ შევასწორო, კმაყოფილი დავრჩები. ამიტომ უნდა გადაიბეჭდოს. ანკეტა მაქვს შესავსები ჯ. ჩარკვიანი-

სათვის, ირაკლიზე!(?) (იძულებით). შემიპირა რ. მიშველაძემ. წვრილ-წვრილი ნოველები, საერთო სათაურით – „გახსენებები“, „ლიტერატურული საქართველოსთვის“ მჭირდება. პარლამენტი როდის დაიწყება, არ ვიცი. ჩაფიქრებულია მესხეთი – ეს იმ კვირაში, იმის შემდეგ (14.XI) – ვანი. გალაკტიონის იუბილე სახათაბალოა. სიტუაცია როგორი იქნება საქართველოში, იმის მიხედვით გადაწყდება. ცალი ყური ახლა ტელევიზორისკენ მაქვს. ინგუშებმა და ოსებმა დასცხეს ერთმანეთს. ის ცოტას გვიშველავათებს, ელცინმაც თუ გაიმარჯვა, არა გვიჭირს რა! ბუშის საქმეებიც გამოსწორდა რამდენადმე. ესეც ჩვენი სატირალი გახდა!

„მსოფლიო, მრავალი ნგრევის მოწამე გავხდებით!“

31 ოქტომბერი, 1992 წ.

* * *

დღეს ჩატარდა პარლამენტის პირველი სხდომა!

საინტერესო გასართობი და მაინც ძნელი გასაძლები იქნება, ჩემთვის კი შეუძლებელიცაა აქ ჯდომა. ვიჯექ და თავის დაღწევაზე ვფიქრობდი. მაინც დროზე მივალ ხვალ, რათა, იქნებ, ჩემი ხმაც წაადგეს შევარდნაძეს... იბრძვიან უკვე წვრილ-წვრილი ოპოზიციონერები კმაყოფილი სახეებით. რამდენი გველია შემომძვრალი!

აირჩიეს ამერიკაში კლინტონი. უკვე ცუდ ხასიათზე დამდგარი შევედი სესიაზე... უბედურება იქნება ეს არარაობა – კლინტონი, ცოლი უფრო ჭკვიანიაო (?), განაცხადეს. იქნება კიდეც. შესახედავადაც, სხვაზე არაფერს ვამბობ, კარგი ქალია... მგონია, კლინტონი ერთი გორბაჩოვ-ელცინთაგანია, ბუნებისაგან მოვლინებული; ამერიკაც ხომ უნდა დაანგრიოს და დაშალოს ვინმემ! ეს პროცესიც გარდაუვალი მგონია. კლინტონის არჩევა კი ტრაგედია იქნება, რატომა ვარ ასე დარწმუნებული, არ ვიცი, ასეთი უსიამო ფიზიონომიის ადამიანი არ მინახია. თითქო

ლამაზია კიდეც. მე თვალს ვერ ვუსწორებ ტელევიზორშიც, უხსენებელს რომ თვალს აარიდებენ, ისე ვიქცევი, ძმათაგანი ხომ არ არის-მეთქი ჩვენი უხსენებლის, დუდაევის, ხუსეინის, არძინბასი. არა მგონია... ეს უფრო დაბალი რანგის დებილი ჩანს. ეს დღე ამერიკის შეერთებული სახელმწიფოს ტრაგედია მგონია.

გასვლები გვაქვს (მწ. კავშირიდან) ამ შაბათ-კვირას (ასპინძა-ბათუმი), მომავალ შაბათ-კვირას — ვანი, გალაკტიონი. დრო სადაა მერე?! წანწალში დრო მიდის, — ფიქრშიცა... (!) სიტყვა ხომ უნდა მოვიფიქრო, ან იქ სათქმელი, ან აქ გამოსადეგი. „კუდიან ვარსკვლავს“ ვინღა გადაბეჭდავს?!

4. XI. 92 წ.

* * *

7 ნოემბერია. მშვიდობაა.

ღამეა, ნამეტანი გვიანი. გუბაზი ხატავს, მე ვწერ, თავისთავად ცხადია.

ჩავედით ნაღვარევში თ. ბექიშვილის 40-ზე. სუფრა ძვირფასი, როგორ გააწყვეს ამხელა პურმარილი, საოცარია! ორ იმნაირ ხაჭაპურს ვერ შემოვიტან შინ ყოველ კვირა. გავაცდინე სესია. ჩამოვედით ღამით, 7 სრულდებოდა. ვინღა იქნება იქ-მეთქი, შაბათი დღეა. ავედი, ბავშვები ვნახე. ტელევიზორი... სხდომა გრძელდებოდა. სიგუამდე მივიდა საქმე და წადიო, მთხოვეს ჩემიანებმა... უჩემოდაც აირჩევენ-მეთქი... იქ კი თანდათან დაიძაბა სიტუაცია და როცა ნაშუაღამევს იგი (სიგუა) მართლა არ აირჩიეს და შევარდნაძემ ხელახლა კენჭისყრა დათქვა, მამუკას მივაყვანინე თავი... მისვლამდე სხვა გადაწყვეტილება მიულიათ. ხვალ იყაროს კენჭი ხელახლაო. კაცი ფეხს არ იცვლიდა მაინც. იყო კამათი და დედ-მამის გინება; ჯგუფი — აქეთ, ჯგუფი — იქით, კაბინეტებიდან ყაყანი, — ერთის კაბინეტიდან, მეორესგან, მესამესგან... ჯაბას ყვირილი ისმოდა საიდანღაც. ელდარს

წამოვყევი უკან, როგორც ყოველთვის, ხვალ – ისევ სესიაზე, ზეგ დასვენება უნდა იყოს. ბათუმშიც აპირებენ გაფრენას, მე უარს ვიტყვი!

XI. 92 წ.

* * *

ბათუმი არ შედგა, ვანი ძალაშია.

შაბათს უნდა გავემგზავროთ „გალაკტიონობაზე". სამშაბათს – ოპერის თეატრში. სიტყვა მაქვს დასაწერი, უნდა გადავდო ერთი საღამო. სესია კი გრძელდება, მშვიდობას კარგი პირი ვერ უჩანს, ისლამი ამუშავდა. ერთმანეთი თუ არ დაჭამეს, უბედურებას შეამთხვევენ პლანეტას. მსოფლიო კი აშკარად შეიშალა, მსოფლიო ომია, ფაქტიურად, დაწყებული. ეგრეა ვითომ? რაღაც ფარცაგი რამაა ჩვენს თავსო, რომ იტყვიან – ისეა. შიში და უიმედობა. ჩემიანების ჯავრი რომ არა, გადავიხვეწებოდი ქუთაისში. ზამთარში ბუხართან. შეშა მაქვს სამყოფი, ღვთის მადლით, მომავალი ზამთრისთვის სხვას ვიშოვნი ცხენის საზიდრით (შემოვა ეგ ცხენებიც) გამოვზიდავ ხმელ როკებს საღორიიდან, ბოლო-ბოლო. სესიაზე ვერთობი, თავსაც არ ვიკლავ, შევდივარ, გამოვდივარ, მაგრამ საქმეს, ნამდვილ საქმეს ვცდები. რა გინდაო, ჩამციებია ზოგიერთი, მანდ რა გინდა, ფანჯიკიძის მოადგილეობა რად გინდა და სხვა. ქუთაისში რას დადიხარ, რას ეწვალებიო, კაცი არ დაინტერესებულა...

12 ნოემბერი, 1992 წ.

* * *

გაზეთში (ყოფილ „კომუნისტში): რადიო „თავისუფლებას" განუცხადებია:

„... ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, ამა და ამ ტალღაზე, ამა და ამ დროსო და სხვა. გასაშტერებელი ამბა-

ვია. ამის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო ორიოდე წლის წინ. აღრიცხვაზე ჰყავდათ, ეჭვიც არ მეპარება, მსმენელები სუკში. მეზობლის ეშინოდათ, მოსმენაც ჭირდა, ახშობდნენ, უამრავ ფულს ხარჯავდნენ ამისათვის.

ერთხელ ცოლი გამიბრაზდა და მითხრა: ვიცი, რასაც ისმენ ღამღამობით და გავაცხადებო. ამას თავის დღეში არ ჩაიდენდა და მაინც წამომაძახა. სიბრაზეში ემართებოდა ამნაირი რამ ზოგჯერ. ერთს, ჩვენს ნაცნობს, ნახევარმწერალს, საკუთარმა ცოლმა მართლაც უჩივლა პარტკომში – უსმენსო, რუსის ქალი იყო და არ გაგვკვირვებია...

პირველად „გოლოს ამერიკას“ ზეროს სახლში მოვუსმინე რადიომიმღებ „ბალტიკიდან“, საშინელ ხრიალში ბერიას სახელი გავიგონე რამდენჯერმე (სტალინი ცოცხალია) და გული ამიძგერდა. კრემლის ხროვაო. რა თქვეს? ვიკითხე. ყურს არ დავუჯერე... კრემლის ხრფოვაო. გადმომათარგმნინა „გონჩამ“ (გოჩელაშვილი), რუსული სკოლელი იყო... ახლა გეხვეწებიან – მოისმინეო. ვინღა ისმენს!

შეშლილი სახე ჰქონდა დღეს შევარდნაძეს სესიაზე. სოხუმიდან დაძმარებული ჩამოვიდა. გაბოროტებულია უკვე სრული, ძალაუფლების აღება სურს (აუცილებელიცაა); კიტოვანი უშლის ხელს და როგორ მოიშოროს, იმაზე ფიქრობს და ნერვიულობს ალბათ. ერთად გამოვიდნენ, როგორც მივხვდი, კაბინეტიდან, ერთი პრეზიდიუმში დაჯდა, მეორე – ჩვენთან...

ერთი მებრძოლი დახვრიტესო (ჩვენიანი ჩვენიანებმა), განაცხადა... სისხლის გემო გასინჯული აქვს და საშიში ხდება. სხვანაირად წესრიგს ვერ დაამყარებს, – ან დაამყარებს, ან დაიღუპება და შემდეგ სხვები მოუვლიან, სხვა ქართველის ხელით გვასწავლიან ჭკუას. ასე იყო, ასე იქნება. შევინარჩუნებთ თავისუფლებას? სადა გვაქვს, რომ შევინარჩუნოთ! მოვიპოვებთ? სამშვილიანი ქართველი ქალი იჯდა და ტიროდა შე-

მოსასვლელში. სამივე ბავშვს ეძინა სიცივეში, სითბოში მაინც შეიყვანეთ-მეთქი! სითბოში კი არა, წყალი არ დაალევინესო. ლიმონათი მოიტანა ვიღაცამ ორი ბოთლი. ფული მივეცი, რაც მქონდა. ცოტა დავიტოვე. სხვის დასანახავად რატომ გავაკეთე-მეთქი, თავს გავუჯავრდი გუნებაში. შემდეგ გამახსენდა, სხვის სამაგალითოდ ჩავიდინე, სხვაც მიცემს-მეთქი, ეს ვიანგარიშე. ასეც მოხდა. მძიმე სურათი იყო ჩემთვის. პატარა ბიჭის — გაჭირვებულის ყურება არ შემიძლია. ჩემები მახსენდებიან... ერთს დედის კალთაში ეძინა, ორს სკამლოგინზე — თავშექცევით. რა გვეშველება!

შევარდნაძე კლინტონს ელაპარაკა...

კმაყოფილი იყო, კარგად შემხვდაო.

12. XI. 92 წ.

* * *

15 ნოემბერი. კვირა.

გუშინ ვანში — გალაკტიონი 100. ჭყვიშში ზეიმივით. სუფრა სულორში. ქუთაისში წავედი ღამით წივწივაძის მანქანით. ღამე შინ გავათიე. ნუგზარი იქ დამიხვდა. საღორიაზე დავუხვდით (მე, ნუგზარი, ირაკლი, მარღია) მეორე დილით ჩვენს „იკარუსს“ და დაღამებულს ჩამოვბრუნდით თბილისში. გუშინ მზე, მშვენიერი ამინდი, დღეს ღრუბლიანია, მაგრამ საოცარი სითბოა. გუშინ იქ წელზევით შიშველი გამოველ ეზოში. შორს დათოვლილი მთები ჩანდა მესხეთ-ჯავახეთისა... სიტყვის თქმას ვაპირებ ზეგ. პატარა წერილი მაქვს დასაწერი, მეზარება, ვაჯანჯლებ, მეძინება კიდეც. ტელევიზორმა შემიყოლია. გზამაც დამღალა ალბათ, კარგს მაინც ვერაფერს გაიგებ და მაინც მივჩერებივარ ეკრანს, „მაცნე“ (მსგეფსი), შემდეგ „საღამო მშვიდობისა“ დაიწყო და გაიწელა...

15. XI. 92 წ.

* * *

დღეს ჩავატარეთ გალაკტიონის 100 ოპერაში. ხალხი მოვიდა, გვისმინა, საზეიმო ნაწილზე, იგი მოსაწყენი გამოვიდა, არ დარჩა, ვთქვი სიტყვა, წავიკითხე, უფრო სწორად, ჩასასწორებელ-გადასაბეჭდია. კარგი გამოვიდასავით. არაა დაბეჭდვა აუცილებელი, მითუმეტეს — საჩქარო. ბათუმი აქვს აჩემებული ფანჯიკიძეს. არ მინდა წასვლა. გუბაზი გამოფენას ხსნის და უნდა დავრჩე აუცილებლად.

გუშინ ვიღაც რეკავს ზარს კარზე, დაჟინებით. სიტყვას ვწერდი, გამთენიისხანს ჩამეძინა და ძლივს წამოვწიე თავი. ვხედავ, ქალია ვიღაც. ვიცანი, ორჯერ მყავდა ნანახი ტელევიზორით. ვეკითხები: დოდონა ხარ, კიზირია? — მე ვარო — საჩხუბრად მოსულიყო. რანაირი ბრძოლის უნარი აქვთ ამნაირ ქალებს?! გამაოცა! ვილაპარაკეთ, დამშვიდდა. ვატყობ, კვლავ შევხვდებით... ალბათ აქ და არა ამერიკაში. გივის ამბავი ვკითხე, ცოცხალია თუ არა-მეთქი? არ ვიციო, მხოლოდ ერთხელ დამირეკაო...

17. XI. 92 წ.
1992 წ.

* * *

ჭაბუას ვაჟი დაღუპულა აფხაზეთში. შევარდნაძე გაიყვანეს სხდომიდან. ატყდა ჩოჩქოლი, რა ხდებაო. რაც უცნაურია, დღეს გამხდარა ჭაბუა 71 წლისა. მიულოცეს ოფიციალურად და ეს ამბავიც მოვიდაო... დამთავრდა სხდომა, ყველა თვალს არიდებს, არავინ ეკარება... საშინელი სიტუაცია შეიქმნა. შემეფეთა გასვლისას. მოვერიდე. შორიდან დამიძახა, მანქანასთან იდგა, ხომ არ მოდიხარო. ელდარს ველოდები-მეთქი. თენგიზ ბუაჩიძე ჩაუჯდა მხოლოდ. არც ის ეტყოდა. ცხედარსაც არ იძლევიანო. ორი ამხანაგი გადასულა მოსალაპარაკებლად, ისინიც ჩახოცესო...

ძალიან შემეცოდა ჭაბუა. საიდან არ გამოძვრა, რას არ გადაურჩა, კიბოს ჩათვლით და ბოლოს ეს დაემართა. ვიღუპებით და ეგ არის! ბათუმში ისევ ვერ წავედი... ისინიც არ უნდა გაემგზავრნონ, წესით...

18. XI. 92 წ.

* * *

გუბაზმა გამართა დღეს გამოფენა, რომელიც, ჩვენი წინაპრები რომ იტყოდნენ, გულითადობის ატმოსფეროში ჩატარდა. იყვნენ ახალგაზრდები, თვალტანადები; ზოგიერთი ჩემიანიც მოვიდა, თუმც საგანგებოდ არავინ გამიფრთხილებია. პირველი ნაბიჯი გადადგა თამამად და აწი თვითონ იცის. ამბობდნენ: დედამისი რომ ცოცხალი ყოფილიყოო... ეგ მართალია. ეს იყო იმისი ოცნება. სულ ამნაირ დღეს ელოდა. მოვიდა მასწავლებელი ჩლაიძე, ვინც მისაღები გამოცდებისთვის ამზადებდა. იმ კაცმაც დედამისი გაიხსენა: როგორ და რანაირად იყო მონდომებულიო... ის დღეები ნათლად და გარკვევით მახსოვს. პირველ წელიწადს ვერ მოეწყო... შემდეგ მოვაწყვეთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როდის იყო ეგ? წელი ზუსტად არ მახსოვს.

სესია...

თითქო უცხო სამყაროში ვარ მოხვედრილი. შთაბეჭდილება რომ შევქმნა: ვითომ მეც ვმუშაობ? რა გამოვა? ეგეც შეუძლებელია, ჩემს ძალებს აღემატება. ასაკის ბრალიცაა...

აღარაა მწერლობა, მწერლობის რიდი და სიყვარული. ადრე სხვანაირად იყო. იყო პარტიული ფენა და ინტელიგენცია: მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, არტისტები, მუსიკოსები, სხვები და სხვები. ისინი – ცალკე, ჩვენ – ცალკე, მაგრამ შიში, რიდი, პატივისცემა... ვჭირდებოდით კიდეც, ფულთან და სხვა ატრიბუტებთან ერთად... ფული, უფლება, თანამდებობა – ერთ

მხარეს, სახელი – მეორე მხარეს. ეს ზღვარი უკვე წაშლილია. სახელიც პარტიულ კარიერისტებს დარჩათ. ხალხიც მათ უფრო იცნობს. ტელევიზიაც მათ ემსახურება ფაქტიურად. მიტინგები, სესიები... წიგნს აღარავინ კითხულობს, თეატრში აღარავინ დადის, კინოს აღარავინ ეხარბება... დარჩათ ბურთი და მოედანი. აწი ფულის გამატერიალურებაზე, სახელის განვითარებაზე, რეალიზაციაზე დაიწყებენ ზრუნვას, მწერლები ქაღალდის ფულზე, კუპიურაზე დასახატავად თუღა დაჭირდებათ...

შეუკვეთიათ ქართული ფული. ყველაზე მსხვილ კუპიურას ახატია რუსთაველიო, შემდეგ: ჭავჭავაძე, აკაკი, თუ ჭკვიანად იქნებით – ვაჟა-ფშაველაცაო. რუბიმ რომ ოსვალდი (კენედის მკვლელი) გაასაღა, თავი პრეზიდენტების სიყვარულით გაიმართლა. ამერიკის პრეზიდენტის მკვლელს ცოცხალს ვერ დავტოვებდიო. დაკითხეს დაი რუბისი, მართლა ასე უყვარდა თქვენს ძმას პრეზიდენტებიო? ძალიან, მხოლოდ დოლარებზე დახატულიო...

ქართულ ფულს კი დავარქვით ლარიო, რუსთაველს აქვს ნახმარი და აქედანაა სალარო, მოლარე და სხვა, აგვიხსნა სიგუამ. ამ საქმეშიც ერკვევა, სხვებზე, რომლებმაც ყველაფერი იციან (მაგ. კოტე გაბაშვილმა), აღარც კია ლაპარაკი. ჭაბუა აღარ გამოჩენილა, ანზორთან დავრეკე, წავიდაო (ჭაბუასთან), ცოლმა, გუშინწინ უნდა ენახა და დღეს დაძრულა. ჯანსუღს ვკითხე: თუ იყავი-მეთქი (ამნაირები არ ეშლება): არა, ტო, რა აზრი აქვს?!

არადა, ერთად გადეპუტატდნენ, ერთად სხედან პარლამენტში... გულგრილობა? სხვისი სატკივარი სხვას აღარ ტკივა!

დრო მოვიდა ამნაირი. ველარავის გაამტყუნებ.

ზამთარიც გვიახლოვდება. იწურება შიშის წელიწადი...

20 ნოემბერი, 92 წ.

* * *

გამომიარა მ. ლებანიძემ და წამიყვანა სუფრაზე, რაჭველებს რომ გაემართათ მის საპატივცემულოდ, — სამთო ქიმიის შენობის ქვედა სართულში (დიდუბე); ჩემთან ერთად წამოიყვანა თ. კვაჭანტირაძე; იქ დაგვიხვდნენ: თ. წივწივაძე, გ. ხარაბაძე, გ. გვერდწითელი, ვ. ჯავახაძე; შემოგვემატნენ: ე. მაღრაძე, ჯ. ღვინჯილია (ვიღაც მავიწყდება), ჯ. ჩარკვიანი შინ არ დაგვიხვდა, მასპინძლები, მომღერლები, სხვებიცა...

ადრე ავდექით: თამაზი, გოგია და მე წავედით მ. კახიძის ბავშვის პანაშვიდზე, იქედან უკვე, ჩემიანებთან ერთად, მზახლის — ნანას დედის სამძიმარზე.

დღეს ოფიციალურად გააცხადეს ირაკლი ამირეჯიბის დაღუპვა...(!)

გოგიას ვეკითხებოდი: სიძეს შეურიგდი თუ არა-მეთქი? პასუხს აარიდა თავი და შინ მიველ თუ არა, მისი სიძეც — დიტო ჩხოლარია — გამოცხადდა მამუკასთან. კარგი ყმაწვილი ჩანს. ერთხელ იყო უკვე ომში და კიდევ აპირებს წასვლას. მიდიან და მოდიან... დღეს 100 ყმაწვილი გაემგზავრა ყარყარაშვილის რაზმიდანო. იმათზე ადრე — იმდენივე. კიდევ არიან წასასვლელნიო. ამიერკავკასიის ჯარების სარდლობა იმუქრება პარლამენტის მისამართით. სულ იმ სულელი წერეთლის გამოსვლის შედეგია. იდიოტია ნაღდად.

ბავშვები მეცოდებიან: როგორ დაიზრდებიან ამ სიბინძურეში?

ლობიო მოვხარშე, ვკმაზავ და ჩემი ხმა მესმის. რა ხდება, ვიფიქრე. ტელევიზორში ვლაპარაკობ... სხვებიც გამოჩნდნენ და მივხვდი, ძველ ჩანაწერს გადმოცემდნენ.

ხვალ თუ ზეგ, ზეგ, ორშაბათს, გიორგობაა. სოფ. ჯვარისას კომუნისტების დროსაც ზეიმობდნენ, მარტში თუ აპრილის ბოლოს? მაისში — თუ არაფერი მეშლება. ღამე ჩავედით მე და ზერო დედულეთს. ბაბუაჩემის ოდაში ქეიფია. არეული იყო

სუფრა უკვე. გარეთ მთვარე, შიგნიდან ლამპების შუქი გამოდის... ნავთი იყო. 47 ან 48 წელია... ჭირდა ქეიფის გამართვა მაინც.

21. XI. 92 წ.

* * *

დილის რვა საათზე გამომაფხიზლა ტელეფონის ზარმა. წვერის გაპარსვა, ჩაცმა, ვარჯიში, ფეხზე წასაუზმება და გაფრინდა დრო, გახდა 10. დანიშვნები იწყებოდა დილიდანვე და მინდოდა, დავსწრებოდი პარლამენტს. ველოდი გუბაზს, მობრუნდება, მანქანით წამიყვანს-მეთქი. არ გამოჩნდა. ჩავედი ტროლეიბუსის გაჩერებამდე. ფოტოსურათები (საბუთებისათვის) მქონდა გამოსატანი (ზემელზე), ისიც უნდა მოვასწრო, ჩავითქვი და ცხადია, აღარ გადავიფიქრებდი. ტროლეიბუსი არ ჩანს, განვაგრძე გზა ზოოპარკის ბოლომდე. გავჩერდი, ჩამოდგა, ჩემგან შორს გაჩერდა განგებ. აღარ სურდა, მგზავრები აეყვანა. გავედევნე, შევედი მაინც, ნომრისათვის არ შემიხედია და გამაქანა სადგურისაკენ. ცირკთან ჩამოვალ-მეთქი, არ გააჩერა — ჩადის ვინმე? არავინო. ჩაუქროლა წვიმაში აბუზულ მოქალაქეებს... გავყევი სადგურამდე, მძღოლს ხურდა არ აღმოაჩნდა და შენიშვნა მომცა — უნდა იქონიოო. ჩავძვერი მეტროში, საშინელ ჯგლეთვაში შეველ ვაგონში, ზემელზე ამოსული გავბრუნდი მაინც ფოტოსახელოსნოსაკენ, რომელიც უფრო შორს აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. გამოვართვი ფერადი ფოტოები (ორი აქა მაქვს, დავაწერ დროს), შევედი „სენატში", როგორც იქნა და გამოცხადდა კიდეც შესვენება. პირველ საათზე კვლავ შევისვენოთ და ამირეჯიბის ვაჟის გასვენებაში წავიდეთო... რაღა მინდა აქ, ვფიქრობ. გამოველ ფეხით მწ. კავშირში. მერი დამიჯდა კაბინეტში, მაჩუქა ორი წიგნი, შემასახელა საპროტექციოდ. ორზე თ. გრძელიძის მანქანით მივედით გასვენებაში, წვიმდა. ხალ-

ხი ბევრი. თბილისის ახალ პანთეონში ჩაასვენეს ვეფხვივით კაცი, სველ სამარეში, წვიმაში; ჭაბუამ სათვალე გაიკეთა და ისე დახედა უკანასკნელად შვილს. მწუხარება აუწერელი. არ დამტოვოთო, გაგვაფრთხილა. ცოლის სამარეზე გაველ. მომეწონა ჩემი ნახელავი ქვები, ბალახი ამოსულიყო აქა-იქ. არავის აუკითხია, კარგა ხანია. ძნელი მისახვედრი არ იყო ეს. ხომ არ დავიწყებდი ბალახების თხრას სახალხოდ. წავედით ქელეხზე, ძლივს მივაგენით „დოკს" წერეთლის გამზირზე. სუფრა მშვიდი, ზომიერი, საკვები ყუათიანი. ნაცნობები, გედი ფეხზე იდგა. ვიუცხოე თავდაპირველად, შემდეგ – არა, ჭაბუას ნათესავები, მხეიძეები მრავლად. დაღამდა. ტარიელი პოკერის სათამაშოდ დარჩა ლორთქიასთან, მე ისევ პარლამენტში, ფანჯიკიძე, ბოლქვაძე – სახლებში.

ნანუკას დაბადების დღეა, გავიპარები, ფხიზელს მივუსწრებ – ვფიქრობ... ვერ მოვახერხე. მინისტრების დანიშვნაა... ცისკარიშვილი და კოღუაშვილი გაშავდნენ მხოლოდ. ცხრას აღარაფერი აკლდა, რომ გამოვედი ფეხით, ჩქარი სვლით. დაწყებულიყო ათი. მზახლის ეზოს მივადექი ვერაზე (ფასანაურის ქ.), არც მამუკას მანქანაა, არც გუბაზისა... მელოდნენ თურმე, მაგრამ აღარ აველ. ისევ ფეხით. ბახტრიონზე აღარ გაველ, ბავშვები დაძინებულნი დამიხვდებოდნენ და აზრი აღარ ჰქონდა. შინ დაღლილი, სველი. დავასვენე ფეხები. პალტოს ვაშრობ, ვსვამ ჩაის, ვწერ დღიურში, გამყავს დრო, ცალი ყური ტელევიზორისაკენ მაქვს. როდის გადავბეჭდავ ჩათქმულ (სულ ცოტა) 5 გვერდს?

უკვე 11 საათია.

24 ნოემბერი, 1992 წ.

* * *

ღამის 4 საათია. როდის გაიპარა დრო, ვერ გავიგე.

გადავბეჭდე და ვასწორებდი „კუდიან ვარსკვლავს". რაღაც-

რაღაცეები ამოვიღე, ამოსაღები სხვაცაა. იგი (კუდიანი ვარსკვლავი) ამორფული გამოვიდა, თუმც ეგ ხომ გათვალისწინებული იყო(?!), ტრაქტატი – ასე იყო ჩაფიქრებული... არ დავაწერ. რა გამოვიდა, არ ვიცი, მაგრამ უტრაქტატობა ჯობია. დღევანდელ განწყობილებას ამნაირი რამ შეეფერება. ცდა არ დამიკლია და მაინც არ უნდა მეჩქარა გამოქვეყნება... მოკლედ, რაცაა, ეგაა. ელდარი ფილმს ამთავრებს, არა მაქვს იმედი. ისიც ასე ანგარიშობს, შევატყვე.

ახლა რას ვშვრებით?

მონარჩენი უნდა გადაიბეჭდოს. „ბერინგი" მზადაა. რჩება იუმორზე რ. მიშველაძისათვის. შემდეგ – „გახსენებანი", გალაკტიონიც ჩავამატო? მგონი, არ ღირს ჯერ.

კინომოთხრობები გამოსაცემად!.. ერთი სული მაქვს, როდის მივუბრუნდები „ასკილის წითელ ყვავილს"... „უცნობი ქალის ჩანაწერები" და დავით კლდიაშვილზე... ხვალ მთავრდება ეს თვე და იწყება ზამთარი...

დოდო ჩამოსულა ბორჯომიდან, ხვალ მნახავს...

29, რაღა 29

30 ნოემბერია უკვე, 92 წ.

* * *

დეკემბერი მოვიდა წვიმით, უგემური, უყმური ამინდით. მზიანი მახსოვდა ყოველთვის... დღეს ქამარი გავაწყვე ბაბუაჩემისა... ქალების ასოციაციას იწვევს ბაბუაჩემი ვლადიმერი (დიმიტრიჩი) და ეს ქამარიც.

კარგი სიტყვა გამოვძებნე, საპარლამენტო, შესაფერისი. სასიტყველი (საბ.) – სალაპარაკო (17. 6. იობი), კათედრას შეიძლება დაერქვას სასიტყვე (ჩემის რწმენით). ქუთაისში მომიწიოს, შეიძლება, ჩასვლამ... გალაკტიონის საღამოს მართავენ 16-ში, თუ არ ჩამოთოვა და არ დაიქცა ქვეყანა – წავალთ...

2. XII. 92 წ.

* * *

აკვიატებას პერსევერაცია ჰქვია, თუ არ მეშლება.

„... ძვირფასო ჰექტორ, ომში წასვლა ნუ გეჩქარება,
ვინღა ასწავლის შენს პატარას ღმერთების პატივს,
ვინღა ასწავლის შვილდისა და ისრის ხმარებას“...

მახსენდება, არ მშორდება... მოთხრობა „ვწძთ“-ს მივამატე ბოლოში.

გუშინ „სტარიკები“ წავიდნენ ომში... რისთვის დაატაკეს ქართველ-აფხაზები? ომი ვინ წამოიწყო... იმ მძორმა?

აფხაზეთს „ცისფერი წუხილი“ დავარქვი. „კუდიანი ვარსკვლავი“ მოეწონათ ამ ჯერობაზე, შემდეგაც ასე იქნება...

ჩვენს სასადილოში ჩაველით კატლეტის საჭმელად. 5 ბოთლი „გარეჯი“ მოიტანა ოღიამ და ლევანთან ერთად გამოწრუპა კიდეც. ფეხით მოვედით სპორტის სასახლემდე... მოდიოდნენ და ფსამდნენ გზადაგზა, ერთმანეთს ასწრებდნენ მოფარებულ კუნჭულებში. რა დალიეს ამნაირი უბედური! ვიღაც კონიაკით მოწამლულა 2 კვირის წინ, ახლაც საავადმყოფოშიაო.

... ხეებს ჭრიან, გააქვთ... ტყეებს ანადგურებენ, აღარ ინდობენ აღარავის, არა – უსულოს, არა – სულიერს. უბედურება გვეწვია.

აწი რაღა ვქნათ?

4. XII. 92 წ.

* * *

ცალკე ამოვიღე იუმორი „კუდიანი ვარსკვლავიდან“, „კურუ“ დავარქვი, რ. მიშველაძისათვის გავაკეთე. დაიბეჭდება „ღიმილში“ და არკი დამავიწყდეს: „ავტოინსპექტორი წვძთ“, „ბერინგი“ „დროშაში“, ფანჯიკიძესაც მივეცი რაღაც სისულელე – ბაკურ ბუკისციხელი მოვაწერე; „ლიტ. საქართველოსთვის“ ვამზადებ – „გახსენებანი“, იმკვირია მოვრჩები. თ. კვაჭანტირაძემ მითხრა (ხომ არ ჩავიწერე, ნეტა?): რვა ტომი გამოგივაო. მაგდენი

არა-მეთქი. ვარიანტებითაო (ყველაფერი ახსოვს). ვარიანტებითა და კინოსცენარებით მეტიც გამოვა (თუმც ტომებს გააჩნია). ეს „ვარიანტები“ (დაბეჭდილები) მომასპობინა და არ მინდა მეტი არაფერი! გადალაგება-გადათვლა ჯერ ადრეა. კინომოთხრობებს გავამზადებ სასწრაფოდ. შემდეგ: რომანი, ნოველები და დავიწყებ ბოლოსდაბოლოს დ. ც.-ს.

მეტის აღარაფრის გაკეთება არ იქნება!

6. XII. 92 წ.

* * *

ჯანსულს უკან გამოვართვი მოთხრობა, ახალს დავპირდი და მოვუტან კიდეც ორშაბათს. წ. ვ. თ. ძ. გადავიკითხე, ხელახლა უნდა გადავბეჭდო. ღამის პირველია. შევაწუხებ, ვითომ, ვისმეს. დილით, იქნებ, ვერ მოვასწრო. 12-ზე სამსახურში უნდა ვიყო, გორის მუზეუმის გამგე მყავს დაბარებული. გორის უნივერმაღის შენობას ითხოვს, დღეს შემეჩეხა „მერანში“ და თავი უნდა მოვიწამლო, თუ არ გამოვიდაო.

რუსეთი აირია, პარლამენტი აიჭრა ჯერჯერობით. ეს საშიშია, ახლა ელცინი უნდა ვიჯავროთ, თითქო ჩვენი სატირალი არ გვყოფნიდა.

9. XII. 92 წ.

* * *

იმდენი ვიძახე — ვინღა ასწავლის შვილდისა და ისრის ხმარებას-მეთქი, რომ დავკარგე შვილდ-ისარი. მივეცი მიხო მორჩილაძეს, შვილდ-ისრები გვჭირდება ომში დივერსიულ ბატალიონსო, არასერიოზული მეჩვენა მაშინვე ეს განცხადება. ხელყუმბარებს დავამაგრებ ისრებზეო. წამოვიყვანე და გავუტანე. მე კმაყოფილი დავრჩი, მამუკამ კი საყვედური მითხრა, ექვსი წლისას ვუყიდე მართლაც, დაბადების დღეზე. შემდეგ უქმად გვეკიდა. ადრე ვისროდით, ვერთობოდით ქუთაისში, ოჯოლაში.

ვიყენებდი-მეთქი, ვერ ვიტყვი. თუ არ მომკლეს, ჩამოგიტანო. შენ კარგად იყავი-მეთქი, ამ ომის ვალი მოვიხადე, ასე მომეჩვენა. ახლა, თითქო, მენანება, უსულოსთანაც (ნივთთან) შეჩვევა-გაშინაურება ვიცი; ჩვენი ჭირი წაუღია, მშვიდობაში მოხმარებოდეს მიხოსაც. მაგრად იბრძვისო, სხვამ თქვა. მიდის იქით ისევ... მშვილდისრობა კი სასაცილოა, ეგ მართალია.

ბევრი საქმე მქონდა თითქო დღეს და ცოტა გავაკეთე. ნაომარ შენობაში ავიღე დღეს პირველი სადეპუტატო ხელფასი. ძველ პრეზიდიუმს (იმ ნაწილს) თითქო არც არაფერი ეტყობა შიგნიდან, არემონტებენ, მაგრამ ის ნაწილი ფუნქციონირებს მაინც. მუშაობენ, სხედან, რეკავენ. მენაპირე ნაწილში არ გავსულვარ.

გამოუშვიათ გაზეთი „ტორონჯი", მეგრულად. ცუდი ნიშანია. რაღაც სასიკეთო მაქვს ამ თემაზე ჩაფიქრებული. უნდა გადავდო სხვა საქმე და ჩემი იდეა (მეგრულ-ქართულის, ნაწილობრივ – სვანურის შერწყმის თაობაზე) უნდა წამოვჭრა.

დეკემბერია. უმზეო. არ ყინავს. ნუგზარის მზახალი (რძლის მამინაცვალი ვოვა კალატოზიშვილი) მოუკლავთ ოჩამჩირეში. „თეთრი არწივის" რაღაც... თხელი, ხიოჭი თბილისელი. ორჯერ შევხვდი სულ...

ქუთაისში ვარ წასასვლელი და მიხარია.

12. XII. 92 წ.

* * *

ქუთაისში წაველით: მ. ქვლივიძე, გ. ფანჯიკიძე ხოზეს მანქანითა, გუშინ.

ქუთაისში შემოგვიერთდა ფ. ხალვაში და ჩამოვბრუნდით დღეს. გუშინვე ჩავატარეთ გ. ტაბიძის 100.

უხალისობა. აპათია ხალხისა. სასმელ-საჭმელი ორი დღის სამყოფი იყო კი – საქართველო მძიმე დღეშია. ნამეტანი გართულდა ურთიერთობა რუსეთთან. რა მოხდება, არ ვიცით. უკე-

თესის პერსპექტივა არ ჩანს: წინ წყალი, უკან მეწყერი. ქალებმა, დედებმა, 20-21 წლისებმა მოკლეს ახალგაზრდა კაცი ტყავის „კურტკისათვის“. დანა გაუყარა ერთმა დედამ. აჭრილარეულია, გათახსირებულია ყველაფერი, საქართველო დაღუპვის კარზეა... ქუთაისში კაცს დაელაპარაკები კიდევ. იქ მეტი სითბოა. ვნახე ჩემიანები, ჩემები... მინდოდა დარჩენა, მაგრამ აქაურობასაც რომ ვერ ვტოვებ!..

17. XII. 92 წ.

უკან მოვდივართ, ფანჯიკიძე ზის წინ, უკან, მოკუჭულნი: ხალვაში, ქვლივიძე, ჭეიშვილი. ფანჯიკიძე თავმჯდომარეა მწ. კავშირისა და.

* * *

გვიანი ღამეა, უკვე 22-ია, წლისთავია საშინელი, შარშანდელი 22-ისა. წელიწადია, მწუხარება არ განელებულა. იღვრება კვლავ სისხლი, სინათლე არ ჩანს, რას მოგვიტანს მომავალი წელი? ცოტა უკეთესის იმედი კი მაქვს! რადიოში ჩავწერე საუბარი მიხოსთან, 5 წლის უკან შენით დაიწყო, ახლაც შენით მივულოცოთ ეს გადაცემაო...

სროლებია სადღაც...

წავიკითხე „შარავანდი“, „იყო და არა იყო რა“ დაურქმევია ფანჯიკიძეს ჩემი უსათაურო გახსენებისათვის. ახალი რამ მოვიფიქრე და როცა მიხომ (კოპალეიშვილი) დამირეკა სამსახურში, ის იდეა შევთავაზე. გავაკეთოთ რუბრიკა ყოველკვირეული – „იუმორის“ და მე წავიყვან-მეთქი. კარგიო, გაუხარდა. ამგვარი რამ ადრევე ჩავიფიქრეთ, მე მგონი, სხვა რედაქციაში, მაშინ ვერ მოვაბით თავი. ახლა იოლად შემიძლია ამის გაკეთება, ზეპირ მოთხრობებს, შიგადაშიგ დაწერილ-დაუბეჭდავებს გავურევ, წავიკითხავ, „ღიმილიდანაც“ გამოვიყენებ რაღაც-რაღაცეებს. ბევრ სასაცილოს ვიხსენებ და შევძლებ; ერთი წელი

(ნამეტანი არ მომივიდეს) ვიმყოფინებ ძველს და ახალს...

სუფრა გაშალა მუხათუბანში თ. გრძელიძემ... დაიჯინა უთოსპირი, რა მიხვედრა უნდა, ჩვენ ქე შევიქციეთ თავი. ელგუჯა (თამადა), თქვენი მონა-მორჩილი, ტარიელი, მასპინძელი, გ. გეგეჭკორი, ზ. კალანდია, მურმან ლებანიძე (დააგვიანდა და კინაღამ გამომრჩა)... რვა არ იყო, ავიშალენით, მე და ემზარი ფეხით წამოვემგზავრეთ... ბევრს დავდივარ, დილით ვვარჯიშობ, არც მთლად მსუბუქად და ბევრსაც ვჭამ ამ გაჭირვების ჟამს; ენერგიას ვხარჯავ და ვინახლაურებ, თხა გავყიდე, თხა ვიყიდეს პრინციპით. გახდომას ვერ ვახერხებ, თუმც სიმსუქნეც არავის შეუწამებია მაინცადამაინც. მე პატარა „გახსენება“ მაქვს გამზადებული, დასაწერი – მრავალი. იქნებ შევიკავო თავი და მთავარს(?) მივხედო!

22. XII. 92 წ.

* * *

ლეილასთან დავრეკე, სონია მოკვდაო, დაიბრიდა-მეთქი? ღმერთმა იცის, არ გამხარებია, რა საკადრისია! ცოტა სასაცილო კი მეჩვენა. ბენიას უთხრა 3 წლის წინ – უკვდავი არავინაა. მოკვდები და შენ გამასვენებ თუ რა გინდაო. გაბრაზებულა ბენია, ვინ ვისზე ადრე მოკვდება და წავა, არავინ იცისო და ე! (აქ ერთი ბგერააკლია, რომლის შესატყვისი აღარა გვაქვს). არ იყო კარგი ქალი, თავისთვის კარგი იყოო, ამასაც ვერ იტყვი. „უკვდავი“ კი მართლაც არავინაა!

დღეს თოვს თბილისში. გუშინ მზე იყო. გავიხედე ამ დილით და თოვს. თოვლი გვაკლდა სწორედ... შარშანამდროინდელს ვჯობივართ და მეტი – არა! ჩავატარეთ გურამიშვილის გარდაცვალებიდან 200 წლის აღსანიშნავი საღამო. რეზო ჯაფარიძემ მითხრა: კარგი გამოვიდაო, ტელევიზორით უყურა თუ ოპერაში იჯდა?

ვიღაცამ: შენი ნოველა მომეწონაო და სხვა. შევარდნაძემ

ბუტროს გალს წერილი გაუგზავნა (პარლამენტის წევრებს გაგვაცვნეს) — შემოიყვანეთ ჯარიო. სენსაციური განცხადებაა. ოფიციალურად ჯერ არ გავრცელებულა, რატომ — არ ვიცი...

24. XII. 92 წ.

* * *

სახლი გაუტეხიათ ქუთაისში — ზევით და ქვევით... „დამცავი მექანიზმის“ არქონა, სიღარიბე. იციან, არაფერი გვაქვსთქვა... ამანაც აღარ გაჭრა; გაქვს, არ გაქვს, უკვე სულერთია, იპარავს, ტეხავს დიდი და პატარა, ძაღლი და მამაძაღლი. გ. გეგეჭკორიც (სოფ. მეტეხი) გაუფცქვნიათ: ცარიელი და სავსე ბოცები, ქვიჯა-ქვასანაყი (ფილთაქვა), სარჩო წაუღიათ. ჩემთან რა დატოვეს ნეტავ? არაფერია წაღებულიო, ლამარას ეთქვა, რა იცის ლამარამ, რას მიხვდებოდა, საწოლი ან მაგიდა არის, ალბათ, ქვეშაგებსაც არ წაიღებდნენ(?).

პარლამენტში კი იარაღის დაკანონებაზეა ლაპარაკი. თავს დაიცავ თითქო. სისულელეა. უნდა ვთქვა რაღაც...

ახალი წელი მოდის. ხვალ ამ წლის ბოლო დღეა.

კორექტურა გავაკეთე ოთხი მოგონება-ჩანახატისა სტამბაში, პარასკევს („ლიტ. გაზეთში“) იქნება...

30. XII. 92 წ.

* * *

ერთ საათში ჩამოდგება 1993. ჩემთვის ნიშანდობლივი თარიღია. დავიბადე 1933-ში, 1943 — ომი, არც იქით, არც აქეთ, 53-ში სტალინი დაიბრიდა. 63-ში გავხდი ოცდაათის. მოსკოვში, 73-ში — 40, ორმოცდაათი წელი გადავიხადე 83-ში და ასე შემდეგ. 60-ც მიახლოვდება. 1973-ში ევროპაში ვიყავით, ყოველი ათვლის სამი (3) კარგად მაქვს დაცდილი, გამონაკლისს არ ველი.

ველაპარაკე ქუთაისს, თოვლიაო დიდი. მინდა იქ ყოფნა ცეცხლთან, ტელევიზორთან, როგორღა მოვახერხებ? ორ-

კვირიანი დროც აღარ მრჩება. ოთხი ჩანახატი გამოქვეყნდება ხვალ „ლიტ. საქართველოში“, ჩანახატები თუ ნოველები. ახალი ფორმა – ბიოგრაფიულ-დოკუმენტალური – რაღაც-ური გამოვიმუშავე, ვბეჭდავ შიგადაშიგ. დაიწყო „მაგრამრუმ“-დან... ვალები, ლიტერატურული, აღარა მაქვს, აღარსად მეჩქარება, არც არავინ მაჩქარებს და მიჩქარის, ჩაფიქრებული მაქვს ქართული ლექსიკის (კუთხურით) მეგრულით გამდიდრება, სადისკუსიოდ მინდა გავიტანო. პარლამენტში არდადეგებია...

აქ ჩამთვლიმა...

31. XII. 92 წ.

* * *

შარშანდელი წელი „კუდიან ვარსკვლავს“ მოვანდომე ფაქტიურად. 7 ნოველისებური (ჩაბარებულია), პატარ-პატარა სიტყვები, მისალმებები... მეტი არა გამიკეთებია-რა. სამაგიეროდ კუდები (ცოტა) და სხვა (უმნიშვნელო) – იუმორი „ღიმილში“, „ბერინგი“ – „დროშაში“) – არ გამომყოლია, ვალები გასტუმრებულია. „უცნობი ქალის ჩანაწერები“ დაწყებულად არ მეთვლება – ერთი გვერდი, ცოტა მეტი... მეძინება, ვთვლემ... პირველს გადაცილებულია, ჩვენ კი არ გვეძინება.

1. I. 93 წ.

* * *

1993-ია. 2. ბედობა. სიმშრალე, ყინვა, სიმშვიდე შედარებით, ახალ წელს შევეგებენით: ჩვენ, ბენია, ლეილა, მიშიკო... დამირეკეს და გუშინ, პირველში, სულიკო ჟღენტთან გადავედი. მე, ოღია, სულიკო და შინაურები. ძველი ძმობა, კინოსტუდია გავიხსენეთ. შემდეგ მზახალთან. ბიჭები დარჩნენ. მანამდე გატიალებული დოჩანაშვილი. შინ მოვიყვანე, კიდევ კარგი.

სადგურის მეტროში, საბურთალოს ხაზზე, ბეღურები დასადგურებულან. მეტროში ბეღურები. 31-ში ქალს ბატი მოყავდა.

რაღაც უცნაური, საშინელი ხმა ისმოდა. ბატია მეტროში, პირველადაა(?) და ყვირისო, – ამიხსნა ვიღაცამ.

დღეს გავიარე, „ლიტ. საქართველო“ ვიყიდე სპორტის სასახლესთან. ბოლოქანქალა ჩიტები ადამიანებს არ უფრთხოდნენ. მხოლოდ რიყეზე მინახავან, ქვატ-იებს ვეძახოდით, შეიძლება, სხვა ჩიტებია მოფრენილი, ჭრელი ქვის ფერზე, მაინც ლამაზები, მომრავლდნენ ქალაქში ჩხიკვები, გვრიტები.

წერილი უნდა დავწერო ლექსიკაზე. ქართულ-მეგრულ ლექსიკურ ურთიერთობაზე – არამეცნიერული, რასაკვირველია. მხოლოდ საკითხის დაყენება. ნოველებს აღარ დავწერ-მეთქი და დავწერ, ვატყობ, იმდენი მაქვს ჩაფიქრებული – მთელი წლის სამყოფი.

I. 93 წ.

* * *

4 იანვარი, 1993 წ.

დილიდანვე თოვდა, 11 საათისათვის მაინც გამოიხედა მზემ, შემდეგაც მზე – შიგადაშიგ ანათებდა მქრქალად. ეგ იყო და ეგ!

* * *

5 იანვარი.

თოვს მთელი დღე. მწ. კლუბში პატარებისათვის გამართეს რაღაც ზეიმივით და იკითხეს საკუთარი ლექსები ორგანიზატორებმა, თავად მოემზადნენ და მსმენელზე არ იზრუნეს... გამოცხადებული იყო გაზეთშიო. ეგ სრულიად არ კმაროდა, ხუთიოდე ბავშვი იყო მხოლოდ. ბევრნი აჯობებდნენ, ცხადია. გივი ჭიჭინაძე ნაბდით, ჩოხით და სხვა. მზია ხეთაგური. თოჯინები. პოეტი ქალები... არ იყვნენ მხოლოდ ბავშვები, ჩვენ ნამეტანი გვციოდა. თოვდა.

გუჯეჯიანთან წავედით ოჯახში ამის შემდეგ, ვივახშმეთ...

გუშინ თ. გრძელიძემ გამართა თავის რეზიდენციაში პატა-

რა პურ-მარილი. ამ დღეებში ვისვენებთ. ორშაბათს, თუ არ ვცდები, პარლამენტი დაიწყება, ამჟამად ქართულ ლექსიკონებს ჩავკირკიტებ. ღირს კი დროის ხარჯვა? იქნებ ნოველებისათვის მიმეხედა.

ჩანაფიქრი მშვენიერი, მაგრამ დაწერა უნდა, შრომა ჭირდება.

ნემსაძე აღარაა ამ ქვეყანას.

ამ თოვაში მაინც არ მოუვიდოდეს რაიმე. გავასწორე ამ ქვეყანასთან ანგარიშიო, მითხრა. ჯერჯერობით უძლებს. წამოდგა, შეჭამა, ილაპარაკა, სასიკეთო ვერ შევატყვე.

5. I. 93 წ.

ვერ შევეჩვიე ჯერ 93-ს
ყველა სამი გარდატეხის იყო?
1933 – კოლექტივი გაძლიერდა, ნანინავ, ნანა.
1943 – ომი გატყდა.
1953 – სტალინი დაიბრიდა.
1963 – სუსლოვ-ბრეჟნევის ხანის დასაწყისი.
1973 – შევარდნაძე გამოვიდა არენაზე;
1983 – 50-ის ხდებოდა ჩემი თაობა (რა შუაშია?)
1993 – უკეთესი იქნება?

* * *

თოვდა და თოვდა. ნაშუადღევს შეწყდა. ახლა ღამეა. შობაა. ყინავს.

გავედ-გამოვედი ფეხით. საგაზეთო ჯიხურებთან რიგები იყო. ირ. გოცირიძის გაზეთს ელოდებოდნენ, კიტოვანის ინტერვიუს გაგრძელებაა. კიტოვანსაც შეიყვარებენ, ოღონდ შევარდნაძე აგინოს ვინმემ. ყური მივუგდე ერთ რიგს (ოპერის წინ), რად გვინდა რუსეთი, პურს რომ გადმოგვიგდებს სამადლოდ... ერთი დედაკაცი: მარტო ჩვენი მარგანეციო... პედაგოგს ჰგავდა, სხვა უფრო ბნელი ჩანდა.

ჩასამატებელია ნოველებში: კ. გამსახურდიასთან „დენიკინის დროინდელი ანეგდოტები“, უხდება – ოდესა, დენიკინი, საერთოდ, საჭიროა... 2. გალაკტიონთან: დიდება შორიახლო დაყვებოდა...

იგი ხელშესახებად ეძებდა... ან უკეთესად.

ერთი ნოველაც მინდოდა მომესწრო, ვიზამ კიდეც... საქუთაისოდ უნდა ვიშოვნო თუნდაც ერთი 10 დღე – „უცნობი ქალის ჩანაწერები“, სარადიოდ მზადა ვარ. შემიძლია ჩაწერა, დანარჩენების შესრულება...

7. I. 93 წ.

* * *

სიტყვა არ იწყება ქართულში ჭეი-ზე, ჭეიშვილის გარდა. ყველა ლექსიკონი გადავაქოთე, **ჭეი** – არაა. საკვირველია ნაღდად. გვარი შემხვდა ერთხელ **ჭეიძე** განცხადებაში. ამოვიწერე, მაგრამ შემოკლებული ჭეიშვილი მგონია. ჭეო – არის, ჭეი-ზე – არაფერი, არც აქაური, არც იქაური, უცხო სიტყვაც არა...

შეიძლება ამნაირი რამ?

ცივა და აღარ თოვს თბილისში.

ქუთაისში ჩასვლას ვერ ვახერხებ. ხვალ სესია იწყება...

I. 93 წ.

* * *

ახალი წელი დგება ძველით და საშინელი ბათქა-ბუთქია კვლავ. იხვეწებოდნენ, არ ისროლოთო, – ისვრიან. უნდათ, ამ ხალხს იარაღი დაუკანონ. პროექტი კანონისა აქ მიდევს! გუბაზი სადღაცაა საქეიფოდ. შემოთვალა, ვერ მოვალო; სხვები სხვაგან. დავრჩი მარტო. ძველი და ახალიც იდიოტობაა, ამიტომ ამ მომენტს არაფრად ვთვლი.

ზურიკოსთან ვიყავი. ველარ მიცნო. ძილბურანშია, – სიკვდილ-სიცოცხლის მთვლემარებაში...

სიმთვრალეში იცოდა ამნაირად გათიშვა. თითქოს მთვრალი იყო ახლაც. წაიძინებს და გამოფხიზლდება მხოლოდ — სამუდამოდ...

ახალგაზრდობა განერვიულებული კი არ არი მარტო, არამედ გაუზრდელებულია. მძიმე ლაპარაკი მქონდა ერთთან სამსახურში; მძიმე დღე იყო პარლამენტშიც. შევარდნაძე მკაცრად გამოვიდა, შეუტია ვიღაც-ვიღაცეებს. ეგ არ კმარა მაინც... დემოკრატიის თამაშს არ ანებებს თავს. საერთოდ კი, პირველად უხდება (წელი არც გასულა) დამოუკიდებლად მართვა. სულ სხვისი კონტროლის ქვეშ იყო აქამდე. მართავდნენ და მართავდა. ახლა მარტოა და სულ საბჭოებს, მრჩევლებს, პარლამენტს ეძებს, მხარდამჭერებს ათვალიერებს; კომკავშირული ჩვევებიც ვერ ჩამოიშორა მთლიანად.

აფხაზეთიდან იყო დელეგაცია. მძიმე სურათები დაგვიხატეს, გაგვაგებინეს და ვერ გვაგრძნობინეს, რაც ვიცოდით, ის გვითხრეს, რაც განიცადეს, ვერ გადმოგვცეს. ასეა და ისეაო. რა ვქნათ მერეო, ვიღაცამ იკითხა. რა უნდა ქნან, არ იციან. თქვენც ჩვენსავით იყავითო(?). ეს საქმეს არ უშველის. უხსენებელს რომ მიტიროდნენ, სამშობლოზე მაშინ უნდა ეზრუნათ...

აფხაზეთში მშვიდობა აღარ იქნება, ან აფხაზეთი აღარ იქნება, თუ იქნება, ჩვენს გარეშე.

ეგრეა ვითარება.

14. I. 1993 წ.

* * *

სახლი არა მარტო ძველდება, — ბერდება! დღეს მომეჩვენა, რომ ეს სახლიც დაბერდა, ვთქვი კიდეც, ახალგაზრდა იყო, მხიარული, საქმიანიც, იმედიანიც; ისე დაბერდა, სიჭარმაგე არ უგრძნია. მეზობლები გადმოვიდნენ (შარშან?), ერთი კედელი გვყოფს და ვერ ვცნობთ ერთმანეთს. რომელიღაცას ვესალმები, დანარჩენებს (ოჯახის წევრებს) ვერ ვცნობ, ადრე არ იყო ეგრე

ეზო და სარდაფი გვაახლოვებდა. ეზო ეზოს აღარა ჰგავს უკვე. „...ეზო ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... სარდაფი მოკვდა, სანაგვედ იქცა. ადრე სუფრების და შეხვედრების ალაგი იყო. თამაზ ჩხენკელმა დამიძახა, რა ხდება-მეთქი, არაფერი, ამოდიო. სვამენ ალბათ? გულით მთხოვდა და ავედი, ომარი და თამაზი. ომარი (ცავა) გვარიანი ნასვამი აღმოჩნდა...

ადრე დავიძვრინე თავი და კარგი არაყი (ვისკს არ ჩამოუვარდება) ვისაჩუქრე.

დღეს ისევ მზეა მცხუნვარე, დღის 7 საათი.

15. I. 93 წ.

* * *

18 იანვარი. ისევ მზე და ქარი.

გაციებული და სიცხიანი ვწერ. წუხელ ვშფოთავდი. ახლა არა მიშავს თითქო. დღეს და ხვალ არ გავალ... ხვალ ნათლიღებაა. ზვიადის მოგონილი დასვენება.

უცნაურ მოთხრობას ვწერ ნამდვილი ფაქტის და გაზეთში გამოქვეყნებული (ნოემბერი 1992) მასალის მიხედვით. საჭიროა კი? მინდა, დავაარსო ლიტერატურული გაზეთი. არადა, დაარსებულია, ჩამაბარე და ეგ იქნება ჩემი საქმე. ახალი რთულია; თანამშრომლებს და თანამზრახველებს სად ახვეტავ, სხვას რომ თავი დავანებოთ. გაზეთის ერთი მესამედი (?) შემიძლია დავწერო(?) კვირაში ერთხელ. არ ვსვამ და მოვახერხებ. სმა, სუფრები და გაზეთი ძნელი შესათავსებელია...

18. I. 93 წ.

* * *

დავწერე ის პატარა ნოველაც „Б-0-157“. კარგია!

ნათლიღებაა. მზიანი დღე. მშვენიერი იანვარია. სიცხე უნდა მქონდეს. წუხელ ყელის ტკივილიც ამყვა. ყოველ ზამთარს (შარშან — მარტში) მემართება ამნაირი რამ. ორი დღე შინ

გავჩერდი, გამოვშუშდები-მეთქი. არ გამოდის. რაღაც ვადა აქვს თავისი.

ელდარი ჩამოფრინდა. პრემიერას მართავს ფილარმონიის დიდ დარბაზში, დაბადების დღეზე – 26-ში. ჩამოთვალა მწერლები, ამათ ვპატიჟებო, ცნობილნი და სახელოვანნი (თუკი არსებობენ) გახსენებია. ვისაც კინო უყვარს, ესმის, მასაც პატივს სცემს – ისინი სადაა? ამ კაცსაც დაეწყო, მე მგონი, სტერეოტიპული აზროვნება... ეგ გამოსწორდება. ფილმს თუ აქვს ნაშველი – „რა იმედი აქვს თავისო!“ აქვს ალბათ...

ვნახავთ, მე კი იქიდან მაგარ „პოვესტს“ გამოვიყვან.

შევარდნაძე გაფრინდა ირანში. შეხვედრა მოუწყვეს (აჩვენეს ფრაგმენტულად) მაღალ დონეზე...

ანზორი ვერაა კარგად, საოპერაციოდ წაიყვანეს. შეგვეჩვია ავადმყოფობები.

ანზორი მაინც იქნებოდეს კარგადო, ჩემი ცოლი იმეორებდა... ვის რა ელის, ვინ იცის?

არძინბა მოკლესო, ჩვენები აცხადებენ საზღვარგარეთის ინფორმაციების მიხედვით. მოსკოვი დუმს.

აფხაზეთში (სადაა აფხაზეთი?) რა ხდება? გუდაუთაში რა ამბავია, ის ვერ გაუგიათ და სხვისას რას გაარკვევენ: ერთ კინტოს, ძველ თბილისში, თავზე შემოდგმული კვერცხებიანი თაბახი მიაქვს, მეგობარ კინტოს ელაპარაკება გზადაგზა, უხსნის, ამდენი და ამდენი ფული აქვს მანთაშოვსო. მანთაშოვი უკან მიყვება თურმე. უსმინა თურმე ამ ორ კინტოს, მერე აწია ტროსტი, უკრა თაბახს იმ კინტოს და გადაუყარა კვერცხები მთლიანად. აჭაჭყანდა კინტო, ეს რა მიქენი, ვინ ოხერი ხარო. გადაგიხდი, რა გატირებსო, მანთაშოვი ეუბნება. რამდენი ცუდი იყო, მითხარი მხოლოდო. აღარ მახსოვს, არ ვიცი... დაიბნა კინტო.

შე ვირიშვილო (მანთაშოვი ეუბნება), შენი კვერცხები ვერ დაგითვლია და ჩემს ფულებს რას ანგარიშობო.

19. I. 93 წ.

* * *

გადავწყვიტე (საქმეც გავიჩინე), „გათენების წინ“, „დონდინიო“, „ტურანდოტი“, „ასკილის წითელი ყვავილი“ გადავწერო და გადავბეჭდო უნდა, დასაკარგავი ნაწარმოები სადა მაქვს! „გათენების წინ“ პიესადაც გადამიკეთებია და გულს შემომეყარა, წუხელ სანთლის შუქზე წავიკითხე: ეს რამ დამაწერინა-მეთქი. საუკეთესო ეპიზოდებს ამოვკრეფ ერთისგან, მეორესგანაც, დიდ დროს ვერ დავხარჯავ, მაგრამ კარგს გამოვიყვან, დანარჩენებისგანაც გამოვადნობ რაღაცას — „ასკილისგან“... გრიპი ვერ მოვიშორე და დღეს გარეთაც აღარ გავედი (მოკლე გავარდნა მანქანით — არ ითვლება), პარლამენტსაც არ დავესწარი. ხვალისათვის ნამეტანი ბევრი საქმე მიგროვდება: გამგეობა, საავადმყოფო, ავადმყოფი და ასე შემდეგ. უნდა გადავბეჭდო შავად Б - 0 - 157. გადავქექე ხელნაწერები და ვერ აღმოვაჩინე გადაბეჭდილი „გაყრა“... ხვალ რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილში უნდა დავრეკო.

ქუთაისის თეატრმა დამიკარგა... ჯინჯიხშვილის ქალმა ამერიკაში (რა შავ ქვად უნდოდა) წაიღოო. თეატრში არაა, შინ, მიტოვებულ სახლში ვერ აღმოუჩინეს... არადა, ჩავაბარე სასოებით იგივ „გაყრა“, „შ. ხ.-ძის თავგადასავალიც“.

21. I. 93 წ.

* * *

დავჯე — დავწერე და გადავბეჭდე კიდეც „სასამართლო“(?!). „შარავანდისათვის“ მთხოვა რედაქტორმა. ავიღე მოულოდნელად კალამი და ხელისაუღებლად დავამთავრე (?!!).

წუხელ ვნახე „მოცარტი და სალიერი“, ჩეხი რეჟისორია; მიქებდნენ და მართალი აღმოჩნდა. ამდაგვარი ყაიდის ფილმები დაშაქრული, ყალბი, მოგონილი გამოდის. ეს ნამდვილია. ნამდვილსა და მოგონილებსშუა დიდი მზღვარია, თუმც ამის შემჩნევა არაა იოლი (ვისთვის — კი, ვისთვის — არა). ნამდვი-

ლის შექმნას ტალანტი ჭირდება, ერთისთვის, ერთეულთათვის თითქო(?!) იოლია, დანარჩენთათვის (უმრავლესობა) შეუძლებელი. ერთ კადრს ვნახავ, პირველსავე ფრაზებს მოვისმენ და ვიცი, ნამდვილია თუ არა; არანამდვილი – სიყალბეა, უნიჭობაა, დრამწრეა პროვინციისა... ხალხი კი ვერ ერკვევა. საბოლოოდ (დროისა და პიროვნებების დახმარებით) ჭეშმარიტების მხარეზე დგება. მხოლოდ კარგი, ნამდვილი რჩება მის მახსოვრობაში, ეს კი სხვისი დამსახურებაა მხოლოდ და მხოლოდ. ჩვენ ვეუბნებით: ეს შავია, ეს თეთრია და ასე შემდეგ.

სამი შედევრი ქართული კინოსი (ჩავიწერე თუ არა?):

„დაკარგული სამოთხე“

„არ იდარდო“

„შერეკილები“.

ამ ფილმებით უნდა იამაყოს ქართულმა კინოხელოვნებამ (არა მარტო ამ ფილმებით).

ხვალ, უკაცრვად, ზეგ აჩვენებს ელდარი ჩემს ნაწვალებსა და მის ნაცოდვილარს: „ასკილის წითელი ყვავილი“ – ჩემი, „ექსპრეს-ინფორმაცია“ – მისი. ვნახოთ. წინასწარი აჟიოტაჟია უკვე. ფილარმონიის დიდ დარბაზში შედგება პრემიერა.

ნემსაძეს კი დღეს ამოუვიდა სული. იწვალა და დატოვა ცოდვილი ქვეყანა ბოლოს და ბოლოს. სადილობამდე მივედით (თ. ამყოლაძე – ცოლით); მძიმედ და ზერელედ სუნთქავსო, აღარც დავხედე, გასაგები იყო. წამოვედი შინ. ჩავთვლიმე ტელევიზორთან. ტელეფონზე გთხოვენო. ქალის ხმა არ მეცნაურა და მივხვდი მაინც იმწამსვე, თითქოს (რაღა თითქოს) ველოდი. მივბრუნდი, პირს უკრავდნენ უკვე, ვაჟკაცურად შეხვდა დასასრულს. ბოლოს ცნობიერებადაკარგული იყო, როგორი სიკვდილი ჯობია, კაცმა არ იცის, არანაირი არ ჯობს, მაგრამ – მაინც...

იანვარია. თბილა.

24. I. 93 წ.

* * *

შუაღამეა. ვასწორებ, ვაკორექტურებ, უფრო სწორად „კუდიან ვარსკვლავს“ და ვფიქრობ ფილმზე, რომელიც დღეს ვნახე. იგი არ შედგა. ასე ველოდი, ასე მოხდა. გული მწყდება. რისთვის ვიწვალე-მეთქი, ვფიქრობ, გამაოცა ელდარმა. მე აქეთ ვექაჩებოდი, ის – იქით და სულ იქით გადაქაჩულა. რისთვის მეთანხმებოდა, რატომ მაწერინა?.. არ გამოვა-მეთქი, შენ ამას შეკვეცავ და კინო არ შედგება-მეთქი... არაო, დიდ კინოს გადავიღებო. ეს არის 2 სერია, ვეუბნები, ერთამდე დაიყვან და გამოვა ფრაგმენტული, ერთი სერია თუ გსურს – სხვა გადაიღე-მეთქი. ვერაფრით ვერ შევაგნებინე... არა გამოვიდა-რა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ. ბენიამ მითხრა: საზოგადოება მომეწონაო. ხალხი – მართლაც რჩეული. ჯაბა დაინახა, შევარდნაძე დაინახა – გაოცდა. ფილმი? ფილმი – რა იყო იქ მოსაწონიო, იკითხა. ისიც თქვა: ვერ გავიგეო. ზოგიერთს, თითქო, მართლა მოეწონა. ეგ საქმეს არ შველის. გამაოცა იმან, რომ მსახიობებიც ვერ არიან ისეთები, როგორებიც უნდა იყვნენ. ადგილებია სანიშვილ-დოლიძის დონეზე. ბუტაფორია. ყოიფშიძე დადის და დგას კარგად...

ნამეტანი გულდაწყვეტილი დავრჩი. არ წაველ ბანკეტზე. არა კი არა – ვერა, ვერ შევძელი; ხვალ რას ვეტყვი, ისიც არ ვიცი. გერმანიაში მიაქვს შაბათს, იქ შეიძლება... არა მგონია!

რაც კარგია: ლურჯები, მწვანეები... იმათთვის გაუგებარი დარჩება სრულებით.

სალაპარაკო და საკამათო კი იქნება... ეგრე მოხდება. ესეც ღირსებაა (?). მე კი ყველაფერს გადავდებ, გადავწერ, გადავბეჭდავ და ჟურნალში დავბეჭდავ პირდაპირ ჩემივე სათაურით – „ასკილის წითელი ყვავილი!“ სათაურიც რომ არ დამიტოვა, უკვე იქედან ჩანდა, საით მიდიოდა.

რაც არი, ეგ არი!

ჩემი მოღვაწეობაც გასრულდა კინოში.

27 იანვარი, 1993 წ.

* * *

ქუთაისი მოვიარე. დავასაფლავე ზურიკო თოვაში. ეს იყო შაბათს, 30 იანვარს. ახლა 4 თებერვალია, რამდენიმე დღე გავატარე ბუხართან, შეშა ბევრი დავწვი. სახლი გატეხილი დამიხვდა, წაღებული არაფერია. ამან გამაოცა. ვინ იყო, ვინები იყვნენ? რას ეძებდნენ. ტელევიზორი და რადიატორი ელექტრონისა იუზასთან მქონდა გადანახული. იუზას თავს დასხმიან. დაცხრილულია სახლი მისი, დახვრეტილია კარი სქელფიცრიანი, დაზიანებულია კედლები, შუშები.

ქუთაისში ძაღლი პატრონს ველარა ცნობს: ვინ ვის ძარცვავს, ვინ ვის პარავს, კაცი ველარ გაარჩევს. ძარცვავენ ქურდებსაც, კლავენ ერთმანეთს, დათარეშობენ, ვინ ვის რაზმშია (სხვანაირად არ ვიტყვი), ვინ ვისი ბელადია, ძნელი გასაგებია, როგორც ამიხსნეს, მილიცია, პროკურატურა თავს ძლივს იცავს, – საკუთარ თავს.

მძიმე სხდომა იყო გუშინ – საშინელი, საზიზღარი, „ზრდილობის გაკვეთილები“ ჩაატარა „გენერალმა“ გია ყარყარაშვილმა. სულ ვგრძნობდი, ვხვდებოდი, ვინც იყო...

ქაღალდის ნაგლეჯზე დამიწერია ქუთაისში სადღიუროდ. აი, ისიც:

„... ჩამოვედი გუშინწინ. პარასკევი, 29 იანვარი. შაშიაშვილის გამერებას, კორონაციას მივუსწარით. სიგუა, კიტოვანი და ადგილობრივი საზოგადოება დაგვიხვდა, მივედით (მწ. კავშირში) და დაამთავრეს კიდეც სხდომა. იქიდან პანაშვიდზე. მერიაშიც (აწ უკვე მერია) შევყვეთო, მაგრამ მე პანაშვიდზე (რისთვისაც ჩამოველი) წავედი.

თოვდა. ყინავდა. გასვენებაც (II დღეს), თოვაში, სითეთრეში; ჩაასვენეს წითელ სამარეში, ნაძვის ტოტებით დამყუდროებულში. ჭურის მიწას ჰგავდა მიწა სამარისა. სუფრა ქელეხისა. ნაცნობები, ქუთაისლები. ჩამოსულები ცოტანი. მთელი ღამე თოვდა. დღეს ტრანსპორტი აღარ მოძრაობს. რ. ნაჭყებიას ვეს-

ტუმრეთ მე და ირაკლი, ირაკლის სიძესთან ვიყავით მიწვეულნი, მაგრამ ავტოქარხნის დასახლებაში ფეხით ვერ გავიდოდით. ახლა შინა ვარ, ბუხართან, გარეთ მთვარეა. იქნებ გამოიდაროს სახვალიოდ. სამშაბათს წავალთ. იქიდან (თბილისიდან) გაჭირვებით ვიმგზავრეთ. დილით გამოსულნი საღამოს 7 საათზე ჩამოვედით მიწოლით, მოცურებით. მახლდნენ: ქვისლი, ირაკლი, გივი ლობჟანიძე და მედეა ამირანაშვილი.

ქუთაისი, 31 იანვარი, 93 წ.

ახალი თვის ბოლო დღე (თებერვალში აღარ იტყვია,ნ გილოცავ ახალ წელსო).

* * *

ახლა 5 თებერვალია. თბილისში მშრალი, მზიანი ამინდებია. ქარიცაა, მაგრამ მზეა და სინათლე. არ ყოფილა ცუდი ზამთარი.

ცხადია, მოიქნევს კუდს, მაგრამ იგი იყო უკვე... რას გვიპირებს 1993? ცოტა უკეთესი უნდა იყოს წინაზე. 1994 კიდვ უკეთესი იქნება და ასე შემდეგ.

სულ გარდატეხის წლები იყო ჩემთვის. 1934 — 3+4=7 (ფეხის ადგმა); 1944 — 4+4=? (ომის დასასრულის მოახლოება); 1954 — 5+4=9 (უმაღლესში მოწყობა და თბილისში გადაბარგება); 1974 — 7+4=11 (კინოსტუდიას ჩამოვშორდი და მწერლობას დავუბრუნდი). 1984 — 8+4=? (აღიარება სუსტი და მაინც აღიარება — „ცისფერი მთები“).

1994 = ?

5. II. 93 წ.

* * *

აფხაზეთი. როგორ მოგვარდება, რანაირად გადაწყდება აფხაზური სამართალი. აღდგეს ავტონომიაო. იგი მოიპოვებს ნაღდ ავტონომიას და რესპუბლიკას. საზღვარი გადმოვა კვლავ ენ-

გურზე, ჩვენ დაგვრჩება „ტერიტორიული ხელშეუხებლობა“ და „მეგობრობა“. ისინი მოაგვარებენ თავიანთ პრობლემებს, ჩამოასახლებენ თურქ აფხაზებს, ადიღეელებს და ასე შემდეგ. ჯერ არ უბრძოლია უმცირესობას, რომ რაიმე არ მოეპოვებინოს. ისინი იბრძვიან, რაც არ უნდა სავალალოდ დამთავრდეს მათი ბრძოლა, რაღაცით გაიმარჯვებენ, ეს ცხადია, ვხვდები, ვიცი; სხვებიც მიხვდებიან. უფრო უარესიც: აფხაზეთში შემცირდება ქართული დიასპორა (ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი) და ბოლოს და ბოლოს საქართველო დაკარგავს სამეგრელოს. ეს ნათელია ჩემთვის. ჯობია, შეიქმნას დამოუკიდებელი, თავდაპირველად ბუფერული სახელმწიფო: აფხაზეთი — გუდაუთადან იქით. ცოტას რუსები უწყალობებენ და ისიც საჩვენოა.

ვწერ და ვერ ვამბობ, სიტყვას ვერ დაძრავ „ქართველებთან“ ამ მოსაზრებაზე. აფხაზეთი ჩვენია, ჩვენი ტერიტორიაა, ისინი ჩამოსულები არიან, მაგათ უნდა გადავუაროთ და სხვა...

არიან, კი, გონიერი ქართველებიც.

7 თებერვალი, 1993 წელი.

* * *

დღეს გამოქვეყნდა „ლს“-ში „Б-0-157“. დღისით წაკითხული არ ჰქონდათ, აქამდეც, ახლა ნამეტანი ღამეა, არავინ გამომხმაურებია. დროულია. მე მომწონს, სხვისი არ ვიცი!

საქართველო მძიმედაა ავად. ისტორიები, სიტუაციები ტიპიურად მეორდება. აღარაფერი გვაკლია დაშლას, დანაწევრებას, შემდეგ გაგვაერთიანებენ, გაგვიერთიანებენ.

ძალიან მიჭირს, მაგრამ შევუდგე უნდა წერას: „ასკილის წითელი ყვავილი“. დ. მანდარიაზე რაღაც პატარა დავივალე...

რუსთავში ვიყავით. ჩვენკენ იგლიჯებიან მაინც მრავალნი. მწ. კავშირის წევრობა სურთ, 150 კაცამდეა მსურველი და ჩვენი გუშინდელი სტუმრობა, ახლა ვხვდები, ამ საკითხთან ყოფილა დაკავშირებული. დღეს რადიოს ვერ მოვუსმენ, არა მაქვს

ეს რადიო. ვიწყებ, დავიწყე, უფრო სწორად, ზეპირი ნოველების კითხვა. გამოვალ ყოველ პარასკევს, გავმეორდები კვირას. პარალელურად „მუსიკა ქარში“ ხმიანდება ძველი ჩანაწერით – გიზო სიხარულიძით. კარგად კითხულობს, მე მგონი. აქეთ ეს, იქით ის, ნელ-ნელა ვიგროვებ მტერს, ვკარგავ მეგობრებსთქო, ვერ ვუმატებ... მეგობრებს პირდაპირი გაგებით ვკარგავ... ვინც მყავს – ჩემი არ შურს, ნამდვილსა და არა მწერალს არ შურს. ლ. მალაზონიას არ შურს – სხვასაც. რა მჭირს, ჯერ ერთი, შესაშური...

„რა გაქვს საქები, ტანი თუ სახეო...“

აკაკისაა.

მკითხველი აღარცაა.

სცენარებს აღარ ვაცხობ.. წიგნად გამოვცემ გადარჩეულებს, მაგრამ რაფრად, რანაირად და როსღა.

„კომუნისტს“, ამ სახელს ვეძახი კვლავ „საქართველოს რესპუბლიკას“, 13 თებერვალი აწერია, – არადა, 12-ია ნაღდად, ხვალისას, ალბათ, 12-ს დააწერენ და გასწორდებიან.

12 თებერვალი, 93 წ.
თბილისი.

* * *

ემზარმა დარეკა, ახალ მოთხრობაზე მელაპარაკა. დაიწყებენ სიმბოლოების ძებნას, თუ მოიცალეს, თუ ჩაღრმავდნენ. კიდევ კარგი, აღარ კითხულობენ, აღარც მხატვრული ნაწარმოები აინტერესებთ, აღარც – პუბლიცისტური... მოწონთ პირდაპირი მისამართით გინება და ტელევიზია. საერთო საქმე კი უფრო და უფრო ცუდად მიდის, ცუდად ვითარდება... მონობაში ჩამოყალიბებული ერი თავისუფლებისაკენ არ წავა, სახელმწიფოს ვერ ჩამოყალიბებს, ამის უფლება მას არა აქვს, ღირსიც არ არის, დღემდე ამომგდებს მიტირიან – ეს გასაგებია...

სამი უბედურება გვჭირს ყველაფერთან ერთად: ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა.

ვინ შექმნა? სტალინმა.

ვინ მოათრია ასლან აბაშიძე? — გამსახურდიამ. ვის მიტირიან? — სტალინს და გამსახურდიას. სულ არ აინტერესებთ ერი, როგორც ერი. მთავარია პიროვნება, რომელსაც სხვებიც იცნობენ, იგი უნდა იყოს ცნობილი ან მანიაკი.

სანამ მესამე ნაძირალა არ მოვა სათავეში და არ გადავა, ჩვენი საშველი არ იქნება. ბერია გაჩნდება თუ არა (იგი გაჩენილია ალბათ, — სხვანაირად არც იქნება), სამეგრელოსა და აფხაზეთს არა ეშველება — რა.

შევარდნაძე საქართველოს ვერ უპატრონებს, საჭიროა ბერია და რუსის ჩექმა. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ...

13. II. 93 წ.

* * *

წავიდა ზამთარი?

არც წასულა და არც მოსულა. იგი მარტში მოიქნევს კუდს, ახლა თავისაშია. კვლავ თოვს, ყინავს თბილისშიც. მოქალაქეებს არ უხარიათ, ბავშვების ჟრიამულიც არ ისმის. ბავშვებსაც აღარ უყვართ თოვლი, ციგაობენ კი არა, ბურთს აღარ თამაშობენ სიცხეში; დგანან ჯგუფ-ჯგუფად, უბან-უბან, აბუზულები, მეტროს სადგურებში თავშეყრილნი... ახალგაზრდები ეძებენ, ჩურჩულებენ, ცინიკურად იხედებიან.

რადიოში ჩავწერე 3-4 ნოველა ზეპირად. რაღაცას გამოვაკლდი, სადღაც დავიგვიანე ამასობაში. გუშინ ვერ ვიყავ კარგად, დღესაც ვერა ვარ. ვარჯიში არ მიმიტოვებია, არც მივატოვებ, თუ არ მიმატოვებინა... წნევის გამზომიც კი არა მყავს. ჭადრაკი დავაწყვე. რამდენი წელია (არცთუ ბევრი), ამნაირი არ ჩამიდენია. გავითამაშე „უკვდავი პარტია“ **ანდერსონ — კიზირიცკის.**

დავწერე წერულუკა დ. მანდარიაზე, მოსაგონარი... მთხოვეს

და შემახსენეს, თორემ, არც მეკუთვნოდა... მთავარი ვერ დავიწყე...

ვეზმანები და ვერ ვიწყებ. ხვალ პარლამენტი.

15. II. 93 წ.

* * *

არსენა დონკიხოტია.

როდის შევამჩნიე ეგ მე (ჩავიწერე კიდეც სადღაც)? რუსის მოგონებაა არსენაზე – „რაზბოინიკ არსენ“... აღწერილი აქვს არსენის ჩაცმულობა, აღჭურვილობა, უზარმაზარი შუბი ეჭირა ხელშიო. იმდროინდელმა შუბოსანმა (XIX საუკუნის I ნახევარი) გააოცა რუსი ჩინოვნიკი... სად წავიკითხე, აღარ მახსოვს, ვეღარც მივაგნებ, ასე მგონია. II – ილია ორბელიანთან შეხვედრა საყდრის ეზოში, კონფლიქტი, დამბაჩის დამიზნება, „კნეინას“ მანდილი ჩაერია, მგონი, მაშველად. არსენამ რაინდულად თქვა მადლობა და გაეცალა აქაურობასო. „არსენას ლექსიც“ საამისოა. როგორი თვალით შეხედავ, გაიჩნია... დონკიხოტური ბევრია: მდიდარს ართმევს, ღარიბს აჭმევს და ასე შემდეგ. „არსენ, როგორ გიღალატებ სამი შვილის მომნათვლელსა“... მაინც უღალატა. „ახლა მოვკლა ნათლიმამა, რაღა ღმერთი გამიწყრესა“... ჭაბუამ გააკეთა ქართველი დონ კიხოტი, აბრაგი არსენა არ გახსენებია? სად არ გააკვეხეს არსენა: დრამა, კინო, რომანი... დონკიხოტის თვალით კი არავის შეუხედავს...

ყინავს მაგრად თბილისში. საქართველოში მკაცრი ზამთარია. მგონი, მაინც გატყდება ამინდი ხვალიდან, ზეგიდან. ცოლის დაბადების 60 მოდის. მინდა, რაღაც გავუკეთო. რთულია, ჩემზე მეტად უჭირს მრავალს და არსებობენ მაინც...

პარლამენტში გასათბობად შეველ დღეს, შესვენების შემდეგ. დილითაც ვიყავ...

კაცი მოვიდა სამსახურში – მარსიდან ვარო, ადრე ლექსი

გამოგიგზავნე მარსიდან, თუ გახსოვსო, დამიტოვა ახალი... მარსიდან არ მახსოვხარ, მაგრამ საიდანღაც მეცნაურები-მეთქი!

16. II. 93 წ.

* * *

სიბერემდე სიქაჩლეო, ამჯერზე შევარდნაძეზეა. იგი ახლაც სწავლობს.

დღეს ჩემი პერსონით დაინტერესდა, შევატყვე. ჩავიწერე დღეს და მითხრეს: ხვალ იქნებაო... იქნებ „ნ-0-157" წაიკითხა, შეიძლება... ტელევიზორიდანაც ვხვდები ხოლმე, რას ფიქრობს და ახლოდან (სხდომათა დარბაზიდან) – მითუმეტეს. დღეს უფრო მომეწონა მისი თავდაჭერილობა, ბუნებრიობა, ღირსების შენარჩუნება. ჩანს, აუღო ალღო აქაურობას. აქამდე უჭირდა, რაღაც სიახლეები შევამჩნიე, ერთი სიტყვით...

სერიოზულ პირს უკვე ხმა აღარ ამოელება პარლამენტში, აღარც უნდა იკადრო ზოგიერთებთან გაშინაურება... აღარ ვიღებ ხმას... ასევე: გამყრელიძე, აბულაძე, თვით პატიაშვილი, რამდენიმე კაცი კიდევ.

ცივა, ყინავს.

პატარა სუფრა გაეწყო თ. გრძელიძეს კაბინეტში. დოდო რცხილაძე – საპატიო სტუმარი და ჩვენ... მივატოვე პარლამენტის გამო, ღვინომოკიდებულნი დავტოვე! ფანჯიკიძე მთვრალი იყო უკვე.

ჩემები ისევ ბახტრიონზე გადასულან. გავა ეს თებერვალიც.

დღეს უკვე 19. II. 93-ია.

***

21 თებერვალი, კვირა, 1993 წ.

მშვენიერი ამინდი. მზე.

ვერტმფრენი გუგუნებდა მილიციისა ჩვენს თავზე, ხევზე-

ით. როგორც ჩანს, დატრიალებდა ფილარმონიას, ტელევიზიას, ოპოზიციის აქციებს ხვდებიან მზადყოფნით.

რა მოხდა, წარმოდგენა არა მაქვს. დიდად რომ არავინ დაზარალებულა, ვხვდები, ვხედავ კიდეც. გავიარ-გამოვიარე უკვე უბანში. ჯაბას სახლის სახურავზე რაღაც ფურცლები ჩამოყარაო ვერტმფრენმა, რამდენიმემ მითხრა, სწორედ იქ (უსახურ შენობას ანგრევდნენ წინ) ვიყავ გაჩერებული და მსგავსი არაფერი შემინიშნავს.

შევარდნაძემ – სოხუმში მივდივარო, გიორგაძე – თურქეთში, ელდარი (ხვალ კომისიაა) – გერმანიაში, ლანა აქაა... მიდილარიენ, მოდილარიენ...

რეგისტრაცია უნდა გავიაროთ სახელობითი, ვინ აგვიანებს, ვინ გვაკლია, უნდა გავიგოთო. მე მაშინებენ.

„ასკილის წითელ ყვავილს“ ვამზადებ საჟურნალედ. არჩილი ელოდება. მე ველოდები, რაც მთავარია. ერთი სული მაქვს, როდის გადავბეჭდავ... „მერი, ჩემო სასურველო მერი“. როგორა აქვს ზუსტად? გადავამოწმებ. მ. შე-ძე... როგორ ჩაჯდება ეგ სახელი და გვარი – ვნახოთ.

21. II. 93 წ.

* * *

ზამთრის ბოლო დღეები.

გარდაიცვალა ზურაბ ლორთქიფანიძე: წყნარად, უშფოთველად მოკვდა. დაწერა – სიკვდილსაც არ შევაწუხებო, ეგრე გააკეთა...

რატომ არა აქვს დედა ნახსენები რუსთაველსაო – ძირითად ტექსტში. უცნაურია მართლაც... ნესტან-დარეჯანი: მამა, მამიდა. დედა – არა. რატომღაც (სხვა დროსაც მიფიქრია, ცხადია), დღეს ამეკვიატა ეს შეკითხვა. თამარს დედა ოსი ჰყავდა. მამიდა მისი, მგონი, მის მომავალ საქმროს ზრდიდაო. ხომ არაა-მეთქი რაღაცნაირად კავშირში ეს ფაქტი ნაწარმოებთან?

მიზეზად არ კმარა, საფიქრალად სამყოფია, ს. ხარაბაძის ცნობისწადილს მაინც ვერ დავაკმაყოფილებ.

ზურაბმა, საწყალმა, ამასწინეებზე გამომართვა დინოზავრების ალბომი, უნდა ვათარგმნინოო... რაა სათარგმნელი? ხატია დინოზავრი და წერია: ესაა დინოზავრი... მართლაც ათარგმნინა(?) სულხან ჯორჯანელს, გადაუხადა ფული, ალბომი დამიბრუნა. თვალსაჩინო პოეტად და მთარგმნელად გამოაცხადეს დღეს ტელევიზორში(?).

როგორ აშენებდა სახელს მამა-პაპის ნამოსახლარზე, ჩუნეშში? ტრაგედიაა, ტრაგიკომედიაა. მისცეს ეზო გვერდით, დიდი წვალებისა და მეცადინეობის შემდეგ. ნამოსახლარზე მაღალი ძაბვის დენი გადის და იქვე, ახლოს მომიზომესო. ჩრდილი თუ მაინცაა-მეთქი? კიო, სკოლაა შორიახლო და მზე რომ გადავა, მისი ჩრდილი გადმოწვებაო. ხე არ ხარობს, ქვიანიაო, მიწა უნდა დავაყაროო. როგორ დაყრი-მეთქი, — ვედრებითო. ოტიასთან მისულა რჩევისთვის. ოტია ჩემთან მოვარდა, „განთიადში“, ეს კაცი სახლს როგორ ააშენებს, კიბეზე ძლივს ამოვიდაო. სამოსახლოც უნახია: თივის ძნა არ დაიდგმება, ქარი წაიღებსო. იქით მინდორია, აქეთ მინდორი, წინ მინდორი, უკან მინდორი; ეზო, რომელიც არაფერს არ ესაზღვრებაო.

ქუთაისი ტელევიზორში. ახვეტილი თოვლი ჩანდა. ბენიამ — წამიყვანო იქნებო. აღარ უნდა აქ ყოფნა, ან იქ რაღა გააჩერებს აწი!

ეს დრო მიდის, არ ჩერდება, არ ნელდება, აჩქარებაც არ ეტყობა. დროც ტრიალებს!

26. II. 93 წ.

* * *

1 მარტია. ამინდი არ იყო ცუდი.

სამსახური, პარლამენტი, სახლი, ინტერვიუ — რ. ამირეჯიბს „ქართული ფიმლისათვის“. ვიღაც ქალი რეკავს გუშინწინ:

— დიახ.

(ღრმა პაუზა)

— ქართველი ხალხის მოღალატევ!

გაგებაც ვერ მოვასწარი, დამიკიდა ყურმილი.

ვფიქრობდი შემდეგ: რით დავიმსახურე დედაკაცის ყურადღება-მეთქი, დღემდე ვერ გავიგე... „იბერვიზიას“ გადმოუცია ჩემი საუბარი, ის თუ ნახა, არ ვიცი...

ელდარი ჩამოვიდა, ლაპარაკი ვერ მოვასწარი... ფისოს დაბადების დღე და ზურიკოს 40 დაემთხვა ერთმანეთს. უთქვენოდ არ იქნებაო, დეიდებმა. ორად ვერ გავიჭრები, მაგრამ რაღაცას მოვახერხებ. ეს მოხდება ხუთშაბათს.

ცოტა სტუმარი (შინაურები) მეყოლება. ბევრის არც თავი მაქვს, არც სურვილი და არც მაყუთი.

ზურაბის ქელეხში სვამდა ბენია პატიოსნად — 86 წლისა. ეს მიშლიდა, თვარა მეტს დავლევდიო — ჩემზე თქვა.

მანიამ მანუგეშა: შენზე უკეთესად გამოიყურებაო. ეს არც კი უნდა შეეფარდებოდეს სინამდვილეს...

7. III. 93 წ.

* * *

დილით პაპყი თოვლი იდო მიწაზე (3. III. 93). (ჩემი ლექსიკური მარაგი ჯერ არ გამომიყენებია სრულად. ამისათვის ისტორიულის დაწერაა აუცილებელი. მე ვაგვიანებ). მიღება გვქონდა. გურამი წავიდა, მეც წამოველ, კომისიას კი მთელი ნახირის მიღება დაუპირებია მწერლებად.

ცოლის დაბადების დღე ხვალაა. ვემზადები მცირერიცხოვანი სტუმრების შესახვედრად, არადა, 30 კაცზე ნაკლები არ შეგროვდება, ვატყობ. ამას დაუძახებ, იმას უნდა დაუძახო. ერთი მეორეზეა გადაბმული, ეს დღეც გადასატანია ამ გაჭირვებაში.

ზ. ლორთქიფანიძეს ლექსი დაურჩა პაოლო იაშვილზე:

„სადა ჰკიდია ახლა ის თოფი დამნაშავესავით, რატომ ერ-

თხელ მაინც არ გიმტყუნაო“ და სხვა. მე დავუმატე გუნებაში, – ძაღლი რომ პატრონს უკბენს უნებურად, დანაშაულს იგრძნობს და დაიმალება, ეგ ხდება, თოფის ანალოგი გამოდგება თუ არა, არ ვიცი!

„დათა თუთაშხიას“ აჩვენებდნენ კვლავ. დუქნის სცენა: გოგონა იხდის ტანზე ფულის გულისათვის, შემდეგ გიჟდება ოფელიას მსგავსად. დათა ამბობს: ჩემი საქმე არ არის ეს! მრცხვენია, რომ ვუყურებ ასეთ სცენას, იმიტომ კი არა, რომ სცენა თუ ეპიზოდი მკაცრია, დაუნდობელი, იმიტომ მრცხვენია, რომ უნიჭოდაა მოფიქრებული, ყალბია, ამნაირად მემართება ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნაზე“ – ლიმონა (სახელიც მოპარულია რუსულიდან) რომ „ტანო ტატანოს“ გააჩაღებს საკანში. ხალხი ნამდვილსა და ყალბს ვერ ანსხვავებს, ეგ გასაგებიცაა... ხალხი ხალხია, მართლის, სწორის მთქმელი ხომ უნდა ჰყავდეს? უბედურება კრიტიკის უქონლობაა. კარგისა და ცუდის გამრჩევი რომ აღარ იპოვება, სამწუხარო ის არი. დიდი წვლილი მიუძღვის ტ. ჭანტურიას ამ წიგნისა და ამ ავტორის გაფეტიშებაში. არის ნორმალურად დაწერილი ადგილებიც, მთლიანობაშიც არ უნდა იყოს ცუდი და მაინც ქართველი სნობების განდიდებულია.

ნანა იოსელიანმა გაიმარჯვა, შეუძლებელი შეძლო და ეს კარგი ამბავია!

მოხდა დიდი უბედურებაც: ლერი ჩანტლაძის ბიჭი, კახა, მოკლა მილიციამ. დაცხრილა, იქვე გაათავა. ერთი მძიმედაა დაჭრილი, ერთი გაიქაცაო. რატომ არ გააჩერეს მანქანა და რატომ გარბოდნენ, არ იციან. არც გეტყვიან, თუმც, მგონი, მართლაც არ იციან ბიჭებმაც... უბნელებმაც არ იციან, ჩემი მონაცემებით...

უკვე ოთხია. დილა. შევარდნაძე ლაპარაკობს სოხუმიდან. ცაა მოწმენდილი.

4. III. 93 წ.

* * *

სოხუმის თეატრის სპექტაკლია „ყვარყვარე“ ტელევიზორში. ადრეც ვნახე. ახლა ვწერ და ვისმენ. ადგილები საინტერესო. დასაწყისი კარგი. შემდეგ დეფორმირებულია, ყველაფერი შიგაა ჩაყრილი. ალაგ-ალაგ ჩემეული ინტონაციებიცაა (კინოფილმიდან) გადმოსული. „ინტერვიუში“ ჩავაწერინე – მხოლოდ ყვარყვარე-ყვარყვარიზმის თემაზე გავაკეთებ ხელახალ სცენარს, იმასაც თუ ელდარ შენგელია გადაიღებს-მეთქი. საინტერესო სვლაც მოვიფიქრე. არც მინდა, გავამხილო ჯერ. აქ რომ ჩავწერო, რა მოხდება?

სევასტი უნდა დაიჭირონ ყვარყვარეს მაგივრად, როგორც პიესაშია, გადაიცვა თათრის ტანისამოსი სევასტიმ ყვარყვარესი. ჩაბარდა, როგორც ყვარყვარე თუთაბერი. ნამდვილი ყვარყვარე ოსმალეთშიაო, ხმა უნდა დაირხეს. უნდა იცოდნენ (ყველამ არა), რომ ეს კაცი არაა ყვარყვარე და სხვა და სხვა. წისქვილი უნდა ფქვავდეს სულ, სარეკელა უნდა რაკუნებდეს, გადაუგდებ წყალს, გაჩერდება, გადმოუგდებ – დაბრუნდება დოლაბი და ასე შემდეგ... საინტერესოს გამოვაცხობ.

დღეს წლიური პრემიები ჩამოვურიგეთყენ.

ხვალ პარლამენტში მინდა სიტყვის თქმა, მიდევს წინ მასალები, არ ვწერ, ვყოყმანობ, სადაცაა, ძილი მომადგება...

8 მარტია, 1993 წ.

* * *

გავამზადე სიტყვა საპარლამენტოდ და არ ვთქვი. დავწერე. წინ მიდევს. დავბეჭდო მინდა „ქართულ ფილმში“, ინტერვიუსთან ერთად. პარლამენტში ხმის ამოღება მეუხერხულება, იმ ხალხთან (ყოველდღიურ გამომსვლელებთან) თავის გაყადრება თუ ალიანსში შესვლა ღირსების დაკარგვა მგონია. ეგ ხშირად მემართება: უცოდინარებთან, უწიგნურებთან, ბავშვებთან არ ვერთვები ხოლმე კამათში, მათთან გატოლებას (ზოგიერთს

არ უჭირს) ვერ ვახერხებ. ამ დროს დამტუქსავის, ჭკუის დამრიგებლის — მენტორის როლში თუ გამოვალ. პარლამენტში ამის უფლება არ მაქვს ჯერ მოპოვებული, შეიძლება, ვერც კი მოვიპოვო (???).

სწორედ ახლა გავისტუმრე მესურათე გაზეთიდან, გადავიღე ფოტო ხალათში, ბაბუაჩემის ქამრით.

ბენიამ დარეკა. ქუთაისში უნდა წასვლა, თუ ნუგზარი არ წამომყვა, მე წავალო. ბარემ მეც იქ მინდა. ქუთაისი გვიხმობს.

ელცინს მოერია პარლამენტი, იგი კიდევ შეავიწროვეს.

გაემარჯვა ჩეჩენს!

აწი რა მოხდება, ვინ იცის?

კარგი არაფერი — მოკლე დროში.

დარია. მზე. შაბათი, რიცხვი 13 — თარსი.

პულტის ნომერი პარლამენტში — 13. გამოცვალეს ყუთი და შემხვდა 13; ხაზია 13, მაგრამ ზუსტად ჩემი დაჯდა სათავეში — ცამეტქვეშ. კარგიცაა, ალბათ, ადრე 10:10-ით ვაგნებდი. არც ათიანებს მოუტანია სიკეთე.

13 მარტი, 93 წ.

* * *

კილოგრამ ხორცში დღეს მივეცი 1000 მანეთი. კიდევ გაძვირდება.

მიწებს დავარიგებთაო... და ჩავედით კრწანისში, ვეტ-ინსტიტუტის სამფლობელოში; რექტორი კამო და სხვები. გაიწყო სუფრა დიდი. შევრჩით საღამომდე, ქარი ქროდა. აქ სულ ქარიაო. ახლოსაა მეურნეობა „გიგანტი". სასროლეთზე დავყავდით იქ სტუდენტობისას — „ლაგერიდან". ვისროდით სხვადასხვა იარაღიდან.

გუშინ მშვენიერი მზე იყო. წუხელვე აცივდა, წაუჟამურამინდა დღეს...

ხორცი — 1000.

14. III. 93 წ.

* * *

ომია აფხაზეთში ძლიერი.

დაიწყო ისტორია რუსეთის წინააღმდეგ. შევარდნაძეც ჩაიყოლიეს, როგორღა გამოძვრება აქედან. საყოველთაო მობილიზაცია (ემზადებიან ამისათვის) უაზრობაა, დაღუპვაა; იმედი მაქვს მაინც, რომ გაშველდებიან, მხოლოდ – როგორ და რანაირად, აღარ ვიცი. ჭკუადამთხვეულ ნაძირალებს, უხსენებელსა და არძინბას ეწირება საქართველო. წერილი და ინტერვიუ უნდა შევაჩერო ხვალ სტამბაში. დავრეკე. ნატო ციციშვილი ავადაა, ფილტვების ანთება აქვსო, მგონი, ქმარმა მიპასუხა.

დღეს თბილისის ზღვაზეც აველით, მიწები ვათვალიერეთ. მოგვეწონა ნამეტანი ერთი ადგილი. სასადილოში, ქოიავას ყოფილ პავილიონში შეგვიყვანა მაინც მეურნეობის დირექტორმა – აბვლედიანმა. ვჭამე ნადირივით, სხვები კი ღვინოში ჩაწვნენ, ღორი რომ ტლაპოში გაგორდება – ისე.

ტელევიზორი არ ჰქონდათ, ვიღაცამ კი გლახა ცნობები ამოიტანა ქვემოდან, გავნერვიულდი. სუფრას ვერ ავაღლიტე ვერც ერთი. ხოზეს ჩემი ჩასაყვანი და უკან ამოსასვლელი ბენზინი დაენანა, შეიძლება, მართლა არ ჰქონდა. ახლავე ავდგებითო, მასპინძელმა. ძლივს ჩავუსწარი საღამო სხდომას. იქ გავიგე, რაც მომხდარიყო. კარგი რომ არაფერი იქნებოდა ჩვენს თავს, რა მიხვედრა ჭირდებოდა.

ხვალ გამგეობა.

ლევანმა დარეკა. ღრიალებდა – წამოდი მაგ სანაგვედან, წუმპედან, რა გაჩერებს მაგის გვერდით, ხალხი გლანძღავსო, პარლამენტში ერთი-ორი კაცი მაინცაა, იქ გაჩერდიო... გავბრაზდი, თუმცა მართალს გავდა...

ისე კი, პარლამენტი უფრო მიშლის ნერვებს (ვერთობი კიდეც), ვიდრე მწ. კავშირი; პრინციპში, ერთგანაც მიჭირს – მეორეგანაც.

სად წავიდე?

ვინ როგორ წავა, ვინ ვის გაასწრებს ამ დამპალი ქვეყნიდან...

P. S.

შემაშფოთებელი ცნობები აფხაზეთს ეხებოდა...

17. III. 93 წ.

* * *

დღეს მიღება გვქონდა:

120 მწერალი წარმოადგინა მიმღებმა კომისიამ. დავიტოვეთ ცოტანი. სამი უღირსი გავიდა, ამდენივე, თუ მეტი არა, ღირსეული დარჩა. 25-ში ვატარებთ საერთო კრებას. მოსაწვევებიც დავგზავნეთ რაიონებში. ფანჯიკიძეს უნდა, ერთი წლის ნამოღვაწარი წარმოაჩინოს. სხვა რა მიზანი აქვს, არ ვიცი. ფრონტზე გამოსწორდა მდგომარეობაო. პარლამენტი ისევ იმ დონეზეა.

გაზაფხული მოდის ნელა, იჟეჟება შარშანდელივით, უგემურად აპირებს ისევ შემოსვლას.

მეც ვარ... ისე რა!

17. II. 93 წ.

* * *

ტელევიზორს ვარ მიჯაჭვული.

რუსეთია აჭრილი, არეული, რას ჩაიდენს კიდევ ელცინი, კაცმა არ იცის. გადადგა პირველი ნაბიჯი და თუ არ მიყვა ბოლომდე, კარგად მეყოლოს. გაიმარჯვებს მაინც, ეგ უწერია! აგერ ჩვენ და იქით — ელცინი. დღეს 21 მარტია, გუშინ აიშალნენ, დღეს გავეშდნენ (რას ნიშნავს — გავეშდნენ, გავეშებულნი?). ელცინს დედაც გარდაეცვალა. „დერჟის, ელცინ“ — დიქტორმა ქალმა დაამთავრა ეგ ინფორმაცია გიჟის თვალებით. უმრავლესობა მაინც ელცინისაა, პროვინციებში — განსაკუთრებით. პარლამენტი, როგორც აქ, იქაც ეზიზღებათ და ეს განაპირობებს მაგ კაცის უპირატესობას. ტელევიზია კი, ჩვენი არ

იყოს, აძულებს ხალხს დეპუტატებს... უსაქმურები და მოლაყ-ბეები გონიათ (ასეცაა) „ხალხი რჩეულნი“. შევარდნაძემ სწორი ანალიზი გაუკეთა დღევანდელობას, რუსეთის პოლიტიკურ სი-ტუაციას. აფხაზეთიდან გამარჯვებული (?) ჩამოვიდა.

Надо распустить этот бардак! – გამურულმა რუსმა მეშახტემ თქვა. ასეა აქაც, ჩვენზეც ასე იძახიან. ჩვენიც უნდა დაიშალოს, ცხადია. შევარდნაძეს მოკავშირედ ვჭირდებოდით. არ გამოვიდა. კიტოვან-სიგუას წინააღმდეგ გვიპირებს გამოყენებას, სხვისი ხელით უნდა ნარის გლეჯა. პირიქით არ გამოვიდეს!

მარტი მარტობს, წუხელ ქარი იყო. დღეს ციოდა. გუშინ გაზაფხულის სუნი დატრიალდა და დავბელე კიდეც გარგარის თუ ჭერმის ხე. დიდი გაიზარდა, მაწუხებდა, დამფარა, დამ-ჩრდილა და დავძლიე მზეონას (ხის პატრონად(?) მოაქვს თავი) წინააღმდეგობა. ეს იგივეა, ხელი რომ მომაჭრაო. თითქო ჩემზე მეტად უყვარს ხე! გავალამაზე, სანთლებივით დაურჩა ტოტე-ბი. ვარკეთილში, თბილისის ზღვის მიდამოებში, მიწას გვაძ-ლევენ საუკეთესოს... თუ მოვაბით თავი და წელსვე, მაისამდე დავინაწილ-დავისაკუთრეთ! დაითესოს იქნებ კიდეც. რა ზომის სახლის ჩადგმის ნებას მომცემენო, თ. გრძელიძე კითხულობდა. ჯერ მიწა არ უნახია, სახლზე ფიქრობს. თავის დასარჩენ სახ-ნავ-სათეს მიწის ნაჭრებს იძლევიან, რატომ? გავაფუჭებთ და გავანადგურებთ მიწას, – სავარგულებს. დაიწყებენ უსახური, უგემოვნო, უსარგებლო სახლების მშენებლობას გაშმაგებით. ჩვენებური სიხარბით.

ლევანი იყო. ჯურხამ გამოუარა იორამს, წავიდნენ გივისთან. არ მცალია, მაგრამ ისეც არ შემოგიერთდებოდით-მეთქი. რეგ-ვენი მუხრანის ხელქვეითების მოსაშლელი ნერვები სადა მაქვს. გუშინ ოღია მოვიდა. ხშირად მაკითხავს, ხან – მთვრალი, ხან – ფხიზელი. შემდეგ გურამ კოხრეიძე ქალიშვილით, ქუთაისი-დან; გამეხარდა, გამიკვირდა კიდეც. ნელიმ დამირეკა, რატომ

არ მოდიხარო. მარტოა. მაკავებს, ცხადია, რაღაც. სამსახურში წვრილ-წვრილი ისტორიები, პარლამენტში — მეთვალყურის როლი, პოზიცია.

ასე მიდის დრო.

21. III. 93 წ.

* * *

კომუნიზმი, კეთილდღეობისა და თანასწორობის იდეა, ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. ხომ არ შეიძლებოდა, ეს სურვილი მიგესადაგებინა ბუნებისათვის, — ფლორა, ფაუნა, ხომ ვერ გაათანაბრებ მცენარეებს, მითუმეტეს — ცხოველებს...

ასეა ადამიანებიც. ისინი გაცილებით ერთნაირები არიან, ვიდრე მცენარეები და ცხოველები, მაგრამ სულით, გონებით, ნიჭით, ფერით ხომ განსხვავდებიან; სხვადასხვანაირნი იბადებიან, იზრდებიან და მაინც მითი ერთ თარგზე გასხვლა უფრო ადვილია, ვიდრე სხვისი. ამიტომ იყო ეს იდეა (მარქსიზმი) საშიში, ბუნების საწინააღმდეგო აქცია. ბრძენი იყო ლუარსაბი — თითებიც კი სხვადასხვა ზომისა და ფორმისანი იზრდებიანო... თანაცაო, მოურავი ესიტყვება, ხელს არ უშლიან ერთმანეთსაო. ასეცაა.

უსიხარულო ცხოვრება გვაქვს. მოსაწყენად ვერ მოიცლი, მაგრამ სიხარული არაა. ბენია და ნუგზარი გაემგზავრნენ ქუთაისში. მეც მინდა წასვლა, თუმცა აქაც მოვა გაზაფხული. ზევითაც სამუშაოა. მისახედია. ქუთაისში ბუხარი და მოსვენება გელის... აქ ყოველდღიური მუშაობაა აუცილებელი, ყველაფერი არ გამოდის... ერთი მისასალმებელი წერილიცა მაქვს დასაწერი, დაუწერლობა არ იქნება, მაგრამ გული არ მიშვება. ვწევ და არ ვწერ.

23. III. 93 წ.

3-3-3

* * *

გუშინ — ერთი წელი გამდივნებისა.

კრება გიგას რეზიდენციაში. სიტყვაც ვთქვი, სიტყვაც მოვიგონე — წელიდ-სწორი, — დღეისსწორის ანალოგიით.

წელთავი, წელწდობა (ახალი წელი) — ყოფილა მთათუშეთში.

წელ-სწორიც იქნება, წელსწორი...

შარან წელსწორს... 29-ში ფეხით გაველ მწერალთა კავშირში, ლევანთან ერთად. დღეს მარტომ გავიარე იგივე გზა — მარშრუტი.

ხილიანი, ტელევიზია — შემდეგ მხოლოდ მოგონებაა... ზოოპარკი. თბილისში დილის მატარებელს ჩამოყოლილი, ზოოპარკს ვაფარებდი თავს... ვაგონში (მატარებელი) ღამენათევს მეძინებოდა, საშინელი ხმა და ფარშევანგის საზარელი ხმა მესმოდა...

გადავუხვიეთ. ვარაზისხევი — სტუდენტობა, უნივერსიტეტი. სახლი ხევზე, ფასანაურის ქუჩა, შემდეგ ნიკოლაძის ქუჩაზე გადავედით. ფასანაურიდან უნივერსიტეტს შევყურებდი.

ღვინის ქარხანა — ღვინის ქარხნის ეზო, ოტია პაჭკორიას სახლი, ვალიკო თუმანიშვილის სახლი და

კალანდაძის ქუჩა — 18 ნომერი, ვცხოვრობდი იქ მცირეოდენი წყვეტილებით, დროდადრო; მცირე ხნით ბინას ვქირაობდით, 14 წელი, 1957 წლიდან (+14). ამ რამდენიმე დღის წინ შევიხედე ეზოში, სადარბაზოში, ყველაფერი ისევ ისე, ცვლილება არაა თითქმის.

ბარნოვის ქუჩა — ბაქრაძის სახლი. მამუკას საბავშვო ბაღი. იქვე ვასეირნებდი ერთსაც და მეორესაც, მჟავანაძისა და ჯავახიშვილის სახლები (მომწონდა, ვნატრობდი, შევყურებდი), მამუკას სკოლა იქვე, მიმყავდა, მომყავდა...

გოგებაშვილის ქუჩა — მამიდაჩემის სახლი. იქ ვჩერდებოდი სტუდენტობამდე, გამოცდების ჩაბარების დროს და ისეც. დავ-

წერე „ვაიმე ჩემო ვენახო“ – დღემდე შეუფასებელი (იქ კი არ დავწერე – იმ სახლზე დავწერე) ნაწარმოები.

მთაწმინდა, რუსული ეკლესიის წვეტი (არასოდეს არ მიზიდავდა), ფუნიკულიორის ქვედა სადგური. პანთეონი – იქ ვემზადებოდი გამოცდებისათვის, 1953 წელს, ინდივიდუალურად, ვაბარებდი ფილოსოფიის ფაკულტეტზე, უპატრონოდ და ვერც მოვეწყვე. ბინად ქვევით, დედას ბიძაშვილთან – ფურცელაძის 13, დილაალიონზე ავდიოდი ფეხით მთაწმინდაზე...

სარაჯიშვილის, ხოშტარიას სახლი. ვერ ვიხსენებ, პირველად როდის მოვხვდი შიგ, სტუდენტობამდე? ალბათ მოწიწება მიპყრობდა ყოველთვის. სახლი, როგორც სახლი, ბაღი, ხალხი. ახლა?

ახლაც დიდხანს, დიდხანს შემიძლია, დავაჩერდე ბაღს, სოჭის დიდ და მშვენიერ ხეს (გადაღმა ხომ „ცისკრის“ რედაქცია იყო – ყორის გადაღმა პირველი ნაბიჯები).

26. III. 93 წ.

* * *

გადარჩა ელცინი. ეს რაღაცას ნიშნავს. არ თქვას ვინმემ, საპრეზიდენტო კაცია მაინცდამაინც; ვერც უნდა შეენარჩუნებინა პოსტი წესით, მაგრამ ისტორია (იგი კანონზომიერების მონაა) ათამაშებს ადამიანებს. ერთმა დეპუტატმა თქვა (იმის გვარს ვერ ვიმახსოვრებ), მაგ კაცს ნგრევა შეუძლია მხოლოდო.

ნგრევისათვისაა სწორედ იქ ელცინი, ნგრევისათვის გვჭირდება ჩვენ, მსოფლიოსაც და ისიც ანგრევს, ღვთის ნებით, განგების ნებით (თუ ვისით?), რაც მოსახდენი იყო – მოხდებოდა, სხვა ელცინი გაჩნდებოდა და დასანგრევი დაინგრეოდა. მოსახდენის მწამს. როგორც ვარსკვლავებს ვერ შეუცვლის ადამიანი მიმართულებას, ისე ცხოვრების ლოგიკას, სიცოცხლის ბუნებრიობას ვერ გაამრუდებს.

რაც არ უნდა მოხდეს, — არ მოხდება... მოჭამეს თავიანთი წუთისოფელი მონღოლებმაც... სხვა დრო, სხვა პირობები იყო თითქოს მაშინ, არ გამოდგა სწორი. საბჭოეთი (მონღოლთა ბატონობასთან შედარებით) უფრო უდღეური აღმოჩნდა. არადა, თუ კატასტროფა მოახლოებული იყო, არ იგრძნობოდა.

ევროპა, აზია (ჩინეთი, ვიეტნამი, კამბოჯა, ინდოეთიც კი), აფრიკა, ამერიკა... წითლდებოდა თითქო ყველაფერი, არ გამოვიდა, ბუნების საწინააღმდეგო აქცია არ შედგა.

უცნაურად ათბა, მოულოდნელად. ზევით აველ, იქაც კი ცხელა და წავიმუშავე. ლამაზია იქაურობა, ყოჩივარდებია. მინდორი აბიბინდება ამ დღეებში. ყოველდღე იქ უნდა იყო, რაიმეს ხელი რომ დაატყო. სამად შეიძლება გაჭრა?

აღარ მინდა ბირმა და ნიკარაგუა.

თბილისი, ქუთაისი, მუხათწყარო. წყნეთი მიშლის ხელს, ჩემები წყნეთს მიაშურებენ და IV პუნქტი მემატება... ოთხად გაჭრილიც ძნელი წარმოსადგენი ვიქნები.

საათი გადავწიეთ კვლავ წინ. მზეონამ იკითხა, ნამდვილი დრო რომ იყო, ის დრო სად წავიდაო. სად წავიდა? არ ვიცი...

გაზაფხული, მარტი.

28 — 1993 წ.

* * *

ახლა უკვე აპრილია. გაზაფხულია. მზე. ცხელოდა კინაღამ. დღეს წამოშხეფა. წყლები, მდინარეები ადიდებული იყო ისედაც. ვანო თარბას ცოლი დაეღუპა: ჩემი ეთერი აღარ მყავსო, შემოგვტირა აფხაზური რუსულით. სამძიმრის დეპეშა შეგვახსენეს და შევადგინეთ კიდეც. დალაგდება ბოლობოლო ყველაფერი, დაღუპულებს აღარაფერი ეშველებათ მხოლოდ. თავისებური შეხედულებანი (ფილოსოფიური) ჰქონდათ შემუშავებული მოხალისე მებრძოლებს (ტელევიზიით მოვისმინე) ფრონტის ხაზზე. სიკვდილს ამართლებდნენ — არა მარტო ეროვნული

პოზიციით. იმ სიცოცხლესაო (ჭამა და არსებობა) გამართლება არა აქვსო, – დააბლოებით... არგუმენტი დამაჯერებელს არ ჰგავდა, მაგრამ იქ ჭრიდა; თავისივე საქციელის გასამართლებლად ყოფნიდათ, როგორც ჩანს, ზოგიერთებს.

მოვალეობა, ვალდებულება, იძულება, დისციპლინა, სამშობლოს დაცვის იდეოლოგიური რწმენით შეზავებული სამსახურია კარგი. მოხალისე, საბოლოოდ, სიკეთეს არ მოიტანს, მისი მოქმედება იმპულსურია. დაქირავებული ჯარი, სტრუქტურა დაქირავებისა (შენიანი, სხვისიანი) უკეთესია. სავალდებულო სამსახურიც (მატერიალურად ასე თუ ისე უზრუნველყოფილი ოფიცრები, ჯილდოსა და სახელის მომლოდინე ჯარისკაცი) სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტია.

წიგნი მიდევს წინ – „ბორის პაიჭაძე“, ხუთჯერ რომ გადაიკითხო, ვერ მიხვდები – ვინ იყო ეს ბორის პაიჭაძე, არ წერია და რას მიხვდები! მტკიცება დაუსაბუთებელი: დიდი ფეხბურთელი. ამან ასე თქვა, იმან ისე: შევეკითხეთ ვიღაც ხუ-ის – როგორი ფეხბურთელი იყო? ხუ-იიმ გვითხრა, რას ამბობთ – კარგი და ასე შემდეგ. მახსოვს, ქუთაისის სტადიონზე, ომის დროს – 43 წელია, შეიძლება, 44-იც. ქუთაისის „დინამო“, თბილისის „დინამო“. თბილისმა მოიგო 2:0. ორი ბურთი გაიტანა პაიჭაძემ ერთ კარში – ორივე ერთნაირი დარტყმული, – ერთ კუთხეში – დაბალი, მუხლის სიმაღლეზე... ნათლად მახსოვს. ტაში, ფეხბურთელების გადალაპარაკება, გამტანის გამომეტყველება – დიდი არაფერი მომხდარაო. ეგ არაფერი. ერთი ბურთი ერთ ტაიმში გაიტანა, მეორე – მეორეში, ერთსადაიმავე კარში (დასავლეთის ტრიბუნიდან ხელმარჯვნივ). როგორ მოხდა ეს? ერთი ტაიმი საკუთარ გუნდში ითამაშა, მეორე – მოწინააღმდეგისაში (ქუთაისის „დინამო“) ალბათ. შემდეგ ვნახე ვეტერანებში, 60-იანი წლებია. უფერული თამაში. შთაბეჭდილებაც იმდაგვარი. ერთხელ ისა და ბერძენიშვილი – მიხეილ ბერძენიშვილი (პენალტების ოსტატი) სვამდნენ სტადიონის პავილიონში, შიგ ბუფეტში, დახლიდართან (სტადიონის რეკონსტრუქცია იყო,

თამაშები ვაკეში ტარდებოდა). გინდა თუ არა, მივიდეთო, ჭარხალამ დამიჟინა (მთვრალები ვართ), ძალით მომიყვანა თითქმის. ბორია შეწუხდა, წამოდგა, ბერძენიშვილი უკმეხად მოიქცა, ვინ არიან, რა უნდათო. ჭარხალამ გაახურა, თუმც არ გადაუჭარბებია. დავილოცეთ, გამოვედით. ბორია თავად იხდიდა ბოდიშებს. ცუდი სიმთვრალით იყო ცნობილი. იმ მომენტში ალბათ არ იყო მთვრალი. ესეც სამოციანი წლების ბოლოა. სტადიონი შენდებოდა ხელახლა, ეზოში ფიცრული პავილიონი-სასადილო. შემდეგ ქვევით, მესრისაკენ ჩაიტანეს, პოეტებმა (მამფორია, ჭელიძე – სხვებიც იბრალებდნენ ავტორობას) იქაურობას „სევდის ბაღი“ უწოდეს.

3. IV. 93 წ.

* * *

6 აპრილია. უკვე ცხელა. გაცივებული ვარ შარშანდელივით. ყელის ტკივილი. ახლა გრიპოზული მოვლენები მეწყება. გამოვიდა, ბოლობოლო, „ცისკარი“, შარშან დეკემბერში რომ უნდა გამოსულიყო წესით და კანონით. „კუდიანი ვარსკვლავი“, ჩავჩერებივარ, ვკითხულობ. სრულებითაც არ მგონია მე იგი ჩვეულებრივი და რაც მეტს დავაჩერდები, არაჩვეულებრივსაც ვეღარ აღმოვაჩენ, ისე ვატყობ. მამუკას დაბადების დღეა ხვალ, 35 წლის გახდება. „ჩემი ცხოვრების ნახევარი გზა“ უწოდა ამ ასაკს დანტემ... ბენიას ხნის კაცი მოვიდა, გვარად კიკვიძე, 7-ში ვარ დაბადებულიო. ხელი და თვალი ომში დაუკარგავს. პოემა გამოუცია წიგნად. სტალინს მიტირის.

დავიწყე, უფრო სწორად, განვაახლე რადიონოველების დაწერა-გადაცემა... ერთი გადასცეს პაუზის შემდეგ. სამი გამზადდა... ორი ხვალვე შემიძლია ჩავწერო, დანარჩენებიც მოფიქრებული მაქვს... შემდეგ სხვა იქნება. ხვალ სტუმრიანობა... აქა-იქ...

ზევით ხვნა-თესვა. აღდგომა და ქუთაისი.

6 აპრილი, 1993 წ.

* * *

გუშინდელ „ქართულ ფილმში“ დაიბეჭდა ჩემი რაღაც. გუშინვე (წერილმა და ინტერვიუმ) შემამთხვია პირველი უსიამოვნებაც. დღეს აღარავინ გამომხმაურებია. 9 აპრილია, ელოდნენ ექსცესებს და შემდგარა კიდეც იქა-იქ თბილისში, მცირე მასშტაბებით – სხვაგანაც, გაყინული ტვინებით. რადიონოველაც გადაუციათ, ამაზე კი შემეხმიანა ვიღაც, ისე კი არა, ასე ჯობდაო. გაზეთი უნდა გამოუშვან – „ოკრიბა“. დავპირდი მასალას გურამ დიდბარიძეს და შემახსენეს მისი სახელით. თუ მოვასწარი, ადრე შეგულებული მოთხრობის (ნამდვილი ამბის) სიუჟეტი უნდა დავაძრო. მანამდე ვერა და ვერ დავიწყე – ხიბარო (საგაზეთოდ) და სამი (3) ინტერვიუ: ერთი ტელევიზორით, უკვე ორშაბათს... დავიწყო უნდა გუნებაში კითხვა-პასუხის დალაგება. მამუკა მოსკოვში გაფრინდა. ტელეფონის ზარს ველოდებით. გაზაფხული გაზაფხულობს, თუმც დღე ღრუბლიანი იყო, წამოშხეფა კიდეც.

გრიპოზული რეციდივები არ მშორდება.

9. IV. 93 წ.

* * *

მიხო იყო. მოვილაპარაკეთ ჩაწერაზე. კითხვარი გაუმზადებია. პასუხებზე არც ვფიქრობ, არ მინდა, წინასწარ ვიმტვრიო თავი. ჩავწერ, რაცაა და როგორცაა... ასვლას ვაპირევდი ზევით და გაავდარდა. წვიმდა და წვიმდა დღეს. ბზობაა, არასოდეს მქონია ამ დღეს საზეიმო განწყობილების მაგვარი. იყო ბზობა და ბზების მტვრევა. გულს შემომეყარა, გუბაზმა რომ სამი კონა ბზა შემოიტანა. ბაზარიც მიჰქონდა ბზას. ამტვრევენ, ყიდიან, გაბდღვნიან მოწამეთაში ბზას. 7 ნოემბერს და 7 მაისსაც ანადგურებდნენ ადრე, სახლების ფასადებზე კიდებდნენ გირლიანდებად. ახლა ბზობა უღებს ბზას ხელს, ერთდღიანი ჯობს მაინც. აღდგომას, ეტყობა, აქ შევხვდები, მერე იმ დღესვე წავალ ქუთაისს. არც ჩემი მინდა სუფრა, არც – სხვისი. 21-ში

ლევანს (ლელიკოს) უნდა გადავუხადოთ 5-6 კაციანიო. ზ. არობელიძე შემხვდა, მთხოვაო. მე ვუთხარიო, თუ რეზო იქნება, კი ბატონოო. ვიქნები-მეთქი, დავპირდი. ფანჯიკიძეს დიდი სპონსორები ჰყავს ამ საქმისათვის, მე – არა. რომ მოვინდომო კიდეც, ვერ დავავალებ (თხოვნაზე ზედმეტია ლაპარაკი) ვერავის, არც ვიცნობ მდიდრებს... ქუთაისი სხვაა: უთხოვნელად კეთდება და გაკეთდება კიდეც, საჭირო რომ იყოს.

11. IV. 93 წ.

* * *

ყარამანი შემხვდა, მგელაძე – ცოტა ნაყაფი. არ ჩაწერო რადიოშიო, ცუდად კითხულობო, შემომყარა გულს. სხვები გეტყვიან – კარგია, მე გეუბნები, – არ ვარგა. მსახიობებს მადარებდა თუ ამბავი არ მოწონდა, ვერ გავიგე. ე. ი. ცუდად ვკითხულობდი თუ ცუდს ვკითხულობდი. ერთიცა და მეორეცაა, ეტყობა, არადა, სწორედ დღეს ჩავწერე ორი... იქ ქე მომწონს და აქ (გარეთ) ვერ ვუსმენ, რადიოს არ ვრთავ (სად მაქვს, რომ ჩავრთო), არც ვეძებ. მომდევნო გადაცემას (ამ პარასკევ-კვირას ტოვებენ) უნდა მოვუსმინო საგანგებოდ. არტისტებს რომ მადარებს და იმათი სიყალბის ფონზე არ მოვწონვარ, ეს კარგია, მაგრამ სხვა რამეც აწუხებდა. დაწერო უნდა, დაწეროო. გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას მიქებდა. ამეხილა თვალებიო (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა), მივხვდი, რაც მაწუხებდა, შენ თქვი მხოლოდ სიმართლე, შენ სხვანაირად არც შეგიძლიაო.

გოგია ხარაბაძემ გაზეთები წაიღო, ერთი მოთხრობა უნდა წაიკითხოს. ოღიას მივეცით პრემია. გარდაიცვალა გალინა – შუქრის დედა. დაკვდომია შვილს საფლავზე, მკვდარი ენახათ...

ორი დღით ადრე მ. ლებანიძემ გაიხსენა ტელევიზორში, იყო ასეთი და ასეთი კაციო, თქვა. შუქრის გარდაცვალებიდან კი ბარე 10-12 წელია (მეტიც ალბათ) გასული. ზურიკო ნემსაძეს არ ჩამოუვარდებოდა სიზარმაცით, მაგრამ რაღაც შინაგანი დისციპლინა ჰქონდა, მოვალეობის შეგრძნებაც აწუხებდა.

მამუკას ამხანაგი შემოვიდა. ჯაბას ფული ჩამოვუტანეთ მოსკოვიდანო. რა ფული, რისთვის, რა საქმისათვის, — აღარ ჩავაცივდი. თავის ჯარს, თავის საქმეს — ძალაუფლებას ახმარს ალბათ. კიტოვანს — სხვები, ჯაბას — თავისი, შევარდნაძე — ფონდი ხაბეიშვილითურთ... საქმე კი უკან და უკან.

კარგი აფერი საამქვეყნოდ...

16. IV. 93 წ.

* * *

წავიდა აღდგომა. დღეს მკვდრების დღეა. წვიმიანი ორშაბათი. გავედით სასაფლაოზე წვიმაში.

ყველაზე კარგ სასაფლაოდ დარჩა თბილისში. ზემოდან დაჰ-ყურებს ვაკის სასაფლაოს, მიედინებოდა ავტომანქანების ქარავანი. ფეხოსნები ბილიკებით იმოკლებდნენ გზებს. მიჰქონდათ ყვავილები და მიდიოდნენ წვიმაში. აქ სიწყნარე შედარებით. არც სროლა (გვარდიელთა ნაწილი), არც ექსცესები. პურმარილიც არავის ჰქონდა გაშლილი, თვალშისაცემად ამოტანილი, მხოლოდ ყვავილები, წითელი კვერცხები, ისიც ზომიერად. კეთილმოწყობილიც უკეთესია, სხვაზე უკეთესი. სისადავე, გემოვნება იგრძნობა (შედარებით), ვაკის სასაფლაოზე ველარ გადავედით. საცობში მოვხვდებოდით, უეჭველი იყო. ანზორი ძალიან ცუდადაა. მისი დღეები, სამწუხაროდ, დათვლილია. მოქუთაისებას მაინც მოვასწრებდე! გუშინ, შიგ აღდგომას, ჩემი გადაცემის მონტაჟს დავესწარი, — კიდევ კარგი! ამოვაყრევინე რაღაც-რაღაცეები. მაინც უსახური (და არა უინტერესო) დარჩა; არა ვარ, როგორც ირკვევა, მოლაპარაკე არსება. ბევრი ობიექტური... ობიექტური კი არა — ტექნიკური უსწორობა მიშლის ხელს: ხმა, კბილები, სურდო. იმ დღეს, ყველა სიკეთესთან ერთად, სურდოც მაწუხებდა.

19. IV. 93 წ.

* * *

პატარა მოთხრობა დავწერე — „ხიბარო“. „კომუნისტში“, ამ სახელს ვეძახი კვლავ იმ გაზეთს, მინდა დავბეჭდო, პატარა ინტერვიუსთან ერთად. გადასაბეჭდია და მეზარება დაჯდომა. მაჟრჟოლებს კიდევ. თუ შემიბრუნდა გრიპი, ქუთაისში გავწამდები, აქ კი, იქაც თურმე, კვლავ წვიმს.

შეშფოთებულნი იყვნენ დღეს კიტოვანის ორჭოფობით, გაუგებარი საქციელით, გვარდიელების ნარკოტიკებზე ნადირობით. ავის ნიშნები იგრძნო ემზარმა. მოწყენილი, მოღვერილი იყო. ინსტიქტით გრძნობს ხშირად სიავეს. შევარდნაძე კი თურქეთში გაემგზავრა ოზალის დაკრძალვაზე. სათურქეთოდ აქვს საქმე?!

ნელისთან ვაპირებდი დარეკვას...

ხვალ ბევრი საქმე მაქვს: ლევანის დაბადების დღეზე უნდა ავიდე, რაღაც მომენტში ამოვალ-მეთქი, დავპირდი.

20 აპრილი, 1993 წ.

* * *

ქუთაისი, 22 აპრილი. ჩამოველი დღისსულზე. პარლამენტიდან, დღის სამის ნახევარი იყო, აქეთ გამოვეშურე თ. იოსელიანთან ერთად. უღელტეხილზე — ნამქერი ფიფქები მოჰქონდა შორიდან ქარს.

აქეთკენ: ალაგ თოვლი, ალაგ მზე, ალაგ წვიმა და ხოშკაკალა, შეთრთვილული მწვანე ტყე. ასეთი ფერები სხვიმის არ დამიმახსოვრებია: თეთრი და მწვანე, რაღაცნაირი მწვანე — ღია და ნაზი.

ქუთაისში ჟგეთი. რიონი შავად მოედინებოდა. ამ დილით წამოთოვა კიდეც (22. IV), სახურავები გადაათეთრა. აპრილი გამარტდა. თემომ მითხრა: ევროპაში აპრილს მარტივით იხსენიებენო. რაც აქ მარტშია, იქ აპრილშიაო. ჭინჭყლსა და ქალურს უწოდებენ თურმე ამ თვეს. ეს კალმისტარი მელნისფერია, მამუკამ მაჩუქა.

ხვალ 23, ზეგ 24. „იბერვიზია“, „მაცნე“... მივდივარ, ველარ მოვასწრებ-მეთქი. რომ ჩამოხვალ, მაშინ ჩავწეროთო... კვირას ან ორშაბათს. იმ დროისათვის ვიქნები-მეთქი.

აბა რა გიყოთო, არ უთქვამთ.

22. IV. 93 წ.

* * *

23-ია. დღეს გამოიდარა. ვიყავი იუზასთან, ვარციხეში, წისქვილში. ცოტაც წაიხემსეს ბიჭებმა.

ახლა გადავარსკვლავებული ცა ჩანს. ხვალ კარგი ამინდი იქნება, უეჭველად. მოწამეთაში ვაპირებ ასვლას, წყალწითელას ხეობით, ჭახათამდე ფეხით (როგორც მქონდა ჩათქმული — ისე).

გურჯიევის ლექციების ქართული თარგმანი წამოვიღე „საგანთიადედ“. ლაშა დადიანს უთარგმნია მშვენივრად, „განთიადმა“ კი უკუსვლა, კვლავ გაალმანახება დაიწყო და მენანება. თარგმანს დავტოვებ, ეგრე ვიზამ...

ლექციებში კი რაღაც ჩემთვის ფრიად საინტერესოც აღმოვაჩინე: თუ ღმერთმა თავის ხატად შექმნა ადამიანი, — ადამიანები... — სამყარო, შემოქმედი უვლის, პატრონობს ყოველივეს, უპირველესად — ადამიანს. ადამიანმა უნდა შეძლოს თავის მოვლა — თავის მართვა, საკუთარი თავის ღმერთი უნდა გახდეს... დაახლოებით ეგრე წერია... ეგრეა ზუსტად, მისაღებია: შენს თავს — სულს, სხეულს უნდა ფლობდე, განაგებდე; შინაგან პოტენციას (ღვთის წყალობას), მატერიალურ და სულიერ რესურსებს უნდა იყენებდე, უნდა ავლენდე და ასე შემდეგ...

ბევრი რამ კიდევ...

23. IV. 93 წ.

* * *

მშვენიერი ამინდი. დღე მშვენიერი მოწამეთადან ჭახათამდე. წყალწითელა მოდიდებული. სანაპირო კლდეებზე ბღოტიალი. ლამაზი, სუფთა სანაპირო ალაგ-ალაგ. ერთი მონაკვეთის, ერთი მუხლის გადალახვა მაინც ვერ შევძელით და შორიდან მოვუარეთ. დავიღალენით (მე, იუზა გუნცაძე, გონერი ჭეიშვილი), დაღლად ღირდა, მშვენიერი სუფრა ბოლოს... შინაურები, ახლობლები და ქეც გავხდი ამასობაში 60-ს.

ტელევიზორეთში თავი მაინც არ მომეწონა. უკმაყოფილო დავრჩი მაინც, თუმც, არ იყო ცუდი.

შაშიაშვილმა: ქურდები ჩააბაო „საზოგადოებრივ ფერხულშიო". ამაზე ლაპარაკი იყო სუფრაზედაც; ქურდების რესპუბლიკა ყალიბდება.

24. IV. 93 წ.

* * *

გუშინ, 25-ში, ქარსიცხე. ვნატრობდი ქარს და ამოვარდა: სასაფლაოზე ავედით. ლეილა, ბენია, მიშიკო, გურამ კოხრეიძეც აგვყვა. მივასუფთავეთ... შემდეგ სუფრა ავთო ყურაშვილისას. მეზობელმა მისმა, ჭიჭიკომ, შარვალი მაჩუქა.

დღეს ისევ მოიღრუბლა. აცივდასავით. ახლა შუადღეა და აღარ ცივა. კომბალს ვთლიდი ეზოში და ვფიქრობდი: პირველი აპრილია, როცა ზურიკო აღარაა-მეთქი. ახალი ამბები ამოჰქონდა ქალაქიდან. ახალ ამბებს მახვედრებდა ხოლმე. აქა და აქ და იქ ვართ წასასვლელიო (ქორწილი, გასვენება, ორმოცი), შემახსენებდა... ადრე გურამ მეტრეველი კისრულობდა (დაუვალებლად) ამ ფუნქციას. გურამი 1973 წელს დაიღუპა. გასულა 20 წელი. შარშან სექტემბერ-ოქტომბერში ზურიკო აქ იყო და იმჯერზე მე თავად ვაკითხავდი შინ ავადმყოფს, ხვალ კი მისი დაგვიანებული 40-ია. ერთი კარგი ქუთაისელიც გარდაიცვალა — ძუკუ ჯიმშელეიშვილი. დაკრძალვა ხვალ. 2 მაისამდე ვაპი-

რებ დარჩენას, თუ გავძელი, თუ ჩამოსაბრუნებელი არ შევიქენი (დავრეკო უნდა), გავჩერდები.

26. IV. 93 წ.

* * *

28 აპრილი. ოთხშაბათი. ქუთაისი.

დარეკეს, გარდაცვლილა ჩემი მზახალი, ანზორ მუსერიძე. ველოდი და მაინც შევფოლოცდი, ძალიან მეწყინა. რავარი კაი კაცი! შაშიაშვილმა დარეკა — სიგუა ჩამოდის ზეგ, უნდა დავხვდეთო, ოტიაც მოიკითხა. მოვალ დილით-მეთქი, აღარ ვუთხარი — ასეა და ისე ჩემი საქმეთქვა. ავემგზავრო უნდა ხვალვე. სხვა გზა არაა. დღეს გავედი ქუჩებში, ქალაქი ჩვეულებრივად, უპანიკოდ, მაგრამ უხალისოდ ცხოვრობს. გონერისთან ერთად შევედი იმ სკოლის ეზოში, სადაც ერთი წელი ვსწავლობდი. ეს იქნებოდა 1946 წელი. ერთხელ გამახსენდა მხოლოდ (არაფერი იქაურობასთან არ მაკავშირებდა თითქოს) და ეზოშიც არ შევსულვარ. ახლა შეველ და არცთუ უსაფუძვლოდ. ისევ ის — ნახევრად ხის, დაფხავებული შენობა. დაბალი კიბით. შუშაბანდით — უკვე სანახევროდ დანგრეულით. შევედი: სამასწავლებლო, კლასი. ერთი ოთახი, მეორე. მეექვსე კლასი დავამთავრე თუ ვერ დავამთავრე. პარკეტი აყრილი, ჭერი ავარდნილი. სულ ცოტა ხანში იქ აღარაფერი დამიხვდებოდა.

25-ში ვარდციხეში.

იუზას ძაღლი გამახსენდა, გონერის ვუყვებოდი, როგორ გააშვილა იუზამ და როგორ იწყინა ძაღლმა და სხვა. ამასობაში იმ სახლს მივადექით, სადაც ძაღლი ჰყავდა გაბარებული (თევზი გვინდოდა), გამოვიდა მასპინძელი: შენი ძაღლი რექსი მოგვიკვდა წუხელიო. რას ამბობო, შეწუხდა ყოფილი პატრონი წამიერად.

დღეს კოკლი და ავთო ამომყვნენ, ცოტა შესვეს. კოკლიმ ჩემი მზახალი ადღეგრძელა, ღმერთმა უშველოს იქნებო და თურმე

მიცვალებულს ადღეგრძელებდა ცოცხლად. გასამდა, ეგრე ხდება ყოველთვის: დედა, ცოლი... ჩაითვლება გასამებად? ნუთუ ბენია? ანზორი. ამაზე უნდა დამთავრდეს. ჩემამდე აღარაფერს უნდა მოველოდეთ... ეგრე არ გამოვა! წამცდა და აღარ წავშლი...

28 აპრილი, 1993 წ.

* * *

7 მაისი. თბილისი. შაბათი. ცა მოქუფრული. არ ცივა სამაგიეროდ. ღამდება. არ წამოუწვიმია. მზესაც არ გამოუჭყეტია. რა იღბალი ჰქონდათ კომუნისტებს! წამოიღრუბლებოდა დილითვე, წამოწვიმდა კიდეც. შემდეგ მზე აბღდვიალდებოდა და იყო ზეიმი. თბილისში ორჯერ გაველ სულ (შეიძლება, სამჯერაც?), ორჯერვე სპარტაკ ბაღაშვილთან მომიწია სტუმრობა. ორივე სუფრა ერთნაირი (ხომ არ მეშლება?), ეგრე იყო. თბილოდა კი არა, ცხელოდა მაშინ, ფეხით, „ვორონცოვის ხიდით", სადღაც იქით, ძველ ქუჩაში, ძველ უბანში, ძველი ეზო. სპარტაკის ბინა (მგონი, მამისეული), მიწის პირზე, სართული არ ეთქმოდა, დაგვხვდნენ: მეუღლე და დაი სპარტაკისი. ქალი ფრიად საინტერესო. ყურადღების მიუქცევლობა (არა მარტო ქალობის გამო), არაფრით არ იქნებოდა. ხმაც შთამბეჭდავი, წარსული დროისა. გიტარაზეც დაამღერა. თამადა – იოსკა თარხნიშვილი. ანზ. სალუქვაძე, მ. სარალიძე, ირაკლი გოცირიძე, თქვენი მონამორჩილი (ვიღაც, შეიძლება, საშა მახარაძე მრჩება). იქიდან მერაბ სარალიძისას გადავინაცვლეთ. ბერიკაცი, ძველი ოფიცერი, იოსკა, თან წამოგვყვა. მერაბის დედას – მარგალიტას მოეწონა, ნამდვილი მამაკაცი ვიგრძენიო. მერაბი იხრჩობოდა სიცილით, რა უხაროდა, ვერ გავიგე!

დღეს 7 მაისი...

დაამტკიცეს თუ არა – „თამარის ორდენი" – არ ვიცი. ტექსტი – ჩემი, იდეა – სხვისა და ჩემი, იმას პრემია უნდოდა, მე – ორდენი...

გავიტანეთ სხდომაზე. გადაეცეს კომისიასო. ლანას ჩავაბარე, ტარიელს დავუბარე: მიხედე-მეთქი. ნუთუ არ გავიდა? პრესაში არაფერი თქმულა; გაზეთიც „კომუნისტი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, თავის „აბჯრიანად“) არაფერს იუწყება.

1 მაისსაც არ ახსენებენ. ასეც არი, ასეც უნდა ყოფილიყო. ღირსსახსოვარი დღეა მაინც. ვარდობის თვის პირველი დღე. თამარობას 14-ში გადაიხდიან... არაა სწორი...

7. V. 93 წ.

* * *

დიდი შეხლა-შემოხლა პარლამენტში დღეს. ჭაბუამ – მკლავი წამერთვაო, მარცხენა ბეჭი და ხელი მოისინჯა, დილით თუ წინა დღეებში დამართნია. გაივლის-მეთქი, დავამშვიდე ვითომ. თითქო კიდევ ამდაგვარი რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ შესაფერი მომენტი (რია-რია) აღარ დაგვირჩა. ვაჟა ადამიამ დაუძახა ზემოდან, მოგივლი მე შენ, სხვანაირად დაგელაპარაკებიო. პრეზიდენტს არ ეპუებოდა და სახელი იშოვნა, ჯაბასაც შეუტია და ჭაბუასაც, სახელის შოვნის მიზნით, ცხადია.

ქუთაისში, ჩემს საძმოში, ბიჭებმა დაიწყეს მსჯელობა, მართლა ჭაბუა ამირეჯიბის დაწერილია ის წიგნი თუ არაო. გურამ კოხრეიძემ გაიოცა, შიგ არა სწერია, სხვისი დაწერილიაო, მე ასე მახსოვს, თავად ამბობს: ვნახე და ვაქვეყნებო. ეგ ხერხიაო, აუხსნეს. რანაირი ხერხიაო, ვერ გაიგო. რუსთაველი მოიშველიეს – ესე ამბავი სპარსულიო და ვერ დააჯერეს, მაგი სხვააო. არადა, იქნებ არცაა „ხერხი“. იქნებ მართლა ნახა და „გარდაჰქმნა“? მეც მაქვს „პაპიაშვილის ბრალდების საქმე“, ესეც ხერხია? მე მართლა მომყვა ხელში ქუთაისის არქივში ერთღიანი ქექვის დროს ის მოხსენება თუ ახსნა-განმარტება. დავიმახსოვრე და შევაკეთ-შემოვაკეთე, უფრო მეტიც: მიწის-

მზომელი (ვითომ იმან ნახა...) დავურთე წინ, ეს კი სულაც აღარ იყო საჭირო, თუმცაღა ამ მიწის მზომელით სხვა ნოველების დაწერასაც ვაპირებდი. ეს იყო. ზოგს ტყუილი „ხერხი“ ჰგონია. მკითხველს ისეც შეუძლია იფიქროს და ასეც, გინდაც მართლად ჩამითვალოთ, გინდაც მოგონილად. იგივე გამოვა „გულო ჯანდიერი“... გამოვიყენებ გამოგზავნილ წერილებს, დღიურებს და იგი მაინც ჩემი დაწერილი იქნება, მხოლოდ და მხოლოდ — ჩემი. გინდაც გამეგონა, გინდა რვეულებად მენახა, ერთი და იგივეა. უფრო მეტიც: მოგონილი, შეიძლება, უფრო „ზუსტად“ გადაიტანო ქაღალდზე, უფრო მეტი დოკუმენტურობა შეიძლება მიანიჭო. აქ პირიქით მოხდება, ჩანაწერები ბიძგად მეყოფა, თუმცაღა, მართალია, რომ არ ჩამვარდნოდა (არ გამოეგზავნა) ეგ მასალა, ჩემს დღეში ამნაირი ნაწარმოების (აწი რომ უნდა შეიქმნას) დაწერა არ მომაფიქრდებოდა. ისე რომ, პატ. გ. კოხრეიძეს არც ისეთი დიდი სისულელე უთქვამს, როგორც მოეჩვენათ. „ვაიმე, ჩემო ვენახოც“ ხომ ნამდვილ საბუთებზეა — ოქმებზე, საჩივრებზე, დადგენილებებზე, გადაწყვეტილებებზე აგებული. „ასკილის წითელი ყვავილი“, — სუფთა ფანტაზია და ასე შემდეგ...

დღეს დავასაფლავეთ ანზორი. ყველაფერი ჩვეულებრივად, წესისა და რიგის მიხედვით გაკეთდა და ბოლოს მაინც გაუკულმართდა ჩემთვის (ქელეხზე არ წაველ), რისი და ვისი ბრალია, ხომ ვიცი, მაგრამ ჩემი გლახა ამპარტავნობისა (არადა, სწორად მოვიქეცი) და ახირების შედეგიცაა, რაჭველი კიდევ რაჭველია... ესეც ხომ ვიცოდი, ამაზეც ჩემი მოსაზრება მქონდა და დაკვირვება არ შემიწყვეტია მათზე. შეურაცხყოფილი დავრჩი, შესანდობარი არ შემისვამს, ეს საქმეა!

ამინდები გასწორდება, გამზევდება საქმე, საერთო საქმე ჯერ არ გამოსწორდება.

4 მაისი, 93 წ.

* * *

გაზეთი „ოკრიბა“ უნდა გამოვიდეს. დამავალეს და დავივალე მასალა – მცირე მოცულობისა, ცხადია; გამაფრთხილეთ წინასწარმ-მეთქი. ამა და ამ დღისათვის გვჭირდებათქვა. მეძებდნენ თურმე შეთანხმებისამებრ, მწ. კავშირშიც მოსულან, წერილი დამხვდა და აგერ სამი დღეა, აღარავინ შემხმიანებია. მე მაინც მოვხაზე ნოველა „საოკრიბე“ – ისტ. ნოველა. ერთ დღეში მზად მექნება. თუ არ ამაჩქარეს, ინტერვიუს მივუბრუნდები. კითხვები დამაყარეს და პასუხები უნდა გავცე ნორმალური. ხვალ საპარლამენტო დავიდარაბა. შემდეგ: სტამბაში უნდა შევიარო, „საპარლამენტო სიტყვა“ იბეჭდება და უნდა შევასწორო ალაგ-ალაგ...

ამინდი მოქუფრული. კიდევ კარგი, აღარ ცივა. უცბად ჩამოცხება, ვხვდები.

V. 93 წ.

* * *

წვიმს. ალბიონი გახდა თბილისი. დიდი მღელვარება იყო პარლამენტში. მოლოდინი გამართლდა. არნახული ერთსულოვნება. ყველა გრძნობდა პასუხისმგებლობას. დაინიშნა და დავამტკიცეთ ყარყარაშვილი. არც ეს კაცი მეხატება გულზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, სხვა ვარიანტიც – არა. სწორად მოიქცა შეფი ამ ეტაპზე. ეს ორი (კიტოვან-ყარყარაშვილი) გათიშა, ერთმანეთს დაუპირისპირა. ჯაბამაც ივაჟკაცა, – გაეცალა თითქოს ისიც. თუ სხვა რამ გართულება არ მოყვა ამ ფაქტს – ძალაუფლება აიღო შევარდნაძემ. სიგუა, ადრე თუ გვიან, წავა. შემდეგ თავად მეთაურიც – როგორც დავწერე, როგორც ვთქვი, წინასაარჩევნო პროგრამაში, ესეც ვთქვი, რაც მოხდა, გამოვაქვეყნე კიდეც.

თავი ამტკივდა ნერვიულობისაგან.

რეზო ჯაფარიძეს ხელი შევაშველე კიბეზე – წნევამ ამიწია და მაბრუალებსო.

V. 93 წ.

* * *

7 მაისი. პარასკევი ღამეა, წვიმს გადაუღებლად.

სადამდე შეიძლება, იწვიმოს?

თ. გრძელიძესთან წავიხემსეთ, შემდეგ გ. ფანჯიკიძესთან გადავინაცვლეთ. გრძელიძე თავად, მე, ემზარი და მასპინძელი. წყალში გარეული ხვანჭკარა შევსვი ნახევარ ბოთლამდე...

პასუხებია მოსაფიქრებელი და დასაწერი „ლიტ. საქართველოსათვის“.

სხვა რამ საინტერესო არა მომხდარა რა.

კიტოვანსა და ჯაბას მიუბოძეს ორდენები I ხარისხისა (ვახტანგ გორგასალი) და კარგიც ჰქმნეს.

წვიმს.

წუმს!

V. 93 ₹.

* * *

48 წელი ომის დამთავრებისა.

აზეიმებენ. ზეიმობენ დილიდან. მაგათმა ტელევიზიამ გვამცნო ალიონზე, ჯ. იოსელიანს და თ. კიტოვანს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენები მიუბოძესო. გორგასალი არ უთქვამთ, ვახტანგ I (პირველად გავიგონე), ისიც თურმე – „დლია უტეშენიუ“. თითქოს დღევანდელი მაგათი 9 მაისი სხვანაირი იყოს. ვერ ინელებენ გამარჯვებას. ჯერ ჰქონდათ ბოროდინო, შემდეგ რევოლუცია. ერთი წყობილების დანგრევის სიხარული მრავალთათვის, გაუნელებელი მწუხარება უმცირესობისათვის.

შემდეგ – დიდი ომი გერმანიასთან. გამარჯვება. მოვიდა – 48, ჩაათავებენ 49-50-საც და შემდეგ რა ჩემს ფეხებს გამოიგონებენ?!

ახლა სტალინზეა ლაპარაკი ტელევიზორში (ამ კაცსაც ვერ მოიშორებენ), გაითავისებენ თანდათან, ერთი პერიოდი გაუცხოებისა ჰქონდათ. ხელისკვრით იშორებდნენ, როგორც არარუსს.

ახლა არუსებენ, — ეს ტენდენციაა.

მოქუფრული დღეა. ხალხი ვერ ხნავს, ვერ თესავს.

V. 93 წ.

* * *

ქუთაისში ვაპირებდი წასვლას ზეგ. არ გამოდის. იქ აირია ყველაფერი. წმინდა ნინოს სასწავლებლის ზეიმის თავი არ ექნება შაშიაშვილს, რუსის ჯარს შეეტაკნენ და შეაკლეს თავი. გორის ვარიანტი განმეორდა. ქუჩაშიც მომხდარა ექსცესები პროვოკაციული ხასიათის, კონფლიქტები ელცინი-შევარდნაძის ზეგინდელი შეხვედრის გამო.

თ. გრძელიძე გამხდარიყო 50-სა. პატარა სუფრა ოჯახში, ვიწრო შემადგენლობითა. ელგუჯა ჩამოვიდა, ქუთაისის ამბები ვერ ჩამოიტანა: სულ სროლაა, სამხედრო „გოროდოკებში“ რა ხდება, რას გაიგებო. ქარები ყოფილა. აქ ცას პირი ჩამოსტირის კვლავ. ხვალ გუბაზი წვება ბუასილის სალიკვიდაციოდ. ქუთაისი გადაიდო და იქნებ ზევით მოვახერხო ასვლა. დავთესავ რაღაცას. რადიოში აღარ მეძახიან, უნდა შევახსენო თავი რადიოს, — დაწყებულის გაწყვეტა უხერხულია.

13. V. 93 წ.

* * *

14 მაისი. პარასკევი.

დღეს გამოქვეყნდა საუბარი ჩემთან — „დრო, ცხოვრება, უკუსვლით წინ სიარული“. სტილი დაცულია. კმაყოფილი ვარ. თავს რომ ვადექ სტამბაში — შეიძლება ამიტომ? არა, შენარჩუნებულია მართლაც ხასიათი, განწყობა, დამოკიდებულება მოვლენებისადმი...

გუბაზი საავადმყოფოშია.

ცხოვრება — უკანეთში.

პერსპექტივა — უსიხარულო.

ღმერთო, ჭირი არ მომაკლოო, ვინ თქვა? (ვაჟა?) — ჩემზეა ზედგამოჭრილი: ვერ ვიშორებ სატკივარს. ისევ შვილები, შვილიშვილები. რატომ მშობელი არ მახსენდება? ასევე არ ვახსოვარ ამათაც და მეც რომ ეს პოზიცია დამაჭერინა (სიმამრი, ბაბუაჩემი — ერთი, მეორე, ბენიაც კი), ქეც ვიქნებოდი კარგად. სულ არ უნდა შეხვიდე შინ, არც ერთის ამბავი არ უნდა იკითხო, თუ რამე შეგიძლია, დაეხმარე და იყავი შენთვის. უფრო მეტად დაგაფასებენ, რად უნდა ლაპარაკი. ეს გაზეთი კარგია. უშენიშვნოდ, უგულისწყვეტოდ მივიღე. გადაუდებელი საწერიც არაფერი მაქვს. რადიო?

უნდა მივრეკო, მოვრეკო.

14. V. 93 წ.

P. S.

პრემიებს არიგებს ვიღაც „ბანი და კომპანია". ლიტერატურაში არ გაიცემა, მაგრამ თუ ჭკვიანად იქნებიან, გაისად წავუმატებთ კიდეც თანხას და გავცემთო — სიკო დოლიძის ქალიშვილი ბრძანებს. ჯანსულ ჩარკვიანმა განაცხადა: რეზო ინანიშვილს მივცეთ, დიდი მწერალიაო (იყოო), დასჭექა და ყურიც არავინ ათხოვა.

გაისად ფულსაც გავზრდითო (ისმოდა), დაამშვიდა მამამისის (ე. ი. სიკოს) ქალიშვილმა ჯანსული.

* * *

საბურავის ნახმარ კამერაში (რობაქიძე დაწერდა — საბურავის ბუშტშიო და სწორიც იქნებოდა) გადამახდევინეს 100 მანეთი. გუბაზმა გაიკეთა ოპერაცია გემაროის. თუ არ გინდოდეს ჭირიო, ისე გამოუვიდა.

ჩემი საუბრისათვის (ლიტ. საქართველო) ბევრს მიუქცევია ყურადღება. კითხულობენ ამ გაზეთს, როგორც ჩანს. წივწივაძეს კი, ირკვევა, არ ჰყავს მეგობარი, კეთილისმსურველი, მრჩეველი, აუტანელია უკვე მისი „კუთხის" ზოგიერთი კუთხე.

გუშინ ლევანი წამყვა და ავედით მამულში. დავთოხნე, დავთესე; ლევანის გაკეთებული ხელახლა გავაკეთე. ისე ვიყავ დანგრეული, რომ ძლივს ავიტანე ტანი ამ დილით. ავიყვანეთ „პასკუალე". – ვინაა ეს პასკუალე? ძაღლი. ოთახისა, ძუკნა, ჯიშიანი, უჯიშო. იუცხოვა იქაურობა. შინ დააპირა წასვლა, ითხოვდა პატრონს, წამიყვანეთო. ბოლოს შეურიგდა ბედს. წაიძინა, ნაშუადღევს გაითავისა იქაურობა, დაიწყო ყეფა და დაცვა ახლად შემომტკიცებული სამფლობელოსა.

გუშინწინ კ. გამსახურდიას ძეგლთან გავედით. კობა იმედაშვილმა ატეხა რეკვა: არიქა, მწერლებო, შევარდნაძე მოდის და ძეგლთან დახვდითო. ფანჯიკიძე ვერ წამოდგა (ბევრი ესვა), ჩვენ ქე დავხვდით და გაეხარდა. ვიყავით სულ ცოტანი, მიტინგ-დემონსტრაცია შემდეგ გამართულა. დემონსტრანტებში კმაყოფილი იდგა თურმე ჩვენი ძმა, – ვირი!

მცირერიცხოვანი ჩვენიანები, შევარდნაძის ჩათვლით (თუ გავიხსენებ!):

თ. ხაჩიშვილი, ი. ბათიაშვილი, კ. გაბაშვილი, თ. კვაჭანტირაძე, ს. კავსაძე, ვახ. გოგუაძე, არჩ. გოგელია, თ. სიგუა, მე, მაღრაძე I, მაღრაძე II, კ. იმედაშვილი, ტ. ჭანტურია, კიდევ ვილაც... დაცვა, ტელევიზია, ქალთაგან? რუსიკო და ვინ?

17. V. 93 წ.

* * *

ჭაბუას მივეფერეთ დღეს.

სწორი ვიყავით, არ ვიყავით? – ვინც ვთქვით, არ ვთქვით. იქნებ მართლაც დიდი მწერალია და დიდი (არა მგონია) წიგნი აქვს დაწერილი? ღმერთმა ჰქნას! შემდეგ განსჯიან.

ცხოვრება ამჟამინდელი აუტანელია და დინამიური, გაჩერებისა და თვლემის საშუალებას არ გაძლევს... მაშ რად არიან ბურანში ახალგაზრდები? გაბრუებულნი, მოთენთილნი და ძალად აღგზნებულ-ანერვიულებულნი? ცუდი აღზრდა. უკულტურობა. ნარკოტიკი, გაქცევა სინამდვილიდან.

ვარდი ყელამდე ესხასა, ეწერა, მეგონა, ვახტანგ მეექვსეს-თან. ეგრე არ ყოფილა.

„... რა სჯობს მაისში ტფილისსა,
ვარდი ვარსკვლავებს ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო,
ცის ცვარი მასზე ესხასა...“

ერთი ასეთი სტრიქონიც:

„... ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ,
მითხარ, როგორ დანელდება?“

საბას ნავთი არა აქვს განმარტებული. ნავთი არ ვიცოდით, რა იყო, მითხრა ბაბუის ძმამ (XIX საუკ. 80-იანი წლები) მაქ-სიმე დიდბარიძემ; გვეუბნებოდნენ: წყალს ცეცხლი ეკიდებაო და არ გვეჯერებოდაო. ვხმარობდით: სანთელს, კვარს, ქონს, ზეთს. მაქსიმე 1874 წელს უნდა ყოფილიყო დაბადებული. კორ. კეკელიძეს უწერია: გვამებს ნავთი დაასხეს და დაწვესო (V-X საუკუნეებია დაახლოებით); სემინარზე ვიკითხე (მაქსიმეს იმე-დით), სად იყო ნავთი მაშინ-მეთქი. პირველ კურსზე ვარ. გა-ჩერდი შენ, დაბრძანდი, თუ შეიძლებაო, — მეუბნება ლექტორი ლეო მენაბდე. დამსვა.

მაისია. გრილა. დგება გაზაფხული. სიგრილიდან პირდაპირ მდუღარეში ვტუცავთ ფეხს...

19. V. 93 წ.

* * *

ისევ წვიმს. ქეც მიყვარს ეს წვიმა, მაგრამ ერთი სხვა-საც ვკითხოთ. გავიდა გაზაფხული. 22 მაისია. გუშინ „წიგ-ნის სახლის“ პრეზენტაცია იყო: იორამმა გაიამხანაგა ვინმე დ. კვეკვენიძე, ბიზნესურ-ჯენტლმენურ იორამისათვის კინაღამ ცალმხრივი სარგებლიანობის პირობებზე და წიგნის, საბავშვო წიგნის საქმესაც ეშველებაო. ბიზნესმენმა კი დიდი პურ-მარი-

ლი გამართა ამ ფაქტთან დაკავშირებით ალაგობრივ და საკუთარ (კერძო) ბინაში. იყვნენ ახალგაზრდები, ჩემების ნაცნობები, მეგობრებიც. სულ სხვანაირ საზოგადოებას ეყრება საფუძველი, სხვა ახალგაზრდები, სხვა საქმეში ჩაერთვებიან. მთლად არ უნდა ვიყოთ დაღუპულნი. სახელმწიფოში აღსდგება წესრიგი, დამყარდება სხვანაირი ცხოვრება, სულ სხვა ურთიერთობები. ა. დღე და ა, ხვალე!

ჩავწერე რადიოში სამი ნოველა. ერთი („ხიბარო") წავიკითხე, ორი – „გურმანი" და „ქართველები სანკტ-პეტერბურგში" მოვყევი. ამჯერზე კმაყოფილი დავრჩი. რამდენი მაქვს სულ ჩაწერილი? თუ გავიხსენებ? ალბათ – ვერა, მაინც, დაახლოებით: 1. „როგორ დავანებე სიგარეტს თავი", 2. „პოლიტბიუროს სხდომაზე", 3. იუმორზე, 4. „ფრანგულის მასწავლებელი", 5. „მერი", 6. სპორტზე, 7. 1956 წელი, 8. „გურმანი", 9. „ხიბარო", 10. „ქართველები სანკტ-პეტერბურგში"..., მგონი, ესაა სულ. „სასამართლოზე" – ესეც მეთერთმეტე.

ადგილს დავტოვებ მეორე გვერდზე და აღვნიშნავ, რასაც ჩავწერ რადიოში აწი.

22. V. 93 წ.

გვიანდელი მინაწერი:

ე. ი.: „ჯეკი", 13. „პაპუნა", 14. „ბუდუ ქვარიანი"(?), 15. „ხვილიფინდრე", 16. „ოთხი შეხვედრა ადვოკატ ჭონქაძესთან"(?), 17. „კინო და თეატრი", 18. „ჭეია ბლოკი", 19. „წერეთელმა დაგვიბარა"(?), 20. „სევერიან ვახვახიშვილი"(?), 21. „აღდგომას მოკლეს ურია", 22. საუბარი „ხორაგაულის რესპუბლიკა", 23. 9 მარტი, შ. ხ. თ. 24. „მინა მაღალთაძე"(?), 25. „იუმორი და ომი", 27. „ძია კოტე"?

? ? ?

* * *

შეხლა-შემოხლასავით პარლამენტში კვლავ. ჯაბამ ძალიან გაიშინაურა იქაურობა, თანდათან კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე. ხვალ 26 მაისია. გუბაზის დაბადების დღეც. ელიან ხვალეს შფოთვით, შიშითაც. ერთდღიანი გეგმა-პროგრამაა შედგენილი ჩვენთვის: ავყვე თუ არა პარლამენტს? ვფიქრობ!

ცა ისევ მოღრუბლულ-მოქუფრული. ჟინჟღლავს. ვასწორებ „ასკილის წითელ ყვავილს", სამოთხრობოდაც ვემზადები. სხვა ისეთი გადაუდებელი საქმე არა მაქვს. ეს მომწონს და მიკვირს კიდეც.

ავალიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი იყო სიონში. დაკრძალვა. ყველანი უნდა წავიდეთაო, — სპიკერმა. თავი არავის შეუწუხებია მაინცადამაინც... შემდეგ: „მაცნე" ვნახე და ე. შენგელაია და შევარდნაძეც ვიხილე სანთელ-კელაპტრით. საქმე არა აქვს? ვერ გავიგე! ეს მკვდრებიც ხელახლა, ერთმანეთის მიყოლებით უნდა ვიტიროთ?

ზეგ მიშა კვესელავას მოსაგონარი საღამო უნდა გავმართოთ. ჩემი იდეაა. ჩემგან ეკუთვნის, გასახსენებელიცა მაქვს!

25. V. 93 წ.

* * *

დღეს — ვერ აეწყო კარგად დღე.

მე და იორამი მივემგზავრებოდით მცხეთას... შევიარეთ სულხანთან (ელექტრიკი), სტარტერი აღარ ბრუნავდა და შევყოვნდით გვარიანად. წასვლა აღარ ღირდა, შემოვბრუნდით. ჩვენ მოედანზე მაინც ავიდეთ-მეთქი, იორამს ვეუბნები. ბატონი ხარო, ავედით. კარგიც ვქენით.

სპორტის სასახლე — ხალხით გადაჭედილი, ბიჭუნების სიმღერები, ბიჭუნების ცეკვები.

ნამეტანი კაი იყო!

წვიმსაო და ფეხბურთზე — აღარაო.

შინ ვზი და ტელევიზორისაკენ ვაპირებ შებრუნებას.

4:1-ს უგებს — „საქართველოს თასზე“, აღარაა საინტერესო, „დინამო“ — „ბათუმს“ — ბათუმში.

თბილისში კვლავ პირი ჩამოსტირის ცას. ამ დღემაც (მწუხრი დაიწყო) მშვიდობიანად ჩაიარა, მე მგონი.

ეს დავთარიც (XVI) გაივსო!

26 მაისი
1993 წელი

* * *

მშვენიერი დილაა 28 მაისისა. „ასკილის წითელ ყვავილს“ „გადავუარე“, ცოტა დამრჩა და გადავბეჭდავ. წიგნებს არ ადგება საშველი, რაცაა, ისიც არ მეყიდება. საკითხავად არავის ცალია. ყიდვაც გადავიდა მოდიდან. გუშინ მ. კვესელავას მოსაგონარი საღამო გავმართეთ. ხალხი ცოტა, სამაგიეროდ, საღამო, თბილი და გულწრფელი. ისევ მომიწევს, ალბათ, რამდენიმე სიტყვის თქმა. ჯაბამ კარავი დასცა გუშინ ოპერის ბაღში საშიმშილოდ. შევარდნაძე ეახლა. გარბოდ-გამორბოდნენ დეპუტატები პარლამენტიდან ოპერამდე. პირველ საათზე, ხვალ, ჩვენ ვიკრიბებით, სამ საათზე კი — მხედრიონელები. გადაწყდება, ალბათ, „დადებითად“ მაგათი საქმე, ან ისე, ან ასე, ან ისე, ან ასე — დადებითადო. აღარ გამოდის. პარლამენტის შტურმით აღების გეგმა არ უნდა ჰქონდეთ. ვნახავთ.

შუადღით, უფრო სწორედ, ნაშუადღევს, საგარეჯოსაკენ ვაპირებთ ამგზავრებას. სიტყვას ვერ ვიტყვი, ღვინოს ვერ დავლევ, ისე წამოვალ-მეთქი. თუ არ ჩავედით, ელგუჯამ აგვიხსნა, საყანე მიწებს დავკარგავთო. თ. ჯანგულაშვილის იუბილეა. მე კი დავუბეჭდე ლექსები „განთიადში“, მადლობაც მითხრა, მაგრამ ლექსებს ვერ ვიხსენებ. დროც არა მაქვს ჟურნალებში ქექვისა, ახალი რვეული დავიწყე. პატარაა, სამაგიეროდ — ძვირი. **„დ XVII“** კი ფეხბედნიერი უნდა გამოდგეს. ასეა ჩათქმული.

28 მაისი, 1993 წ.

* * *

საგარეჯოში გუშინ:

ბავშვები მღეროდნენ ერთგულებით, სიმართლით... რა საოცარი არიან ბავშვები.

უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ დღითიდღე. ისინი სრულყოფილნი იბადებიან და იზრდებიან თითქმის შეურყვნელნი. დედის მუცელში შეიძლება დამახინჯება ფიზიკურად, სულიერადაც, მაგრამ იგი მაინც სუფთაა, შეურყვნელია. თანდათან, თანდათან იწყება მისი სულის დანაგვიანება. ეს საშინელი პროცესია.

დასრულდა საიუბილეო საღამო. სიტყვები, სიმღერები, ცოტ-ცოტა და წამყვანმა საღამო დახურულად გამოაცხადა. იუბილარს სიტყვა არ მისცა. შეახსენეს და გამოასწორა, გადამავიწყდაო. ამის გადავიწყება, გულზე გადავარდნა შეიძლება? აკაკის იუბილეზე აკაკისათვის რომ სიტყვის მიცემა დავიწყებოდათ?!

აქ სხვა ამბავია. ფროიდს თუ ვაინინგერს, სხვებსაც ალბათ, საგანგებო ყურადღება აქვთ გამახვილებული ამ ფაქტზე. იმ საღამოს წამყვანისათვის, თეთრი პიჯაკი ეცვა, მთავარი იყო მისი პერსონა, ორგანიზაცია, მშვიდობით ჩაბოლოება, სტუმრები და არა იუბილარი. ამიტომ გადაავიწყდა.

შემდეგ: სუფრა მოზრდილი, ჭამა-სმა, დოლ-აკარდიონი, აუტანელი სადღეგრძელოები. კახელებს კიდევ რა უჭირთ... ჩემიანები რომ შეიყრებიან, შენ ასეთი ხარ, შენ ისეთი... შეუძლებელია გაძლება. მე ძალიან მიჭირს...

29. V. 93 წ.

* * *

ჩაებნენ „ეროვნული დემოკრატები“ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. დაიწყეს შევარდნაძით, რაც მოსალოდნელი იყო. მღვრიე წყალში თევზი იოლად მოყვება ბადესაო. მაინც იმ-

ღვრევა, ჩვენც ავამღვრევთაო (ცოტა დაუგვიანდათ კიდეც). შევარდნაძე ჩინეთშია ამასობაში. წერეთელმა დღეს გამყიდველი უწოდა, უნდა გადადგესაო. თუ ისევ წერეთელს აყვა და უპასუხა, მართლაც დროა, გადადგეს. იგი ხელისუფლების განმტკიცებისათვის არ იბრძვის (რას ელოდა, გაუგებარია) და წაიმტვრევს ფეხს, ანდა უშველის თავს და გაგვწირავს. დუდაევის და ელცინის საპარლამენტო შეხლა-შემოხლისა და ბრძოლის ვარიანტები მეორდება, სხვაგანაც, სხვა ყოფილ რესპუბლიკებშიც ეს ხდება, რამდენადაც ვიცი. თუ დაიწყო ხუხუნეიშვილის მოხსენების გამო დებატები, სამშაბათს, გამოვალ კიდეც, დროა უკვე.

ვამთავრებ „ასკილის წითელ ყვავილს". ამაღამ გადავუვლი ბოლომდე, შემდეგ ბეჭდვის დროს გავჩარხავ, არ ავჩქარდები. ლეილამ დარეკა – საავადმყოფოში ვართ, მიშიკომ ყბა გაიტეხა, კიბიდან გადმოვარდაო. ქუთაისში ბენიაა – იმ ხნის კაცი მიტოვებული.

საჩუქარივით მოგვყიდეს დეპუტატებს ხორცი (ცოტა), ზეთი, შაქარი, მარგარინი. იზამ ქვეყანა დააქცია – არ გვინდაო (ხალხზე ზრუნავს(?), ცხადია), მე კი სინანულის დიდი ქენჯნა არ მიგრძვნია, თუმცა ახლაც ვფიქრობ, ვისაც ეს არა აქვს, იმან რა ჰქნას-მეთქი. მართლაც! მეც რომ იმათთვის მინდა, ვინც ვერ „ჰქნავს"! არადა, ხორცს ვერ ვყიდულობთ, კუპონებზე არ ყიდიან, ან ყიდიან ორმაგად, მამასისხლად. ექიმმა გვირჩია (გუბაზი, მე), ყველაფერი მოხარშული ჭამეთაო. რა მოვხარშო? გუშინ ზევით ვიყავით ნელი, ლევანი და მე. ცოტა ვჭამეთ, ცოტა დალიეს. წინა დღით სუფრიდან წამოვაღებინე 4 ბოთლი ღვინო, ერთი გახსნილა და დაღვრილა მანქანაში. ის სამი ეყოთ ლევანს და ნელის (სულ ცოტა დავლიეო, ნელიმ), სუფრა კი, საიდანაც ის ღვინო და ბორჯომი წამოვიღეთ, მურმან იოსელიანმა გაშალა ქალაქურში, რასაკვირველია, ფანჯიკიძის პატივისცემით. ხუთნი ვიყავით და ქეც დაუჯდა 70 ათას მანეთამდე. თავადაც

გაუკვირდა, ამდენი არ უნდა ეანგარიშებინათო. 10 000 მანეთი კაცზე თავზე გადაუვათ წყალტუბოშიო (ქუთაისი არ უხსენებია). მინისტრის და მინისტრის მოადგილის ხელფასი მაქვს ტარიფიკაცით, ცოტა ჰონორარიცა... მარტო მე მეყოფა ან არ მეყოფა მხოლოდ ჭამაშია. სუფრაზე და საყიდელზე (კბილები მაქვს გამოსაცვლელი) ლაპარაკი ზედმეტია. ერთი შამპანური 1000 მანეთიაო რესტორანში. ზოგიერთს, საქართველოშიც კი, ასიოდე ამნაირი შამპანურის გახსნა შეუძლია ერთდროულად.

3. VI. 93 წ.

* * *

ყველა ვარიანტი ეპიზოდებისა („ასკილის წითელი ყვავილი") ვერც კი აღმოვაჩინე. არც იყო სავალდებულო. ისედაც საკმარისი აღმოჩნდა ბოლო ორ ვარიანტში. თ. კვაჭანტირაძემ მკითხა: რამდენი ტომი გამოგივა, ვარიანტებიც რომ გამოგიცენო. მაშინ ბევრი-მეთქი, გამეცინა და დავფიქრდი კიდეც. დღეს კაბინეტში შემოვიდნენ შატაიძე და ანთაძე, „კუდიან ვარსკვლავზე" მელაპარაკებოდნენ და მიქებდნენ... ვიღაც კითხულობს მაინც!

ახლა ნამეტანი გვიანია. ვარიანტები ბევრი... თუ მივუმატებ დღიურებსაც ან რვეულს, ჯერჯერობით სცენარებს არ ვანგარიშობ. რაც ვარგისია, მოვუვლი და კინომოთხრობებად გარდავქმნი. ერთი ახლა დამთავრდა, ერთი ადრე (ჭიდაობას რა უნდა) გავასრულე, დამრჩა: „გათენების წინ" (ყაჩაღები), „ტურანდოტი" და „ფეხბურთი, ფეხბურთი"...

წიგნს რომ ფასი ჰქონდეს (არა მარტო მატერიალური), დავჯდებოდი შინ, აქ, ქუთაისში, მუხათწყაროში და ვიმუშავებდი. საწერი ბევრი, ნამეტანი ბევრი... მარტო IV ტომს რომ მოვუყარო თავი... ამასაც თავისუფალი დრო უნდა... ქუთაისი კი მენატრება. 14-ში აკაკის პრემიებს გავცემთ. იქნებ იქამდე მომესწრო!

4. VI. 93 წ.

* * *

ქართული საბავშვო ბაღიო მოსკოვში, არბატზე — პატარა ეკლესიის აშენებაც უნდათ ეზოში!

შევარდნაძე ჩამოვიდა ჩინეთიდან. იქ ზალპითა და მუსიკით შეხვდნენ. ვითომ არაფერი!

რ. ჯაფარიძემ საინტერესოდ შეუტია ი. წერეთელს დღევანდელი გაზეთით („საქართველოს რესპუბლიკა"). დაწერილიც კარგია. სტილზე რა მოგახსენოთ. სასვენ ნიშნებსაც რომ გაუსწორებდეს ვინმე!

ანზორის ორმოცი იყო. ხვალაა ჯდომა. ოღია გამოჩნდა. ლელვის არაყი დავლიეთ მხოლოდ. ფოცხიშვილის ჯიბის წიგნი მიდევს წინ, მინი ლექსებითა და სიცარიელითა. ვერ არიო კარგად.

ბეჭდვა მინდოდა დამეწყო დღეს. ვერ დავიწყე... ვთქვა თუ არა სიტყვა პარლამენტში?! მოვხაზე კია. ამაზე ფიქრი შემიყოლიებს. ამ წელს, წელს კი არა, ამ თვეს „ასკილს" მოვიშორებ. ქუთაისში „უცნობი ქალის ჩანაწერებია" დაწყებული და წელსაც ამით დავხურავ. არ იწერებაო — ჭაბუამ (გ. ლომაძემ გაიმეორა), დრო გავა და შემდეგაო... ჭაბუას აღარც წერა შეუძლია (ასეა გიაც), აღარც კითხვა. კითხვა რთული აღმოჩნდა! არასოდეს არ უთქვამს პოლიკარპე კაკაბაძეს, დედა რომ ჭეიშვილი ყოლია. ყოვლად უვარგისი კაცი იყო.

ეს ცნობა ტელევიზორმა მომაწოდა.

5. V. 93 წ.

* * *

დელგმა, ჭექა-ქუხილი, თქეში, კოხიც. კოხინჯრობა კი, თუ არ ვცდები, გუშინ იყო, ამაღლების შემდეგ პირველი ორშაბათიო. არაა სწორი, პირველი ორშაბათი 31 მაისს იყო. გვიანი ღამეა. ისევ ელავს. გრუხუნიცაა.

ხეებს გავყურებდი დღეს და გუშინ, ვფიქრობდი:

კაკალი ვერ უძლებს სხვა ხეების დაწოლას, თავდაპირველად იბრძვის, შემდეგ დგება. სიმაღლეში აყოლა არას არგია. სხვები მზის ძებნაში მიყელყელაობენ. ნიგოზს (კაკალს) ეგ არ შეუძლია. სხვას ვერ გუობს, ვერც წვრილდება, უნდა გაიშალოს, გაგანიერდეს. მუხაც. ცაცხვიც, სხვაც ალბათ, მაგრამ კაკალი სხვაა. იგი მარტოსულია, სივრცე ჭირდება, თავისი წილი ალაგიცა...

მივჩოჩავთ წინ წვალებით... ცუდი დრო დადგა. ესაა უკუსვლით წინ სიარული სწორედ. ქ. დოლიძის კინოში ხართ დაპატიჟებულიო, გაგვაფრთხილეს. არავინ წამომხტარა. ფილარმონიას რომ ჩამოვუარე, 5 წუთი კიდევ აკლდა დაწყებას. შესასვლელთან სიცარიელე. სურვილი არ გამიჩნდა შიგ შესვლისა. პოლონელი ბიეტა თუ ბიატა ტიშკევიჩის ნახვა შეიძლებოდა, თუმცა რაღა დროისა. როცა ბრწყინავდა, მაშინ ღირდა. ტელევიზორში არც ახლა ჩანდა ბებერი. ხალხს არ ეკინოვება, არ ეთეატრება. იგი შინ გარბის დასაღამოვებამდე. ანანიაშვილის ბალეტი შეიძლებოდა მომესინჯა, ამდენად არც ეგ მიღირს, რომ ბილეთებისთვის ვიბრძოლო. ისე კი დროა, მივხედო თეატრს მაინც...

7 ივნისი, 1993 წ.

* * *

სათნოების სახლში მომიპატიჟეს. ყოფილი რაიკომი. ადრე ზუბალაშვილებისაო. ძალიან კარგადაა მოწყობილი ყველაფერი. პირველად ვნახე დაწესებულება, რომელიც არაქაურია, ევროპული. ბებრებმა იმღერეს, იცეკვეს. ტრაგიკომიკური იყო ყველაფერი. „თხამ ვენახი შეჭამა“ გაითამაშეს. ბებრების თოჯინების თეატრია თითქო.

პარლამენტი. სიტყვა უნდა მეთქვა. გოგუაძეს გადავავიწყდი და თავი აღარ შევახსენე. ამასობაში ვინერვიულე. საოცარი კია, უკვე ჯდომაც მიჭირს ამ ხალხთან. მეთქვა, ჯობდა. არ

ვთქვი და მოვიშხამე აშკარად. ახლაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად. სიტყვა მწვავე გამოდიოდა. დავბეჭდავ, მაგრამ ის ეფექტი აღარ ექნება. საერთოდ, რა ჯანდაბის ოხრობად მინდა! იქნებ საჭიროა. თქვიო, მეუბნებიან, შენ უნდა თქვაო. ან უნდა ვთქვა, ან არა. ან ზეგ წავალ ქუთაისში, ან არ წავალ ამ წერილის გამო...

სოფლის სახელი მოვიგონე, შემთხვევით დავწერე ქაღალდზე, სხდომაზე. სოფ. თხორთხვი. თხორთხველი – ფსევდონიმი.

ჯვარისელი კაცი (რაჭა) თოფის სროლით რომ წვებოდა... ეს სიუჟეტი, რატომ არ ვწერ, რა საინტერესოა. ჯერ მოვყვებოდი რადიოში...

გამოვიდა გაზეთი „ოკრიბა". რაღაც სენსაციური წამოწყებაა. მოთხრობასაც დავპირდი, მოვიწონე კიდეც და ახლა ვფიქრობ, იყო კი საჭირო!

ოკრიბა იმით იყო კარგი, რომ არავინ იცოდა. ახლა მხარედ გახადეს...

ტყიბულლებს ამბიციები გაუჩნდათ, ჰქონდათ კიდეც ადრე, ლომაძე რომ სტადიონებს აშენებდა, აბონემენტებს ყიდდა შახტიორებზე, რომლებიც თამაშის დროს მიწიდან ვერ ამოდიოდნენ. რედაქტორი გივი გეწაძე პარლამენტთან დამხვდა (მე არ მელოდა, ცხადია) და მომცა გაზეთი №1. ქუთაისში ვინახავ პირველ ნომრებს... დღიურებიც იქა მაქვს... ძველი ხელნაწერებიც, უბის წიგნაკებიც, ბავშვობისდროინდელი დასაწვავად წავიღე. ერთ დღეს შევუკეთებ ნელ-ნელა ბუხარს. ანოტაციებს დავიტოვებ. დავწვი ეს, ეს. ეწერა ეს, ეს. უნიჭობა, რომელსაც ჩემთვის ვინახავდი, ჩემს შემდეგ საჭირო არაა. ჩემს შემდეგ დღიურები დარჩება. უნდა მეფიქრა ქსეროასლებზე... ვფიქრობ, აქ უფრო მოვახერხებდი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცეცხლი არ გაგვიჩნდება. სეიფი უნდა ვიშოვნო. ვთხოვო უნდა ვიღაცას. ასეც ვიზამ!

11 ივნისი, 93 წ.

* * *

შექსპირს ვკითხულობ ეს დღეები. წუხელ ძილიც გამიტყდა და თითქმის თავიდან წავიკითხე „ვენეციელი ვაჭარი“, რომელსაც ვერასოდეს გულს ვერ ვუდებდი. ბრეხტს აქვს ნათაქი პრინციპი იგავის გაზღაპრებისა. არაკი აქაც, იქაც. მე კი იმ ბრეხტის მოგონილი მეგონა. მაჩაბლის თარგმანებიდან **ეგ, ეგა** და სხვა ნაწილაკები თუ შორისდებულები ჭაბუასთანაა. ვისია, ვისგანაარ, უკვირდათ. გამსახურდიას ო-ც, ასე-ო, ვეფხვოო, აქედან? კი. სხვათაშორის, მეც მოვუხშირე ეგ, ეგა... შექსპირს კი კარგახანია არ გავკარებივარ. მაჩაბლის თარგმანებს ადრინდელივით ვკითხულობდი და აღვიქვამდი. მაღიზიანებდა და ახლა, სიყმაწვილისდროინდელ აღქმას (ის უფრო ნაღდი ყოფილა) მივუბრუნდი.

ყალბი და ლამაზი პათეტიკა. ეგაა თეატრი. ადრე ნაყიდი წიგნებიც წინ მიდევს. I ტომი წარწერით „რეზო ჭეიშვილის წიგნებიდან“, 1953 წელი. ქუთაისში ვიყიდე, კარგად მახსოვს (14 მან. 14 კაპ. გახდა შემდეგ ეს ფული. 20 მან მქონდა, მე მგონი), სკოლადამთავრებულს, უნივერსიტეტში იმ წელიწადს ვერმოწყობილს. ხომ დავაპირე მეც არაკიდან (ქუთაისში მიდევს ზღაპარი) პიესის შექმნა. გადავიფიქრე. ბრეხტიდანააო — იტყოდნენ. თანაც სომხურშიც ყოფილა იმდაგვარი სიუჟეტი და იმანაც შემიშალა ხელი. სიტყვას ვამზადებ დასაბეჭდად და მორჩა, პოლიტიკაში წერილობით აღარ გავერევი.

პური აღარაა, ფული არა. შაქარი იოხტურო, ანეგდოტივით იყო დიდი ომის დროს, ქალებს მოწონდათ, ჩაიარა, ბატონო, თქვენმა ნაცნობმა და შაქარი იოხტურო.

ჩაი არა. ზმაა, თუ მაჯამა თუ რა უბედურება. ამდაგვარი სისულელეებით ერთობოდნენ ჩვენი მეფეები იმ უბედურ დროებებში.

სიგუა ლაპარაკობს: მილიარდ 200 ათასი დოლარი გვჭირდება წელიწადში ელექტრომატარებლებისათვისო. უნდა ვიყიდოთ გაზი, საწვავი, ელექტროენერგია...

ნეტავ მანთაშოვის ფული მომცა, დადეშქელიანის ჯანი, დადიანის კაცობაო, ვიღაცამ რომ ინატრა!

12. VI. 93 წ.

* * *

სტამბაში ვიყავი კარგახანი. ვასწორე და ვტენე ერთ გვერდში წერილი. იგი ხვალ გამოქვეყნდება. ისეთნაირად მოვითენთე, თითქოს ლენინის 25 ოქტომბრის მოწოდება დავწერე... არადა, საინტერესოა. ბევრი მოკლედ, შეკუმშულად. ან წაიკითხავენ, ან არა. რაღაც ეპიგრამაა ჩემზე „სამრეკლოში", გადამიშალა მაკამ რადიოში, არ წავიკითხე. ბატონ ტარიელზე და თქვენზეაო. არ მაინტერესებს-მეთქი, არც ჩავხედე. ბატონი ტარიელი კი ძლიერ დაინტერესდა. გადარეკა, გადმორეკა. ბოლოს გ. გოგიაშვილმა წაუკითხა ყურმილით რაღაც უნიჭობანი. ჯანსუღი შემხვდა სტამბიდან გამოსულს, წერეთელი იმუქრება, დედა და დედის სული აგინა გოგიაშვილსაო.

გუშინ პრემიები გავეცით. გამგეობა, იგივენი და იგინივენი, იმავ ფსიქოლოგიით. გულისამრევი იყო ყველაფერი, თუმც, ჩემი მეცადინეობით, ბაზარი არ გავხადე... პირველი კენჭისყრა, პირველი წაბილწვა.

ბეჟან ბარდაველიძე დაკრძალეს, მ. ფოცხიშვილი ვერაა კარგადაო.

ხვალ ქუთაისში. დილით პარლამენტი, საგანგებო სხდომა. შევარდნაძე ნდობის საკითხს დასვამს, ისე არ წავა ევროპაში. გაზეთის ამბავი კი მართლაც მედარდება. დავრეკო წივწივაძესთან და გავავრცელო თუ არა ერთი 10 ცალი მაინც? ამ მეცადინეობას არ მოაქვს ნაყოფი, მივუშვა ნებაზე, ჯობია ალბათ.

ვკითხულობდი პლუტარქეს. მოვინიშნე ნოველა, შემდეგ ვიფიქრე, ხომ არ ამოვკრიფო ამდაგვარი ნოველები ტოლსტოის მსგავსად და ხომ არ გამოვაქვეყნო-მეთქი.

17. VI. 93 წ.

* * *

19 ივნისი. ქუთაისი. გუშინ პარლამენტის დილის სხდომას დავესწარი, საღამოს პარლამენტს აქ ვუყურე. ხალხი მიძგნაბულია ტელევიზორებზე. 9 ცალი გაზეთი („ლიტერატურული საქართველო“) გავავრცელე სხდომათა დარბაზში. კალანდიას თავად ეყიდა, როგორც ყოველთვის, გაზეთებით იყო მოსული. შევარდნაძეს დავუდევი მაგიდაზე, წამოდგა და ხელი ჩამომართვა შორიდან. თუ მოიცლით, მე ვუთხარი. მხოლოდ ამ გაზეთისათვის ვიცლიო.

მიველ თუ არა, ქეთინო დუმბაძემ მომაძახა, წავიკითხე, წავიკითხეო და გადამკოცნა. გამოსვლისას კარში შემეჩეხა ახალგაზრდა, სახელს და გვარს ვერ ვიხსენებ, საუბარი გვინდა თქვენთანო, წავიკითხეო. არ მცალია, მივდივარ და ორშაბათს ან სამშაბათს შევხვდეთ-მეთქი. კარგიო. რომელი პარტიაა, ისიც არ ვიცი, ალბათ ე.დ.პ.

ბენზინი მოეპარათ მანქანაში. ავედი თავსხმაში მუხათწყაროში. წვიმაში ჩავასხი, გავილუმპე. თავსხმაშივე წამოვედი. მთელი გზა წვიმდა. ქუთაისში დარი დამხვდა.

ახლა დილაა. გრილა და მზეა.

19. VI. 93 წ.

* * *

ჩამოვედი ქუთაისიდან. პარლამენტის კუდს მივუსწარი ტელევიზორში. წერეთელი კვლავ იმუქრება. აიხირა უკვე შევარდნაძის გადადგომა. ვინღა გადაათქმევინებს, კაცი გამკავებელი (გამკუებელს ვამბობდით) აღარაა მაგისი!

ზესტაფონში, ყველის ყიდვაში, ბენზინისგან გამცალეს. უბისას იქით კინაღამ მესროლეს. მოძრაობა თითქმის არ იყო. გორის შემდეგ, კასპთან და მცხეთასთან გახშირდა მანქანები. მშვიდობით ჩამოველ მაინც...

ორი ნოველა უნდა დამეწერა და ვიზარმაცე. არ ვეშვები ამ

საქმეს. რადიოში მოგისმინეთო, ეცინებოდა ნათელას ქუთაისში. რომელი გადმოსცეს-მეთქი. „ჯეკი“, ძაღლზე რომ არისო.

რადიონოველებისათვის მოვემზადო უნდა უკეთესად და სხვა ნოველებს ჯერჯერობით დავანებო თავი. „ასკილის წითელი ყვავილი“ გადასაბეჭდია. შვებულებას მოვახმარ „უცნობ ქალს“. სხვა რამეზე თავის შეწუხება აღარ ღირს.

ომის დაწყებიდან 52 წელი გასულა. 8 წლისას დამცემია ომი. რა გვიან იწყება ბავშვის მახსოვრობა, რვა წლამდე ნამეტანი ბუნდოვანია ყველაფერი. ნუთუ არ დაამახსოვრდებათ ანზორი ჩემიანებს. რა შემზარავია ეს ფაქტი.

ვლადიმერი რომ ომის დაწყებამდე გარდაცვლილიყო! სქელი, პირბადრი, შავი კოსტუმით, საწერ მაგიდასთან, ფანჯარა ღია, წინ შუშაბანდი, ნახევრად ღია? ეს იყო ფოცხვერიას სახლში. ჩამოსული იყო მამიდაჩემთან ერთად. თამარი სულ ბავშვი იქნებოდა. ბენია ამტკიცებდა, იცის ამან სახელიო. აბა თქვი, ამას რა ქვია, იმას რას ეძახიანო და სხვა. რამდენიმე სიტყვა ვთქვი და შემაქეს. ეგ სურათი ჩამრჩებოდა და ეგ... სხვა ბაბუა უკეთესად დამამახსოვრდებოდა და მაინც ბუნდოვანებაში დაიყურებოდა ყველაფერი. სკოლიდან მახსოვრობა ნათელია. ბოლო წლები, ინსტიტუტი, თვალწინაა. ხშირად ვიხსენებ ამ დღეებს და ეგეც შველის ალბათ...

ვარლამი რომ 39-ში გაიწვიეს, 6 წლისა ვიყავი. მრავალი სურათი, ფერმკრთალი და წამიერი მხოლოდ. ვარლამის ქორწილი, ერთი წლით, წლინახევრით ადრე. ეს ქორწილი და რაჭა მახსოვს რაღაცნაირად, ქარში წაფენილ სურათებად...

22. VI. 93 წ.

* * *

გლახა დღეა. რომელი იყო კარგი. სოხუმში უბედურებაა. პარლამენტი აღელდა. დაიწყეს ყვირილი, მუქარა ცარიელი. „დაკარგული სამოთხე...“ გენიალურად არიან ქართველნი იქ.

— აიტ! — ყვირიან უგულოდ, ყველაფერზე და ყველაზე. საქმე არა! ფაფხურს იქით არ მიდიან, ვერ მიდიან. ხმის ამოღება მრცხვენია უკვე. დონე დაბალია ნამეტანი, აიშვეს თავი, ენა ამოიდგეს. ჭკუას ასწავლიან ერთმანეთს, ლექციებსაც კითხულობენ.

გედი შემხვდა შესასვლელში. ვინ არიან, რა ხალხია შეყრილი, როგორ ძლებო... ნ. ჭავჭავაძე წიგნს კითხულობდა ჩაგულისყურებული, როცა ქვეყანა იქცეოდა.

გუშინ იორამმა მომშალა რ. მიშველაძის გამო. დალიეს (ლევანმა და იორამმა) და დამშვიდდნენ. კარგი იყო ზევით და კარგია საერთოდ, არც უნდა ჩამოხვიდე ძირს...

ბაზარში შევიარე. ხალხი გაბენტერებულია. სამეგრელო საომრად ემზადება. საქართველოს წინააღმდეგ აპირებს გამოლაშქრებას... დედა გვიტირეს! აწი რას გვიზამენ, კაცმა არ იცის!

24. VI. 93 წ.

* * *

ფისოს გარდაცვალების დღეა (2 წელი). მუხათწყაროში ავიყვანე პატარები. იქედან სასაფლაოზე, მინდვრის ყვავილებით. ბებიას და შემდეგ ბაბუას დაულაგეს სამარეზე. დიდი სუფრა ჰქონდათ მოშორებით გაშლილი. ბევრი მანქანა და ჩვეულებრივი (მაგიდებით) სუფრა. პროვინციის ძლიერი მოწოლა უარყოფითად მოქმედებს თბილისზე მართლაც, თუმც ამნაირი დრო (რევოლუციის პირველი წლები?) დედაქალაქს ჯერ არ ჰქონია. მკვდარიც აცეკვეს მოედანზე (ცეკვა უყვარდაო). ბევრს ჩემი მოგონილი ეგონა (IV სიმფონია) და ნახეს თავადაც.

შევარდნაძე ჩამოვიდა გამართული, ვიდრე ოდესმე. გუშინ გოგა იყო მამუკასთან, აფხაზეთის ამბებს ყვებოდა. ჯიუტიაო, შევარდნაძეზე თქვა. ხალხიც ძველი შეხედულებით და ფსიქოლოგიით ჰყავს (ეს მართალია) არჩეულიო. სხვაც ბევრი ვაი ჭირს, მაგრამ შემცვლელიც არ ჩანს. ცხადია, გამოჩნდება, ჯერ-

ჯერობით კი არა ჩანს, — არცაა საჭირო ალბათ. ცოტა ხანს ეგრე ჯობია იმის უარესს.

ნოველა დავამთავრე, **„ხვილიფონდრე“**. არ ვჩქარობ გადაბეჭდვას. გაზეთ „ოკრიბას“ დავპირდი. რადიოში ბოლოსწინა ნოველა მოუსმენიათ. რეპროდუქტორი ვიშოვნე და გაზი გაითიშა, თითქო ჩემს ჯიბრზე. ვკითხულობ კვლავ „ქართლის ცხოვრებას“. უკვე დეტალები მაინტერესებს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“)...

27. VI. 93 წ.

* * *

დ. სოსლანის ბაგრატიონობაზე ბასილი ეზოსმოძღვარი არაფერს ამბობს. უცნობი ავტორი: **„თამარის ქმარი დავით იყო ოვსთ მეფე, ტომით ბაგრატიონთა...“**

გადატყლარჭულია ავტორი და აქ გაურკვეველია, ვახუშტის კი საგანგებოდა აქვს ამ ფაქტისათვის ხაზი გასმული. საერთოდ, ოვსთა ამნაირი მოყვრობა მათი სიძლიერით იყო, დავიჯერო, გამოწვეული?! ხომ არსებობდა ბიზანტია? ჩვენ, სულ ოვსეთი...

„დამარხეს (თამარ) ახალსა მონასტერსა გელათს“. ოდესღაც, რაღა ლაპარაკი უნდა, ხომ იყო ახალი.

ყველაზე ნაღდი დოკუმენტიც ეგ უნდა იყოს. **იგი რუსუდანის მეფობაშია დაწერილი.**

იოანე შავთელმა იგრძნო და იწინასწარმეტყველა ქართველთა გამარჯვება ბასიანთან. მხოლოდ პოეტს გამოეცხადა (მთლად გარკვეული არაა აქ ჩემთვის ყველაფერი), „რამეთუ მას ოდენ აუწყა, ვითარმედ ჟამსა ამას მოსცნა ღმერთმან...“

„არამედ ევლოგი არავის რა გამოუცხადა საიდუმლო **თვინიერ იოანე შავთელისა...“**

ქრისტესათვის სულელი (?). ასეთი ეპითეტით რატომაა შემკული?

სალოსი — ალბათ. ქრისტესათვის ჭკუაზე შერყეული, დაახლოებით.

29. VI. 93 წ.

* * *

ვნებათაღელვა პარლამენტისა გულგრილობაში გადადის თანდათან.

ღამეა. ვაკეა ჩაწყვდიადებული. აუფეთქებიათ ქვესადგური თუ ქვესადგურები. შევარდნაძის წარმატებით გაცოფებულნი რას არ ჩაიდენენ: ზამთარში აქ ვბნელდებოდი, მივადგებოდი შუშებს, განათებულ ვაკეს შევყურებდი დაღონებული. ახლა პირიქითაო... რეზიკო ხდება 6 წლის. 6 წლის წინანდელი ღამე როგორ ნათლად მახსოვს. თბილოდა საავადმყოფოს ეზოში, მოდიოდა შუაღამე, ერთი ვარსკვლავი, ალბათ პლანეტა, დაგვნათოდა გამორჩეულად.

ხვალ, შეიძლება, ორი სიტყვა:

თეზისივით:

1. თ. ნადარეიშვილის ორი სიტყვა. ერთი უფრო მომეწონა, მეორე ნაკლებ მომეწონა. საერთოდ მართალია.

ანდაზა: მე ქორწილში წავეთრევი, თქვენ ტირილში წაბრძანდითო.

2. სესია. ცოტა ბავშვურად მეჩვენება, რაღაც კომკავშირულ ღონისძიებას ჰგავს... მე, მაგალითად, ავტომანქანით... ეს თითქმის შეუძლებელია...

რა ხდება სამეგრელოში? იქნებ იცის ვინმემ? კიტოვანის განცხადება, დასავლეთ საქართველოში ნოლზეა დასულიო შევარდნაძის ავტორიტეტი? რას გულისხმობს დასავლეთ საქართველოში?

3. **ღერძი: გუდაუთა, ზუგდიდი, გროზნო, თბილისი.**

კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი ვერ დამალა და სხვა...

ცალკე უნდა ჩამოვწერო თეზისებად. არ უნდა იყოს საჭირო და მაინც.

მიხო ქვლივიძე უნდა გავაცილო ხვალ, უნდა გავატანო წიგნი და ანოტაცია ამერიკაში...

გამატანეო და წაიღოს, თუ ჩაიტანს იქამდე.

30. VI. 93 წ.

* * *

სიტყვა უნდა მეთქვა. აირია იქაურობა, როგორც ყოველთვის და გადავიფიქრე. მანიშნებდა გოგუაძე, გამოდიო, არა-მეთქი. სწორად მოვიქეცი. რ. ჯაფარიძეს კინაღამ უსტვინეს... გადაღლილი და გათავხედებული დარბაზი. შეხვედრა გვქონდა ჩაფიქრებული მეთაურთან. მე მქონდა. თუ არ გვინდა, მთლიანად გავირიყოთ, ასე მოვიქცეთ-მეთქი, ვუთხარი შეფს. ჭკუაში დაუჯდა. ვიტყვით ჩვენს სათქმელსაო, არი კი მთქმელი? ჩვენში? ვინ რა უნდა თქვას. ყველას საკუთარი პერსონა აწუხებს... მე, მეს ძახილს მოყვებიან... საქონელია ზოგიერთი, ფრიად სამწუხაროდ... შევუთანხმე. მე და ჯანსული მივედით... კარგიო. შაბათს ალბათ.

მიშა ქვლივიძე გავაცილე სამხედრო ჰაეროდრომამდე. მოსკოვში და შემდეგ – ამერიკაში. ვაზიანის სამხედრო დასახლებაა. მეორედ მოვხვდი იქ. უზარმაზარი ტერიტორია. ორი იმდენი მიწისქვეშაო. ჩვენ რომ გადმოგვეცეს, ვინ გადმოგვცემს ჯერ, გავფცქვნით, გავატყავებთ, დავაქცევთ...

შემოვიდა ივლისი. რეზიკოს ვაჩუქე ტირის პისტოლეტი.

1. VII. 93 წ.

* * *

მძიმე განწყობა იყო დღეს პარლამენტში. შევარდნაძე მომეწონა. მშვიდად და რეალურად შეაფასა მდგომარეობა, მითითებებიც გონივრული დატოვა. კიტოვანი აგინებდა ხალხში, დეპუტატებში, დეპუტატებსაც აგინა, თქვენ ჩამოიყვანეთო. არადა, მისი ჩამოყვანილია. ეს კაცი სატანაა! ადრე გამსახურდიას

ახსენებდა ამ სიტყვებით. სხდომაზე ხმა ვერ ამოიღო. მიხვდა, ვისი ადრესითაც ლაპარაკობდა შევარდნაძე. ომში წავალ ჯარისკაცადო და ტაშიც დაიმსახურა. ოღონდ წავიდესო, გაიფიქრა ყველამ – წავა! ხალხი აღელვებული, ქვეწარმავლებიც ამოძვრნენ, გამოძვრნენ...

ხვალ, 12 საათზე იყო დანიშნული შეხვედრა შევარდნაძესთან. რაღას შევხვდებით. იგი უკვე სოხუმშია. რა ხდება, ველოდები ცნობებს. ლაპარაკობს შაშიაშვილი, ქუთაისის 1000 წელი 95-ში უნდა გადავიხადოთაო. ბაგრატის ტაძარიც ახსენა. **სუფთად ჩემი იდეაა.** აბზიანიძესა და მაგას 3500 წელი უნდოდათ. სისულელეა-მეთქი, პირდაპირ ვუთხარი. წამოვაყენე 1000, ვთქვი, დავწერე. უნდა ავუწიო ზოგიერთს ყური ანუ ყურები.

2. VII. 93 წ.

* * *

დღეს ვუყურე მარჯანიშვილის თეატრში გორის თეატრის წარმოდგენას „საბრალონი". მ. სალუქვაძის ტრილოგია. ზოგიერთმა უყურა ერთლოგიას, ზოგმა – ორლოგიას, მე, პირადად, დიდი ყოყმანის შემდეგ, ტრილოგიას. ბოლომდე დავრჩი და არ მინანია. ბოლო აქტი ჯობდა ყველას. მხოლოდ რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან, გაუგებარია. სათაურიც უსუსური. მომეწონენ ვიღაც-ვიღაცები, ქალები განსაკუთრებით, სიდედრს ვინც თამაშობს და მსახიობს ვინც თამაშობს ბოლო აქტში, ახალგაზრდა არტისტი – იესო, სხვაც... მოულოდნელიც კი იყო ბევრი რამ.

აფხაზეთში საშინელი ომია. თბილისი მოღალატეებითაა სავსე. გოგუაძე ტელევიზიაში (აკლდა თითქოს), გულახდილად და საზრიანად, მომეწონა... მოულოდნელი არ იყო თითქოს მისგან და მაინც გამიკვირდა. შევარდნაძეც კარგად შეაფასა...

3. VII. 93 წ.

* * *

დღეს გავთოხნე ყანა, რომელსაც დავარგება არ უწერია. ვერ ვრწყავ და არ წვიმს, ტარო თუ გამოიბა, ჩხიკვები შეჭამენ. მე მაინც ვიმუშავებ. გავთოხნე, გავამორედებ აგვისტოში.

2 წლის წინ, 4 ივლისს დავკრძალეთ. მაშინ შაბათი იყო. ახლა კვირაა და არა ცხელა. მაშინ საშინლად ცხელოდა. ზევით შემცივდა კიდეცა. საბეჭდავად ვერ დავჯექი. დღეს პირველად (რაც ნოველებს ვწერ) მოვუსმინე ჩემსას... „ბუდუ ქვარიანს" ვკითხულობდი. დაბალზე იყო ჩაწერილი, ისე არაუშავდა რა, მომეწონა. რადიოხაზი შემოვიყვანე. რეპროდუქტორი ვიშოვნე (ლევანმა მომცა, რა ვიშოვნე!) პარჩაგული. კუკა პატარაიამ რომ წყალწყალა ღვინო მაყიდინა, იმას ჰგავს. აფხაზეთში სერიოზული ომია.

4. VII. 93 წ.
მკათათვე

* * *

6 ივლისი, სამშაბათი. თბილისი. არ ცხელა.

ზევით ვიყავი, ვიმუშავე, მეხმარებოდნენ დალევის მოლოდინით: კუკა, ლევანი, იორამი. კარგია იქა, დავრჩებოდი კიდეც, მაგრამ კაციშვილი არ ათევს ღამეს. რამდენჯერმე დავრჩი. უსიამო შეგრძნებით გავითენე ყოველთვის. ვიღაც დადის თითქო, ვიღაც მოდის, მიდის, არადა არავინაა.

ერთხელ საშინელი სიცხე მომცა, კინაღამ დავიწვი. გადმომაკითხეს მეზობლებმა. ხმა გაიგონეს კვნესის თუ როგორ მომაკითხეს? ისვენებდა ოჯახი ერთადერთი მეზობელისა და მიშველეს კიდეც. ახლა ისინიც არა ჩანან... მაშინ კი, ახლა ვიხსენებ, მუშები ითენებდნენ, იქ რჩებოდნენ, ლოთობდნენ, იპარავდნენ ყველაფერს... იმიტომ იყო, ძველი ფიჩხი გატყდებოდა, დაკარგული საქონელი შემოშლიგინდებოდა, ძაღლი გადაირბენდა, ვფეთავდი, ძილი მიფრთხებოდა. ახლა უკაცრიელია და უფრო მყუდროა... მარტო და ფხიზელი მაინც არ ივარგებს...

პარლამენტი დაიწყო და დამთავრდა დაწყებისთანავე, მონარქისტები და ელდარი წალაპარაკდნენ, ხელდახელ მიიწევდნენ ერთმანეთისაკენ. ისა და მამულია, ჟღენტი, თუ ნებით არა, ძალით დავსვამთ მეფესაო. ვინ გინდათ-მეთქი, მოიყვანოთ, როგორ ვინაო. ბაგრატიონები რომ ოსის სისხლისანი არიან-მეთქი. შენ შოვინისტი ხარ? ერთი ახალგაზრდა, ჩვეულებრივი უზრდელი, მეკითხება. რატომ მეკითხები-მეთქი, არ მესმის. აბა, რა შუაშია ოსი, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნებაო. ვიფიქრე, ბაგრატიონთა ოსობა იუკადრისეს-მეთქი.

ისე, კაცმა რომ თქვას, ცუდიც არ უნდა იყოს, თუნდაც მათი აფხაზ-ქართველ-ოსობა. უფრო იმეფებენ, საქართველოს გააერთიანებენ, ვითომ? ასეც რომ მოხდეს, ათასი სისაძაგლე მოყვება მონარქიულ მმართველობას, კონსტიტუციური იქნება თუ არაკონსტიტუციური იგი.

სხვა?

კარგი არაფერი ჯერ. ნელის ვერ დავურეკე. ქუთაისშიც მინდა ერთი გავარდნა, როდის და როგორ მოვახერხო? იოლად ვაკეთებდი ხოლმე ადრე, ახლა რთულია.

6. VII. 93 წ.

* * *

9 ივლისი. პარასკევი. სიცხე.

ჩავწერე ორი ნოველა **„ხვილიფონდრე“** და **„ოთხი შეხვედრა ადვოკატ შალვა ჭონქაძესთან“**. საუბარიც წარვუმძღვარეთ წინ დღევანდელ ვითარებაზე. ვერ მოვისმინე. ვიყავი „მეტეხში“ პირველად. რესტორანი, მასპინძელი ვინმე კიტია – ჩაის ფაბრიკის დირექტორიო. ნაყინი ღირდა 7 დოლარი. ჩემი მთელი თვის ხელფასია. კუპონებზე გადმოყვანილი **3500 დაახლოებით.** შამპანური, თუ არ ვცდები, **5000 ღირს** ფულად, კუპონზე **25 ათასი გამოვა**. ეყარა საჭმელი, მოჰქონდათ ლუდი, ყავა, შამპანური, კვლავ და კვლავ, პურმარილი ადრინდელივით, „ეყაროს“,

„იყოს“ პრინციპით. გული ამერია ბოლოს და გამოვიქეცი... ახლა ქე ვარ შინ.

შენი წიგნის ბეჭდვა დავიწყეო, კაკუშაძემ მითხრა. მთლიანად გადავრიცხე (ტყვია-წამლისთვის არა!) ჰონორარი საჭმელისთვის ან მედიკოსებისთვის.

მეძინება ძალიან. ლოგინი...

* * *

10 ივლისი. 93 წ.

ჩვენი თანამშრომლის — ლიკას ქმარი (ლიტფონდი) გაასვენეს მილიციის კლუბიდან (ნაძალადევი). სამნი პირველსავე დღეს დახოცილან. ერთი ნაღმზე აფეთქებულა. დავხედე. ჩვეულებრივი მილიციელები, რამდენჯერ შევხვედრივარ, შეიძლება, შევლაპარაკებივარ კიდეც, როგორც მძღოლი. მსახურობდნენ, არჩენდნენ ოჯახს, წვალებით, მიგლეჯ-მოგლეჯით წაიყვანეს, ჩაიხოცნენ. მეომრებს არ გვანდნენ, არც იყვნენ...

ამ დილით თავის ტკივილი ამყვა. მხოლოდ ლუდი დავლიე წინა ღამით „მეტეხში“. ლუდი რამდენი, ორი კათხა, სამი... ისიც წრუპვით, ყავაც კი არ დავაყოლე. მოიტანეთ, მოიტანეთ! არ მინდა-მეთქი.

მოუტანეთ ყავა! არ მინდა. ერთხელ წამოვხტი, თავი შევიკავე, დავბრუნდი. შემდეგ კი უგონოდ მთვრალმა ერთმა და მეორემ (ერთს 14 წლის შვილიც ახლავს) კიდევ შამპანური მოითხოვა და მივატოვე. დღეს დავიანგარიშეთ დანახარჯი **და მილიონ 200 ათასი** კუპონია, დაახლოებით, 5 კაცზე დახარჯული. 120 ათასი ფულად დატოვა და 500 გერმანული მარკა წასვლისას გადაუხდია კიტიას შემცვლელს (კიტიას ფულითვე). გადავიანგარიშე და გაცილებით მეტი გამოვიდა... 7 დოლარი ნაყინი, ერთი ლუდი 6 დოლარი, ორი ყავა, ვთქვათ, 2 დოლარი 15, დოლარი = 15000, გადავამრავლოთ კუპონზე სამჯერ მაინც (წესით 4-ზეა სავარაუდო) — 45000. რამდენია ჩემი ხელფასი

პარლამენტ-მწერლობიანად? ამდენი არაა, ყოველ შემთხვევაში (პარლამენტში არ მომმატებია). ე. ი. ყავა, ნაყინი და ლუდი... სიგარეტი? გამომყვა ერთი კოლოფი. დანარჩენზე აღარაა ლაპარაკი. ლუდი გამოვწრუპე, საჭმელი ბევრი, ნამცხვარი, ხილი, ერთი წლის დიდი ხელფასია გადახდილი ერთ კაცზე... ხალხს საჭმელი არა აქვს. ჩაი და პურია ძირითადი საკვები.

ზევით აველ მაინც საქმისათვის. დავაბინავე...

თოხით გათიბული ბალახიც შევზვინე.

12 საათია ღამის. ახლა უნდა ვივარჯიშო, დილით არ შემეძლო...

დღე არ ჩამიგდია, წელიწადზე მეტია, არც ერთი დღე! წელიწადნახევარი ხდება.

ემზარს მოუსმენია „ხვილიფონდრე" – ტარიელსაც.

შემდეგ რას ჩავწერ?

1. ჭეია ბლოკი
2. ჰურიას მოკვლა
3. ჯვარისა? (მოსაფიქრებელია)
4. თეატრი და ცირამუა... (!)
5. კინო? იქნებ მოვაყოლო თეატრს? შეიძლება...

P. S. დავაზუსტე იმდღევანდელი ანგარიში 5 კაცზე. ასეთი სურათია: გადაუხდია **195 დოლარი და 350 მარკა** გერმანული. გადავიყვანე ფულზე, რუსულზე, კუპონზე, ჩვენსაზე და მივიღე **1760000** – შემცირებით.

10. VII. 93 წ.

* * *

გარდაიცვალა მორის ფოცხიშვილი. იწვალა და მოკვდა. მცხეთაში იკრძალება ხვალ, „სამთავროს" გალავანში. მოინდომეს, გამოარჩიეს. საჭიროა? კარგია? არ ვიცი! ბევრი ზრუნავს წინასწარ აშკარად, არ მეჯერა და ნამდვილია. მეც კი შემე-

პარა ამდაგვარი გრძნობა. უცნაური კია. თ. მელიავამ მითხრა, მე აქედანაც (კინოდარბაზიდან, ახლა კინოთეატრია) არ გამასვენებენო. ვის კრძალავდნენ, აღარ მახსოვს. შეიძლება, ოთარ ან რამაზ ჭიაურელს. ესო თ. აბულაძის პრივილეგიაა. თამაზი იქედან გაასვენეს ზუსტად, სულ მალე, თენგიზი კი, ჯვარი წერია, ნამეტანი დარეხვილია. იმ დღეს მითხრა, შენ გაიზარდე, სიმაღლეში წახვედიო. მე კი არ გავიზარდე, შენ დაპატარავდიმეთქი, ველარ ვუთხარი.

დავიწყე „ასკილის წითელი ყვავილის“ ბეჭდვა. არ ვჩქარობ და არც მიჭირს...

ფანჯიკიძის რომანს ვკითხულობ, სხვისასაც... რეზო თვარაძე ალაპარაკეს ტელევიზორში. რაცაა, იქაც ის იყო. ერთი საყურადღებო რამ თქვა: ჩვენი სუფრა, მცირერიცხოვანი განსაკუთრებით, სიყვარულისაა. ეს ეგრეა. რელიგიურიცაა (?!), ეს ახალია. მაცხოვარმა თქვა, რამდენიმე კაციც რომ შეიკრიბოთ, თქვენიანი ვიქნებიო (!). ესეც მომეწონა.

ახლა გავაანალიზე, რატომ მიჭირს ერთ კაცთან (?) სუფრაზე ყოფნა. სიკეთეს ვერ ამკვიდრებს. ეგ არ გამოდის. უსიამოა ყოველი მისი „სმა“, თამადობა...

12 ივლისი, 1993 წ.

* * *

ფოცხიშვილი კითხულობს ლექსებს ტელევიზიაში. თითქოს არ მომკვდარა, თითქოს არ დაგვესაფლავებინოს. მეჩვენებოდა, რომ ამზეურებდა თავის სისუსტეს, ავადმყოფობას. დღეს ვიფიქრე, მეტ სითბოს და ყურადღებას იმსახურებდა-მეთქი. ეს იოლი იყო ჩემთვის. არ ხერხდებოდა. ლექსებს მიგზავნიდა დროდადრო ქუთაისში. ბარათს ხატავდა, კი არ წერდა.

კათალიკოსმა წირა სამთავროს საყდარში. სახლში ჰქონდათ ძვირფასი პურ-მარილი, ვით მოასწრეს და სად იშოვნეს?.. ჩამოსული იყო ვედეკინდი. გერმანიიდან ჩამოვიდა გასვენებაში

(!), 83 წლის ყოფილა. რამდენიმე სიტყვა ჭექა. ჯანსუღმა დაიძახა — „სდაიუს“! ჩვენ გვითხრა, ახლაც მეშინია ამათი ხმის გაგონებისო.

ბორჯომში (ლიკანი) გაემგზავრნენ ჩემები. ჩავიდნენ, არ ჩავიდნენ, სანამ არ დარეკავენ, ვერ მოვისვენებ... ფული დაუტოვებია მამუკას ჩემთვის... ქეცაა დრო!

ბეჭდვა მიდის კარგად. ხვალ ნოდარის მოგონების დღეა.

ყარყარაშვილის ულტიმატუმი მოვისმინე. ხვალ 12 საათამდე დაუთქვა — მისცა აფხაზებს ცეცხლის შეწყვეტის დრო. ნეტავ, რის იმედით! აგერ ხვალეც!

13. VII. 93 წ.

P. S.

ახლა გამოვიდნენ ყარყარაშვილი და ბათიაშვილი მუქარით. რას უნდა მოასწავებდეს ეს?

* * *

18 ივლისის ღამეა. წამოშხეფა და აგრილდასავით. აფხაზეთში ახალი აღარაფერიაო. პოზიციური ბრძოლები. ულტიმატუმი? შეტევა? რუსეთის გარეშე არ გამოვა არაფერიო, განაცხადა შევარდნაძემ. ეგ ხომ ვიცოდით. აყაყანდებიან და აკაკანდებიან (თ. ჩხეიძე) ამის გამო. ნ. დუმბაძეს გაუმართეს საღამო. დაესწრო ორი ნანული, ერთი — შევარდნაძისა, მეორე დუმბაძისა. პირველი, შ-ისა, პირველად ვნახე. ცოლები ქმრების პროვინციულ წარმომავლობაზე მიანიშნებენ.

პირველი პირველისა, შეიძლება, ლამაზიც კი იყო თავისებურად (?!), ცუდი ქალიც არ უნდა იყოს. ამის თქმის უფლება არა მაქვს.

საღამოზე (დღე იყო) ვთქვი სიტყვა მოუმზადებელმა და ვინანე. ერთხელ იქნება და სიმართლეს ვიტყვი. მიცვალებულის „ოკრუჟენიე“ ამას იმსახურებს. საფლავზე შევარდნაძეც მოვი-

და. პირადადაც მომიკითხა. შემდეგ სახლში, სუფრისკენ აიხვეტნენ ძველებურად (რაიკომი და ტრესტები), მწერლები, ზოგიერთის გარდა, ჩემი ჩათვლით, შინ.

წყნეთში აველ. ერთი პატარა, მაგრამ ნორმალური ოთახი მოუციათ. შეიძლება დასვენება.

შუა ზაფხულია, გადაცილდა, ბავშვები სხვათა ისევ აქ არიან. აღარც ფულია, აღარც გული. ერთეულები მდიდრდებიან შიშითა და გულისხეთქვით. შეფის რომანი წავიკითხე (რაც დაიბეჭდა), რაღაც უნდა ვუთხრა. შევარდნაძემ მოგვილოცა წერილობით, კარგი წერილია, სხვათაშორის. ნ. დუმბაძის კლასიკოსობაზე (შეიძლება, აქაც მართალია) რომ არ გაემახვილებინა ყურადღება, კარგი იყო. სათაურშია გამოტანილი – „იმათ, ვინც წელს გახდა (მწერალი) 60 წლისაო“ და სამადლობელი წერილი ყოფილ „კომუნისტში“ მიუტანიათ **ჩარკვიანს, ამირეჯიბსა და მიმინოშვილს**, ბარემ ადვაძეც მიეწერათ.

18. VII. 93 წ.

* * *

ღამეა. უკვე 23 ივლისია. ნამეტანი ცხელა. ვბეჭდავ. ხვალ რადიოში უნდა ჩავწერო რამდენიმე ნოველა და აწი უნდა მოვემზადო, უნდა გადავერთო აქედან აქეთ... სხვაც ბევრი საქმე, პარლამენტის ჩათვლით, მაქვს ხვალ.

გუშინ (თუ ზუსტად – გუშინწინ) **მოვიდა, მოვიყვანეთ შევარდნაძე.** დღეს გადმოსცეს. აწი აღარ ამოვიღებ ხმას! არ ყოფილა ჩემი საქმე!

23. VII. 93 წ.

დღისით:

ჩავწერე 3 ნოველა **„თეატრი“, „კინო“, „ჭეია ბლოკი“**, ერთიც იქ შემოუტოვებიათ („ადვოკატი ჭონქაძე“) და საკმარისი იქნება სექტემბრამდე. სიცხე აუტანელი. წყნეთი, სამსახური, პარლა-

მენტი, ბირჟა. ბენზინიც აღარაა. პარლამენტში არეულობა, ნერვიულობა. ხელშეკრულების ტექსტი უნდა განვიხილოთ ხვალ. ზევით ასვლა გადამედო, ანდა ნაშუადღევს ავალ. როგორც ვვარაუდობდი, როგორც ვფიქრობდი, ვწერდი და ვამბობდი, ისე მთავრდება ომი აფხაზეთში, თუკი დამთავრდა. მთავრდება გლახად.

23. VII. 93 წ.

* * *

29 ივლისი. ოთხშაბათი. დილაა.

წუხელი შევარდნაძის პორტრეტი აჩვენეს რუსეთიდან ტელევიზიით რამდენჯერმე. გაუბედურებული, მოტეხილი. რამდენიმე დღის წინ სხდომათა დარბაზში – უკვე დაბერებული...

შემხვდა აეტი. ვიფიქრე და შემხვდა, უკვე მეორედ ერთნაირ სიტუაციაში. ყველაფერი სამდება და ესეც ასე იქნება...

ვიყავით ზევით ორი დღე. საოცარი ადგილია, ახვალ, ჩამოსვლა არ გინდა.

გადავბეჭდე **„ასკილის წითელი ყვავილი“**. ესეც ერთი უცნაურობა. მკითხველი და შემფასებელი აღარაა, მაგრამ მოვა დროც კითხვისა და შეფასებისა. მარტო არ ვიყავ...

ამჟამინდელი პარლამენტი უფრო ბნელია, მგონი, ვიდრე ხალხი. განსჯის, გონიერებისა და სინდისის უნარს მოკლებული მრავალი.

ვიომოთო. ვისი სახელით ომობენ, ვისი ხელებით?!

ყველა დაკომპლექსებული, დანგრეული და უპერსპექტივო ამ ლოზუნგში ხედავს შველას, თავის გამომზეურების საშუალებას...

ოპოზიციონერობა ხელობაა **კაკოსათვის,*** მაგრამ სინდისიც ხომ უნდა გაწუხებდეს.

29 ივლისი, 93 წ.

---

* აკ. ბაქრაძე.

* * *

ერთიც ჩავწერე – „აღდგომას მოკლა ურია!“ და მერამდენეა, ვერ კი ვიცი. მზადა ვარ ხუთი ნოველისათვის კიდევ და ეს წელიც ჩათავდება. საკმარისი იქნება, მე მგონი... გადავბეჭდე „ასკილის წითელი ყვავილი“. ვიკითხე, ვასწორე, რაღაც ჭირდება თითქოს კიდევ...

აფხაზეთ-ჩვენს ურთიერთობაზე ვფიქრობდი: ვთქვათ, მართალი ხარ. **იმათი სიძულვილი კი ჩვენს სიმართლეზე მეტია.**

რამ გამოიწვია? ჩვენ ამას არ ვკითხულობთ, არ გვაინტერესებს. უმიზეზოდ ხდება რაიმე? ჩვენ ნამეტანი დიდი წარმოდგენის ვართ რუსებზე. ერთი ერი მეორეს რომ გადაჰკიდოს, შეუძლია, მაგრამ ერი რომ ერს შეაძულოს – არა. რომ მოენდომებინა, პირიქით გამოვიდოდა. ჩვენ რით ვჯობივართ, რით ვჯობდით სხვას? სიძულვილი არ გვქონდა, არ ვიცოდით, ახლა ამასაც მოვიპოვებთ, შევიძენთ, შუღლს დავთესავთ იქ, სადაც ყველაზე საშიშია – სამეგრელოში, მეგრელებში, აფხაზების მიმართ მაინც გულგრილად დავრჩებით, საკურორტო პრობლემებს იქით ვერ გავიხედავთ...

1) მაგენი ჩამოსულები არიან, 2) მაგენს რუსებთან უნდათ შეერთება, 3) მაგენი არ არიან აფხაზები...

ჩვენი პოლიტიკა და მეცნიერება ამ სამი წინადადების გარშემო ტრიალებს მხოლოდ.

30 ივლისი, 93 წ.

* * *

ზევით ვიყავ, ვიმუშავე, ძალიან დავიღალე. გრილა და არ წვიმს. მიწა მშრალია ისევ. ეს ივლისიც ჩათავდა. მე და გუბაზი შინ. გუბაზი სულ შინ, მე – ხან ზევით. დანარჩენები ლიკანში. წყნეთში ოთახია ცარიელი. ზევით – საქმე ბევრი, ქვევით – უფრო მეტი. ერთი-ორი კვირით დავისვენო იქნებ ქუთაისში. იქ ვისვენებ მართლაც. დაწყებული მაქვს სერიოზული

რაღაც, წელს სხვა საქმეს აღარ გავიჩენ. შემდეგ: „ტურანდოტი“, „გათენების წინ“ (ყაჩაღები) და წიგნის გამზადება. ეს ნამეტანი რთული საქმეა, გამოცემა – უარესი. რას შვრება ჩემი გამოუსვლელი ტომეული, ისიც არ ვიცი.

ახლა დამირეკა ფისოს ამხანაგის ქალიშვილმა. როგორა ხართ-მეთქი. გაწამაწიაში, ვერ ვართ კარგადო. რა დაემართა, მე ვიფიქრე. ჩემი ნინიკო აბარებს და ძალიან ვნერვიულობო. მე ვთქვი, შენი დედა, გული მომივიდა, კიდევ ჩაბარება, მოწყობა, ლექტორები, გამომცდელთა ძებნა. უგამოცდოდ მიგიღებთო, იხვეწებიან რომელიღაც, რიგით რომელიღაც უნივერსიტეტიდან. აღარ გაძღა ქართველების გული... მოეწყობა და დაამთავრებს, დამთავრება აღარცაა სავალდებულო. მთავარია, შვილი მოვაწყვე. ვინ სწავლობს, ვინ ასწავლის, ვინ დადის? ვის ჭირდება შენი დიპლომი და სხვა.

გუშინ შემოტევა მქონდა ტელეფონით. ჯერ ქალი: თქვენი ამომრჩეველი ვარ, ექიმიო. სხვა არაფერი მითხრა, მაგრამ ონკოლოგიურიდან რომ იყო, მივხვდი. ლაპარაკობდა, გულს იოხებდა, ჩემი პასუხები არ აინტერესებდა... დიდხანს თხრობდა გაჭირვებაზე, თავისაზე და სხვისაზე. შემდეგ ორმა მამაკაცმა შემომიტია, უკვე ლანძღვით...

შე წითელო ინტელიგენციის წარმომადგენელო, საქართველოს გამყიდველოო. მეორემაც იგივე. რამ გააცოფათ (მერიდებოდნენ თუ მზოგავდნენ ამ დღემდე) ვერ გავიგე!

31. VII. 93 წ.

* * *

რ. თაბუკაშვილის დაბადების დღე ყოფილა. სიკვდილამდე, ალბათ, 2 თვით ადრე ვნახე. უკვე აღარ იყო. ლაპარაკში იძინებდა, ითიშებოდა. ბუნებრივ მდგომარეობაში ვიხილე, აღარ თამაშობდა. იგი ბუნებით არტისტი იყო და მისი ყოფა, მოქმედება პოზასაც არ იყო მოკლებული. ეძებდა და ვერ ეპოვნა

კარგი ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა ისედაც. წრიალებდა. შექსპირის სონეტები თარგმნა მხოლოდ მაღალ დონეზე. ეს არ კმაროდა. უნდოდა სახელი. ესეც მოვიდა, იგი ეროვნულ გალუცინაციებს მოყვა. უფრო გამოიჩენდა თავს, რომ ეცოცხლა. ახლა ჩვენ მხარეს იქნებოდა. ს. ჩიკვაიძის ადგილიც მისი იყო. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სწორად დაიწყო და სხვაგან წავიდა (არა მისი სურვილით). გულიანი იცოდა სიცილი. მე მიყვარდა, თუმცაღა ისეთი განსაკუთრებული მისგან არა მახსოვს რა სიკეთის მხრივ. წყენა კი იოტისოდენაც არ შემხვედრია, გულში არ ჩამრჩენია რა. სტუდიაში მისი მოღვაწეობა, ისევე, როგორც, ალბათ, ჩემიც, დაკარგულს უდრიდა. (დოკუმენტურ სტუდიას არ ვგულისხმობ), შემოქმედებითი გაერთიანება ჩვენი: გარდაიცვალა **რეზო ებრალიძე**, პორტრეტი ჩამოკიდა ირამ, მოკვდა **რეზო თაბუკაშვილი**, შემდეგ **რეზო ინანიშვილი**. გასამდა. დავრჩი მე და დავიშალეთ კიდეც, 1992 -სთვის აღარ ვარსებობდით.

გარდაიცვალა ირ. არაბული, პოეტი. რამდენიმე ფუნაგორიით დარჩება. ჯერ ახლობლებში, შემდეგ ფუნაგორები (რამდენიმე) დარჩება. სხვა პოეტი (მრავალი) ამასაც ვერ დატოვებს. ელგუჯამ გამოიდო თავი და მოზრდილი ნეკროლოგი გამოაცხო...

2 აგვისტო, 1993 წ.

* * *

ელგუჯა გადგა განზე, არც სამსახურში მოვიდა, არც დაკრძალვაზე. მშვიდად, წყნარად ყველაფერი, უხმაუროდ, რაც მთავარია (ირ. არაბულის დაკრძალვა). ქელეხიდან ოჯახში. კაი სუფრა, ბევრი საჭმელი და სასმელი. დავიძვრინე შუა სუფრიდან თავი (მე, ლევანი, იორამი), ავედი ზევით. ჭა გავზომე, ცოტაოდენი ბენზინი ავაცალე საკუთარ მარაგს და მოვბრუნდი. გაუკვირდათ, გაეხარდათ. მაინც იგივე გამომივიდა ცოტა ხნის შემდეგ.

გადმოვიღე ახლა „ტურანდოტი“ და „ყაჩაღები“ (გათენების წინ).

დავიწყებ „ყაჩაღებით“, იმნაირი აღტკინება არ იქნება. ზეგ რიგგარეშე სესია გვაქვს.

3. VIII. 93 წ.

* * *

პარლამენტი დილიდან. დავაგვიანე და ისინიც არ დაიწყებდნენ გერმანულად. ვიგულისხმოთ 10:12. შუადღის შესვენება. ზუსტად 8 საათსა და 8 წუთზე (ცხრის რვა წუთზე) ამოიღო ხმა შევარდნაძემ. არ გარეულა დებატებში, ლანძღვაში, გინებაში. რა გამოსავალს მოძებნის-მეთქი, ვფიქრობდი. წინ მსხდარ პოლიტიკოსებს ვუთხარი: ახლა ჩაფარცხავს ყველაფერს-მეთქი. არაო, ეხლა ძნელია, სხვანაირი სიტუაციაა, როგორ გეკადრებათაო. როგორც მეკადრება, ეგრეც მოხდა ზუსტად. მიაგვარ-მოაგვარა, ხვალისთვის გადადო მინისტრთა კაბინეტის გადადგომის საკითხი. რაღაც რაღაცეები მაქვს ზევით ასატანი ხვალ. პარლამენტში კი, მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ვერ მივალ. 4-ზე იწყება და იქნებ ქეც მოვასწრო დასწრება და მაღლა აბრუნებაც დღის სულზეც.

მაგარია შევარდნაძე. აწი რას მოიმოქმედებს, არ ვიცი, მაგრამ ნაღდად მაგარია.

მაგრად შევუტიე, სხვათა შორის, პირადად მე, თ. სიგუას...

5 აგვისტო, 1993 წ.

* * *

ახლა 7 აგვისტოა, მოქუფრული. წამოშხეფა და ჩამობურა ცხლად.

ქალმა დარეკა, მერი ვარ, პასიკო ადამიას ქალიშვილიო ქუთაისიდან. ვინაა პასიკო ადამია. სახელი ნაცნობია. ვიღაც ამდაგვარი ცხოვრობდა სამეზობლოში. მერი რომელი? ახლა აქ

ცხოვრობთ-მეთქი? კიო, 40 წელი, რაც პასიკო გარდაიცვალა, მას შემდეგო (?).

გუშინ ავზიდე მუხათწყაროში რაღაც-რაღაცეები, რაღაცას დავამსგავსე კიდეც იქაურობა. ბენზინი თუ ვიშოვნე, დავატყობ ხელს იქაურობას, მეკუთვნის, ღვთის მადლით, ესაა ერთადერთი საპარლამენტო წყალობა ჩემთვის. გუშინ ვერ დავესწარი, ვუსმინე კია. მიალაგ-მოალაგებს მთავარი ალბათ უკვე. თუ ეს მომენტიც გაუშვა ხელიდან, უნდა დაანებოს თავი ყველაფერს და მიხედოს თავის თავს. შემცვლელი გამოჩნდება, მოიძებნება. იგი უკვე არის, არ ჩანს, ეგ ბუნებრივია...

წიგნი იქნება მალე სასიგნალოო. შეიძლება, არის კიდეც. აღარც მიხარია. ახლები საწიგნედაა, იქ კი განვლილი გზაა. ფული არაა. იმოდენა წგნით უნდა მეცხოვრა ადამიანს ერთი წელი თუნდაც. რა მომიწევს დაახლოებით, საინტერესოა... 100 დოლარი, ალბათ, არა. ნამეტანი ბევრი მოვინდომე!

წერილი თუ მილოცვა დაუბეჭდავთ გვახარიასი, პირადად არ ვიცნობ, ნამეტანი კარგიო, ემზარი ირწმუნება. გაზეთი არა მაქვს ჯერ.

სიგუას — პრემიერ-მინისტრს, უკვე ყოფილს რომ შევეჯახე, „ლიტერატურული საქართველო“ გადამავიწყდა. აუცილებელი იყო ხსენება, „განთიადს“ კი ვურეკლამე...

7 აგვისტო, 93 წ.

* * *

ქეც დავიწყე „ყაჩაღები“, მაგრამ ამ სიცხეში რავარია მუშაობა.

რაღაც გამახსენდა და იმიტომ გადავშალე ეგ რვეულიც. პარიზში რჩეულმა საზოგადოებამ (რაღაი პარიზი იყო და „იუნესკო“, რჩეული ვუწოდოთ) უყურა ქართულ კონცერტს. „ხორუმის“ ცეკვაზე ერთი მეორეს ზურგზე რომ შეახტა, ტაში დაცხეს, ფეხით შეადგა მხრებზე კაცი კაცს და ტაში მხურვალე.

„ოტელო“ გამახსენდა, ბალეტი – „ოტელო“. ინგრეოდა ოპერა ჩემს ახალგაზრდობაში (50-ანი წლების ბოლო), შესვლა ჭირდა, პრემიერის ყურება, როგორ მოვხვდი შიგ, არც ვიცი, გმირობა იყო. ყველაზე დიდი ტაში ყველაზე უგემოვნო ნომერს, კიკალეიშვილის გველივით ხოხვას ხვდებოდა წილად. გულწასული „ოტელო“ აგდია და კიკალეიშვილი მიხოხავს „კაკ ზმეია“ და ტაში და ოვაცია. უგემოვნო სცენების მეტი რა იყო, მაგრამ ეგ იყო მწვერვალი, დღემდე მახსოვდა, გულში ხინჯად მქონდა ჩარჩენილი და პარიზშიც იგივე თითქმის. ზურგზე პარიზელი ფრანგიც შეახტება პარტნიორს, მხრებზე ფეხებით დაადგება უკეთესად ჩვენზე, მაგრამ ქართულს ვერ იცეკვებს... ღმერთების ცეკვაა. უნაკლოდ ითამაშა იმ დღეს ვაჟმა. ჩვეულებრივად მიიღეს. შენც უნდა მიანიჭო, როგორც ჩანს, მეტი მნიშვნელობა, საწარმატებო ფონიც უნდა შეუქმნა. ამას მოფიქრება უნდა, ბრბო კი პარიზშიც ბრბოა, რანაირ დარბაზშიც არ უნდა დასვა იგი.

გუშინ უფერული შაბათი იყო, არაფერი ხდებოდა. დღესაც იგივეა. ბენზინი არა მაქვს, თვარა აქ ქვე რავა გავჩერდებოდი...

8. VIII. 93 წ.

* * *

გაზეთ „ოკრიბას“ მეორე ნომერი მომცეს დღეს. ვახტანგ გოგოლაშვილის მშვენიერი მოგონება-მინიატურაა კურსების მონატრებაზე (გოგოლაშვილები სოფ. კურსებიდან არიან). მე თავად მონიშნული მაქვს 5 მოგონება-მინიატურა მასზე. გაოცდება, რომ გაიგოს. უხერხულია გამოქვეყნება, არც ვწერ ჯერ. იქვე მაქვს ჩანიშნული „გაბო“, დასრულებული. ცხოვრება კაცისა, სხვას რომ არა ჰგავდა... მონახაზია მზად, გადაამზრებულიც კარგადა მაქვს. იოლად დავასრულებ. გარდაიცვალა 88-ში? მას შემდეგ ამოვიკვეთე ალბათ ფეხი კალანდაძის ქუჩის სახლში. ახლა სარდაფი დავცალეთ. ჩემი „კაბინეტის“

ფანჯარა ღია იყო. კიბე, კარი ეზოდან. თითქოს გუშინ მივატოვე იქაურობა. 1970 წლიდან... შევივლიდი ხოლმე დროდადრო, გვიან-გვიან, მაგრამ მაინც შინაურულად ვითავისებდი საერთო გასასვლელ-გამოსასვლელებსაც. იმ დღეს (5 დღის წინ) სარდაფმა შემიყოლია, სახლში შესვლის, შეჭყეტის სურვილიც არ აღმძვრია. ახლა გამახსენდა იქაურობა, აღვიდგინე იქ გატარებული წლები და სევდა მომეძალა, დავღონდი. სიხარულებიც იყო, კი... ბევრი ზრუნვა, წუხილი, ფიქრი, შფოთი, ნერვიულობა და... მომავალზე იმედიანი ფიქრი... ნათელ მომავალში ეჭვი არ მეპარებოდა, არ მეჩქარებოდა, დრო არ გამირბოდა. სივიწროვე მაწუხებდა, სიღარიბეც... ის დღეები ახლა უფრო მაწუხებს, ამ წუთას...

ბოლო შეხება იქაურობასთან, ერთი შესვლა მომიწევს კიდევ ალბათ... რაც იქ შეშა მიხერხია. მაგიდის ფეხზე თოკი, რა არისო (ყველა ფეხზე იყო) მკითხეს, ქათამი იქნებოდა მობმული-მეთქი...

სიცხე, უბენზინობა. ზევით ვერ ავდივარ და ვნერვიულობ ამაზედაც...

ვმუშაობ დუნედ „ყაჩაღებზე“. რაღა დროისაა, მაგრამ არ მინდა, მივატოვო სცენარად... ყველას, რომელიც ორიგინალური იყო და არა ინსცენირებული, მივხედავ... ისინი ლიტერატურაა, ლიტერატურად დავტოვებ... გავიხსენო იქნებ:

„ცისფერი მთები“,

„ჭიდაობას რა უნდა“,

„ბერსათრიელა“,

„ბოსტოიამ თქვა“ (არ დადგმულა),

„ასკილის წითელი ყვავილი“ (ჩავაბარე „მნათობის“ რედაქციას), (ექსპრეს-ინფორმაცია),

„გათენების წინ“ (ვმუშაობ), („ყაჩაღები“).

„ტურანდოტი“, „დონდინიო“ (ფეხბურთი) რიგში დგანან...

ეგ იქნება სულ.

დანარჩენი ინსცენირება იყო:

1. „ჩემი მეგობარი ნოდარი“ (ორჯერ)
2. „გამოაღეთ ფანჯრები“
3. „ყვარყვარე“
4. „სამანიშვილის დედინაცვალი“
5. „ბაკულას ღორები“
6. „ბზიანეთი“
7. „ზღვის მგელი“ („კინოგადაღება“)
8. „ჭა“
9. „მხატვარი იაშა“ („ავტოპორტრეტი“)
10. „ფედია“.

ერთს სრულმეტრაჟიანს და ორს მოკლემეტრაჟიანს, რომლებსაც ჩემი გვარი აწერია, არ ვთვლი.

„ციცინათელა“ („პანდორას ყუთი“) წარმოებიდან ამოიღო გორდელაძემ (გადაღება დაწყებული იყო), „სამი ასული“...

მონაწილე ვყოფილვარ სხვადასხვა ფორმით სხვის სცენარებში და ეგაა სულ...

სცენარები, რომლებიც არ მიიღეს საბოლოოდ (ცოტა). ასე დასრულდა ჩემი მოღვაწეობა „ქართულ ფილმში“.

10 აგვისტო, 93 წ.

* * *

კვირას ჩაწერაა და მობრძანდითაო.

თანხმობა ვთქვი ადრევე და აღარ მიუარია. მ. კვესელავაზეა, ამის გამო ზევით ვეღარ დავრჩები... სამსახურიც... ვიღაც ქალს, 80 წლის მკითხველი ვარო, შეხვედრა დავუთქვი. სიმღერა იყო ამისნაირი – 80 წლის ბებია, ხომ არ გათხოვდებაო.

სამამულო, ასე ეძახდნენ იმ ომს, ომის დროს საშინლად პრიმიტული სიმღერები შეიქმნა: „მინდორში, ბალახ-ბულახში, არალიო, ამოსულიყო იაო, ამაღამ შენთან ვიქნები, კარი დატოვე ღიაო“, „დამპიტარომ, დიმპიტარომ, თავმჯდომარეს დიდი

ტარო“, „ბებია მყავდა პოვარი, დამრჩა გაუთხოვარი“ და სხვა. ამ ომსა და უბედურებას ამნაირი რამ არ მოყოლია.

ყარყარაშვილი ლაპარაკობდა ახლა. მე მაინც ჯარისკაცად დავრჩები, რაც არ უნდა მოხდესო. მიწაზე თუ ღამე არ გავათიე და ტალახში თუ არ ჩავწექი, არ შემიძლიაო. ერთი 20 წლის შემდეგ მინისტრადაც შეიძლებოდა დანიშვნა... გაწვევა გვექნება და ჯარიც უნდა შევქმნათო, ესეც კი თქვა!

ქალაქიდან გასვლამდე (ჯერ ზევით მაქვს ქვეყნის საქმე) ორი ნოველა უნდა ჩავწერო. ეს იქნება „ჯვარისა“ და „სევერიან ვახვახიშვილი“. წიწილებს შემოდგომაზე (არ შემოსულა ჯერ) დავითვლი...

ინსპექციამ გამაჩერა...

გვეშველება თუ არა რამეო, შემეკითხა. ცოტა გვიან-მეთქი. ვის ნიშნავენ, რა იქნებაო, ნამეტანი ცნობისმოყვარე აღმოჩნდა... წიგნიც გამოდის, მგონი, „საბჭოთა საქართველოში“, სასიგნალო იქნებაო და აღარ მიხარია. იმოდენა წიგნს კი როსლა შევადგენ... გადასაბეჭდი, გადმოსაბეჭდი. ერთი დიდი ტომი გამოვა ახლები... შემიძლია, დავიანგარიშო.

12. VIII. 93 წ.

* * *

ვუსმინე რადიოს. კმაყოფილი დავრჩი სხვიმისთან შედარებით. იმწამსვე დარეკა ვიღაცამ (შ. ინწკირველის ხმას მივამსგავსე) განწირული ხმით, დღეს კიდევ უფრო მომეწონაო. რომელი ბრძანდებით-მეთქი. თქვენი პატივისმცემელი კაცი ვარ და თქვენთვის, ვინა ვარ კერძოდ, რა მნიშვნელობა აქვსო. ხელი ჩაიქნია თითქოს და გაითიშა. სამსახურში მთავრობის ტელეფონი რეკავს დღისით. რეზო ხარ, რეზო ვარ. მე ესა ვარ. ვინაა? ვფიქრობ... ჯაბას კანცელარია, ჯაბას სახელით გირეკავ. ხომ არ გადიხარ. არა, აქა ვარ, მე ვპასუხობ... ორმოც წუთში მოვალთ. რა უნდათ, ვფიქრობ.

— რაშია საქმე?

— ბენზინზე ვრეკავთ...

— ბენზინზე?

— ბენზინზე, მიგიღიათ, მოვალთ, მოვილაპარაკოთ, გავერკვეთ.

— მოდით, თვარა გავდივარ-მეთქი.

— როდისო?..

— წამოდით ახლავე!

— კარგიო. ვისთან მივიდნენ, ნეტავ?

ვკითხულობ **„ძენის ოსტატებს“**. სამსახურში მიდევს გადაბეჭდილი ეგზემპლარი, დადიანის თარგმნილია. ბევრი საყურადღებოა, ერთ მომენტს გამოვიყენებ „უცნობი ქალის ჩანაწერებში“. ესაა ბოგირი, ბონდის ხიდი... იქაური სიბრძნე გათამაშდება მატერიალურად, ცხადად და სიზმრად. მალე იქნება ესეც, თუ დაგვაცალეს, ბევრი იქნება!

13. VIII. 93 წ.

* * *

დღეს ჩავწერე მ. კვესელავაზე. მე და რეზო კვესელავამ ვისაუბრეთ შემდეგ კარგა ხანს. მიშაც გავიხსენეთ, სხვაც... რეზომ ჩვენი პირველი მოგზაურობა კახეთში აურია ბოლნისში საქეიფოდ ჩასვლაში. ერთი დეტალი გაიხსენა რონდელთან დაკავშირებით, რომელიც არ მახსოვდა. საწყალ ნემსაძეს (თედორიჩს) ჰქონდა ფენომენალური მახსოვრობა, ყველაფერი ახსოვდა თითქმის. სამაგიეროდ, ჩემი მახსოვრობა იყო და არის სხვანაირი. რაც მახსოვს, ზედმიწევნით ზუსტად, დეტალებად... მაგალითისთვის, ნემსაძე მთელი წლის ყველა დღეს გაიხსენებდა, მე — რამდენიმეს, მაგრამ იმაზე უკეთესად. ძლიერი სიმთვრალეც ასეთი მაქვს, გათიშვებითა და თეთრი ლაქებით. ალაგ — არაფერი, ალაგ — ყველაფერი. როდის ავდექით სუფრიდან, როდის გამოვედით გარეთ — თეთრი ფურცელი... მანქანაში

როგორ ჩავჯექი, შინ როგორ მივედი ნაბიჯ-ნაბიჯ, წუთ-წუთაა აღნუსხული. წინა არ მახსოვს, ბოლოს ვიხსენებ, ან პირიქით, ხან ისე, ხან ასე...

ემზარმა მოიტანა პოემა კვიპარისზე... შესავალი პროზად, შემდეგ ლირიული პოემა... მომეწონა... მაღალი ოსტატობით, გრძნობით, განცდით... მაინც სიცივეა შიგ...

15. VIII. 93 წ.

* * *

16-ია, ორშაბათი. აგვისტო. ნამეტანი ცხელოდა. ახლა გვიანია და გრილა კიდეც. მიდის ეს ზაფხულიც...

პარლამენტი არ შედგა. არა ვართ მზადო... მთავრობა ვერ შეარჩიეს. პარასკევსო.

შევარდნაძეს კოსტუმი აცვია ცისფერი, თეთრი ზოლებით, აქ შეკერილს ჰგავს. კარგად ვერ დავაკვირდი. პირველად რომ შევხვდი მილიციაში, თბილისურ ფეხსაცმელებს მივაქციე ყურადღება...

შაშიაშვილმა დარეკა. დიდი ღონისძიება აქვს ჩაფიქრებული მარიამობაზე, 28 აგვისტოს (ჩემი იდეა, მხოლოდ უფრო მასშტაბური და შორს გამიზნული. თუმც, ხომ უნდა დაიწყო რაითიმე). შესაფერი დრო არაა გამონახული. ვნახოთ მაინც. 25-ში აქ ჩავატაროთო და ჩავატაროთ-მეთქი (მწ. სახლში) წინასწარ შეხვედრა. თუ მშვიდობა იქნა, ესეც იქნება...

გიგლა იყო, ხუხაშვილი, ნემსაძეს იხსენებდა და მოკვდა-მეთქი, არ ცოდნია. ეწყინა და ძალიან გაუკვირდა, უფრო გაუკვირდა. მეც გამახსენდა შემდეგ პატარა, უკან ბრტყელი და მჩატე თავით... სიცარიელიდან, არაფრიდან მოვიდა თითქოს და არაფერში არაფერი დატოვა, წავიდა... ღვინჯილიას – მამა, ჭელიძეს – დედა გარდაეცვალა. ჯანსუღი გადაირია. ჭელიძეს ჰყავდა დედაო, ყოლია-მეთქი, ხვალ კი ფოცხიშვილის ორმოცია. მესაფლავის თანამდებობაა მდივნობაო, ფანჯიკიძემ მითხრა და დღეს ვირწმუნე უფრორე...

„ყაჩაღებს“ ვახრჩობ უგულოდ.

ქუთაისში წასვლა გადამედო. ბენიას ველაპარაკე... უკმაყოფილო იყო. მარტო ვერ ვჩერდებიო. რამ უნდა გააჩეროს!

ხან მუხათწყაროს ვნატრობ (დღისით), ხან – ქუთაისს. ახლა აქ ჯობია, ჭრიალია კალიათა ქვევით. გრილა. მუშაობის ამინდია.

16. VIII. 93 წ.

* * *

ხვალ ფეხბურთია. დიდი ამბითა და შიშით ელიან მატჩს. უსაფრთხოების ყველა საშუალებას ვიხმართ, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთაო, გაიძახიან ყოველწუთს და კიდევ უფრო მუხტავენ სიტუაციას.

დევიმ დამირეკა, სტურუამ. იმდენი მელაპარაკა, თავი ამატკივა. წაუკითხავს ჩემი წიგნი (რკინის სახკომი) გუშინვე (ემზარმა წაუღო) და გუშინვე ულაპარაკია რეზო ჭეიშვილთან(?). ვილაცაში ავრევივარ. გადარეული იყო. წნევამ ამიწია ამის გამოო. დიდხანს ველაპარაკე, სულ თქვენ გგავდათ, ერთხელ არ მითხრა, არა ვარ ის კაციო. კმაყოფილი იყო. მაქო, გამეხარდა და შევწუხდი, რაღაცნაირად რომ გული ვატკინე ვანო სტურუას გამო. ყველაფერს ხომ ვერ გაითვალისწინებ, ყველას ხომ არ გაუწევ ანგარიშს (რატომ უნდა გაუწიო), არადა, უხერხულობაა მართლაც. შვილი ვანოსი, რობერტი, ხომ კარგი კაცი იყო! კვესელავას ხსენებაზეც გამოვიძღოლიე... რას იზამ, სიმართლეს ვით გაექცევი!

ორმოცი იყო მორისის, სუფრა იქვე, სამთავროს ეზოში. მშვენიერი, მშვიდი დღეა, არც ცნობისმოყვარენი, არც დამთვალიერებელი... მხოლოდ ჩვენ, რამდენიმე, სუფრაზე. ჩვენთანაც სიწყნარე, სიმშვიდე და მხიარულობაც...

გარდაიცვალა ნ. კილასონია. **შვებულებაში ვარ ფაქტიურად**

და სამსახურს ვერ ვტოვებ. ხვალ ადრე (12 საათი ადრეა ჩემთვის) უნდა დავერჭო კიდეც...

17. VIII. 93 წ.

P. S.

ერთი საინტერესო ფაქტი მითხრა დევიმ. ჩავიწერო უნდა აქ, რომ არ გადამავიწყდეს:

ოპოზიციებს, მათ ლიდერებს (ტროცკი და სხვები) მიტმასნილ ხალხთან აგიტმუშაობას ეწეოდა, ცხადია, სტალინის თანხმობით, სერგოო. ჩამოშორდით ოპოზიციას და სასჯელს აცილდებით, პარტიაში და ძველ სამსახურებში დარჩებითო.

დაიჯერეს და არ ასრულდა.

დაუწყიათ პატიმრებს (სხვადასხვა კუთხიდან) წერილების გამოგზავნა, თქვენი სიტყვა არ ასრულდა, უპირო ხალხი ყოფილხართ, სტალინი ვინც იყო, ვიცოდითო და სხვა.

წერილები ბერიას ხელში გადიოდა (საქართველოსი) და შემდეგ მოჰქონდათ ადრესატთან. იღებდა ბერია, თურმე, ამ წერილების ასლებს, ფოტოასლებს ალბათ და ყოველგვარი კომენტარის გარეშე უგზავნიდა სტალინს. შედეგიც გათვლილი ჰქონდა. იცოდა, სერგო ამ წერილებს „პატრონს" არ წააკითხებდა. ასეც მომხდარა. დაუბარებია სერგო სტალინს და უჩვენებია წერილები. შე კაი კაცო, მლანძღავენ, დედას მაგინებენ და შენ არ მაცნობებო. ეს ხალხი საშიში აღარააო, თანაც მართლები არიან, დავპირდითაო, „მალო ჩტო აბეშჩალიო" და აითვალისწუნა ამის შემდეგო...

* * *

მოვიგეთ გუშინ ფეხბურთი. დაბეჩავებული ხალხის გუნდს წარმოადგენდნენ და ეს უშლიდათ ხელს თითქოს, მეტის გაკეთება ამიტომ ვერ მოახერხეს, ისინი კი, ირლანდიელები, კმაყოფილები დარჩნენ 2:1 -ისა...

ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინ, მწ. კავშირის სამკითხ-ველოში ქალი გამომელაპარაკა, ფისო როგორაა, მკითხა. ვფიქრობდი, ვინაა, აქ რა უნდა. დედაკაცია, დამლაგებელი ან ამისდარი... მეო, ნაზი კილასონია ვარო. შევწუხდი. არც ადრე მქონია დიდი ნაცნობობა, მეგობრობაზე არას ვამბობ, მაგრამ იმნაირი ნამდვილად არ მახსოვდა. მიხვდა ჩემი გაოცების მიზეზს, ასე დამემართა, ხომ ხედავ, რას დავემსგავსეო... შემდეგ სულ მოეშვა, გალოთდა კიდევაცაო, ხმები მომდიოდა, საყვედურებიც მესმოდა ჩვენი მისამართით და ჩემი დასამარხავი თუ შეიქნებოდა, მაინც არ მეგონა. ჯერ კიდევ (ერთი დღე დარჩა) არაა გადაწყვეტილი სასაფლაოს ალაგი... ხელი ვერ მოვაწერინეთ ვერავის, ვერავინ ადგილზე ვერ დავიჭირეთ... მთელი დღე ამ გაგანია სიცხეში ვიჯექი. სხვა დანარჩენს დავადგით თავი... ალაგი დარჩა. პარლამენტში ვნახავ, ალბათ, გაბაშვილს ხვალ დილით...

საშინლად ცხელოდა. ახლა ღამეა გვიანი და წვიმს წვიმასავით. ნ. კილასონია ჩემი თაობის, ცოტა წინას პოეტი იყო. ფისოს ძალიან მოწონდა, სხვებიც თვლიან დიდუბისად...

19. VIII. 93 წ.

* * *

გადატყდა ხერხემალში ზაფხული. ზევით გავათიე ღამე. აქაც გრილა შედარებით, რასაკვირველია.

ხელახლა გადავიკითხე (უკვე მერამდენედ) „რობინზონ კრუზო". სულ საკითხავი წიგნია. ერთ რამეს მივაქციე ყურადღება (შეიძლება, ადრეც აღვნიშნე) — **ღვინოზე წარმოდგენა არა აქვს ავტორს**, ყველაფერს ხელახლა იგონებს, ღვინის დაყენების გარდა, ყურძენს, თავზე საყრელად რომ აქვს, ახმობს, აჩამიჩებს, აქიშმიშებს... ღვინო არა, არ წურავს. ვისკი, ბრენდი თუ რომი აქვს მომარაგებული და ამიტომ სასმელი არ აინტერესებს-მეთქი. ლუდზე წვალობს, მინდოდა გამოხდა და გა-

მომოვიდოდა, მივხვდიო. სვიაც არ იყოო. ჩრდილოეთის კაცის ფსიქოლოგია. 27 წელი თუ მეტიც კაცი ყურძენს ახმობს და არ ჭყლეტს, ბადაგი მაინც არ უნდა? უცნაურია.

კაციჭამიებს რომ ხოცავს გუნებაში, ფიქრში, სიზმარში, მკვლელია უკვე. ჩავლებულია ზუსტად. ახლა, ამ სიტუაციაში, საცნაურია ფრიად ჩვენთვის...

25-ში ჩამოდის, ალბათ, შაშიაშვილი, 26-ში სესია და წავ-ყვები იმათ ან წავალ მე თავადა. ბენზინი მაინც არა. იმედომ მითხრა, სამტრედიაში ბემზიმს ეძახიანო.

ერთიც:

ქიშმიში (საბა) თურქთა ენაა, ქართულად **სკიჯი** (?) ჰქვიან.

23. VIII. 93 წ.

* * *

26 აგვისტო. ხუთშაბათი. ზევით ვიყავ, ვიმუშავე, მეხმარე-ბოდა ნელი. დავიღალე, წვიმს. ჟინჟღლავს. ცხელოდა დღისით მაინც ძალიან. ბევრნაირი წვიმა ვიცით **ფრუტისა და ჟღმურ-ტლის ჩათვლით. ფოშფოშიცაააო**. ეგ არ გამიგონია. ფოშფოშა — თხელი ნისლი (საბ.). წვიმა არაა.

ცრის, თქორავს... ჟუჟუნა წვიმა მოდის, მოჟუჟუნებს? არ გა-მოდის?.. ჟგეთი წვიმაა.

ჩავწერე რადიოში ორი რადიონოველა: „წერეთელმა დაგვი-ბარა“ და „სევერიან ვახვახიშვილი“, მესამის ფირი აღარ გვე-ყო. ახალ წლამდე მინდა გავქაჩო. 10-12 ნოველა დამრჩება და მომთავრდება კიდეც. სხვებმა განაგრძონ ამის შემდგომ... ხვალ სესიაა. რაღაც სიახლეებს ველით. ზეგ — მარიამობაა, გავწევ ქუთაისისკენა... 21-ში გელათობაა და კიდევ რაღაც... იქაც რა-ღაც ღონისძიებები აქვთ თემურსა და მღვდლებს დაგეგმილი. 21-საც იქ გავატარებ და ჩამოვბრუნდები ალბათ. რეზიკო სკო-ლაშია წასასვლელი...

წუმს...

26. VIII. 93 წ.

* * *

დღეს პარლამენტში, დილის 10 საათიდან დაახლოებით შუადღის სამის ნახევრამდე, იყო (შევარდნაძემ ასე უწოდა) წყლის ნაყვა. პარლამეტმა სიცხეში, ეტყობა, ტვინის ადუღებაც იცის...

დღეს ტელევიზორმა მწ. კავშირი და შაშიაშვილთან შეხვედრა აჩვენა. შაშიაშვილი არ ჩანდა, რ. მიშველაძე ლაპარაკობდა. დაბეებული ჰქონდა, ლაპარაკი არ უნდა, ტელეობიექტივი, თუარადა, მივიდა იქ, უეჭველია: ჩემი გა-მოს-ვლის ჩვენება აუცილებელია, სპირიდონიჩ და სხვა... ვითომ გააბითურეს (ც. არდაშელიას ჩვენებით, ძალით ამოვაღებინე ხმა), მაგრამ ეგ რეზოს ფეხებზე ჰკიდია. ოღონდ გამოჩნდეს და რანაირადაც გინდა, ისე გამოაჩინე... მხარს უმშვენებდა მისნაირი, მაგრამ ვერ გადოუჯოკრა მისნაირმა. ხვალ წავალ ქუთაისში, რაღა ხვალ, ღამის ორი საათი ხდება უკვე, ე. ი. — დღეს. გუშინ (გუშინწინაც ჩავთვალოთ) მაგრად ვიმუშავე ზევით, დანგრეული ვიყავ და მაინც ვივარჯიშე ღამით, ამ დილითაც...

რადიოში მოვისმინე **„წერეთელმა დაგვიბარა“**, ნელიმ დარეკა იმწამსვე, რატომ ეგრე სევდიანადო? ეგრეა-მეთქი. 27-ად მოვნათლავ მაინც ამ მომენტს, რადგან მარიამობა გამთენიისას (რომელსაც კარგა ძალი აკლია) ჩამოდგება მხოლოდ...

მარიამობის შეკრებაა ხვალ ქუთაისში, **„ყოველთა ქართველთა თანხმობის“** დღეო. მწ. კავშირში ვთქვი გარკვევით — მესამე მცდელობა-მეთქი. პირველი ორი კატასტროფით დამთავრდა (I ილია მეორემ გამოაცხადა: თუ ქართველი ქართველს მოკლავს, შავ წიგნში შევიტანოთ მისი სახელი, რათა შთამომავლობას გადაეცეს ცოდვა მისიო).

II თანხმობის მიტინგი ჩაატარა თვით შეომ მთავარ მოედანზე: მიტევების, შებრალების, ერთობის და ძმობის დღე უნდა დადგესო. მეორე თუ მესამე დღეს დაიწყო ომი აფხაზეთში და კაცთა კვლა დღემდე არ განელებულა. რა უბედურება მოყვება ამ მესამეს, კაცმა არ იცის...

27. VIII. 93 წ.

* * *

ქუთაისი, 28 აგვისტო. მარიამობა, სიცხე. ხალხი. განწყობა ნაღვლიანი, მიზანი ღონისძიებისა – გაუგებარი... ახდა, მგონი, ჩემი წინასწარმეტყველება, სამოქალაქო ომის (თუ ეთნიკურის არა) ზღვარზე ვდგევართ. გუშინდელი პარლამენტი შეთქმულების ნიშანი იყო... გლახად დამთავრდება ეს ყველაფერი...

22 ივნისს რომ წავსულვარ, დღემდე არ ჩამოვბრუნებულვარ. ორი თვე და 10 დღე თითქმის. კარგს ვერ გაიგებ და ვერ გაიგონებ... ბევრი იყო ნაცნობი, სიხარული – ცოტა. სუფრაც. იგიც მალე აიშალა, მთავრობას და სამღვდელოებას არც შევჩეხებივარ; ორგანიზებულ უთავბოლობაში ჯგუფ-ჯგუფებად გამოკვებეს სტუმრები... ბევრი დარჩათ, ალბათ, კიდევ უჭმელი, კაცმა არ იცის...

დავრჩები, ალბათ, ორიოდ კვირა. უნდა ვიმუშაო. სამეგრელოც რომ დაესხას ქუთაისს!..

სანამდის მივიდა საქმე!

28. VIII. 93 წ.

* * *

სამღვთო სჯულს თუ გასწავლიდნენ-მეთქი, ვეკითხებოდი ბენიას. კიო, „ზაკონ ბოჟიიო“, რუსულადაო. რუსულიც ვერ ისწავლა (რევოლუციამ ჩაუშალა) და ღვთის სახსენებელიც შეაძულეს... ამასობაში კომკავშირმა მოუსწრო (21-ში 14 წლის იქნებოდა). წუხანდელმა საუბარმა და შეგონებამ ღმერთის სავარაუდო არსებობაზე და იმქვეყნიურობაზე, როგორც პოლიტიკური მიმომხილველები იტყვიან, უშედეგოდ ჩაიარა. არავითარი ღმერთი და ქრისტე, სხვებს რომ ჯერათ, ეს ვერ გაუგია, როგორ უნდა გამოთაყვანდეს ადამიანი, რომ ეს ბოდვები იწამოსო... სული, საიქიო ეჭვად მაინც... არავითარიო. სამყარო როგორ შეიქმნა... გავარვარებული სითხე იყო, გაცივდა და შემდეგ გაჩნდა ჭიაღუებიო. სხვა? ვარსკვლავები? მზე? სხვა არ აინტერესებს.

დ. აღმაშენებლის გალობიდან:

სიტყვაჲ წმიდაჲ და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

ე. ი. ყოველ ადამიანს მოთხოვნილება აქვს მლიქვნელთა, გამცემთა, ენის მომტანთა სიახლოვისა, მართლისმთქმელი არ უყვარს (რა საყვარელი ისაა!), ხვდება, მეორე ცრუობს და მოწონს მაინც.

ენისმიმტანს ვერ ვიტანდი ვერასოდეს, გრძნობდნენ, ვაგრძნობინებდი წამსვე და ვერ მოჰქონდათ ენა სიმართლის მთქმელი? არის კი ასეთი კატეგორია?! პირშიმთქმელი? არ მიყვარს, ცხადია. იგი მე უზრდელი მგონია... პირში თქმის უფლება აქვს დედას, ჰა და ჰა, ცოლს... დანარჩენმა (შვილების ჩათვლით) უნდა მიანიშნონ, გააგებინონ. ჩხუბი სხვაა, იქ, იმ დროს, დედმამის გინებაცა...

ნიავიანი სიცხეა. მარტო ვარ. არ ვრეკავ. ეგრე მირჩევნია ჯერ...

უჩემო პარლამენტსაც ველოდები.

29. VIII. 93 წ.

* * *

დაღლილი, უძინარი. ჩათავდა ზაფხული. ბოლო დღეა. ცხელა მაინც ნამეტანი ქუთაისში. პარლამენტს ვუყურე ტელევიზორით. ადგილობრივ მთავრობასაც არ ვენახვები.

ზურიკოს დაბადების დღე იყო. ახლობლებმა მოვიყარეთ თავი. გავაცილე გრეტა. აქ რამდენ ხანს გავჩერდები, არ ვიცი. ამბები გლახა. ხალხი შეშფოთებულია და არა სასოწარკვეთილი. იმედი აქვთ უკეთესისა. თითქოს თავისთავად გამოსწორდება მდგომარეობა. ტაროსი ჩაცხრება, გამოიდარებს. მზე იქნება. გრეტა შემახსენებს თავს...

31. VIII. 93 წ.

* * *

გაგვიხვრიტეს ფეხბურთით ყურები და კრახით დამთავრდა სიხარული. კიდევაც რომ გამოსწორდეს ყოველივე იურიდიულად, მორალურ ტკივილს ვერ მოვიშორებთ... ასეა თუ ისეა, ჩაბინძურებულია მაინც ყველაფერი. 5000 დოლარი გადაუხადეს ოფიციალურად მსაჯს, იგი ქრთამად ჩაეთვალათ და გამოგვაგდეს მოგებიანად. არ გევალებათ, მაგრამ მაინც დახვდით მოსკოვში მსაჯებსაო. ჩავიდნენ. 5000 — ხუთი ათასია. სხვა ხარჯები, სხვა პატივისცემანი, ჩასვლა, ჩამოსვლა, 10000 დოლარი დახარჯეს, ვთქვათ და მეტი არა, ცოტაა? ჩვენთვის ფანტასტიკური ციფრია... მილიარდობით კუპონებზეა უკვე ლაპარაკი... ხალხი შიმშილით იხოცება...

ფეხბურთიც აუცილებელია, ქრთამი — არა. ნაღდად ქრთამია გაცემული (ოფიციალურად და არაოფიციალურადაც). ამით დავიწყეთ და როგორც გვეკადრებოდა, ისე გადაგვიხადეს...

მოტრაბახე ქართველები. რა ამბავი შექნეს, რა აჟიოტაჟი!

წვიმდა კოკისპირულად დღეს ქუთაისში. გუშინ კოკლისთან ავედით მე და იუზა... სუფრა პატარა. სიძე თურქეთში დაკარგვიათ. შეყოვნდა და ხმას ვერ გვაწვდენსაო...

4 სექტემბერი, 93 წ.

* * *

აქ ყოფილან: შევარდნაძე, ხაჩიშვილი, ყარყარაშვილი, იოსელიანი და კიდევ ვიღაც. კიდევ აქ არიან ალბათ. შაშიაშვილი თავისას მიერეკება ისევ. 21-ში, ღვთისმშობლობა-გელათობას შევიყაროთ, ერთმანეთს გავუსწოროთ თვალიო, ეთანხმებიან ტელეობიექტივის წინ. ასულელებს ამ ხალხს?! კიდევ რაღაც უბედურება მოხდება მორიგი. არ მინდა, გამოვეხმაურო, თავი შევახსენო ამიტომ. ყველა არაფორმალური გაერთიანების ხელმძღვანელებმა ფიცი უნდა დადონო... ბანდიტები უნდა შეყაროს გელათში. ქურდები ხომ შეაგროვა... 300 ქურდი ყავს ქალაქშიო... გადაირევი კაცი.

ლეილა და მიშიკო თბილისს აემგზავრნენ. ველაპარაკე გრეტას, ნელისაც... ნელის მოუსმენია „**სევერიან ვახვახიშვილი**“, კმაყოფილი იყო... კოკლი იყო და იუზა. ცოტა დალიეს, აღარა აქვს აღარაფერს ხალისი...

ვმუშაობ „ყაჩაღებზე“ (დროც არი), მივდივარ ბოლოსაკენ. მშვენიერი ამინდებია, „მათეს“ სახარებაში რაღაცეებს მივაქციე ყურადღება, მოვიცლი, ამოვიწერ, გავიანალიზებ.

ცინდალი შემომეჩვია ლამაზი... ღამის 12 საათი ხდება. წყალი აპირებს მოსვლას... ონკანი ხროტინობს...

5. IX. 93 წ.

* * *

ნოდარია გამომეცხადა პირდაპირ აბაშიდან. ცხენისწყლის ხიდზე ქე გამომატარეს, არაფერი მითხრესაო. დგანანო აქეთ და იქითაც საბრძოლველად გამზადებული. რა გინდათ ამ საწყალ სამეგრელოსაგანო. შებრუნებული აქვს ტვინი, ლაპარაკი არ უნდა. კონსტანტინობა ჩაუტარებიათ, ზვიადს ყვიროდნენო. მიტირიან (არაფერი შველის) გამსახურდია ტერტერაშვილებს...

ხელშეკრულება რომ დადო გრაჩოვთან, ღალატი იყოო, არ გავლენ საქართველოდან, აფხაზეთში ჩასახლდებიანო... საქართველოს სახელმწიფოებრივი პრობლემები აქვს გათავისებული. ასე კი არაა, ისეა.

იქნებ იქ ყოფნა ჯობდა...

ქარსიცხეა ქუთაისში. ზაფხული იკბინება წასვლისას.

6. IX. 93 წ.

მეძინებოდა, ამას რომ ვწერდი. ქარსიცხის ძილი იყო...

* * *

შაშიაშვილი დღეს ჩემი თანდასწრებით ელაპარაკა შევარდნაძეს საკმაოდ მკაცრად. ბოლოს გადმომხედა, ხომ კარგად შევუტიეო. მე შევაქე თავის კანტურით. ჩემი რამდენიმე მოსაზ-

რება უთხრა და ჩემი გვარიც უხსენა. აქ არისო, არ უთქვამს, მაგრამ რეზო ჭეიშვილმა ასე თქვაო. შემდეგ გაეროს წარმომადგენელი მოვიდა ასაბიით, ბანგლადეშელი პატარა. შემდეგ ქუთაისის ტელევიზიამ ჩამწერა. **ავადმყოფ ხალხს ავადმყოფი მთავრობა ენატრება-მეთქი. ვინც ამის იმედი ჩაუსახა ხალხს (მთავრობამ, შევარდნაძემ), უზარმაზარი დანაშაული ჩაიდინა. ეგ დიდი უბედურების მომასწავებელია, უზნეობაა-მეთქი. ავადმყოფ ხალხს ავადმყოფი მთავრობის ჩამოდგომის ილუზია არ უნდა შეუქმნა-თქვა** და სხვა (პრინციპულად არ ვხმარობ თქოს). ჩაიწერა. თუ არ გადააგდეს (წაშალეს), შეინახება, აბა, ქუთაისის ტელევიზიას ვინ უყურებს.

მოვიდა ნესტანი, იპრუტუნა. იყო გოგონა, ლიპარტელიანი, სახელი დამავიწყდა. წასვლა არ უნდოდა, ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, დანარჩენზე სხვა დროს-მეთქი. ძველი ნაცნობები არ მაკითხავენ, არც მირეკავენ, დუმან. სტუმარი ჩამომივა დღეისწორს. ეს რა რეაქციას მოახდენს, არ ვიცი. „ყაჩაღები“ მიდის ბოლოში. ელდარი აპირებს, მგონი, ჩამოსვლას, 20-ში, თუ არ აიღეს მეგრელებმა ქუთაისი. დავრჩები 21-ის ჩათვლით. 21-ში ხატზე დაფიცებაა. ეტრატზე ხელმოწერა ხომ იყო და იყო... მე არ მომიწერია, რა მაგის პასუხია, ავალ და მოვაწერ. დაფიცება – ვერა. თუმცა ეგ არც მეხება, მთავარსარდლებმა უნდა შეფიცონ და გადაეხვიონ ერთმანეთს (მეტი არაა ჩემი მტერი). შაშიაშვილი აბაშიძეს, ასლანს ვერ იტანს. მაგას უნდა, მესიის (მშვიდობის მაძიებლის) როლი იკისროსო. ქუთაისი რომაა ამის ინიციატორი, ვერ აუტანიაო და ასე შემდეგ.

თბილისში შეიქმნა შტაბი თავდაცვისა და ბრძოლის შტაბი მილიციის, სუკისა და შინაგანი ჯარების ერთობლიობით. ზეიკიძე, მიქელაძე და კვირაია იმუქრებიან – ადგილზე გავანადგურებთ, ვინც არ დაგვემორჩილებაო. ქურდები, ყაჩაღები, დივერსანტები ყავთ ამოღებული მიზანში. სხვებსაც გულისხმობენ და

უგზავნიან დაუმისამართებელ მუქარას. ეს თბილისში, სხვაგან? აქ შაშიაშვილი აყალიბებს სახალხო ლაშქარს...

„ყაჩაღები“, რა ამის პასუხია, მიდის წინ, დღეს, ხვალ, ზეგ გავასრულებ... ზეგ ღრენიას სოფელში ვარ დაპაიჯებული. ორშაბათისთვის, დღეს ხუთშაბათია, მოვრჩები, რაც არ უნდა მოხდეს.

9 ოქტომბერი, 1993 წ.

* * *

გადაგვასხეს ცივი წყალი ფიდეს სხდომაზე ჟენევაში. ეს გვინდოდა კიდევ! პირველი თამაში და პირველივე ქრთამი გამათხოვრებული ქვეყნისაგან. ხომ უნდა გაგვიცნონ ბოლომდე. ერთი შეღავათია, რომ იქაურები ამას კლუბს და კერძოობას დააბრალებენ, აქაურები (საბჭოთა კავშირი) – ხალხს...

შეკრება აქვთ თბილისქალაქელების ორ საათზე... ამითაც აღიზიანებენ ხალხს თბილისგარეთ... ვრეკე და ვერ დავუკავშირდი ელდარს. მინდოდა, გამეფრთხილებინა, ამაშუკელის დონეზე ნუ დაიყვანთ ყველაფერს-მეთქი.

მამფორიას უწყობენ შეხვედრას 19-ში.

შაშიაშვილი თავის სტიქიაშია. 19-ში, 20-ში, 21-ში დაკავებული ვიქნები, ასე გამოდის.

10. IX. 93 წ.

P. S.

ახლა დავამთავრე (პირველი საათია) „ყაჩაღები“. ბოლოთქმასავით მივაბამ კიდევ... ქუთაისის კაბინეტის მაგიდის მარცხენა უჯრაში შევინახე პიესა, არ დავწვი, იყოს მაინც. არავინ გამოიყენოს კია! რამ დამაწერინა ეს სენტიმენტალი?!

სცენარიდან, პიესიდან გამოვიდა მესამე (სამში ერთი არ უდგება)... აქედან სპექტაკლიც გამოვა, კინოსაც გადაიღებენ ხელახლა... სცენარს და პიესას, თუკი იგი ხელმისაწვდომი გახდება ოდესმე, ხელი არ უნდა ახლოს ჩემმა კარგისმდომელმა.

* * *

შაბათი. ღამის პირველი საათი. გადაცილდა. ეგ უკვე ხვალაა, მე ვთვლი, რომ დღესაა. ამიტომ გათენებამდე 11 სექტემბერი დარჩება. გათენდება და იქნება თორმეტი.

კარგი გამოვიდა.

ვიყავით საზანოში. მშვენიერი პურ-მარილი. სოფელს კიდევ არაუშავსრა... საქონლის საჭმელი, გამომცხვარი პური აღარა აქვთ და ამას განიცდიან.

დავრეკე ელდართან, გამაგონა ნელიმ. დავდე და დარეკა და მომიკითხა ნელიმ, ოღონდ სხვამ. ისევ „ჭეია ბლოკი" გადმოუციათ. სად წაიღეს **„4 შეხვედრა ადვოკატ ჭონქაძესთან"?** დავრეკავ ორშაბათს.

შევარდნაძემ დანიშნა მინისტრთა კაბინეტი.

სიახლე? ბევრი არაფერი.

შეიყვანა ვიცე-პრემიერად ირინა სარიშვილი, გახდება მალე პრემიერმინისტრი, პრეზიდენტიც, არაა გამორიცხული. რა დარგი ჩააბარეს?.. ვიღაც ახალია, მგონი, კიდევ, ალბათ ისაა არმიისა, სარიშვილი – კულტურა? **იუსტიციის – თ. ნინიძე.** ე. ი. სხვა პროკურორს ნიშნავს. ხაჩიშვილის ადგილი შეითავსა თავად... მისი კომანდა დარჩა...

მომწონს აქ, თუმცაღა წასვლაც აუცილებელია...

11. IX. 93 წ.

* * *

13 სექტემბერი.

ქუთაისში ცხელა კვლავ და ეგ მომწონს. არ წასულა ზაფხული, წლის ყველაზე მშვენიერი დრო. დავამთავრე „ყაჩაღები". დღეს გადავხედე კიდეც ზერელედ.

სანუგეშო ჯერჯერობით არაფერი...

ჩავუჯექი „გულო ჯანდიერს" მცირე ხნით. ხვალიდან შეიძლება გადმორთვაც... იუზასთან ვიყავით ვარდციხეში. სუფრა

პატარა, ჩრდილობში, გრილოში. სხვათაშორის, ჩემთან, ჩემს ბინაში უფრო გრილა, ვიდრე იქ, იმ სოფელში. დარეკა გრეტამ. უნდა დარეკოს კიდევ და ამ საღამოს გამომერთო ტელეფონი...

ტელევიზორში ვნახე თავი. შეუმოკლებიათ, ველოდი და მაინც არ ველოდი. გავაფრთხილე რეჟისორი დიდებულიძე (ავთო), არ მოაკლოთ-მეთქი. თუ რაიმეს ამოიღებთ, მთლიანად ამოიღეთ... ეს აუცილებელი წინაპირობა იყო.

რ. კვესელავა, რომელმაც იმდენი ილაპარაკა, საერთოდ არ გამოჩენილა... ხვალ წვრილ-წვრილი საქმეები, გავარდნა-გამოვარდნით... იქაც, ტელევიზიაშიც, აუცილებელი დარეკვა და შეხვრება ვიღაცის...

23. IX. 93 წ.

* * *

14 სექტემბერი. სამშაბათი. 1993 წ.

ჟგეთი წვიმა იყო ახლა ქუთაისში. ველოდები მიტინგს, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს. ვარ აქ, სიგრილეში, სიმყუდროვეში, რა გველის, არ ვიცით. გლახა ამბები შეიძლება დატრიალდეს... ამაზე უარესს, რაც დღესაა, რას წარმოიდგენდი, მაგრამ უარესიც მოხდება. **შევარდნაძე გადადგა. ახლა უნდათ, უკან მიაბრუნონ. ეგ უკვე სისულელეა. მან დაკარგა წონასწორობა და საიმედო აღარაა.** ასევე მიბრუნდა რუსეთშიც და მისი მიბრუნება ნამეტანი უდღეური აღმოჩნდა.

ყარყარაშვილი პარლამენტს ემუქრება უკვე. სანთლის ფერი ედო, ეკრანიდანაც ეტყობოდა, ასათიანს. გაქცევაზე ფიქრობს უკვე. ვაის გავეყარე, უის შევეყარეო. ზეიკიძემ, სადაც ხალხი დადგება, იქ დავდგებით ჩვენცო. ჯაბამ, ვხვდები, გადააყოლა თავი ხაჩიშვილს... დღევანდელ გამოსვლას ხალხი უკვე აღარ აპატიებს... ამაშუკელი კვლავ თბილისლების სახელით ლაპარაკობს.

ირინე, გვარიც დამავიწყდა, სარიშვილმა, ვისაც მოსასვლე-

ლი პირი აქვს, მიტინგზე მოვიდესო. შევარდნაძემ, ჩემს გადაფურთხებულს არ ავლოკავო. ვნახოთ!

მიტინგი აგვიანებს. რა ხდება, ნეტავ, თბილისში?!

მიტინგს შაშიაშვილის კაბინეტში ვუყურე. **გათამაშდა გრანდიოზული კომედია,** რომელიც აუცილებელი იყო და **მაინც რაღაც ცუდის მოლოდინში** ვარ...

14. IX. 93 წ.

* * *

ეგრეც მოხდა.

თემური ისევ ეპატიჟებოდა ლოთს და სხვებს გელათობაზე, ძმობა შემომფიცეს, მე ვუთხარი — მილები დააბრუნე, მილების ქურდი ხარო და სხვა. შემდეგ პროდუქტი მთხოვესო... **მე ვუთხარი, სხვების თანდასწრებით, ხვალ შემოვლენ სამტრედიაში, ან სხვაგან, ომს დაიწყებენ,** ეს ლაპარაკი კი მაგათი მეთოდია, ყველაფერს ამნაირად აწყობენ-მეთქი. არაო, იცინოდა, დღეს გამომაცხადა ტელევიზიით, საქვეყნოდ („ჩამიშვა") — ასე მითხრა რეზო ჭეიშვილმაო. ბარემ ისეც ეთქვა, რა ვუთხარი მარიამობის წინა დღეს მწ. კავშირში...

დღეს, თუ არ ვცდები, **2 წელი გახდა ჩემი ავადმყოფობისა, არდალევისა, ნახევრადდიეტისა.** ვიანგარიშე და 2 წელია ზუსტად? გოგის წავყევი მანქანით, გზაში არ ვიყავი კარგად, შინ — ცუდად და რეანიმაციაში. ალბათ 16 ან 17. კიდევ გადავამოწმებ — **17-ში.**

ცხელა, ქარია, ქარსიცხე.

15. IX. 93 წ.

* * *

ღვთის რისხვაა ჩვენზედა. ვისჯებით. რაღა ლაპარაკი უნდა. ზვიადიც (უხსენებელი) ჩვენი პროდუქტია. სადაც მისი გაჩენით თესლი ჩაითესლა, იქაა ცოდვის ადგილი. უხსენებელმა კი

არ მოგვიტანა უბედურება, უბედურებამ, ცოდვებმა მოგვივლინა უხსენებელი...

არა დედას არ უშვია ამნაირი ნაძირალა – ავადმყოფების ბელადი...

პირდაპირ ვუვარდებთ რუსეთს მკლავებში კი არა – ხახაში და ესაა ახლა ერთადერთი გამოსავალი. თუ ვერ შეძლო ჩვენი ჩაყლაპვა (მონელებას ნაღდად ვერ შეძლებს), დავიღუპებით...

16. IX. 93 წ.

P. S.

ცხელოდა დღეს. ახლა გვიანი ღამეა და საოცარი სიგრილე და სიწყნარეა. დაღამდა თუ არა, მოძრაობა შეწყდა. ადამიანი არ ჭაჭანებს, ტრანსპორტის ხმა არ ისმის, სადგურიც რკინიგზის კი დუმს. ძაღლი თუ გადაირბენს ამოდენა მოედანს. ტელეფონი გამოირთო და თბილისში ნერვიულობენ კიდეც ალბათ ჩემები. არ მეძინება, დაწოლაც არ მინდა. ვმუშაობდი თითქოს... ვის რად უნდა... დაიწვას და დაიბუგოს, შეიძლება, ეს ყველაფერი... ტელევიზორიც გაითიშა. დალევის უფლება არა მაქვს. სუფრაც კი მივატოვე გორაზე ბიჭუნასას...

* * *

ტელეფონი გათიშულია კვლავ. მოვწყდი თბილისს... ჯაბა შაშიაშვილის კაბინეტში ივჯდა, აღარ შევედი... მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდება, – წუთიწუთს, ყოველ საათს...

გ. კოხრეიძესთან მე, ჯუმბერი და კოკლი. ნარდი, ლელვი, არაყი, ძველი და ახალი ამბების გახსენება...

ყველა ერთმანეთს ეკითხება, რა გვეშველება... „...მაგრამ საშველი მაინც შორია“, მ. გელოვანის ლექსია:

„გამხმარხარ, ჩემო სიცოცხლის ხეო,
შენი სიმწვანე ყინვამ მოლია,
ძაღლიც შეყმუის ცას, მიშველეო,
მაგრამ საშველი მაინც შორია!“

ოლად ვიმახსოვრებდი, ახლა – ძნელად, ბევრი ვიცოდი, ახლა – ცოტა, ნამეტანი ცოტა...

ვიყიდე **„სლოვაკური პროზა“**, დავივალდებულე თავი და წავიკითხე. ასევე არ გვკითხულობენ ჩვენც-მეთქი. გამოდის ჩვენი წიგნებიც ხომ იქა! რომელიღაც მწერალი აღმოჩნდება, ვიფიქრე, მწერალი... თქვენ არ მომიკვდეთ!... ჩვენები რომ თარგმნიან, სლოვაკურად (გვარების ჩამოთვლით...), მე არ აღმოვჩნდები, კიდევ რამდენიმე და იგივე გამოვა...

17. IX. 93 წ.

* * *

18 სექტემბერი. შაბათი... მშვენიერი ამინდები, ამბები – შავი და ბნელი...

ჩამირთეს, როგორც იქნა, ტელეფონი და დარეკა კიდეც გრეტამ: როგორა ხარ, სადა ხარ, რას შვრები, ვრეკავ, ვერ გპოულობო და სხვა...

მამფორია არ ჩამოვიდა. 21-ის ღონისძიება ალბათ ჩაიშალა, მე თუ ჩავრჩი აქ, იქნება სეირი. ისე, კაცმა რომ თქვას, მე ქეც რა მიჭირს! სხვებს, მრავალთ რა ეშველებათ... ცოდვის ტრიალია... აჩვენეს ლულუ ჩხენკელის ფილმი **„რუსები აფხაზეთის ომში“**. კარგია. აუცილებელია. ახლა ჩვენება კი, შეიძლება, არც იყო საჭირო... ან ადრე, ან გვიან... იქნებ სწორედ ახლაა დრო...

ნიშნს მომიგებენ... თითქოს რუსების დამცველი ვიყო... ჩეჩნებზე უარესი გამოვა. ჩვენზეც – სხვათა შორის. ნაძირალა გამსახურდიაზე უნდა შეიქმნას... შეიქმნება, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ახლა თუ აკეთებს ვინმე?

ორი წელი გახდა... ორი წელი... გუშინ ორი წლის თავზე შევწყვიტე სმა... წყალში გარეულს ვუსინჯავდი გემოს ხანდახან. 20 ან 25 გრამი არაყიც მექნება დალეული ერთ სუფრაზე... გუშინ კი, ალბათ, საუბედუროდ, 50-ც...

18. IX. 93 წ.

ქუთაისი

* * *

ახლა წვიმს თბილად და ისვენებს ჩემში რაცაა... წვიმს...

გავიდა სამი კვირა. უქმად არ ვყოფილვარ. „ყაჩაღები“ გადასაბეჭდია, **„გ. ჯანდიერი“** დასაწერი, რვეულები დავამუშავე, გეგმა მოხაზულია... ტელევიზორზე ვარ მაინც მიჯაჭვული. მოდის და მოდის გლახა ამბები. ეძებენ იარაღს. ჩვენ გვაქვს იარაღი. მე იქ არა ვარ... თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ რატომღაც, ჯერ ერთი, ჩემი არაა არც ერთი. გავცეთ ტყვიებიანად, კაცის საკლავად? გინდაც მტრისა? არც შვილები მინდა ჩაებნენ კაცთა კვლაში, არ მინდა!.. ფანჯიკიძე დავინახე, ფრონტზე მიდიოდა. ეს ცოტა სასაცილოც იყო და სამწუხაროდ, მე გაოცებული მივჩერებოდი... რა უნდა გააკეთოს იქ?..

დღეს მწ. სახლში შეკრიბა შაშიაშვილმა (მისი საყვარელი საქმიანობა) ხალხი, **მშვიდობიანი სვლა ფსოუმდე**, ასე ჰქონდა ჩაფიქრებული. გადავათქმევინე, მე მგონი, ტაქტიანად... ზეგ მაინც იქნებაო გელათობა...

ველოდები გრეტას... ხვალ ჩამოვა ალბათ...

ცხვება ჭადი. საქ. ტელევიზიამ დაამთავრა დღიური სამუშაო...

წვიმს... წვიმს...

19. IX. 93 წ.
ქუთაისი

* * *

თბილისი. ხუთშაბათი. 29 სექტემბერი.

შევარდნაძეს ვუსმენდი. ისევ ისე – შევრიგდეთ, მოვრიგდეთ... კიდევ? კიტოვანი დავნიშნე ჩემს რწმუნებულადო. იქნება, სწორადაც იქცევა! **შემდეგ ვიტყვი ყველაფერს, შემდეგ ყველაფერს გაიგებთო**... როდისაო? მემუარებს რომ გამოაქვეყნებს? დაიკარგა აფხაზეთი. რასაც ველოდი, რასაც ვამბობდი, ცუდად დამთავრდება-მეთქი. ნიშნი მოვუგო ახლა ზოგიერთებს?

სასოწარკვეთილია ხალხი.

ლადო სულაბერიძეს გული გაუსკდა.

შარტავა ჩამოასვენეს. შეწირა თავი თანაძუძუმტეთა ჩათლახობას. შემეცოდა...

ფანჯიკიძე ჩამოვიდა მეორე დღეა და გონს არაა მოსული ხეირიანად, კანკალებდა შესამჩნევად.

ქართველებს კი კვლავ გვხოცავენ. ჩვენ სისხლისაგან ვიწრიტებით. ეს შევარდნაძე ისევ შერიგებაზე, გაგებაზე და რაღაც ამდაგვარ სისულელეებზე ლაპარაკობს. საერთაშორისო არენაზე გამოგვაჩინა, მართალია და მაინც უნდა წავიდეს ცოტა ხნის შემდეგ.

მშვენიერი წერილი დაუსტამბია რეზო კვესელავას „კუდიან ვარსკვლავზე" (2. IX. 93 წ. „ქართულ ფილმი").

ზევით ვიყავით გუშინწინ ღამისთევით.

29. IX. 93 წ.

* * *

შემოსულია წიფობისთვე. ორწიფობას მოწამეთაში **ძველი სტილით** იხდიან.

გუშინ ზევით: **მე, ოღია, ლევანი, გრეტა.** მცირე სერობა უხალისობაში. დაქცევის პირას ვდგევართ.

ხვალ დავკრძალავთ ლ. სულაბერიძეს, დღეს ჩავწერე ტელევიზორში ორიოდ სიტყვა. არ გადმოცემენ! ჩამოყავთ დაღუპული ახალგაზრდები. გვამებით იფარება საქართველო. სამნი ერთად იყვნენ დასვენებულნი პროფკავშირთა სახლში, აცრემლებული გამოვიდა ოღია. იგი მთვრალიც არ ტირის ხოლმე.

რადიოში:

თქვენი პროგნოზები (ცუდად დამთავრდება აფხაზეთის ომი) გამართლდა, აწი რა იქნებაო? უხსენებელი გამონახავს არძინბასთან (თუ გამონახული არა აქვს) საერთო ენას, **სამეგრელო-აფხაზეთის სამეფოს, სამთავროს თუ ფედერაციის ჩამოყალიბებას შეეცდებიან, ფოთის აღებას** დააპირებენ-მეთქი.

ათას სისულელეს ჩაიდენს მართლაც. **მისი დღეები კი მაინც დათვლილია.**

ჯაბა იოსელიანი საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს. საჭირო იყო. ველოდი. გაუმარჯოს კოროლს! თავზარი დაეცემა უხსენებელს.

1. X. 93 წ.

* * *

ისევ ისე. მე მაინც არ ვკარგავ იმედს.

დავასაფლავეთ ლადო გუშინ. საქელეხო სუფრა ხმაურიანი, არეული. თითქოს თავად იჯდა სუფრაზე. იმნაირი სუფრებიდან მახსოვდა სწორედ... თამადა იყო მურმან ლებანიძე.

დღეს კრება ჩვენთან. გამოვედი მკაცრად, ან მოუაროს საქართველოს, ან წავიდეს-მეთქი. გადაღებულია, ცალკეც ჩამწერეს. იგივე გავიმეორე, უფრო მკაცრადაც, მე მგონი, იყო საჭირო?! დღეს არ გადაუციათ, არც გადაცემენ! მე და ფანჯიკიძე ავედით პარლამენტში. შევარდნაძესთან სარდალი რეუტიაო, ლორთქიფანიძემ გვითხრა, გაგვაცნო კოზირევის მოადგილეა თუ თანაშემწე. იქ იყო მგლოვიარე თედიაშვილიც. გამიკვირდა, 19 წლის შვილის დამკარგავი რამ მოიყვანა?!

მისაღებში ჩიკვაიძე, სხვები, პუპუზაც... ჩვენ წერილი ავიტანეთ. კრების გადაწყვეტილების წერილი. გამოდი და მოახსენე საქართველოს, რა ღონისძიებას იღებ ქვეყნის გადასარჩენადთქვა. ეგ წერია წერილში.

ქობალია მაღლაკშიაო, იქვე მითხრეს. გიგა ლორთქიფანიძემ იქვე დარეკა შაშიაშვილთან. არაო, შაშიაშვილმა, ხონიდან არ გამოსულან ჯერო, აწი რას იზამენ, არ ვიციო. ნაძირალა ტერტერაშვილი ზუგდიდში აგდია ალბათ.

მოსკოვში ხოცვა-ჟლეტვა ყოფილა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. რა იქნება აწი?

ჩამოსულა ლეილა მიშოთი.

დარჩა ბენია მარტო ფრონტისპირა ქალაქში!

3. X. 93 წ.

* * *

სინათლის სხივიც გამოჩნდა წყვდიადში. მოსკოვში ომია. სიენენს პირდაპირი გადმოცემები აქვს, მთელი დღე ვუჯექი საკაბელო ტელევიზიას, ვუყურებდი ომს. გაიმარჯვა ან იმარჯვებს ელცინი. ეგ ნაკლები ბოროტებაა. ჩვენი ხსნაც იქ შეიძლება იყოს ჩამარხული.

უხსენებელს გაუჭეჭყავენ თავს მალე, ან მისიანი იზამს ამას ან სხვისიანი, ანუ არამისიანი... უხსენებლის ერთ ბრმა მოთაყვანეს „მარსიანი“ აქვს ფსევდონიმი. კარგია! ველარაფერს ვაკეთებ. ტელევიზორთან ვართ მოკალათებულნი. გული ზევით მიმიწევს. აცივდა, ალბათ დროებით. ეს ოქტომბერიც შემოგვეფცქვნება თვალდახელშუა.

4. X. 93 წ.

* * *

პირველად, აშენებიდან, გამიტეხეს აგარაკი მუხათწყაროში. თავზე წავადექი ქურდებს, დაფრთხნენ და დატოვეს გათრეულიც კი. ბენზინისათვის მიუგნიათ (იცოდნენ?), მთავარი ვერ ნახეს. გამოვქექე „კალაშნიკოვი“ და გავისროლე ბნელში რამდენჯერმე. სტუდენტობის შემდეგ (სამხედრო შეკრებები) ხელში არ მჭერია. წამში აღვიდგინე, მოვარგე მჭიდი. მარტივი და საიმედო კონსტრუქციაა. გრეტა მაქეზებდა, ისროლეო — ყოჩაღია.

რ. მიშველაძეს მოუკლეს 20 წლის ვაჟი, აჩიკო. ვიხოცებით ნელ-ნელა.

გველის დღეებიც დათვლილია. მეძინება ღამენეთევს.

5. X. 93 წ.

* * *

გამოვიტანე წიგნი — სასიგნალო ეგზემპლარი: „რ. ჭ. თხზულებანი ტ. 2“. მიდევს წინ, დავცქერი გულგრილად. ცოლი, ახალ წიგნს რომ დაინახავდა, შეიცხადებდა ხოლმე... ესეც აღარაა.

მყავს შემცხადებლებიც, მაგრამ ეს სხვაა... დროც სხვაა... შინ? შვილიშვილებს თუ ეყვარებათ? რეზიკოს იმედი უფრო მაქვს...

შევდივართაო ესენგეშიო, ხალხი შფოთავს, უარესში შევლენ ცოტა ხანში... ი. გოცირიძე დაიჭირესო, სხვაცაო, ისიცაო, ისიცო...

ჰოპლა, ჩვენ ვშიმშილობთ!

ბაზარი შეშლილია, მყიდველი გალენჩებული, უიმედობა. შევარდნაძე და ძმანი მისნი შეხვდნენ ელცინს... ახლა ჩანან სწორედ...

მეგრელთა ლეგიონები უტევენ სამტრედიას.

სამი ტომი... ცოტაა? 90 ფორმა დაახლოებით. დაახლოებით კი არა — ეგრე, „დალი" (შიგ არაა) 12 თაბახია... სხვები წიგნში არ შესულა, ბოლოდროინდელნი — 30. ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები. ე. ი. 135 პროზა 60 წლის ასაკში. არა ცოტა, ბევრიც არაა!

სრული კრებული, ვთქვათ: წერილები პატარანი, მცირედნი, ვარიანტები ბლომად. კინაღამ 8 ტომი, 30-იანი... ე. ი. 240 დაახლოებით? არც ესაა ცოტა, არც ბევრია!

7. X. 93 წ.

* * *

ჯაბა მგელია, სუფთა მგელი, Волк!

ფეხით ამოვიდა X სართულზე, ფორმით, იარაღით, სიჩქარით, უკანვე გაფრინდა რამდენიმე საათის შემდეგ, ქუთაისში თუ სამტრედიაშიო. აჩიკო მიშველაძის დაკრძალვა. ბევრი ხალხი იყო, შევარდნაძეც მოვიდა, შემდეგ დიდი სუფრა, უხვი პურმარილით, ხორცით. იყო საჭირო? ალბათ კი!

ქორწილიც ეს იყო, დაბადების დღეც... ტრაგედია იყო ცხოვრებაც მისი ალბათ... შორს ვერ წავალ...

ჩვენ ახლა ესენგეში ვართ პრაქტიკულად. ასეთი ოპერატიული და კატეგორიული შევარდნაძე არასოდეს ყოფილა. დაკრა და გადაჭრა, როგორც იქნა!

დამირეკა ქალმა. მკითხველი ვარო, მიყვარხარ, როგორც მწერალიო. ძალიან კარგი-მეთქი, მადლობა ვუთხარი.

ნელიმ გადამიკეთა „გალიფე“. საჭიროა რუსული ჩექმები (ესენგეს მოუხდება), ხალათი, ქამარი არი...

სიმღერაა: ჩემო გვრიტუნია და სხვა.

ზევით დავრჩები. თუ ამნაირი კაი ამინდები დაიჭირა, ხო კაი!

9. X. 93 წ.

* * *

ორწიფობა დღეს ყოფილა სწორედ...

ორწიფობა — 2 წიფობისთვე. ორ მოწამესაც უკავშირდება, დავითსა და კონსტანტინეს.

ოკრიბაში კონსტაილეს ამბობენ. არჩ. ჯორჯაძის დები დაიხრჩვნენ ამ დღეისწორს წყალწითელაში. მერამდენე წელია ნეტავ. ვნახავ, გასული საუკუნის 80-იანი წლები უნდა იყოს...

ზევით ვიყავ, ხვალაც ვაპირებ. მამული და სხვა უცნაურია, მოულოდნელიც.

კაკალს ბერტყავდნენ, ხალავდნენ ეზოში. ერთი-ორი მუჭა მერგო მეცა, ჩემი დარგული ძირი... მე, ბაჩანამ და თ. არჩვაძემ ჩავრგეთ... გავახარე კიდეც. შემდეგ გულიკო ჯორჯანელისა უვლიდა, რაც მართალია.

იორამმა თქვა, ჯალაღონიამ მომარჩინაო. ძალიან მეეჭვება, სამწუხაროდ. ისე ესმით მედიცინის, ერთსაც და მეორესაც, როგორც პოლიტიკის. იორამი კი ძალიან ცუდადაა, სამწუხაროდ... სხვა რაა სასიხარულო?

შარშან ამ დროს ქუთაისში ვყოფილვარ.

მოწამეთაში რატომ არ ავედი?

15. X. 93 წ.

* * *

დღეს ორშაბათია, 18 ოქტომბერი. თბილი და მზიანი შემოდგომა.

დღეს წავიდა პირველად რეზიკო სკოლაში (?) და ძლიერ კმაყოფილიც დაბრუნდა, კარგი ყოფილაო, ბაღს ამჯობინა.

დიდი თავყრილობა იყო ფილარმონიაში. დარბაზში ვერც შევედით. უმრავლესობა გარეთ დარჩა, ჩვენსავით (კვაჭანტირაძე, ფანჯიკიძე, ელდარი). შევარდნაძემ თქვა სიტყვა. ადრინდელს ჯობდა და მეტი არა. არაა ტრიბუნი.

ელდარი მოქუთაისებას აპირებს. წავიდეთ, მე ვუთხარი, ნუღარ გადადებ, ომის დამთავრებას ნუღარ დაველოდებითთქვა, კაიო.

კახეთშიც ვეპირებით. ამინდი არ შეიცვლებოდეს ნეტავ!

1993 წ.

* * *

დღეს მოიღრუბლა, სამწუხაროდ.

ორი დღე მაცალეო, ელდარმა. რუსეთი ჩაერევა ჩვენს ომში და ეგ თუ გადაგვარჩენს. მერამდენედ? ეგ ყოფილა ჩვენი ბედი და მეტის ღირსიც არა ვართ... სხვა, სანუგეშო, არაფერი.

На Западном фронте без перемен.

20. X. 93 წ.

* * *

მკვეთრად შეიცვალა საბრძოლო ვითარება ჩვენდა სასიკეთოდ. „გვიშტიბის ომად“ მოინათლება ალბათ გარდატეხის დღე. ვერაფერს გულს ვერ ვუდებ... ვუცდი, ველოდები...

გოგი ნიშნიანიძეს მოუკვდა სულით ავადმყოფი შვილი.

ჩემთან ახალი მძღოლი მოვიდა უცნაური სახელით — **ფანცულია**. ავტო — არა, მძღოლი — კი.

ზევით ავედით სიცივეში, ჯანღში, ბურში და თქორში. ბუხარში ცეცხლი ენთო, იყო სხვა სათბობიცა, ღამისთევა აღარ.

21. X. 93 წ.

* * *

ძველი ჟურნალები გადავქექე. რა სიხარული იყო დაბეჭდვა. ჩავყურებდი, ვკითხულობდი თვალმოუშორებლივ ჩემსავე დაწერილს. ახლა წიგნიც აღარ მიხარია... წინ მიდევს ამ წლის „მნათობი“ №4. რა არი, რა უბედურებაა მართლაც...

ჩემი სიმდიდრე ჩემი დღიურებია. სახლი თუ დამიწვეს-მეთქი ქუთაისში (არ იყო გამორიცხული), რვეულებს ვინ გადამირჩენს-მეთქი, ვდარდობდი. სადგური ახლო, მოედანი. ატყდებოდა სროლა, ცხადია. სროლაში ყველაფერი ხდება. ომი შორს წავიდა, მაგრამ ცეცხლგამძლე სეიფი უნდა ვიშოვნო მაინც (შაშოევს უნდა ვთხოვო). ბენია მარტოა ფრონტისპირს. დგას ლომივით. იმკვირა წავიდეთ და წავიღოთ ფილმიო, ელდარმა... ზეგ კახეთი, შოთაობაა...

ხვალ შაბათი, ზეგ კვირეო, ასე, ჩემო მაკინეო!

22. X. 93 წ.

* * *

მოვიკახეთე. გუშინ იყო ეგ. იყალთო — შოთაობა.

სუფრები: ველისციხე, გურჯაანი, იყალთო.

1961 წელი გამახსენდა. დიდ სუფრას ვიგონებდი. დიდი ხის ქვეშ, ალაზნის პირას, სიზმარივით მახსოვდა. მას უკან. სად იყო-მეთქი, ვიტკივებდი უშედეგოდ თავს დროდადრო. ველისციხე ყოფილა. შევედი. ვიცანი 32 წლის შემდეგ. დღე იყო სავსე, დატვირთული, თითქო ერთი კვირით ვიყავ გადავარდნილი. ალავერდი ჩანდა შორს ბუნდოვნად. მაინც უხალისობა. კახეთსაც არ უხაროდა. ვენახები დასეტყვილი, ზოგან — პირწმინდად. იყალთოში ვითომ ზეიმი, ვითომ მართლა იქ სწავლობდა შოთა რუსთაველი და სხვა.

შათირიშვილი ვირეშმაკს ჰგავს.

ცხოვრება გაძვირდა, გაჭირდა...

25. X. 93 წ.

* * *

ეგ რა დროში მოგვიწია, ძმაო, ცხოვრებამ?! მშვიდობა აღარ გვიწერია.

გრეტამ დარეკა როსტოვიდან, წერილი სამსახურში დამიხვდა. ნელი გაოცებულია, რად მერიდებიო.

„ძენის ოსტატებს" ვკითხულობ... მიტაცებს ინდური ფილოსოფია — წმინდა ფილოსოფიის გაგებით — არა.

ღმერთს ერთადერთი ძე იესო ესვაო. რათაო, კითხულობენ. ღმერთი იმპოტენტია? რათა ერთი და რატომ არა მრავალი, უამრავი, უთვალავი, უშქარი?!

მუჰამედი ბოლო წინასწარმეტყველი იყოო. რათა ბოლოო? ღმერთი გარდაიცვალაო? და ასე ამნაირად.

უნდა გარდაიცვალოს დედამიწა და არა ღმერთი... ყველაფერი წარმავალია, ცვალებადია, ყოველის შემქმნელი მარადიულია... ის ქმნის, აფრქვევს, ასხივებს უწყვეტად.

ჩვენ წავალთ, საიდანაც მოვედით.

არ ვიყავით და არ ვიქნებით. თუ ვიყავით, ვიქნებით კიდეც!

* * *

დღეს ჩავწერე რადიოში „იუმორი და ომი". ადრე მქონდა **„ძია კოტე"**, იმის წინ — საუბარი — „ხარაგაულის რესპუბლიკის" გახსენებით. შევიტანო, უნდა, დავთარშია. ტელეშენობაში დეპუტატებს უსაშვოდ არ უშვებენ. გოგელია შემეფეთა და შევარდნაძის ბრძანებაააო, რათა ღია ეთერში არ შეიჭრას რომელიმე, მაგალითად პუპუზაო. პუპუზა გააკავეთ მაშინ-მეთქი, ჩვენ რას გვერჩის... ან საცოდავ პარლამენტთან რა უნდა! პარლამენტმა აირჩია ამხ. გოგელია და პარლამენტი მოაშორებს, მამამისსა აქვს ცხონება...

ომია. ხალხი შიმშილობს... უკეთესად შემეძლო ჩაწერა. ვეღარ გავიხსენე, გამომრჩა რაღაც-რაღაცეები. არაუშავს, სხვა დროს იყოს.

დ. აბაშიძის უფროსი ვაჟი გარდაიცვალა მოულოდნელად. გუშინ დავკრძალეთ. ახლობლები ვნახე სტუდიიდან: თენგიზი, პავლე, მერაბი, ოღია თავისთავად, ცხადია და სხვები და სხვები.

ქუთაისში ვერ წავედი. ვერა და ვერა. ელდარი არაა საიმედო. მაშ, როგორ მოვიქცეთ?

ნეტავ ამსვა-დამსვა და ქუთაისში ჩამსვა, ჩემს სახლში დავისვენებდი. ნაღდად დასვენება რასაც ჰქვია — ეგაა... შინ ძილი და კოტრიალი ჯობს...

ლენტეხის რაიონში (ქვემო სვანეთი) სოფ. მაღლაკიაო. გამახსენდა ჩემი მაღლაკი, სადაც ცხოვრობენ ჟორჟოლიანები, წარმოშობით სვანები, ჩემი დიდი ბებია, მათ შორის — ანნა ჟორჟოლიანი, სვანეთის მაღლაკიდან იქნებიან. სახელი თუმც სუფთა ქართულია — მაღლაკი. ჩამოვიდნენ და დიდ ვაკესაც მაღლაკი უწოდეს, დაბლაკის მაგივრად.

29. X. 93 წ.

* * *

1 ნოემბერია უკვე (1 ნოემბრის გვიანი ღამე). ზევით ვიყავ, ნამეტანი ციოდა და აღარც დავრჩი. ძლივს ავამუშავე მანქანა. გორებ-გორებით ჩაველ ამოუსვლელში; რომ არ ჩართულიყო, დავტოვებდი იქვე დილამდე... რისკია მარტო ამოსვლა. არც ამოვდივარ ხოლმე. დღეს კარტოფილის დარდმა ამიყვანა. მინდვრის თაგვს მიეგნო მართლაც. დავაბინავე, მე მგონი, საიმედოდ. დიდმა თაგვმა, ადამიანმა, თუ არ გამიწია, ამ ზამთარს გამოზოგვით გვეყოფა (ზოგი ქვევითა გვაქვს, ზოგი — ზევით).

გრეტამ დარეკა კვლავ როსტოვიდან. სამეგრელოში ნამდვილი ომია, ნამდვილზე ნამდვილი. შევარდნაძე აბაშა-სენაკის ფრონტში დადის პირდაპირ და „....საშველი მაინც შორიაო". იმედომ გამიხსენა გუშინ. შ. ლომიძის გასვენებიდან მობრუნდა, ბიჭიკო კვინიხიძესთან ამიყვანეს. ავედი და ძალიან კარგი, სა-

უკეთესო ღვინო დავლიე ერთ ბოთლამდე (ლიტრა არა) – ბოთლამდე.

დღეს მაინც მოჟამულ-მოღვერილი ვარ. კაციჭამია ვეფხვების ამბებს ვკითხულობ ძილისპირულად მერამდენედ. ვირთობ თავსა... კორბეტი – კარგი კაცი ჩანს. თარგმანი საშინელი.

ცხოვრება მაინც მიდის, ვჭამთ, ვსვამთ, ვქეიფობთ, ვიხოცებით, ვმარხავთ...

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

1 XI. 93 წ.

* * *

მთვარეზე რომ დასვეს ხომალდი ამერიკელებმა, ლენინგრადში გახლდით, 1969 წლის ზაფხული იყო. არ აჩვენეს საბჭოთა ხალხს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებმა, მხოლოდ „ვრემიაში", რამდენიმე სეკუნდი. ეს იყო გაუგონარი სისაძაგლე. იმ ზაფხულის ლენინგრადი (ახლა ისევ პეტროგრადი, სანკტ-პეტერბურგი), მიუხედავად იმისა, რომ ცუდ საქმეზე ვიყავი ჩასული, მაინც კარგად მახსენდება...

მთვარის „გარდაცვალებაც"(?!) იქ გავიგე. „აპალონ 11" დაჯდა. კარგი ციფრია 11. აგრეთვე 1, 7, 9-ც.

აპოლონ 1 დაიღუპა, აპ. 13 დაითარსა... დანარჩენები მშვიდობითა და პროგრამით წავიდ-წამოვიდნენ. არ არსებობს გლახა 13-ო. არსებობს, ტრაგიკული არ უნდა იყოსო, თარსია აშკარად.

4 ნოემბერია. უკვე ცივა თბილისში. სხვაგან ომია. ჯურხა ვნახეთ, აღარაა ამ ქვეყანასო, ასანამ გვითხრა. ცოლიც ტირილით შეგვხვდა. ჯურხაც ელის... ყოველნაირად ჩვეულებრივია, გონება-აზროვნებაც ჩვეულებრივი, მხოლოდ ვერ დგება. გრძნობს და არ ჯერა... ნადირაძეებს კი, შეიძლება, არც კი სიამოვნებთ ჩვენი სტუმრობა. უხსენებელმა დაანგრია ჩვენი ერთობა, ძმობა... მუხრანი ვერ გაწირეს ძმებმა.

დაიყო ხალხი, გაიხლიჩნენ ოჯახებიც კი. გაწირეს ერთმა-

ნეთი, რატომ? უსაფუძვლოდ... სიძულვილის თესლმა დაშალა ერი. ეგ რა უბედურებაა?!

4. XI. 93 წ.

* * *

ახლა 7 ნოემბერია. ქუთაისში ვარ.

ჩამოვემგზავრეთ გუშინ რეზო იოსელიანის (ქვისლის ძმა) დაკრძალვაზე. გუბაზი, ლეილა, მიშო. საძაგელი დღეა და წავალთ, ალბათ, ხვალ. ახლა გავლა მინდა მაინც. ჩავიარ და ამოვიარ. აქედან ჩავალ, იქედან ამოვალ...

იოსელიანები ზდანევიჩების სახლში ცხოვრობენ. დაიშალნენ, დაემტერნენ. უფროსი ძე დეპრესიაშია აშკარად. წელს სამჯერ გაძარცვეს, დააყაჩაღეს (რატომ არ მოწონს ეს ზმნა თ. ბუაჩიძეს?) საშინლად... მატერიალურად გაანადგურეს ოჯახი, ფსიქიურად დასცეს. **ერთი ძმა შეეწირა კიდეც დროს. სახლი უქალო, უშვილო... მხოლოდ სიძველეა შიგ. ამასაც მალავდნენ, ფარავდნენ... ცალკე დასალაგებელი** ამბავია. ნოემბერ-დეკემბერს დავამთავრებ რადიო-ნოველებს, საახალწლოდ მოვიფიქრებ საახალწლო ან საშობაო ნოველას და მოვრჩები, ასევე შევთანხმდით...

ავთო მოვიდა, ყურაშვილი, გავიარეთ წითელი ხიდი, ბაზარი, უკან. შაშიაშვილი ფოთშიაო. ნაცნობი ცოტა, სიწყნარე, სითბო, სიმშვიდეც, მოდუნებაში, მოღვენთილობაში გადაზრდილი. ხვალინდელი დღის აღარა სჯერათ.

7. XI. 93 წ.

* * *

ახლა წვიმს ქუთაისში. თბილი წვიმაა.

ადამიანი ხსოვნაა და მოგონება... **„ფერფლი და კვამლი“, საუბარიცაო (მარკ ავრელიუსისაა) თითქოს...** ვერ ვიტყვი, რომ უნაკლო შედარებაა... ხსოვნა და მოგონება სხვაა. იგი გაქრე-

ბა და ისიც, მოგონებაც ქრება ან ისტორიად იქცევა. ადამიანი სხეული არაა, სხეული, მიწაში დაფლული, არაფერს გეუბნება. იგი იქაა უფრო, სადაც იყო, სადაც დატოვე, სადაც გახსოვდა. ფოტოსურათი მეტს გახსენებს, რადგან იქ წამია გაქვავებული. ადამიანი ხორცისა და სულის ერთობაა, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ირკვევა, რომ იგი სხვაა, სხვა ყოფილა, ვიდრე მისი ძვალი, ხელი, ფეხი, გინდაც გული და ასე შემდეგ. თან დაყვება მას რაღაც (ვთქვათ, აურა) და თურმე ისაა მთავარი, ის სადღაც იქვე ტრიალებს ახლობლისათვის... (შეიძლება დალაგებით ჩაწერა. ჩემთვის მოვინიშნე ჯერჯერობით).

„ხვალემ იზრუნოს ხვალისაო“ – ხალხური.

„ამრიგად, ნუ იზრუნებ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე“, მათე 6/34.

„...ვინაიდან თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უმსამართლოებს“. მათე, 5/45

რუსთაველი:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“

რამდენია ასეთი. თუა თავდაყრილი ყველა?

„ვინაიდან მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსაწოდებლად მოვედი“.

უფრო სრულად:

„წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოვილთა სინანულად“ მათე 9/13.

სხვა ვარიანტებიც.

საიდან გაჩნდა **„სინანულად“?**

„... (რამეთუ) არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (კიკნაძე-ბაჩანასეულშიც უნდა ვნახო).

საერთოდ, ყურადღებაგასამახვილებელია ეს ადგილი. **„კუდიან ვარსკვლავში“** მივანიშნე, მივამატო უნდა კიდევ... ცოდვილთა მოციქულია?

„ხოლო მე გეტყვ თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულაქუცევდეთ მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ". 5/44 მათე.

1915 წ. გამოცემული სახარება მაქვს ქუთაისში (საქ — იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორის ნებადართვით). მაჩუქა ირანიმ, წააწერა, უკან სხვისი სხვისადმი წარწერა ძევს, რისთვისაც ჩემ მჩუქებელს თვალი არ მოუკრავს. ვინმე მაისურაძე უძღვნის დ. ჯანელიძეს:

დავით ჩემო, მომიძღვნია,
შენთვის წმინდა სახარება,
ასოც წელსაც ნუ მოგშლია
სიცოცხლე და გახარება...

ხალხურ ზეპირსიტყვაობას შემატებოდეს...

მტერი კი არ უნდა გყავდეს, კაცი ჯობია უმტეროო. **„...და ულოცევდით მათ"...**

რა საჭიროა მტრისთვის ლოცვა, თუკი ის მტერია და გამტერებას არა ეშველა რა. მტრად არ უნდა თვლიდე ალბათ...

რევიზიას არ ვაპირებ, ჩემი მოსაზრება მაქვს, თავად იმუქრება ხოლმე: **მათე 10/14, 15:**

„მაშინ მან იწყო იმ ქალაქების ყვედრება"...

ნანამ მოიგო, როგორც იქნა, ერთი პარტია. იყო კრივი საინტერესო. გაემარჯვა **ხოლიფილდს.**

ცრ **8 ნოემბერი, 93 წ.**

* * *

ქუთაისში ვიყავი, ჩავედ-ჩამოვედით ძველი მანქანითა, რულში მე. ვეღარ მოვიძიე სათვალე ნატის შალითითა.

იქით წუმდა, აქ წვიმს...

მოვიშვიდრვანოემბრეთ...

იქით სიმშვიდეა. ბუნტი არ ჩანს... მეზვიადენი მილეხეს. ძვე-

ლი ბიჭები მძლავრობენ ქურდებისა და მილიციის მხარდაჭერით. გადაშავდა საძულველი 7 და 8.

9 ნოემბერი, 1993 წ.

* * *

პავლე ინგოროყვას უნდა გადავუხადოთ 100. დღეს იყო კომისიის სხდომა. ღირს თუ არა „მერჩულეზე" ლაპარაკი საჯაროდ, სატელევიზიოდ-მეთქი. დღევანდელი სიტუაციის მიხედვით, იქნებ, ფრთხილად ვილაპარაკოთ, ანდა პირიქით-მეთქი. პირიქითო, ახლაა დროო. თავის დროზე ვერ ვთქვითო და სხვა. არადა იმ წიგნში ვერაა ყველაფერი დალაგებულად. გამოქვეყნებისთანავე გამწვავდა ურთიერთობა აფხაზ-ქართველებს შორის. ჩვენ ხომ ყოველთვის მართლები ვართ...

შემდეგ აფხაზეთის (ქართული) მთავრობა მოვიდა. **ზ. ერქვანია, ლორიკ მარშანია, სიჭინავა, ქალი სიმპატიური, კარგად დაწყობილი თმით და უცნაური გვარით.** ვილაპარაკეთ...

ტელევიზიაში მოითხოვეთ ერთი საათი-მეთქი. ჭკუაში დაუჯდათ, ნახევარ საათს მაინც რომ მოგვცემდნენო...

მთელ საქართველოში წვიმს. არავის და არაფერს არ ჭირდება, ამ დროს თოვლი ჯობია. ჩამოვიდა გრეტა. პური კვლავ ძვირდება. 700 კუპონი გახდებაო ორ წელიწადში 30 კაპიკიდან 700 მანეთამდე (კუპონით – სხვა ფულის ერთეული ჩვენ არა გვაქვს), იმედია, აქ არ გავჩერდებით და გავაგრძელებთ აღმასვლას.

ხვალ ზეევით ვაპირებ, თუ არ გავრჩი იქა!

10. XI. 93 წ.

* * *

გავრჩი კიდეც, როგორც გული მიჩიოდა. მანქანა მივატოვე თოვლში. ზეევით თოვს... ჩამოგვიყვანა ვიღაც ღვთისნიერმა. თბილისი ჩაბნელებული დამიხვდა, დივერსანტების ქვეყანაში

ვცხოვრობთ. იქაური (გარე) ყაჩაღები ებრძვიან აქაურ (შინა) ყაჩაღებს. დავიყარეთ ყველამ შინ თავი და დამალობანა ვითამაშეთ სანთლის ციალზე. მშვენივრად გამოგვივიდა. სიბნელესაც სიკეთეო...

შუქიც ჩართეს რაღაცნაირად...

მაინც ელექტრონი!

საწყალი ჭარხალა იტყოდა:

ბოლობოლო მივხვდი, ჯობია, იყო ჯანმრთელი და გქონდეს ბევრი ფული, ვიდრე იყო ავადმყოფი და უფულოო. მიხვდა, მაგრამ არ უშველა. მკილი ჭამს ჩემს ფერხთით ხეს. სადაა შემძვრალი, ვერ გავიგე. წავუწვე უნდა და ყური მივადო ფიცარს, მეზარება. გუშინ დაწოლამდე ვკითხულობდი ბიბლიას და გორდნერის „Теория относительности"... ერთი შაირი მახსენდება (პ. უმიკაშვილის — ფოლკლორი):

ღვთის განგებას რას იძიებ, ვერ მიხვდები, რაც არ იცი...
ამ ქვეყნისას რას გაიგებ, სწორედ მოფსმაც რომ არ იცი!

11. XI. 93 წ.

* * *

გუშინ მოთოვა. დღესაც საძაგელი ამინდია (13. X. 93. შაბათი). ავედით მანქანის ჩამოსაყვანად იმედო კახიანის „ნივით". მოგვეხმარნენ, თოვდა, ბუქავდა, ყინავდა. მანქანა გაძარცვული. თქვენი თუ იყო (ე.ი. მე და იმედოსი) არ ვიცოდით, გვითხრა ერთმა მეგრული აქცენტით. შენი რომ არ იყო, ის ხომ იცოდი-მეთქი, გავიფიქრე და არ ვუთხარი. დააბრუნეს ყველაფერი, მოგვეხმარნენ, იწვალეს. დაღამდა. თან თოვდა, თან ყინავდა და იმ ციცაბოებში ჩამქრალი მოტორით როგორი სასიარულო იქნებოდა. თოვლი თბილისში ამ დროს? გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა ჩვენი საქმე.

7 ნოემბერს მოთოვა ერთხელ ქუთაისში. მიხურხლული ვართ „ფეჩთან" (ზედმეტად არ გაახურებდა დედაჩემი) და ვი-

ხედები ფანჯრიდან უსიხარულო დღეში, ხეებია დათოვლილი სველი თოვლით, მზე ჩადის ყვითლად, ცივად. ჩამოვიდა ლადიკო. თქვენთან როგორი ამინდია – დედამ კითხა, მოთოვა იქაცო, ეცინებოდა, ვენახი დამრჩა თოვლქვეშ მოუკრეფავიო. რა უნდა ქნათო, შევწუხდით, რა ვიცი, რასაც სხვები იზამენო, მხოლოდ ზოგიერთმა მოირთველიანაო. მალე ათბა, თუ მახსოვრობა არ მღალატობს.

13. XI. 93 წ.

P. S.

მეტროში მღერიან ბავშვები გადაბმულად. ერთს დაამთავრებენ, მეორეს იწყებენ, ფულს ითხოვენ, ზოგი უხმოდ ზის. ქართველებსაც შეიცნობ (ყველა ქართულად მღერის და მოთქვამს, მაგრამ ყველა არაა ქართველი), მამაკაცმა შავებში გამოწყობილ ახალგზარდა ქალს ადგილი დაუთმო, გულზე სურათი ჰქონდა მიბმული ქმრის, ძმის? მე რომ დასაჯდომად გამზადებული დამინახა, შეყოყმანდა. **დაბრძანდით, მე ვუთხარი, ნუ გერიდებათ. შრიალით დაჯდა. გამხდარი, მაღალი, ლამაზი... გრძელი თითები. სახეზე, ფრჩხილებზეც არაფერი ეცხო.** დაჯდა, თავდახრილი იყო და მოულოდნელად მითხრა: მაგას მე დაგიჭერთო. გაზეთები და შეფუთული კარაქი მეჭირა. არა, მე ვუთხარი, მადლობელი ვარ-მეთქი. იშვიათად გაიგონებ ამნაირს... გაუზრდელებულია ახალგაზრდები. ნერვიული, უზრდელი ჯიში მოდის. ასპარეზზე გამოვლენ სკოლადამთავრებული უვიცები, რომელთაც 1989 წლის აპრილიდან სკოლაში არც უვლიათ, სწავლაზე და ცოდნაზე ზედმეტია ლაპარაკი.

* * *

„არ მშორდება მწუხარება და ჭირიო“ – აკაკიმ. საქართველოს ისტორიის ყველაზე მშვიდობიან დროსაა დაწერილი. აბა, ახლა რა ითქმის? რა უნდა ეთქვათ მენშევიკთა საქართველოში. 1924-ში, უაზრო აჯანყებას რომ მოყვა, 37-ში – ქართველთა

მოწყობილ სასაკლაოში, 41-45-ში – სხვის ომში. დღევანდელი ტელევიზიის ცქერა შეგშლის მარტო („საღამო მშვიდობისა“). ერთი ოჯახის ოთხი მიცვალებულის (ტყუპი ძმები) რეკვიემი... გახუნებულია მართლაც მწერლობა, ნოველა, მოთხრობა... დაწერს თვითმხილველი, მონაწილე და სასურველ ეფექტს მაინც არ მოახდენს. იგი რეპორტაჟი გამოვა და არა ისტორია, როცა ამბავი ისტორიად იქცევა, მხატვრული ძლიერებაც მაშინ მიენიჭება. ეგ უტყუარია, სამაგალითოდ ტოლსტოის (ბევრი სხვისიც) „Война и мирь“ გამოდგება.

როდის ეღირსება მაინც საქართველოს მშვიდობა? აფგანის პროგნოზი სწორი უნდა იყოს. სადიკ აფგანი. 1995 წლისათვის დასრულდება გარდამავალი პერიოდი ყოფილ საბჭოთა იმპერიაშიო. ასეც მოხდება. შემდგომ წავალთ კლებაშიო. ეგრე ჰგონია იმასა და მეცა!

ამინდი კაი იყო დღეს. ამღამეს ყინავს მაინც, ვატყობ აქედანაც. მანქანას ვუტრიალე, არა გამომივიდა რა! ჯურხა ცუდათაო, მეცოდება, რა ვქნა!

ცხოვრება მიდის ისე, როგორც მიდიოდა, ადამიანის სიცოცხლე, ადამიანთა... ეთხოვებიან საწუთროს რიგრიგობით, ერთმანეთის მიყოლებით. სულ არაბუნებრივი, უკანონო პროცესი გვგონია, რაღა ამ დროს, რაღა ის... რა ეტაკა, რა დაემართა, ვინ ელოდა და ასე შემდეგ...

ერთად ხომ არ დავიხოცებით (თანაც სიბერეში) მართლადამართლა ყველანი. სიცოცხლის ხანგრძლივობა კი მაინც იმატებს შეუმჩნევლად, ნელა და მაინც. იმატებს ომების, ჭირისა და რადიაციის მიუხედავად, 1000 წელიც რომ გახდეს, სიცოცხლე მაინც ხანმოკლე აღმოჩნდება. რამ მოკლა ეს 900 წლის კაციო, დაიტირებენ...

კვირა, 14 ნოემბერი, 1993 წ.

* * *

ახლა ვნახე ტელევიზორით ფილმი „ჩემი მეგობარი ნოდარი! და გულს შემომეყარა. არასოდეს უჩვენებიათ და გახარებული ვიყავი. გადაღების დამთავრებიდანვე ვფიქრობდი, როგორ მოახერხა რონდელმა უსუსურობის შექმნა-მეთქი. არადა, გადაღების პროცესი რაღაც იმედებს გვისახავდა...

ის ზაფხული კი – 1967-სა – იყო მშვენიერი, დასამახსოვრებელი, უდარდელიც კი; ქეიფი, სიმღერები, სიცილი, დროსტარება... სათაფლია, გელათი, ბაგრატი, სხვაგან და სხვაგან; ხალხი, ტიპაჟი... სად იყო ან შიში, ან სიფრთხილე, ან უბედურების ამბავი, უდარდელობა და უკეთესი მერმისის ილუზია... ფილმმა გამიცრუა იმედები, მაგრამ ტრაგედიად არ მიმიღია. ეგ იყო დავით რონდელი. რაც შეეძლო, ის გააკეთა; სცენარზე ხომ მაწამეს გორდელაძემ (დირექტორმა), ს. მახარაძემ (რედაქტორმა), ზუსევამ (მოსკოვი) და თავად მოსკოვმა?! მარტო სამჯერ განხილვაზე ჩამიყვანეს მოსკოვში. განიხილავდნენ სცენარს? რონდელი ქანაობდა ლერწამივით. ჩემი სიგლახეცაა ბევრი... საწარმოო თემა უნდა იყოს, ავტოქარხანა მთავარიაო და სხვა. რონდელი ფილოსოფიურ დიალოგებს მთხოვდა (იმდროინდელი საბჭოთა კინოს გავლენით, „წელიწადის 9 დღე“ და სხვა), იძულებით დავამატებდი პატარა სცენას ან დიალოგს. ჩაიკარგება ეპიზოდებში-მეთქი. ეპიზოდები აღარ დარჩა და მთავარი ჩამატებულები აღმოჩნდა ტრავმად დარჩა მაინც... ცუდი დაღი დაადო ჩემ შემოქმედებას... გოგიას დედა უტირა, კინოში აღარ ეძახოდნენ წლების განმავლობაში...

სახარებებს ვკითხულობ კიდევ.

ვადარებ, ვუდარებ...

ტექსტებსაც (ახალს, ძველს, სხვადასხვა გამოცემებს) ვამოწმებ. არაა ჩემი საქმე!

არც მეკითხება!

ხვალიდან ძვირდება პური და იაფდება ცხოვრება. დენიც

წყვეტილ-წყვეტილ მოგეწოდებათო. გაზი თუ არ შეწყდა, ვინ დაეძებს.

1957 წ. – დავმკვიდრდი თბილისში, დავოჯახდი, ჩავეწერე მუდმივად და არა სამუდამოდ. **1967 წლის ზაფხული გავატარე ფილმის გადაღებაზე** ქუთაისში (ღამისთევებიც მახსოვს ქუჩაში, ტროტუარზე, ბარდიურზე იჯდა ერთხელ ეროსი შუაღამისას. სასადილოს სცენა... იქაც გავათენეთ. ღამის გადაღება იყო, მე და რამდენიმე კაცი მოფარებულში ვსვამდით. შემოიხედავდნენ მსახიობები, რინდელიცა... დალევდნენ, განაგრძობდნენ „მუშაობას". ყველა მთვრალი იყო არიჟვებისას).

1977 – არაფერი საყურადღებო, 1987-ში – კვლავ წაველ ქუთაისში, ჟურნალის რედაქტორად. კარგა 5 წელი მისვლა-მოსვლით (თბილისი-ქუთაისი) გავატარე. ის ხანა კი უფრო და უფრო კარგად მახსენდება, რაც დრო გადის... **1997-ში კვლავ ქუთაისში?** გამოვტოვებ ალბათ და დავბრუნდები 2007-ში.

ასე და ამგვარად... მკილი კი კვლავ მხრავს.

ვერა და ვერ წამოვუწექი, ვერ დავადე ფიცარს ყური.

სამი პური მომცეს პარლამენტში. სად იშოვნეო, მეკითხებოდნენ. სახლშიც გაოცდნენ, მერგება თურმე. მეორედ ავიღე. გამყიდველი ეუბნებოდა გარეშე მთხოვნელს: ვინ თქვა, არ მოდიან დეპუტატები, ამ დღეებში 100 პროცენტიანი წაღებაოო...

15. XI. 93 წ.

* * *

ფილოსოფიური დიალოგი ჰქონდა ჟურნალისტ ქალთან (არ ვიცნობ) შევარდნაძეს – ვინ ვართ ჩვენ.

ისეთი ხალხი იბადება საქართველოში, როგორიცაა სტალინი – კლასიკოსი დიქტატორი და ისეთი დიდი ჰუმანისტი, როგორიცაა – მამარდაშვილი (?)

თუ გავქრებით, როგორც, მაგ. შუმერებიო.

არაო, მაშინ სხვა დრო (არ გინდა მიხვედრა!) იყოო. სამყა-

რო თუ დაიღუპებაო და ატომური საშიშროება აღარააო და სხვა...

გამახსენდა მამფორია.

ერთი კოჭლი კაცი იყო ჩემ ბიჭობაში ქუთაისში. კაი სახიერი, სიტყვაპასუხიანი, სიმღერაც შეეძლო, მაგრამ როგორც საცეკვაოს დაცხებდნენ, გადახტებოდა და ჩამოუვლიდა მობრეცილი ფეხებითო. გაჩერდი, მე შენი დედა, პირი ქვისკენ მიქნია, რა გეცეკვება, ხომ ხარ იმ სუფრას შეფარებული, ცეკვას ვინ გეძალება!

როგორ ადრე დაგვიზამთრდა.

ახლა ვანგრიშობ, რა წავიკითხო ხვალ რადიოში. მღერიან ჰიმნს ქართულს. 12-ია.

18. XI. 93 წ.

* * *

ვინაა, მართლა, ეს მამარდაშვილი?.. იქიდან გინებით გვტენიდნენ, აქედან — ქებით ვისტუმრებთ? დიდი დამსახურება აქვს ელდარს...

დოჩანაშვილი ბეჭდავს რას, რომანს? „ლიტერატურულ საქართველოში“ აგრძელებს, წელავს, როგორც ზოგიერთ სიტყვებს, აღმოჩენა რომ ჰგონია მწერლური. ვერ ვკითხულობ, მაგრამ უნდა წავიკითხო ბოლობოლო...

რადიოში გადასცეს ადრე ჩაწერილი, **„4 შეხვედრა ადვოკატ ჭონქაძესთან“**... აწი საინტერესო ნოველებს ჩავწერ. სულ დამრჩა 6 გამოსვლა. ბოლო 31 დეკემბერს და გავასრულებ... შემდეგ დავუყრი თავს, უპატრონოდ არ მივატოვებ...

ერთი საინტერესო დაკვირვება:

პილატემ არა მარტო ხელები დაიბანა, შეეცადა, მოინდომა და ვერ გადაარჩინა იესო, შემდეგ: აიგდო კიდეც იუდეველნი, მღვდელმთავრები, როცა ჯვარზე გაკრულს მიაკრა ფირფიტა და დააწერა: **იესუ ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა.**

„ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესუ და იყო წერილი ებრაელებრ და ჰრომაელებრ და ბერძულ“.

ეხვეწნენ, ნუ დაწერ ამგვარადო... მე ვარ მეფე ჰურიათაო უფრო მოუხდებაო, მაგრამ პილატემ გადაწყვეტილება არ შეცვალა.

ჰრქუა მათ პილატე: რომელი დავწერე, დავწერე:

ამას, შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი დაურჩა. ოფიციალური წარწერა (ირონია გაუგებარია) მომნუსხველ შთაბეჭდილებას მოახდენდა ბნელ მასაზე — ბრბოზე.

21. XI. 93 წ.

* * *

უსახური საღამო გაუმართეს გალაკტიონს ფილარმონიის დიდ დარბაზში. უკითხეს ლექსები ჩურჩულ-ყვირილით, პაუზებით. ლექსში ეძებენ შინაარსს. ლექსს რომ რიტმი აქვს და მახვილებიც კი, არ იციან არტისტებმა...

შემდეგ მე და ლევანი ავედით პატარა ვახშამზე გრეტასთან... იქიდან მოყვრებში, პატარებთან. შე ქუთაისელოო, კვდებიან სიცილით. ქუთაისი კი კვლავ მენატრება.

მტილი — ბოსტანი, საბასთან, შემდეგ კი, მემტილე — მებაღეო. იმნაიშვილიც ამის მიხედვით ანგარიშობს, ბაჩანაც შეცდომაშია, მე ვფიქრობ. მებოსტნე ან მებაღჩე უნდა ეწეროს, თუ არადა, დაეტოვებინა მემტილე, როგორც — მეკერმენი.

22. XI. 93 წ.

* * *

საძაგელი ამინდებია კვლავ. 25. XI. 93. ხუთშაბათი.

გუშინდელი შევარდნაძე მომეწონა, ვიფიქრე, აიღო ძალაუფლება-მეთქი. დღეს, პარლამენტის პირველსავე სესიაზე, ისევ დაკარგა წონასწორობა. ქუჩის პოლიტიკოსებს აყვება

ხოლმე... მართლა იშლის ნერვებს, თუმც ამასაც გამოიყენებს... პარლამენტი კი საბოლოოდ, თუ ასე გაგრძელდა, დაუკარგავს ავტორიტეტს. შაშიაშვილს ველაპარაკე, გელოდებითო. ელდარს უნდა ფილმის წაღება, იმ კვირას რომ წავიდოდეთ, კარგი იქნება... ხვალ უნდა ჩავწერო რადიოში **„ენუქას ანდერძი“**... ძველი „ლიტერატურული საქართველო“ მომყვა ხელში გუშღამ, წავიკითხე ჩემივე ჩანახატები **ლეონიძეზე, პ. საყვარელიძეზე, კ. გამსახურდიაზე, გ. ტაბიძეზე**... ხომ არ გავაგრძელო-მეთქი, ვიფიქრე, მივამატებ პ. კაკაბაძეს, იოლია. პ. ინგოროყვაც? ერთხელ შევხვდი სულ სუფრაზე, ფუნიკულიორზე... საკმარისია. კიდევ ვინ? ვიანგარიშე, ახლაც ვანგარიშობ. ვინ იყო ამათსავით გამორჩეული პიროვნება. ჩამოვთვალე გუნებაში ცოტანი... ჩამოვწერე... ის არაა? ჭიაურელი? ვიღას ახსოვს ახლა იგი. ზაქარიაძე – მართალს ვერ ვიტყვი... **ვასაძე – შეიძლება**. ხორავას არ ვიცნობდი. რონდელი? საინტერესოა, მაგრამ სხვისთვის ვინაა? იმ რანგში არ გადის... კ. ლორთქიფანიძე – ეგ საინტერესოა... **გიორგი ნატროშვილი** – უკვე გამზადებულია ერთი ეპიზოდი. შ. ჩანტლაძე – ეგ უკვე ჩემიანია. ასე თუ მივყევი (დუმბაძე, თ. მელიავა), მოგონებანი გამომივა. მინიატურები უნდა იყოს, ჩანახატები, უფრო სწორედ. შე დიდო კაცო! – მთვრალმა ო. ჭელიძემ იცის... ვინაა ეგ დიდი კაცი ჩემი მახსოვრობისა? არის ალბათ და ვერ ვხედავ, არ ჩანს, იზრდება ან იბადება...

ჩამოკონკილი ტერენტი გრანელი შეახტა ზურგზე დენდივით გამოწყობილ გ. რობაქიძეს თურმე რუსთაველის (გოლავინსკის) პროსპექტზე, თეთრი ხელთათმანებით გაიწმინდა თურმე სერთუკი (ფრაკი?), წაიძრო თეთრი ხელთათმანები, ჩაყარა ქუჩის საფურთხებელში და განაგრძო გზა უკანმოუხედავადო...

25. XI. 93 წ.

* * *

რეზიკომ დამირეკა (ბებიასთანაა ვერაზე), კბილი მერყევაო, მეც, ბაბუ-მეთქი. შენ როგორო? გაუკვირდა. შენ – პირველი, მე ბოლო კბილი ჩამომძვრება! უცნაური არაა?! ჩავწერე და გადმოსცეს **„ენუქას ანდერძი“**. დამრჩა დეკემბერში 5 გადაცემა. ეს იქნება: 1. **„ეროვნული თავაშვებულება“**, 2. **„მათე“**, 3. **„ურولოგი ჯაფარიძე“**, **„ღიმილი“**. ბოლო ახალ წელს უნდა მივუსადაგო, მოვიფიქრებ მანამდე...

დღეს უმრავლესობის შეკრება, შევარდნაძე – დაწყობილად მოლაპარაკე, დამშვიდებულიც, მაგრამ შეცვლილი ძალიან. არ მეშინია სიკვდილისო, მაგრამ ეგრე არაა, დებილებს არ ეშინიათ მხოლოდ. არც ეს იქნება სწორი. იმათაც ეშინიათ – ცნობიერადაც... შევარდნაძე სტრესულ მდგომარეობაშია განუწყვეტლივ... გადაღლილია აშკარად. თუ არ გაითიშა, არ დაისვენა, გლახა რამ დაემართება, ისე მე ვიცოცხლე!

კარგადა მაქვს კ. ვარსკვლავში:

– ეხ, მიტუშა, მიტუშა, ჩემი ჭკუა მოგცა და შენი ბოხოხი!

ვერა და ვერ დავიწყე ბეჭდვა. ხვალ ჩავადგამ ლობიოს და შევუდგები... აზა მგლოვიარედაა, აღარ მოდის, გამრეცხავიც აღარა გვყავს... ესეც უნდა ვიტვირთო (ჩემი მხოლოდ), სხვა რა გზაა!

26. XI. 93 წ.

* * *

ჯაბას დაუცალეს კვლავ ლაღუმი ყურისძირში. თავად ხომ არ მოუწყო საკუთარ თავს ამჯერზე. ვინაა, აბა, ასე თავმოძულებული, რომ დადევს მოსაკლავად?

ხომ ვაპირებდი რომანს ვარლამზე? მივხვდი, ველარ მოვასწრებდი და ხელი ავიღე... ზეპირად ვთქვი რამდენიმე ეპიზოდი მაინც და ახლა დამებადა აზრი გამთლიანებისა. ამგვარი ეპიზოდებით გავავსებ ერთ წიგნს. შეიძლება და კარგიც იქნება.

რამდენი მაქვს მოსასწრები, რაც დასახულია და მორჩა, მეტს აღარ შევებმი...

ე. ი.:

ორი სცენარი, გადმოსაღები პროზად („ტურანდოტი“, „ფეხბურთი“), **„გიული ჯანდიერი“, „თ. ც.“ (თამარ ცბიერი)** – საბოლოოდ... ნოველები ზეპირი ასაკრებია, „კუდიანი ვარსკვლავი“ – გასამზადებელი, შესავსები, **„პაპუნას ციკლი“**, მწერალ-მოღვაწეთა პორტრეტ-ჩანახატები?..

მოგროვდება მაინც... უბედური ნოემბერი, თოვლიანი, ჭყვაპიანი, ყინვიანი...

27. XI. 93 წ.

* * *

ცდა არ დაგვიკლია „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის; გატანაზე ვიღვაწეთ, ვეცადეთ, მოვინდომეთ... შედეგმა არ დააყოვნაო, ვერაფრით ვიტყვით. ილიადან მჟავანაძემდე იარა ამ საქმემ... სტალინმაც ვერ გვიშველა. მოლა ნასრედინი უფრო ცნობილია (არც მიკვირს) საზღვარგარეთ, ვიდრე (ომარ ხაიამზე არაფერს ვამბობ) „ვეფხისტყაოსანი“. პატარა ერის შვილის ქმნილება. მარტო ამით შეიძლება ამ ფაქტის ახსნა? არა მგონია. „ღვთაებრივი კომედია“ (რუსულად) გადმოვიღე, ვიკითხე და ამიტომ მივედი ამ ფიქრამდე.

ბენიამ დამირეკა ქუთაისიდან. შეშინებულია. ჩამოდით-მეთქი. ჩავიდეთ უნდა და წამოვიყვანოთ. დიდი სახლი დარჩება ქარში, ყინვაში, ქურდებში, ყაჩაღებში. მეც რამდენად გავიჭრები?!

იმ წიგნის (ღ. კ.) სიდიადე კი აღსაქმელი მაქვს, როგორც ჩანს, დასაწყისი მაგარია. პირდაპირ პირველივე სტრიქონი გეჯახება – **„ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა“**, ეგრე უნდა იყოს ქართულად. მოსაძებნია რუსულიც: „Земную жизнь пройдя до половины“.

28. XI. 93 წ.

* * *

ბოლო დღეა 1993 წლის შემოდგომისა.

100 წლის საიუბილეო საღამო გავუმართეთ პავლე ინგოროყვას გაყინულ დარბაზში. მოვიდნენ ჩვენიანები, „მეცნიერები“ არ გამოჩნდნენ. იყო ტელევიზია და გადასცემენ ალბათ. შეფი ბათუმში გაფრინდა და საღამო მე წავიყვანე. ავად თუ კარგად, გავასრულეთ და ოჯახიც კმაყოფილი დარჩა (გუგულისაც ვათქმევინე ძალით ბოლო სიტყვა). ღამეა გვიანი, ისევ გადაშლილი მიდევს „მერჩულე“, სწორია ბევრგან, ზოგან არაა სწორი.

მაგალითისთვის:

„ეს ტერიტორიული ერთეული, — „აფხაზეთის საერისთავო“, ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით — არ იყო შემთხვევითი, დროებით შეკოწიწებული ადმინისტრაციული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარ გეოგრაფიულ მთლიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგადაც, რაც იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ — გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ვარაუდობს, რომ — **ნიკოფსიიდან კელასურამდე** ისევ (VIII საუკუნემდე) ჩამოსახლებულან ჯიქები და მიერთებიან აფხაზებს, სანიგებს (ჰენიოხები) აფსილები (აფსუები?) და მისიმიანები...

კელასურის კედლიდან აქეთ ყოფილა „ბუფერული ზონა“ (ოჩამჩირე, გულრიფში, გალიც?) მდ. ღალიძგამდე... სავარაუდოა და მართალიცაა, „ბუფერული ზონა“ ლაპარაკობდა მეგრულად, საკუთრივ აფხაზეთი?

მთა აფხაზეთი — ქართულადაც, დანარჩენები, ჯიქეთის ჩათვლით, მიგრულ-ლაზურ-სვანურადო. დასკვნები საეჭვოა, დაუსაბუთებელია.

„აფსილები — მესხ-კოლხთა ნარევი ტომი“-ო?

ტოპონიმიკის განხილვა და ანალიზი უკვე არამყარია, **„გე-**

ოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოვებთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით“.

სუფსა? ფსელი – ფსა – წყალია. აქედან – თავად აფსუა ალბათ და სხვა. ნ. ბერძენიშვილი ამ ფაქტორს, თუ არ მეშლება, არ უარყოფს. თავად ყვა? ინგოროყვა? როყვა? და ასე შემდეგ.

სხდომის შემდეგ გრეტა, მე და ლევანი ერთად ვიყავი ვერცხლის ქუჩაზე, გრეტას ახლობლებთან, ამ ძველი თბილისის უბნის საცხოვრისში პირველად გახლდით (?). არა! მსუბუქად და იოლად ვავახშმეთ. ეგ იყო სულ.

30 ნოემბერი, 93 წ.

* * *

შიმშილი მოყვა სიცივეს. შიმშილობენ აშკარად. ზოგიერთს პურის ფულიც აღარ აქვს. ზოგი აღებას ვერ ახერხებს. ხელფასები სიმბოლურია სუფთად. ვაჭრებსა და „საქმოსნებს“ შეშფოთება დაეტყოთ უკვე. მთლად ისე აღარ მიუდით საქმე, როგორც ეგონათ, როგორც ჩანდა. ქურდები, ყაჩაღებიც გადაცარცვავენ ყველას, ერთმანეთსაც, შემდეგ საჭმელზე ინადირებენ. თავის საშველად გარბიან (ვინ საით, კაცმა არ იცის), რუსეთში, საზღვარგარეთ (ჩემ წარმოდგენაში რუსეთი ჯერ არაა საზღვარგარეთი – არც ფსიქოლოგიურად, სხვათა შორის, არც ფაქტობრივად). პარლამენტში გვირიგებენ პურს, არც არავინ ამბობს უარს, არც არავინ (შევარდნაძის მაგინებელნიც) უკადრისობს. ხან ვის ვაძლევ, ხან ვის ნაწილს – სამიდან ერთს, შემოვიდა და დარიგდებაო მარგარინი, შაქარი. საშველი კი მაინც შორია.

დარეკა შაშიაშვილმა, იქნებ 17-ში ჩამოხვიდეთ, ბარბალობასაო. როგორ შეუყვარდა ქრისტიანული დღესასწაულები! ბარბალობა კიდევ რა უბედურებაა, ნეტავ ვიცოდე! ქუთაისში ჩაბრუნებულმა გავიგონე პირველად, ლობიანი უნდა ჭამო

აუცილებლადო. მიკითხავდნენ, მოჰქონდათ ლობიანი... ჩავალთ ალბათ და დაგვხვდება ლობიანი და ასე შემდეგ!

1. XII. 93 წ.

* * *

დღეს ჩავწერე 3 ნოველა. ნოველა პირობითია. ესენია: **„ეროვნული თავაშვებულება“, „ურولოგი ჯაფარიძე“, „მათეს საქმე“.** პირველი მოვისმინე, ბევრი ვერაფერი. ამორფულია. ბოლო ორი კარგი უნდა იყოს. როცა ჩავწერ, ფურცელზე როცა გადავიტან, ყველა კარგი იქნება. სამი დეკემბერია, ისევ ცივა, ყინავს, თოვს ფიფქად. 7 ნოემბრის შემდეგ, თვე გახდება, ცა არ გახსნილა.

ლანაა ტელევიზორში და ლაპარაკობს ქართულ კინოზე. ქართული კინო, ქართული კინო... თითქოს კინო გადაგვარჩენს, თუ კინო გვექნა, არა გაგვიჭირდება რა! აღარა მჯერა კინოსი, ქართულისა თანაც, ისევ სიზმარში, ბურანში ვართ...

3. XII. 93 წ.

* * *

5 დეკემბერია. ცივა. ხალხს შია. აქამდე თუ მოვიდოდით, მაინც არ მეგონა. გუშინ დავასაფლავეთ თ. გრძელიძის სიდედრი. 300 კაცზე იყო სუფრა გაშლილი, 250 + 50 რეზერვი. პურმარილი (არავითარი მარხვა) უხვად, ჭამდნენ და ჭამდნენ.

დავიწყე ბეჭდვა „ყაჩაღებისა“. თუ არ წავედი ქუთაისს, შეიძლება მოვრჩე კიდეც ამ წელს.

შემხვდა ნოდარ წულეისკირი.

წერაქვში ვარ, კარტოფილი მომყავს, ვუსმენ რადიოს, შენს ნოველებსო. მოდი, მე ვუთხარი, მწ. კავშირში. გარიცხული ვარ, არაო. არავის არ გაურიცხიხარ, თავად გახვედი-მეთქი. სხვა არა შემიხსენებია რა. შენთან გასაყოფი არაფერი მაქვსო. არც გვქონია — მე ვუთხარი. პატიოსანი კაცია, მწერალი. დაიწყოს უნდა შერიგების, სინანულის დრო. ერთნაირად გვიჭირს

ყველას ბოლობოლო. ბევრი მოვა ჭკუაზე. ყველანი ვაშავებთ და მაინც ჩვენ უფრო სწორი ვიყავით...

5. XII. 93 წ.

* * *

„შადრევნების ვედრება“ ერთი საუკეთესო ჰგონია რ. თვარაძეს გალაკტიონის შემოქმედებაში. მე და, ალბათ, ბევრი სხვაც არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

80 ლექსი დაასახელებინეს გაზეთ „კავკასიონში“ და პირველი ეგ დასვა.

არც პირველია, არც მეათე, ჩემის აზრით, მაგრამ ნიშანდობლივია მისი გამოყოფა, ყურადღების გამახვილება მასზედ. ფრანგულ სიმბოლიზმს დაესესხაო, ამტკიცებენ. ეტყობა, არის სიმართლეც ამაში. მთავარი სხვაა. იგი უყოყმანოდ (შეიძლება, ერთადერთი) დადგა იმ მხარეს... „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას“, „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალთან ერთხელაც არ დავიძინებ“ (?) უარყო იმთავითვე, ფრანგული ქსოვილი იმჯობინა. აქ იყო კიდევ სხვა: სადღეგრძელოს პოეტებს (აბსოლუტურ უმრავლესობას) არ გაჰყვა. კიდევ: ჩაკეტილი სივრცის (ხვილიფები, კბოდეები, რიონი, შორი მთები, ზღვის სუნთქვა) შიში და თრთოლვა გამოყვა. ამაზე (ეგ უნდა ყოფილიყო მთავარი) არც გაუმახვილებია ყურადღება. სხვათა დიაპაზონის შურდა აშკარად. ხაშში კეპის ჩახარშვა არ შეეძლო და რუსეთთან კავშირი ვერ დაამყარა, შემდეგ დროსაც ჩამორჩა. ლექსს ვეღარ წერდა, ძველ დაწერილს აფუჭებდა კიდეც.

გალაკტიონის გახსენების, მოგონების პოეზიას მე მივაქციე ყურადღება, სიტყვა ვთქვი და არ დავბეჭდე. 4 შეხვედრა გამოვაქვეყნე (**პ. საყვარელიძე, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე**) და იქაც მივანიშნე. ვრცლადაც ითქმება. მოვა ამის დროც.

პარლამენტის უმრავლესობის შეკრებაზე არ გავჩერდი. აბაკელია – ნიკოლაძის ბარელიეფები, როგორ მოამსხვრიეს ქვის პერანგი, მოარყიეს, ჩამოცვენილა.

გუშინ 16 წლის გაწრიპული გოგო მოუკლავს. ეს ყოფილიყოს ბოლო ცოდვა ზვიად გამსახურდიას კისერზე. ჩვენი საზიდავი სხვისი ცოდვა.

8. XII. 93 წ.

* * *

ჟირინოვსკიც მოყვა დროს. შეშფოთებულია ქვეყნიერება. გოგუაძეს ვუთხარი – შეიძლება, ესაა ჩვენი ხსნაც-მეთქი. ვიცით, რას გვიპირებს – უნდა ვიყოთ გუბერნია. სხვა ამის გარანტიასაც არ იძლევა.

თვითმჭმელი ერი ვართ, საკუთარ თავს გამოვუყვანთ ხოლმე წირვას, დამპყრობელიც არ ჩანდა. ა, ბატონო, ჟირინოვსკიც...

ჯ. ჩარკვიანი ლექსებს უგონებს უმრავლესობის უმცირესობას, კიტოვანს და აცინებს უმცირესობის უმცირესობას, მათ შორის – შევარდნაძეს...

„ყაჩაღები“ კარგი უნდა გამოვიდეს, რომ მეყოფოდეს ძალა და ხელმეორედ შევძლებდე გადაბეჭდვას, მთლად კარგი იქნებოდა. ვერ შევძლებ ალბათ.

ჩამოვიდა ბენია ქუთაისიდან!

ახლა პატარები შემოცვივდნენ.

14. XII. 93 წ.

კატა გამოთხარა, ვითომ, ელცინმა?

იმპერიები ერთი ხელის დაკვრით და ერთის მიზეზით ხომ არ ინგრევა. მრავალი მიზეზი და ფაქტორი უძღვის წინ ჩვეულებისამებრ. აღდგენის მესიად მოდის და დამნგრევი აღმოჩნდება. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო და ეგ იქნება!

* * *

ბარბარობა. ზევით სახლი ისევ გატეხილი. წაუღიათ მთელი ზამთრის სამყოფი კარტოფილი, ღვინო, 6 ლიტრი, ამ დღისათვის გადანახული და კიდევ რაღაც-რაღაცეები; ბევრი რამ არ წაუღია და რატომ – გაუგებარია, მოაკითხავენ ალბათ. ზოგი გადავმალე, ზოგი აქ ჩამოვიტანე, წასაღებად დავიტოვე. ღამე იყო ვარსკვლავიანი, სულ ახლო, სულ ნათლად კაშკაშებდნენ. ერთი მეტეორიც მოწყდა ჩემს თვალწინ...

დილით წამოვედით, მომაკითხა ფაცურიამ (მძღოლი მწერალთა კავშირში) ზედა გზით და ჩამოველით მშვიდობითა.

ირაკლი ბაზაძეა ავად, ვნახე. ზ. კიკნაძეა ტელეეკრანზე და ჩვენ, ყველანი, ავადა ვართო. მარტო საქართველო კი არა, მთელი კაცობრიობაა დაავადებულიო, სხვანაირად როდის იყო!

ყველას ეშველება. ჩვენს საშველს ცუდად ვხედავ, სამწუხაროდ. ორი დღე დავკარგე, ველარ ვიმუშავე. ემზარმა დარეკა, მოუსმენია „მათე". ორი გადაცემაც დამრჩა და მოვრჩები-მეთქი. რად გადაიქცა „ლიტერატურული საქართველო" და რას დაემსგავსა ჩვენი პრესა. აი, ესაა თავისუფლება პრესისა. საზიზღრობაა პროვინციალიზმი, უგემოვნობა, უკულტურობა, უზრდელობა, უწიგნურობა.

ახლა სოფიკო ჭიაურელია ეკრანზე, ფარაჯანოვი გენიოსი იყოო, როგორც თავადაა, ისე იყო ფარაჯანოვიც გენიოსი. ერთხელ ვიყავ მეც ფარაჯანოვის ბინაში ამ (სოფიკო და სხვაც) კომპანიაში. ვირი რომ ძროხებში გაერევა, ისე იყო ჩემი საქმე... უდიდესი გემოვნების კაცი იყო, განაგრძობს ს. ჭიაურელი. ვ. გიგაშვილი საკომისიოს დირექტორს ეძახდა ფარაჯანოვს მაღაზიების ვიტრინების გაფორმებაც შეუძლიაო. კინომატოგრაფი ძალიან წყალობს ჰომოსექსუალისტებს – პიდარასტებს და ებრაელებს, თავისთავად ცხადია. მეორედაც შევხვდი, ისევ ელდარის წყალობით, მოსკოვში, **ლილი ბრიკის ბინაში, მაიაკოვსკის ბინაშიო,** კარი რომ გააღო, ნაწყლში გარჭობილი

ჰქონდა სირაქლემის თუ ფარშევანგის ფრთა. იქ საინტერესო ნივთები ვნახე, ხელნაწერებიც – კოპტურიაო. მე ქართული (ძველი) მეგონა...

დეკემბერი ყოველთვის კარგი მახსოვდა, წელს საძაგელია (ნოემბრის ჩათვლით) და გუშინ და დღეს გამოკეთდასავით. ზევით თოვლიც კი გადნა ნოემბრის 9-ში, 10-ში დადო და დღეს, 18 დეკემბერს, დნება და ქრება.

18. XII. 93 წ.

P. S.

ფიროსმანის 3 ტილოა (იყო მაშინ) ბრიკის ბინაში, ერთი – დიდი, ორი – პატარა, არ დატოვა შთაბეჭდილება. სურათები ცნობილია და მხოლოდ იქაა. პატრონი – სიძე (ვისი?), სომეხი. უნდა გადაეცა თითქოს საქართველოსათვის. მოკვდა კიდეც, მგონი, ის სომეხი რეჟისორი (დოკუმენტალისტი?).

* * *

ზეიკიძემ:

რუსის ჯარი სანამ არ ჩადგება თბილისში, წესრიგი არ დამყარდებაო. მწარე სიმართლეა. რა გამოსავალია სხვა? გუშინ კაცს ველაპარაკეო, მამუკამ, დღეს მივედი, მოკლული დამიხვდაო. ასე იყო ადრეც, სხვა სიტუაციაში, ამოვხოცავთ ერთმანეთს...

ერთმანეთთან ვართ მაგრები, მაგრამ სხვას რომ დავინახავთ, კურდღლებად გადავიქცევითო... ეს, პირადად მე, ვიცოდი. მითქვამს, დამიწერია, ჩავიგდე ხელში, როგორც იქნა, „ღიმილი“... მეორე ნომერი (არაუშავს) გამოუშვიათ. წელიწადში 2 ნომერი. ამ პარასკევს აქედან ვიხელმძღვანელებ რადიოში, საახალწლოდ ბავშვებზე და მოვრჩები **„რადიონოველებს“**... ვუცქერდი „მაცნეს“ და მოულოდნელად – ჩემი წიგნი: გამოვიდა II ტომი,

ტირაჟი შეზღუდულია, მიუსწარით და სხვა, ისე მივჩერებოდი, თითქოს სხვაზე იყო ლაპარაკი. აღარ ვიქნები და ეს (რასაც ვხედავდი) იქნება-მეთქი...

20. XII. 93 წ.

* * *

„ია მთაზედა“ ამეკვიატა.

ეს ვარიანტი მომწონს, მჭირდება კიდეც:

— შენ, მამაჩემო, დარბაისელო,

ისე მოკვდი, რომ არ მოისვენო...

ძირითად ვერსიებში: **შენ ჩემი ცოდვით არ მოისვენო.**

მოკლეს ვეფხვაძე, სვანიძე და სხვა. ვეფხვაძეს ვხედავდი ხშირად პარლამენტში. ვეფხვივით კაცი იყო. მაღალი, ხმელი, გრძელი ხელები, პატარა თავი, ელასტიური... ნაღდი მეომარი, ორი მხედრიონელი მანამდე მოკლეს საბენზინეთში, არსენა მიქელაძის მკვლელობას აყვნენ. მტრისას, თუ აგორდა! ჯაბა ბათუმშია. დადევენ უბედურად, როგორ დამთავრდება ეს მარათონი?

კარგი ამინდებია, დეკემბრული.

22. XII. 93 წ.

* * *

მოვიდა შობა არაჩვენებური. ვინახულე ირ. ბაზაძე. ვილაპარაკეთ. ჩავწერე „ღიმილი“ და გადმოცეს. არაა ჩემი საქმე (კაი დროისაა!), არ იწერება ჩემი ხმა, იმ სულელმა შოდალიმაც შემიკლა ხელში... აწიე ცოტა მაღალზე... არ შვება.

დარეკა შაშიაშვილმა, ჩამოვდივართ მთელი ინტელიგენციაო (?). სასაფლაოდან იწყებენ, იქ დაგიხვდებით-მეთქი (მხოლოდ ცოცხალი), კარგიო, გაეხარდა. ღონისძიების (კიდევ ამის თავი აქვს) გეგმაც გამაცნო. ამაშუკელია, ილია II, შევარდნაძე...

გამოვიდა „დალი“, როდის ავაწყვე, როდის დაიბეჭდა. ფულს

მომიტანს-მეთქი. შეიძლებოდა, ახლა ხვიშტი. არც სახრავი, არც ის, არც ეს... რად მინდოდა, რომ გამოვეცი! გადასასინჯია და გადასაყრელი ბევრი. ეს კი მომწონს, ნაღდად მომწონს, რასაც ვაკეთებ. „ყაჩაღები". რომ არ აჩქარდებოდეო... ხელმეორედ რა გადამაბეჭდინებს?.. „ჭიდაობას რა უნდა" კარგია... სახიერია, წასაკითხია, წაგაკითხებს, თუ მტრულად არ შეხედავ, მოგეწონება. „ასკილის წითელი ყვავილი" და „ყაჩაღები" აჯობებს, ცხადია... კიდევ — „კუდიანი ვარსკვლავი". ეგ გამომაცემინა დროზე! კიდევ ნოველები (ნაწილი), რჩეული გამოვა. მაინც არა ვარ ჩემით კმაყოფილი.... „აღარც მთავრობაა ჩვენით კმაყოფილიო", ნ. მიწიშვილი. კარგი ლექსია, „მიიპარება ორღობეში ჩემი სოფელი"... „რადიონოველებსაც" დავაყენებ გზაზე... დავბეჭდავ ციკლად და ეგ იქნება. აჯობებს!

საქართველოში, ჯერჯერობით, ისევ ვხოცავთ ერთმანეთს...

დღეს გაავდარდა კიდევ მსუბუქად. იყო მზეებიც, კიდევ იქნება. ეს წელიწადიც წავა.

24 დეკემბერი, 1993 წ.

* * *

დღეს უკვე შობაა და ამინდიც გამოკეთდა.

პრემიების დარიგება გუშინწინდელი. გამახსენდა და მივადექი რვეულს ამ დილაადრიანად. რვა პრემიაა და ცხრა მსურველიო, მურმანმა გამოაცხადა. ფანჯიკიძემ თანხა დააზუსტა იქვე და ერთს მე გადავიხდი, ცხრავეს მივცეთო. სახელმწიფოს ჩვენი დასახმარებელი რა ჭირსო, მურმანმა იხუმრა. მაშინო, წარმოიშვა ასეთი აზრი, ერთის გასაგდებად ვიკრიბებითაო! რას ვიზამთაო! მ. ლებანიძეს ერთი კაცის გაგდება უნდა ზუსტად. მეგონა, რ. ჯაფარიძეს ერჩოდა და თურმე **გიგლა ხუხაშვილი** გაწირა. არადა, იქ იყო მთელი ჩვენი ბრწყინვალება და გაშავდა მხოლოდდამხოლოდ გიგლა. ვიჩხუბე, არჩილმა დამიჭირა მხარი, შემდეგ, როცა შევახსენე — ისრაელში მიდიხარ და ეს

ამბავი ცუდად გაიჟღერებს-მეთქი, ფანჯიკიძემაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. კანონს ვერ დავარღვევთო(?), მურმანმა. ეგ ნამეტანი სასაცილო გამოვიდა. ვაიძულეთ ბოლოს, მგონი, მაინც... როგორ სერიოზულად შეიკრიბნენ, როგორ გულმოდგინებით შლიდნენ თურმე გიგლას – ძმები ჭილაძეები განსაკუთრებით... **სახელმწიფო პრემია.** სახელმწიფო არა გვაქვს, ფულზე ლაპარაკი არაა და პრემიებს ვარიგებთ. თავმოყვარე კაცი როგორ დააკარებს ხელს... ადრე **„ხუთწლედის მატიანე“** ერქვა. რ. ინანიშვილმა მიიღო. ვკითხე სხვათაშორის, არ გეუხერხულება-მეთქი? რატომო, მაინც პრემიააო. მე არ მივიღებდი, ქვეყანა რომ დაქცეულიყო... საერთო სიაში რომ მოვხვედრილიყავ, ალბათ – კი, მაგრამ შემრცხვებოდა. ოღონდ რაიმე მიიღონ... კომკავშირის პრემიაზე როგორ იგლიჯებოდნენ...

რ. ინანიშვილი მწ. ყრილობაზე, 50-ს იყო გადაცილებული, დელეგატად არ აირჩიეს, 30 თუ 40 კაციან სიაში არ ჩაწერეს... სტუმრად თუ წამოხვალ, წამოდიო და აიღო ჩემოდანი და წავიდა. მაინტერესებსო. შემდეგ მდივნად დანიშნეს, კახელი არა გვყავსო და მეშვიდე მდივნად. მე რა მეთქმის. რა მინდა, სადაცა ვარ? მართალია, შემთხვევით მოვხვდი სხვა დროში, სხვა სიტუაციაში და – მაინც...

დღევანდელ ამბებს საღამოს მივამატებ:

* * *

უკვე 26 დეკემბერია. შობა კათოლიკური და ილია II-ის აღსაყდრების 16 წელი საპატრიარქოში გამართა, სუფრა კი ქუთაისელი სტუმრებისათვის ყოფილა. ძვირფასი სუფრა, ძვირფასი პურმარილით... უყველ-უხორცო და მაინც ძვირფასი. თევზი იყო. მცენარეულით, განსაკუთრებით სოიოთი თუ ამდენნაირი კერძი მზადდებოდა, ვერც ვიფიქრებდი.

სერვიზი მდიდრული. საპატრიარქო საპატრიარქოს ჰგავს ამჟამად. ვერ იტყვი, რომ სიმდიდრე ჭარბობს, მაგრამ სიღარი-

ბეც არ იგრძნობა. ფასიც არ ადევს ზოგიერთ ნივთს, რელიქვიას და სიმდიდრისა და სიძლიერის, სიძველის (რაც ნაღდია) შეგრძნება არაა. კმაყოფილი დავრჩი. ვისაუბრეთ კიდეც სუფრის პირობაზე. შაშიაშვილს ვუთხარი, თქვენ ამნაირ პურმარილს ვერ გაუმართავთ-მეთქი. ოო, რას ამბობო, ილიამ თქვა, ქუთაისლები ვიცი მეო.

მანამდე შევარდნაძეს შევხვდით, გაწითლებული გამოვიდა, წითელი იყო. რა დღეშია ეს კაცი! **რა ხალხი ახვევია, ნაბიჭვრები, ქურდები, ყაჩაღები...**

ვუთხარი, რაც საჭირო იყო. თუ რადიკალურ, შენთვისაც კი მოულოდნელ ზომებს არ მიიღებ, არაფერი გამოვა-მეთქი. ამაშუკელის ძეგლის დადგმაზე და ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე თავს მიქნევდა, ყოველნაირად თქვენთან ვიქნებიო.

ერთიც:

ჩვენ სიმართლეს ჩვენდამი აფხაზეთის სიძულვილი ჭარბობს-მეთქი. უფრო სწორად: ჩვენი სიმართლე იმ სიძულვილს ვერ გადაფარავს. ამას გარკვევა უნდა, შეთანხმება უნდა-მეთქი. ამ სიტყვებმა ჩაიარა...

თავად თქვა: **ჩვენ შევალთ აფხაზეთში,** ან მშვიდობიანად ან ძალით. მზად ვართო, ან, ანო... აქ თუ ატყდა ომი, კარგად იქნებიან მზად!

მანამდე სასაფლაოებზე, ჟიული შარტავას სამარე, შემდეგ ამაშუკელის სახელოსნო, დავითის ძეგლი, კრება მხიარული და ქუთაისიც აემგზავრა განათებული ავტობუსით ღამის 10 საათზე. თუ მშვიდობით ჩავიდნენ. ჩავიდოდნენ!

26. XII. 93 წ.

* * *

დამთავრდა ეს წელიც. რამდენიმე საათში (უკვე ღამეა) 1994 შემობრძანდება. ძველმა რა მოგვიტანა, ახალი რას გვიზამს? საშინლად (რას ნიშნავს?) თბილოდა, იშვიათი, ამ დროისათვის,

თბილი დღე იყო მართლაც. მე და ლევანი წავედით რუსთაველის თეატრში, პრემიერა გვეგონა – „სეჩუანელი კეთილი კაცი“, „ბერნარდა ალბას სახლიაო“, მაგათ ჭყავილს რა გაუძლებსო, გადაირია ლევანი, მე უარესი დამემართა... რაღაი გასული ვიყავით, შევედით კინოში (ბილოს როდის ვიყავი, აღარ მახსოვს), ვუყურეთ იაპონურ-ამერიკულ ფილმს... ამერიკულს ჯობია ბევრად. ამერიკულ ფილმზე, ფილმებზე უარესი სისაძაგლე წარმოუდგენელია. ქვეყნის სახეა მათი კინო, რაც არ უნდა უარყონ იგი, – ეს ფაქტი, უნიჭობის, უზნეობის ეტალონია. კინოს ბილეთი დაუნომრავია. სადაც გინდათ, იქ დაჯექითო – 5000 კუპონი. ერთი რუსული მანეთი – გუშინდელი კურსით – 82 კუპონი. ჩაისა და პურის მეტი (ჩაი, ზოგს – უშაქრო) ბევრს საახალწლოდაც არაფერი აქვს. ამნაირი დროო, ბენიამ (აქ არი), არც მენშევიკებისას (კვერცხი მილიონი ღირდაო), არც გახურებული ომის (1942-43 წწ-ში) დროს არ ყოფილაო.

„ყაჩაღები“ კარგი გამოდის, ძალიან კარგი. უკვე ისვრიან... შედლუხი გაიმართება 12-ზე. ღმერთო, შენ გვიშველე!

31 დეკემბერი, 1993 წ.

* * *

4 იანვარი, 1994 წელი. მზე. შესანიშნავი ამინდი გუშინ და დღეს. შარშან და შარშანწინ (განსხვავებით სხვა წლებისაგან) იჟეჟებოდა, არც აქეთ იყო, არც იქით. დღეს მზე. იქნებ წელიწადიც უკეთესი ჩამოდგეს. ასეც იქნება ალბათ. ახალწლის ღამესაც თბილოდა. 12 საათზე კი ატყდა სროლა და რა სროლა, – მსგავსი არ მსმენია ჯერ. უცხოელები შერყეულან, რას ზეიმობენ ქართველები, რა უხარიათო... ჩამოაყენებს შევარდნაძე რუსის ჯარსო, ასე იზამს მართლაც და სხვა საშველი არ ჩანს...

დავასაფლავეთ **ოთარ ნოდია**. ნ. გელაშვილმა სიტყვა თქვა.

მწ. კავშირი ებრძოდა, სასამართლო მოუწყოო... ფანჯიკიძე გაცოფდა, შევატყვე, ქელეხზეც აღარ წავიდა. არ უნდა მოსულიყო დაკრძალვაზეც კი.

მწ. კავშირი (ჩემამდე) მართლა ებრძოდა გააფთრებით, უსამართლოდ, უსინდისოდ, რატომ? რისთვის? პატარა, პაწაწინა ბოღმისა და გამორჩენისათვის, სულმოკლეობის საზეიმოდ. თქმა და ჩაწერაც არ ღირს.

7-ში მივალთ ქუთაისს მე და ელდარი, შეიძლება — სხვაც. ერთი კვირა დავრჩები, თუ არაა გატეხილი და გაუბედურებული სახლი ჩვენი.

4. I. 94 წ.

* * *

11 იანვარია. ქუთაისი.

ჩამოვედი 7-ში, შობას.

ელდარი, გრეტა... ვაჩვენეთ ფილმი. დღე იყო წყნარი, მზიანი, თბილი, მშვიდი... სულ ახლო იყო მოსული ორთავ (დიდი და მცირე) კავკასიონი, დათოვლილი და თეთრი; ნაქერალა შეფიფქული, ხვამლი — მშრალი. ყველა მომდევნო დღე დღემდე ისეთი თბილი და მზიანი. **დღეს დავბელეთ ხეები, გავსხალით ვაზი — იანვარში!** გონერი, თ. ამყოლაძე, კოკლი. იუზა დღეს არ გამოჩენილა. ახლა გვიანია და ისვრიან სადღაც სიწყნარეში — (აქამდე არ ჩაუდენიათ). სანთლის შუქზე ვწერ. არაა წყალი, არაა ტელევიზორი, გაზი და ასე შემდეგ. გუშინწინ გიტარა და სიმღერები ბუხართან. ოტია შემოვიდა (ვერ იტანს სიმღერებს) და გულს შემოეყარა, ცოტა გაწყრა და აგვირია და აურიეს კინაღამ...

დღესაც დალიეს ცოტა. რა ეწყინაო, კოკლი იხსენებდა. ლაპარაკი თუ გინდოდა, შაშიაშვილთან იყავი და დარჩენილიყავიო, ეს უთხარი-მეთქი. აბა, ქეც ეწყინებოდაო, — კოკლი იცინოდა.

11. I. 94 წ.

* * *

13 იანვარი, ღამე.

1994 წ. ქუთაისი.

ახალი წელი ჩამოდგება ძველით. 18 გრადუსი სითბო იყოო დღეს. გონერი გასვენებიდან მოვიდა. ხალხი ჩრდილს ეძებდაო. ესეც უცნაურობაა, ამ უბედურების წლებს რომ დაყვება, თუმცაღა ამდაგვარი ციკლურად ხდება ხოლმე, ჩემი ხანმოკლე, წამის წამიერი დაკვირვებითაც. 44 ან 45 წელი უნდა ყოფილიყო, ფეხშიშველი ვთამაშობდით ფეხბურთს „ბაღის ეზოში" და იანვარია, იანვარიო, ვყვიროდით. ბენიამ თქვა – ჩემს ბავშვობაშიო ახალ წელს, ე. ი. 14 იანვარს, ბალი იყო შემთვალული ქვიტირშიო... არაბუნებრივი და ჩვენთვის ნამეტანი ბუნებრივიცაა ეს მოვლენა. **დღესაც ვიმუშავეთ ეზოში. თემურიმ და გონერიმ ააკრეს და გააფანჩატურს ეზო ღობე-ღობის აყოლებით.** ბენიას დავუტოვეთ „სახნავ-სათესი". შემდეგ გადაგვიპატიჟა ჯ. გედენიძემ საავადმყოფოში, საიქაურო პურმარილიც დაგვახვედრეს, შეთვრნენ კიდეც არყით... ამასობაში მეძებდნენ თურმე. გადავედი და ამომაკითხეს კიდეც **ოტიამ და შაშიაშვილმა. ჩაი გვაქვს დალეულიო, თავპაიჯი გაიდეს. არ იქნება-მეთქი... ჭადი, ყველი, ღვინო...** 12-მდე გაიქცა მაინც თემური და ოტიაც გაიყოლა. კაბინეტში თუ არ ვიქენი, არ ივარგებსო... ატყდა სროლა (შეასწრო ალბათ კაბინეტში) და ჩაწყვდიადდა კიდეც მთელი ქალაქი. განგებ უწყობენ?! ეს სანთელიც იღვენთება...

სამის ნახევარზე გამაღვიძა ტელევიზორის ხრიალმა (ჩართული დამრჩენია) დენი მოსულიყო, აღარ დამრჩენოდა წყალი. ვეძებე, არაა დასალევად ვარგისი. საშინლად შეწუხებულმა და პირგამომშრალმა ავადუღე ელექტროსაჩაიეში ღვინო, დავშაქრე და დავლიე, ქეც არაფერი მიჭირს... გაცივებულიც ვყოფილვარ და მოვკეთდი...

წავიდა ეს წელი – ძველით, ახლით... მშვიდობა დამყარდება, ეჭვი არ მეპარება, შედარებით და დროებით. დღისით ერთი

ტყემლის ნერგი ვნახე გაფოთლილი. მე იმას გადავრგავ დღეს, „თუკი ოდესმე ისევ გათენდა“.

თეატრის დირექტორის სამეულში (ოტია, კ. ბაქრაძე და მე) უნდა დათანხმდეო... ახლა ამას ვით შევძლებ? შემდეგ კი (პარლამენტისა და მწ. კავშირის მდივნობის ვადა რომ გადამივა) სამხატვრო ხელმძღვანელობაზეც დავთანხმდები ალბათ. ბაგრატის ფონდის დაარსებაში და ტაძრის აღდგენის საინიციატივო ჯგუფში კი აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

14. I. 94 წ.

* * *

17 იანვარი, 1994 წ.

გუშინ ჩამოვედი ქუთაისიდან სიცხიანი, ყელატკივებული. დატვირთული იყო ბოლო ორი დღე. 14-ში წყალტუბო, გრეტას სანათესაოში უკვე გრიპმორეული (15-ში ამინდი შეიცვალა და ქარი ამოვარდა). გავედით ჰაეროპორტში ილია II-ის დასახვედრად. ძლივს დასვეს პატარა, გამძლე და საიმედო (როგორც ამიხსნეს) თვითმფრინავი, ჯერ ილია, შემდეგ ლაშა თაბუკაშვილი, თუ პირიქით, აღარც მახსოვს...

წირვა-ლოცვა ქარიან „ბაგრატში“. შემდეგ თეატრი. მეც ვილაპარაკე. გამოცხადდა: **საპ. თავმჯდომარე ილია; თანათავმჯდომარეები: შაშიაშვილი** (პირველ ეტაპზე – ფაქტიური თავმჯდომარე), **უგრეხელიძე, მაღრაძე, მეძმარიაშვილი, კიდევ? რ. მეტრეველი...** მინისტრები რომ აღარ იქნებიან?.. დიდი და დიდი საქმეა, თუ ეს ყველაფერი გეგმითა და ზომიერი მიზანსწრაფულობით განვითარდება. მე პირადად ამ საქმეში ვიქნები სიკვდილამდე ჩართული.

თბილისშიც მზეა. ლიმონი ჯერ არ შეგვიფუთავს. ხუთიღა შერჩა, გაყვითლდნენ ქარვისფრად.

17. I. 94 წ.

* * *

სამსახურში გაველ. ფანჯიკიძემ მითხრა: დ. ჯანელიძეს ასვენებენ, უნდა ჩავიდეთო. წავედით და პირდაპირ პირველ საპატიო ყარაულში, ჯაბა იოსელიანთან ერთად. თანაც სცენიდან, კ. მახარაძის თეატრის სცენიდან. რა დღეში ვარ, ვიფიქრე. უკან დადგომა დავაპირე, მაგრამ ჯაბამ და გურამმა დამასწრეს. დავრჩი წინ — ხალხის მხარეს, ვიღაც ქალთან ერთად. მინახავს და არც ვიცნობდი. კაცი უკვე ბებერი, გამხდარი, ხმელი... ხისა...

წიგნი ერთი, დიდი, უსარგებლო, სადღაც ახლაც ჩემთანაა, ვერასოდეს დავინტერესდი. მსოფლიო ხელოვნების საგანძურში შევაო, განაცხადეს სამგლოვიარო მიტინგზე. ასეც რომ ყოფილიყო!

ჯაბას ვუთხარი — მწ. კავშირის წევრი ხარ-მეთქი. მიგიღეთ-თქვა, ახლაო? გაუკვირდა, არ ცოდნია... ბოლოს მწერლობას დაუბრუნდებით-მეთქი... ვერ მოვიცლიო. გიგამ უთხრა, მოუცლელობა, რასაც აკეთებ, ისაა და რასაც არ აკეთებ, ის საქმეაო, იხუმრა, მგონი, ცოტა უკეთესად. ამის შემდეგ კი პარლამენტში საშინელი დღე აყარეს, გაუძლო და მაინც შემეცოდა. მაინც ბერიკაცია, ზღვარზეა. ჰა და ჰა!..

გუშინ მანქანას გვპარავდნენ. გადააწყდა მამუკა და გაიქცნენ.

ამინდები ისევ შემოდგომურ-გაზაფხულური. სურდო და გრიპობაც ჩამომეხსნა, მგონი, თუ არ შემიბრუნდა. პარლამენტის სასადილოში ერთი ჯამი ლობიო (ცუდად შეკმაზული და მოხარშული) 18 ათასი კუპონი. იაფიაო, შინ მითხრეს. აგაშენათ ღმერთმა, მე ვუთხარითყენ...

სამი დღით შევწყვიტე ვარჯიში ერთი წლისა და 9 თვის შემდეგ. არ ჩამიგდია არც ერთი დღე იმ ხნის მანძილზე, სიცხიანი, წნევიანი ჩემს ნორმას, მცირეოდენი გადახრებით, ვასრულებდი ყოველ დღით. ხანდახან (იშვიათად) საღამოს. ახლანდელმა გრიპმა, მგზავრობამ ძალიან დამრეხვა, სიცხემ და ძილ-

მა დამძალა, თორემ იმ საღამოსაც წავივარჯიშებდი არასრული დატვირთვით. რაღაი ერთი დღე ჩავაგდე, ბარემ სამი-მეთქი... ჯიქურ ავწიე ახლა შტანგა და გულიც ამიძგერა... ხვალიდან განვაგრძობ გეგმაზომიერად. შუალედი დიდი არაა, ნულიდან ან შუიდან რომ დავიწყო; რასაც ვშვრებოდი, იმას ვიზამ, ცოტა უკეთესად და აუჩქარებლად.

18. I. 94 წ.

* * *

სიზმარი სურვილის აცხადება ან აცხადების ცდაა ძირითადად. საამისო დაკვირვებისთვის დროც მქონდა გამოყოფილი, მქონდა და მაქვს...

წუხელ ძმაკაცები მესტუმრნენ, გარდაცვლილები და გადაკარგულებიც... მომღერლები. ზოგიერთი, მაგალითად, იუზა ქუთათელაძე, სადღეგრძელოშიც კი არ გამხსენებია ამ დღეებში.

მღეროდნენ ხმებით: ჯონდო, გურამი, იურა არაბიძე, იუზა და რომანი — ოპერიდან, შვიდკაცადან (ნ. შენგელია — ხელმძღვანელი), ა. ღვინერია, მ. ახვლედიანი, შემდეგ რიჯგვინა... კოკლი — გაჭირვების დროს, ქლიბაძე, რ. მებურიშვილი და სხვები. ერთხელ ჩემსას კარგი შემადგენლობა შეიკრიბა. მაშინ უნდა ჩამეწერა...

გურამის ქალიშვილის, ქეთინოს, ქორწილის მეორე დღესაც...

ჯონდო, იურა, რომანი და იუზა სულ ადრინდელი ჯგუფია. ისინი დამესიზმრნენ სწორედ. ახლა ჩემი საძმოდან ორ კაცს ველარ ვუყრი თავს. **გრეტას გიტარისათვის** კოკლის შვილები მოვაყვანინე — თინიკო, ზაზა — ახალი თაობა. დაემსგავსა რაღაცას. „ბაგრატის ტაძრის“ კურთხევის შემდეგ თეატრში პატარა კონცერტი, მომღერალთა ნაცნობი გუნდი. მათთან ერთად ვიყავ ესპანეთში. მაშინვე მითხრა ლოტბარმა ა. მაჭავარიანმა, შენ იმ ხალხს ნუღარ ეძებ, შენი ამხანაგებისნაირი ხმები აღარაა,

ქალაქში სანთლით რომ ეძებო, ვეღარ აღმოაჩენ იმნაირებსო — **გურამი, ჯონდო, მურმანი, რიჯგვინა** და სხვები აღარ არიანო.

ნათლიღებაა. თბილა.

19. I. 94 წ.

* * *

25 იანვარი, 1994, სამშაბათი. კაბინეტში ციოდა. ყოველთვის ცივა. მწ. კავშირი არ თბება, არც თბებოდაო. გარეთ გავიდეთ, გავთბეთო. ცივი ნიავი იყო. გაგათბობთ-მეთქი. ლევანი და ოღია ავიყვანე მანქანით კომკავშირის ხეივანში. ვიდექით ერთხანს მზეში, ვლაპარაკობდით. დუქანი ეზოში დაკეტილია. გაუსხლეტელი ჭამა-სმა იყო. ზოგი იჯდა, ბევრი ფეხზე ნაყრდებოდა, ცხვირწითელა ახალგაზრდა მოიყვანა ერთხელ გია ლომაძემ, ტაბიძეა, კაი ბიჭიაო. კარგი ჩანდა მართლაც. კონიაკის ორი ბოთლი გახსნა, ხმა კი არ ამოუღია. სულ მალე თვითმფრინავის ცნობილ ისტორიაში მოკლეს...

ზ. გოგია დაიღუპაო, ტელევიზორით შევიტყე. თავად პარლამენტში ვერ გავიგე, არ ვიყავი იმ დროს იქ. რამ დაღუპა საწყალი?! ნაწვალები, ნაპატიმრალი. უჭირდა, ვეხმარებოდი. მინდოდა, სცენარი გაეყიდა. მოთხრობა დავუბეჭდე. შემდეგ მუშაობა დაიწყო ბუნების დაცვაში თუ სადღაც, კმაყოფილი იყო და აღარც წერდა, აღარ ბეჭდავდა, ყოველ შემთხვევაში. შემდეგ დეპუტატი გახდა. სახალხო ფრონტიდან? მონარქისტებთან იჯდა თითქოს, ჩემგან არც ისე შორს...

თ. ჩხენკელთან ლევანი, ანზორი, იორამი მიემატათ, თამაშობენ ჭადრაკს, კუკამ წაიღო ღვინო, მე ვერ გამიტყუეს...

ქუთაისში ვრეკავდი. დაზიანებული უნდა იყოს შაშიაშვილის პირდაპირი ტელეფონი. ღამეა, თბილა, ცივი ქარი აღარაა. მოიღრუბლა, ალბათ მოთოვს. **მეზიზღება თოვლი ზამთარში, ზაფხულში არ მოდის (?!)**

„ყაჩაღებს“ ვამთავრებ, რამდენიმე გვერდი დამრჩა გადასაბეჭდი, არ ვჩქარობ. მომწონს კია, რასაც ვაკეთებ...

25. I. 94 წ.

* * *

29 იანვარი. შაბათი. ისევ მზეა და თბილა. ღორები ჭყვირიან ზოოპარკის ეზოში. მხეცების მაგივრად ღორებს აშენებენ, ეტყობა, კარგია ღორი, ნოყიერი, რომ იწველებოდეს კიდეც, მთლად უკეთესი იქნებოდა. ფეხბურთის სათამაშო ამინდია, ადგილია და მოედანი ქვევით, მაგრამ ფეხბურთს აღარ თამაშობენ ბავშვები ზაფხულშიც კი. ზურაბ გოგია დაღუპულა გაჭირვებული, ხვალაა გასვენება, რუსთავში. რა იყო, რა ცხოვრება ნახა. ციხე, სიდუხჭირე და დაიღუპა ავარიაში. ახლა კინოგადამღებ ჯგუფს ველოდები. გოგია ხარაბაძეს უღებენ თუ გოგიაზე იღებენ და მე რაღაც უნდა ვთქვა ალბათ გოგიაზე, არა იმ გოგიაზე, — ამ გოგიაზე. ფორმები მოიტანეს „ასკილის წითელი ყვავილისა“, მაინც აღარაფერი ჩასწორდებაო, არჩილმა, საბეჭდადაა მზად და აღარ დავაკარე ხელი. გადავათვალიერე და ვიცინე კიდეც ალაგ-ალაგ... ეს მეორეც მზადაა, ბოლო ორ გვერდს გადავბეჭდავ ხვალ... ესეც მომწონს და ისიცა.

29. I. 94 წ.

* * *

ჩათავდა იანვარიც. გავხედე ახლა ცას და ვარსკვლავები ვერ დავინახე. გუშინ, 30 იანვარს, ცხელოდა რუსთავში. ჩრდილს ეძებდა ხალხი გასვენებაში. დღეს თბილოდა. თებერვალია ჩამომდგარი ღამის. მოღრუბლული უნდა იყოს. საბერძნეთში ნამეტანი მოთოვაო. აქაც მოთოვს ალბათ. ამნაირად ხომ არ შეიძლება ბოლომდე? არცაა კაი, წვიმებს შეუძლია, შეცვალოს, მაგრამ არც წვიმს, თვენახევარია თითქმის.

გადავბეჭდე „ყაჩაღები“. აბრაგები ჯობია? არც ერთი უქნია ღმერთს, არც მეორე. ჩავასწორე და არ ვიჩქარებ. კიდევ უნდა გავკრა ხელი, კიდევ უნდა წავიკითხო. ეს იქნება, თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო არა მარტო ჩემს შემოქმედებაში, ამიტომ არ უნდა ვიჩქარო. ხუთი მწერალი ხართ სულო – მთვრალი კოლოაშვილი მომვარდა ქელეხის შემდეგ – ოთ. ჭილაძეო, ჭ. ამირეჯიბი, გ. დოჩანაშვილი, ჯ. ქარჩხაძე და შენაო... ვუქნიე თავი, ბევრჯერ გაიმეორა ერთიდაიგივე. ჩემი პრინციპი სხვაა, იმათი – სხვა. თუ ამნიარი ვარ, ჯობია, დავანებო მწერლობას დღესვე თავი და დავწვა, რაც დამიწერია. ვწერ, რომ სიხარული მოვუტანო მკითხველს, ან ვაცინო, ან ვატირო, თავი წავაკითხო. უნდა უხაროდეს კითხვა, კი არ უნდა იტანჯებოდეს... ვიტანჯები მაგათ ნაწერებზე (ჭაბუაზე არა) და მიხარია სვიფტი, სერვანტესი, სკოტი უოლტერ (აივენჰო – ასე წერს გვარს ვ. ჭელიძე, ამნაირი ტრანსკრიპციით), სხვები და სხვები. მწერალი რომ კაცს დატანჯავს, ის რა მწერალია... მარკესი ნიჭიერია და ამიტომ ასატანი, მათი მიმდევრები – უღიმღამონი.

„ქალი სილაში“ როგორ მომწონს, აკუტაგავა, სხვები, მრავალნი, ერთი შეხედვით, ცოტანი სინამდვილეში და...

ბევრი მაქვს მეც გადასაყრელი... არ ვამთავრებ ბოლომდე და გულდაწყვეტილი ვრჩები. ეს უნდა დავამთავრო. ძნელია, ხელახლა გადაბეჭდვა მეძნელება, არ უნდა მეჩქარებოდეს... დასაბანი ვიყავი, ახლა გამახსენდა და მეძინება, იქნებ დილით, პარლამენტამდე.

ელდარი ჩამოდის. ემზადებიან. ძალიან „სოსრედატოჩენი“ იყო შევარდნაძე. ეს არაა პატარა ამბავი. ბევრს არ ესმის, ზოგმა არ იცის, ზოგს გაგება არ უნდა.

31 იანვარი, 1 თებერვალი, 1994 წ.

* * *

დილით გამოსული თ. შაშიაშვილი (დაღამდა უკვე) ჯერ არ ჩამოსულა. ჩამოუთოვია და გაიჭედა ალბათ, დილის თერთმეტზე დათქვა, შემდეგ სამზეო. შევიკრიბენით ილია II-სთან, არ მოვიდა თავად. ვინ და ვინა? **მე, მ. უგრეხელიძე, რ. მეტრეველი, უწმინდესი თავად, დათო მაღრაძე, ლერი...** შვიდეული არ შედგა, მაგრამ ჩატარდა მაინც **პირველი სხდომა ბაგრატის ტაძრის აღდგენისა.**

აქ ცოტა აცივდა და ქარია, ისე კი კვლავ მზიანია, სიმშრალეა.

სათათბიროზე უნდა მობრძანდეთო 4-ში, 2 საათზეო. მოქალაქეთა კავშირის სათათბირო იყო. თუ წევრი ვიყავ, არ ვიცოდი. ხვალ, ალბათ, არ შედგება პარლამენტი ელცინის ჩამოსვლის გამო. ორი დღე დაუგეგმიათ. ერთი რჩება, ჩემთანაცაო, ილიამ თქვა, გადაამოწმეს აქაურობა, რა უნდა აჩუქო, ისიც გვაჩვენეო, უჩვენებია. დიდ წიგნს აძლევს (ძველი გმირების) — „ცარსკოე სელო“ და ღვთისმშობლის პორტრეტს, უცნობი (რუსული უნდა იყოს) ავტორისას, მენანება, მაგრამ უნდა მივცეო, გაიცინა, ბაგრატის ტაძარი კი აღსდგება. ეს იყო დასაწყისი.

2 თებერვალი, ოთხშაბათი, 1994 წ.

* * *

ელცინი მობრძანდა აკადემიაში გუშინ. უფრო მაღალი მეგონა ტანად. კარგი სიტყვა თქვა ელდარმა, სტუმარს ეგრე უნდა უთხრა.

თავხელიძე არც უჭკუო ჩანს და არც უნიჭო, როგორც ნათლავენ, რაღაც აქვს გლეხური, სიკეთეც აქვს. დახვეწილი არაა და არც მთლად ცარიელია ზოგიერთივით. იუმორიც უნდა ქონდეს რაღაც დოზით. ქუთაისში ყავდა დაპატიჟებული შაშიაშვილს და არ შევხვდი, ხელი მაქვს საჯაროდ გამყრელიძის სასარგებლოდ მოწერილი-მეთქი. მერე რა მოხდაო, მაგას არ

მიაქცევს ყურადღებასაო. მაინც არ მიველ. ელცინის სტუმრობა კი საიმედო ჩანს. რა შედეგს მოიტანს, ვნახავთ. ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო, ქართული „ყარაული“, „ქართული პატაკი“, ქართულად უნდა წასულიყო სხდომა, ელცინი თარჯიმანს უნდა გაეხმოვანებინა... ესეც მოხდება...

დარბაზიდან უნდა მოითხოვონ ზოგიერთებმა, არ ვიცით ჩვენ რუსულიო – შეიძლება ამის გაკეთება და ვითხოვთ თარჯიმანს! სულ მალე მოვა ეგ დრო. „ჩაწყობაც“, სპექტაკლის დადგმაც არ იქნება საჭირო. აკადემიიდან „მეტეხში“ წავიდნენ ზოგიერთები ვახშმად. მე ჯერ ვერ დავიმსახურე ეგ წყალობა. ტელევიზორით ვნახე სერობა. ჯაბა თეთრი ჩოხით იჯდა. კარგია ეგ. არაფერი უნდა იყოს გასაკვირი.

4 თებერვალი. მზეა. გაზაფხულია. აპრილივითაა დღეს...

4. II. 94 წ.

* * *

10 თებერვალი. ქუთაისი.

დღეს ახალი წელიაო, მთვარის კალენდრით, კორეაში და ალბათ სხვაგან – იმ რეგიონში დღესასწაულობენ თურმე. რუსეთის ტელევიზიამ განსაკუთრებული მნიშვნელობით აღნიშნა. ამ დროსაო, ტრადიციითაო, ყველანი თავის სოფელში, თავის ქალაქში უნდა ჩავიდნენო. და მეც ახლა ზუსტად ჩემს ქალაქში, ჩემს სახლში ვარ. 8-ში, დ. აღმაშენებელის ხსენების დღეს ჩამოვფრინდი შევარდნაძის ასაბიაში. 60 წლისამ პირველად ვიფრინე ამ ტრასაზე (იქედან აქეთ გადმოვფრინდი, აქედან იქით გასაფრენი მაქვს), საქართველოში ამის საჭიროება არც მიგრძვნია. ბათუმიდან (ს. ჟღენტის დედის დაკრძალვიდან) ჩამოვფრინდით ქუთაისში. თბილისის მგზავრები ქუთაისში დაგვსვეს და გ. ბადრიძეს და გ. შავდიას ვუთხარი, მოდი, აქ ჩავიდეთ-მეთქი. ჩამომყვნენ... „საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო“, ეგ იყო და ეგ. მოსკოვი, პეტერბურგი და

ევროპა (ხშირად არა, რასაკვირველია), მაგრამ მიმომიფრენია. „იაკი“ იყო და კარგად ვიმგზავრეთ. შიში დავძლიე, მომეწონა კიდეც. შევარდნაძემ დამიძახა, მოდი, აქ დაჯექიო, გამიმეორა და ერთი სკამით გადავინაცვლე. მეტი არ მეკუთვნის-მეთქი. მაშინ გურამიო, გოგელია-კვაჭანტირაძე? და გადაუჯდა გ. ფანჯიკიძე, რაღაი ითხოვთ, მეტი რა გზა მაქვსო, აგრძნობინათ.

ქუთაისში თბილოდა. გელათში იყო აქა-იქ თოვლი. ჯარმა და მშვიდობიანმა მოსახლეობამ (ბავშვებმა) გუნდები დაუშინეს ერთმანეთს. ღამღამობით ყინავს მაინც და აყვავებულ ტყემლებს (ერთს ჩემს ეზოში) მოსპობს უეჭველად. დილაა გაზაფხულის დილისებური, ერთი ღრუბელი არ ძევს ცაზე, ქარი არაა, ნიავიც არ იძვრის.

10. II. 94 წ.

* * *

ქუთაისი. შაბათი, 12 თებერვალი.

მეხუთე დღეა, აქა ვარ. დღეს თუ არა, ხვალ დილით ავემგზავრები უეჭველად. ციოდა, ყინავდა ღამით... ცოტა ხნის წინ მოიღრუბლა, თბილ წვიმას თუ თოვას ეპირება. ტყემლები ყვავის უხალისოდ, გაუბედავად. ზამთარი ვარდსაც დააზრობს, ფურცელი ჩამოცვივიან.

წავიმუშავე კარგად ეზოში. დაბლა ყორე ამოვიყვანე, გავასწორე მიწა იმ ალაგას, რაც მთავარია, ბენიას სახნავ-სათესი გავუმზადე. ახლა ქუჩაში ძველმა და კარგად შენახულმა ფრჩხილებიანმა ურემმა ჩაიარა. ბავშვობის შემდეგ ქუთაისში ამნაირი არ მინახავს მგონი. პურმარილი მოიტანა შალვა კვარაცხელიამ გუშინწინ, გუშინაც პატარა ტაბლა:

ვინ და ვინაო: **ოტია, ნაჭყებია, კვარაცხელია, შალვა II და ასე შემდეგ.**

წამოვიწყეთ ჟურნალი „ბაგრატის ტაძარი“ „ბაგრატის ფონდთან“ დაკავშირებით. ცოტა მივდექი მეცა, არ კმარა, ახლა

მოვდექიც უნდა ვქნა. ეს შაშიაშვილი ნამეტანი გადაღლილია, თუ არ აურია, ხო კაი. შევარდნაძემ თუ არ წაიყვანა. ჭორებია, ეგ არ უნდა მოხდეს.

12. II. 94 წ.

* * *

რა კარგად ვიყავ იმ ქუთაისში. ცეცხლი, ტელევიზორი, პურმარილი. აქ ყინვა, თოვლი, არა გაზი, არა შუქი ელექტრონისა. „ნივით" ჩამოველით, უღელტეხილი – ძნელად სავალი, მოყინული გზა, ხაშური, გომი – გასვლამდე, შემდეგ თოვლი აღარ იდო, გორის რაიონში სიმშრალე, მცხეთა თოვლიანი. სომხეთიდან მოდის (სხვა რა წამოვა კარგი) სიცივე. წერის თავიც აღარ მაქვს. შევწვე, გავთბე იქნებ. თარსი დღე იყო. მახსოვდა, დაძაბულიც ვიჯექ ყინვიან ტრასაზე (მოცურდა კიდეც მსუბუქად რამდენჯერმე), მაგრამ მშვიდობით ჩამოველით.

„მომიხველ მშვიდობითა, გუგუავ?!"

13. II. 94 წ.

* * *

17 თებერვალი, ხუთშაბათი, 94 წ.

თებერვალმა გვაგრძნობინა ზამთარი. დღის მზე გამოვიდა, მაგრამ ყინავს მაინც (ახლა ღამეა). ეს რამდენიმე დღეა, ნამეტანი ცივა. რაც ჩამოველ, მას მერე ცივა, გუშინ ელექტრონი არ იყო, გაზი ხომ არაა და არაა. ვიარე პატიმარივით, დავიღალე, დავწექი, ჩავიფუთნე და მოვიდა კიდეც, თერთმეტი იქნებოდა...

ბავშვები გახიზნული გვყავს. ქეთოს პატარა ოთახში თბილა, სანთლის ალიც კი ათბობს იქაურობასაო. ძალიან უჭირს ხალხს. ნამეტანი შეჭირვებულია იგი. მე ბენზინი და მანქანა მაინც მაქვს.

სამსახური, პარლამენტი, – სასეირო ალაგი. ვერთობი და

ეგაა. სხვა არაფერი საინტერესო. „ვინ რა იცის ჩემი წერა-კითხვები“...

კითხვას მაინც ვახერხებ, სანთლის ალზეც კი ვკითხულობ.

17. II. 94 წ.

P. S.

ტრიბუნიდან ფაცაციამ: ბარტერული გაცვლისათვის გვჭირდება ჩაი, ღვინო და შამპანსკი... მაგნებიო... რა ქნას!

* * *

მზე იყო ცივი ნიავით, იხრჩობა ზამთარი, 20 თებერვალია.

ყველაზე ცუდი თვეა, მე მგონი, თბილისში, თბილისის რეგიონში, ქუთაისში — არა. მიდევს „ყაჩაღები“, „აბრაგები“, ვუყურებ, ახალს ვეღარ ვიწყებ. „მნათობი“ ვერ გამოვიდა. შარშანდელი 7-8 და ალბათ ბოლო იმ წლისათვის.

აქ დენია. გაზიცაა, აღარც ცივა. ვარ მარტო და სული მიწუხს. პატარები არ ხმაურობენ. ისინი მავიწყებენ ყველაფერს. შაშიაშვილს ველოდით, 1 საათზე თათბირზე უნდა ყოფილიყო პარლამენტში, სამი გახდა და არ გამოჩნდა. მიწა ჩამოიშლებოდა გზაზე. მზე ებრძვის სიცივეს და გზა ფუჭდება ყოველთვის.

გუშინ დავასაფლავეთ ზ. ლორთქიფანიძის **გერი რამაზ მორო**. კარის მეზობელი მოკვდა უშვილძიროდ, ახალგაზრდა კაცი. ჩუმად, უშფოთველად წავიდა. ყველას გული დაწყდა, ყველას შეეცოდა ამ მკაცრ დროშიც კი. დროის მსხვერპლი იყო. ვერ ეწია ვერაფერს. გზა ვერ ნახა წყნარმა და პატიოსანმა.

მოვიდნენ ლოთები, მისი კოლეგები, მისნაირები. **ლოთობაც დროის ნაყოფია, პროტესტია, თვითმკვლელობის ჩუმი და გრძელი ფორმაა.**

20. II. 94 წ.

* * *

24 თებერვალი მოსულა.

დაუმარხიათ საბოლოოდ ზვიადი. ჩეჩნეთს პატივი მიუგია საქართველოს I პრეზიდენტისათვის. გული დაეწვა თურმე დუდაევს. ჩვენს დამოუკიდებლობის დაკარგვას განიცდის. ლექსი დაუწერა ჯანსუღმა, დაიბარა ვითომ განსვენებულმა: ჩეჩნეთში დამმარხეთ და ირაკლი გოცირიძე ჩამატანეთო...

ხელდახელ კინაღამ დაერივნენ ერთმანეთს დღეს პარლამენტში უზრდელები და ნაკლებზრდილობიანნი. ჩაიშალა სესია. სად იყო ბესია? კარგი ორატორი იყო მართლაც ბესო ჟღენტი. ახლა არცაა იმნაირი. ცოტა მონოტონურად მირეკავდა, მაგრამ საინტერესოდ, დაწყობილად, წამოყივლებით, უხდებოდა დაბალი ყივილი, ლაპარაკობდა კარგად, ცინებდნენ ზოგიერთები. ახლა იგი აღარავის ახსოვს. მე ვზი, მგონი, მის ადგილში. ამას მართლაც ვერ წარმოვიდგენდი (მის ადგილში და არა მის მოვალეობაში). სიცივე, სიბნელე, შიმშილი. საჭმელი არი, სურსათ-სანოვაგით სავსეა ბაზრები. ფული არა, მყიდველი ნაკლები. პარლამენტშიც ქრებოდა დროდადრო შუქი... გამოგვრთავდნენ, აგრუხუნდებოდა ეზოში „დვიჟოკი". ახალი და საპატიო პროფესია ამოტივტივდა — ენერგეტიკი... **მეელექტრონეს** ვხმარობ ხოლმე და კარგიცაა...

სამშაბათს დაცხებენ კვლავ „ესენგეს" რატიფიკაციაზე. მეც არ ჩამითრიონ „დაკადაკაში". მერიდებიან კია (ოპოზიციასთან მაქვს ადგილი)... თავად, ჰა და ჰა, მყოფნის მოთმინება...

24. II. 94 წ.

* * *

26 თებერვალია. მზე, სითბო. დილა.

ორი-სამი დღის წინ ყინავდა. დღეს დაცხება. ღია კარში ვზი და ვწერ. რადიოში ნათაძე და გოგუაძე. ერთი ამტკიცებს — არ შევიდეთ ესენგეშიო, მეორე — პირიქითაო. ტელედებატებში გა-

მოიწვიეს ერთმანეთი და ამჯერზე რადიოში ამოუყვიათ თავი. ნეტავ თუ ვინმე უსმენს ამ მშვენიერ დილაზე. გუშინ სტუმრად, გრეტასთან, სადილად, სერობაზე არ მიველ... ახლა ვფიქრობ — როდის ჩავუჯდე ენას — ლექსიკა — ჩანაფიქრის განხორციელებას როდის შევუდგე.

მაჩქათელა — ღამურა, კარგია **მაფშალიაც...** მაინც მახანტალია მირჩევნია — (ჩემო მკვლელო) ჩემო მახანტალია!

26. II. 94 წ.

* * *

ომი იყო დღეს პარლამენტში. ესენგეში შესვლის რატიფიკაცია. გაემარჯვათ უმრავლესობას.

გამლანძღა ჩხეიძის ქალმა, ბინძურ წყლიდან ამოთრეულ ყვინჩილას რომ ჰგავს, დედას აგინებდნენ და ლანძღავდნენ ყველას, ქალს, კაცს, უფროსს, უმცროსს. კოშმარი...

თავატკივებული წამოვედი.

სამაგიეროდ, გაზაფხული მოდის, ესაა მთავარი, კარგი. 1 მარტია. თბილა.

ღამეა და ბევრი ვარსკვლავი ჩანს!

1. II. 94 წ.

* * *

4 მარტი, 1994 წ.

თბილი და მშვენიერი დღე. რეზიკო და ნანუკა ავიყვანე მამულში. ჩამობრუნება აღარ უნდოდათ. დაკრიფეს ყოჩივარდები. მივიტანეთ ფისოს და ანზორის სამარეზე. ფისოს დაბადების დღე იყო. შარშან ამ დროს 60 წლისთავი გავუხსენე, სადილი გავმართე, შეიძლებოდა ერთი წლის წინ კიდევ, ჩემნაირი კაცისაგან, ხალხის დაპატიჟება. რუსული ფული ყოფილა ძალაში. ხელფასი (ჩემი, ყოველშემთხვევაში) ხელფასობდა. სასაფლაოდან ბაზარში. აღარაფერი კუპონზე აღარ იყიდება. არადა, სხვა

სახსარი აღარა აქვს მრავალთ. ერთი ჭიქა შაქარი გავატანე ლ. მ-ას გუშინწინ. არადა, პროდუქტი არი. იყიდი, რაც გინდა, თუ ფული გაქვს (დოლარი, რუსული მანეთი) ცოტას აქვს, ბევრს – არა. 1956 წლის 4 მარტი მახსოვს კარგად. შემდეგ იყო 9 მარტი. 57 – დავოჯახდი, 54 წლიდან (40 წელი სრულდება) ვსახლობ აქ.

4. III. 94 წ.

* * *

გაზაფხული. 9 მარტი. გამოდის უკვე კვირტში ჭერამი ჩვენს აივანთან.

დღეს არ მიველ პარლამენტში... არც იქ მინდა, არ მეხალისება, ყოველ შემთხვევაში, სამსახურში გამოცხადება... ასასვლელიც მაქვს, წასასვლელიც... ბაგრატის ტაძრის აღდგენის დასაწყისს ართულებენ, როგორც ვიცოდი, როგორც ველოდი... ძეგლი აღარ იქნებაო – ვ. ბერიძეს, ფანფარინ ციციშვილს და სხვებს ებრძანებინათ... ჩემთვის ძეგლზე მეტია იგი. მომიხდება გამოსვლა, ლაპარაკი. კულტურის კომისიამ განიხილოსო. არ მინდოდა ამ საქმის პარლამენტით ჩაბინძურება. რას ვიზამთ. იქა ვართ და იმ მხრიდანაც მოვუვლით...

თ. აბულაძე გარდაიცვალა. გული დამწყდა. ვიცოდი და არ ველოდი თითქოს. პარლამენტში ხელახლა დავახლოვდით. იჯდა, ხმას არ იღებდა, შესვენებებზე ვლაპარაკობდით, შინაც მივიყვანეთ მე და ელდარმა რამდენჯერმე... ზედ არ უყურებდნენ. თითქოს არ არსებობდა... პოლიტიკოსებისათვის, მრავლად რომ გვყავს, ღვთის მადლით, ჩვენ ხომ არ ვარსებობთ! ახლა იარლიყი მიაკერეს ოფიციალურად – მსოფლიოს რეჟისორი. წერილი დაგვიწერეო, გაზეთმა, ვიფიქრებ-მეთქი და უარი ვთქვი მეორე დღეს. მე არა ვარ, არც ვიყავი ამოდენა თუ იმოდენა წარმოდგენის მის რეჟისურაზე, მის კინოზე, ვიხსენებ და ადრინდელზე უფრო მომწონს „ვედრება“, „ნატვრის ხიდან“ ადგილები. სილა-

მაზის რაღაცნაირი შეგრძნება ჰქონდა, ფერის აღქმის, გაფერადების სურვილი. კარგი იყო ეგ? კარგია... შინაგანი სითბოს, სიყვარულის, **სიმართლის ღრმად წვდომის უნარს მოკლებული იყო...** მას არ შეეძლო, გადაეღო „შერეკილები“ და „არ იდარდო“, „ბებია, ილიკოშიც“ გარეგნულ ფორმებს ეძებდა, თუმცა მსახიობებთან მუშაობა შეეძლო. ისინიც (თაყაიშვილი, ტყაბლაძე, ჟორჟოლიანი) თავისას შვრებოდნენ... ეგ ყველაფერი ისტორიაა უკვე და აქ ამის ადგილი არაა...

„კუდიან ვარსკვლავზეც“ ვფიქრობ.

ადამიანი არ შეიძლება იყოს უბედური, არც ბედნიერი, ეს იგივეა, აღმართი მეტია თუ დაღმართი. თანაბარია, გააჩნია, სად მიდიხარ — აღმართზე? თუ პირიქით... საერთოდ კი, ერთნაირია.

შენ სოფელში აღმართი მეტია თუ თავდაღმართი? რომელია მეტი?

ჩვენ სოფელშიც ეგრეა. ადამიანი უბედურიცაა, ბედნიერიც. რამდენად ბედნიერი ხარ, იმდენად უბედური. ერთი შეხედვით, თითქოს ასე არაა, ერთი — ბედნიერი, მეორე — უბედური. ჩვენ ნაწილებს ვხედავთ და იმიტომ... ადამიანი ზოგადად. გვარი, ჯიში, ქალაქი, გახედე თავიდან ბოლომდე გვარს, ჯიშს — ასეცაა, ისეცაა. აღმართ-დაღმართებით, ტეხილებით მიდის შენი შტო, სისხლი, გენი, ჯიში. ყველანი კი ერთმანეთს გვანან... ჩამოვაყალიბებ. მივხედავ.

1956 წლის 9 მარტიც მახსოვს...

9. III. 94 წ.

* * *

16 მარტია. სანთლის შუქზე ვწერ. „ბაგრატის აღორძინებას“ საღამოსათვის ვემზადებით, ჩასასწორებელი მაქვს მოსაწვევის ტექსტი. 23 — „ლიტერატურული საქართველოს“ განხილვა, პროზა — მე, გადავაწყვე გაზეთები გასული წლისა. პოლიკარპე კაკაბაძის იუბილე. ვიყავით დილით აღმასკომში, უკაცრა-

ვად, ქალაქის მერიაში „აბრაგები“ გადასავლელია ხელახლა გადაბეჭდვამდე. რ. ინანიშვილზე დასაწერი მაქვს (რაც გინდა, ის დაწერეო, თ. მირზაშვილმა). პარასკევს, ზეგ, მოქალაქეთა ყრილობაა, დელეგატი ხარ, რეგისტრაცია უნდა გაიაროო, დარეკეს. წევრი არა ვარ. შეიძლება ალბათ დელეგატობა, ან კი, ან არა. ჯერ, ვინ ვინაა, თავადვე არ იციან...

საქმე არი, მოკლედ რომ ვთქვათ. ეს დრო ქე მიდის მაინც, გაზაფხული მოდის ისევ. დასახნავ-დასაბარი, დასათესი – ზევით, ქუთაისში ჩასამგზავრებელი და ასე შემდეგ. გაზეთი „მამული“ მომხვდა ხელში, „ლიტერატურული საქართველოები“ რომ გადავაწყვე, რატომ შემინახია-მეთქი. გავშალე და ქე ვარ შითე (შარშანამდროინდელშია). რა დაუწერია ეგ რ. ამირეჯიბს, გადაირევი კაცი! მომიტანა, თვალი ჩავუკარ, არ წავიკითხე, ვიცოდი, რაც იქნებოდა...

16. III. 94 წ.

* * *

დიდუბეში, სანაპიროსთან, ახალ, მრავალსართულიან სახლთან, ზედ ტროტუარზე ამოსულიყო ჭერამი, დღევანდელ გაჟვავილებულს გავდა, ხვალ გადავარდისფერდება. მოულოდნელად გადავაწყდი, მანქანიდან მივესალმე.

ვფიქრობდი, ვთხოვ გუბაზს და ჩავახატინებ ვერესგაღმა ხევს, ატენის ქუჩას, სადაც ერთი წელი ვცხოვრობდით, იქ სხვა სახლებია, მაგრამ, დარჩენილია ერთადერთი, უკვე გამოცარიელებული, ძველი სახლი. ქუჩიდან იგი ერთი სართული იყო. შიგ ცხოვრობდნენ აისორები, ქურთები? საიდან ამოდიან ამდენი – ვფიქრობდი. ერთს სართულების მხრი-



დან ვვარაუდობდი, — სამია თურმე, რის ერთი! ქუჩიდან ერთი, ხევიდან კინაღამ ოთხი, ოთხი, კი... ასეთი კონფიგურაციით დაახლოებით, ჩავხატე რა მეც!

ხვალ იგი აღარ გამოჩნდება. დარჩა კიდევ ხე, ხეზე ფოთლებიც გამოვა ხვალ, გაიფოთლება, გაყვავილდება ხევი და აღარ გამოჩნდება გამოცარიელებული, კბილებჩაცვენილი სახლი დიდი ბინებისა და ამწე-კრანების წინ. და იგი დაინგრევა მწვანე ვარდის მიღმა.

გუბაზი კი ლიკანს გაემგზავრა თორნიკესთან ერთად. გაყვა, მე მგონი, პურის ტალონიც. თუ დაგვტოვა მშიერი...

სხვა?

ხვალ ყრილობა მოქალაქეთა, დავესწრები, როგორც მოხალისე და მონაწილეც...

17. III. 94 წ.

* * *

სათათბიროს წევრი ვარ (ჩემგან დაუკითხავად). არ კი ვიცი მხოლოდ, მოხალისედ ვითვლები თუ არჩეულად (სიები არ გამოქვეყნებულა). პარლამენტის წევრი თავისთავად რჩება, თუ სურვილი აქვსაო. მე სურვილი არ გამიმჟღავნებია. ვიყავი და დავრჩი ალბათ. 23 მარტია, ოთხშაბათი. განვიხილეთ „ლიტერატურული საქართველო". დარბაზი სავსე, მხოლოდ არა — გადაჭედილი. გაზეთით, ტელევიზიით ვამცნეთ და არ მოვიდნენ, არცა მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან გამოცხადებულან. სტუდენტები? რა უნდათ, რა აინტერესებთ. უხუცესთა ყრილობა იყო. Большой круг казаков... გადაბერებულია მწერალთა კავშირიმეთქი, ვამბობ და ვიმეორებ. მისმენდნენ სამაგიეროდ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არა გაქვთ წაკითხული-მეთქი, ეჭვი შემეპარა ვითომ.

დღეიდან (23. 1994. III.) დაიწყო, რასაც ვფიქრობ-ვანგარიშობ-

დი (61-ისა არკი გავმხდარვარ). ბაგრატის ფონდის საქველმოქმედო საღამოს სამზადისს ვუყურებ. ეგ არც ისეთი იოლია. დასაპატიჟებელია ხალხი, დასარიგებელია ჟურნალი და მოსაწვევები უტელეფონობაში, უტრანსპორტობაში. პრესა, ტელევიზია, ჯ. კახიძე და ასე შემდეგ. ჩამოვა შაშიაშვილი და დაიბრალებს (ჟურნალის არ იყოს) ყველაფერს...

ხვალ: პარლამენტი. შუადღით ხალხი მყავს დაბარებული. შესვენება და უკან.

ქუთაისში კი სახლი გაძარცვეს პირწმინდად. თეფში და ჭიქა არაა თურმე დატოვებული. ქვევით არ შესულანო, ლამარამ... არ შესულან, იქაც შევლენ. დამირეკა პოლიციის უფროსმა, ასანიძე ვარო. აღძრულია საქმეო. საქმის აღძვრა უშველის, მე ვუთხარი. მანდვე დგანან, ბირჟაზე, ყველაფერი იციან-მეთქი.

გივი ლობჟანიძემ — მივდივარ, მეც მივხედავო...

ემზარმა დამიტოვა წიგნი А. Деблин, Берли-Александерплатц, Повесть о франце Биберкопфе.

აუცილებლად წაიკითხეო, რატომ მაძალებს, გავიგებ...

23. III. 94 წ.

* * *

შაშიაშვილმა რამე წამოიწყოს და რაღაც არ მოხდეს გლახა, არ იქნება.

ნაღდად ეგრეა. გუშინ, მოსაწვევებს რომ დავხედე, ცუდად შევიქენი. იმიტომ კი არა, რომ არ ვარგოდა, რაღაც მომაწვა გულზე და ვერ მოვიშორე. ყველაფერი მოვაგვარე თითქოს 28-ისთვის და მაინც ვერ ვიყავი ხასიათზე. ომი იწყება და ეგა�ო. ომზე ვართ მიმდგარი. ორშაბათს ატყდება ალბათ ბათქა-ბუთქი, თუ ამტყდარი არაა. ახლა ჩამწერეს „ალიონისთვის“, 5 წუთსაც არ დატოვებენ. არ მომეცა ლაყბობის საშუალება, არადა, სალაყბოში ვარ გამწესებული სწორედ. უკეთესს სად იპოვნი...

სულ დავდუმდები, მშვიდობა იყოს. თამაზს მოველაპარაკე,

„ლიტერატურულ საქართველოში“ გავისაუბროთ-მეთქი, შარ-შანდელივით-თქვა.

დღეს ცხელოდასავით, ხვალ ზევით ასვლაც მინდა. შეთანხმებულიცა ვარ. ხვნა-თესვას რა ჯობია. დრო რომ გამირბის, მოსასწრები უნდა მოვასწრო. წიგნი გასამზადებელი, „აბრაგები“ გადასაბეჭდი, „უ. ქ. ჩ“ და შევუდგე უნდა მთავარს... ისეთი დროა, ისეთ ხასიათზე ვარ (ცუდზე), რომ უარესი არ იქნება... აღარა მწამს ქართველობის აღარაფერი... ნათაძის შემხედვარე კიდევ კარგად ვართ. კატალიზატორივითაა ჩემთვის. ამაზე უარესი დრო საქართველოს არ ჰქონიაო(?). დავწერ და ვაჩვენებ, ჰქონდა თუ არა, ყველას უნდა დავანახო... ვაგვიანებ აშკარად, „რადიონოველებსაც“ კი დავანებებ თავს... შემხვდა და გამომეცნაურა, ნანიტაშვილი ვარო, ვიცნობდი, როგორც რადიოს მეთაურს – არა. განვაგრძოთო, დაბეჯითებით მითხრა. გავიმეოროთ-მეთქი. არაო, განვაგრძოთო, ხალხი გისმენს, მე სიამოვნებით ვისმენ, ასეთი რამ არ მომხდარა სხვიმისაო. შეიძლება. ამჯერზე გამეორება ჯობს. „დალი“ შემოვდევი თაროზე. რუსული ფულით შევაფასე – 1500. გვერდწითელს გამოვაყოფინე ადგილი საამისოდ, ჩემთვის, სხვისთვის. ჯერ ჩემით დავიწყე. იმ ასი ცალის, ჰონორარში რომ ვირგუნე, გაყიდვა დავაპირე, ეძვირათ, ემწუთხათ. იმ დღეს არ გაიყიდა არც ერთი. კუპონებზე კი გასაღდა, საკმაოდ ძვირად (70000) გაიყიდა...

გიზო შემოვარდა მთვრალი – გაბისკირია... ნანუკამ წამომიყვანაო, ეს რა ბავშვი ყოფილაო, აღტაცებული იყო. დალევა უნდოდა, ვერ ავუბი მხარი, ველარ დაგეწევი, სულერთია-მეთქი. კარგი ბიჭია და სიმთვრალეც შვენის, ენერგია კი არ აკლდება. უცოლობამაც შეინახა ალბათ...

ბენია იყო დაღონებული. იქცევა ქვეყანაო... იქცევა?..

რა რიცხვია ნეტავ, დღე კი ვიცი...

26 მარტი, 1994 წ.

შაბათი

* * *

კარგად ჩაიარა საღამომ, („ბაგრატის ფონდი“) საკონცერტო დარბაზში, კინო იყო იქ, „ამირანი“, ადრე, სულ ადრე, ისევ კინოდარბაზი, მგონი „აპალო“, თუ „აპილო“ – აქეთ იყო უფრო. ახსოვთ ზოგიერთებს, თითო-ოროლას დღესაც, 60-იან წლებში ბევრს, რა გასაკვირველია, ბევრს ახსოვდა. სამი კინოდარბაზი იყო; I (გავიხსენებ), II „ამირანი“, III „კომკავშირელი“, რუსთაველზე: I „რუსთაველი“, II (გავიხსენებ) ახლა იქ, კ. მახარაძის, ერთი არტისტის (რას არ მოიგონებს კაცი) თეატრია... ამ ხუთ კინოთეატრში დავდიოდით (იშვიათად – „ოფიცერთა სახლში) გვიანობამდე, სტუდენტობაში, მგონი, ყოველდღე, დილის 10 საათზე I სეანსია, ბოლო – საღამოს 10 საათზე...

დღევანდელმა საქველმოქმედო საღამომ გამახსენა ეს ყველაფერი. **ჯ. კახიძემ წაიყვანა საღამო ორკესტრთან ერთად და მშვენივრად ააწყო კიდეც**. არცთუ ბოლოა ჩემი წვლილი ამ საქმეში. ფულიც შემოვიდაო, – რასაც ველოდი, დაახლოებით, იმდენი, საზოგადოებამ კონცერტს უყურა ბოლომდე და „კრებაც დარჩა მხიარული“.

სიტყვები: ილია II, შევარდნაძე, შაშიაშვილი... მეც ჩამწერეს იქაც (რადიოში), იქაც... ამბები კი შავი და ბნელი მოდის აფხაზეთიდან... ცხოვრება თანდათან ძვირდება, „ჭირდება“ და ასე შემდეგ... რა ამბები მოდის-მეთქი, ვეკითხები გოგუაძეს. ერთი თვე გვიჭირსო, თბილისამდე არ მოვუშვებთ თუ თბილისში არ შემოუშვებთ მტერსო. ზეიკიძე მუხრანთან აჩერებდა. გოგუაძემ უკან დაიხია სტრატეგიული მოსაზრებით. ირინა სარიშვილმა უთხრა წინა სხდომაზე შევარდნაძეს, გვითხარი, რას აპირებ, რა გინდა და დაგიდგებითო, თუ არაოდა, მგონი, ეს მე მოვიგონე, ის მაინც გვითხარი, რატომ არ გვეუბნები, რაც გინდაო... ხვალ სესიაა, ისევ გაწევ-გამოწევა იქნება...

28. III. 94 წ.

* * *

დილის სხდომაზე პირველი გამარჯვება იზეიმეს პარლამენტში აგრესორებმა.

ნაადრევი კი გამოდგა მათი სიხარული, საშევარდნაძოდ შეტრიალდა შემდეგ სიტუაცია, იგინებოდნენ, წითელი ინტელიგენციაო – ჩვენი მისამართით. ორი დღის წინ მე და ელდარი გავდიოდით ეზოს მხრიდან, მე აფთიაქის ჯიხურთან შევჩერდი. ჩვენს უკან მომავალ ქალბატონ შაკიაშვილს ჩაულაპარაკია, ალბათ ჩვენს გასაგონად, მალე ვნახავთ ამათ ძვლებს საფლავებიდან ამოყრილსო. ქართველი ხალხი ამოყრისო. თავს უქნევდა თურმე თანამგზავრი მისი ჭკუისა. ასე თქვაო, ელდარმა, რაც გასაგონია, რისი გაგონებაც აუცილებელია, ის არ გესმის და ეგ როგორ გაიგონე-მეთქი. გამაგონესო.

მწერალთა სახლში კვირაია მოიყვანა ფანჯიკიძემ. ერთი საათით შევრჩი იქაც (კვირაია, დ. მიქაძე და ვიღაც-ვიღაცეები). შემდეგ ისევ პარლამენტი. შევუტიე კალანდიას, აქეთ ხარ თუ იქით, გამაგებინე-მეთქი... მოითმინა და აღარც მე მივეძალე, წყენამაც გამიარა... დაამტკიცეს რამდენიმე მინისტრი. თითოეულ ხმას მნიშვნელობა მიენიჭა, თავი ვეღარ დავიძვრინე, თავატკიებული მოვედი შინ იმავე თავით. რეზოზე დავწერე პატარა წერილი, ჩავაბარე.

„მნათობი“ იბეჭდებაო. მოდის აპრილი, ხვალ ვერა და ზეგ კვლავ ავალთ ზევით, შემდეგ ქუთაისში უნდა ავემგზავრო, რადაც არ უნდა დამიჯდეს.

29. III. 94 წ.

* * *

მთავრდება ეს მარტიც მარტულად. მოჟამული დღეა. გუშინ ცხელოდა. ჭერამმა ჩემს წინ კი ყვავილობა მოილია... დღეს პარლამენტში ექსცესები, კინაღამ ტრაგიკული. კვირაიას დამტკიცებაზე შემოცვივდნენ ზეიკიძის რაზმელები. მილიციამ

დაიკავა შენობა. ეს იყო სუფთა ოკუპაცია. იყო გაწევ-გამოწევა. კვესიტაძეს მოტეხეს რაღმე ფეხი. ერთს მომხვდურთაგანს — ხელს უხვევდნენ, შუშაზე გადაიჭრა ალბათ. შევარდნაძე ქვევით ჩამოვიდა დაცვით. ასანთი იყო საჭირო... ასანთის ღერის აალება და უბედურება დატრიალდებოდა. საღამოს სხდომაზე ემოციები — ასე, ისე შევაფასოთ... სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა იყოო ან სხვა.

გამოვიდა ბოლოს შევარდნაძე, ჩაფარცხა ყველაფერი... ეს კაცი საქართველოს ვეღარ უშველის. მას არ შეუძლია, აიღოს ძალაუფლება. ბრბოსთან პირისპირაც ეს თქვა: ახლა ამ ამბავს გაიგებს მსოფლიო. რას იტყვიან ჩვენზეო. იმ მომენტშიც ამაზე ფიქრობდა. არა, არავინ არ ისჯება ჩვენთან აქ, ამ ქვეყანაში.

31. III. 94 წ.

* * *

დღესაც წაკრეს-წამოკრეს ერთმანეთს პარლამენტში. შემდეგ დაცხრა და დაიწყო მინისტრების დანიშვნა თითქმის უმტკივნეულოდ. ჩიკვაიძის ჩაგდება დააპირეს მთავრობის მეთაურის მომხრეებმაც, რატომ, რა მიზნით, ჩემთვის ბოლომდე გასაგები არ გახდა. ახლობელმა გადმომიჩურჩულა, არაო, მეტი დამაჯერებლობისათვის — კიტოვანის კაციაო... რაღაც მართლაცაა ამდაგვარი, მაგრამ ჩემმა სინდისმა სხვანაირად გაჭრა: დ. მაღრაძეს ხმა მივცე (ასეც უნდა მექნა) და საშა ჩიკვაძე ჩავაგდო-მეთქი. შევყოყმანდი და (წამები იყო დარჩენილი) წითელ ღილაკს დავაჭირე თითი. III ყოფნიდა და მიიღო ზუსტად III. გუშინ მეზვიადეთა დემონსტრაცია. ჩაიარა წვრილმა კოლონამ, რა ხალხი და რა სახეები — ბნელი, ბნელი...

თავდება ბენზინი. ახალი არაო. მერგება კი კანონიერად, თუ ავიღე, წავალ ქუთაისისკენ... წავიყვან ჩემებს... წინა ხელფასი არ მქონია აღებული, არ მახსოვდა და ქეც ავიღე **მილიონი (1. 000000) კუპონი** პარლამენტიდან. **ორდოლარნახევარიაო, აჯიაშ-**

ვილმა დამიანგარიშა... გაფიცულა მეტრო, რკინიგზა. რუსული ფული გვინდაო.

1 აპრილია (ყველაფერი მართალია) წვინიანი, ღრუბლიანი, ნისლიანი, ბურიანი ამინდია.

1. IV. 94 წ.

* * *

ძლივს სიმართლე დაიბეჭდა გაზეთში — ყოფილ „კომუნისტში“, ახლა „საქართველოს რესპუბლიკა“ ქვია. ავტორია მთავარეპისკოპოსი **ანანია ჯაფარიძე**. სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, ამნაირად რომ გვძულს ქართველებს, ფუჭ და ტყუილ ისტორიულ წიგნებზე აღზრდილ ხალხს, შემძრა პირდაპირ. ყველა ჩემი ვარაუდის და დასკვნების საფუძველი აქაა, მარტივად და გასაგებად გადმოცემული.

ეჭვიც არ მეპარება, რომ შიშით მოკვდა ყოფილი პრეზიდენტი, შიშით მხოლოდ და მხოლოდ. დამარცხება ჩვენი მონური ფსიქოლოგიის შედეგია. მეგრული ტომების მონური ფსიქოლოგიის... ომი იქით იყო და ისინი აქით მოიწევდნენ. სოხუმის მაგივრად სამტრედიას იღებდნენ. ახლაც ყურში ჩამესმის გამსახურდიას სისინი, ვანი აიღეთ, ვანი! რატომ ეჭირათ ხელში დუდაევის სურათები. შემთხვევით? ილია II გადახაზული, დუდაევი გაბაირაღებული... რამდენჯერმე გავიმეორე, სანამ ვერ გავარკვევთ იმის სიძულვილის მიზეზებსა და საფუძველს, მანამ ვერ ვიზამთ და ვერ გავხდებით ვერაფერს-მეთქი.

მ. ჯაფარიძე გარდაიცვალა. ვიყავით. ლაშა კოჭლობს, დაჭრილი ვარ, გამივარდაო... ამ დილით გავიხედე და წამოუთოვია. პაპყი თოვლი იდო დილით მიწაზე. მერე აღარ იყო...

2. IV. 94 წ.

* * *

ცოტნე ჩხიკვიშვილი შემხვდა დღეს, გამხდარი, დაბერებული მეჩვენა. გამაჩერა თუ გავაჩერე რუსთაველზე... ასე კი არა, ისე უნდა იყოს და სხვა. ვფიქრობდი: რამდენი კაციც მოდის, იმდენი

აზრია და იდეა, კონცეფცია, ვერსია, ვარიანტი და რა გინდა, ასე კი არაა — ისეა.

საზიზღარი სხდომა კვლავ. ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ შევარდნაძეს. რატომ ითმენს, გაუგებარია ჯერჯერობით ჩემთვის.

დღითიდღე რთულდება, უარესდება მდგომარეობა.

გაასვენეს და დაკრძალეს მედეა ჯაფარიძე. დიდძალი ხალხი. იშვიათად ახლა, ამ დროს, ასეთი რიარია.

კაკუბავა პროვოკატორია ნამდვილი.

„დავლიოთ, გაგვიხარია, ვამაყობთ საქართველოთი!"

დალეული და გახეული მთვრალი იყო სხდომაზე ი. წერეთელი. გუშინაც მუცელამოტრიალებული, ნაჭამი და ნასვამი... „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!"

5. აპრილი, 1994 წ.

* * *

დღევანდელი პოლიტიკური შინასიტუაციაც მძიმე იყო. საღამოს სხდომას აღარ დავსწრებივარ, შევარდნაძის გამოსვლას ტელევიზორით ვუყურე. გივი ნიჟარაძეს (60) სუფრა ჰქონდა და იქ შევრჩი. შევარდნაძე კი გულს უჩვილებს საზოგადოებას, მგლის თავზე სახარებას კითხულობს, ვერაა კარგად საქმე. მართვა აღარ შეუძლია და წასვლა მისი უბედურება იქნება.

ძლივ-ძლივობით ვწყნარდებით და ავირევით კვლავინდებურად. რა გვეშველება მართლაც...

„ცისკრის" განხილვა გვქონდა. კმაყოფილი დარჩა ნამეტანი ფანჯიკიძე... გადაბერდა, მე ვთქვი, მწ. კავშირი, ჟურნალები (გრ. აბაშიძეს ეძინა პირველ რიგში ამ დროს) და სხვა. მაინცდამაინც არ ესიამოვნა... ხალხი ცოტა. იგივენი და იგინივენი. ახალი ძალა არ ჩანს. იგი არც გამოჩნდება იქედან, საიდანაც ველით...

ჟურნალისტობა, პოლიტ. მოღვაწეობა, პრესა, ტელევიზია, აი, მაგათი სარბიელი. მწერლობა აღარაა სახეირო. ეგ კარგიცაა, თავად მწერლობისათვის, ერთის მხრივ... განერვიულებული, გამარტოებული...

— ცუდ ხასიათზე ხარ? — მეკითხება ტელეფონით, ყურმილიდან მიხვდა... გვიან დამირეკე და მომიყევი, რატომო... გავართო? წელი გადის, ველარ გამიცნო...

ჯურხა დღეებს ითვლის, არავინაა კარგად. ერთს ვუთხარი მ. ჯაფარიძის გასვენებაში: უფულოს შიმშილი კლავს, ფულიანს — შიში-მეთქი. ეგრეა. მოსკოვში მოკლეს თოფაძე და ახლა გვაცნობეს — კვანტრიშვილიც. ხშირად მესმოდა ეს გვარი. ქართველი ბიზნესმენიაო. თ. თოფაძე ო. ჭილაძის ცოლის ძმაა თუ ცოლისძმის ძმა? გედი შემხვდა შეწუხებული, თ. თოფაძე მოკლესო. ველარც კი ვკითხე, რომელია-მეთქი.

ხვალ რამდენი საქმეა. დილიდან პარლამენტი. ბენზინი, საქუთაისოდ ვემზადები... სახლში არც მინდა ხვალ ყოფნა...

6. IV. 94 წ.

* * *

გუშინ მივატოვე პარლამენტის ბოლო განყოფილება და ზევით გავუტიე. იქ დენი არაა და რადიო. დღესაც პარლამენტი ყოფილა. თ. კვაჭანტირაძე გაუშავებიათ, მაგისთვის ვრჩებოდი ხოლმე და არ დააყენეს საშველი. გუშინ პულტიც დავუტოვე აჯიაშვილს — ხმა მიეცი-მეთქი. დღეს დასვენება ვივარაუდე. ხუთშაბათს წარმოადგენენ ხელმეორედ და სიტყვასაც შევაწევ.

იორამი ცუდად ყოფილა, ჯურხა — ნამეტანი ცუდად... ვინაა კარგად, მაგრამ „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ ან „აგებულობით მყოფელი არასდროს გაღარიბდება“...

ვბარავთ, ვწერთ, ყამირი, დანგრეული ვარ...

ლევანზე რაღაც უნდა დავწერო. მოვიფიქრე სათაური (ცოტა არაა) — **„კაცი მანხატანი-დან“** — მანხეტტენ.

ხვალ 9 აპრილია. პარაკლისებს გადაიხდიან, ინიციატივა რომ არ დაკარგოს, ხელისუფლება აპირებს გააქტიურებას.

8. IV. 94 წ.

* * *

ბოლო-ბოლო გავხდი მილიონერი. 10-დან 15 მილიონამდე ივარაუდეო, ღვინჯილიამ მითხრა — **გადაირიცხება ბაგრატის ფონდში მთლიანად...**

ამინდი კარგი. სიმშვიდეა შედარებით. ხალხი თითქმის აღარაფერს ელის — არც კარგს, არც ცუდს. დღეს ვფიქრობდი, უნდა დატოვოს შევარდნაძემ საქართველო-მეთქი. ცოტა ადრეა ახლა, ვხვდები. არ ეშვება და არა ამ დემოკრატობანას.

11 აპრილი, 94 წ.

* * *

ჯურხა გარდაიცვალა. ცხოვრობდა, უყვარდა, ქეიფობდა... ვქეიფობდით...

მერე დაინგრა ეს საქართველო. ტვინი გაეყო ზოგიერთებს... ზოგი იქით დარჩა, ზოგი აქეთ... სამწუხაროა ეგ... მუხათწყაროს ასახვევშია, მინდა, ერთხელ პური ვჭამოთო, ამბობდა თურმე. როგორც ათბება, ავიყვანოთო, იორამი მეუბნება. იგი თავადაა ასაყვანი უკვე. სასადილო კი გამოკეტილია. პურს აღარავინ ჭამს იქ.

დღეს კი აველ ზევით სხვასთან ერთად. დავთესეთ მწვანილი. ახლა თაგვი მოკლა ხაფანგმა. მამუკა მოვიდა მთვრალი. ძველი, გადანახული გაზეთები მომყვა ხელში. „ხიბაროა“ ერთში. გადავიკითხე, კარგია. ერთი აქცენტი აკლია, დავაკელი, როგორც ჩანს.

„მნათობი“ გამოვიდა სასიგნალო, უკვე კითხულობენ. იქაც იგივ შეცდომები მაქვს დაშვებული. მკითხველის იმედად ვტოვებდი ცარიელ ადგილებს. გაიგებს, ვვარაუდობ... გაიგებს გამგები, ცხადია. ბევრი — ვერა... ბევრს ხომ ვერ ავყვებით. მაინც უნდოდა აქა-იქ რაღაც-რაღაცეების ჩამატება. „აბრაგებში“ ვითვალისწინებ უკვე.

„დალის“ დავადევი 1500 რუსული მანეთი, ჩამოფასება მინ-

დოდა და გაყიდულია 8 ცალი. გვერდწითელმა მითხრა, იყოს, შეეჩვიოს ხალხი ამნაირ ფასებსო. კი ბატონო, თუკი შეეჩვევა, რა ჯობია.

შუაღამეა. საკაბელო ტელევიზია მაინც მუშაობს. ნანი ბრეგვაძეს აცხადებს მოსკოვი. „კომპანიმენტი" მედეა გონგლიაშვილიო.

პარლამენტი ჩაიშალა, არ მოვიდნენ. ჯანსული შემხვდა. გაფიცვა თუ გქონდათ გამოცხადებული, გეთქვათ და არც მე მოვიდოდი-მეთქი.

„ლიტერატურულ საქართველოში" მირიანაშვილის წერილია ბაგრატის ტაძარზე. უპასუხობა არ იქნება.

გადავრიცხე ფონდში ჰონორარი — **მილიონ ასორმოცდაათიათასი**, რიცხვებით ვერც დავწერ სწორად (1150000) კუპონი. გავხდი თუ არა ბოლო-ბოლო მილიონერი?!

12-13 აპრილი, 1994 წ.

* * *

გვიანი ღამეა. ჯურხაზე დავწერე პატარა გამოსათხოვარი. „დრო, დრო აღნიშნე", მიაწერე ლექსსო. დროის გრაფიკული გამოსახულება მომწონდა და აქაც გადმომაქვს...

14. 4. 94 წ.

* * *

ბაბუაჩემმა, მიხეილმა, ჩაილაპარაკა, ღმერთი არის მხოლოდ, მეტი არაფერიო. ესეც გამიკვირდა. მეორე ბაბუა, ვლადიმერი, პირჯვარს იწერდა ხოლმე, ხატივით თუ რამეს დალანდავდა. წამდა? ძალიან მეეჭვება. მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, მისთვის და არა სხვისთვის. მორწმუნე კაცს არ ვიცნობდი ბავშვობაში. ნამეტანი ბუნებრივი მეგონა ეს.

ებრაელების სალოცავები, I-II, ხალხით იყო ხოლმე სავსე. შეუგნებელ ხალხად ვთვლიდი. ახალგაზრდები არ მიდიოდნენ

(ნაწილობრივ ეგრეც იყო ალბათ), მეგონა. ესენი (ხნიერები) რომ დაიხოცებიან, ჩემი ტოლები დაკაცდებიან, სალოცავებიც დაიხურება-მეთქი. ასე ვფიქრობდი VII-VIII კლასში (ებრაელთა უბანში ვსწავლობდი), როგორ ვცდებოდი. ასეთივე მცდარი და გულუბრყვილოა ალბათ დღეს ჩემი წარმოდგენები სამყაროზე.

გურჯიევს ვკითხულობდი (გერმანულიდან თარგმნის ახალგაზრდა კაცი ლაშა დადიანი), პრიმიტიული მომეჩვენა. ერთი მსჯელობა ჩემებურად შევაფასე, სწორი ვარ, ვიცი, ვგრძნობ. ჩავიწერე ქაღალდის ნაგლეჯზე, გადავიტან ან გამოვიყენებ სადმე... ამოწურავ, ზოგადად, ბიბლიას, ძველს, ახალს და აღმოსავლეთისაკენ გადაგაქვს ყურადღება. იქ იქნება, გგონია, ჭეშმარიტება – ნაწილი მაინც... ჭეშმარიტება გაცხადებული, დამარხული. ასე ემართებოდათ მოაზროვნეებს, ვიცი, ასე დაემართებათ კვლავ. მე ვინ რას მეკითხება და მეც იქით მაქვს გულისყური... იგი კი არსად ჩანს...

14. IV. 94 წ.
(დღის სული)

* * *

ბებერ მშობელს რომ ასვენებს, შვილს ეამაყება. თავისუფლად გრძნობს თავს, ხასიათიც კარგი აქვს იმ დროს შვილს (ჭირისუფალს), ქეც იყო დედაჩემი და მამაჩემი 80-ის, მეტის, 90-ათს აღარაფერი უკლდა და სხვა. ბებერი იყოო, თითქოს მისი დამსახურებაა ეგ სიბერე (შორს წასვლა არ მჭირდება საილუსტრაციოდ). თ. მოსეშვილის გასვენებაში ვიყავი, რატომ, თავადაც არ ვიცი. მწერლის შვილი იყო და უნდა წავიდეთო. წავედით. ხოზე ქელეხზე მიპირებდა მიყვანას... ეს აღარ გამოუვიდა. საზოგადოებას კი ინტერესით გადავავლე თვალი. კომუნისტ-საქმოსნები: კ. შავიშვილი, ნ. ჭითანავა, თ. ბადურაშვილი და ასეთნი და იმდაგვარნი. ფული, ქრთამი თუ ექნება რომელიმე მათგანს მის სიცოცხლეში აღებული-მეთქი?.. ხოზე დაიბნა საშინლად. ირაკლი რომ ყოფილიყო, ბაზაძე:

— პა, პა, პა! არავითარ შემთხვევაში, კაპიკი რა არი, კაპიკი არ ექნებათ აღებული!

გუშინ რ. ინანიშვილს საღამო გაუმართა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ. მშვენიერი საღამო გამოვიდა, ხალხიც, საზოგადოება... და ასე შემდეგ.

მეც ვთქვი სიტყვა პატარა, იმასაც არა უშავდა რა. დღეს, 19 აპრილს, ცხელა თბილისში და მთელ საქართველოშიც ალბათ. წლის ამ დროისათვის უჩვეულო ამინდია მაინც...

19. IV. 94 წ.

* * *

ხვალ გავხდები 61-სა. ახლა (11:9) თორმეტის ცხრა წუთია, თორმეტამდე, მე მგონი, აღარაფერი შეიცვლება და დავიწყებ მეშვიდე ათეულის ინტენსიურად დახურდავებას...

ლ. მალაზონიამ ორი წლის დაგვიანებით შეახსენა თავი (60-წლიანად) საზოგადოებას... წიგნზე წავუწერე: 62 წლის ლ. მალაზონიას 60 წლის აღსანიშნავად. პატარა წერილიც გავუმზადე და ეს კაცი გასტუმრებული მეყოლება 10 წლით მაინც.

ზევით ავალთ ხვალ. ბზობაცაა და ჩემი დაბადების დღეც. ელდარი მოსკოვშია, სუბტიტრებს ამზადებს სამ ენაზეო, საფესტივალებოდო, ნელის ველაპარაკე. რამდენიმე კაცმა იცის და თუ საშუალება ექნებათ, ამომაკითხავენ... ოთხშაბათს ქუთაისში ავემგზავრები. მარტო რა გამაჩერებსო, ბენიამ... მარტო არ იყავი-მეთქი დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. მაშინ იგი 80-ისა იყო. წლები დაეტყო უკვე და მარტოდმარტო მართლაც აღარ დაიტოვება. ეშინია, ფიქრობს... სიზმარივითაა გრძელი ცხოვრებაც...

გურჯიევს ვკითხულობ დროდადრო სამსახურში. ჯერ ისეთი არაფერი. პრაგმატიკოსი ჩანს, თუ სწორად ვუსადაგებ ამ სიტყვას. ხშირი შედარებები აქვს საათებთან, მექანიზმებთან, ქარხნებთან... სულს მანქანებს ადარებს, განგებ, ცხადია... საკუ-

თარი მოსაზრებები მიჩნდება კითხვისას. უნდა გავამარტივოთ სათქმელი და საფიქრალიო. ეს სწორია, ენაცო, აზრის გადმოცემის სრულყოფილი საშუალება არააო... ყველას სხვადასხვანაირად ესმის ერთიდაიგივე სიტყვები და წინადადებებიო, ესეც სწორია, პრინციპში. **რიცხვითი გამოსახულება შექმნიდა სიზუსტესო. რიცხვების ენა ყველასათვის** ერთნაირი, ერთნაირად გასაგები (?) იქნებოდაო.

ესპერანტო ნაღდად აჯობებდა და პრაქტიკულადაც შეიძლებოდა, ალბათ (ყველასათვის ერთნაირად გასაგები), დამხმარე ენის შექმნა...

23. IV. 94 წ.

* * *

საქართველოს ფარგლებს გარეთაო (ტელევიზია გვაუწყებს), არაოფიციალური მონაცემებით, 1000000-მდე ადამიანია გასულიო... ქართველებზე მეტნი სხვანი იქნებიან... ქათველები დაბრუნდებიან უმეტესნი... მოვა ეგ დროც. **თემურ მაღლაფერიძე გარდაიცვალა** მოულოდნელად. სვამდა, ნერვიულობდა (როგორც ყველა) და ორიენტაციაც არ ჰქონდა მთლად დალაგებული... ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ უნივერსიტეტი. დიამეტრალურად განსხვავდებოდა ჩვენი აზრები და შეხედულებანი. ხშირად კამათს არ ვამწვავებდით, ვერიდებოდით ალბათ ერთმანეთს... ბევრი რამის გახსენება შემიძლია, თუნდაც პრაქტიკის. ქალთა ლეგიონში რიგგარეთ (ზედაკურსელებთან) მოგვიწია ლ. მენაბდის წყალობით მოგზაურობა... შემდეგ ლენინგრადი, მოსკოვი... შემდეგ სამსახურები, მწერლობა, სუფრები და ასე შემდეგ...

ხვალ ქუთაისში ვაპირებ ამგზავრებას. ბენია უნდა წავიყვანოთ, მივბაროთ-მოვბაროთ, დავთესოთ... სახლი გაძარცვულია... შეიძლება — ქვედა სართულიც... შემაძულებენ მალე იქაურობას...

მოდის აღდგომა... ხვალ წითელი პარასკევია. არ შეიძლე-

ბა დალევაო, „არსენას ლექსიდან“ გვახსოვდა და ყოველთვის, დაკვირვებული ვიყავი, იმ დღეს მიწევდა დალევა კი არა, დათრობა... თემურის დაკრძალვას ვერ დავესწრები...

ვკითხულობდი თაგორის მოგონებებს... ვიხსენებდი აკაკის „ჩემ თავგადასავალს“. შედარებაც არ მინდა, იმდენად მაღლა დგას აკაკი. ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა“ შეიძლება მხოლოდ დაატოლო, თუ ეგ აუცილებელია.

კარგი გაზაფხულია. მზე, წვიმა, სითბო, ყვავილობა მომთავრდა, სიმწვანის ზეიმია.

28. IV. 94 წ.

* * *

„ერთხელო, ყვება შარდენი“...

ერთხელ, მაშინ ნევროზი მქონდა, ოჯოლაში დავწერე იგავები, რამდენიმე „დილაში“ დავბეჭდე (1965 წელია ან 66) და დანარჩენი, ხუთი თუ ექვსი, მგონი შვიდი, მივიტანე „ლიტერატურულ საქართველოში“. რედაქტორი იყო ი. ნონეშვილი.

ზაფხულია და ქუთაისში ვარ. ვინანე, რამ მიმატანინა-მეთქი, რა მეიგავება. შეიძლება, დაბეჭდოს ორი ან სამი, გავბითურდები. არ უნდა მიმეტანა, ჩემ ჩასვლამდე თუ არ დაიბეჭდა, წამოვიღებ. გავშალე ერთ დღეს ქუჩაში, კარგად მახსოვს, გაზეთი, ყველა შიგაა, კარგი შრიფტით და თვალსაჩინოდ. გამეხარდასავით, კმაყოფილიც დავრჩი და მეტი არა. შემდეგ ტელევიზიაში წავიკითხე. რ. მიშველაძეს რაღაც იუმორისტული ციკლი მიყავდა და მთხოვა, მივედი, ვუთხარი: ეზოპე ვარ, იგავებს რომ მაკითხებ?

ეზოპე არა, მაგრამ რეზოპე კი ხარო, — ზ. ბოლქვაძემ მიპასუხა, იქვე მჯდარა.

იგავები იგავებად დარჩა, არც ეზოპეობა მიცდია, არც რეზოპეობა გამიგრძელებია. ერთი იგავი კი, თ. წივწივაძემ გაამახვილა ყურადღება და ახლა მეც ვეთანხმები, გენიალურია. რატომ გამახსენდა მაინცდამაინც ახლა, ვერ ვიტყვი.

მგელი არ იწვრთნება: ერთმა კაცმა შეუძლებელი შეძლო, გაწვრთნა, უფრო მეტიც, ყეფა ასწავლა. ძაღლიაო, უთხრეს. გადაირია. თუ მგელია, აბა, რატომ ყეფსო!..

წითელი პარასკევია. წვიმს. წვიმა კარგია. ველოდები ავტომობილს და ტელეფონის ზარს... დღისსულს ქუთაისში უნდა ვიყო...

29. IV. 94 წ.

* * *

ჩამოვედი ქუთაისიდან. სამშაბათია, 3 მაისი. აღდგომა აქა. დღე იყო მოქუფრული, წვიმიანიც... ხალხი ბლომად, ძველებურად და უკვე ხელმოჭერილად. ქეიფები და არღნები არ იყო, თუმცა სვამდნენ, ჭამდნენ ალაგ-ალაგ, იქა-იქ ისროდნენ (ეს უკვე ახალი დროის შესაფერისად). შევადარე ძალაუნებურად ომისდროინდელ აღდგომას, 1942 წლისას. რა შედარებაა... სად იყო საჭმელი, ან კვერცხი, ან ხალხი. წამიყვანა ამხანაგმა ა. სირბილაძემ, წითელ კვერცხებს ვიშოვნითო. სად იყო, პირი ნერწყვით მქონდა სავსე. კვერცხი არა, საჭმელი — არა. ერთმა ქალმა გადააგორა საფლავზე ერთი კვერცხი და გაიმართა ჩემნაირების ზედახორა. ერთმა გაიმარჯვა ათიდან... წამოვედი ხელცარიელი. კვერცხები იყო ამჟამად. დედაჩემის საფლავზე 3-4 კვერცხი, პასკის ნაჭრები და ნახევარი ბოთლი ღვინო დავტოვეთ. შევბრუნდით დეიდაჩემის გამო ნახევარსაათში და აღარ იყო. პასკა დაეტოვებინათ. ცენტრალური გზისპირა საფლავებზე კვერცხები (ზოგან 10 და 20 ეყარა) არ იყო აკრეფილი, აბოჭილი — უფრო სწორია.

ვნახე ნათესავები, ძმაკაცები — ვერა, დრო აღარ დარჩა. ეზო დავუბარეთ და დავუთესეთ ბენიას მე და ნუგზარმა, მძღოლიც წაგვეხმარა. დავტოვეთ მარტო შეშინებული. შაშიაშვილს გამოეგზავნა მანქანა, წივწივაძეებთან ჩამოვიდეს კვახჭირშიო. ვინ და ვინ წავიდა? ვიკითხე. შაშიაშვილი, ლანჩავა, ფაჩუაშვილი... მოვალ-მეთქი მე თავად, არ წავყევი. დედას აგინებ-

დნენ წივწივაძეები და ასე მოულოდნელად ვით დაიძმაკაცეს. იმ დღეს შალვა კვარაცხელია (ქალაქის პროკურორი) გადმოვიდა. კვახჭირში არ წაყოლიხარ შაშიაშვილსო, მითხრა, საიდან გაიგო, როგორც ფაქტი და როგორც სხვა ამბავიც. გამომცდელად მომაჩერდა, ეს რომ მკითხა... სახლი გაძარცვული... — ზევით პირწმინდად, უფრო სწორად — უსინდისოდ. ქვევით, ჩემთან — ნაწილობრივ. კიდევ მომაკითხავენ...

3. V. 94 წ.

* * *

ნ. დიასამიძეზე ჰქინდათ ლაპარაკი ბათუმში, ტელევიზორით, ხალხს გააგებინეს ნ. დიასამიძე. იხსენებდნენ უკბილო ანეკდოტებს... უგემოვნების ზეიმი, ნიაზი კი ბევრად უფრო საინტერესო პიროვნება უნდა ყოფილიყო. გამომსვლელთაგან დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს იგი ძმაკაცებს ხელში აყვანილი დაყავდათ. მე პირიქით მეგონა.

იგი მარტოხელა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველამ გზა ნახა, მის გარდა, იგი გახდა ლოთი (ამ სიტყვის ტიპიური გაგებით) და გამორჩეული სხვათაგან... 1954 წლიდან ვაქცევდი ყურადღებას. კარგი პალტო, კაშნე, და ძალიან ვიწრო (ბუტილკა) შარვალი. ცხვირი დიდი, კეხიანი, მუდამ წითელი, ძალიან წითელი. ძაღლითაც მრავალჯერ ვხედავდი. პარტნიორები ეძებდნენ ალბათ, ბევრი, ახლა რომ თავგადაკლულ ძმაკაცობაზე დებს თავს, ემალებოდა. ეს ძალიან კარგად ვიცი...

ალკოჰოლიკის დამახასიათებელი იუმორი და ინტონაცია, ცინიზმიც... ჰქონდა. უფრო დახვეწილი დაცინვა, ვიდრე მისი უნიჭო ნაცნობები გვიზიარებდნენ. ფხიზელი იგი შეწუხებული და საინტერესო პიროვნება ჩანდა. ვან-კლიბერნის კონცერტის დასასრულს რომ ძალით სცენაზე აიყვანეს და „პადმასკოვნიე ვეჩერა“ დააკვრევინეს, ცუდია, გახსენებაც არ ღირს. იგი მაშინ გაასულელეს... ახლა მკვდარს უშვებიან იგივეს...

4. V. 94 წ.

* * *

ჩავატარეთ პლენუმივით გუშინწინ, პარასკევს, „მსახიობის სახლში“. ვთქვი სიტყვა, ბევრი რამ, შეიძლება, ვერც კი მოვზომე. არ ვიცი, ვბეჭდავ მანქანაზე და გამოვაქვეყნებ, აგრე ჯობია. ფერების სეზონი გავიდა, უკვე უნდა მოეკითხოს... გადაცემენ ალბათ... ვნახოთ, რა რეაქცია იქნება...

დეიდაჩემი გარდაიცვალა — ნინა. არ ეტყობოდა, სასიკვდილეც არაფერი ჭირდა დღეისსწორს — დღეს კვირაცხოვლობაა... არ დალიო, მაფრთხილებდა, ქმარს — არ დალიოო... მომკვდარა თავად, მოულოდნელად. გაუნათლებელი ქალი, საღი გონებისა, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი ერკვეოდა. ორშაბათს ერთი ლიტრი თაფლის არაყი (აწერია თაფლი) ჩამომიტანა. ჩუმად გახვეული მომცა, შეინახეო. წამართმევდა ვინმე თუ რა იყო, არ ვიცი. შევინახე მართლაც, ჩვენი მრეწველობისაა და რა თაფლისაც იქნება, ადვილი წარმოსადგენია. ადრე, თუნდაც შარშან, ზაფხულში, ჯინჭრის ფხალი მოგიხდებაო, ხაჭაპური და ლეღვი ჩამოჰქონდა. იშლება, ქრება სანათესაოც...

8. V. 94 წ.

* * *

ახლა აჩვენეს სატელევიზიო სპექტაკლი „შ. ხ. თავგადასავალი“. ადრე საპირველმაისოდ გადმოსცემდნენ, ახლა 9 მაისს დაამთხვიეს და სწორად მოიქცნენ. გ. ზარნაძემ გაასცენიურა, არ ჩავერიე, ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ... **შემდეგ დავწერე პიესა ერისის თხოვნით.** არ დააყენეს საშველი, როგორც თავად მითხრა და გარდაიცვალა მოულოდნელად, მეორე დღეს. პიესა ძალიან საინტერესოა. ვის უნდა, ვის აინტერესებს... როცა დღევანდელობამ, ახალმა უბედურებამ დაჩრდილა და დაასამარა ძველი ჭირი და სატკივარი, ეს ვისღა ჭირდება-მეთქი, დავასკვენი. საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი და ახლა ვფიქრობ, არც ეგრეა საქმე-მეთქი... გადმოვიღო და წავიკითხო ხელახლა ამ მოუცლელობის ჟამს...

9. V. 94 წ.

* * *

დღეს გვლანძღავდნენ მწერლებს. რეაქცია დღევანდელ სატელევიზიო გადაცემაზე. უცვლელად გადასცეს შუადღით გაერთიანებული პლენუმი (ჩვენ დავარქვით ეგრე). არც მომეწონა და ქეც მომეწონა საკუთარი პერსონა. საღამოს სხდომაზე დაწყებულია პარლამენტში მითქმა-მოთქმა და მოტირალი, დიქტატურას ნატრობდნენო. ჯანსუღი ადგა (რადიოს ვუსმენდი), რავა გეკადრებათ, მაგი არ გეთქვათო. არადა, ეგრე იყო მართლაც. ჩემი წერილი ხვალინდელ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდება (წერილი კი არა — სიტყვა), საქუთაისო მზადებამ ამრია, თვარა დავიწყებდი ბეჭდვას „ყაჩაღებისას"... ვაგვიანებ, ნამდვილად ვაგვიანებ ერთის გამო მეორეს და ასე შემდეგ...

12. V. 94 წ.

* * *

ქუთაისი. 14 მაისი, შაბათი.

ჩამოვედით (ნუგზარი, ლეილა, მიშო). დავკრძალეთ დეიდა — ნინა.

ამოსისხინებულია ჩემი ჩაყრილი დაფნები ჭიშკართან. აწი და აწი დაბურავენ იქაურობას. არ გინდაო, იუზა მეუბნებოდა, უნდა აჭრა პირიქითო. სულაც არა და სოვსემ პირიქით... მტვერს და ბოლს ჩაუხურავს არეს... დაფარავს, დაჩრდილავს, ჰაერს გაასუფთავებს. გაზრდილან თხილები და წყავი, ამოსულა, ამოწვერილა სიმინდი და ლობიო, 14 დღის წინ (30, V) რომ ჩავყარეთ მიწაში. ყველაფერი კაი და ლამაზი...

ქელეხში მობრუნდნენ საჩემოდანაც: კუხიანიძე და ძმანი მისნი...

შევარდნაძემ მოაწერა ხელი ჯარების თუ ძალების დაშორიშორებაზე... გადავდგებიო, არ გადადგა. პარლამენტმა ვერ იკისრა პასუხისმგებლობა, ვაჟკაცობა არ ეყოო...

ეყოფა ერთ დღეს.

დილა-ალიონზე ტანკებით იყო გაჭედილი ქუჩები. დ. მიქაძემ გვამცნო: კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის გაგრძელებაა, პოლიტიკასთან არა მესაქმება რაო... ჯაბაც დაბრუნებულა. მოგივლითო, იქიდან იმუქრებოდა. ვნახოთ, რას იზამს!

* * *

მზიანი დღეა. კვირა. ქუთაისი.

სიმშვიდე დიდი, შავი ბუზი დაზუზუნებს...

მეზობელი გარდაიცვალა, ზ. წიქორია. გაირბინა მისმა 54-მა უსაქმურობით, ციხით, ლოთობით, უმიზნობით...

რისთვის, რატომ?

ლ. ტოლსტოის მთელი ფილოსოფია სადაა და პრიმიტიულიც. ეგრე მომეჩვენა, ხშირად ისეთ რამეს ამტკიცებს და აღმოაჩენს, რასაც არც დამტკიცება უნდა, არც აღმოჩენა...

მაგალითისათვის: ქრისტეს, მკვდრის აღდგომა...

ძალიან იოლია, ეგ არ მჯერა, ვარლამსაც არ ჯერა, ბიძაჩემს... არაფერი არაა, არაფერი არაა ამას იქით...

ბენიას ფეხებში ლურსმნების გაყრა უფრო დაუჯერებელი ეჩვენება, ვიდრე სიცოცხლის წარმოშობა...

მატლი ჩნდება ტალახიდან, სიბინძურიდან, მორჩა და გათავდა. ე. ი. ცოცხალი არსება მილიარდი კომპონენტით თავისთავად, თავად სიცოცხლე — მთლიანობაში:

ჯერ იყო გავარვარებული ყველაფერი, შემდეგ გაცივდა, მერე გათბა ალბათ და წყალში გაჩნდნენ თევზები. თევზებმა დაიწყეს ფრენა, ზოგმა სირბილი, ზოგი გამაიმუნდა, შემდეგ გაადამიანდა და ასე და ამნაირად...

15. V. 94 წ.

* * *

ახლა შუაღამეა, ვწერ და ვუსმენ 13 მაისის სხდომას, რომელსაც არ დავსწრებივარ. მანქანის მოტორს ვაკეთებდი იმ

დღეს და არ მეცალა, მეორე დღეს წამოველ. ახლა აქა ვარ დილამდე... დღეს მიიღეს პარასკევის „ლიტერატურული საქართველო“. მაინტერესებდა, ჩემ სიტყვას (იქაა დაბეჭდილი), რა რეაქცია ახლავს, ვინ რას იტყვის და ვინ რა თქვა იქ. ერთ შეცდომას ვუშვებ. ვცდები, ვიცი და თავს ვერ ვიჭერ. დავწერე, მომავლის მწერალი ვარ-მეთქი. ვიცი, რომ ეგრეა და მაინც არ მასვენებს დღევანდელობისათვის თავის შეხსენების სურვილი, რომ ვერ მცნობენ ფიზიკურად, ესეც მომწონს, სხვათა შორის და რ. ჭ.-ლს რომ არ იცნობენ, ესეც არ მომწონს... შევეგუო უნდა სინამდვილეს... ვერა? ჩემი წილის, ნაწილის ამოგება თუ დანახვა მინდა. შემდეგ: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“... პოეტმა თქვა. მთლიანად ნათელი არც ესაა, რადგან რაღაც-რაღაცეები დასაწერი მაქვს, ჩემ ხვალინდელობაში მათ რეალიზაციას ვგულისხმობ...

შევარდნაძე მიყენებული ჰყავთ კედელთან... იცავს თავს...

ეს რვეული (XVIII) თავდება და რჩება აქ...

ყველა რვეული აქაა... თუ ხანძარი არ გაჩნდა, არ მოისპობა. წაღებით არ მიაქვთ. ქურდების ხელშენავლებია...

უკვე 17 მაისია,
1994 წელი.
ქუთაისი.

გ. თ. IV
(გასვლითი თამაშები)

* * *

5 იანვარი, 85 წ.

წავედით ქუთაისში, ნოდარის მამის დაკრძალვაზე მე და ნუგზარი. თბილოდა, გზაზე ცხელოდა კიდეც. საქელეხო სუფრაზე ეზოში დაგვსხეს, ხის ქვეშ, პატივისცემის ნიშნად. ნაცნობები, ახლობლები. მეორე დღეც იქ და 7 იანვარს, შობა ღამით, ჩამოვედით უკან...

* * *

23 მაისი.

თელეთობაზე თელეთში. კაკოსთან. სუფრა, რომელსაც ჩემი სახელი აქვს დარქმეული, ტრადიციულად უნდა გაგრძალდესო კვლავ...

* * *

24 მაისი.

წავედით ლეჩხუმში ჩემი მანქანით, ГАЗ-24-ით, ანზორი (სალუქვაძე), ლევანი და ჩაჩუა. თერჯოლა. სუფრა ჭიშურაში, მასპინძელი მურადი. ცხელოდა ძალიან. ქუთაისში შევიარე, ვნახე დედაჩემი და ისევ გზა, წყალტუბოში საშინლად ცხელოდა. მერე და მერე ცხენისწყლის ხეობაში აგრილდა. ცაგერი. რაიკომის პირველი და მწერლობა. წავედით ს. ისიანის სახლ-მუზეუმის გახსნაზე. მშვენიერი სოფელი, ნიგვზის ხეებით სავსე. ბევრი სოფელი გავიარეთ. მოსახლეობის სიმცირე, სიღარიბე. ლაჯანურის ლამაზი ხეობა, გავედით თითქმის ალპანამდე.

ღამე (ისევ ცაგერი) გავათიეთ დ. შარაშენიძისას. ორი ძმის სახლი, თითქმის გაუყოფელი ოჯახი. მეორე დღეს, 25 მაისს, ბარდნალა, ლადოს სახლი, ახალი მისულები, სუფრა იქვე და უკან – ქუთაისისკენ. „მწვანე თეატრში“ (კარგი ნაგებობაა) აღარ დავესწარით პოეზიის საღამოს. დაგვემატა ვ. ასათიანი და მივედით სათაფლიას რესტორანში, ო. მამფორიას საპატივცემულო სუფრაზე. ქეიფი ეშხში იყო შესული. გაეხარდა ძალიან ოთარს. იქედან „ხვამლში“ გადავინაცვლეთ ერთ ჯგუფთან ერთად. გვეძებდნენ, როგორც გამოირკვა, სად წავიდნენო.

ღამე სასტუმროში, სადაც ალბათ პირველად გავათიე ღამე. დილას დაგვადგა სოსოია. ჩამოიყვანეს ოთარი, შეკრიბეს ნაწილი წინაღამინდელი ხალხისა და წავედით ბაღდათს – „წყალთაშუა“. თამადა სოსოია, მასპინძელი შოთაია გოგისვანიძე. დავიხსენი, როგორღაც, იქედან თავი... ისევ ქუთაისი. ნახევარი საათი გავჩერდი სახლში და ისევ გზა. ახლა ღამეა. თბილისში ვარ.

26. V. 85 წ.

* * *

1 ივნისი.

წავედით ადიგენში სამი მანქანით.

ერთი ჩემი, მეორე მუხრანის, მესამე თემო გრძელიძის. ცხრა კაცი გავნაწილდით. გადავიღეთ სურათებიც და იქ ვიქნებით ალბათ ყველანი. ჯერ ქვაბისხევში შევედით, იქ დავილოცეთ, შემდეგ ისევ გზა. აწყურში დაგვხვდა მასპინძელი აჩ. ბიჭაშვილი. სტუმრად ჩავედით მაისურაძეებთან (აჩიკოს მამინაცვალი). იქ დიდი სუფრა. ავიყარენით და ნაწვიმარი და ტალახიანი გზით ავედით მთაზე, ხელოვნურ ტბასთან, თურქეთის საზღვართან ახლო. იქაც სუფრა, დიდი ცეცხლი. წვიმა და თქორი. პირველად ვნახე ნაძვის ყვავილობა. წითლად იყო ტოტები დაწინწკლული პატარ-პატარა გირჩებით...

2 ივნისი.

დატვირთული დღე.

პირველი — საფარა, შემდეგ — აბასთუმანი, კვირა დღე იყო და მაინც შეგვიშვეს ობსერვატორიაში. საინტერესო თითქმის არაფერი, ბუნება ლამაზი. შემდეგ — ოქროს ციხე. ციხემდე ვერ მივედით, სოფლის სახელი, სადაც შევჩერდით, აღარ მახსოვს. ქაჯეთის ციხესაც უწოდებენ თურმე და გავს კიდევაც. შემდეგ ზარზმა, იქედან ზარზმის წყალი ხეობაში (ბათუმის ულამაზესი გზა), ისევ სუფრა და ლხინი.

3 ივნისს წამოვედით, შევჩერდით ლიკანში. შემდეგ, გორამდე, სასადილოში და საღამორელე მშვიდობით ჩამოვედით თბილისს.

85 წ. ზაფხული.

* * *

წავედით და წამოვედით დუშეთს. წავასვენეთ ფისოს ბიძაშვილი. წავაყარეთ მიწა და დავბრუნდით.

9. VI. 85 წ.

* * *

მე და ლევანი ვიყავით მეტეხში გუშინ. წავედით და წამოვედით. კასპამდე, ფერდობზე, თხის არვე მოდიოდა დარბაისლურად. ლევანის ცოლ-შვილის სანახავად ვიყავით. დღეს კურდღელი გადმომიხტა, გადამიარა წინ და იქვე, გზის პირას დაცუცქდა ყურების პანტურით. რუხი, ალაგ-ალაგ მოყავისფრო ბეწვით.

ცუდიაო და ვნახავ...

ერთხელ, პირიქით, კარგად ამიხდა.

8. VII. 85 წ.

* * *

19 ივლისი. საჩხერე.

ჩავედით სამი მანქანით. ის ღამე მერჯევში, ჯურხას კანტორის აივანზე გავათიე. მეორე დღეს სხვიტორში, ჭიათურაში, გამოგვედევნა ნ. შამანაძე. წავისაუზმეთ და ბაღდათში, წყალთაშუაში. ფერსათში, თ. აბულაძესთან, ქორწილი. არ შევჩერდით, წამოვედით თამაზის მანქანით. თამაზი, მუხრანი, მე და ლევანი. ფაცხაში შევჩერდით, იქ შევუბერეთ. მეორე მანქანით ფერსათში დარჩნენ გივია, ქიშო და ვალერი, ჩაჩუა თავის სოფელში წავიდა.

21. VII. 85 წ.

* * *

ვიყავით **ქვათახევში**. მასპინძელი — ვინმე მედგარი და სხვები. სუფრა, თამადა ლ. სანიკიძე. წევრები: მე, მუხრანი, გივია, ლევანი, ლ. ალიმონიაკი, ლევანის ბიჭი — გორდა. მაღალაანთ საყდრის ეზოში განვაგრძეთ. მთვარიანი ღამე იყო.

28 ივლისი. 85 წ.

* * *

4 აგვისტო.

ქუთაისი. სიცხე. მიკი.

ჩავედი თერთმეტის ნახევარზე. უკვე ცხელოდა, დამიხვდნენ: დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი ძმა, რძალი და ძმისშვილი.

ჩავიყვანეთ მიკი და დავტოვეთ.

გავჩერდით სამი საათით და წამოვედით.

* * *

ახლა 6 აგვისტოა.

ვარ ბიჭვინთაში. მამუკამ ფეხი დაიშავა, — გადაიგლიჯა, წავიყვანე, გაუკერეს. ვიბანავე მღვრიე წყალში, ახლა ვახშამს

ველოდები. რადიოში ქართული ხალხური სიმღერებია, „მუმლი მუხასა“ მორჩა, ახლა – „არალალო-ვარალალი“, „ნეტა რა არი მისთანა“... და სხვა.

* * *

12 აგვისტო. ბიჭვინთა.

ვიყავით რ. თაბუკაშვილთან, ცოლებით: მე, ფანჯიკიძე, ამაშუკელი, ვ. ასათიანი, გ. ბათიაშვილი, ემზარი უცოლოდ, ცხადია.

მასპინძლები: რეზო, მედიკო, ბავშვები, მურმანი (თვითმფრინავში გადარჩენილი), ლაშამ მოიყვანა ამხანაგი, ვინმე ცხაკაია.

განსაკუთრებული არაფერი...

* * *

წუხელ ძალიან ცხელოდა და ვარსკვლავებით გადაჭედილი ცა ჩანდა. ასეთი გამჭირვალე ცა, მგონი, არასოდეს მინახავს. ემზარმა შემახსენა და ამეკვიატა: „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი მოკაშკაშ-მოელვარეო“. ძალიან ცხელოდა და აივანზე გამოვიძინე. ვახშამზე ისევ თაბუკაშვილებთან ვიყავით. ახლა მშვენიერი დილაა, წავდივარ საბანაოდ.

19. VIII. ორშაბათი.

* * *

გუშინ ვიყავით სასადილოდ. ახლა 21 აგვისტოა ალბათ, ოთხშაბათი. ცხელა. ოთახში ვერ ვჩერდები, ქვევით ვზივარ, სადაც პინგპონგის მაგიდაა.

21. VIII.

* * *

ქუთაისში ჩავედი 28-ში, შუადღით. ცხელოდა ძალიან. მამუკა დარჩა საირმეში და გვიან ღამით ჩამოვიდა. დავიძინე ეზოში, ქარსიცხეში, როგორც ადრე ვიძინებდი ხოლმე.

27-ში წავედი ოჯოლაში. მივიარ-მოვიარე, ბერსათრიელიც ვნახე.

საღამოს გამოვედით ქუთაისიდან ჩვენ და მიკი...

ახლა 30 აგვისტოა. არ ცხელა. იწყება თბილისური ცხოვრება უამრავი პრობლემით.

1985 წ.

* * *

გუშინ, შაბათ დღეს, ისევ კასპის რაიონი, ხორგუაშვილთან. სხვილოს ციხე, ქვემო ჭალა, ამილახვარიანთ სასახლე, ლამისყანა, ორბელიანთ სასახლე და სუფრა ზევით, ტყეში. შემადგენლობა ძველებური: მე, მუხრანი, სანიკიძე, ლევანი, გივია, ჩაჩუა, თ. ჩხეიძე, იორამი, მძღოლები და მასპინძლები.

ორიოდე დღის წინ ისევ კასპში ვიყავით თითქმის იგივე შემადგენლობით. იმჯერად კასპის მეურნეობის თავმჯდომარის ოჯახში (ნოპერაშვილი) (?), მანამდე კაკაბეთში — წინ შაბათს. ეს იყო, ალბათ, 28 სექტემბერი, რთველში: მე, ბუღაძე, იორამი და გიგა. უამრავი ბავშვი, ნათესავები პაპუაშვილისა, სუფრა, წვიმა და ასე შემდეგ. წამოვიღეთ მე და იორამმა ცოტაოდენი ყურძენიც და დავწურეთ კიდეც პავლეს სარდაფში. 10 ლიტრა გამოვა ალბათ ბოლო-ბოლო...

დღეს კვირაა, 6 ოქტომბერი.
1985 წელი.

* * *

19 ოქტომბერს კაკაბეთში, ცოლთან ერთად, გ. პაპუაშვილის დედის გასვენებაში.

24 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ქუთაისში, ცოლთან და გ. თუთბერიძესთან ერთად, რ. გუმბერიძის გასვენებაში, ნათესავები: თ. ზეინკლიშვილი, რ. გორგოძე, ა. მაჭავარიანი, ი. ქუთათელაძე, შორიდან დავინახე.

ქელეხი გამოვტოვეთ, არ წავედით. შემდეგ ცალკე დავსხედით „იმერეთში“. მ. კოხრეიძე, კოკლი, ჯუმბერი, ჯიჯი, გურამ თუთბერიძე, მურადი, ქვისლი გურამისი... და სხვა...

1985 წ.

* * *

1973 წლის შემდეგ მოსკოვს არ ვყოფილვარ. ახლა ვუახლოვდები მატარებლით. დათოვლილი მინდვრები და ტყეებია. ტყეში ვარჩევ არყს, ვერხვს, აქა-იქ – მუხას. საათნახევრის წინ ჩავუარე იასნაია პალიანას, კარგად, თავისუფლად ვიმგზავრეთ მე და ფისომ. რადიოა ჩართული, „ქალაქურ“ სიმღერებს მღერიან, საეჭვო ქართულს... განუწყვეტლივ: „ქვევრიდან რომ ამომისხესო“... ღვინოზეა ლაპარაკი. ჩამომისხეს, გადმომისხეს არ გამოდის, ხვდება ავტორი, – ამომიღეს არ იცის, „გადმომიღეზე“ აღარაფერს ვამბობ. მაძაგძაგებს ვაგონი, ძლივს ვწერ...

5. XI. 85 წ.

* * *

ქუთაისური ზამთარია მოსკოვში. წყალს მიაქვს ქუჩები. ქარი არ ქრის მხოლოდ და ეგაა... გუშინ კრემლში შეგვყარეს და დაგვირიგეს ჟეტონები. მინისტრთა საბჭოს შენობაში, ალექსანდრეს დარბაზში(?) (ეკლესიას ჰგავს) ჩატარდა ცერემონიალი. სამჯერ გაგვისინჯეს საბუთები (მეოთხედ – გასვლისას), გვაჭამეს ბოლოს საჭმელი მშრალად (უღვინოდ) და გამოგვიშვეს. თბილისზე სუფთა ჰაერია ამ ქალაქში, მოძრაობაც ნაკლებია, მოსახლეობის ნახევარი მიწისქვეშაა, დღისით სასტუმრო (Москва) ციხეს გავს. სტუმარმა საშვი უნდა გააფორმოს კომენდატურაში თუ სადღაც. ადრე უფრო ბნელ (Мрачный) შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს ქალაქი, ახლა? აზრის გამოტანა

მიჭირს. თავად კრემლიც (ერთი თვალის გადავლებით) მრისხანეცაა, დიდიც, უსუსურიც, არქიტექტურულად დეფორმირებულიც, მთლიანიც და არამთლიანიც, ისე, როგორც ქალაქი და მთელი რუსეთიც.

აქ არიან, სხვებთან ერთად, ლაურეატები ჩვენი კინოსი, შემდეგ დ. გოგიშვილი (მგონი, გაფრინდა ამ დილით), იმედო ცოლით, ლორთქია და აბაშიძე, ბ. ჭოხონელიძე (ის ორი თავის საქმეზე). გუშინ შემხვდა თ. ბუაჩიძე, ვერ მოვიფიქრე ბანკეტზე დაპატიჟება. გუშინ ბანკეტი – მხატვართა სახლია თუ რაღაც ამდაგვარი, რესტ. დირექტორი კოპალეიშვილი. ხალხი ბლომად კინოს მხრიდან. ელდარი თამადა და ასე შემდეგ...

გუშინ კინოს სახლის რესტორანში ვიყავით, თორნიკემ დაბადების დღე გადაიხადა რესტორანში, ნახევარზე მეტი (60% ალბათ) ქართველები. წამოვედით და ჩხუბიც ამტყდარა. ელდარს დაუხელთებია კ. იგნატოვი.

ახლა 7 დეკემბერია. მოღრუბლული, მოქუფრული დღეა, ცოლი – საყიდლებზე, მე – სასტუმროში.

P. S. დღესვე მე, ელდარი და კ. ცხაკაია ვიყავით მაიაკოვსკის საყვარლის ლ. ბრიკის ბინაში. ლილია იურევნას ეძახოდნენო. იქ დაგვიხვდა ფარაჯანოვი და მასპინძელი, სომხური გვარის ლ. ბრიკის ქმრის შვილი, თუ ორთავეს შვილი. ცოლი – ებრაელი, დედა იმ ძმისა, ისიც ებრაელი. შემდეგ დავაზუსტებთ, თუ აუცილებელია... სახლი, 3 ოთახი, მუზეუმივითაა, სურათები და ნივთები. დამალული კიდევ უამარვი აქვთო, ფარაჯანოვმა თქვა ქართულად, ფიროსმანის 3 სურათი, პიკასო და სხვები. ყველას ვერ ვახსენებ... ეთიოპური რეპროდუქციები იყო წარწერებით, სულ ქართულ დამწერლობას გავდა, ძველსაც და ახალსაც. იმ სახლში კიდევ უნდა მოვიდეს კაცი, ყველაფერი ვერ აღვიქვი, თავიდან რომ დამათვალიერებინა, კარგი იქნებოდა.

* * *

ახლა 11 დეკემბერია. დილის 10 საათი (რკინიგზის დროით), მზეა და გაკრიალებული ზღვა ჩანს. ვუახლოვდები საქართველოს, სადღაც იქა ვარ... საღამოს 10 საათისათვის შევალთ თბილისში და დასრულდება ჩემი სამოსკოვო ხანმოკლე მოგზაურობა...

* * *

გუშინ, 30 დეკემბერს, წავედით მახარაძეში, ლადო მალაზონიას პანაშვიდზე. წავედით და წამოვედით ლ. სანიკიძის მანქანით. დილით 5 საათზე ავდექით ყველანი, როგორც გავარკვიეთ. 6 არ იყო, ქალაქიდან რომ გავედით... ზესტაფონში დაგვათენდა. შევედით ბაზარში ყველის საყიდლად. შეგვხვდა იურა არაბიძე. ხანმოკლე სუფრა „ეკლებში". ისევ გზაზე, ერთხელ შევენაცვლე მხოლოდ ლევანს. ლევანი გავახარეთ. იქაც პატარა სუფრა და უკან. ბინდბუნდში იყო ქუთაისი, სახლში არ შევიარე. ლევანმა სასაფლაოსთან გააჩერა მაინც მანქანა, შვილის სამარეზე გაგვიყვანა... ჩემი მიცვალებულებიც არ ვნახე. არ იყო იმ მომენტში საჭირო. წამოვედით და რიკოთთან, რიკოთამდე, უფრო სწორედ, ფაცხაში შევუხვიეთ, იქაც შევექეცით და გვიან ღამით ჩამოვედით... ახლა ახალი — 1986 წელი ჩამოდგება ერთ საათში... ღმერთო, სიკეთე ჰქენიო!

31. XII. 85 წ.

1986

* * *

თელავში ვიყავ კვირას, პირველ მარტს, ბალარჯიშვილებთან. წავედით მე და რეზო ინანიშვილი, მამუკა მეჯდა რულზე. გზა ალაგ მოყინული იყო და ვფრთხილობდით. დავბრუნდით იმავე დღეს.

ორშაბათს წავედით ქუთაისში, მიტუშას დაკრძალვაზე. მამუკა — ისევ მძღოლი. ლეილა, გია, გუბაზი. გაგვისკდა 2 საბურავი, ვიწვალეთ.

მეორე დღეს გასვენებაში. ქვიტირი. ჭეიშვილები... ერთი ქვა ჩავიდევი ჯიბეში და წამოვიღე. ახლაც ჯიბეში მაქვს.

ახლა პარასკევია, 7 მარტი. მანქანაში ვავსებ. ვდგავარ, რა ქვია ამ ქუჩას, სადაც სამხატვრო აკადემიაა. წიგნის მაღაზიის გაღებას ველოდები. „ქართული პროზა" (თუ იქნა — სხვაც) უნდა გამოვიტანო.

* * *

22 მარტი. ვიყავით ობჩაში, თ. გრძელიძის მამის გასვენებაში. თბილი ამინდების შემდეგ მარტმა აურია, მაგრამ მაინც გაყვავილებული იყო იმერეთი. იმ დღეს მზე და სითბოც იყო. უბისა განსაკუთრებულად ლამაზი ჩანდა. რაფით წავედით: ჩემ გარდა, მუხრანი, ლ. სანიკიძე, ლ. მალაზონია, გივია, თამაზი, ჯგუბურია, ტარიელი, ჩაჩუა.

უკან გამობრუნებულნი შევჩერდით ხუნევში, „ოდაში" და ცეკვა-თამაში დოლ-გარმონზე. ეგრეა.

1986 წ.

* * *

3 აპრილი. არგვეთი, საჩხერე. ჩემი მანქანით — ბუჭუკა მაჭავარიანის გასვენებაში. უამრავი ხალხი, ნაცნობები, მეგობრები. ზოგიერთი (ჩემიანები) წინა ღამით ჩასულიყვნენ. სამხედრო ორკესტრითა და სროლით დამარხეს.

შემდეგ ქეიფი იუზა ჩხეიძესთან. მე იმ საღამოსვე წამოვედი. გაყვავილებული იყო ზემო იმერეთი საოცრად.

1986 წ.

* * *

7 მაისი. ცხინვალი, მუხრანის მანქანით წავედით. გივი (მძღოლი). მუხრანი, მე, თამაზი, სანიკიძე. შეხვედრა მუხრანთან, შემდეგ სუფრა საზიზღარი, ყელში ამოსული სადღეგრძე-

ლოები და საძაგელი სიტუაცია. ძმები ვართო, იძახდნენ ოსები, საქართველოდან ჩამოსულ(?) ხალხს გაუმარჯოსო, ამბობდნენ რუსულად.

მძიმე სიტუაციაა. ჩემ ძმებს (პატრიოტებს), უკაცრავად პასუხია, ფეხებზე ეკიდათ ყველაფერი. რა გვეშველება!

1986 წ.

* * *

2 ივნისია. ახლა ჩამოვედი დასავლეთიდან. შაბათს, ე. ი. 31 მაისს წავედით მე და ჩემი მეუღლე სოხუმისკენ, ლევანის ქორწილში. ის ღამე ქუთაისში გავათენეთ.

ფეხბურთი ვნახე იაპონურ ტელევიზორში ტატულია კორძახიასთან. პირველში წავედი, ჩავედი, დავბინავდი მადალისთან. ხუთ საათზე დაიწყო და 8 საათზე აიშალა, ფაქტიურად, ხალხი. რომ შევხედე, აღარავინ რჩებოდა, მეც წასვლა დავაპირე, სმას ვუკელი და დავიძვრინე როგორღაც იმ ღამით თავი. დაგვემგზავრა ნ. ხუცურაული ცოლით, გავჩერდით ზუგდიდში კანკიებთან. გვცა ამ კაცმა პატივი, წამოსვლისასაც დავლიე ცოტა. მშვიდობით ჩაველ მაინც სახლამდე, ისევ მიშიკო და დედაჩემი დამხვდნენ, ისხდნენ, საუბრობდნენ. ნოდარი დაჯდა ქსანამდე რულზე. ახლა აქა ვარ. რუსებმა, უფრო სწორედ — უკრაინელებმა მოუგეს თავიანთ ყმებს — უნგრელებს 6:0-ზე.

1986 წ.

* * *

თიანეთამდე არ მივსულვართ, ერწოს სასადილოში, თავლას რომ გავს, გ. ნარიმანიძის ინიციატივით ვჭამეთ პური. ცხელოდა. ივნისი იყო. შემდეგ გურამის მშვენიერი სახლი სიონის წყალსაცავთან, მურად წივწივაძე იყო ჩვენთან. დანარჩენები — იგივენი და იგინივენი.

ივნისი, 86 წ.

* * *

24 სექტემბერს:

ცხინვალი. სოფლები გარშემო. ციხეები. ვანათი, ბელოთი, აწრის ციხე, ამომშრალი წყალსაცავი. ჩამხრჩვალი ხეები. კაპანაძის აშენებული ეკლესია. აწრის ხეობა. სულ პირველად IX საუკუნის შესანიშნავი ბაზილიკა. სოფ.? ამშენებელი თაფლანიძე. საფლავები: ფანეზაშვილები (?), ხიდირბეგაშვილები...

სუფრა არხის წყალზე. სუფრის ქვეშ გადიოდა წყალი. ქალები, კაცები, ჩვენ: მუხრანი, თამაზი და მე. დღე მშვენიერი, პურმარილი კარგი... ხილი მწიფდა: კვრანჩხა, ჩიტივაშლა, ქლიავები.

* * *

18-19 ოქტომბერი. გურჯაანი, იყალთო.

კაკო ჯორჯაძის ოჯახში ვიყავით მე, ლევანი, ზ. ნემსაძე. წავედით კაკოს წითელი „მოსკვიჩით". ბიჭიც (არჩილი) გვახლდა კაკოსი. მშვენიერი მასპინძლები, მშვენიერი კარ-მიდამო. კვირა დღე. მზიანი იყალთო. „შოთაობა". ხალხი. სიმშვიდე. კარგი განწყობა. დიდხანს არ დავრჩენილვართ, დუქანთან ჩამოვხტით გზაში. სუფრა, ეზოში, ტყის პირად. უზარმაზარი, შავად აჭრელებული ღორი ჩანდა ქვევით... გავიხსენე ჩემი ადრინდელი კახეთობა, ხან – ზეროსთან, ხან – ომართან... ახლა იქით ახლობელი აღარავინ მეგულება, ასე შემთხვევით თუ აღმოვჩნდები ხოლმე სადმე...

1986 წ.

1987

* * *

12 იანვარია. ახალი წლის (ძველით) წინა ღამე. ტელევიზორში საახალწლო გადაცემებია. წამოვედი გუშინ მატარებლით. გათენდა და, ქუთაისის მაგივრად, ძეგვში აღმოვჩნდი.

ეს მატარებელი დღეს ვერ ჩავა ქუთაისში-მეთქი და ჩამოვედი — შევეტენე რაღაც ავტობუსში, ჩაველ მცხეთას. მცხეთიდან ტაქსით — ტრასამდე, ტრასიდან ჩოხატაურის „იკაროსში“, ფეხზე, ჯგლეთაში. ზესტაფონში დავჯექი მხოლოდ. ურემივით მოდიოდა ისედაც. თუ სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დაადებ სინათლესაო...

როდის ვიმგზავრე უკანასკნელად ამ გზაზე მატარებლით ან ავტობუსით, აღარც მახსოვს.

აწი ყოველკვირა მომიწევს აქ ჩამოსვლა. უნდა შეივსოს ეს წიგნუკა თუ არა?

12. I. 87 წ.

* * *

გუშინ ჩამოვედი კ. ჯორჯაძის მანქანით. გზა მშრალი, სითბო. კოკლიმ მომაკითხა, სხვებმაც დარეკეს. რ. მეგრელიშვილი, მ. ფურცხვანიძე და (ერთის გვარი ვერ დავიმახსოვრე) ვიღაც „ჭვარჭკალტე“ მოვიდნენ. მეცნაურა კი. თეატრთან ვიყავი დაახლოებული 51, 52, 53 წლებში, დამხმარე შემადგენლობასთან ვამხანაგობდი ცოტა ხნით და იმათაც ვახსოვარ დღემდე. შემდეგ ზევით ავედით, გორაზე და შეღამებულს გაავდარდა, ჯერ წვიმა, შემდეგ თოვლი წამოვიდა. ამ დილით თვალი გავახილე და თეთრად იყო ეზო, ხეები გადაფარული, შაშვი იყო თუ (შაშვს არ ჰგავდა) ბულბული(?) გალობდა თავდავიწყებით. შემდეგ ისევ წყალწყალა თოვლი წამოვიდა და ეს დღეც ჩათავდა. ახლა ცხრის ნახევარია, ცივა გარეთ და შინ... ეს წიგნი, აწ. გზაში ვიქნები გაკრული, კიდევ უნდა ვავსო თუ არა, არ ვიცი...

28. I. 87 წ.

* * *

დღეს აქ, 6 თებერვალია. ქუთაისი. შუადღით წავედით ზღვაჭალადიდისაკენ. გავიარეთ ხობი. გადაჭარბებულად გააბუ-

ქესთქვა, მოგვეჩვენა და წყალწაღებული, წყლით დაფარული სოფლები ვნახეთ, სავალალო სურათები. ცხოველები, ძროხები, ფრინველები, ინდაურები, ბატები (ესენი გრძნობდნენ მხოლოდ სამოთხეს).

6. II. 87 წ.

* * *

დღეს 7 თებერვალია, ალბათ — შაბათი დღე. წავედით ა. ყურაშვილის მანქანით ჩოხატაურში, ზ. ბოლქვაძის დედის დაკრძალვაზე. გასვენება გუთურში(?), ხალხი ბევრი თბილისიდან, ქუთაისიდან, ადგილობრივი რაიონებიდან. მპატიჟა ა. ჩხიკიშვილმა, გამოვექეცი ბოლოს მაინც. ქუთაისის გარე რესტორანში (დამკვრელებით) შევიყარეთ თავი. იყვნენ: ქუთაისლები. კვიცარიძემ ლ. ასათიანის ლექსი წაიკითხა. უნდა დავბეჭდო-მეთქი. დავბეჭდავ მართლაც...

წინა დღით, ე. ი. გუშინ, ექვსში, დანგრეული, წყალწაღებული სურათები ვნახეთ.

რა და რა, რა შეიძლება ვთქვათ, რა ჩამოვთვალოთ:

დატბორილი საჩალე ეზოები, დამხრჩვალი საქონელი, ქათმებიც კი (ტალავერზე).

შინაური ფრინველები ხეებზე, ქათმები, ინდაურები ძირს არ ჩამოდიოდნენ.

თოლიები უამრავი. თოლიები ბუზებივით დაფრენილნი ღობეებზე თუ სიბინძურეზე.

ბუები ხეზე (ორი ბუ), ცოცხლად დარჩენილი საქონელი, ეზოს ჭიშკარზე მიმდგარნი, გაოცებულნი იხედებოდნენ, გაოცებულ-დაბნეულები.

უკან ვბრუნდებოდით, მზიანი დღე. იქით და აქეთ კავკასიონი. თეთრად ელვარებდნენ მწვერვალები დიდი და პატარა კავკასიონისა...

* * *

26 თებერვალი.

ისევ ხობის რაიონი. შევჩერდით აბაშაში, შემდეგ ხობი. გავედით დამბებზე ჭყვაპში და ტალახში, შემდეგ სოფლებში, უფრო სწორედ, სოფელ ჭალადიდის კუთხეებში.

საგვიჩიო — გაუბედურებული მოსახლეობა, გლეხები, ქალები, ბავშვები.

სვანეთში აპირებდნენ მდივნები წასვლას, ვერ წავიდნენ და შევუერთით მე და დ. კვიცარიძე. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ლ. თაბუკაშვილი... კ. იმედაშვილი, ჩაჩუა ფოტოაპარატით და ერთი კაცი ქრონიკალურ-დოკუმენტალური სტუდიიდან, რაიკომის მდივნები აბაშის და შემდეგ ხობისა. ხობის აქტივი და მშვენიერი ნაგებობანი. ბოლოს სუფრა, რასაკვირველია. იმ დღით კი გოგისვანიძეებთან წავისაუზმეთ. გიგლა გაგვიხდა მასპინძელი, თუმცა მე ვაპირებდი ფულის გადახდას...

* * *

12 მარტს ბაღდათში ვიყავით. მზე იყო და ცივი ნიავი. გუშინ, 13-ში — სამტრედიაში. იქაც მზე. ხეები აყვავებული და მაინც უსიამო ამინდი იგრძნობოდა. ახლა 14 მარტია.

თოვს. ხან წყლად მოდის, ხან — თოვად.

ქუთაისი
14. III. 87 წ.

* * *

ამასობაში მივდი-მოვდივარ ქუთაისსა და თბილისს შორის. ახლა თბილისში ვარ, ნამაისევს წავალ ქუთაისში.

28 აპრილი, 87 წ.

* * *

გეგუთი, ტყაჩირი და კიდევ რაღაც სოფელი. დაბლობი, ვაკე. ქართველ მეფეთა სანადირო ადგილები. ახლა სიმწვანე, მებოს-

ტნეობა, მებაღეობა და სახლომანია. უზარმაზარ სახლებს იშენებენ მემწვანილეები. მაინც ლამაზია, ზოგიერთი — ძალიან უშნო.

ერთი ხის სახლი (ძვირფასი) დავიმახსოვრე, თუ არ ვცდები, — ლანჩავას ბებიის პანაშვიდზე ვიყავით.

15. V. 87 წ.

* * *

გუშინ, 17 მაისს, კვირა დღეს, შეხვედრა ლანჩხუთში. სუფრა გრიგოლეთში. გაზაფხულის გურია. საზოგადოება მშვიდი. რაიკომის მდივანი — კარგი და ასე შემდეგ...

* * *

ხოლო შაბათს, 16 მაისს — ჯვარისაში — დედულეთში. კ. მიწიშვილის სახლი:

მუზეუმის გახსნაზე ცხელოდა. იქაურები, მოხუცები, ნაცნობი სახეებიც. გემრიელი ჭის წყალი. სიტყვაც ვთქვი აივნიდან და პოეტის ლექსი, „მეტად უნუგეშო პეიზაჟიც“ წავიკითხე.

* * *

გუშინ, 3 ივნისს, საჯავახოში და იქით, რომელიღაც სოფელში, რიონ-ცხენისწყლის სანახავად წავედით. ავთო და ნემსაძე მახლდნენ...

10. VI. 87 წ.

* * *

შაბათს, 4 ივლისს, ტყიბულში — ნოდართან, ვაჟის ქორწილში. გადამწვანებული ოკრიბა. როგორ მიყვარს იქაურობა. ქორწილი — კოშმარივით. იქიდან ქუთაისში, გორაზე, კოკლის ეზოში, გუშინ, კვირა დღეს, ვარციხეში, იუზასთან. ღამეც იქ გავათიეთ მე, კაკო ჯორჯაძემ და ლევანმა.

ახლა ორშაბათია, შინ ვარ.

6 ივლისი, 87 წ.

* * *

გუშინ ნოქალაქევი, ლეძაძამე. მებადურთა მთელი არმია გვახლდა. დაიჭირეს, შეწვეს, მოხარშეს ტეხურის პირზე. ჩამოღამდა. შევიძინე თუ ვიშოვნე ძველთაძველი ტაბლა, დავშალეთ და ძლივს ჩავდევით ფურგუნ-ფიატში. კარგი რესტავრაციაა საჭირო.

20. VII. 87 წ.

* * *

სოფლები: **ცხენთარო, როდინოული.** რატომღაც, არასოდეს მანამდე (გავლითაც კი) არ ვყოფილვარ. როდინოული, ქართლის სოფელს გავს. ცხენთაროც რა სახელია? ცხენთა-რუ?

30. VII. 87 წ.

* * *

11 სექტემბერია. მოსკოვში ვარ. დღეს ჩამოვფრინდი ქუთაისიდან. გუშინ თბილისში ვიყავ, ათასი საქმე მოვილიე, დღეს სამსახური. შემდეგ ვარდციხე, იუზასთან. ძვირფასი სუფრა გამართა ჩემს საპატივცემულოდ. თვითმფრინავმა დააგვიანა ფრენა, თვარა ვერ მივუსწრებდი კოპიტნარში. ახლა სასტუმრო „რასიაში“ ვარ. მივემგზავრები ესპანეთს, პარიზის გავლით. ჩემოდანში ღვინის ბოთლი გამიტყდა (ხვანჭკარა), სულ მოთხვარა ყველაფერი. საგონებელში ვარ. ახლა ავთანდილ მაჭავარიანმა დარეკა, გამოვალ, მაცალე, პურმარილი (გამოუტანებიათ სუფრიდან) არ გაანადგუროო.

IX. 87 წ.

* * *

გუშინ ჩავფრინდით პარიზში, შუადღე იყო. ცხელოდა კიდეც. დიდხანს ვიდექით ბურჟეს (დე გოლის) აეროპორტში. ვაკვირდებოდი თვითმფრინავებს. საელჩოდან მოიყვანეს ავტობუსი. გაგვატარეს ცენტრში, მთავარ ქუჩებში, ეიფელის კოშკთან ფო-

ტოსურათები გადავიღეთ. არლის აეროდრომიდან მადრიდში ჩამოვედით ღამით. დაგვხვდა ზ. აბაშიძე. ჯგუფი დარჩა ვაგზლის შენობაში. მე, მაჭავარიანი, წერეთელი და მანანა ჩაგვსხა მანქანაში და გადაგვსხა ღამის მადრიდში. ხალხი გარეთ. ბაღებში, სკვერებში. ლუდი ცივი და ძვირფასი! შემდეგ შინ მიგვიყვანა. მარტო იყო, ცოლ-შვილი შემდეგ ჩამოვაო.

დილით მადრიდის აეროვაგზალში გამეღვიძა და რატომღაც (?!) მცხეთის რკინიგზის სადგური მეგონა კარგა ხანს.

ამ დილით ჩამოვფრინდით ბილბაოში. ბილბაოდან ავტობუსით ვიარეთ, რომელიღაც სოფელში დაგვაბინავეს, მონასტერს გავს შენობა. პროტესტი განვაცხადე. წერეთელი მერთან წავიდა და ჩვენ ოთხნი (დელეგაციის წევრები და გიდი) „ვიტორიას“ სასტუმროში ჩაგვასახლეს. ახლა ვართ ამ სასტუმროში (რა ქვია, არ ვიცი) და ვისვენებ, თუ არ ვცდები, 4 სექტემბერია.

სოფ. მიურღია
1987 წ.

* * *

კონცერტი გამართეს სოფელ **არამაიონის სან მარტინის ეკლესიაში.** იქაურები — ბავშვები, გოგონები, ძირითადად ისხდნენ, ქართულ სიმღერებს უსმენდნენ, უკრავდნენ ტაშს. კონცერტსაც არა უშავდა. შემდეგ ვახშამი, ორი თავი კერძი და ხილი, რაღაც ტკბილიც შემოიტანეს ბოლოს...

ახლა დილაა. ვიტორიას სასტუმროში ვარ. ქალაქი გაკრიალებული. ჯერ ხეირიანად არც დაგვითვალიერებია, რომელიღაც გენერლის სახელი ქვია, ძველი შემორჩაო. აქ ფრანკო არ უყვართ, დანარჩენი სახელები გადაარქვესო. ახალთახალი „მერსედესი“ გვატარებდა (ტაქსი) გუშინ. დღესაც ის იქნება თუ სხვა, არ ვიცი...

P. S.

ქალაქის „მერიაში“ ვიყავით. გულთბილად დაგვხვდნენ. ფეხით ვიარეთ. მშვენიერი ქალაქია, ძალიან სირცხვილია ამ ხალხის ქუთაისში ჩამოყვანა. გამორჩეული შენობა თითქოს არ არი. სახლები 5-6 სართულიანი, ერთმანეთზე მიწყბილი. მდინარე არ არი, შორს ჩამოუდისო. სპორტული კომპლექსი, ძვირფასად გაწყობილი. საკუთარ მაღაზიაშიც შეგვიყვანა. სასმელები და პროდუქტი აქვს, რა გინდა, იქ რომ არ ძევს.

ცოლი – გულთბილი, შვილიც ისეთი. ბიჭი, 12 წლისა, დახლში იდგა მაშინ. საღამოს კონცერტზე მოვიდნენ, სუფრა გაგვიშალა ეგზოტიკურ სასტუმროში. საჭმელიც იყო და დასალევიც. ღვინოსთან თავისებური დამოკიდებულება აქვთ. წითელი ღვინო ძირითადია, თეთრი თევზზეო, სადილის შემდეგ ბრენდი ან შამპანური და მხოლოდ მაშინ უნდა სადღეგრძელოები. საღამოს კონცერტი და ვახშამი ბასკურ სოფელში – ლაგარინო. სოფელი პატარა, მწირიც. ხალხი – გლეხები. ძალიან გვანან ქალები ქართველ ქალებს. ერთ სოფელს ბადიაური თუ რაღაც ამდაგვარი სახელი ერქვა.

ქართულ კრამიტს რომ ვეძახით, იმითაა სახლები დახურული.

კრამიტი – ტეხო (ბასკურად).

მტეხავს და მოთენთილი ვარ.

ტეხოა თურმე...

დღისით ქალაქის ცენტრი. დიდი ეკლესია, ვიტორიას მფარველის სახელზე.

თეთრი ქალწული

მდინარე – საზორა

ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

ალავას პროვინცია

ხენერალ ალავის სასტუმრო

მაჩა– ბასკურად ყურძენი, თანაც სასმელი.

შეადარე მაჭარი, მაჭა – ხელეური, გვარი მაჭავარიანი და ათასი სხვა.

პარიზიდან მადრიდში რომ მოვფრინავდი, ხელმარჯვნივ დიდებული სურათი ჩანდა, წითელ-ცისფერი, დაბალი, გრძელი ჩანჩქერი. ეშვებოდა ცის კიდეზე, გული მისკდებოდა თვითმფრინავში და რაც არი, არი-მეთქი და ამ სურათს თვალი ვერ მოვაშორე.

მუჩო — (ესპანურად) ბევრი, კარგი, ძვირფასი.

აბა, მუჩო!

* * *

გუშინ შორს, მგონი, 120 კილომეტრით გავშორდით ვიტორიას. ვუყურებდით ბასკეთს. იქით — ალაგ მწირი და ხრიოკი, ალაგ ჩვენნაირი, კონტრასტი ცვალებადობს, ხან აღმოსავლეთ საქართველოს გავს, ხან — დასავლეთს. სოფელი თუ დაბა ლაგრანი(?), სახლები ცოტაა, ეკლესია — მდიდრული საოცრად, ალტარი და სხვა კედლები სულ ოქროთი თუ ოქროსფრად დაფერილი. მთავარი ამათთვის ღვთისმშობელია — მადონა, მის მარადიულ ქალწულებას, სინორჩეს, სისუფთავეს, სითეთრეს, უბიწობას აქვს ხაზი გასმული. ჩვენთან — ღვთისმშობელი — დედა, მშობელი — უპირველესად.

შემდეგ ისევ მანუელ-ალეხანდრის ოჯახში. მშვენიერი სახლი და ბინა. ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენთან ამნაირი რამ. ჩვეულებრივი, დავუშვათ, კარგი ტიპიური სახლი... ამნაირი სასტუმრო არა გვაქვს ჩვენ...

შემდეგ რესტორანი, ღამის ვიტორია, ღია იყო ბარები პირველი საათისათვის, მაგრამ ხალხი, ე. ი. უმრავლესობა, შინისაკენ მიიჩქაროდა.

ახლა თერთმეტი საათია დღის.

მერთან გვაქვსო შეხვედრა და უნდა გავემზადო.

7 სექტემბერი, 87 წ.

P. S.

დღესვე სოფ. ისარნა, ვარსკვლავს ნიშნავს, თუ მეტეორასო და სწორად ვერ გამაგებინეს. მე რომ ვაჩვენე ხელით მშვილდ-

ისარი, მათ მიპასუხეს, სწორედ ასევეა ცაზეო. ვინც ამას მიხსნიდა, გვარად ორმოსავალა იყო და თავადვე იცოდა, ქართულ სიტყვას რომ გავდა. ქალაქის მერმა წაგვიყვანა სამნი, მოვიდა სასტუმროში და ტაქსი გამოიძახა(?).

7. IX. 87 წ.

* * *

დღეს ქალაქში. საღამოს გასვლა უზარმაზარ სოფელში. ლილოში თუ რაღაც. ჩვენში ამნაირ დასახლებას ქალაქს, უკიდურეს შემთხვევაში — დაბას ეძახიან. კონცერტი. ხალხი ბევრი. უგემური ვახშამი და შემდეგ ჩვენზე მომაგრებული „მერსედესით" ბილბაოში. დავიარეთ ქალაქი ღამით. საინტერესო ადგილია. ერთი უბანი ჭიათურას გავს, სუნი ზესტაფონის დგას. ცენტრი დიდი და თანამედროვე ქალაქის. საინტერესო სახლები, ძეგლებიც.

გავიარეთ ჩინურ უბანში. მანქანიდან არ გადმოხვიდეთო, გაგვაფრთხილეს წინასწარ. მართლა არ შეიძლებოდა გადმოსვლა, შთამბეჭდავი სურათი მაინც...

ქალაქის სხვა ნაწილები მომაკვდავი იყო უკვე ღამის 12 საათისათვის.

ახლა
8. IX. სინამდვილეში
9 სექტემბერია, 87 წ.

* * *

დღეს 9 სექტემბერია. ქალაქის ძველი ნაწილი და საკრებულო ტაძარი XIV-XVI საუკუნეებისა. მიმდებარე სამოქალაქო ნაგებობანი იმდროინდელი, ფრიად საინტერესო იყო ყველაფერი...

საღამოს ისევ ქალაქგარეთ, ბასკების ქვეყანაში. მოზრდილი სოფელი მთაში, ტრევინიო. ძველი სოფელია, ქვის სახლები, ბარელიეფებით, დიდი საყდარი, ჯვარ-გუმბათოვანი კი არა — რაღაცნაირი. ამნაირი ეკლესიები აქეთ. ეს კი სხვაზე პროპორ-

ციულს გავდა. ალტარი ძვირფასად მოჭედილი. რა სიმდიდრის წყალობით მოჭედეს, ან ამდენი ლითონი საიდან იშოვნეს?.. ხალხი ექსპანსიური. ბავშვებს შევატყვე ეს კონცერტის დაწყებამდე. დიდი სუფრა გამართეს, ბევრი სვეს, ბევრი ჭამეს, ბევრი იმღერეს და იცეკვეს. ნამდვილი ფიესტა ჰქონდათ. ხვალ სან-სებასტიანში უნდა წავიდეთ.

* * *

სან-სებასტიანი.

ცოდვა იქნებოდა, ეს ქალაქი არ გვენახა. თვალი გადავავლეთ და გავიარ-გამოვიარეთ მხოლოდ მზიან სექტემბერში და ესეც საკმარისია. დიდებული ქალაქია, ვის ედრები, რას ედრები! თავად ლენინგრადი, მისი მთავარი პროსპექტი, ვერ მოვა ამ ქალაქთან. სხვა ღირსებებზე — ზღვაზე, კუნძულზე, ნახევარკუნძულზე, სიმწვანეზე, მიმოზებზე, თვალისმომჭრელ, ყვითელ-სილიან პლაჟებზე ვეღარაფერს ვლაპარაკობ...

დღეს ბოლო გასვლა გვაქვს, თუ არ ვცდები...

შორს არ გავსულვართ, სოფლის სახელს დავაზუსტებ. სითბო, ჰაერი და მიწა თბილი, სიმინდი დატაროებული, ლობიო ხარდნებზე გასული, მაყვალი მინაბდული, ხილი მწიფე, კანაფა ფხალი, ყველაფერი ჩვენნაირი. მაყვალი ვჭამე. ღელის პირას გოგირდიანი წყარო, როგორც ციხია-ბობოთში. მდინარის სახელია ალტუბე. ზევით, ამავე სახელწოდებით, სოფელიაო. მდინარე ძალიან გავს ჩვენს „წყალტუბოს“, ზომითაც და ადგილმდებარეობითაც...

ხვალ ბოლო დღეა ვიტორიაში.

შეიძლება, ღამეც არ გავათიოთ.

10. IX. 87 წ.

* * *

სტუმრად ვიყავით ბასკოლოგთან — **კარლოს ორმოსავალ.** შემდეგ დასკვნითი კონცერტი. სხვა არაფერი საინტერესო. დილით ბნელში, ბილბაოსკენ, შემდეგ — მადრიდისკენ...

დიდი პატივი გვცეს აქაურმა ქართველებმა(?)
ნინა — სომეხი
მედეა — ნახ. ქართველი
პედრო — ბასკი.

11. IX. 87 წ.

* * *

ამ დილაბნელში ავიყარეთ ვიტორიადან, ავტობუსით ჩავედით ბილბაოში, ბილბაოდან, თვითმფრინავით, მადრიდში, იქედან, ჩემო ბატონო, „ილ-82"-ით ჩავფრინდით ბერლინში. ერთი საათით გავჩერდით მხოლოდ აეროპორტში. ვაგზლის შენობა ჩაჟამულ-ჩაშავებული, დღეები ნაცრისფერი, ბეტონი იყო მხოლოდ, არ მომეჩვენა, მკვიდრად და საშვილიშვილოდ დაგებული. დაღამებულს ჩამოვედით მოსკოვს. სასტუმრო უნდა დაეხვედრებინათ „ბუდაპეშტში", არ დაგვახვედრეს. ახლა ვართ ოროთახიანში (მე და დავითი) სადღაც ოსტანკინოზე თუ იმას აქეთ, ხვალ გავარკვევ, რა დრო მოვანდომე დღევანდელ მოგზაურობას — 45 წ. 2,25, 2,30 წ. ერთი საათი მადრიდში, ერთი საათი ბერლინში, ე. ი. ჯამი 7:45 წ. ვთქვათ 8 საათი. ბილბაოდან გამოვედით 8-ზე, რვიდან რვამდე — წესით 4 საათზე უნდა ვყოფილიყავით... დროის სხვაობამ ასე გააკეთა...

ტკაჩენკო ვნახეთ მადრიდში, მგონი ბერლინშიც, კალათბურთელებთან ერთად. სიარული უჭირდა, ვერ დგებოდა, იწვა სკამებზე. ხერხემალი ტკივაო, ფინთად უნდა იყოს დამტვრეული. ნომერში ტელეფონი არაა. თბილისში ვერ ვრეკავ, რას შვრებიან, არ ვიცი.

12 სექტემბერი. 87 წ.

* * *

ახლა შუა რუსეთში ვარ, სადღაც კურსკ-ორიოლთან. ხვალ მთელი დღის გზა და ალიონზე ქუთაისში. ვკითხულობ განათებულ საერთაშორისო ვაგონში და ვფიქრობ ჟურნალის საქმეზე. როგორ მიდის და დაიწყო თუ არა ხელისმოწერა, ეს მაინტერესებს ყველა-

ზე მეტად. ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია. სცენარი, წიგნი, ახალი მოთხრობები. გასვლითი თამაშებიც შეწყდება ალბათ...

13. IX. 87 წ.

* * *

ბაღდათი.

მე, კუხიანიძე, ნემსაძე... მასპინძელი — შავდია კობა. ჟურნალის ხელმომწერებს ვეძებთ. შემდეგ სასადილო, მაიაკოვსკის სახლის წინ. დავსხედით ეზოში, ჩრდილში, სახლ-მუზეუმში კი არც ვარ შესული, აქ ვჯდები, იქ არ შევდივარ, არაფერი დამხვდება, ვიცი, საინტერესო. გარედანაც კარგადაა გადაკეთებულ-შელამაზებული. ადრე ლამაზი იქნებოდა აქაურობა.

20. X. 87 წ.

* * *

სიმონეთი. თერჯოლა... დ. კლდიაშვილობა. მახლდა მხოლოდ ა. ყურაშვილი. იქ მრავალი ნაცნობი. დღე კარგი, საღამო კარგი, სიტყვა ვთქვი.

31 ოქტომბერი, 87 წ.

* * *

ამ დილით მე და იორამი ჩემი „ნივით" (რა ხანია, იმ მანქანით შორი გზა არ მივლია) წავედით კაკაბეთში გ. პაპუაშვილთან. მანამ ორხევში გავუარეთ თავად გიორგის და წავიყვანეთ საკუთარ სახლში. გამოგვატანა ღვინო, ცოტა არაყიც და წამოვედით უკან. ახლა უკვე ქუთაისში ვარ.

11 ნოემბერს, 87 წ.

* * *

ხონი — მაღლაკიდან, სამტრედია, აბაშა და უკან. ჟურნალის გავრცელების საქმეზე... კუხიანიძე, ყურაშვილი... ლამაზი სოფლები, ლამაზი სახლები უცბად თითქოს სხვა ქვეყანა და მივხვდი, კულაშში ვარ...

12. XI. 87 წ.

* * *

ტყიბულში — ნემსაძე, იუზა, სუფრა. ზამთრის პეიზაჟები. იქედან ნოდარიც წამოგვყვა, დღისსულს დავბრუნდით ქუთაისში.

12. XII. 87 წ.

1988

* * *

ოზურგეთი (მახარაძე), ლ. მალაზონიას დედის დაკრძალვაზე. მე, კუხიანიძე, ყურაშვილი... იქით თოვლი არ იდო. არც ციოდა...

7 თებერვალი, 88 წ.

* * *

16 თებერვალი.

ახლა ლიკანში ვარ, V სართულზე, სამოცდამერვე (68) ოთახში, პირველ ღამეს ვათენებ. ჩართული მაქვს ჩემი პატარა ტელევიზორი, ლაპარაკობს ვინმე ანანიევი, არცთუ უინტერესოდ. ქვევით, IV სართულზე, ელდარია ლუქსში... ვიმუშაოთ და ვიმკურნალოთო.

1988 წ.

* * *

გავვარდი თბილისში და ახლა ისევ აქა ვარ, ლიკანში. ელდარის მანქანით წავედი, ხაშურამდე გზა მაინც მოყინული იყო, იქედან დამაღამდა, მაინც კარგად ვიარე.

21. II. 88 წ.

* * *

ორპირში და ნაბოსლევში, ტატულის სამოსახლოზე გავიჰაერეთ მე, ნემსაძემ, მედიკომ, ნათელამ, კურსებში ტატული შეგვხვდა, ვისადილეთ და ნაბოსლევში ავედით. ჩემი დაბადების დღე კი (24/IV) გელათში გადავიხადე.

26. IV. 88 წ.

* * *

გუშინ ცაგერში (28. IV. 88 წ.) შეხვედრაზე. შეგვხვდნენ: მე, ო. მელვინეთუხუცესს და მ. ჭიაურელს. გვახლდნენ ზ. ნემსაძე, ა. ყურაშვილი, მ. ჩოგოვაძე, მ. კილაძე, რეზო მაღალი — თბილისიდან, რეზო — ჩემი მძღოლი, სხვა? არც არავინ... კარგი საღამო, კარგი დღე, კარგი პურისჭამა რაჩხას პირას, ხეობაში. მშვენივრად, ლეჩხუმურად იმღერეს... რბილი ღვინოებით: უსახელაური, ტვიში.

28. V. 88 წ.

* * *

სიმონეთში წაველით სამსახურის შემდეგ, კუხიანიძის თანამშრომელს, გ. ჩიტიძეს წავყევით ცოლოურს, ქვედა სიმონეთში. მშვენიერი ოჯახი. დიდი ეზო. ხალხი კეთილი. მასპინძელს ცალი ხელის მტევანი მოგლეჯილი ჰქონდა, ალბათ დინამიტისაგან. სამოსახლო ახლოა ტრასასთან და მაინც სოფელია. ვიყავით: მე, კუხიანიძე, ნემსაძე, გ. ჭეიშვილი და მასპინძელი, იქაურები.

31 მაისი. 88 წ.

* * *

გამოვიარე, სანამ აქ, ქუთაისში ჩამოველ, ღორეშაში. მივიარ-მოვიარე მშვენიერი, ლამაზი სოფელი. უბისას იქით, ცოტა ხნით, თამაზ ორჯონიკიძის ოჯახში (მერი ღონღაძე — მეუღლე). უზარმაზარი ჯანმრთელი ცაცხვი. აზნაურის ეზო რომ არი-მეთქი, ეტყობა, გლეხი ეზოში უნაყოფო ხეს არ გაახარებს-მეთქი (ორჯონიკიძის ამბებთან დაკავშირებით...), საინტერესო რაღაცრაღაცეებიც შევიტყვე და კმაყოფილი დავრჩი.

6 ივლისი. 88 წ.

* * *

ისევ ღორეშაში წაველ ქუთაისიდან. ამჟამად მე და ნუგზარი, გზაში ცხელოდა (აქეთ და იქითაც) ნამეტანი. ნაყოფიერი იყო ეს ჩასვლა. ერთხელ კიდევ მომიწევს, ვატყობ.

10 ივლისი, 88 წ.

* * *

16 ივლისი. ბზვანი. ტყეშელაშვილები. ც. ყურაშვილი. ჩემ მანქანაში — ნემსაძე და ქალები — თანამშრომლები. რულზე მე.

ბზვან-ჭყვიში, ვანის გავლა-გამოვლით. ჭყვიშში გავჩერდით დაღამებამდე. ბზვანში ადრე ჩავედით... გალაკტიონის კარ-მიდამო, რიონი და ასე შემდეგ...

16. VII. 88 წ.

ღორეშაში კიდევ ვიყავ მარტო, რიცხვი აღარ მახსოვს, არ ჩამიწერია...

* * *

გუშინ, შაბათს, 30 ივლისს — ცაგერი...

ჯონოულას ხევი. სოფ. ჩქუმი (ჩქვიმი), ქულბაქი. სუფრა ბინულებში, შესანიშნავი ხეობა. წმინდა წყლები, ღელეები. აქედან წავედით, ე. ი. მე, ელდარი, კუხიანიძე, ნაჭყებია, ყურაშვილი, გოჩა (ზურაბის ბიჭი), რეზო (მძღოლი), რაიკომის მდივანი ემზარი (მასპინძელი) და რამდენიმე კაცი სხვა. გზად რაჩხა და სოფელი, რომლის სახელიც არ გვიკითხავს. საყდარი, სასაფლაო უცნაური. ორი ულამაზესი ცაცხვი. კიდევ კარგი, სოფლის სასაფლაოებზე ცაცხვებს რომ არ ჭრიან და ანადგურებენ. სავაჭრო გზა იყო ქულბაქზე. სუფთა ვულკანური მხარე. ქვებით სავსე. როდინდელი ჩამოცვენილი და ჯერ კიდევ არ ჩაფლულან მიწაში. ახალი დაყრილია თითქოს. სხვადასხვა ზომის ვულკანური ქვები...

* * *

ლ. სანიკიძე გამოცხადდა და წავედით ბაღდათში, საირმეში აპირებდა წასვლას. ვისადილეთ წყალთაშუაში: თავად, სტუმარი, კუხიანიძე, ნემსაძე შემოგვემატნენ...

16. VIII. 88 წ.

* * *

ცუცხვათიდან — სიმონეთში.

ცუცხვათის ციხიდან გავუშვი მანქანა და დავრჩით: ნემსაძე და გონერი ჭეიშვილი. უნდა გადავსულიყავით სიმონეთში. ამყვნენ. ერთმა თუ გამასწრო, მეორე ჩამომრჩა. ტიროდა და ისე მოდიოდა ნემსაძე. გზა ბევრჯერ აგვებნა, დავიღალეთ. 4 საათს მოვუნდით დაახლოებით, მეტი თუ არა, ნაკლები არა. ზედ სიმონეთში, სათემო უბანში, სულ განაკიდეს, სუფრა და უკან. დავიღალე, დავიმტვერი. მადლობელი ვარ!

20. VIII. 88 წ.

* * *

ამ დილით — მაღლაკში, საღამოს — კურსებში — სუფრები.

ღორეშა — იქედან, ამაშუკეთით, მოლითში და თბილისისაკენ.

25. VIII. 88 წ.

* * *

დღეს, 7 სექტემბერს, ისევ ღორეშა, მოლით-ამაშუკეთიდან ავედი. წმინდა გიორგის ბაზილიკაა. წმინდა კოზმანს ეძახიან. იყო თუ არა ასეთი წმინდანი? შესანიშნავი გადასახედია კლდის შუბლიდან. იქვე კარიერები, ანგრევენ, აპობენ კლდეს...

7. IX. 88 წ.

* * *

წყალტუბო — ტყიბული.

„განთიადის" გავრცელების საქმეზე... მახლდნენ: კუხიანიძე, ნემსაძე, რეზო ნაჭყებია. რა ლამაზია ოკრიბა, თუნდაც ამ დროს...

შემოდგომის ფერები ჯერ არ შემოსულა.

12. IX. 88 წ.

* * *

ხონი. გეგეჭკორი, აბაშა და სამტრედია მოვიარეთ დღეს — 13 სექტემბერს. დღე იყო კარგი, თანამგზავრები — ცუდი. ნემსაძე და კუხიანიძე. ყველას თავის სოროში მიუხარია, გარეთ არ გამოიყვანო რომელიმე ოღონდაც.

13. IX. 88 წ.

* * *

დავრჩით მე და გონერი ოჯოლაში. ვიარეთ აღმა-დაღმა ტყეში, სოკოსათვის და წამოვედით ფეხით სორმონამდე. ქე მოვუნდით ამ საქმეს, საერთო ჯამში, ერთი 3 საათი. დავიღალეთ მშვენივრად და წვრილი ჭიქით ღვინოც შევირგეთ.

დღეს ოთხშაბათია, 14 სექტემბერი.

ხვალ თბილისში მივემგზავრები, შაბათს — 17-ში ჩამოვბრუნდები და გავსწევთ ბიჭვინთისაკენ. ამ წიგნუკას დავხურავ.

14 სექტემბერი

* * *

17 სექტემბერს (შაბათი) ჩავედი ბიჭვინთაში.

9 ოქტომბერს (კვირა) გამოვბრუნდი უკან, ქუთაისის გავლით, მცირე გაჩერებებით — თბილისში.

დღეს, 12 ოქტომბერს, კვლავ ქუთაისში ვარ.

ზღვაზე შესანიშნავი ამინდები იყო. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სამჯერ ჩავედი ზღვაში. სამაგიეროდ, ფეხით დავდიოდი ბევრს, მინდორში და ტყეშიც, დავიკელი კიდეც. აქ წვიმიანი დამიხვდა.

1988 წ.

* * *

16 ოქტომბერი, 88 წ... დიმი, ვარციხე...

კოკლი, მე, ბიჭუნა, შემდეგ ბანოჯა, ქორწილის მეორე დღე სანდუხაძე — ჩოგოვაძეებისას...

* * *

აბაშა — ნოდარიასთან... ცუდღარი. ნოღელა. კორძახიების ძველთაძველი წისქვილი.

ნემსაძე, ნაჭყებია, დევდარიანი, იუზა — ახლდა ერთი მძღოლად და რეზოც.

იქაურები: ერთი, მეორე, მესამე — მეწისქვილე.

20. X. 88 წ.

* * *

29 ოქტომბერი. შაბათი.

ბოდბე. გ. ნიშნიანიძის ვაჟის ქორწილში, თ. წივწივაძის მანქანით. წივწივაძე, კაკო ჯორჯაძე, გივი და მე, სხვა მანქანაში — სხვანი. კახეთი წვიმასა და ბურუსში გახვეული. თვით ბოდბეში და მისასვლელებში უამრავი და ულევი პლაკატ-წარწერები... ქორწილი წყნარი, მშვიდი... არავითარი ექსცესები... წამოვედით ღამით...

1988 წ.

* * *

ორპირში: მე, კუხიანიძე, მედიკო, ჯანხოთელი, გონერი და ფლაყვე ტაში... და ინციდენტი...

ვარსქენ — შუშანიკ...

24. XI. 88 წ.

ნანუკას დაბადების დღე.

* * *

დღეს ჭყეპი, კისორეთი. უკან — ჭოლევი.

სუფრა. მე, ნემსაძე, ნაჭყებია, მძღოლი — რეზო.

კარგი დღე.

26. XI. 88 წ.

1989

* * *

ხონი. პანაშვიდზე. თოვლში.

სახლი ჩვეულებრივი, მწუხარება გაფანტული სიცივეში, უამინდობაში. ჩემი მანქანით: მედიკო, ყურაშვილი, ებანოიძე, გონერი.

16. I. 89 წ.

* * *

გუშღამ იუზას წავყევი ვარციხეში. თოვდა, ბარდნიდა აჯამეთისა და საღორიის ტყეებში. ლამაზი იყო ძალიან. გლეხკაცის, ჩიტაძის ოჯახს, საუკეთესო ღვინო ჰქონდა, რომ დავბრუნდით გვიან, ისევ თოვდა. ქუთაისის მუხნარი იყო განსაკუთრებით ლამაზი.

21. I. 89 წ.

* * *

თოვლიან კურსებში. გასვენებაში თანამშრომლებთან ერთად. სასაფლაო, ეკლესია, ფაფუკი თოვლი. არც ხმაური, არც სიწყნარე... ადრე ამ სოფლებში სიღარიბე მოგგვრიდა სევდას, ახლა — უგემოვნება... ყველაფერზე ბატონობს უგემოვნება, სიხარბე...

11 თებერვალი, 89 წ.

* * *

22. III. 89 წ.

ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის, გულქანას გასვენებაში, ჩემს მანქანაში: გ. ნარიმანიშვილი (რულზე), გივია, ლევანი და მეცა. სხვა მანქანებში სხვები: იორამი, ხუტა, კ. კობერიძე და ასე შემდეგ...

სასაფლაო მაღალზე, მისასვლელში ფერმა-ბოსელი, სასაფლაო გადახნული (ვერ ავხსენი, რატომ?), ყველაფერი მინგრეული. ქვევით ფერდობები, ზოგან ძროხის ანალოკივით. ვაჟას კარმიდამოს მისადგომ-შემოგარენი გაფუჭებული, უგემოვნო, უზარმაზარი თავი, ვიღაცის ნახელავი. მდინარის კალაპოტი ჩაბეტონებული...

სუფრა ღია აივანზე. ღამით — უკან, თბილისში... საოცრად თბილი და მშვიდი დღე.

* * *

დღეს ჩხარში ავედით. გ. ზარნაძის სოფელია ჩხარი!.. ოქტომბერი! მგონი, ადრე ასე ერქვაო. უცნაური, რბილი და გლუვია ის მიდამოები. ხალხის გამომეტყველება ჭკვიანურია. არაა დამახასიათებელი დამცინავი, ბრიყვული და დაბეჩავებული გამომეტყველება.

იმ გზებით არ მივლია და უნდა წავიდე მუხურაში და ტყიბულშიც.

გიზო, მე, ზურიკო, გონერი, ირანი.

14 ივნისი, 89 წ.

* * *

გუშინ, 12 აგვისტოს, ვახლდი ადგილობრივ მთავრობას — **ბაღდათი-წყალთაშუა.** ოტია, აბზიანიძე, შაშიაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, ყიფიანი (ქუთაისის არქიტექტორი), სვანიძე, წულაძე, ფაჩუაშვილი, პ. ვაჭრიძე.

1989 წ.

* * *

სენაკი. ნახარებაო, სოფ. ხორში. ჯ. დავლიანიძის სოფელი. მე, რ. ნაჭყებია, ი. ბაზაძე და მძღოლი — მერაბი.

14 აგვისტო, 89 წ.

* * *

15 აგვისტო. გავედით დილით ადრე, წვიმიანში. ჩავედით არგვეთში, მუხრანთან. იქ ნისლი იყო და გრილოდა. ვისაუზმეთ. წავედით თბილისში (მე, ირაკლი, მძღოლი), თბილისი ლაპლაპებდა, სიცხისაგან იწვოდა...

* * *

26 აგვისტო. სიმონეთი. სათემო. გონერისთან ვისადილეთ: მე, ნემსაძე, მედიკო, ნოდარია, ყურაშვილი.

1989 წ.

* * *

დღეს ვარციხეში. ქორწილი იუზასთან. მე და ნოდარია, რეზო ნაჭყებია, უკანვე გამოვბრუნდი.

27. VIII. 89 წ.

* * *

ნიკორწმინდა. ჭელიაღელე.

სუფრა ეზოში, ნებულიშვილებისას, ორი მანქანით: მაკა, ია, მედიკო, ავთო, ელგუჯა თავბერიძე.

28. VIII. 89 წ.

* * *

29 აგვისტო. ფერსათი.

თ. ამყოლაძის სიმამრის კარმიდამო. ეზო ძვირფასი, ვენახი კარგად მოვლილი, მაინც ცხელოდა. დაღამდა და ისევ ცხელოდა... ნიავი არ იძროდა. იგივენი და იგენი.

* * *

16 სექტემბერი.

კასპი. მარშლიანთ სასახლე, გარიყულაში. კაპრაშიანი, ჭყოპიანი, დრისის ციხე (ჯავახიანთ ციხე), ზენადრისი. ჩაჩუბეთი (ჯანიაშვილი, რკონის კაცი).

იკვი, პატარა იკვი, წმინდა გიორგის ეკლესია.

17. IX.

ხოვლეს გზით — საორბისი, საყავრე, ფიცხასხევი, ნათლისმცემელი... უკან, სავანე, დიდთავი (გვერდზე) აფხაზის კლდე (გვერდზე), ნაცნობი გორები, მედელოები, ტყეები, ღელეები შესანიშნავი, ორი დღე. სუფრებიც, ბოლოს ხანდაკში, კოლმეურნეობის თავმჯდომარის თ. ლანდიას ოჯახში.

ვინ ვიყავით: მე, ელდარი, ლევანი, იორამი, გივია, კაკო ჯორჯაძე, ირაკლი ბაზაძე.

გივი და იორამი ჯავახიანთ ციხეზე ვერ ამოვიდნენ, გივი მარშლიანთას დარჩა, ციხის ძირამდეც არ მისულა. იმავ ღამით სუფრიდან ადგნენ და გაემგზავრნენ: ელდარი, იორამი, გივი. დავრჩით ჩვენ...

* * *

2 ოქტომბერი, 89 წ. ორშაბათი.

სამტრედია. მე-17 პარტყრილობის ქუჩა. ნემსაძე, ირანი, აპრიკონა. იქ — ნესტორ II.

* * *

14 ოქტომბერი.

დიდი ჯიხაიში. რეზოსთან. ნაჭყებია. ხალხი ბევრი. თამადა ხარაბაძე. ჩემი მანქანით. ირაკლი, კაკო ჯორჯაძე, ნემსაძე. აქ მრავალი ნაცნობი, ოთხი ტანსრული რუმინელი (რუმინელი მერაგბე!) მოიყვანა ყანჩაველმა. ერთი საციკში ჩავარდა...

* * *

დღეს კიცხში (ხარაგაულის რ-ნი). ისტ. დღე. დაიშალა კოლმეურნეობა. სოფლის ყრილობა. კარგი დღე, კარგი ხალხი. სუფრა ბოლოში, წავედით: მე, ნემსაძე, ყურაშვილი და ქალბატონი მაკა.

სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 89 წ.

* * *

ვარციხე. ანანოვის სასახლე. 26. X. 89 წ.

სუფრა აბზიანიძისა: ელდარი, გენო კალანდია, რ. ნაჭყებია, ნემსაძე, გია (ცეკას წარმომადგენელი). ავდექით, მოვიდნენ შაშიაშვილი და წულაძე. შევბრუნდეთთქვა და არაო, უფროსმა.

* * *

დიდი ჯიხაიში. ნიკო ნიკოლაძეობა. წავედით: ელდარი, ნაჭყებია, ნემსაძე... ბევრი გვქაჩეს, არ გავჩერდით. დიდებული ეზო, დიდებული ბაღი. სახლი ონანოვის ჯობია, ეზო — ნიკოლაძესი.

იქედან ვარდციხეში, ონანოვისას.

28. X. 89 წ.

* * *

დღეს გეგუთში — გივი აბზიანიძესთან და ელდართან ერთად და შემდეგ წყალტუბოში. იქ მირზა — რაიკომი.

29. X. 89 წ.

* * *

დღეს ჯვარისაში, ჩემს დედულეთში. გადავყურებდი სასაფლაოდან მთებს და გორებს დათოვლილს, ერთ-ერთ გორას — ოწირე... ყველაზე დიდი და გაბატონებული წერტილი ოწირე... დეიდაჩემის — შუშანას დასაფლავება. მესაფლავე პაპუნა და სხვა.

ქართ — საწირე.

ოწირე (მეგრულ-ლაზური) საწირეა ძველქართულად, შესაწირავი შეაქვთ იქ დღემდე.

4 დეკემბერი, 89 წ.

* * *

გელათში ავედით საემბლემო (ჟურნალისთვის) სურათის გადასაღებად. თბილოდა მონასტრის ეზოში, არც ქარი უბერავ-

და... სიცხეში გრილა, ზამთარში თბილა აქ, ქვევით ზამთრის ოკრიბა. ტყეები გაძარცვულია.

როგორ მიყარს იქაურობა, ეს ხომ არავინ იცის...

გონერი, ნემსაძე, ფხაკაძე.

20. XII. 89 წ.

* * *

ინგლისელი — ჩარლი — ავიყვანე მოწამეთაში. ფანტასტიკაო, იძახდა. წითელი ტყემლის ფოთოლგაცვენილი ნერგი. გაგი ძაღლით. ლედი, სულხანი წირავდა(?) მარტო, არც გამოგვხედა.

ნაშუადღევს ცაგერში ავედით: ნემსაძე, ყურაშვილი, მაკა. ჩავათვალიერეთ იქაურობა და დაღამდა. ერთ ოჯახში (ყურაშვილის დეიდაშვილი) ვივახშმეთ მშვენივრად.

21. XII. 89 წ.

1990

* * *

ექვსში გამოვედით თბილისიდან. **ჩხარი-ტყიბულით რაჭაში.** თოვდა და თოვლი იდო. ნიკორწმინდა-ხარისთვალს გადასასვლელი საშიშად იყო მოყინული. „ნივას“ მეტი სხვა მანქანა ვერც გადავიდოდა. ამბროლაურის ჩასასვლელი მთლად მოლიპული, გადალურჯებული იყო ყინულით სოფელი სხვავა, შუა სხვავა. ციხე კვარას ავცილდით კიდეც. ზედა სხვავაში ვენახი აღარ ხარობს. ბაჩანას სახლი ახლო იყო. დავლიანიძესთან გავათენეთ შობა. ჯემალი, მისი ბიჭი ვოვა და ჯემალის მეგობარი მურმანი. მამა და დედინაცვალი ცხოვრობს მარტო. თოვდა მშრალად. თოფს ვისროდით. რა ხდებაო, ფიქრობდნენ ალბათ. სოფელი შობას არ დღესასწაულობდა. მასპინძელს ლორი ვერ მოვახარშინეთ. მეორე დღეს, 7-ში წამოვედით ქუთაისში, უკვე ალპანა-მექვენის გზით, ლამაზად გადათოვლილ ხეობაში მოვდიოდით. ეს იყო გუშინწინ, გუშინ...

ახლა 8 იანვარია, ორშაბათი.

* * *

12 იანვარი, პარასკევი. ხონი. მუხიანიდან. დასარბევი და დარბეული შრომა-გასწორების კოლონიები. დასახლებანი: აჭარელთა, სვანთა და მესხთა. საუკეთესო და მშვენიერი ადგილები. ვესაუბრეთ აჭარლებს. ბავშვები ბევრი. ციხისა და კარცერების ნარჩენები (იზოლიატორი, შიგ ძროხა). ეს ყველაფერი დაკვირვებით დავათვალიერე...

მე, მაკა („ნივით"), ყურაშვილი, ტრისტანი, მასპინძელი აღმასკომის I და ქალაქკომიდან — ეძგვერაძე... ვისადილეთ ადრე. დავიშალეთ იოლად.

12. I. 90 წ.

* * *

13-ში, ახალი წლის (ძველი) წინა დღით, **ყუმისთავში ჩავედით.** მღვიმეში პირველივე გასაძრომიდან გამოვბრუნდი და კარგიც ვქენი. ჯ. ჯიშკარიანი — ხელმძღვანელი, წევრები: კინოსტუდია, მე და კუხიანიძე.

გამოვბრუნდით მე და კუხო ქუთაისში. ისევ ჩავბრუნდით და წყალტუბოში, სანატორიუმ „საქართველოში" კოტეჯში შევხვდით ახალ წელს: ელდარი, დიმა ერისთავი, ლევან ახვლედიანი, კ. ცხაკაია, ციცო, მურმანი და ადგილობრივი, უაზრო ქუთაისის წრმომადგენლები.

14. I. 90 წ.

* * *

გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი...

წვიმიან-თოვლიან-ბურუსიანი დღე. მახლდა გონერი, მძღოლიც.

16. I. 90 წ.

* * *

25 იანვარი, 90 წ. კასპი.

შეხვედრასავით. წამომყვნენ: იორამი, ლევანი, კაკო, ცოლი, ლ. ბარაბაძე (წიგნის მოყვარულთა წარმომადგენელი), ცოლის

ამხანაგი. სუფრა იგოეთში. ღამით იქ დავრჩი. დილით წამოვედი. მზით გაბრწყინებული მიდამო. იმერეთში, გორებზე, თოვლი იდო. გზა მოკრძალებული, ლამაზი იყო ყველაფერი.

* * *

27. I. 90 წ.

ლანჩხუთი. ჩონჩხათი, ნინოშვილი. ჩხარტიშვილების ოჯახი. ჩემთან ერთად: გონერი, ყურაშვილი. იანვრის მზიანი, მშვენიერი დღე.

* * *

30 იანვარი, სამშაბათი.

ისევ ლანჩხუთი. ჩონჩხათი, ნინოშვილი, ისევ იქ. დღე უფრო მზიანი, თბილი და ნათელი. იანვარი 90 წლის ზამთრისა. იგინივენი და იგივენი. ჯაპანას წყალსატევში (ტბაში თუ გუბეში) უამრავი იხვი.

* * *

3 მარტი, შაბათი.

ბაღდათი — ზედა ბაღდათი... გასვენება. საღორიისა და აჯამეთის ტყის ქვედა სართული (ხე-ბურჯები) მწვანე იყო უკვე... სითბო. შორს თეთრად გასპეტაკებული მესხეთ-ჯავახეთის მთები ჩანდა.

უკან დაბრუნებისას ახალი რესტორანი.

— რა გაქვთ?

— ყველაფერი...

ყველაფერი ჰქონდათ მართლაც. მასპინძელი ჯემალ გედენიძე.

* * *

16 მარტი, 90 წ.

ხონი, სამტრედია, ლანჩხუთი. ისევ ნინოშვილებში (ჩონჩხათი) ჩხარტიშვილებისას, ისევ ქვათაცვენაზე ტყილი ლაპარაკი.

ლელა კვლავ არ დაგვიხვდა. ლესაში პატარა სუფრა. ვიღაც, ვიღაცა და თალიკო. ამიტომ გავჩერდი. ჩვენ: გონერი, თორნიკე, მე და ასე შემდეგ (მეტი არავინ). თალიკო, სხვა მასპინძლები.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსთავში ჩავაკითხეთ...

* * *

გუშინ, 17 აპრილს, 90 წ.

ბაღდათი და იქით. კაკას ხიდი. ლაშურას ხეობა. სოფ. ხანი. საინტერესო ადგილები. ღირს ისევ მიბრუნება, თუნდაც ნაქალაქევში ასვლა, რომელიც ლაშურას ხეობის სათავეში ყოფილა. ფერსათი და სუფრა თ. ამყოლაძის სიმამრისას. გონერი, ნემსაძე, თემური.

* * *

ხონში. რუსთაველის საზოგადოების თხოვნით. ჩემთან ერთად: თემური, გონერი და რაღა თქმა უნდა, ნემსაძე. საინტერესო ხალხი ვნახე სულ მოკლე ხანში. წმ. გიორგის ეკლესია და სხვა.

ეს იყო
11 მაისს, 90 წ.

* * *

ბუხუტის გავყევი **ჟონეთში,** სააგარაკე სახლი აუგია გორაზე. რიონის ჭალებს გადაყურებს, კარგი ადგილია. ყველა ოთახი პატარაა. თავად ბანკის მოხელე თითქოს, სალარო, კაბინეტი, სალარო, კუპე და ასე შემდეგ...

* * *

თამარობა გამართეს გეგუთში. ცდა იყო ზეიმისა. მარულა, დოღი, უჯიშო ცხენები. სუფრა დიდი ბოდოკიების უზარმაზარ და უმშვენიერეს ეზოში. ხის სახლი, მოლი, კოპიტები, აყვავებული აკაციები.

14 მაისი, 90 წ.

* * *

მე და მამუკა ალგეთში წავედით მანქანების ბაზრობაზე. საინტერესო სანახავია ინდუსტრიული ბაზრობა. მიდამოები მთაგორიანი, უხნავ-უთესი, მაგრამ საძოვრადაც არ ვარგა? არა ძროხა, არა ცხვარი. ეს იყო კვირას, 1990 წლის ივნისის 24-სა.

* * *

აჯამეთის ტყე.

როკითი, წითელხევი. ჭის მთხრელი ლადიკო ჯანელიძე. საუბარი კარგი. უკან, დიმში, პატარა სუფრა გრიგოლ მხეიძისა.

მე, გონერი, ელგუჯა, მძღოლი მერაბია, თვისთავად ცხადია.

2 ივლისი, 90 წელი.

* * *

დიმი. ზ. ებანოიძის ეზო. შემდეგ წყალთაშუა. სუფრა კაი. სიგრილე. საღამო მშვიდი.

2 აგვისტო, 1990 წ.

* * *

7 აგვისტო, სამშაბათი, 1990 წ.

ბორჯომი, ლიკანი... უკან, ქუთაისისკენ, თბილისში კი ვაპირებდით წასვლას...

* * *

18 აგვისტო, 90 წ.

საჩხერე — ჭორვილა. ჯურხას მამის გასვენება. მე და ნემსაძე. წამოვედი ადრე, ჩავისვი მურმანი, კოკლი და ლეჩხუმში: ცაგერ-ორბელ-ალპანით გადავედით ღვირიშაში. იქ დიდი სუფრა, ქორწილი თუ ძეობა და უკან, წაღმართიანი გზით, ტვიშიმექვენა და ასე შემდეგ...

* * *

20 აგვისტო, 90 წ.

იანეთში, გურამის დედის პანაშვიდზე, მე და კოკლი.

* * *

21 სექტემბერს, 90 წ.

გელათში, ჯიხაიშში.

გელათი — აკადემია.

ჯიხაიში — სუფრა.

* * *

22. IX. 90 წ.

ოზურგეთი. შემდეგ ბახმარო. დღე მშვენიერი.

ლევანი და ნემსაძე.

* * *

ხონი. გონერი და ნემსაძე.

წამალი, ვანმე ყუფარაძესთან, კარგი ეზო, ხონური.

7. X. 90 წ.

* * *

ფერსათი.

ყურაშვილთან ერთად პანაშვიდზე — აბულაძის დედის პანაშვიდზე.

13. X. 90 წ.

1991

* * *

ვარდციხეში. იუზასთან. კარგი და მშვენიერი დღე. გადავიღეთ ღვინო ჭურიდან ჭურებში და ბოცებში.

1991 წლის 10 იანვარისა.

* * *

საზანო, თავბერიძისას.

კუხიანიძე, ნემსაძე, ბაზაძე და სხვები.

18 აპრილი, 91 წელი.

* * *

დღეს, 8 ივნისს — ღებში...

ოკრიბა, ნიკორწმინდა, ამბროლაური, ონი, ზევით — ჭიორა — ღები... გივი ლობჟანიძისას.

შემადგენლობა: ქალბატონი ეთერი, ყურაშვილი, ღრენია და ცხადია, მე...

დღე მშვენიერი... მიდამო მშვენიერი. რიონი და სხვა მდინარენი.

8. VI. 91 წ.

* * *

13 ივნისი, 91 წ.

შოთა ჩანტლაძის დაბადების დღეა.

წავედით ასანა ნადირაძის აგარაკზე წითელსოფელში, ნატახტარს იქით.

ჯურხა, გივი, იორამი, ფ ხალვაში, ოლია, თ. ბექიშვილი. შემოგვემატნენ: ი. ბაზაძე, დ. მაღრაძე, კოკიევიჩი (?), კალანდია? მასპინძელი და მისი ვაჟი გიორგი.

ქვიშნა და ბალი ბევრი და მწიფე. სუფრა.

* * *

ამასობაში მხოლოდ თბილისი-ქუთაისი, წყნეთი-ახალდაბა.

დღეს წყალთაშუა. რეზომ (ნაჭ.) არ დამაყენა, სუფრა და ნაცნობები მრავალნი. იქ შევხვდი ირ. სურგულაძეს.

13. აგვისტო, 91 წ.

* * *

თელეთში ავედით. დავასაფლავეთ კაკო ბრეგაძის სიდედრი. დავაფასეთ, სხვებთან ერთად, მე და იორამმა. დღე იყო ცივი, მზიანი.

დეკემბერი, 91 წ.

1992

* * *

იანვარი (30), თებერვალში და მარტში, არჩევნებამდე, კვლავ ქუთაისში და მაისშიც.

* * *

გორში. მე, ფანჯიკიძე, მჭედლური. ჩატარდა არჩევნები მწერალთა განყოფილებაში.

29 მაისი, 1992 წ.

* * *

რუსთავში. მე, ფანჯიკიძე, მჭედლური. არჩევნები. ადგილობრივი მწერლობა, შედეგ სულ სხვა საზოგადოება და სუფრა მტკვრისპირას. ძალიან მიყვარს ის ადგილი. მტკვარი დიდი, ორ ტოტად, ჭალები, ტყე. სუფრაზე თითქოს იგივენი (ძველი, კომუნისტებისდროინდელი) და იგივენი. კარგები, წარმოსადეგენი, მხოლოდ იგივენი...

12 ივნისი, 92 წ.

* * *

ქუთაისში რომ ჩავედი ამას და იმასშუა არჩევნებზე, ეს არ ითვლება... რატომ(?), იქ ხომ აღარ ვმუშაობ...

* * *

კოდაში ორბელიანების სახლი ვნახეთ. ავედით კოშკში. ელგუჯა, მჭედლური, კუკა...

23 ივნისი, 92 წ.

* * *

ქუთაისში წავედი მარტო, გუბაზის მანქანით. იქედან ნუგზარი წამომყვა, წიგნები წამოვიღე...

5. VII – 7. VII. 92 წ.

* * *

13 ივლისი.

თელავი. ფანჯიკიძე. ვინმე თ. პაპავა, სიძე პაპავასი ღუდუშაური. ლადო, იქაურები, გაიოზი. სუფრა კარგი, დღე კარგი.

13. VII. 92 წ.

* * *

16 ივლისს წავედით დეიდაჩემის – ლუბას გასვენებაში. მაია, მამუკა, გუბაზი, მე...

სოფ. ოჯოლა. ისევ სოფელია. ტყე კიდევაა, ხის სახლებიცაა შემორჩენილი აქა-იქ, ჩემები გამობრუნდნენ იმავ დღეს. მე დავრჩი 20-მდე...

ქუთაისში, 21. VII. 92 წ.

* * *

1 აგვისტო. ჩარგალი. 1992 წ. ვაჟაობა. მშვენიერი, გრილი, მზიანი ამინდი. ხალხით აფერადებული, ჩარგლულას ხეობა, რაფით, 11 კაცი:

ტარიელი, რ. მიშველაძე, იორამი, კუკა, ბენაშვილი, ვ. ჟღენტი, ხოდაშნელი, მჭედლური, ლ. მრელაშვილი...

სხვა მანქანით: წივწივაძე, ტყემალაძე, გოგია ხარაბაძე.

* * *

ვანი. 9 ოქტომბერი.

ქუთაისიდან დიდი ამალით, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. ნ. ჯაფარიძე მამით, სიმამრით, თ. გოქსაძე... გონერი. დიდი სუფრა და ადგილობრივი საზოგადოება.

შვებულება ქუთაისში. სექტემბრის ბოლო, ოქტომბერის გასრულებამდე (თითქმის).

* * *

საგურამო. გურამიშვილის 200 წლისთავი, ავტობუსით ბევრი (არც ისე)...

31. X. 92 წ.

* * *

ლამისყანა. გურამიშვილობა. ორბელიანების სახლი. საღამო. სუფრები. სოტყვაც კი ვთქვი.

1 ნოემბერი, 92 წ.

* * *

7 ნოემბერს ნაღვარევში.

ფასანაურიდან სულ ახლო. თ. ბექიშვილის 40-ზე, ავტობუსით ბევრნი ვიყავით.

7. XI. 92 წ.

* * *

14 ნოემბერი. ვანი. გალაკტიონის 100.

მწერლები. ღამე გავათიე ქუთაისში. მზიანი დღე იყო. სუფრა სულორში. დღე უმზეო. მთები დათოვლილი და საოცარი სითბო.

15. XI. 92 წ.

* * *

ქუთაისში წავედით: ფანჯიკიძე, ქვლივიძე, რულში ხოზე, იქ შემოგვემატა ფ. ხალვაში და დღეს ჩამოვბრუნდით. გუშინ გალაკტიონის საღამო ჩავატარეთ.

17. XII. 92

1993

* * *

ისევ იქ: 29-ში — იანვარსა. მესხდნენ: გ. ლობჟანიძე, თ. იოსელიანი (ქვისლი), ი. ბაზაძე, მედეა ამირანაშვილი. ზ. ნემსაძის დაკრძალვა, შაშიაშვილის გამერება...

ჩამოვბრუნდი (მედეას გარეშე), 2-ში, სამშაბათს, თებერვალს, თოვლში წავედით, მოყინულში დავბრუნდით. ცოტა გამიჭირდა კიდეც რულში...

1993 წ.

* * *

22 აპრილი. ქუთაისში ჩამოვედი. უკან დავბრუნდი 29-ში. აქედან თემო, იქედან ლეილა მიშიკოთი.

1993 წ.

* * *

საგარეჯო. მელქო, ფანჯო და მე. იქ სხვანი, მათ შორის — მიხო ქვლივიძე.

28. V. 93 წ.

* * *

ქუთაისში. მიშიკო და ლეილა. 18 ივნისს. დავბრუნდი მარტო, 22-ში.

* * *

ქუთაისი. 28 აგვისტო. მარიამობა. ჩამოვედი სხვებთან ერთად, ზეიმზე, ავტობუსით.

დღეს, 11 სექტემბერს, ვიყავით საზანოში ერთი მანქანით: მე, ნუგზარ მჭედლიშვილი, გონერი, თორნიკე.

იქ: რამდენიმე და მასპინძლები, ელგუჯას ოჯახი.

ჩამოველ თბილისში 24 სექტემბერს. იზა ორჯონიკიძესთან ერთად გამომამგზავრა თ. შაშიაშვილმა.

* * *

24 ოქტომბერი, კახეთი. იყალთო, შოთაობა. ავტობუსით ბევრი. ჩვენ „ფიატით“: მე, ფანჯიკიძე, გურამი და უჩა (ბოლო ორი ფანჯიკიძის მხრიდან). ველისციხეში შევჩერდით, სუფრა იყალთოში, იგივე გურჯაანშიაც, მხოლოდ ოჯახში...

1993 წ.

* * *

ქუთაისში. 6. XI. 7 და 8 იქა.

ჩამოვედი ცხრაში, გუშინ, ლეილა, მიშიკო, იქედან კუხიანიძე მოგვემატა (გასვენება რ. იოსელიანის).

1993 წ.

1994

* * *

ქუთაისში ჩამოვედი შობას, 7 იანვარს. ელდარი, გრეტა. ვაჩვენეთ ფილმი. ელდარი მეორე დილითვე გამობრუნდა. 14 – ძველით ახალ წელიც იქ. 15 – ბაგრატის ფონდის დაარსება, 16-ში ჩამოვბრუნდი.

1994 წ.

* * *

გავფრინდი (პირველად) შევარდნაძის ასაბიაში ქუთაისში, 8 თებერვალს, დ. აღმაშენებლის ხსენების დღეს. სითბო და ცოტა თოვლი ზევით და ზევით. გელათი. სუფრები და უკან წამსვლელებს ჩამოვრჩი. დავრჩი ჩემსას 13-მდე. 13-ში გავემგზავრეთ „ნივით" მე და შალვა კვარაცხელია, ქალაქის პროკურორი.

13. II. 94 წ.

* * *

24 აპრილი. მუხათწყარო. კინაღამ დავთვერი.

* * *

29 აპრილს, შაბათს, წავედით ქუთაისში, ზესტაფონის ბაზარში ბალი იყიდებოდა, კარგად შემოსულა ბალი. სახლი გაძარცვული... აღდგომა ქუთაისში. სამსახურის მანქანით. მძღოლი რობინზონი, ნუგზარი და ირაკლი ბაზაძე. 3 მაისს თბილისში ვიყავი. ბენია?

* * *

14 მაისს, ისევ შაბათს, ქუთაისში. დეიდაჩემის გასვენებაში – ლეილა, ნუგზარი და მიშო. დავბრუნდით დღეს, 17 მაისს.

17. V. 94 წ.

ტელევიზორითი

* * *

პრეზიდენტის თანაშემწე უშიშროების დარგში გადადგაო, მას დაენიშნება პენსია 52 ათასი და რაღაც, თან ბრალი ედება ირანში იარაღის გაყიდვაზე და შეიძლება, გადასცენ სასამართლოს, შეიძლება, მიუსაჯონ კიდეც, პენსია კი მისია სიკვდილამდე.

ორმოცდათორმეტი და რაღაცა, მომეჩვენა, თითქოს, 52 ათას 800. ავიღოთ, თუნდაც, 52400. 52400:12=4366, ანუ, თვეში, დაახლოებით, 4600 დოლარი, გადმოვიყვანოთ ჩვენ ფულზე — 8600 (თვეში).

* * *

დღეს გამოვიდა ფრანგების წინაშე. გაშტერებული უსმენდა ზოგიერთი. ირონიით იმზირებოდნენ თუ აღტაცებით, ვერ გაიგებდი.

გარდავიქმნებით და არაფერს შევცვლითო — ეს თქვა პრინციპში.

კერძო წარმოებას მივცემთ კაცს, მაგრამ ფულს არ გავაკეთებინებთო...

დემოკრატიას განვავითარებთ და სოციალიზმზე ვინც ცუდს იტყვის, დედას ვუტირებთო.

კარგი წიგნი დავწერე და კარგი მოხსენებაო. წიგნი გამოვა და მოხსენებას ზეიმზე (7.X.) წავიკითხავო, რომ ვისვენებდი, იქ ვწერდი, არ გავსულვარ სახლიდანო და ასე შემდეგ.

23. IX. 87 წ.

* * *

არხანგელსკში. შლის ხელებს. გამხდარა, შლაპა სრულად ადგას. დაცვა არ აქტიურობს, ყურადღება მოდუნებული აქვთ, ეტყობათ, საშიშროებას არ ელიან და დაისჯებიან. ხალხი მხიარული (ოდნავ ირონიული სიცილით), ყველაფერი კარგადაა, იძახდნენ, ფასები ემატება პროდუქტებს, მაგრამ კარგიაო. ყრიან ჩვენთან პურს და საჭმელსო. თანაც ტელევიზორი და მანქანა ძვირი ღირს „რაზნაბოიო", ე. ი. მანქანა ღირს ძვირი, ამიტომ საჭმელიც უნდა გაძვირდესო.

სწორია ეს კაცი!

3. X. 87 წ.

* * *

ფეხბურთი იყო. ესენი და გერმანელები. ძალიან მინდოდა, მოეგოთ, მაგრამ ბოლოს მაინც გააყაიმეს. იღბალი აქვთ მაინც...

კასპაროვი აჩვენეს, დადინჯებული და გადასხვაფერებული მეჩვენა, ან განწირულია, ან რაღაც უბედურება ჩაიდინეს...

ლოჰინესი

ტბაში რაღაც სულიერი დავაფიქსირეთ, კონტურები მოვხაზეთ ექვსჯერ. საბოლოო დასკვნებისა და ზედმეტი კომენტარებისაგან თავს ვიკავებთო. წვეროსანი კაცი ჩანდა ამ ხმაზე. შემდეგ ტბა იყო და კატარღები მიდიოდნენ ერთ ხაზად...

ეს ყველაფერი მოხდა წუხელ, 10 ოქტომბერს, 87-სა წელსა.

* * *

გრიშკიაივიჩუსი მომკვდარა 64 წლისა. რესპუბლიკა ლიტვის ხელმძღვანელი, გამოაცხადეს „Время"-ში, ბოლოს, იაპონური ავტომობილების შოუსა და სხვა გასართობი პროგრამის შემდეგ.

15. XI. 87 წ.

* * *

გადმოცემა „დიუმას ნაკვალევზე“, მოსკოვიდან. შეუმოწმებიათ, მართალი წერია თუ არა მისი მოგზაურობის წიგნშიო. სიმართლის დასადასტურებლად მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, მათ შორის, როგორ შეხვდა ნიჭიერ ყმაწვილს სადღაც. ეს ბიჭი აღმოჩნდა შემდეგში ცნობილი რუსი მეცნიერი თარხანოვი. არადა, თავად დიუმა წერს, ქართველი თავადიშვილი იყოო. რა უსინდისო ხალხია, შეიშლები.

ახლა ლენინზეა გადმოცემა და ბუხარინის სახელს ახსენებენ, აჩვენეს კიდეც ფართო პლანით.

* * *

ტელეხიდი – აშშ და ესენი.

„ბასკეტბოლისტები“ გამოიყვანეს ბანდიტების წინააღმდეგ.

მთ. „ბასკეტბოლისტს“ ნამეტანი გრძელი კისერი ქონდა და ცდილობდა, თავი მხრებში ჩაერგო, თანაც ღირსეულ იერს ინარჩუნებდა. კბილებსაც აჩენდა დროდადრო.

ამათი კოსმონავტი. სუფთა დებილი სალდაფონი. პარიკმახერსაც გავდა. თმა ზევით კი არა, გვერდებზე ჰქონდა გაცვენილი. მამუკამ თქვა – დასხივებულიაო.

დღეს: მილიონი არყის სახდელი ამოვიღეთ მოსახლეობიდანო.

20 ნოემბერი, 87 წ.

P. S.

იაპონელი მილიარდელი, პატარა, გამხდარი, გალსტუკიანი. ოქტომბრის რევოლუციას თუ გააგრძელებთ, კარგად გექნებათ საქმეო. თვალები ეშმაკური (ეს ბუნებითაა).

მარქსს ვკითხულობო. ე. ი. ფულმა გამოასულელა. წითელი წიგნი აქვს დაწერილი.

* * *

ვ. ანჯაფარიძე.

ვერიკოზე გადმოცემაა მოსკოვიდან. მოსკოველების გაკეთებული. შეცდომები, მაგრამ თამამი. ეს დახვრიტეს, ის დახვრიტეს და ასე შემდეგ. ბოლოს სიყალბეზე ილაპარაკეს და ლენინის ძეგლიც აჩვენეს, ერთხელ — ზურგიდან, შემდეგ პირდაპირ ზაჰესთან დაკავშირებით. ლენინიც საშინლად უაზროდ იდგა. ეს დიდი ამბავია... ასეთი რამ მაინც მოულოდნელია.

6. XII. 87 წ.

* * *

შეხვედრა. 4 კაცი ფანფარებით.

რეიგანი, შავი პალტოთი, თეთრი კაშნეთი. სახელმწიფო დროშების გვერდით და წინ დადგნენ. სამი ოფიცერი ხმლებით, ვიწრო თავებით, გვერდზე აპარსული თმით...

ამერიკელებმა აჩვენეს, როგორ უნდა მიღება. ესენი რას ჩაიდენენ სამაგიეროდ. ჯარისკაცები გამოვიდნენ ხელჯოხებით თუ მუშკეტებით, თითქოს XVIII-XIX საუკუნეების ჯარისკაცებიაო. ამათ ისტორია არა აქვთ, ბუდიონის ჯარს თუ გამოიყვანენ... შორიდან წამოვიდნენ წითელ ნოხზე, მუსიკის ხმაზე. ბიჭივით მიდიოდა რეიგანი, მაღალი ფეხებით, მუსიკას უწყობდნენ ფეხს.

შევარდნაძე რაისას გვერდით, აქეთ იაკოვლევი, გაბუხუნებული სათვალით, შემდეგ დობრინინი, თითქოს ყეყეჩი... რაისას ნენსი უზის და საერთოდ, მჭიდროდ და მოუხერხებლად სხედან, მხოლოდ ხელისმომწერლები არიან მარტოდ და ხალვათად საკმაოდ, ამ საქმისათვის პატარა მაგიდის გვერდით.

რეიგანი იგავებით ლაპარაკობს:

შეო უსმენს, თითქოს აღტაცებით, მომხდარი ფაქტის გამო...

იაკოვლევი — უნდობლად.

დობრინინი — ნდობით და თან ეშინია, ნამეტანი არ გამოვხატო ჩემი გრძნობაო.

დიდხანს აწერენ ხელს. „ხომ არ დაიღალეთ?“ — ჰკითხა რეიგანმა. გაცვალეს კალმები ფეხბურთელებივით. ჩვენი უფრო გახარებულია. ჩვენსას უბრალო, მოყავისფრო-მორუხო ჟილეტ-კოსტუმი, იმას — შავი, გაკეცილი, თეთრი ცხვირსახოცით.

8. XII. 87 წ.

* * *

აგრონომი ამერიკაში, ჟურნალისტებთან თუ პრესის მუშაკებთან, არ დავუჯერეთ აინშტაინსო... რა თქვა ამნაირი აინშტაინმა? აღგზნებული იყო. ხუმრობდა უკბილოდ, არც ის არტისტი აკლებდა ხელს (ვის ხელში ვართ ადამიანები)... შემდეგ და შემდეგ ჩვენი დაწყნარდა. ახლა მოდის და ბრძენი უნდა გახდეს, მაგრამ „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“

10. XII. 87 წ.

* * *

კოროლ ხუსეინ ყ-ისთავაძე მოვიდა და ყვავილები დადო იმ კაცის საფლავზე (ლენინი), ვინც მეფის ოჯახი ამოწყვიტა დიდიან-პატარიანად...

22. XII. 87 წ.

* * *

ვოზნესენსკი ლაპარაკობს ახლა ტელევიზორეთში. მე უფრო დაბალი წარმოდგენის ვიყავი მასზე... საშინელი დღე აყარა ამხ. სტალინს(!). უბედურ დღეს დააყრიან და ეს ცუდია სულელი ქართველებისთვის, ჰიტლერზე საშინელ კაცად გამოიყვანენ.

22. XII. 87 წ. ღამის.

* * *

რუს ყმაწვილებს გერმანული სვასტიკა დაუკიდიათ ობელისკზე — სამამულო ომში დაღუპული სალდათის ობელისკზე.

ცუდი საქციელია, თუმცა არც ისე მოულოდნელი, როგორც გონიათ, როგორაც აფასებენ ახლა, ამ წუთას... წაიკითხეს წერილები, უფრო სწორად, ტელეფონით ლაპარაკი. ერთი ასე წერს, როცა ჩვენი შვილები სისხლს ღვრიან ავღანეთში, ესენი შეურაცხყოფენ სამამულო ომის გმირებსო...

რა ლოგიკა აქვთ, მე მართლა მაგათი სისხლი მოვ-ყან.

15. I. 88 წ.

* * *

266 მეტრი სიგრძე – 2000 მგზავრს აიყვანსო. დიდი და ლამაზი ლაინერი – გემი, ცისფერზე თეთრად სიზმარივით მიაფშვნეს შამპანური და იყვირეს.

16. I. 87 წ.

* * *

კატა ჩარჩენილა თვითმფრინავის საბარგო სექციაში, უფრენია თვენახევარი (მანძილი დაანგარიშებული იყო), შემოუფრენია მთელი მსოფლიოსთვის. რას ჭამდა ამ ხნის მანძილზე და რას სვამდაო, გაოცებულნი იყვნენ, არანაკლებ გაოცებული იყო კატა დედამიწაზე...

თვითმფრინავის საბარგო, მართლაც, გემის ტრიუმი ხომ არ არის...

16. 88 წ.

* * *

ვითომ კამათი აქვთ რატიფიკაციის შესახებ... აიტმატოვიც კი გამოიყენეს. ჩვენი ჯარების უფროსი იაუზა (?), მოჭიდავის თავი აქვს, მონღოლის თვალებით... თითქოს ტირის... შეშუპებული უნდა ჰქონდეს უპეები. მე მომეჩვენა, თითქოს რაღაც აქვს თავალებში ჩადგმული.

9. II. 88 წ.

* * *

რაღაც უბედურება აჩვენეს ამწუთას... ბანკის მძარცველი გარბის და რეპორტიორს აპარატი მიყვება. ახალგაზრდა კაცი ჩანდა, დიდი თმით. მანქანით გარბოდა, ვერტმფრენი დაედევნა. მანქანა ხეს დაეჯახა. გადაჯდა სხვის მანქანაში და აიყვანა მძევლები. ჩანდნენ მხოლოდ პოლიციელები, სამოქალაქო ფორმაში. ისროდნენ (?) ალბათ გამოიყვანეს მძევლები და მოკლეს ის ბიჭი თუ კაცი. Убили в перестрелке, - ჩვენმა კომენტატორმა თქვა, მე მომეჩვენა, რომ მოკლეს, ისე ვუყურე, როგორც კინოს, თუმც დიქტორი გვაფრთხილებდა: კინოსავითაა, მხოლოდ ნამდვილიაო...

10. II. 88 წ.

* * *

ანანიევი, მწერალი გამოიყვანეს ტელევიზორეთში (ოსტანკინო). კარგად ილაპარაკა: პოლიტიკაზე, მიწის მფლობელობაზე, კერძო საკუთრების სარგებლიანობაზე, აგინა სტალინს და სხვა... უცბად ავღანეთზე გადავიდა. დაფასება უნდათ იქაურ მეომრებსო. როცა მედალს ვხედავ მათ მკერდზე, მიხარიაო. Испольнявщий интернационалный долг-ს დავარქვათ, ჯობია, Защитники Южних рубежей.

აბსოლუტურად ბუნებრივად მიაჩნდა ის ლაპარაკი. სუფთა რუსი ოკუპანტი გამომჟღავნდა იმწამსვე.

16. II. 88 წ.

* * *

მეტეორიტი ჩამოვარდნილა გერმანიაში (მგონი ФРГ), ვიღაცის სათბურში, პირდაპირ ბოსტნეულში. ადამიანის თავის ტოლი იყო, ბორბალივით, სალეს ქვასავით... საინტერესოა!

11 მარტი, 88 წ.

* * *

გორგოძე, საქ. მილიციის უფროსი გამოვიდა სომეხ-თათ
თა მოსალოდნელ კონფლიქტზე და აქაურ მოსალოდნელ რე-
ციდივებზე...

სოლიდარობა ჩვენც ვიცით, ჩვენც ვუჭერთ მხარს სომხებსაც
და აზერბაიჯანელებსაც, ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი თანამშრომლე-
ბი იქითო (დასაჭერად გაუშვია).

23. III. 88 წ.

* * *

უზარმაზარი თვითმფრინავი კადრში. რაღაც გადმოაგდეს
ბარგივით, ერთი შეკვრა ხელბარგი – თითქოს. შემდეგ გა-
მოაცხადეს: ბოინგი კუვეიტის, ტერორისტები. მესამე დღეა,
ლიბანში დგას, ახლა მოკლეს მეორე ოფიცერიცო. მოკლეს და
ჩამოაგდეს. ამ სცენას ვუყურებდი თურმე. კუვეიტის განთავი-
სუფლებას მოითხოვენ. ბორტზე 50 მგზავრია ჯერჯერობით,
მათ შორის ორი ოჯახი თუ ორი კაცი მმართველი წრის ოჯა-
ხის წევრიაო. არც იმათ გამო თმობენ რაიმეს კუვეიტში. იმ ორ
კაცს კი ტერორისტები გემრიელ ლუკმასავით ბოლოსათვის
ინახავენ. რა ადვილი სალაპარაკოა აქედან, ტელევიზორის ეკ-
რანთან მოსვენებით მოკალათებული კაცისაგან.

11. აპრილი, 88 წ.

* * *

დღეს, 20 აპრილს, გაათავისუფლეს ალჟირში მძევლები. ტე-
რორისტები ირანში გაფრინდნენო... ნება დართო ალჟირის ხე-
ლისუფლებამ ან ლიბანში, ან თუ ლიბიაში(?), ან ირანშიო. მძევ-
ლები გახარებულნი. არ ემჩნეოდათ, რა ტანჯვაც გადახდათ.

1988 წ.

* * *

აგრონომმა მიიღო პიმენი — მოსკოვისა და მთელი რუსეთის კათოლიკოსი თუ პატრიარქი თუ ორივე ერთად... — დელეგაციასთან ერთად, მინსკის, კიევის, იმის და ამის, დიდი წვერებით, მანტიისქვეშ დაფარული ტორტისკოლოფა ქუდებით. ყვავები თეთრ სამოსელში. ირონიულ-ქედმაღლური გრძნობა დაკარგოდათ, არც მოწიწება და თაყვანისცემა (ეგ არც შემინიშნავს მაგათ სახეზე), მხოლოდ გაოცება და შიში, უფრო გაოცება. პირველად ამ 70 წლის განმავლობაში შეხვდა საბჭოთა მონარქი სამღვდელოებას, თანაც იქ შეხვდა, სადაც ხვდებოდა: კრემლში, ეკატერინეს დარბაზში...

29. IV. 88 წ.

* * *

პირველმაისობა. ისევ ტრიბუნები. თბილისში, მშრალად, თითქმის ერთნაირ პლაშჩებში პატიაშვილი და ძმანი მისნი. ქვევით წვიმა, სიცივე. ნახევრადშიშველი ბავშვები ვარჯიშობენ.

მოსკოვში, თითქოს, ისევ ისე, მაგრამ დაღვრემილი, გაუხარელი სახეები. ბავშვები ტრიბუნაზე რომ ავიდნენ, ქვემოთ ისე გაფაციცებით (ადრინდელივით) აღარ იყურებოდნენ, უფრო სერიოზულნი, უხალისონი, გოგონები...

ერთ კოლონაში ერთ კაცს მხრებზე ქალი ჰყავდა შესმული, ბავშვი კი არა, ქალი, დავაკვირდი, ქალი იყო, მე მგონი, ცოლი გადაჯდომოდა კისერზე...

1988 წ.

* * *

მგონი უკრაინაში. კლინიკა. ექიმი თეთრებში, შავი ულვაშებით, მსუქანი... ქართველის ტიპი.

ეგვიპტური და ბერძნული მეთოდით სვამენ დიაგნოზს. თვა-

ლის ბადურა, ზედ ფერადი წერტილი თუ წერტილები, დისკოზე აირეკლება, იმ გრაფაში, სადაც სხეულის სხვადასხვა ნაწილებია (კუჭი, გული, ღვიძლი და სხვა) მინიშნებული, ეს ორგანოა დაავადებული ან მოსალოდნელია ამ ორგანოს დაავადებაო. მაგ: (კუჭის წყლულის დასაწყისი და სხვა). მთლად ზუსტი არ გამოდის ყოველთვისო, მაგრამ მაინცო...

მეთოდი კი ძველეგვიპტურია, ძველბერძნულია...

13. V. 88 წ.

* * *

ოფიციალურ, ოლიმპიურ, შესარჩევ თამაშზე შვეციასთან 12 ათასი მაყურებელი მოვიდაო მოსკოვში, მიუხედავად იმისა, რომ განაღდებული გვქონდა გასვლა ფინალში, მაინც ამდენი(?) ხალხი მოვიდაო.

12 ათასი, თბილისში, ხანდახან, ვარჯიშს ესწრება, დუბლების თამაშებზე აღარაფერს ვამბობ.

15. V. 88 წ.

* * *

შევარდნაძე ჰაეროდრომზე, რიჟკოვთან ერთად ხვდებოდა ტაილანდის ვიღაცას... სეირნობდა შ. აეროდრომზე და ისვენებდა აშკარად, ეტყობოდა, არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა...

შემდეგ, უფრო სწორად, იმაზე ადრე, ვიშინსკის და სასამართლოს წევრებს აჩვენებდნენ 37-ში... რა სახეები ჰქონდათ გამსამართლებლებს!.. შემდეგ სტალინი, საზიზღარი სახით.

16. V. 88 წ.

* * *

ჰამერი ერთ მილიონ დოლარს იხდის წლიურად თურმე „За телефонние разговоры“.

მოხუცია. არც სიმპათიური, არც უსიმპათიო, არც ძალიან ჭკვიანი, არც უჭკუო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მრგვალი თავი, ბებერ მთვარესავით, ნელა ლაპარაკობს, ალბათ ჩიფჩიფებს კიდეც. დარწმუნებულია, 100 წლამდე იცოცხლებს და ეს აძლებინებს...

* * *

არმიის მოჩონჩილი გენერალი გამოვიდა, არცთუ ხნიერი. დღევანდელი დღის ჩათვლით, ავღანეთში დაიღუპაო 14 ათასამდე, ე. ი. 13 ათას ექვსასამდე (13600) მკვდარი, 300 რაღაცამდე უგზოუკვლოდ დაკარგული, თოთხმეტიათასამდე იანგარიშა მოკლედ. თუ არაფერი შემეშალა, დაწყებიდან, ოკუპაციიდან დღემდეო. არ იქნება სწორი. 9 ათასამდე გამოვიყვანეთო. როდის გამოვლენ მაგენი მთლიანად.

25 მაისი, 88 წ.

* * *

გრომიკომ ხელი მოაწერა რატიფიკაციას, პრეზიდიუმზე გაატარეს და ხელი მოაწერა, ჭორფლი აჩნდა წითლად სახეზე, ხელები ბებრული უკვე. ხის ყუთი, რომელიც მიკროფონებად ედო წინ, ააცალეს და დაუდეს ხელმოსაწერი ქაღალდი. „а ручка пишущая?“ — იკითხა.

— Ручка пишущая! — უპასუხა მაღალმა ახალგაზრდამ.

— ручку не терять! — გააფრთხილა და გაიცინა ბოლოს.

— Прошли раз отняли! — თქვა.

ზოგიერთები მოწვეულები იყვნენ, მათ შორის — შევარდნაძე.

ვიღაცამ, შეიძლება მანვე, დაიძახა: პოზდრავლიაემო და გრომიკომაც იგივე გაიმეორა...

28 მაისი, 88 წ.

* * *

პრესკონფერენცია აქვს აგრონომს. მშვიდად და საინტერესოდ მიდის შედარებით...

შეკითხვა: ლიგაჩოვის გადადგომა სინამდვილეს თუ შეეფერებაო?

— არაო, მაგის პრობლემა არ დგას საერთოდო. — ეს პასუხი მომეწონა...

ეს იმას ნიშნავს, რომ გარიყავს ჯერჯერობით, შემდეგ მოიშორებს. ლოგიკურად ეგრეა...

ელცინმა ინტერვიუ მისცა (მგონი, ინგლისის პრესას).

არ ვიცი არაფერი, არ მითხრესო, სრულ ტექსტს გავეცნობიო. თუ არ უთხრეს და არ გააგებინეს — რაისაზე იქნება იქ ლაპარაკი, ცოლის გინებასა და სიგლახეს უმალავენ მამაკაცებს, როგორც წესი.

* * *

რას ნიშნავს: იაკოვლევის ყოფნა პრესკონფერენციაზე და შემდეგ დიდ თეატრში? ვითომ ხელოვნებას განაგებს და თეატრში ამიტომ, პრესკონფერენციაზე შევარდნაძე — შულცი, საგარეო სამინისტრო. გასაგებია.

დობრინინი — გასაგებია. პარტიაში საგარეო საქმეებს განაგებს.

უნდა ყოფილიყო, უპირველესად, გრომიკო, ვინც დახვდა, ვინც გააცილა პრეზიდენტი. პრეზიდენტი, ერთი — ნამდვილი, მეორე — არანამდვილი, მაგრამ მაინც. მთავრობის თავმჯდომარე საერთოდ გათიშეს. რეიგანს ახლდა ჯარების მინისტრი, არ შეახვედრეს იაზოვი (?)

იაკოვლევი განაგებს ხელოვნებას და არა ადმინისტრაციულ ორგანოებს. ხომ არ შეუცვალეს პროფილი?

— არა!

შევარდნაძის ადგილზე ამზადებს? შევარდნაძე?
გადმოიყვანს და თავსაც დაიღუპავს.
ესეთია ვითარება.

4 ივნისი, 88 წ.

* * *

„Рижский ринок"

ყოფილა ამნაირი კოოპერატიული ბაზარი მოსკოვში. ყიდულობენ ტანსაცმელს ახალგაზრდები. ორი გავეშებული რუსის ქალი:

– Надо это ликвидировать! – ყვიროდა. მდიდრდებიან აქო.

საშინელებაა... გაგიჟდებიან, როცა შეხედავენ, რომ ვიღაც ოფიციალურად, კანონიერად „გამდიდრდება", ნორმალურად იცხოვრებს, ესე იგი.

ნიკონოვი იყო ჩაუშესკუსთან, კაბინეტში ისხდნენ ერთად: ჩაუშესკუ – გამხდარი, პატარა, შავებში, შეფიქრიანებული, ნიკონოვი მოსკოვში ჩამოვიდა, ძლივს მოდიოდა ტრაპზე, სქელი, მძიმე, გაიხსნა და ძლივს შეიკრა პიჯაკი. გზაშიც გაიბერა, ეტყობა, ჭამით. საერთოდ კი მოუხშირეს ჩაუშესკუსთან სიარულს, გადადგომას თავაზობენ აშკარად, ლენინის ორდენიც მისცეს სათამაშოსავით. „არცხვენს" ამათ, ალბათ, ეს პატარა დიქტატორი, ან მოკვდება, დაიბრიდება, ან გადადგება.

4 ივნისი, 88 წ.

* * *

განუწყვეტლივ აჩვენებენ რუს მღვდელმთავრებს. ჩაშავებულნი, რაღაც თითქოს ოთხკუთხედი და ზემოდან ბრტყელი თავსაბურავებით, არც ერთს სიკეთე არ აწერია სახეზე, სიბრიყვე, სიყეყეჩე...

შევარდნაძე ლაპარაკობს გაერთიანებულ ერებში. ღელავდა მაინც, თუმცა პირველად არც იქ გამოდიოდა, თუ არაფერი

მეშლება. თავდაპირველად ხელები უკანკალებდა, განსაკუთრებით — მარჯვენა. ზემოდან იღებდნენ, კარგად ჩანდა ეს. მალე დაწყნარდა, სქელი ფურცლები ჰქონდა, მსხვილად დაწერილი ალბათ, ცოტა ეწერა და ერთმანეთის ქვეშ დებდა...

8. VI. 88 წ.

* * *

სანტიაგო დე ჩილი.

ქალი ინდიელთა ჩამომავლობისას ჰგავდა. მოგრძო, შავი, კუპრივით სახე...

56 შვილი. ყველა ცოცხალია ჯერჯერობით, ჯანმრთელნი.

13 წლის იყო, პირველი შვილი რომ ეყოლაო.

ახლა ის ქალი 59 წლისაა. მე-18 იყო მხოლოდ ბიჭიო. მანამდე გოგოები უშვია... ახლა რამდენი ქალია და რამდენი ვაჟი, არ უთქვამთ.

15. VI. 88 წ.

* * *

გენერალი თხრობდა: არ გავდა ტიპიურ გენერალს, ულვაშები — შავი, გამხდარი, არც ებრაელს ჰგავდა.

ავღანელ ჯარისკაცს ფეხი მოკვეთესო, მარჯვენა. შეუკვეთეს პროთეზი, მოუტანეს, მარცხენა ფეხის აღმოჩნდა. ისე მოიშალა, დაამტვრია პროტეზი და ფსიქიატრიულში წაიყვანეს.

ეს წუხელ იყო...

8 ივლისს, 88 წ.

* * *

განუწყვეტლივ ლაყბობს აგრონომი. ახლა პოლონეთშია. დგას და ლაპარაკობს ერთსადაიმავეს. Я вам откровенно скажу, народ за ясность, за перестройку...

თავად იგონებს და შემდეგ ხალხის სახელით ლაპარაკობს. ეგ არაფერი, ეგ ხდება, მაგათი მოგონილიც არ არის, მაგრამ თავს აძულებს, აბეზრებს, უფრო სწორად, ხალხს, ადამიანებს. მეტს კი არაფერს აშავებდა, ერთი შეხედვით, ბრეჟნევი... როგორ წავა ამ კაცის საქმე, არ ვიცი... ეს ამ პოსტით ვერ დაამთავრებს სიცოცხლეს...

14 ივლისი, 1988 წ.
„ბასტილიის" აღების დღე.

P. S.

ახლა რაისა ლაპარაკობს ცივი ხმით. ისე იქცევა, როგორც ცეკას მდივანი და არა – როგორც ცოლი... იმ თანამდებობას ცოლი ისე უხდება, როგორც ძროხას უნაგირი... ტანსაცმელს იცვლის დღეში რამდენჯერმე, ახლა კოსტუმითაა, ზედა-ქვედა, დიდი ბეჭებით... საღამოს მუქი, ზოლებიანი...

* * *

დღეს თქვეს:
13 ათასზე მეტი დაიღუპა ავღანეთშიო.

26. VIII. 88 წ.

დაინვალიდებულია უამრავიო, რიცხვი აღარ მახსოვს. ეს გვიან გაამხილეს...

* * *

კლაუს ფუკს.

დღეს თქვეს, ვინ გაყიდა ამერიკის ატომი, ვინ გადასცა რუსებს, თქვეს და აჩვენეს ეს კლაუს ფუკსი, ახლახან გარდაიცვალაო... ბებერი, გამხდარი, მომღიმარი და კმაყოფილი, ეშმაკური მზერით, ბრტყელი შლაპით. არ უთქვამთ, ტყუილად დააბრალეს

როზენბერგებს, ისინი არაფერ შუაში იყვნენო. ისინიც ყოფილან შუაში, ცხადია. ეს ფუკსი როგორ გადარჩა? ჩვენი აგენტი...

კლაუს ფუკსი.

VIII. 88 წ.

* * *

სატელევიზიო ფილმია „ვერდი". საინტერესოა. ფორმა პირობითი. სრულ წარმოდგენას მოგცემს (ინფორმაციულს და არა დოკუმენტურს) იმ ეპოქაზე და ბიოგრაფიაზე...

ერთი დეტალი, ვერდის წერილი:

„პარიზის ხმაურსა და გრუხუნში ისე ვგრძნობ თავს, როგორც უდაბნოში".

„უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე ნეტარება არის რაღაცგვარი".

გალაკტიონი.

ბუნინიდან აქვს წამოღებული, შეიძლება, ბუნინზე ადრე ვერდის უთქვამს...

4. VIII. 88 წ.

* * *

დუკაკისი აჩვენეს, გასაცოდავებული, დაპატარავებული, თითქოს სრული ტანსაცმლით. რეიგანის ხუმრობა მის ინვალიდობაზე, ძვირად დაუჯდება, ეტყობა...

ფსიქიატრთან ყოფილა დუკაკისი და მართალია თუ არაო, შეეკითხნენ თურმე... ინვალიდის განაწყენება არ მინდაო. შემდეგ უკან წაიღო თავისი სიტყვა, — ვიხუმრე, არ უნდა მეთქვაო, მაგრამ თავისი საქმე გააკეთა წინანდელმა ნათქვამმა. ადრეც განაცხადა რეიგანმა: მე მივხედავ ბუშს, როცა მოვიცლიო. ეს ასეც მოხდება. დუკაკისმა (საწყლად რომ იდგა): სწორად მოიქცა, თუ ავადაა, კაცზე უნდა თქვა — ავად არისო, მაგრამ მე

ჯანმრთელი ვარო... რაღაც ამდაგვარი... მისმა პირადმა ექიმმაც დაადასტურა მისი ჯანმრთელობა და სხვა.

6. VIII. 88 წ.

* * *

50-იან წლებში, დღევანდელ „პრავდაშია“ (6. VIII. 88 წ.), ე. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგაც, მურმანსკის „პარახოდსტვა“ (სხვაგანაც ასე იქნებოდა) ახლომახლო სანაოსნო ზღვების გასაიდუმლოებულ რუკებს მხოლოდ სანდო კაპიტნებს აძლევდა ხელწერილით და მუქარით, პატარ-პატარა გემების კაპიტნებს არ ქონდათ, ჭირდებოდათ და ყიდულობდნენ ФРГ-ს გემების მეზღვაურებისაგანო, ინგლისური გემებისგანაცო... ესენი ვისღა უმალავდნენ თავიანთ რუკებს?

* * *

დღესვე გამოვიდა ვიღაც ქურთიშვილი. ახლაო, დღევანდელი დღისათვის, მილიონ ასორმოცდაათიათას მცხოვრებზე ვაშენებთ მიკრორაიონებს (დიღომი) და ვხვდებით, არ გვეყოფაო. მოსახლეობა უფრო სწრაფად გაიზრდება და მეტი მიკრორაიონი გახდება საჭიროო. ამ საკითხზე საჭიროა ლაპარაკი. უნდა ფართოდ განვმარტოთ, რატომაა საჭირო მიკრორაიონებიო და ჭკუის სწავლება დაიწყო.

ცენტრი განიტვირთება, იქით მეტი სინათლეა, მეტი მზეაო და სხვა.

პარიზში ვერ მიმხვდარან, როგორც ჩანს, რასაც ქურთიშვილი მიხვდა...

* * *

პაკისტანის პრეზიდენტი მუჰამედ ზია-ულ ჰაკი დაიბრიდა. აფეთქდა თვითმფრინავში 30 კაცთან (მათ შორის — ამერიკის ელჩი) ერთად. ეგ პატარა ამბავი არაა. აშკარად ააფეთქეს...

17. VIII. 88 წ.

* * *

54 წელს ტაივანელებს დაუჭერიათ ჩვენი გემი, „ტუაფსე“. სამი კაცი (დანარჩენი არ უთქვამთ) გაუთავისუფლებიათ ახლა. ძლივს ლაპარაკობდა რუსულად, 34 წელი პირუტყვებივით ვიყავითო. 1960 წლიდან რადიოს ვუსმენდითო, სხვა კავშირი აქაურობასთან არ გვქონდაო. არაბუნებრივად იყვნენ სამივენი გასუქებულნი. უხალისოდ ლაპარაკობდნენ, მიკროფონს ერთმანეთს აჩეჩებდნენ, არ უნდოდათ, ხელში რომ ჭეროდათ...

18. VIII. 88 წ.

* * *

მატარებელი ლენინგრადი-მოსკოვი. დაიმსხვრა (105 დაჭრილია. დახოცილები არ იციან ჯერ – რამდენია ზუსტად). Кружения. ქართველები იტყვიან: ეს მოხდებოდა სტალინის დროსო. ისე კი, მართლაც გახშირდა...

18. VIII. 88 წ.

* * *

გრამოვი ლაპარაკობდა:

50 ოქროს ვინც აიღებს სეულში, ის გახდება პირველი ადგილის პატრონი, ჩვენდათავად, 140 მედლის იმედი გვაქვსო. ვნახოთ, შევამოწმოთ.

5. IX. 88 წ.

* * *

I ორი ტრაილერი (ჩვენი) დაეჯახა ერთმანეთს რომელიღაც ოკეანეშიო...

II ქუთაისის „ტორპედო“, შეიძლება, თასის მეოთხედფინალში გავიდეს. „კარპატთან“ 0:0, შემდეგი თამაში აქაა, თუ არ შემეშალა.

III დასაევიო, მსოფლიოს პირველი მეკარის მაისურს ჩაიცვამს ხვალო...

12 სექტემბერი, 88 წ.

* * *

იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო ეთხოვება ამ ქვეყანას, როგორც ირკვევა, იმპერატორად გამოაცხადებენ მემკვიდრეს, 54 წლის ვაჟს, აკიხიტოს და თანახმად წესისა, იაპონიაში ახალი ერა, წელთაღრიცხვა დაიწყებაო (კორონაციის შემდეგ), გლოვა კი, მგონი, ექვს თვეს გაგრძელდება.

22 სექტემბერი, 88 წ.

* * *

პოლონეთში პრემიერ მინისტრად აირჩიეს რაკოვსკი. იარუზელსკიმ კენჭი უყარა, 5 წავიდა წინააღმდეგიო, ერთი ძლივს წევდა ხელს, ხან აწია, ხან ჩამოწია. 35-მა თავი შეიკავაო, ესეც სპექტაკლი იყო ალბათ... თავად რაკოვსკიმ განაცხადა, სხადასხვა პარტიების წარმომადგენლები შევლენ მთავრობაშიო.

26-შია დაბადებული. ადრე ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ყოფილა. ახლა ცეკას მდივანი და პოლიტბიუროს წევრიო. გამოვა ამნაირი კაცისგან რამე?

რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს 5 ოქტომბერს ჩილეშიო. თუ უარი ეთქვა პინოჩეტს, პრეზიდენტად რჩება 92 წლამდე და მთავარსარდლად 94 წლამდეო. ახლაც არ დაიმარცხებს თავსო. ერთმა ჩილელმა მითხრაო: წარმოუდგენელია, დაიძინოს კაცმა დიქტატორად და გაიღვიძოს, როგორც დემოკრატმაო. კარგი ნათქვამია, თუმცა სადაღაც, შეუძლებელი არაფერია, მაინც და მაინც.

ბუში და დუკაკისი ჩანან ახლა. ერთი მაღალია, მეორე — დაბალი კი არა — პატარა. ფლეგმატიკია ორივე, ერთი აქტიურს თამაშობს, მეორე თავის ფლეგმობას უსვამს ხაზს,

ნაძალადევი ღიმილით გამოვიდნენ ორივენი. ღიმილი, თურმე, აუცილებელია და რა ქნან. მაფიას ისევ დაუხოცავს ხალხი — მამა და შვილი...

27. IX. 88 წ.

P. S.

შევარდნაძე ლაპარაკობს. აცვია ახალი კოსტუმი, ალბათ, შავი, შეიძლება — მუქი ლურჯი. ცუდი ტელევიზორი გვაქვს ბიჭვინთის დასასვენებელი სახლის ნომერში. კარგად ლაპარაკობს რუსულის თვალსაზრისით, სირბილეს აწვება ზედმეტად, „წეპერ" და ამნაირებს ამბობს. ჯერ გრიბოედოვი, ახლა ეინშტეინი ახსენა.

* * *

დღეს პლენუმი იყო. წავიდა უკანასკნელი სტალინელი გრომიკო, კაცი, რომელიც სტალინთან მუშაობდა უმაღლეს აპარატში. ახლა იქ კაცი აღარაა, რომელიც სტალინს პირადად იცნობდა, უმრავლესობას დანახულიც კი არ ეყოლება. გრომიკომ გულისამაჩუყებელი განცხადება დაწერა და იმდაგვარი სიტყვა თქვა. ვიღაც-ვიღაცეები დაკითხეს. გამოჩენით არავინ გამოჩენილა. პლენუმს არ აჩვენებენ, ახლა სესიაა. სესიას გვანახებენ და ხვალვე გაირკვევა, რა განზრახვები აქვს მთავარს...

30. IX. 88 წ.

* * *

ტურინის „პლაშენიცა", სუდარა შეამოწმეს ოთხი ქვეყნის ლაბორატორიებმაო. ნიმუშები აიღეს რაღაც სხვა ნაჭრებთან კომბინაციაში თუ სხვადასხვანაირად დაათარიღეს ერთი და იგივე ნიმუშები (!), ეს უფრო სწორია...

არც ერთი ქრისტესდროინდელად არ ცვნესო. სამაგიეროდ, აღიარეს 1300, 1250 წლებში ნაქსოვადო. ახლა იმ გრაფის მემუ-

არები (სადა აქვს ეს მემუარები) უნდა ნახონ, ვინც ეს სუფრა შემოიტანა ვატიკანში და შემდეგ ტურინშიო.

14. X. 88 წ.

* * *

25 ათასი ადვოკატია მთელს საბჭოთა კავშირშიო. ეს ძალიან ცოტა ყოფილა.

მარტო ლონდონში 17 ათასიაო.

* * *

ინდოეთშია აგრონომი. გაძლიერებული დაცვა ახლავს თავად მას, იმათ კიდევ გაასკეცებული ეყოლებათ. ახალი სახეები ჩანდნენ. ერთი ადრე არ დამინახავს. მაღალი, სქელი, ადვილად გადაეფარება ალბათ და ამიტომ. ცქვიტზე და სხარტზე მეტად გამოსადეგად ითვლება. წითელი ნიშან-ემბლემები ქონდათ დაბნეული გულის გარეჯიბის ქვემოთ. რაჯივ განდის ცოლი ჯობდა ჩვენსას. ტანადია, მამაკაცური სახე, მაგრამ ლამაზია. გულგრილად ათვალიერებდა იმ ცერემონიალს. თავის ტანსაცმელს მეტ ყურადღებას უთმობდა. კარგი კაბა ეცვა, ბორდოსფერი თუ მეწამული, იქაური ხის ყვავილისფერი (?)

19. XI. 88 წ.

* * *

დანგრეული სომხეთი.

აჩვენებენ ყოველი მხრივ... ჩვენმა ტელევიზიამ სხვას გადაჭარბა, გუშინლამ საშინელებას აჩვენებდა, კოშმარები უნდა დამწყებოდა თითქოს, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი, თუმცა ცრემლით ვუყურებდი... რაც საყოველთაოა, რაც ყველას სატირალია, ყველაზე ნაწილდება...

თანაც არ არიან სალოდავები რატომღაც. დღეს გლოვის დღეა.

10. XII. 88 წ.

* * *

დღეს უკვე გვაუწყეს: გარდაიცვალა ხიროხიტო – იმპერატორი იაპონიის და გაიმპერატორდა 55 წლის აკიხიტი.

ხიროხიტო – 87-სა,

აკიხიტო – 57-სა თუ უკვე 55-ს გამხდარა.

შობა, 7 იანვარი, 89 წ.

* * *

შევარდნაძე ვენაში გააცილა იაკოვლევმა... ეს მაღალი დონეა. იაკოვლევი || კაცია, ფაქტიურად, იმპერიაში...

ავსტრიაში, სადაც მივიდა შევარდნაძე, ჯვრიანი დროშები იყო ჩამოშვებული შვეიცარიის დროშებს თუ ვატიკანის ჯარის ფორმას გავდა...

17. I. 89 წ.

* * *

ამერიკაში შეუქმნიათ ნაბიჯა ტელევიზორი, шагающний телевизор, მოსიარულე ტელევიზორი, გახვალ და მოგყვება თურმე ოთახიდან ოთახში, ოთახიდან სამზარეულოში. დიდ აღმოჩენად და მიღწევად ჩაითვალაო. ეგ უნდოდა კიდევ ადამიანებს... ისე, დროის სიმპტომატურია.

25. I. 89 წ.

* * *

დანიელი მოგზაურები (ოჯახი)

მოტოციკლით შემოუვლიათ მსოფლიო და მათ შორის საბჭოეთიცაო, ხმა მესმოდა მხოლოდ, არ ვუყურებდი. მამაკაცი

(ოჯახის უფროსი) დავინახე, კეთილი, მომღიმარი სახე, უკან გადავარცხნილი თმით, დიდი შუბლით, მრგვალი თვალებით, ვიწრო ნიკაპით. ამაზე გადავირიეთ, სხვადასხვა რესპუბლიკებია და ერთი საყვარელი საბჭოთა კავშირიო. ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?

Самый забавный случай?

საქართველოში ბენზინი გაგვითავდა, Сотрудники Гай გააჩერეს სამი კერძო მანქანა და ჩაგვისხეს ბენზინი, თანაც „უფასოდ", უფასოდ ორჯერ გაიმეორა.

ყველაზე საშიში მოძრაობა ბაქოშია, იქ, ალბათ, ყველა ჯიგიტიაო, აქ კი მოგვეჭრა თავი! ბაქოს უჯობნია უდისციპლინობაში.

Месхетинский турок — ასე თქვა ახლა დიქტორმა, პატარა ერებში მოიხსენია.

29. I. 89 წ.

* * *

ჭიჭინაძე — ალბათ ბიოლოგი. საინტერესოდ ილაპარაკა მამაკაცის სისუსტეზე, ფიზიოლოგიურ სისუსტეზე... ამაზე მეც ბევრი მიფიქრია, ჩემნაირად ამიხსნია. აქ კი, ამ გადაცემაში, ფაქტები იყო ბევრი. დედაკაცს შიმშილის გადატანა შეუძლია იოლად, სისხლის დაკარგვა გაცილებით მეტის და სხვა...

ამ კაცს, **ჭიჭინაძეს,** უნდა შეხვდე... .

10-11 წლისას დედაჩემი რომ თავის წილ ჭადს მაძლევდა, ეს მახსოვს, მაშინაც მიკვირდა, მიცდიდა, როდის შევჭამდი და ნაწილს თავისას მაძლევდა შემდეგ. იმას ყოფნიდა, მე არა...

* * *

შეხვედრა, საბჭოთა ნაკრები ჰოკეიში და ავღანელი ჯარისკაცები ინვალიდები, უმრავლესობას ფეხი არ ქონდა. საჭიროა

ამნაირი შეხვედრებიო. ამნაირი სულელური შეხვედრა ვერც წარმომიდგენია... თავად სპორტსმენები შეწუხებულნი იყვნენ, შევატყვე.

7 თებერვალი, 89 წ.

* * *

ინგლისელებს სამგზავრო თვითმფრინავებზე დაუდგამთ ტელეფონი, რომელიც თანამგზავრების საშუალებით მუშაობს, დედამიწის ნებისმიერ წერტილში ჩაერთვებითო. სახელი: **სკაიფოუნ**. ზეციური ტელეფონი. Небесный телефон

16. I. 89 წ.

* * *

გუშინ გამოიყვანეს მთლიანად ჯარები ავღანეთიდან. ბოლოს გამოვიდა ახალგაზრდა გენერალ-ლეიტენანტი გრომოვი. ხიდზე დაახვედრეს შვილი. დიდხანს იყო ჩახვეული, მაინც რეპეტირებულს გავდა. გული არ აუჩვილდა. მთავარი სხვა იყო მისთვის, თუმცა ცუდი კაციც არ ჩანდა.

* * *

ნარკოტიკების ვაჭარია დაჭერილი.

დიდი თავსატეხი გაუჩინა პოლიციასო, არაფერ ტრანსპორტში და საკანში არ ეტევა, 320 კილოგრამია. თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში აიყვანეს რაღაც მექანიზმით, რომ დაჯდა და გასწორდა, კმაყოფილი, მრგვალი სახე ჰქონდა და ტანთან შედარებით — გამხდარიც.

* * *

შევარდნაძე ომანში, იორდანიის მეფე ხუსეინთან, შავი, პატარა, მოკლე თმით, ჩაკვერცხილი თავით, მოკლე პიჯაკით,

მოკლე სახელოებით, სულ ნათხოვარი რომ მგონია... შევარდნაძე (ახალი პოზა, ცოტა ხნის წინ შევამჩნიე) – ხელები მარცხენა ფეხზე, მარცხენა მკლავი გახრილი, გულს და იღლიას არ უნდა გაცდეს თითქოს. გული აწუხებს, შეიძლება, ნაცნობი პოზაა. ზოგმა მარცხენა ხელის აწევა და რამეზე ჩამოდება ან ჩაჭიდება იცის ამ დროს.

19. II. 89 წ.

* * *

კოპერატივად გადაკეთდა ქარხნის (აგურის) ერთი განყოფილება. უმრავლესობამ მიატოვა სამუშაო-გამომუშავება და დიდი ხელფასი. ურჩევნიათ, რასაც აძლევენ. მივა, გამოცხადდება და წამოვა. რაც ერგება, აიღებს. იქ უნდა ხელი გაანძრიო, ინიციატივაც გამოიჩინო, პარტკომიც არა ჰყავთ, შეიძლება, ეს მისთვის უბედურებაა. არ უნდათ კერძო...

* * *

17 მილიონ ელექტროუთოს, თურმე, უშვებს ყოველწლიურად СССР!

89 წ. აპრილი

* * *

რუსი მღვდელი. მგონი, ლიტვაშია. Православных церквах богослужение на славианком языке... შეიძლება, სხვა ენაზე, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია მხოლოდ სლავურიაო...

ბერძნულიც არ ახსენა, სხვას ვინ დაეძებს...

ყეყეჩი, ცხოველი... ბნელი...

ამ საბნელეთმა გახადა ძველი სემინარიელები რევოლუციონერებად, შემდეგ კაციჭამიებად რომ იქცნენ...

1989 წ.

* * *

კონევის ქალიშვილი გამოიყვანეს, მამის მონაყოლს იმეორებდა: სასამართლოზე რომ შემოიყვანეს ბერია, ხელების ქნევა, ფართხალი დაიწყო, უკან-უკან იხევდა, ვერ შემოყავდათო. მივიდა მოსკალენკო და ყველა ღილი დააგლიჯა შარვალზეო. ამის შემდეგ დაწყნარდაო. შემდეგ იჯდა, ხმას არ იღებდა. ჩვენებებს, ბრალდებებს, რაღაი ხმას არ იღებდა, ეთანხმებოდაო(?). ჩანდა თავად ბერიაც. ქუთუთოები თავისთავად ეღებოდა და ეკეტებოდა, მსუქან, შეიძლება, შესიებულ სახეზე კუნთი არ ერხეოდა, თვალები კი ეხუჭებოდა და ეღებოდა თითქო მექანიკურად. სათვალე თუ პენსნე წაართვეს და აღარ დაუბრუნეს. საბოლოო სიტყვა თქვაო, – კიდევ გამოვადგები ქვეყანასო. მგონი, სიკვდილის წინაც მოითხოვაო სიტყვა. ეს юность-შია. ჯუნამ წაიღო, უნდა გამოვართვა...

89 წ. მაისი.

* * *

შამირი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

ტანად პატარა, თავი დიდი და ნაკვთებიც დიდი და უსიმპათიო მაინც არაა...

დადის ლენინივით, ზუსტად ლენინივით.

გამომეტყველება საქმიანი, ჭკვიანი და თამამიც Решительний.

* * *

ფაფას აჭმევდნენ ხომეინის საწოლში, კოვზით უდებდნენ პირში. იწვა მშვიდად... გადარჩენის იმედიც ქონდა და სიკვდილისაც არ ეშინოდა თითქოს.

ეს მაისში იყო, თუ არ ვცდები, მალე გარდაიცვალა, მგონი, გუშინწინ.

დღეს 6 ივნისია 89 წ.

* * *

ყველაზე ძველი პატიმარი (ამერიკა, შ. შტ.) 1917 წელს დაუჭერიათ, მიუსჯიათ მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა (1989-17=72 წ.) დღესაც პატიმარია. დამსახურების გამო, პრივილეგიებით სარგებლობს, გადის და შემოდის ციხის ეზოდან კამერაში...

12 თებერვალი 89 წ.

* * *

ჰესი რუდოლფ

ჰესის შვილმა დაწერა წიგნი, თავი არ მოუკლავს, მოკლესო. 49 წელი იყო პატიმარი. თავი მოიკლა, მგონი, 100 წ. აღარაფერი უკლდა.

2017 წელს გაიხსნება დოკუმენტები ინგლისში.

შპანდაუს ციხეში იჯდა, სრულიად მარტო. ელექტრონის შნურით ჩამოიხრჩო თავი?! კიდევ რაღაც იმალება ამ ფაქტის იქით თუ უკან!

* * *

ანრე სტილი (ლუმანიტეში). პერესტროიკა კარგია, მხოლოდ რობესპიერის მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებულიო (სისხლისმსმელი რობესპიერისა). აი, რა აზრებითა აქვთ კვლავ ტვინი ამოტენილი კომუნისტებს. იმავე გაზეთმა თბილისში 9 აპრილის მონაწილეების გამოსვლებს უსაქმურების გამოსვლები უწოდა.

* * *

ორასი მილიონი ФРГ მარკის ღირებულების კოკაინი დაიჭირეს ФРГ-ში, კოლუმბიიდან შემოტანილი.

* * *

რუდოლფ ჰესი ინგლისელებმა მოახრჩვესო, მაისში დაიჭირეს, 1941 წ.

* * *

ესტჰერცოგი კაიზერი (ავსტრია), ბოლო მონარქი, 68 წელი მმართველობდაო. უთვალავი ირემი მოკლა თურმე ამ ხნის მანძილზე. მათი რქების კოლექციაა იმ სასახლეში, რომელიც აჩვენეს დღეს.

25. VII. 89 წ.

P. S.

კიბოს არჩენს ვინმე ხოჯაევის პრეპარატი ბულგარეთში... ლეიკოზის და მოდებული კიბოს გარდა, არჩენს და აქრობს ყველაფერსო და გვაჩვენეს კიდეც რენტგენული სურათები და სხვა ფოტოებიც...

იქნებ ეშველოს ადამიანებს.

* * *

დღეს, 28 სექტემბერს, 1989 წ. მკვდარ ბრეჟნევს ჩამოართვეს 1978 წელს მიღებული ორდენი „პობედა", როგორც უკანონოდ მიღებული. გეგონება, დანარჩენი კანონიერადა აქვს მინიჭებული ანდა ვინმესთვის მნიშვნელობა აქვს თითქოს, ექნება თუ არა სამარეში წოდება. რკინები, რამდენადაც ვიცი, მიწაში არ ჩაუყოლებიათ.

* * *

ლოს-ანჟელესში დაიჭირეს რამდენიმე ტონა კოკაინი კოლუმბიიდან. 2 მილიარდის (დოლარი) ღირებულების (ერთიანი ფასი), გადამყიდველები 5-ჯერ მეტად გაასაღებდნენო. 10 მილიარდ დოლარად...

ეს ციფრი, ალბათ, სარეკორდოა...

30. IX. 89 წ.

* * *

ამერიკელებს ეგვიპტური სფინქსის ასლი გადაუღიათ და შექონდათ ამერიკაში – ნიუ-ჯერსში, ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეა, 11 ტონა სიმძიმე (თუ წონა არ შემეშალა). დგამენ სტადიონზე, სადაც უნდა განხორციელდეს გრანდიოზული სპექტაკლი – ვერდის „აიდა“.

13. X. 89 წ.

* * *

გადადგა ხონეკერი (გველხოკერას ვეძახოდი), გორბაჩოვის ჩასვლას დაუკავშირდა.

დადგა ვიღაც კრენცი და დაიკავა ხონეკერის ყველა პოსტი ერთდროულად. დაბადებული ყოფილა 1937 წ. კარგი ასაკია!

უნგრეთი რესპუბლიკად გამოცხადდაო!

18 ოქტომბერი, 89 წ.

* * *

გორბაჩოვი 26. X. 89 წ.

გვექნება ფედერაცია, აქამდე ფედერაცია არ გვქონიაო. თუ საჭიროა, შევიტანთ კორექტივებს თანდათან, თუ სხვა ფორმები და ურთიერთობანი გახდება საჭირო, ამაზეც დავფიქრდებითო...

ფინეთში რუსული ენა მე-6 ადგილზეაო. ერთადერთი რუსულ-ფრანგული სკოლაც ყოფილა.

რას ნიშნავს, დაახლოებით, VI ადგილი?

ფინური

უნგრული (?)

გერმანული

ინგლისური

ესპანური (?)

და VI (?) ...

* * *

„პეპსი-კოლას“ ფირმა ან ფირმა „პეპსი-კოლა“ თავისი შემოსავლის 60 პროცენტს რეკლამას ახმარსო.

აქ პარადოქსია.

ნაკლებს მოახმარს და ნაკლები ფული დარჩება.

* * *

როგორ გარბიან გერმანელები ГДР-იდან იქით. რა სიხარულით ეგებებიან იქ. როგორც ციხიდან, როგორც საკონცენტრაციო ბანკებიდან...

რა დღეში ჩაყარეს ადამიანები...

ცრემლები მომერია ამის შემხედვარეს.

12 ნოემბერი, 89 წ.

* * *

რაები ხდება, ჩაწერა, დამახსოვრება მიჭირს. ლენინის ძეგლს ანგრევდნენ პოლონეთში. შეტაკება მილიციასთან. ავიღებთო, დაპირდნენ. ერთ კვირაში მოვალთ და არ დაგვხვდესო.

ჩეხოსლოვაკიამ: ამოიღო კონსტიტუციიდან — პარტია წარმმართველი და ხელმძღვანელი, ამიერიდან ჩვენს პროგრამაში მარქსიზმ-ლენინიზმით კი არა, მეცნიერული კანონზომიერებით და სინდისით ვიხელმძღვანელებთო.

ასე, ბულგარეთშიც კი...

ასე — პოლინეთში...

ასე ადრე არც ველოდით...

ის კი იტალიაში, რომის პაპთან შესახვედრად ემზადება...

30. XI. 89 წ.

* * *

42 მილიონი დოლარი გადაუხდია ვინმე იაპონელს პიკასოს სურათში.

ეს რეკორდული ციფრიაო.

ლაჯანური მოდიდებულაო. დაიმეწყრა ადგილებიო...

* * *

პაპის და გორბაჩოვის შეხვედრას ვუყურებ, არაფერად ტელევიზორში, ქუთაისში, ჩემს ბუნაგში. ცუდია, ფერადად რომ ვერ ვხედავ საინტერესო შეხვედრას. ლაპარაკობს პაპი. აქ – თეთერი სამოსელით, სინამდვილეში, ალბათ, წითლით. დაბალია, თან, ეტყობა, ტანსრული. ახლა მიშა მივიდა მიკროფონთან. სტიქიაშია, მოდგება, ილაპარაკებს. ვაშე სვიატეიშესტვო, ასე დაიწყო... გაყვა და სულ მალე რეკავს პერესტროიკას...

ველოდები:

პაპი გულზეხელებდამწყვდეული ზის, ოდნავ გადახრილია და (თითქოს ძინავს) უსმენს...

პერესტროიკა თქვა უკვე პირველსავე წუთზე.

სვიატეიშესტვო, მალე დაამთავრა.

მილანში ჩავიდნენ გვიან ღამით. გაჩვენებთო. ეგ აღარ მაინტერესებს.

ბუში პირდაპირ მილანში ჩავიდა. ამ შეხვედრას მან ისტორიული უწოდაო. ორი უზარმაზარი სამხედრო გემი ჩანს ზღვაში.

რატომ აირჩიეს, თუ იცით, მალტა, მაინცადამაინცო... რაღაცას პასუხობენ.

ეს საკითხი კი რაისამ გადაწყვიტა ალბათ, მალტასაც ნახავს...

ვატიკანს ხშირად ათვალიერებდა რაისა...

კატას ჰგავდა, ბელურების ხმა რომ ესმის ზემოდან – იმნაირს.

* * *

დუბჩეკი გამოიყვანეს, ალაპარაკეს. თავისუფლად ფლობდა რუსულს, დაბერებულა და ვიეტნამელს დამგვანებია. როდის დაგიჭირესო, ესეც ჰკითხეს (Взглядь). об этом не будем говорить, больно! — ეგრე უპასუხა. ჩვენი ჯარი შეგრიალებულა 1968 წელს, ე. ი. მე ვყოფილვარ გაგრაში, იმავე წლის შემოდგომაზე, ანდა მომდევნო 69 წელს (?), აქცია ჩეხოსლოვაკიაში შემდგარი იყო, ეს კარგად მახსოვს. ვთამაშობდით მაშინ, მოდაში იყო, ჩეხურ დურაკას, ჩვენ დუბჩეკს ვეძახდით ამ თამაშს, თან ვგრძნობდით, დუბჩეკი „დურაკი" კი არა, ტრაგიკული პიროვნება იყო. ერთად ვისვენებდით, ერთად ვიყავით: ძმანი ჭილაძენი, ედიშერი, არჩილი, ამირან აფშილავა, გაბისკირია, საშა ქუთათელი. ჭილაძენი — ცალკე, არჩილი და ედიშერი — ცალკე, მე — ცალკე და მაინც ერთად ვიყავით ყველანი ერთი თვე თითქმის.

XII. 89 წ.

„ვზგლიადი".

* * *

რა სახე ჰქონდა დასაბრედად განწირულ ჩაუშესკუს! თურქული ქუდი ეხურა თითქოს — კარაკულის, ბუხრის? მაღალი, შავი, თვალებზე ჩამომხობილი. წნევას რატომ უზომავდნენ, ვერ გავიგე, თუ ის ადრე იყო გადაღებული? ცოლი გამოლენჩებული... გრძნობდა, ყველაფერი მთავრდებოდა შვილებისთვის, შთამომავლობისათვის...

ვის ჰქონდა გადაღების თავი, მაინც შეუნახეს ისტორიას?

26. XII. 1989 წ.

იშლება სოც. სამყარო...

ლიტვასაც ვერ აუკრძალეს კომპარტიის დამოუკიდებლობა.

ხალხი გადაწყვეტსო, ასეთი დადგენილება მიიღეს პრინციპში. რაღაც მოკლე დასკვნა წაიკითხეს, ყურადღებაგაფანტულმა ყველაფერი ვერ დავიმახსოვრე...

* * *

დააყირავეს მონღოლეთში სტალინის 4 მეტრიანი ბრინჯაოს ძეგლი. გულაღმა წავიდა უკან... ხალხი ყვიროდა, აღტაცებული ხალხი. რაღაც წარმოდგენას, სპექტაკლს გავდა ყველაფერი...

23. II. 90 წ.

* * *

ექვსი წლის ბავშვი გადააგდეს ხიდიდან და მოკლეს დედამ და მისმა საყვარელმა. ახლა ის კაცი ლაპარაკობს, ჭრელი პერანგი აცვია, თმა გაცვენილი, ბასრი სახე, ოდნავ წადეგენერატო. შემდეგ დედა: — თეთრი, მსუქანი, ლამაზიც. დანარჩენს შემდეგ გეტყვითო, გადმომცემმა თქვა. შეიძლება, შეიშალოს ადამიანი! ქალი სხვანაირად ყვება, კაცი — სხვანაირად. კაცი ამბობს, ქალმა მითხრა, გადააგდეო...

23. II. 90 წ.

* * *

წუხელ, დღეს 25 თებერვალია, სულ გადაირია ტელევიზორი, 92 წლის რუსის ინტელიგენტი ქალი გამოვიდა, დედა უტირა ლენინს, ფრუნზეს... პირველად კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში შეიტანეს სიბინძურეო. არაფრად არ თვლიდა განათლებას — „კუხარკას“ უნდა შეეძლოს მართვაო. ახლაც კუხარკა მართავს, უმაღლესი განათლებით მხოლოდ, საშ. არა აქვს დამთავრებულიო(?). შემდეგ ფრუნზე. მედროშე ქალებსაც აჩვენებდნენ დიდხანს.

* * *

3 მარტი. შაბათი.

ბაღდათი, ზედა ბაღდათი. გასვენება. საღორიის და აჯამეთის ტყის ქვედა სართული (ხე-ბუჩქები) მწვანე იყო უკვე... სითბო, იმ მხარის დამახასიათებელი, შორს — დათოვლილი გლუვი მთები.

წამოსვლისას სუფრა ახალ რესტორანში, ჯემალ გედენიძის თავკაცობით...

* * *

16 მილიონით ნაკლები მამაკაცია, ქალებთან შედარებით, СССР-შიო.

* * *

ხუსნი მუკარაბ. არაბეთი. ჩამოვიდა და დახვდა შევარდნაძე. საჰაეროდრომო პარადიც მან მიიღო. ეს პირველი შემთხვევაა, გრომიკოსათვისაც არ მიუგიათ ეს პატივი, თანაც პოლიტბიუროს წევრად კი არ გამოაცხადეს, „ჩლენ პრეზიდენტსკოვო სოვეტა". ესეც პირველი შემთხვევაა.

ამასთან გამახსენდა:

9 მაისს საზეიმო სხდომაზე ლენინის ბუტაფორული ბიუსტი არ იდგა, არც მისი პორტრეტი ამშვენებდა იქაურობას. ესეც პირველი შემთხვევა.

14 მაისი, 90 წ.

* * *

ტაშკენტის მეტროს რამდენიმე სადგური დაუკეტიათ. გაჩენილა რაღაცა უბედურება: სოკოს რაღაც სახეობა, შიდსზე უარესი უნდა იყოს, ბეტონის კედლებში გამოდის თურმე...

28 აგვისტო, 90 წ.

* * *

საზეიმო საღამო ამათი. მერამდენე 7 ნოემბერია, აღარც ვიცი. ასეთი შეწუხებული სახეებით ჯერ არ მსხდარან საზეიმო საღამოზე (ბევრს არაფრისმთქმელი გამომეტყველება). წაუმოხსენება, მოხსენება გააკეთა (არცთუ ცუდი), ლუკიანოვმა, მოკლე სიტყვა თქვა. ტაში დაუკრეს და ირონიული გამომეტყველება აღებეჭდათ მსმენელებს (არაფრი თქვა და იმიტომ).

6 ნოემბერი, 90 წ.

* * *

7 ნოემბერი.

ხალხი დაახლოებით იმნაირადვე ზეიმობს, დაახლოებით... ამათზე არაფერი არ მოქმედებს, გამოუშვი და აზეიმე ოღონდ. მკვდარი რომ ყავდეს შინ, გამოვა და ლოზუნგს, ტრანსპარანტს დაიჭერს.

სიახლე: სამხედრო პარადი რომ დამთავრდა, ჩამოვიდნენ მავზოლეუმიდან, ფეხით გადაჭრეს მოედანი, წინ დაუდგნენ კოლონას და გამოუძღვნენ ხალხს. მიიტანეს ყვავილები ლენინთან და ისევ ზევით ავიდნენ. აყვნენ ვიღაც ქალებიც, სიმაღლეზე საკმაოდ უხერხულად გრძნობდნენ თავს. ერთი მაინც უცბად გათავხედდა და ხელის ქნევა დაუწყო ქვევით, ვითომ იმის სანახავადაა ვინმე მოსულიო...

ერთიცაა. იგივე ხალხი, შეიძლება (ბევრი იმათგანი), შებრუნდეს და საპროტესტო დემონსტრაციებს მიუერთდეს... დანიშნულია ამდაგვარი დემონსტრაციაც და ეგრეც მოხდება, როგორც ვთქვი.

* * *

დუდუკების ჰანგები (კელაპტრიშვილი) დაუდეს გერმანულ ფილმს. ეკოლოგიური კინო და ქართული დუდუკები... საოცრად შთამბეჭდავი...

დიდი მუხა, დიდი ფერდო მინდორი, დიდი ცისფერი ცა და დუდუკები...

რაღაც არაამქვეყნიური...

სიმღერები.

თ. ჭკუასელი თუ შემხვდა სადმე, უნდა გამოვკითხო.

* * *

სოფ. მუხრანი. ტატიშვილები („ფერმერები"), ძმები. ყაჩაღებიო. მხედრიონის ყრილობა სამსჯავროსავით...

— აწიეთ, ხალხნო, ხელი, რისა გეშინიათ! — აქტიურობდა მუცელგადმოგდებული ბიჭი — არარაობა...

მოულოდნელად ქალი, წინა რიგში, თურმე დედაა ტატიშვილების.

— გამოგგზავნეს აბა?!

— არც იციან ჩემმა შვილებმა, აქ რომ ვარ...

ქალი 60-ს გადაცილებული, შრომით დაბერებული, მამაკაცური დგომა, სოფლელი მამაკაცის იერი, ცხვირიც. როგორ შეუტია უამრავ ხალხს...

ეს რომ დაწერო და არტისტმა განახორციელოს, რა საზიზღრობა გამოვა...

ზედმეტსაც არ ამბობდა...

პაუზებით. ზუსტი პასუხებით.

ისმენდა კიდეც, რას ეუბნებოდნენ.

* * *

აგრონომი* ხაბაროვსკშია, მიემგზავრება იაპონიას. ცოლი — რაღაც ძვირფასი პალტო, უგემოვნო, მაგრამ, ეტყობა, ძვირფასი ტყავი, სრული პლაშჩი, მუცელი ეტყობა და სქელი ჩანს, ად-

---

* გორბაჩოვი. აგრონომი ყოფილა მართლაც როსტოვის (?) რომელიღაც სექტორში (ავტორის გვიანდელი შენიშვნა).

რინდელივით, მხოლოდ ირონიული მზერით... ისეთი გამომეტყველებით, უკან დაბრუნებას არ აპირებდნენ თითქოს... დაბრუნდებიან ალბათ, მაგრამ მიშას დღეები დათვლილია...

15 აპრილი, 91 წ.

უნდა იყოს.

* * *

ქალთა კოლონია. ქალები – მკვლელები.

თლიფინებდა, თან ლამაზი იყო, თან რაღაც ამაზრზენი. სახე – გაცრეცილი, ალესილი, თვალები – უნდო. ოჯახის ინტელიგენტობას აწვებოდა. ქალი მაინც ქალია, თან შემოდიან აქ, ხან მონტიორი, ხან სანტექნიკი და სხვა. ჯოხს რომ ჩააცვა ტანსაცმელი, ქალი მაინც თავს მოიწონებსო.

მთვარესავით სახე. ტიპიური დიასახლისი. ქმარი მოკლა!

ვიცი, რომ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა არ შეიძლებაო... ორი (2) შვილი დარჩა გარეთ. ქმარი მოკლულია.

– თუ ინანიებთ? შვილები რას იტყვიან?

– ისეთი კაცი მოვაშორე (ეჭვიანობაზე) ამ ქვეყანას, არაფერს არ იტყვიან...

ოთახში რამდენიმე ერთად.

ერთი საზიზღარი, ურცხვი, ბოზი.

სქელი. ყველაფერი სქელი, ტუჩები და სხვა...

არაფერზე არ უნდოდა პასუხის გაცემა. იწყებდა ყოყმანით, შემდეგ არ ვიციო... ტელეკამერაც უნდოდ, არც უნდოდა... ძალიან, ნამეტანი გულგრილი, ვულგარული.

გვერდით გამხდარი, უსახური გოგონა, ისიც მკვლელი, პრიმიტიული არსება... ერთობოდა თითქოს კიდეც. ის არც მოიწყენდა თითქოს, ყოველ შემთხვევაში, სევდა არ დაჯაბნიდა, თავისი მსოფლმხედველობის კი არა, პრიმიტიულობის გამო.

ლამაზი, ნაშვილები. რუსი, შეიძლება, ბალტიისპირეთიდან.

ან ზნეს იცვლის ან ფერსაო, არც ზნე ეცვალა, არც ფერი... შესანიშნავად ლაპარაკობდა ქართულად მხოლოდ.

კაცი დაუჭრია დანით. 20 თუ 21 წლის იყო. თავის ტრაგიკულ ცხოვრებას ყვებოდა თითქოს, რწმენა დაკარგა თითქოს... ჩემი დედა მეცოდება, ვერ გავუმართლე... სიყვარული არ მინახავს, არ ვიცი, რა არიო, ტყუოდა. გრძნობაშიც ტყუოდა, თვალები ყიდდნენ...

ქურდობაზე დაუჭერიათ მეორეხელ. პირველი, ალბათ, აპატიეს.

გამოვა, ისევ იქურდებს... ვერ ენდობი...

1991 წ. მაისში იყო ეგ გადაცემა.

* * *

ჩეხოსლოვაკიიდან გამოყავთ ჯარი და აჩვენეს ჩვენი ოფიცრები, დაძმარული სახეებით. ჯერ ჩეხ ჯარისკაცებს ელაპარაკებოდნენ: რა გინდათ, წადით, ყველა ჯარი უნდა იდგეს სამშობლოშიო...

ჩვენი ოფიცრები (ყველა რანგის) მკვდრებს გავდნენ. მივდივართ „სოიუზშიო“, ერთს არ დაცდენია, სამშობლოში ვბრუნდებითო...

იქო არ გვექნება კარგი საშინაო პირობები... ჩეხოსლოვაკიაში აქვთ, ასე გამოდის და იქ უნდა იყვნენ სამუდამოდ, როგორც დამპყრობლები...

იქაურ მოქალაქეობაზე მაინც იზრუნონ, როცა ხიკვდალიეთ არ უნდათ წამოსვლა.

* * *

ვარლამი!

უდაბნო, მავრიტანია (მაროკოა?). მავრები. შავები და ხაკმაოდ ლამაზები, დახვეწილი სახეებით ზოგიერთები. შავები, მაგ-

რამ სახის იერით სულ არ გვანან ზანგებს. ძუძუს ბავშვი შავი გოჭივით, ჩვენი ბავშვივით საყვარელი...

იტალიელების გადაღებული, როგორ უტევს ყვითელი სილა ქალაქებს... ეს ქალაქი დასამარხადაა განწირულიო. ხალხი იბრძვის, რგავენ, რწყავენ, ეომებიან ყვითელ სილას (მწიფე გარგარისფერი) (მწიფე ჭერმისფერი). ბავშვები სილაში ისე გორაობდნენ, თითქოს წყალში ჭყუმპალაობენო. სიცხე... ფერად-ფერადი ტანსაცმლით, თხლად, მსუბუქად და ბევრი აცვიათ... შავი ფერი ერწყმოდა საოცრად უდაბნოს, ბორდოსფერი, წითელი არ იყო. თეთრი თავისთავად, მწვანე... ოაზისები, პალმები, ბაღჩები, ხალიჩები...

17. VI. 91 წ.

* * *

1991 წ. აგვისტო. სიცხე.

თურქეთის საზღვარი. ქართველი „ტურისტები"(?), მანქანებიდან ამოჰქონდათ უთოები, ნათურები და რაღაც-რაღაცეები, ლითონი, ელექტრომოწყობილობა...

შემდეგ:

უმაღლესს გარეთ დარჩენილი აბიტურიენტები და მათი მშობლები. შეშლილი სახეები ახალგაზრდების, მთელი ენერგია ჩარიცხვისაკენ... ამ მისწრაფებას არ გაამჟღავნებენ არაფრის მიმართ, ასეთი სითამამეც არ მინახავს ქართველებში. რაღაც საზიზღრობა, ყველაფრის გადმოცემა არ შემიძლია. თავი მძულს, ქართველი რომ ვარ...

* * *

ხო ში მინის ძეგლი — მემორიალი.

ლითონის უზარმაზარი ფარი და ბარელიეფი ხო ში მინისა. სად, რომელ ქალაქში, ვერ გავარკვიე.

ტელევიზია გამვლელებს:

— ღირს თუ არა აღება, დემონტაჟი?

უმრავლესობა — არა!

ერთმა თქვა, ფული დაჯდება მაგის აღება და არ აიღოთო (იმ ფულის ეკონომიით ეშველება თითქოს ქვეყანას). ერთს კითხეს (დამატებით), რატომ არ უნდა ავიღოთო.

Хорошо смотреться!

ნოემბერი — 1991 წ.

* * *

ქარელში მოიპარეს სათესლე, 4 ტონა ლობიო. იგი შეწამლულიაო (HOS რაღაცით) და ძლიერ ტოქსიკურია. ჭამა და სიკვდილი ერთია. არც გარეცხვა შველის, არც მოხარშვა ნიახურით. თუ არ მოუტანთ, დატოვეთ სადმე, დარეკეთ, მოვლენ და წამოიღებენ...

23 ნოემბერი, 91 წ.

* * *

ვრანგელის ქალიშვილი აჩვენეს ამერიკიდან. ძალიან სიმპატიური ქალბატონი, თეთრი, დაწყობილი სახის, თავშეკავებული ლაპარაკში. ვიყავი რუსეთში შარშან ოქტომბერშიო (საბჭოთა კავშირს კი არ ამბობს, რუსეთს), დიდი შთაბეჭდილებით დავბრუნდი, იქ ყველა რუსულად ლაპარაკობსო. ამას გაუოცებია. ჩემსობას აგრე არ იყოო. დამაფიქრებელი ფაქტია. არისტოკრატია ფრანგულად ლაპარაკობდა... 14 წლის ვიყავ, მამა რომ გარდაიცვალაო, რომელი წელი ყოფილა? 1925 წ. ქალბატონი დაბადებულა 1914 წელს.

7. XII. 91 წ.

* * *

პრეზიდენტთან სტ-ების შეხვედრა.

სტ: – საკითხი ასე ყენდება, დგას, სხვათაშორის...

რცხილაძე – უკაცრავი პასუხია, გაათრიეს მანქანებით ავტობუსები...

ხაბულიანი – თითქოს თვალდავსებული, მილიციელი – თითქოს დაჭრილი.

შემდეგ თქვეს: მაგარი საგანი მოხვდა მკლავზეო.

ახლა, ამ წუთას, მძიმე სიტუაციაა პრეზიდენტის მოედანზე, კარვებთან. ველოდები ტელევიზიას...

19, ოცი დგება,

დეკემბერია, 91 წლის.

ტელევიზორით ვსულდგმულობდით მთელი ამ ხნის მანძილზე და არაფერი ჩამიწერია.

* * *

დღეს 26 იანვარია, 1992 წ.

ჭანტურია ეკრანზე. თვალები ამოთეთრებული შიგადაშიგ (ცხოვრებაში არ მინახავს(?), თითქოს წვერგაუპარსავი...

პიჯაკი, თითქო, ტყვიაგაუმტარი, ბეჭებთან და მკერდზე ეკეცება ყავარივით, ჩვენთანაა შეკერილი, ნამეტანი ეტყობა.

კანეჩნა, ტო! – ჟილეტი ეცვა ალბათ.

* * *

ბატონი ქერიმი – ქურთი(!)

ეზიდიზმი – ქურთების რელიგია. ეზიდები – ფაქტიურად, ცეცხლთაყვანისმცემლები...

მათი სალოცავი ერაყში:

შახადი – მათი მამამთავარია იქ დაკრძალული, სამფერი (ფერები ქურთული) დიდი დროშა გამოიტანეს...

ენა — ინდოევროპული, ირანული ჯგუფი, ძირითადი დიალექტი — ყურმანჯი.

ანთებდნენ ცეცხლს, მოდიოდნენ დიდი დაირებით, სალამურებით. ხალხი კოცნიდა დაირებს, ბავშვები კოცნიდნენ. წყლები სალოცავში. უკვდავების წყალი, ზემზემის წყალი.

ნაგებობანი — აქაური საცხოვრისებივით, სარდაფები, ბათქაში ჩამონგრეული, სისველე, ნესტი თითქოს...

* * *

რუსის ქალებს ეკითხებიან: ალიმენტს ქალი მამას რომ უხდის, რა აზრისა ხართო. ერთმა შვიდმა ქალმა ერთნაირად უპასუხა — ქალმაც უნდა გადაიხადოს ალიმენტიო. არცერთს არ შეპარვია ეჭვი ამ ფაქტის არანორმალურობაში.

— ქალმა მამაკაცს უნდა უხადოს ალიმენტი... (სავსებით ბუნებრივად თვლიან).

ქალები სხვადასხვანაირი. არც ულამაზო, არც ლამაზი, უცხოდ შეღებილი თმით...

ახალგაზრდა, არც ახალგაზრდა, ერთი ოჯახის ქალსაც კი ჰგავდა.

* * *

შევარდნაძე ძვირფასბეწვიან რაღაც ცხოველს ჰგავდა სახით, თეთრი, რბილი ლოყები, მაღალი შუბლი. შავი კოსტუმი, ვიწრო ბეჭები, ჟილეტი — კარგად მორგებული, მოწითალო ღილებით, შარვალი ნაცრისფერი. კარგად იყო ჩაცმული.

ლექსო თორაძე.

რბილი სახე, ისიც წყლის თუ თოვლის ცხოველივით, ვიწრო ბეჭები...

მკლავები — ძალიან სქელი და განვითარებული. თავი — მელოტი, შუბლი — ამასაც მაღალი, თმა — წრეშუბლზემოთ, თითქოს მღებავის ფუნჯია დატყეპებული შავად.

* * *

იაპონლები თოვლში. ჩრდილოეთი მხარე, როგორც ჩანს, ერთი სოფელი, კომლი – ცოტა, სულადობა – უფრო ცოტა, რადგან მამაკაცები და ახალგაზრდები დიდ ქალაქებში არიან მიმოფანტულნი.

დიდი თოვლია. ზამთარში, როგორც წესი, დიდი თოვლი მოდის თურმე. მარტის შუა რიცხვებამდე თოვსო, ხშირად – გადაუღებლივ.

ყრიან და ყრიან თოვლს. შრომობენ თეთრი (?) ჭიანჭველებივით. საოცარი სურათები იყო. მომაგონდა კობო აბეს „ქალი სილაში". იქ – სიცხე და ქვიშა, აქ – სიცივე და თოვლი, ერთ კაცს ჭა ჰქონდა ამოთხრილი და აღარ ჩანდა. რას აკეთებ მანდო? ელექტრონის ბოძზე გამობმულ ტროსს უთავისუფლებდა ადგილს შახტის პრინციპით. სინას მიყვებოდა და ოთხი მეტრის თუ მეტის სიღრმეში იყო ჩასული. დედაკაცები სახლის სახურავებზე და სხვა.

ქუდებზე – მთვარესავით ქუდი, უფრო სწორად – ქუდსაფარი, ქოლგასავით რაღაც მოწნული. თოვს, თოვს, შრიალი თოვლის და პატარა ადამიანები დიდ თოვლში.

* * *

ერთმა რუსმა:

კავშირი მაქვს სხვა ცივილიზაციასთანო. 5 დაინგრა, ახლა მეექვსეს გამოუდის წირვაო...

სატურნი შუალედური პლანეტაა, ჩვენსა და იმათ შორის შემაკავშირებელიო და სხვა. რუსი ფილოსოფოსების გვარებს ახსენებდა: კირიევსკი, ფლარინტსკი და ასე შემდეგ.

* * *

გერმანიიდან:

თოკზე მოსიარულენი (მუშაითნი). ქალი – ფილტვი ამოჭრილი და ერთი ფეხი მოკვეთილი, თოკზე დადის მაინც.

ბიოგრაფია ამ ქალისა:

ოჯახი ავადმყოფი. ძმა ალკოჰოლიკი, მეორე ძმა ფსიქიატრიულში წევსო, დები ამდაგვარნი და სხვა. 9 თუ 8 წლის ვიღაც კაცთან, რომელიც პორნოგრაფიულ ფოტოებს ამზადებდა, ბავშვთა (გოგონათა) პორნოგრაფია. თან ხმარობდა სხვანაირადაც. წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლოო. სკოლაში ვთქვი (პატარამ), მე არა მაქვს ფანტაზია.

მასწავლებელი – ყველას აქვს ფანტაზია და შენ არა გაქვს?

– მე არა მაქვს...

მართლაც არ მქონდაო. არაფერი არ მქონდა, უპოვარს ფანტაზიაც არ გამაჩნდა, ვფიქრობდი, რა მეშველებაო.

და დავინახე ქალი, მივხვდი, მიწიერი არ იყო. ჩემს მეტი ვერავინ ხედავდა. შემდეგ გაქრაო და სხვა.

4 ივნისი, 92 წ.

* * *

მოლდავეთის ტელევიზია:

დაქირავებული მკვლელი – რუსი, მოკლედ შეჭრილი, წინ ჩამოვარცხნილი თმით, სუფთა რუსს არ ჰგავდა, ბოშასაც კი...

დღეში ორიათასს (2000) დამპირდნენ, за труп – 5000 – ხუთიათასსაო.

ზა ტრუპ – ხშირად იმეორებდა, ცერებს ატრიალებდა, ცერს იმტვრევდა ცერზედაო კი არა, ცერს აბრუნებდა ცერზედაო... ბავშვები რომ გადმოვიდნენ საზღვარზეო...

მოჟნა ი რებიონკა სტრელიაც! პოჩემუ ნეტ?

წყნარად ლაპარაკობდა...

ვთქვათ, მოლდავეთის მხარეზე ხარ და რუსს თუ ესვრიო. დაფიქრდა და, მოჟნაო, თქვა...

ფულს თუ მოგცემენ, ხომო? – დიახო. ფულზე მანამდე არც უფიქრია. რუსის მოკვლა შეიძლება თუ არა, ეს აინტერესებსო,

დაასკვნა. რა რუსი, რა უკრაინელი, რა მნიშვნელობა აქვსო, დაამთავრა...

27. VII. 92 წ.

* * *

ფიშერი რობერტი

სულ სხვანაირი, ვიდრე გვახსოვდა. ვის ჰგავს, ვის, რა პროფესიის კაცს შეიძლება მიამსგავსო? ყველას, მოჭადრაკის გარდა. ყოფილ სპორტსმენს ჰგავს. საქმიანი... არასაქმოსანი, პოლიტიკურ მოღვაწეს. საპრეზიდენტო ადამიანსაც, სპორტული ბიოგრაფიით. რაგბი, ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი?

ამერიკის შეერთებული შტატების მისალმებას დააფურთხა და გადააგდოო... უზრდელობა ამის იქით არ წავა, მაგრამ მომეწონა კიდეც. ხომ იცი, ვინცაა და რაღას უგზავნი!..

1 სექტემბერი, 92 წ.

* * *

სოხუმი. დედები, ვისი შვილებიც მძევლებად არიან აყვანილნი. დედა და დეიდა ტირიან, ჩემი შვილი, მამუკა, ტყვედაა. გაათავისუფლებენო. ლექციაზე აგვიანდება მოსკოვშიო. სწავლა დაიწყო და რა ეშველებაო. ომია, იხოცება ახალგაზრდები, ამ ქალს ლექციები ახსოვს. ოღონდ გადარჩებოდეს და ცოცხალი დამიბრუნდებოდესო, კი არ ამბობს, – ლექციები გაუცდებაო. გასაოცარია ეგ.

ტასიკოც უმაღლესს დარდობდა, როდის გამოვა, როდისღა მოეწყობაო.

* * *

სპილოები დააძინეს. ვერტმფრენებიდან ესროდნენ. ესროლეს ერთს და აიპლაკა ცოტა ხანში. დაესიენ, გაუკეთეს რაღაც ვაქცინა, სპილო იწვა და ხვრინავდა ადამიანივით.

* * *

359 წლის წინ დაშვებული შეცდომა გასწორდა და გალილეო გალილეის რეაბილიტაცია გამოაცხადეს ოფიციალურად. რომის პაპმა აღიარა (ლოცვით და წეს-კანონით ალბათ).

ეს მოხდა 31 ოქტომბერს, 1992 წელს.

* * *

კოსმონავტი კრიუკოვი(?) 10 თვის შემდეგ ძლივს გადმოიყვანეს ხომალდიდან. გორბაჩოვის დროს გაფრინდა, ელცინის დროს დაბრუნდა, საბჭოთა კავშირი აღარ დახვდა. ჩაფრინდა სხვა სახელმწიფოში, სხვა დროშები, სხვა ქალაქების სახელები... იცოდა ყველაფერი, მაინც უკვირდა. იგი ზევით კი საერთოდ გადაავიწყდათ.

1993 წ. 3 იანვარი

* * *

დ. ციბაძის გადმოცემა. ოჩამჩირიდან ქალი (რომელი სოფელი?) გამოქცეულა ხბოიანი ძროხით. გამოვრბოდითაო, დავბინავდით გვარდიელების ეზოში. ახლა პანსიონატშია და იქ ყავს ძროხა და ხბო.

რაც მთავარია: ძაღლიც მოგვდევდა, იყო აქ და უკან გაბრუნდაო(!)

გვარდიელებმა კი ძროხა და ხბო არ შეუჭამეს... ამაზე იყო აქცენტი!

იანვარი 93 წ.

* * *

მესაქსაფონე (კლინტონი) მილოცვებს იღებდა თეთრი სახლის წინ. პიჯაკში იყო და წინ-ში რა იგულისხმებოდა. ცალ ხელში – ყავის ფინჯანი, მარჯვენას ამარჯვენებდა, მარცხენით

სომდა ყავას. ნავარჯიშებიც იქნებოდა, არ უნდა დაგეღვაროს. ხელს ართმევდნენ, ჩერდებოდნენ, ჭკუას არიგებდნენ ყველანი?! ერთი ნაბიჭვარი ზანგი სხვაზე მეტად შეყოვნდა.

21. X. 93 წ.

* * *

ქალი. ერთი წარბი ეწეოდა მაღლა არაბუნებრივად, სახე — არანერვიული, მაგრამ მაინც ავადმყოფური. ნაოჭები. რიგაჩოვა. არა — სიბელროსა?

აქ ვერავინ ვიშვილე და მინსკში წაველ, ერთის მაგივრად ორი გოგონა ჩამოვიყვანე, მერე სხვას წავყევი და ერთი კიდევ წამოვიყვანე ბიჭიო. ეკრანთან 6 გოგო და 7 ბიჭი ყავდა. გამოხოხებული სლავები, ენაც არ ჰქონდათ სუფთა ქართული (არტიკულაციით).

ბავშვობიდანვე მინდოდა, ბევრი შვილი მყოლოდაო...

* * *

ქოჩიაშვილი, პაპა. ადრე თქვეს, ცხრა კაცი ააფეთქა და გადახტაო. თავად მოყვა, ალყას მარტყამდნენ, ცოცხლად აიყვანეთ, თეთრწვერიანი მოხუცია, ალბათ ამიტომო. ავაფეთქე „გრანატა“ და ჩავხტი ჭაში. ბეტონის ჭა ყოფილა ერთი მეტრი სიღრმის, მეტი არაო. ვეღარ ნახეს? შემდეგ გლეხის ტანსაცმლით ტყე-ტყე. სასტუმროს დამლაგებლის ქალიშვილმა მიშველაო.

შვილი.

მაშველ რაზმს ჩამოყვა, არ მესიამოვნაო.

შვილმაც, რომ დავინახე, არ გამეხარდაო (ადრევე). გასაგებია და ახსნეს კიდეც, ერთად არ უნდა იბრძოდნენ მამა და შვილიო. შვილმაც ეგ თქვა. არც ძმები არ უნდა იბრძოდნენო. ჩემთვისაც გასაგებია: ბრძოლაში ყველა თავისთვის ფიქრობს და მისიანი ბორკავს, ცხადია.

* * *

დედა — ჯაფარიძის ქალი.

გულწრფელი, მართალი, გონიერი, მსუქანი, მაჯები ხორციანი, მკლავები სქელი, თეთრი.

დამწყევლა ქალმა პურის რიგში: არ ჩამოგსვლოდეს ცოცხალიო. როგორ უნდა გაბოროტდეს ადამიანი. თავად ყველა დედას ლოცავდა, ყველას დაგიბრუნდებათ შვილებიო!

* * *

პირველი შემთხვევა:

ყინულმჭრელი გაიტაცა ტერორისტმა მურმანსკიდანო, შეაცვლევინა კურსი, მიაყენებინა სადღაც, გადავიდა და სიბნელეში გაუჩინარდაო.

3 მარტი, 93 წ.

* * *

საბავშვო სახლი წყნეთის.

ბავშვები.

— ვინ გესიზმრება?

— დედა! — თავდახრილი, დაღვრემილი.

ნათელი სახე — ბიჭი.

ფართო ორი წინა კბილი, შავი თვალები, მრგვალი სახე.

— არ მინდა, დედა ვნახო, მცემს, ბაბუა არ მცემს...

— რას ეტყვი ბაბუას?

— მიყვარს მე ბაბუა, მნახოს ხანდახან...

ლამაზი ბიჭი, მრგვალი პირისახისა.

— არ მინდა, მამა მოკვდეს...

— რატომ ამბობ?

— ხანდახან რომ ამოდის მთვრალი, მეუბნება, მე მალე მოვკვდები, შენ ვინ მოგივლისო. არ მინდა, რომ მოკვდეს (სახემომცინარი, იმედიანი).

დიდები (ზედაკლასელები) აგრესიულები ხდებიანო, რომ დამალონ თავიანთი უდარდელობა, სამარცხვინო ოჯახისშვილობაც – აგრესიულდებიან – მშვენიერმა მასწავლებელმა გოგონამ, პროფესიით ფილოლოგმა თქვა ეს.

* * *

მოუპარიათ სამი „კონტეინერი" (ცეზიუმ 179) რადიაქტიული ნივთიერება. ვერ მოუსწრიათ გახსნა. სამივე იპოვეს. დიდი მაცივრის მოტორებს გავდნენ – მკვრივები, მრგვალები, ღერძიანები.

* * *

ელცინმა დაასაფლავა დედა. ეკლესიაში იყო დასვენებული. სურათი. ქალი – მნიშვნელოვანი გამომეტყველებით, ძლიერი ხასიათით. ცალი თვალი, თითქო, გაფუჭებული ჰქონდა. ელცინი – თეთრი პერანგით, სუფთად. სრულიად ფხიზელი. სანთლები ბევრი, სამღვდელოება, დამწუხრებული ქალები. შეიძლება, და იყო – ქალიშვილი მიცვალებულისა, თორემ ცოლი ისე არტისტულად ვერ გაჩერდებოდა (თანაც ებრაელი). შავი თავსაფრით, ვიღაცაზე დაყრდნობილი ბეჭზე და კისერი ნაზად მოგრეხილი.

23 მარტი, 93 წ.

* * *

საფრანგეთი. პროვინცია მივარდნილი. ერთი სახლის მეზობლებმა პოლიციას დაურეკეს, ამა და ამ სახლში თუ ბინაში რაღაც ხდება თუ მოხდა უკვეო.

შევიდნენ. მარტოხელა მეპატრონე მომკვდარიყო. ტელევიზორის წინ იჯდა ჩონჩხი. ტელევიზორი მუშაობდა. ფოსტით დაადგინეს, რომ 10 თვის მკვდარი იყო.

5. IV. 93 წ.

* * *

კარგად ყვებოდა დღეს სომეხი ქართულად:

სახე თხელი, აწეული წარბები, ოდნავ დაჭყეტილი თვალები.

2-ის ნახევარზე გავედი ტუალეტში. დავწექი. 3-ის ნახევარია, ხმაურია. მე ვთქვი, რა ხდება. გავიხედე ეზოში, ორი კაცია შკაფის უკან (რა უნდა ეზოში შკაფს? დარწმუნებული ვარ, გადახურულში, ან კიბის ქვეშ, ან ლაფაროში. უცბად წარმოვიდგინე საერთო ეზო, მაგათი ტიპიური საცხოვრისი). რა გინდათ, ვეუბნები, ხელოსანი კაცი ვარ, არაფერი მაქვს, ხმას არ იღებენ. მარტო თავები უჩანთ. რა აცვია, არ ვხედავ.

გამოდით, მე ვეუბნები, მანდ არა ხართ, შკაფის უკან. შკაფი რომ ვახსენე, გამოვიდნენ, შენი დედაო, შემოვიდნენ შუშაბანდში. გააღე კარიო. არ გავაღებ. გავიდნენ ჩემი რძალი და შვილიშვილები, გამოიყვანეს მძევლები, რა. შემოამტვრიეს კარის შუშები ავტომატით. შენი რჯული ასე და ისეო. შენი სომეხი დედაო (მომხდურებიც სომხები აღმოჩდნენ). თოფი რო არ ავიღე, ჩავაქრე სინათლე. შენი დედაო, ისროლეს. ავდექი, ვუმიზნე, რომელიც რო ისროდა, ვესროლე. მერე ხმები მესმის: მოდი, ჯერ ეს გავიტანოთო.

(მოკლა, მე მგონი, შემდეგ ტელეფონმა შემაწუხა და ლაპარაკი რომ დავამთავრე, გადაცემაც შემწყდარიყო, ვიკითხავ ფინალს).

12. IV. 93 წ.

* * *

33 წლის ... დავიდ... ქრისტედ გამოაცხადა თავი. სექტა შეიყვანა ვიღაცის მამულში, ტეხასში. 55 დღის შემდეგ პოლიციამ შტურმით დააპირა შესვლა. გადაწვეს იქაურობა და ჩახრუკეს მრავალნი, 80-ზე მეტი. 20 ბავშვი უნდა იყოს. „ქრისტე“

სათვალით(?), გრძელი თმით, უწვერულვაშო, მრგვალი სახით, ცოცხალი გადარჩა თუ არა, ვერ გავიგე. დაიბრიდაო.

20. IV. 93 წ.

P. S.

სამხრეთ ამერიკაშიც (პერუ, პარაგვაი, ურუგვაი?) მოხდა ამნაირი მასობრივი თვითმკვლელობა...

* * *

9 მაისია, 93 წ. რუსი მრგვალი, ნამუწუკარი სახით, 14 წლის ვიყავიო თუ 15-ისა. პარტიზანებთან ერთად დაუჭერიათ. გამიყვანეს, გამოდითო, დაგვაყენეს ორმოსთან. გამთენიისხანია. მივხვდი, გვხვრეტდნენო და მოვეპორჭყიალე ერთ კაცსაო (ვინც გაიყვანა ალბათ). ვერ მომიშორა და პირველივე სროლაზე გადავვარდი, თუ გადავხტი ორმოში. ერთი კაცი დამეცა თავზე (ის იყო თუ სხვა?), შემდეგ სხვები გადმოცვივდნენ. ბოლოს სროლა შეწყდა. შეწყდა ხმაური, იარაღის დატენის ხმაც აღარაა. ძლივს მოვიშორე გვამები. ავდექი. ვხვდები, აღარავინაა. ავდივარ, ვერ ავდივარ... რაღაც ასასვლელს მივაგენი. ავედი. რკინის საწოლებია რატომღაც. შევძვერი საწოლების ქვევით ხოხვით. ვიმალები თუ რას ვშვრები, არ ვიცი, ვხედავ, კაცია ვიღაც ჩემსავით შემძვრალი. მოვუსვათო, მითხრა. გავიქეცით, მივადექით კედელს. კედელი დაბალი აღმოჩნდა. ზევით ეკლიანი მავთული. გავწიეთ-გამოვწიეთ, ჩავხტით და სირბილით...

აჩვენეს სხვა რუსები, მხვრეტელები.

— დედას ესროდი?

— კი, Да!

— ქალიშვილს?

— რა უნდა მექნა (სხვა რა გზა მქონდა).

ქალი:

მამაჩემი ვერ გამოიყვანეს საკნიდან. ბენზინი გადაასხეს და

ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლწაკიდებული გამოიქცა. შემდეგ ესროლეს, თავზე ხელები ჰქონდა აფარებული, ცეცხლს იფარავდა თუ ტყვიასო. აქ ჯალათს განაჩენი გამოუტანეს. ქალიშვილმა ტირილი დაიწყო — პაპენკუ რასტრელივაიუტ!

მე ვუთხარი, ჩემ პაპენკას რომ ხვრეტდნენ, მაშინ სად იყავიო. Я же воздержалас.

* * *

ბეთჰოვენის „მთვარის სონეტა" მოასმენინეს ბავშვებს (ნ. ურუშაძე), რას გრძნობთ? ყველა ცდილობდა, გამოეცნო, რა პასუხი სურდა მასწავლებელს.

მხოლოდ ერთმა გოგონამ.

— ასე მეგონა, დედაჩემი მეფერებოდა!

* * *

ღამის 12 საათზე პატარა მაცი დაეკარგა ძმას პურის მაღაზიასთანო (რიგში იდგნენ ალბათ). ისინი ჩამოსულნი ყოფილან ვიღაც მოსიძესთან (ნათესავთან). მაცის, ალბათ, 8 წლისას, სპორტული ქუდი (მოველოსიპედესი) ეხურა და ძალიან დაღვრემილი იხედებოდა თავის თავზე გაბრაზებული. რამდენიმე შეკითხვას (გვარი, სახელი, მისამართი) სწრაფად უპასუხა — ყველაფერი ვიციო.

24. V. 93 წ.

* * *

ბ-ნო კონსტანტინე! (კოტე ჯავრიშვილი?)

დიქტ — 107 წლამდე უნდა იცოცხლოთ, ხომ არ გადაგიფიქრებიათ?

— არა. 105-მდე კარგად ვიქნები, ბოლო ორი წელი გამიჭირდება.

— გულსაწყვეტი ცხოვრებაში?

— ცეკვა დავდგი, გადაიღეს და არ შეუნახიათ. ხელმეორედ ჩავწეროთო. არ ღირდა.

— ყველაზე დიდი სიხარული?

— ყველა ბელადი ვნახე ერთად (ალბათ, მაო ძედუნი, სტალინი, მოლოტოვი, მიქოიანი).

ეს ყოფილა ყველაზე დიდი სიხარული მის ცხოვრებაში.

1993 წ. ივნისი.

* * *

ერმიტაჟის ფონდები გადასინჯესო და... 100 000 ექსპონანტი აღარაა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო(?)

4 ივლისი, 93 წ.

* * *

ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტი, სროლები გროზნოში, სომხეთ-აზერბაიჯანში, აფხაზეთში...

და იაკუტიაში ბრაკონიერები დააკავეს, ნაკრძალში უკანონოდ დაუჭერიათ 100 პეპელა. 9 წლამდე ემუქრებათ ციხეო.

4 აგვისტო, 93 წ.

* * *

უზბეკებზეა კონცერტი. რუსი ასე ამბობს Узбекустан.

ქალი ცეკვავდა ლამაზად. მწვანე ტანსაცმლით (ფონი მწვანე), უკან ფერადი ფარდა. ბამბის ბუჩქები ეხატა ცისფერი და ბამბის მწიფე ბუჩქები თეთრი.

* * *

თამაში. ბავშვების. ზღვის პირას, ამოცანა:

ხელებშეკრულს და დაჩოქილს უნდა შეეჭამათ საზამთროს

ნაჭერი და ქერქი ჩაეგდოთ ვედროში. 4 გოგონა, 4 ბიჭუნა (რომელი რომელი გუნდიდან, არ მიმიქცევია ყურადღება). სამმა გოგონამ შესანსლა ნაჭერი და ჩააგდო I, II, III. ამის შემდეგ მხოლოდ ბიჭებმა მოახერხეს ამ პროცედურის შესრულება.

გოგონებმა აჯობეს. სამაგიეროდ, ერთმა გოგონამ საერთოდ ვერ შეჭამა. ვერც ჩააგდო ვედროში. იდგა, დაჩერებოდა. ნერვიულად გაეცინა შემდეგ. თვალზე ცრემლი ჰქონდა ალბათ. ის ვერ მიხვდა, რომ მან არ შეარცხვინა ქალთა წარმომადგენლობა.

11. IX. 93 წ.

* * *

17 ნოემბერი, ოთხშაბათი, 93 წ. ფეხბურთი პარიზში (ვნახე გარედან, 1973 წ. ახალი აგებული იყო). საფრანგეთი – ბულგარეთი. მამალი მოედანზე, ვერ გააგდეს, ვერც დაიჭირეს, ხელიდან უსხლტებოდა ყველას, ბოლოს თავადვე დატოვა მოედანი და მსაჯმა ტაში დაუკრა. რამდენიმე წლის წინ სხვაგან, სხვა სტადიონზე იყო ამდაგვარი სიტუაციშენ.

* * *

შევარდნაძე.

ფილოსოფიური განხრით. „ვინ ვართ ჩვენ“.

ქართული ფენომენი და სხვა. რაც არაა შენი საქმე, ქეც უნდა მიხვდე. ქალი აძლევდა „რთულ კითხვებს“. სამყარო დაიღუპება თუ არა. შევარდნაძე მატერიალურად ან მატერიალისტურად აძლევდა პასუხებს. სამკუთხედი ცხვირით... ქალს მუხლები უჩანდა კაბიდან. კაცი იქით არ იხედებოდა და ეს ეტყობოდა, გაუხედაობა ერთგვარ დაძაბულობას ქმნიდა...

შთაბეჭდილებას XVIII დღიურში ჩავწერ, გვ. 5-6.

18. XI. 93 წ.

* * *

კახეთის მატარებელი. დენი გამოირთო (ძაბვა დავარდა) და გალახეს მემანქანე, დაამტვრიეს ვაგონები.

ერთი (ალბათ მემანქანე) ხელებს შლიდა უცნაურად, ვერა არტისტი ამას ვერ იზამს, არ მინახავს ამნაირი.

შემოდიან ფორმით, გვარდიელი ვარ, მხედრიონი ვარ. აქ არ გააჩერო, აქ გააჩერე.

— შემხვედრი დაგვეჯახება, უბედურება მოხდება...

— გააგებინეთ მაგენს, დენი რომ გამოირთვება, ჩვენი ბრალი არაა!

გუშინ:

ვიღაც შველიძე და მისი ძმაკაცები ჩაუსხდნენ მანქანაში და ისროდნენ რუსთაველის პროსპექტზე. მანქანის სახურავიც დახვრეტილი. წაიყვანეს მანქანა და ხვალ მოიტან ნახევარ მილიონ მანეთსო. ისე არიან გათავხედებულნი, მართლაც მივიდნენ ასაღებად. კიდევ კარგი, დააჭერინეს, დანარჩენებს არ იცნობს... ეგ კანონია ყველასი.

28. XII. 93 წ.

* * *

გუტენბერგის ბიბლია ნახეს, 540 წლის წინ გამოცემული. 12 ცალია სულო. ეს ეგზემპლარია ყველაზე უკეთესი. საბჭოთა არმიის ნადავლია.

30. XII. 93 წ.

* * *

ამ დილით (4. III. 94) გოგონა... ჯგუფი შედგა შვეიცარიისათვისაო. ქალები — მოცეკვავეები, მსახიობები ძირითადად, ერთი მასწავლებელიცააო... ჩაგვიყვანეს პოლონეთში. იქ გაირკვა, რომ სტრიპტიზ-ბარებში უნდა გამოვსულიყავითო. ვიღაც

ქართველი და ვიღაც იქაური – (თადეუში?). კონტრაქტს აღარ მოვაწერეთ ხელიო. ზოგიერთები, ვისაც სხვა გზა, უკან დასაბრუნებელი პირი აღარ ჰქონდათ, დარჩნენო. საროსკიპოებში თუ მოხვდებიანო, აუცილებლადაო. ქალის სახე დაბურული იყო, ვერ იცნობდი. გვარ-სახელი არ თქვეს.

* * *

მოსკოვი. ზესტაფონელი, რომელიღაც სოფლიდან, წიგნიდან ვისწავლე ცეკვაო და შექმნა უზარმაზარი სტუდია. „ელექტრიკობას" თავი დავანებე და მთლიანად ცეკვას ვასწავლი... რუსებს... თვითონ ცეკვა არ იცის. ერთი 120 ბავშვი დამყავს გასტროლებზე საქართველოშიც... მახარაძე, ბათუმი.

* * *

ენგურის ხიდზე შეხვდნენ ქართველთა და აფხაზთა მშობლებიო, მხოლოდ აფხაზთა მშობლები არ მოვიდნენო. უნდა გაეცვალათ ტყვეებიც. ქართველებმა გამოიჩინეს სიკეთე და ოთხი ტყვე შესთავაზეს, აფხაზებმა ექვსი გვამი მოიტანეს, გავცვალოთო. ჩვენებმა ცოცხლებში მკვდრები, გასაგები მიზეზის გამო, არ გაცვალესო...

1 აპრილს მოხდა, როგორც ჩანს, მაგრამ სიმართლეა.

1994 წ. აპრილი

* * *

19 წლის ზარიძემ ქვასანაყით მოკლა საკუთარი ბებია და აღმოუჩინა 400 დოლარი.

ცოტაა ეს თუ ბევრი, არ თქვეს.

უკნიდან მოეპარა, ეტყობა და რეკა.

1994 წ. აპრილი

* * *

მაინც აიღეს გვამები. ასეთნაირად გვამცნეს:

ორი აფხაზი, ავადმყოფები (ჭირიანები), საავადმყოფოში გარდაიცვალნენ, სამაგიეროდ, მივიღეთ 6 ქართველი ვაჟკაცის გვამი...

მოატყვილეს აფხაზები?

* * *

1921 წელს, გზის მშენებლობიდან, ბოლშევიკების შემოსვლამდე თუ შემდეგ, სპარსეთში გადასულა ორი ძმაკაცი...

ერთი მუხიგულაძე(?), მეორეს აზნაურის გვარი ჰქონდა. ერთი აჩვენეს საკუთარ ოჯახში (რეჟ. ონოფრიშვილი), 93-ს მიტანებულიაო. აწი სადღა წავალო...

II ჩამოიყვანეს დაპატარავებული, წელში გახრილი, თავს ვეღარ წევდა, მოდიოდა შავი ბლუზით, დიდი წვერით... თხუნელა... ხელში უნდოდათ თითქოს აყვანა ნათესავებს. არ უნდა, ქალო, არაო, ხმები ისმოდა. თავისი ფეხით მოდისო, გაოცებულნი იყვნენ, თუმცა მოდიოდა წინწახრილი, გაღუნული, თავს ვერ წევდა, გახარებულივით, გალიიდან გამოშვებულივით.

1994 წ. აპრილი

* * *

სატურნს თუ იუპიტერს ეჯახება 9 მეტეორი. თითეული ტრილიონი ტონააო თუ მეტიო. მილიონი წლების განმავლობაში ერთხელ ხდება ამნაირადო. წინა, ალბათ, მილიონი წლის წინ მოხდა(?). რა იციან ამ ოხრებმა?!

დააფინთიხებენ მეტეორები იუპიტერს. დედამიწაზე გავლენას ვერ მოახდენენო...

კაცმა არ იცის!

1994 წ. მაისი.

სარჩევი

„გადანახული ჩანაწერებიც“ დიდი მწერლობაა — გია ხოფერია 3
გადანახული ჩანაწერები 17

დამატებანი

გასვლითი თამაშები 535
ტელევიზორეთი 582